

სოლომონ დოდაშვილი

თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

წიგნის შესავალ წერილში მოცემულია მოკლე გამოკვლევა სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ დალაგებულია ს. დოდაშვილის თხზულებები, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წერილები, საარქივო მასალები, ბიბლიოგრაფია, პირთა და სახელთა საძიებლები და ლექსიკონი. წინამდებარე გამოცემაში შესულია მრავალი საინტერესო, დღემდე უცნობი მასალა, მოპოვებული მოსკოვის, ლენინგრადისა და კიროვის (ყოფილი ქ. ვიატკა, ს. დოდაშვილის გადასახლების ადგილი) არქივებში. მათი შუამდგომლობით წილი თარგმნილია ქართულად და სისტემაშია მოყვანილი.

წიგნი ქართველ მკითხველ საზოგადოებას შეუქმნის ნათელ წარმოდგენას ამ დიდი ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი
თამარ კუყავა

რედაქტორები: ს. ხუციშვილი

ო. გაბიძაშვილი

რეცენზენტი პროფ. ბ. ლუტიძე

პროფ. კ. კაციტაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

1401020000
D
608(06)-01

ISBN 99928-33-44-0

სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა შორის სოლომონ--დოდაშვილს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. იგი ღრმა მთაზროვნე, ნიჭიერი პუბლიცისტი, ფართოდ განათლებული პიროვნება და ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. სულ 31 წელი იცხოვრა სოლომონ დოდაშვილმა, მაგრამ ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე იმდენის გაკეთება შეძლო ერის საკეთილდღეოდ, რასაც რამდენიმე სიცოცხლე კი არა, იქნებ მთელი თაობაც კი არ ეყოფოდა. მან ცხოვრების მძიმე გზა განვლო. მისი მიზანი ყოველთვის ერისათვის სამსახური, მისი უკეთესი მომავალი იყო. დოდაშვილმა შეძლო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართული ფილოსოფიური აზროვნების, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ლოგიკის, ესთეტიკის და სხვა დარგების განვითარებაში. დოდაშვილის ნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა, მაგრამ შემორჩენილიც მკაფიო წარმოდგენას იძლევა მისი ნიჭისა და განათლების სიღრმესა და სიფართოვეზე. დოდაშვილს არ იყო მეცნიერების ერთი რომელიმე ვიწრო სფეროს მცოდნე. ამავე დროს არ ემაყოფილდებოდა კარჩაკეტილი კაბინეტური მოღვაწეობით და ფართო საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. დოდაშვილს არა მხოლოდ სიტყვით, საქმიანაც ცდილობდა დაენერგა სწავლა-განათლება საქართველოში, შეეტანა ახალგაზრდობაში მოწინავე იდეები. ამიტომაც მას ქართველი ხალხის, განსაკუთრებით მისი დაბალი ფენების სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

სოლომონ დოდაშვილს გასული საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში მოუხდა მოღვაწეობა. ეს პერიოდი საქართველოში ახალი ერის დასაწყისი იყო. მონგოლების, სპარსელების, თურქების განუწყვეტელი თარეშით სისხლისაგან დაწრეტილმა, თითქმის დაღუპვის პირზე მისულმა საქართველომ რუსეთს მოუხმო დასახმარებლად. საქართველოს რუსეთთან დაახლოების საკითხი ბევრად ადრე იდგა დღის წესრიგში. ჯერ კიდევ XV საუკუნის ბოლოს, როდესაც რუსეთმა თათრის ურდოებს სძლია, საქართველომ იმედიანი თვალი რუსეთს მიაპყრო.

მაგრამ XV საუკუნის შემდეგაც მრავალჯერ გადასერეს დამპყრობთა ურდოებმა საქართველოს მიწა-წყალი. თურქები და სპარსელები ერთმანეთს ეცილებოდნენ მის გავერანებასა და აოხრებაში. ამიტომ XVI საუკუნეში გადაიდგა რეალური ნაბიჯები საქართველოს რუსეთთან დასაახლოებლად. გადამწყვეტი ღონისძიებანი კი ამ მხრივ ერეკლე II-მ მიიღო. ამიტომაც რუსეთთან საბოლოოდ დაახლოების საუკუნედ XVIII საუკუნე ითვლება. თუ XV საუკუნემდე საქართველოზე ძირითადად ელინურ-ბიზანტიური კულტურა ახდენდა გავლენას, XVI—XVIII სს. — ირანულ-მუსლიმანური, XIX საუკუნეში კი რუსეთისა და რუსეთის გზით — დასავლეთ ევროპისა. რუსეთთან დაკავშირებამ ქართველ ახალგაზრდობას რუსეთში განათლების მიღების შესაძლებლობა შეუქმნა.

საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ამ უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა სოლომონ დოდაშვილს. 1824 წელს 18 მანეთით ჯიბეში დოდაშვილი გაუდგა გზას შორეული პეტერბურგისაკენ. მას ცოდნის მიღების დაუძლეველი წყურვილი ამოძრავებდა. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი ქართველი სტუდენტი გახდა. მას შემდეგ მიჰყვნენ სწავლა-განათლებას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდობის მთელი თაობები, რომელთაც შეისისლხორცეს და გადმონერაგეს რუსეთიდან და რუსეთის მეშვეობით დასავლეთ ევროპიდან ყოველივე დადებითი და პროგრესული.

პეტერბურგში ყოფნისას იგი მოწმე გახდა დეკაბრისტების გამოსვლისა და მათი უმოწყალო დასჯისა. დოდაშვილი, ცხადია, გაეცნობოდა დეკაბრისტულ ლიტერატურას, რომელიც უხვად ვრცელდებოდა რუსეთში. დეკაბრისტების დასჯას მასზე წარუშლელი კვალი უნდა დაეტოვებინა. დოდაშვილი დეკაბრისტებთან დაახლოებულიც უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ მან საქართველოში ჩამოიტანა დეკაბრისტ რილევის წერილი, მიწერილი ცოლთან. წერილი მან სტუდენტ კრუჰსკისგან გადაიწერა. დაპატიმრების დროს კი აღმოაჩნდა რილევისავე „ნალივაიკო“, გრ. ორბელიანის მიერ „აღსარებად“ თარგმნილი. დეკაბრისტების გავლენის კვალი დოდაშვილზე აშკარად მოჩანს მის მონაწილეობაში 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმულებასთან დოდაშვილი, პირველ ყოვლისა, დეკაბრისტების იდეურ გავლენას უნდა მიეყვანა. თავისთავად ხომ ეს შეთქმულება დეკაბრისტების გამოსვლის გამოძახილი იყო საქართველოში. საერთოდ, რუსეთში გატარებული საგმა წელმა გადამწყვეტი როლი შეასრულა დოდაშვილის აზროვნების ფორმირებასა და შემდგომ მოღვაწეობაზე.

სოლომონ იოანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს (ძველი სტილით) ქიზიყში, სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში, მდებარე იოანე დოდაშვილის ოჯახში. სოლომონმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ სწავლობდა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში. 1820 წლამდე სწავლობდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში. კურსის დამთავრების შემდეგ ის და ანტონ კობიაშვილი სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ილარიონ დობრომისლოვმა თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. გამოცდების ჩაბარების შემდეგ სემინარიის გამგეობამ სოლომონი ჩარიცხა სემინარიაში, სადაც მან ყურადღება მიიქცია თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით. მალაღი აკადემიური წარმატებების საფუძველზე სოლომონ დოდაშვილი 1822 წლის 15 მარტს გაიგზავნა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად. მაგრამ ცოდნის გაღრმავებასა და მეცნიერების დაუფლებას მოწყურებულ სოლომონს მიღებული განათლება არ აკმაყოფილებდა. 1823 წლის 12 ივლისს სოლომონი სემინარიის მმართველობას სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის თანამდებობიდან განთავისუფლებას სთხოვს. დოდაშვილის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა 1824 წლის ზაფხულში. სოლომონს პეტერბურგს სწავლის გაგრძელება ეწადა.

პეტერბურგში წასვლა იმ დროს არც ისე იოლი საქმე იყო, მით უმეტეს, ხელმოკლე სოლომონისათვის. მაგრამ მისმა ძლიერმა ნებისყოფამ და სწავლის გაგრძელების უსაზღვრო სურვილმა ყოველგვარ დაბრკოლებას სძლია და მისი გამგზავრებაც გადაწყდა. 1824 წლის ზაფხულში ის მიემგზავრება პეტერბურგს და შედის პეტერბურგის საინჟინერო უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბერი იონა ხელაშვილი. იგი დიდი პატრიოტი და ფართო ერუდიციის მქონე პიროვნება იყო. იონა ბატონიშვილებს ახლდა თან, ემსახურებოდა მათ და, ამავე დროს, შეძლებისდაგვარად, მფარველობდა რუსეთში მოხვედრილ ქართველებს. მას, როგორც ირკვევა, სოლომონი გულთბილად მიუღია. სოლომონის ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ და პატიოსნებამ კიდევ უფრო გააძლიერა იონას გულთბილი დამოკიდებულება მასთან. იონა სოლომონს უყურებდა როგორც „სულიერ ძეს“.

მძიმე იყო სოლომონის მდგომარეობა პეტერბურგში, იმდენად მძიმე, რომ, როგორც ეს იონასადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, მას ტრანსპორტით სამგზავრო ფულიც კი არ ჰქონდა, რის გამოც ყოველდღე, სახლიდან უნივერსიტეტამდე, „ათხუთმეტნი ვერსტნი“ ფეხით უნდა გაეგლო. ამ მძიმე მდგომარეობაში სოლომონის ერთადერთი დამხმარე და შემწე იონა ხელაშვილი იყო. სოლომონიც, თავის მხრივ,

ლმა პატრივისციემისა და მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული იონასადმი. სოლომონსა და იონას შორის ეს უჩვეულო და იშვიათი მეგობრობა გრძელდებოდა სოლომონის საქართველოში დაბრუნების შემდეგაც.

1827 წ. სოლომონმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აურიდიული ფაკულტეტის კურსი და მაშინვე წარადგინა რუსულად დაბეჭდილი წიგნი — „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი I, ლოგიკა“, რომელიც გამოცემული იყო ალექსანდრე სმირდინის სტამბაში ავტორის ხარჯით. სინამდვილეში წიგნის გამოცემის ხარჯები გაღებული იყო სოლომონის „სულიერი მამის“ იონას მიერ. დოდაშვილის წიგნი გამოიცა 1.200 ცალად. ის გარემოება, რომ წიგნი გამოსცა სმირდინმა, რომელიც იმდროინდელი რუსული მწერლობის უდიდეს წარმომადგენლებთან — კრილოვთან, პუშკინთან, ყუკოვსკისთან და სხვებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც ხშირად იმყოფებოდნენ მის გამომცემლობასა და წიგნის მაღაზიაში, იმდენადაა მნიშვნელოვანი, რომ ს. დოდაშვილს იქ შეეძლო ენახა და გაეცნო ზოგიერთი მათგანი.

ს. დოდაშვილის წიგნის გამოცემას რამდენიმე რედაქცია გამოეხმაურა, რადგან დოდაშვილის „ლოგიკის“ მნიშვნელობა სცილდებოდა რუსეთ-საქართველოს ფარგლებს. მისი გამოქვეყნება დიდი მოვლენა იყო საერთოდ ლოგიკური აზროვნების ისტორიაში. ამით აიხსნება ის ფართო გამოხმაურება, რაც რუსულ პრესაში გამოიწვია დოდაშვილის წიგნის გამოქვეყნებამ.

ამ წიგნს მაღალი შეფასება მისცა ყურნალმა „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“, სადაც მოთავსებული იყო პოლევოის სტატია. პოლევოი ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურული მოღვაწე იყო. იგი წერდა: „ღღემდე ჩვენ სრულიად არ გვქონდა კარგად გამოცემული ლოგიკა, წიგნი ეგზომ საპირო აღზრდისათვის. ყველა ჩვენი ლოგიკა ან იყო ძველი, კონდილიაკისა, ან ბაუმაისტერული სქოლასტიკის ნარჩენებს წარმოადგენდა. სიტყვადვარჯნილობასა, ენთიმემებსა, ხრიებსა, დილემებსა და სორიტებში გახლართულ, დაბნეულ მასწავლებლებს შეეძლოთ მოწაფისათვის თავი გაეტენათ თავსატეხნი სიტყვებით, მაგრამ ეს მის გონებას ცოტა რამეს აძლევდა.“

უარყვეს რა მთელი სქოლასტიკა და კონდილიაკის ცუდ-მსიტყველობა და ხელმძღვანელობდნენ რა ახალი მოაზროვნეებით, ბატონმა ტალიზინმა (პოლევოი დოდაშვილის ნაშრომთან ერთად რეცენზიას წერდა აგრეთვე მ. ტალიზინის ლოგიკაზეც, რომელიც ასევე 1827 წელს გამოვიდა) და ბატონმა მაღაროელმა ნათლად, მოკლედ და მარტივად აგვისსნეს მნიშვნელოვანი მეცნიერება სწორი აზროვნებისა და ორივემ თავიანთი თხზულების მიზანს მიიღწიეს.

ბატონ მაღაროელის წიგნი წარმოადგენს ვრცელი შრომის მხოლოდ დასაწყისს. მას სურს გამოსცეს „ფილოსოფიის სრული კურსი“¹.

„ლფრთოვანებით შეხვდა დოდაშვილის ლოგიკის გამოსვლას „მოსკოვსკი ვესტნიკი“. აქ გამოქვეყნდა ვ. ტიტოვის სტატია, სადაც მოცემული იყო „ლოგიკის“ კრიტიკული დალაგება და ამავე დროს მისი დადებითი შეფასება:

„ბატონ დოდაშვილს განსაკუთრებით კარგად აქვს გამოყვანილი მსჯელობათა კატეგორიები. — წერდა ტიტოვი, — მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ მას ვუმადლით იმ ბედნიერ სითამამეს, რომლითაც მან გადაუსვია დიდი ხნის დაკანონებულ წესრიგს ლოგიკის დალაგებაში და წინააღმდეგ იმისა, მსჯელობას ცნებაზე უფრო წინ მისცა ადგილი. მართლაც, მსჯელობა გონების პირველი აქტია, რომელიც წარმოიშობა ცნებათი შეგრძნებით. ცნების შეერთება შეუძლებელია, თუ ჯერ არ გამოიყოფთ შეერთებისათვის ადრე განსხვავებულ იდენტურ ნიშნებს; ანალიზირება, აზროვნება და სჯა ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოთქმებია. ცნება არის, ასე ვთქვათ, შემოკლებული მსჯელობა. დასკვნაც მსჯელობაა, ოღონდ განვითარებული. ერთიცა და მეორეც სხვადასხვა სახეებია, რომლებშიც ვლინდება ერთი და იგივე გონებრივი ცხოვრება.

ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ განლაგებაზე, რაც შეეხება ბატონ მაღაროელის ლოგიკის შინაარსს, მასში საკმაოდ ბედნიერად შეერთებულია სიმოკლე სათანადო სისრულესთან“².

დოდაშვილის „ლოგიკას“ დადებითი რეცენზია უძღვნა აგრეთვე „სეკურნაია პჩელამ“, სადაც ეწერა: „ახალგაზრდა ავტორი ამ წიგნისა მოღვაწით ქართულია. აღიზარდა და სწავლობდა აქაურ უნივერსიტეტში. და ამას წინათ გაემგზავრა თბილისს იქაური გიმნაზიის მასწავლებლის წოდებით. მისი ამ თხზულების შესახებ ფილოსოფიურ მეცნიერებათა ერთმა მოყვარულმა და მცოდნემ შემდეგი შეგვატყობინა: „ეს თხზულება ბევრს ახალსა და ფრიად კარგს შეიცავს. ასეთებია მაგალითად, ლოგიკის შინაარსის გადმოცემა ჩვენი გონების თვითცოდნის მშეენიერი განმარტებით § 2-ში და დებულების (thesis), დაპირისპირებისა (antithesis) და შეერთების (synthesis) ცნებათა გამოყენება წარმოდგენების მიმართ. აგრეთვე კატეგორიათა გამოყენება წინადადებათა მიმართ“³.

დოდაშვილი თავისი „ლოგიკის“ წყალობით მოხვდა ფილოსოფიის ისტორიის რუსულ სახელმძღვანელოებსა და ფილოსოფიურ ლექსიკონებში. მაგალითად, არქიმანდრიტმა გაბრიელმა (ვოსკრესენსკი) იგი

¹ ციტირებული გვაქვს წიგნიდან „ს. დოდაშვილი, „ლოგიკა“, თბილისი, 1949 წ., ა. ქუთელაის რედაქციითა და წინასიტყვაობით, გვ. LI—LII.

² იქვე, გვ. III.

³ იქვე.

შეიტანა თავის ფილოსოფიის ისტორიაში, სადაც მან დოდაშვილი შადის მიმდევრად გამოაცხადა¹. კოლუმბოვსკიმ დოდაშვილი მოიხსენია თავის „სლავიანთა ფილოსოფიის ნარკვევებში“². დოდაშვილი მოხვდა აგრეთვე რადლოვის „ფილოსოფიურ ლექსიკონში“³ და ბროკჰაუზ-ეფრონის „ენციკლოპედიურ ლექსიკონებში“⁴.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის სოლომონის ნაშრომის ასეთი წარმატება ავტორის ნიჭსა და ერუდიციანზე მეტყველებს. ასეთი დასაწყისი იმის მომასწავებელი იყო, რომ სოლომონს მომავალში დიდი სასარგებლო საქმე უნდა გაეკეთებინა ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სამშობლოში დაბრუნებული სოლომონი ფართო მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას იწყებს და ძალ-ღონეს არ ზოგავს იმისათვის, რომ წინ წასწიოს სამშობლოში განათლებისა და კულტურის საქმე. დოდაშვილი ჩამოსვლისთანავე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა. მიუხედავად პედაგოგიური მუშაობით გადატვირთულობისა, სოლომონი ფართო მეცნიერულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1829 წლის ბოლოს იგი ი. ხელაშვილს აცნობებდა:

1. „შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლებისათვის;
2. სრულვყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა;
3. ვჰსთარგმნე რწმუნებისაებრ მთავრობისა სჯულთ ვალდებულე-ბანი სასამართლოებისნი;
4. ვჰსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვის წიგნი;
5. შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა, რიცხვით ექვსასამდე: ვისგან, სადა და ოდეს და თვითოეული რას იპყრობს თავის შორის;
6. შევადგინე სხეადასხეანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრიკვი), შესხმანი, ავთრათნი და სხვანი;
7. შევადგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და განყოფილებითა მისითა;
8. ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულვყავ“.

1 История философии Архимандрита Гавриила, ч. IV, Казань, 1840, стр. 140.

2 Иберверг — Гейнце. История новой философии, СПб, 1890, стр. 590.

3 Э. Р а д л о в. Философский словарь, стр. 186.

4 Энциклопедический словарь. Брокгауз — Ефрон, т. XX, СПб. 1893, стр.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცხენის სრბოლისათვის“ და „მთავრობის სჯულთ-ვალდებულებანი“ დოდაშვილს უთარგმნია რუსულიდან პასკევიჩის დავალებით, რაც შეეხება „შემოკლებულ ქართულ გრამატიკას“, რომელსაც სახელმძღვანელოდ ხმარობდნენ კლასიკურ გიმნაზიაში, დოდაშვილმა 1829 წელს დაწერა და გამოაქვეყნა 1830 წელს. თბილისშივე დაამუშავა მან „ლოგიკის“ ახალი ვარიანტი რუსულ ენაზე, რომელიც გაუგზავნა თავის ძმას სტეფანეს პეტერბურგში გამო-საქვეყნებლად. „ლოგიკის“ ეს ვარიანტი ნაპოვნი არაა, მაგრამ ის უნდა არსებობდეს. დოდაშვილს დაუწერია აგრეთვე „პიტიკა“, რასაც მოწმობს მისი ჩვენება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიაზე.

ს. დოდაშვილის ნაშრომებზე მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა აღიზარდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილი, რომელიც ს. დოდაშვილის გრამატიკის სახელმძღვანელოთი სწავლობდა მშობლიური ენის გრამატიკას. გარდა ამ ფართო მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობისა, ს. დოდაშვილი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. როგორც ცნობილია, ს. დოდაშვილს შეუქმნია „ამხანაგობა“, ლიტერატურული წრის თუ საზოგადოების მაგვარი, სადაც დაიარებოდნენ ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი და სხვ.

1828 წელს თბილისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ს. დოდაშვილი დაინიშნა გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ საგამომცემლო კომიტეტის წევრად. გამოდიოდა მისი ქართული ვარიანტი, რომელსაც უძღვებოდა ს. დოდაშვილი. მისი რედაქციითა და აქტიური მონაწილეობით გამოვიდა აგრეთვე პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელიც გაზეთ „ტიფლისის უწყებანის“ ლიტერატურულ დამატებას წარმოადგენდა. აღნიშნული ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1832 წლის 15 იანვარს, ხოლო უკანასკნელი, მეხუთე, მარტში. დოდაშვილმა ჟურნალში შეურიგებელი ბრძოლა გამართა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართული ენის, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის დამცირებას ლამობდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ჟურნალში მოთავსებული სტატია „მოკლე განხილვა ქართული ენისა და ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, სადაც ს. დოდაშვილი იცავს ქართული ენისა და ლიტერატურის დამოუკიდებელი გზით წარმოშობის აზრს და ეკამათება იმათ, ვისაც ქართული ენა და ლიტერატურა სომხურის განშტოებად მიაჩნდა. ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ დოდაშვილი ავითარებდა ქართული ენისა და დამწერლობის დამოუკიდებლობის, თვითმყოფობის აზრს: „ძირი ენისა ჩუენისა უნდა იყოს საკუთარი, ესე სჩანს ყოველთა ძუელთა წერილთაგან. ჩუენ ვერ ვხედავთ ვერცა ასოთა, ვერცა ხმათა და გამო-

ლუბათა, არა თუ ოდენ ლექსთა, რომელთაცა აქუნდეთ მკუეთრი მსგავსება სულსა შინა სომხურისა ენისასა“¹.

დოდაშვილის არანაკლებ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ამტკიცებდნენ, თითქოს ქართული ენა განუვითარებელი იყო და ღარიბი ლიტერატურული ნაწარმოებებით. ამ შეხედულების დამცველთა წინააღმდეგ დოდაშვილი ამავე წერილში იძლევა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიის მოკლე მიმოხილვას. ასახელებს გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსებსა და მწერლებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის მოღვაწეობის დოდაშვილისეული შეფასება:

„პეტრიწი ესე იყო ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ფრიად საყვარელი მოღვაწე საქართველოსა შინა. სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებულნი კაცი დროისა თვისისა. მან წერა ყოველთა გუართა შინა სიტყვიერებისათა და ყოველთა გუართა შინა ჰპოვა ჩინებულება და პატივისცემა არა მხოლოდ თანამედროეთა თვისთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამეობათა თვისისა მამულისათა“².

სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ჟურნალის პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა მისი განმანათლებლური იდეები. თავად-აზნაურებს, რომელნიც ჟურნალის დაარსებაში იღებდნენ მონაწილეობას, სურდათ ჟურნალი გამოეყენებინათ საქართველოს ასაჯანყებლად რუსეთის წინააღმდეგ. დოდაშვილს კი ჟურნალი ხალხის განათლებისა და მასში კულტურის შეტანისათვის უნდოდა. დოდაშვილი წერდა, რომ ჟურნალი იმ მიზნით გამოდიოდა, რათა „მისცემოდა ესე გუარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩუენისა და მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“³. გარდა ამისა, დოდაშვილი ჟურნალს მიზნად უსახავდა ქართველობაში „ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისადმი..., სურვილისა და სიყვარულის“ გაძლიერებას⁴. ამრიგად, ჟურნალის მიზანდასახულობის გაგებაში სოლომონისა და თავადიშვილების თვალსაზრისი ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებში ს. დოდაშვილი მიესალმებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას და დადებითად აფასებდა მას. თავისი ძმის, სტეფანესადმი მიწერილ წერილში იგი წერდა: „ჭეშმა-

1 საისტორიო მოამბე, 1952 წ., № 6, გვ. 271.

2 იქვე.

3 იხ. მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი, 1954-გვ. 152.

4 იქვე.

რიტად გამოუთქმელ არიან ზომანი კეთილდღეობათანი, რომელნიცა მოჰქვინა ქვეყანასა ზედა ჩუენსა დიდსულმან ერთმთავარმან ჩუენმან, რომელსაცა ჰსურს, რათა მხოლოდ ვისარგებლოთ ჩუენ კეთილ-ობითა მისითა, განვინათლოთ გული და გონება, რომელიც არს დაწყება ბედნიერებისა ჩუენისა“¹. დოდაშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქვეყანაში ჩამოვარდნილ მშვიდობას: „მტკიცე მარჯუნა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩუენისა“². როგორც ვხედავთ, დოდაშვილისათვის ერის ბედნიერების აუცილებელი პირობა იყო განათლება, კულტურის აღმავლობა.

უკუებით რა დოდაშვილის განმანათლებლურ იდეებს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი წერილი, სადაც იგი ამბობს:

„სიმდიდრე ენისა არს სიზღიდრე გულისხმისყოფისა, წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა. გამოცხადლებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძობანი, განხორციელებიან სიმგრგვალენი გონებისანი შეხედვითა მოქმედებულთა მშვენიერებათადმი“³. მაშასადამე, დოდაშვილი ერის „აღმატების“ საშუალებად მიიჩნევს ერის განათლებას, ენისა და სიტყვიერების განვითარებას. ენისა და სიტყვიერების განვითარება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ერის გონებრივ განვითარებას, მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას. საერთოდ, დოდაშვილის ნაწერებს თუ მის პირად მოღვაწეობას წითელ ზოლად გასდევს მისწრაფება ხალხში განათლების შეტანისა და კულტურის დონის ამაღლებისაკენ.

„განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა. ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება, შემდგარი კეთილალზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყაროდ საეროთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შექმნელობისა. მას შინა სცნობს წმინდა ეკლესია ჭეშმარიტთა ძეთა, მოქალაქეთა — მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი — თავისსა ნუგეშსა“⁴.

იბადება კითხვა: რით იყო გამოწვეული დოდაშვილის, ისევე როგორც მის თანამედროვე მოაზროვნეთა განმანათლებლური იდეები, რა ასაზრდოებდა ასეთ გატაცებას ხალხის განათლებითა და კულტურის დონის ამაღლებით?

¹ საისტორიო მოამბე, 1952, № 6. გვ. 282.

² იქვე, გვ. 281.

³ ხელნაწ. H — 2226, გვ. 115.

⁴ იხ. გ. თავზიზვილი, სოლომონ დოდაშვილი. ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948 წ., გვ. 294.

როგორც დოდაშვილის, ისე მის თანამედროვე მოაზროვნეთა განმანათლებლური იდეები ნაკარნახევი იყო პატრიოტიზმით, ისინი მათი პატრიოტული სწრაფვის გამოვლენის თავისებურ ფორმას წარმოადგენდნენ, რაც კარგად გამოხატა დოდაშვილმა 1826 წელს იონასადმი მიწერილ წერილში:

„ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის... არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშავებ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნოს ივერია საშუალებითა წერილთა სარწმუნოთა“¹.

ამ დროს საქართველოში გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა აღარ იყო საჭირო, ტახტისათვის ბრძოლასაც აზრი დაეკარგა. რჩებოდა ქვეყნის შიგნით მოუწესრიგებელი საკითხების მოგვარება. ყველაზე მეტად კი სწავლა-განათლების საკითხებს ესაჭიროებოდა მოწესრიგება და იმდროინდელ გამოჩენილ მოღვაწეთა ზრუნვის საგანი ხდებოდა სწორედ ეს — ხალხის კულტურის დონის ამაღლება, სწავლა-განათლების შეტანა ფართო მასებში. აღნიშნული გარემოება საესებით სწორად ჰქონდა გაგებული დოდაშვილს, როდესაც წერდა: „აწინდელსა დროსა მამულის ჩუენისათვის დიდ ფრიად საჭირო არს სწავლა“².

მაშასადამე, პატრიოტიზმმა დოდაშვილს განმანათლებლობა უკარნახა და ის თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი განმანათლებელია, ასევე ერთ-ერთი პირველი განმანათლებელთაგანია საქართველოში, მაგრამ არა „ყველაზე უფრო ადრეული განმანათლებელი“, რადგან, როგორც ცნობილია, განმანათლებლური იდეები გააჩნდათ მის უფროს თანამედროვეებსაც: იონა ხელაშვილს, იოანე და დავით ბაგრატიონებს, გაცილებით ადრე კი — ანტონ კათალიკოსს და ს. ს. ორბელიანს.

სოლომონ დოდაშვილი საფუძველს უყრის და ნიადაგს უმზადებს თერგდალეულობას. თერგდალეულებმა ბევრი რამ მიიღეს მემკვიდრეობით ს. დოდაშვილისაგან. ამ მემკვიდრეობის მნიშვნელობა კარგად ესმოდა ი. ჰავჭავაძეს, როდესაც „დროების“ 10 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ შეკრებაზე ამბობდა:

„სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზღოს, თუმცა იმ დროსაზედ, რომელიც უფ. ს. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავის მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროსა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის სოლომონ დოდაშვილისაგან, ჯიორგი ერისთავისაგან, საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“³.

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკ. 11, გვ. 74—75. ს. დოდაშვილის წერილები, ს. ხუციშვილის რედაქციით.

2 იქვე, გვ. 111.

3 „დროება“, 1876, № 24, 7 მარტი.

საყურადღებოა აგრეთვე დოდაშვილის შეხედულება საზოგადოების კლასებად დანაწილების შესახებ. იგი ჭერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას ამჟღავნებდა უარყოფით დამოკიდებულებას საზოგადოების კლასებად დანაწილების თაობაზე. ბაგრატ ბატონიშვილის შვილებთან დამოკიდებულებაში მან გამოამჟღავნა, რომ იგი მათ არ აძლევდა არავითარ უპირატესობას, როგორც მეფეთა შთამომავლებს, რასაც უფრო გარკვევით გამოთქვამდა იონასადმი მიწერილ წერილში:

„თქვენ უწყით... რომელ სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა ერთი და იგივენი არიან, ე. ი. ერთად შესარაცხ არიან მასწავლებლისა თანა“¹.

ამრიგად, სოლომონ დოდაშვილი არაფრად მიიჩნევდა, რომ მას საქმე ჰქონდა საქართველოს მეფეთა შთამომავლებთან და მათ ისევე ექცეოდა, როგორც სხვებს. მისთვის შვილები „დიდის კაცისა და მცირისა ერთი და იგივენი... ერთად შესარაცხნი“, ე. ი. სწორუფლებიანნი იყვნენ. ამ ფრაზიდანაც შეიძლება დასკვნა, რომ სოლომონ დოდაშვილი უარყოფდა წოდებრივ პრივილეგიებს. ამ თვალსაზრისის შედეგი იყო, რომ იგი თვით ბაგრატ ბაგრატიონის გადაკიდებასაც კი არ მოერიდა, ხოლო თვით ბაგრატი იმდენად უსამართლო აღმოჩნდა, რომ იკადრა სოლომონისთვის კუთვნილ გასამრჯელოზე უარი ეთქვა.

სოლომონ დოდაშვილის პროტესტი კლასობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ გამოსჰვივის მოთხრობაშიც „ელენა“, რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. მოთხრობა ნაწილობრივ ავტობიოგრაფიული ხასიათისა უნდა იყოს, რაზეც მიგვანიშნებს მთავარი გმირის სახელი — ელენა, მის მეუღლესაც ხომ ელენა ერქვა. მოთხრობის ქარგა ასეთია: მაღალი წრიდან გამოსული ქალი მისთხოვდება დაბალი წარმოშობის ვაჟს. ქალის მამა აღწფოთებულია ამით. მოთხრობა თავდება იმით, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან უკუღმართ კლასობრივ ურთიერთობას.

დოდაშვილს პროტესტი კლასობრივ უთანასწორობათა წინააღმდეგ გამოთქმული აქვს აგრეთვე შემდეგ სიტყვებში: „არა გვართა იქმნების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად“.

მნიშვნელოვანი ადგილი ს. დოდაშვილის მემკვიდრეობაში ეთმობა მის წერილებს, რომლებიც გაუგზავნია სხვადასხვა პირებისათვის, განსაკუთრებით იონა ხელაშვილისათვის. წერილები თარიღდება 1825 წლის ივლისიდან 1832 წლის 6 თებერვლამდე. სამოცამდე წერილი შეიცავს მრავალ ბიოგრაფიულ ცნობას, ს. დოდაშვილის პეტერბურგისა და თბილისის ცხოვრების პერიოდს, ნაცნობთა წრის, მისი პედაგოგი-

¹ ხელნაწ. H 2226, გვ. 330, 1827 წლის 16 მარტის წერილი.

ური, სამეცნიერო და საეურნალო მუშაობის აღწერას, პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფაქტთა ჩამოთვლას.

სამწუხაროდ, ს. დოდაშვილის უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა შეწყდა 1832 წლის დეკემბერში, შეთქმულების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით. იგი შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად დააპატიმრეს.

მიზანი, რომელმაც დოდაშვილი შეთქმულებამდე მიიყვანა, არ იყო პრივილეგიების აღდგენა, რაც მას, როგორც წარმომობით გლეხს არ ჰქონდა. თუნდაც ჰქონოდა, დოდაშვილს ვერ წარმოვიდგენთ ისეთ პიროვნებად, რომ მისი რომელიმე ნაბიჯი პირადი კეთილდღეობისაკენ სწრაფვით ავხსნათ. შეთქმულებაში დოდაშვილის მონაწილეობას ვერც ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაციის სურვილით ავხსნით, რადგან იგი თავისი მრწამსით წინააღმდეგი იყო „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმისა“. მას საქართველოსთვის ყველაზე შესაფერ პოლიტიკურ ფორმად რესპუბლიკა მიაჩნდა.

ს. დოდაშვილი შეთქმულებამდე მიიყვანა მხოლოდ თავისი ხალხის კეთილდღეობის სურვილმა. იგი არაერთგზის აცხადებდა საგამომძიებლო კომისიის წინაშე, რომ ხშირად ურჩევდა თავადებს შეეგროვებინათ ფული და იმ ფულით გამოეცათ უურნალ-გაზეთები, შეეძინათ ბიბლიოთეკები, ღარიბი მოსწავლეები გაეგზავნათ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. ამრიგად, თუ პოლიტიკაში მას საქართველოს რესპუბლიკის შექმნის სურვილი ამოძრავებდა, მეორე მხრივ, მას ხალხის განათლების დონის ამაღლების, მისი კულტურული ტრადიციების განვითარება-გაღრმავების მიზანი ჰქონდა, რამაც იგი შეთქმულებამდე მიიყვანა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დოდაშვილი პირველი რესპუბლიკელი იყო საქართველოში. და თუ ცარიზმის დამხობა და საქართველოში რესპუბლიკის დამყარება ვერ განხორციელდებოდა, იგი მხარს დაუჭერდა სახელმწიფო მმართველობის სისტემის ძირეულ გარდაქმნებს, რასაც მოწმობს მისი ჩვენებები საგამომძიებლო კომისიის წინაშე. დოდაშვილი იმდენად თავგანწირულად მოქმედებდა ამ მიმართულებით, რომ საპატიმროს კედლებშიც კი სიცოცხლის უდიდეს საფრთხეში ჩავდებით განაგრძობდა მმართველობის მახინჯი მხარეების მხილებას.

დოდაშვილი კრიტიკას ძირითადად სასამართლოების წინააღმდეგ მიმართავდა. ის აღნიშნავდა, რომ საქმის წარმოება სასამართლოებში მეტისმეტად ჭიანჭურდება, რომ საქმეები წყდება ფორმალურად, ქაღალდზე, და რომ გადაწყვეტილი საქმეების სისრულეში მოყვანაზე არავინ ფიქრობს, რომ სასამართლოში საქმის წარმოება და, მით უმეტეს, მისი ბოლომდე მიყვანა როგორც მომჩივანს, ისე მოპასუხეს მეტისმეტად ძვირი უჯდება, რომ სასჯელი თვით მცირეოდენ დანაშაულზეც კი

დიდია და უღმრთელი. დოდაშვილის აზრით, თანამდებობაზე, სადაც ხალხთან ურთიერთობაა აუცილებელი, უნდა დაინიშნოს ისეთი პირები, რომლებიც ხალხს კარგად იცნობენ, რომლებსაც შეუძლიათ ჩასწვდნენ და გაიგონ ხალხის ჭირ-ვარამი. მხოლოდ ამას შეიძლება მოჰყვეს ხალხის მდგომარეობის ნამდვილი და არა მოჩვენებითი გაუმჯობესება.

ამრიგად, თუ თავადაზნაურობას შეთქმულებით ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა და ამით ძველი მდგომარეობის დაბრუნება სურდა, დოდაშვილი საქართველოს კეთილდღეობისათვის იბრძოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ თავად-აზნაურების ნამდვილი ზრახვები მას თავდაპირველად კარგად არ ჰქონდა გარკვეული. მან ისიც კი არ იცოდა, რომ მთავრობაში, რომლის პროექტი შეთქმულებს ადრევე ჰქონდათ შეზღუდვები, დოდაშვილი არ იყო შეყვანილი. დოდაშვილს დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა ქართველებში, განსაკუთრებით მის დაბალ ფენებში. ამიტომაც ჩაებლაუქნენ მას შეთქმულნი, რომელნიც წინააღმდეგ შემთხვევაში არ აპატიებდნენ მას „მდაბიო“ წარმოშობას. ისინი ფიქრობდნენ დოდაშვილის გავლენა გამოეყენებინათ და შემდეგ კი თავიდან მოეცილებინათ იგი. მაგრამ სანამ შეთქმულნი ჩამოიცილებდნენ მას, დოდაშვილი თვითონ ჩამოსცილდა შეთქმულთ და ზურგ აქცია მათ.

საერთოდ, დოდაშვილის დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულებასთან ორ პერიოდად უნდა გაიყოს. პირველ პერიოდში დოდაშვილი მონაწილეობს შეთქმულებაში, მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სხვა მიზნებითა და მოსაზრებებით, ვიდრე თავადაზნაურობა. მეორე ნახევარში კი დოდაშვილი უკეთ ერკვევა თავადაზნაურთა ზრახვებში. მისთვის აშკარა ხდება მათი მიზან-სწრაფვანი და ემიჯნება კიდევ მათ.

მიუხედავად ამისა, საგამომძიებლო კომისიამ მას სასჯელი არ შეუქმნა, პირიქით, იგი შეთქმულთაგან ყველაზე მეტად დაისაჯა. დოდაშვილი დააპატიმრეს 1832 წლის დეკემბერში. საქმის ძიება დიდხანს გაგრძელდა, ჯერ თბილისის კომისია მუშაობდა, შემდეგ პეტერბურგიდან ჩამოვიდა სხვა კომისია. პატიმრობაში მან წელიწადნახევარი დაყო. განაჩენი სასტიკი იყო. შეთქმულების მონაწილენი უნდა ნაწილ-ნაწილ დაეკუწათ და მოედანზე ხალხის დასანახავად დაეყარათ. შემდეგ „გულ-მოწყალე“ იმპერატორმა სასჯელი შესცვალა. პირველ კატეგორიაში ნიუხვედრილთ სამშობლოდან სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა შემდეგ ყველა დაბრუნდა უკან, გარდა დოდაშვილისა. იგი გადასახლეს ვიატკაში, სამშობლოში დაბრუნების აღკვეთით. დოდაშვილმა გადასახლებაში თან წაიყვანა ცოლ-შვილი. 1834 წლის ივლისში იგი უკვე ვიატკაშია (ახლა ქ. კიროვი), სადაც ჯერ გუბერნიის სამმართველოში მსახურობდა გადამწერად, შემდეგ კი საგუბერნიო კომიტეტში, სათემო გადასახლების მაგიდის უფროსად. ამავე კანცელარიაში მსახურობდა

შეთქმულების მეორე მონაწილე იოსებ მამაცაშვილი, რომელიც აქ იმყოფებოდა 1834 წლის თებერვლიდან. მამაცაშვილს ელირსა სამშობლოში დაბრუნება, დოდაშვილს კი ვეღარ. ვიატკაში იყო გადასახლებული და ამავე საგუბერნიო სამმართველოში მსახურობდა ალექსანდრე გერცენი. უნდა აღინიშნოს, რომ დოდაშვილი და გერცენი ერთმანეთს იცნობდნენ. მათ ერთი ხვედრი და იდეების ერთიანობა აკავშირებდათ.

ვიატკის კანცელარია, ა. გერცენის გამოთქმით, საპყრობილეზე უარესი იყო. აქ არაერთი პირობები არ იყო ადამიანის სულიერი ამაღლებისა და გონებრივი განვითარებისათვის, რაც კარგად აქვს აღწერილი მას თავის ნაწარმოებში „ნამყო და ფიქრები“. გერცენის სიტყვით, ვიატკის კანცელარიაში თავმოყრილი იყვნენ მექრთამე, ქურდი, თვალთმაქცი და გაიძვერა მოხელეები.

პატიმრობამ და გადასახლებამ საბოლოოდ შეარყია დოდაშვილის ჯანმრთელობა. ჭლეტი, რომელიც მას ადრევე ჰქონდა, ვიატკის მკაცრმა ჰავამ უფრო გაუძლიერა. მისთვის ცხოვრება ვიატკის პირობებში თანდათან აუტანელი ხდებოდა. ამიტომ მან არაერთხელ სთხოვა მთავრობას, რომ გადაეყვანათ რომელიმე თბილ გუბერნიაში, მაგრამ თხოვნაზე უარს იღებდა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს მხოლოდ 1836 წლის 19 სექტემბერს, როცა მთხოვნელი უკვე ერთი თვის გარდაცვლილი იყო. მეფის „წყალობამ“ დაიგვიანა, და შეიძლება იმიტომაც მოვიდა, რომ აღარ იყო საჭირო.



დოდაშვილის მსოფლმხედველობის გაგებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს. უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მისი მსოფლმხედველობის კვლევაში, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას ბოლო მაინც არ მოჰღებია. დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი „ლოგიკა“, „ლოგიკის მეთოდოლოგია“ და სხვა თხზულებები.

„ლოგიკა“ სოლომონმა, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლისამ დაწერა, მაგრამ ამ ნაწარმოების მიხედვით, მისი ავტორი საკმაოდ დასრულებულ, მომწიფებულ და ღრმა მოაზროვნედ წარმოგვიდგება. „ლოგიკა“, მართალია, ძირითადად ლოგიკის საკითხებს გაშუქებას ემსახურება, მაგრამ, ამავე დროს, საკმაო მასალას გვაწვდის ავტორის მსოფლმხედველობის გასაგებად.

„ლოგიკა“ დოდაშვილის მიერ ჩაფიქრებული სრული კურსის ნაწილია. მაგრამ ამ კურსის დაწერა სოლომონმა ვერ მოასწრო. „ლოგიკის“

შესავალში, რომელსაც იგი ფილოსოფიის ზოგად შესავალს უწოდებს, შემონახულია მის მიერ დასამუშავებლად განზრახული ფილოსოფიის სრული კურსის გეგმა. ამ გეგმიდან მან, „ლოგიკის“ გარდა, დაწერა „რიტორიკა“, რომელიც გეგმის მეორე ნაწილში, ესთეტიკაში უნდა შესულიყო. დაწერა აგრეთვე „ფილოსოფიურ სისტემათა მოკლე ისტორია“, რომელსაც იგი სხვაგან უწოდებდა „ფილოსოფიისა ძალნი საზღვრებითა და განყოფილებათა მისითა“. ვერ დაწერა „სხუა და სხუანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი“, რომელიც დოდაშვილის „ზნეობის ფილოსოფიას“ უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება ცნობას დოდაშვილის ექვსტომიანი ფილოსოფიის კურსის შესახებ, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ მცირე დროის განმავლობაში, რომელიც დოდაშვილს ჰქონდა, ექვსი ტომის დაწერა მოესწრო. თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ მას ჰქონოდა უფრო მცირე მოცულობის სახელმძღვანელო ფილოსოფიასა ან ფილოსოფიის ისტორიაში.

„ლოგიკის“ შესავალში დოდაშვილი ცდილობს დაადგინოს ფილოსოფიის ობიექტი, რომელიც სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებული იქნება. ასეთ ობიექტად იგი თვლის ადამიანის შინაგან სამყაროს და შემდეგ განსაზღვრავს, რომ ეს სამყარო გულისხმობს „ჩვენი აზრების, ცოდნათა და საქციელთა საკმარ მიზეზების გაგებას... ამრიგად, განყენება და განაზრება, შეცნობა და გაგება თვით ჩვენი თავისა ასეთი თვით შემეცნებით — აი, ფილოსოფიური გამოკვლევის სამი საგანი“.

შემოფარგლა რა ფილოსოფიის შესასწავლი ობიექტის ადამიანის „მე“-თი, ს. დოდაშვილი ლოგიკის ობიექტის დადგენაზე გადადის. ლოგიკის ობიექტად იგი აცხადებს „საერთოდ აზროვნების წესებს“, „გონების, ანუ მისი აზროვნების საყოველთაო და უცვლელ კანონებს“. უპირატესად მნიშვნელოვანია ის, რომ დოდაშვილმა „მე“ და მისი შინაგანი სამყარო არ მოწყვიტა მატერიალურ სამყაროს და მასთან მჭიდროდ დააკავშირა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ დოდაშვილისათვის ცოდნა არაა სუბიექტის გონებიდან ამოღებული, არამედ გარესამყაროს შეცნობის შედეგია.

დოდაშვილი ფილოსოფიას განსაზღვრავს როგორც „მეცნიერებას მთელი ჩვენი-მოქმედების უკანასკნელი საფუძვლების შესახებ“, ხოლო „მიზეზებსა“ და საფუძვლებში იგი გარესამყაროს მოვლენებს უნდა გულისხმობდეს. ამ თვალსაზრისის ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დოდაშვილი ფილოსოფიის ობიექტად აცხადებს არა მარტო შემეცნებას, არამედ „შესამეცნებელის“ კანონებსაც და ფილოსოფიის დარგად, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის გვერდით, მეტაფიზიკასაც ასახელებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტაფიზიკა ამ შემთხვევაში ნიშნავს მოძღვრებას „შესამეცნებელსა და მის კანონებზე“, მაშინ გასაგები გახდება, რომ დოდაშვილმა „მე“-ს გვერდით გარესამყაროც დააყენა და ისინი

მკიდროდ დააკავშირა. დოდაშვილს არ აკმაყოფილებს ფორმალური ლოგიკის ვიწრო ფარგლები და ცდილობს ეს ფარგლები სინამდვილეში მიიტანოს, უფრო სწორად, სინამდვილე თავისი მდიდარი შინაარსით შეიტანოს ლოგიკაში და მისი მრავალფეროვნებით შეავსოს.

საყურადღებოა ისიც, რომ დოდაშვილისათვის ფილოსოფიის, ისევე როგორც ლოგიკის, ობიექტი გამორიცხავს ყოველგვარ ზებუნებრივ ძალებს. ეს ობიექტი მხოლოდ ადამიანია, მისი მოქმედების უკანასკნელი საფუძვლები და მისივე აზროვნების კანონები. ამ აზრს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დოდაშვილმა გადაჭრით გაილაშქრა ლოგიკის შესასწავლ ობიექტად ისეთი საგნების გამოცხადების წინააღმდეგ, რომლებიც „ცდის არეს გარეშე მდებარეობენ“. თუ რატომ ილაშქრებს ფილოსოფიის ობიექტად „ცდის არეს გარეშე მდებარე საგნების“ გამოცხადების წინააღმდეგ, ამაზე თვით დოდაშვილი იძლევა პასუხს: „ეს იმას ნიშნავს, — წერს იგი, — ერთმანეთში აურიო საგნები, სრულიად განსხვავებული და დაპირისპირებულიც კი, საბაბი მისცე დუალიზმს, სკეპტიციზმს და სხვა მცდარ სისტემებს“. „ცდაში“ კი დოდაშვილი შეგრძნებას გულისხმობს. ამას ადასტურებს მის მიერ გამოთქმული მოსაზრება „ლოგიკაში“: „არაფერია გრძნობაში ისეთი, რაც ნივთიერ ბუნებაში არ იყოს. ცდა ცხადად ამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას“.

საინტერესოა, თუ როგორ ესმოდა დოდაშვილს გარესამყარო. მისთვის გარესამყარო იყო არა ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და დაცილებული ობიექტების, მოვლენების შემთხვევითი გროვა, არამედ ურთიერთობათა სისტემა, სადაც „ყველაფერი გადაბმულია მიზეზთა და შედეგთა, საშუალებათა და მიზანთა განუყრელი კავშირით“. გარესამყაროს მოვლენები, მისი აზრით, ექვემდებარებიან გარკვეულ კანონებს, „უცვლელ წესებს“, „მარადიულ კანონებს“, მაგრამ, „სამყაროს კანონების უცოდინარობა ჭერ კიდევ არ იძლევა უფლებას, უარვყოთ მათი არსებობა“.

ამრიგად, გარესამყარო ჩვენგან დამოუკიდებელია. ამ სამყაროს მოვლენები ერთმანეთთან მკიდროდ არის დაკავშირებული. ეს კავშირი ხორციელდება გარკვეულ წესებსა და კანონებში, რომელნიც, აგრეთვე ჩვენგან დამოუკიდებელნი არიან და, თუ ზოგჯერ ვერ ვამჩნევთ მათ, იმიტომ, რომ ვერ შევიცანით, ეს არ გვაძლევს უფლებას უარვყოთ მათი არსებობა.

დოდაშვილმა „მე“ დაუკავშირა გარესამყაროს, ფილოსოფია და ლოგიკა კი — ცალკეულ მეცნიერებებს. ყოველ ცალკეულ მეცნიერებას აქვს კონკრეტული ობიექტი, ანუ როგორც დოდაშვილი გამოთქვამს, „მისთვის დამახასიათებელ ცნებათა გარკვეული ოჯახი“, მაშინ, როდესაც ლოგიკა „მოსამზადებელი მეცნიერებაა ყველა დანარჩენი მეცნიერებისათვის“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ლოგიკამ დანარჩენი მეცნიერებები „ერა

სისტემაში უნდა მოიყვანოს მათი საერთო თვისებებისა და მიმართულები: მიხედვით“.

„ლოგიკაში“ დოდაშვილმა დასვა საკითხი შემეცნების თეორიის შესახებაც. კერძოდ, დასვა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ შევიცნობთ სინამდვილეს და ამ კითხვას არაორჭოფულად უპასუხა: „ჩვენ შევიცნობთ ასახვის გზით... ასახვის მეოხებით, შინაგანი მოვლენებისადმი ყურადღების მეოხებით გონება თითქოს სარკე ხდება“.

მაგრამ, როდესაც დოდაშვილმა ასახვა გამოაცხადა შემეცნების იარაღად და მხოლოდ ცდა და შეგრძნება აღიარა ერთადერთ გზად გარეშე და შინაგანი მოვლენების შესაცნობად, ეს არ ნიშნავს მის სენსუალიზტობას, რადგან დოდაშვილი თვითონ ესხმის თავს სენსუალიზმს. ამას გარდა, დოდაშვილს ეკვი არ უნდა ეპარებოდეს გარესამყაროს შემეცნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ასახვის შემოტანა შემეცნებაში, ასევე ბრძოლა ისეთი „მცდარი სისტემების“ წინააღმდეგ, როგორცაა: სკეპტიციზმი, დუალიზმი და სხვ.

დოდაშვილის ნაშრომში თავი, რომელსაც „ლოგიკის მოკლე ისტორია“ ეწოდება, ლოგიკის ისტორიის დალაგების პირველ ცდას წარმოადგენს. აქ დოდაშვილი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს არისტოტელეს, როგორც ლოგიკის ფუძემდებელს.

„ლოგიკის“ შესავალში დოდაშვილმა თავისი სიმპათიები მატერიალიზმისადმი იმით გამოხატა, რომ სოლიდარობა გამოუცხადა ბეკონს, მორწონა ბეკონისეული შემეცნების გზა, ყველაზე ბუნებრივი გზა კერძოდან ზოგადისაკენ, ანუ ბეკონისეული ინდუქცია. განსაკუთრებით იწონებდა დოდაშვილი იმას, რომ ბეკონისათვის „ადამიანის ყოველი ცოდნა მდგომარეობს გარემომცველი საგნების გამოკვლევაში“. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დოდაშვილს კარგად ჰქონდა გარკვეული თავისი პოზიცია, საიდანაც ის თავს ესხმოდა იდეალისტებს.

დოდაშვილის აზრით, გრძნობა პასიურია შემეცნების პროცესში. იგი მხოლოდ რეცეპტორული, მიმღები ძალაა, ამიტომ მას არ ძალუძს ზემოქმედება მოახდინოს იმ მასალაზე, რომელსაც გარედან იღებს. გონება, პირიქით, მოქმედი, აქტიური ძალაა. იგი თავის ბეჭედს ასეამს იმ მასალას, გარედან რომ იღებს. მას შეაქვს ერთიანობა, „პარმონია“ მოვლენათა სიმრავლეში. ამავე დროს, თუ გრძნობები მიმართული არიან „ნივთიერი“ სამყაროსადმი, გონება — უხილავი სამყაროსადმი, რომელიც იდეალურია. ეს იდეალური და უხილავი სამყარო დოდაშვილს მიაჩნია არა რაღაც მიღმურ, იმპევეყნიურ სამყაროდ, არამედ იმ ზოგადად, რომელსაც გონება იღებს გრძნობადი მასალის გადამუშავების გზით. ამავე დროს, დოდაშვილის აზრით, შეუძლებელია ამ ორი მხარის გათიშვა, რადგან გრძნობადი მასალის დაუსრულებელ მრავალფეროვანებას ესა-

კირობა გავრთიანება და გონების გამაერთიანებელ უნარს კი — მასა-
ლა ამ გამაერთიანებელი მოქმედებისათვის.

საინტერესოა და უაღრესად დამახასიათებელი დოდაშვილის მსოფლ-
მხედველობისათვის, რომ მან ღვთაებას არ დაუთმო არავითარი ადგილი
ფილოსოფიური დისციპლინების შესასწავლ ობიექტთა შორის.

„ლოგიკაში“ უხვადაა ადგილები, სადაც დოდაშვილის აზროვნების
დიალექტიკურობა ვლინდება. ეს განსაკუთრებით აზროვნების ფორმე-
ბისა და კანონების ტრიალული პრინციპით განხილვაზე ითქმის. დოდა-
შვილი შემეცნების პროცესში ამჩნევს ტრიალულობას და ასხვავებს შემე-
მეცნებელ სუბიექტს, ობიექტსა და მათ კავშირს. ასევე ტრიალული მე-
თოდით განხილავს დოდაშვილი აზროვნების კანონებს, მსჯელობას,
მსჯელობის რაოდენობრიობას, თვისებრიობასა და მიმართებას. შემეც-
ნების პროცესის, აზროვნების კანონების, მსჯელობის ტრიალული წესით
განხილვისას მას დიალექტიკური აზროვნების ელემენტები შეჰქონდა
ფორმალურ ლოგიკაში. ეს ხერხი ფორმალური ლოგიკის დიალექტიკური
აზროვნების საფუძველზე აგების თავისებურ ცდას წარმოადგენდა.

დოდაშვილმა ორიგინალობა გამოიჩინა ლოგიკის დალაგებაშიც. რო-
გორც უკვე აღვნიშნეთ, მას მსჯელობა ჩვენი გონების მოქმედების პირ-
ველ აქტად მიაჩნდა და ამიტომ მსჯელობა ცნებაზე წინ მოათავსა. მისი
აზრით, ცნებიდან კი არ წარმოიშობა მსჯელობა, არამედ „უოველი მსჯე-
ლობა გადადის ცნებაში. მაშასადამე, ცნება არათუ თავდაპირველად არ
უსწრებს მსჯელობას, არამედ, პირიქით უნდა ითქვას, რომ იგი მსჯელო-
ბის შედეგი და ნაყოფია“.

შემეცნების პროცესის ამ გაგებიდან გამომდინარეობს აგრეთვე
ცნების ის თავისებური განსაზღვრება, რომელსაც დოდაშვილი გვაქ-
ლევს: „ცნება არის შემოკლებული მსჯელობა“. ამრიგად, მსჯელობა მი-
ზეზად იქცევა, ცნება კი — შედეგად.

დოდაშვილის შემეცნების თეორიისა და მსოფლმხედველობის დასა-
ხასიათებლად უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ მან ცნება გონების
მაბასტრაპირებელი მოქმედების პროდუქტად მიიჩნია, თუმცა მან ცნება
არ მოწყვიტა ნივთთაგან. მაგრამ მის „ლოგიკაში“ შეიმჩნევა კანტის იდე-
ალისტური მსოფლმხედველობის გავლენის კვალიც. დოდაშვილი, ერ-
თი მხრივ, შესაძლებლად თვლიდა სამყაროს ობიექტური კანონების არ-
სებობას, რომლებიც შეგრძნებებით აისახებიან გონებაში. მეორე მხრივ,
იგი უშვებდა წმინდა გონებისეული კანონების არსებობას, რომლებიც
ობიექტურ სამყაროში კი არ არიან, არამედ ადამიანის გონებაში წარ-
მოიშობიან, და შემდეგ გონებისავე საშუალებით, ძალით თავს ეხვევიან
სინამდვილეს მასში წესრიგის შეტანის მიზნით. მართალია, დოდაშვილ-
მა ფილოსოფიასა და ლოგიკაში ფართოდ გაუღო კარი სინამდვილეს,

მოთხოვა მეცნიერებათა გამდიდრება ობიექტური სინამდვილის შინა-
არსით, მაგრამ აქვე გამოთქვა ამის საწინააღმდეგო აზრი:

„განყენება და განაზრება, შეცნობა და გაგება თვით ჩვენი თავისა,
დაკმაყოფილება თავისი თავისა ასეთი თვითშემეცნებით — აი, ფი-
ლოსოფიური გამოკვლევის სამი საგანი“.

„ლოგიკის“ შემდეგ დოდაშვილს დაუწერია „ლოგიკის მეთოდო-
ლოგია“, რომლის არსებობა დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ აქამდე არ
გამოქვეყნებულა და არც სერიოზული შესწავლის ობიექტი გამხდარა.
მის შესწავლას ხელს უშლიდა წინასწარ შემუშავებული აზრი, რომ
„ლოგიკის მეთოდოლოგია“ არ წარმოადგენს დასაწყისს ან მონახაზს
ახალი დამოუკიდებელი ნაშრომისა“. 1827 წელს დოდაშვილის მიერ
რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ „ლოგიკას“ ჰქონდა მინაწერი „და-
სასრული ლოგიკისა“, საიდანაც კეთდებოდა დასკვნა, რომ „ლოგიკა“
დასრულებულია და ამიტომ „ლოგიკის მეთოდოლოგია“ არ შეიძლება
მის შემდეგ იყოს დაწერილი. იგულისხმებოდა, რომ იგი დაწერილი
იყო „ლოგიკის“ გამოქვეყნების დროისათვის, და რომ დოდაშვილმა არ
გამოაქვეყნა იმიტომ, რომ „ლოგიკის მეთოდოლოგიაში“ განხილუ-
ლი საკითხები „ლოგიკაში“ შეიტანა.

ჩვენი აზრით, ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთისაგან სრულიად და-
მოუკიდებელი ნაწარმოებია. ამას მოწმობს მათი განსხვავებული სა-
თაურებიც. დოდაშვილს მოცემული აქვს ამ ორი მეცნიერების განსა-
ზღვრებაც, საიდანაც კიდევ უფრო ნათელი ხდება მათ შორის არსებუ-
ლი განსხვავება. დოდაშვილის აზრით, ლოგიკა შეისწავლის აზროვნე-
ბის კანონებს, ლოგიკის მეთოდოლოგია კი მიისწრაფვის ისეთი მე-
თოდებისა და ხერხების გამომუშავებისაკენ, რაც საჭიროა შემეცნების
სრულყოფის, ანუ შემეცნების საზღვრების გაფართოებისა და, მაშასა-
დამე, ლოგიკის პრაქტიკული გამოყენებისათვის. ერთი სიტყვით, ერ-
თი ლოგიკის მეცნიერება, მეორე კი — ამ მეცნიერების მეთოდოლოგია,
მეცნიერება მისი პრაქტიკული გამოყენების შესახებ. ამ ორი მეცნიე-
რების განსაზღვრებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ „ლოგიკის
მეთოდოლოგია“ „ლოგიკის“ შემდეგ არის დაწერილი, რადგან ამა თუ
იმ მეცნიერების მეთოდოლოგია შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, როდესაც არსებობს თვით მეცნიერება.

ამრიგად, ლოგიკა განსხვავებულია ლოგიკის მეთოდოლოგიისაგან,
განსხვავებული უნდა იყოს ამ სახელწოდებათა მატარებელი ტრაქტა-
ტებიც. ეს დებულება განსაკუთრებით ნათლად დასტურდება ამ ორი
ნაწარმოების შინაარსების შედარებისას. „ლოგიკაში“ აზროვნების
ფორმები და კანონები, ცნებათა განსაზღვრება და დაყოფა, დასაბუთე-
ბა და სხვა საკითხები ავტორს აინტერესებს თავისთავად, მაშინ როდეს-
აც „ლოგიკის მეთოდოლოგიაში“ იგივე საკითხები აინტერესებს შე-

შეცნების სრულყოფასთან დაკავშირებით. ასეთი მდგომარეობაა განსაზღვრების, ცნებათა დაყოფისა და სხვა საკითხების განხილვისას. გარდა ამისა, „ლოგიკის მეთოდოლოგიაში“ ავტორს შეტანილი აქვს ისეთი მასალა, რაც არაა „ლოგიკაში“. კერძოდ, ცნებათა დანაწევრება განხილულია თვისებრიობის, რიცხობრიობის, მოდლობისა და დამოკიდებულების შიხედით. დასაბუთების საკითხის განხილვისას დოდაშვილს შემოაქვს სინთეტიკური და ანალიტიკური, მარტივი და რთული დასაბუთების სახეები. ასევე, სრულიად განსხვავებულია ამ ორ ნაშრომში განხილული დანარჩენი საკითხები.

„შემეცნების სრულყოფა“, — მსჯელობს დოდაშვილი, — არის ყველა დანარჩენი შემეცნების მიზანი, ამიტომ არ შეიძლება „ლოგიკის მეთოდოლოგიის“ მოწყვეტა სხვა მეცნიერებებისაგან. ცოდნის სრულყოფას კი დოდაშვილი განიხილავს რაოდენობის, თვისებრიობის და დამოკიდებულების თვალსაზრისით. რაოდენობის თვალსაზრისით დოდაშვილი ასხვავებს ცოდნის ექსტენსიურ და ინტენსიურ მხარეებს. პირველში ის გულისხმობს ჩვენი ცოდნის სიფართოვეს, ე. ი. იმას, თუ რა რაოდენობის საგნებს მოიცავს იგი, ინტენსიობაში, — დასკვნის რაოდენობას. „ლოგიკურად სრულყოფილი“ ცოდნის თვისებრიობად მას მიაჩნია სინათლე და საფუძვლიანობა, რასაც უპირისპირებს ცოდნის ზედაპირულობას, ბუნდოვანებასა და უსაფუძვლოებას. დოდაშვილი წინააღმდეგია ასეთი ბუნდოვანი ცოდნის, ანუ ცრუცოდნისა. ნათელი შემეცნების უმაღლეს საფეხურად მას მიაჩნია განსაზღვრება, რომელსაც უპირისპირდება აღწერა და გადმოცემა. „ლოგიკურად სრულყოფილი“ ცოდნის დამოკიდებულების მხარეში დოდაშვილი გულისხმობს ცოდნის ქეშმარიტებას. მისი აზრით, ლოგიკური ქეშმარიტება ნიშნავს ნააზრევის შეთანხმებას ჩვენი გონების კანონებთან, ნივთიერი ქეშმარიტება კი — საგნებთან, ანუ ობიექტურ სინამდვილესთან. აქედან გამომჟღავნებს დოდაშვილს დასკვნა ორი კრიტერიუმის შესახებ. ქეშმარიტ ცოდნას ის უპირისპირებს დარწმუნებულობას, რწმენასა და ვარაუდს. სამივე შემთხვევაში ქეშმარიტად არის მიჩნეული ის, რაც არაა ქეშმარიტება, ან რასაც ქეშმარიტებისათვის საკმარისი საფუძველი არა აქვს, რადგან სინამდვილესთან შეთანხმებული არ არის.

თავში, რომელსაც ეწოდება „გამოყენებითი ლოგიკა“, დოდაშვილი განიხილავს ცოდნის არასრულყოფილებას ანუ შეზღუდულობას. წინა თავებში კი ეხებოდა ცოდნის სრულყოფილებას. ცოდნის შეზღუდულობას ავტორი ხსნის ადამიანთა უნარის შეზღუდულობით. მისი აზრით, გამოყენებითმა ლოგიკამ უნდა გვიჩვენოს ადამიანის უნარის ეს შეზღუდულობა, აგრეთვე ის გზები და საშუალებანი, რომლითაც შეიძლება დაძლეულ იქნეს იგი. ამ მიზნით ლოგიკის მეთოდოლოგიამ უნდა შეისწავლოს შეცდომათა წარმოშობის წყაროები, რაც ჩვენს ცოდ-

ნას არასრულყოფილს, არასრულფასოვანსა ხდის. თუ დაძლეულ იქნება ჩვენი ცოდნის არასრულყოფილების წყაროები, მაშინ გადაილახება ჩვენი ცოდნის არასრულყოფილებაც.

შემეცნების შეზღუდულობას დოდაშვილი განიხილავს რაოდენობის, თვისებრიობის, მოდლობისა და დამოკიდებულების მიხედვით, ისევე როგორც დასაწყისში განიხილავდა ცოდნის სრულყოფილებას. რაოდენობის მხრივ ცოდნის შეზღუდულობა მდგომარეობს უცოდინარობაში, თვისებრიობის თვალსაზრისით — სიბნელეში, არასიზუსტესა და დაუსაბუთებლობაში, დამოკიდებულების მხრივ — შეცდომაში, ანუ არაჭეშმარიტებაში და, მოდლობის მხრივ — უსაფუძვლობასა და არანამდვილობაში. დოდაშვილს საჭიროდ მიაჩნდა ცოდნის შეზღუდულობის დაძლევა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დოდაშვილს, თუმცა ადამიანის უნარი განსაზღვრულად აქვს წარმოდგენილი, ეჭვი არ ეპარება სამყაროს შეცნობადობაში. კიდევ მეტი, იგი იბრძვის ადამიანის უნარის გაფართოებისათვის, ეძებს საამისო გზებსა და საშუალებებს.

„ლოგიკის მეთოდოლოგიაში“ დიალექტიკის მომენტებიც არის მოცემული, რითაც დოდაშვილი თავისი დროისათვის პროგრესულ და მოწინავე მოაზროვნედ წარმოგვიდგება. დიალექტიკურ მომენტებად უნდა ჩაითვალოს დოდაშვილის სწრაფვა ლოგიკის სხვა მეცნიერებებსა და სინამდვილესთან დაახლოებისაკენ. მისი მოთხოვნაა, შევთანხმოთ ჩვენი ცოდნა არა მხოლოდ აზროვნების კანონებთან, არამედ სინამდვილესთანაც, საიდანაც გამომდინარეობს ცოდნის სისწორისა და ჭეშმარიტების გადაქცევა ერთი და იმავე შემეცნების ორ განუშორებელ კომპონენტად.

დოდაშვილის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი „რიტორიკა“, სადაც მას მრავალი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხებზე. დოდაშვილისათვის რიტორიკა არის მეცნიერება ხელოვნების კანონების შესახებ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ესაა ხელოვნების აეორია. რიტორიკის მიზნად დოდაშვილი „შუენიერ-სიტყუაობას“ აცხადებს. „შუენიერ-სიტყუაობა“ დოდაშვილისათვის არის არა მხოლოდ ლამაზი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება, არამედ აზრის გადმოცემა მოკლედ, ნათლად, „აღსაწერი სავნის“, ანუ ობიექტის შესაბამისად. ამგვარად, დოდაშვილისათვის ხელოვნებაში მთავარია არა ფორმა, არამედ შინაარსი, შინაარსი კი ობიექტით, ობიექტური სინამდვილით არის ვანჭირობებული. რაც უფრო მეტად შეესატყვისება ნაწერსა თუ ნათქვამში ასახული შინაარსი ობიექტურ სინამდვილეს, მით უფრო ნათელი და ცხადი იქნება ფორმა. ესე იგი, დოდაშვილის აზრით, ობიექტური სინამდვილე განაპირობებს ნაწარმოების შინაარსს, შინაარსი — კი — ნაწარმოების ფორმას. ასეთია დასკვნა, რომელიც პროზის დოდაშვილისეუ-

ლი გაგებიდან გამომდინარეობს. ეს დასკვნა კი დოდაშვილს ხელოვნებაში რეალიზმის დამცველად წარმოგვიდგენს.

დოდაშვილის შეხედულებით, მხატვრულ ნაწარმოებში „ჰაზრს“, ე. ი. იდეას უნდა დაუკავშირდეს გრძნობა. არ კმარა ნაწარმოების მხოლოდ იდეური გამართულობა, თუ იგი ისეთი ფორმით არაა მოცემული, რომ მკითხველის გრძნობების ამოქმედება გამოიწვიოს. მხოლოდ ის ნაწარმოები აღწევს მიზანს, სადაც იდეური სიღრმე ლამაზ ფორმაშია გახვეული. დოდაშვილი ამ შემთხვევაში შინაარსისა და ფორმის დიალექტიკური ერთიანობის მომხრეა.

დოდაშვილი ამტკიცებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მიზანდასახულობა. თეორიული მიზანდასახულობაა „განჰსწავლა ქეშმარიტისა“, ე. ი. ადამიანისათვის ქეშმარიტების სწავლება, რაშიც სინამდვილის სწორი შემეცნებაც იგულისხმება. პრაქტიკულ მიზნად ხელოვნებისა დოდაშვილს მიაჩნია „აღძვრა კეთილისადმი“. ამ თეორიული და პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად ხელოვანი იყენებს „შუენიერს“, ანუ მშვენიერ ფორმებს. ამრიგად, დოდაშვილისათვის მხატვრული პროზის მიზანი ყოფილა არა თავისთავად მშვენიერი ფორმები, არამედ მშვენიერ ფორმაში გამოხატული იდეური და აზრობრივი სისრულე და სიღრმე. როგორც ვხედავთ, დოდაშვილი არ წყვეტს ხელოვნებას სინამდვილეს, პრაქტიკას, ადამიანებს. იგი ხელოვნებისაგან მოითხოვს სინამდვილეზე და ადამიანებზე ზემოქმედებას და, ამრიგად, მისთვის ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული მხარე განუყოფელია.

თავში, რომელსაც ეწოდება „შესაწევნელი სწავლანი რიტორიკისა“ დოდაშვილი აღნიშნავს, რომ შემოქმედისათვის აუცილებელია განათლება, რომ უკეთ ჩასწვდეს თავისი შემოქმედების ობიექტს. მაგრამ ხელოვანისათვის არ კმარა განსწავლულობა, მას უნდა ამშვენებდეს „სიყვარული ქეშმარიტებისა და სათნოებისა“. მაგრამ არც ეს კმარა. ხელოვანს უნდა ჰქონდეს აგრეთვე „ბუნებთნი ნიჭნი“. ამრიგად, შემოქმედს ესაჭიროება როგორც „მოპოვებული ღირსებანი“, ისე ბუნებრივი მონაცემები. როგორც ვხედავთ, დოდაშვილი ერთმანეთს არ აცილებს განსწავლულობასა და ბუნებრივ მონაცემებს. ამ ორ მხარეს ის დიალექტიკურ მთლიანობაში განიხილავს.

თავში „განსხუება რიტორიკისა და პიტიკისა“ დოდაშვილი ეხება რიტორიკისა და პოეტიკის, აგრეთვე ამის პარალელურად, პროზისა და პოეზიის განსხვავების საკითხებს. მისი აზრით, პროზისა და პროზაიკოსის ყურადღების ობიექტს ადამიანის გონებაზე ზემოქმედება წარმოადგენს. პოეტი და პოეზია კი ადამიანის გრძნობებზე ზემოქმედებს და მშვენიერი ფორმების გამოყენებით ადამიანთა სიამოვნებას ისახავს

მიზნად. როგორც ვხედავთ, დოდაშვილმა პოეზია და პროზა ადამიანის სამსახურში ჩააყენა, პროზას ადამიანის განათლება დაუსახა მიზნად, პოეზიას კი — ადამიანის სიამოვნება. საერთოდ, მას დაუშვებლად მი-აჩნია საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ხელოვნება, ანუ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. დოდაშვილის აზრით, სარგებლობა, რომელიც ხელოვნებას მოაქვს, ჭარბობს მეცნიერებისაგან მიღებულ სარგებლობას, რადგან ხელოვნება არა მხოლოდ აფართოებს ადამიანის ჰორი-ზონტს, არამედ ჩვენი წარმოდგენისა და ფანტაზიის გაცხოველებასაც იწვევს.

თავში — „მოკლე ისტორია რიტორიკისა“ დოდაშვილი ეხება რიტო-რიკის განვითარების საფეხურებს. მისი აზრით, რიტორიკა თავდაპირ-ველად წარმოადგენდა პოლიტიკური მქვერმეტყველების ხელოვნებას. მხოლოდ მეორე საფეხურზე იქცა იგი „ქსწავლად“, პროზის მეცნიერე-ბად, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პროზის თეორიად. ამ თეორიას კი ორი ნაწილი გააჩნია: თეორიული და პრაქტიკული. პირველი და-ადგენს ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის ზოგად კანონებს, მე-ორე კი შეისწავლის რა მხატვრულ ნაწარმოებთა კონკრეტულ სახეებს, მასალას აწვდის თეორიულ ნაწილს განზოგადებისათვის ყველა სახის მხატვრული ნაწარმოებების კანონების დასადგენად.

თავში — „თეორეტიკებრთა ჭეშმარიტებათათვის“ — დოდაშვილი გან-მარტავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს შემოქმედმა საგნის ნათელყო-ფას, მკითხველამდე თუ მსმენელამდე დაყვანას. ამისათვის კი ის აუ-ცილებლად თვლის საგნის განსაზღვრებას, მისი არსებითი და შემ-თხვევითი ნიშნების განსხვავებას, ანალოგიებისა და მაგალითების გა-მოყენებას, შეცდომების აღმოჩენას და ა. შ. დოდაშვილის აზრით, თე-ორიული დებულებების სისწორე უნდა დაადასტუროს საკუთარმა და საზოგადო გამოცდილებამ და, ბოლოს, იმ სარგებლობამ, რომელიც მას მოსდევს შედეგად. თუ თეორია გამოცდილებით მტკიცდება, თუ მას სარგებლობა მოაქვს, ის ჭეშმარიტი ყოფილა და პირიქით. აქ ყუ-რადღებას იქცევს, ერთი მხრივ, ის, რომ დოდაშვილს აუცილებლად მიაჩნია თეორიული დებულების პრაქტიკაში გამოყენება და, მეორე მხრივ, სინამდვილესთან მისი შეთანხმება.

დოდაშვილი განსაკუთრებით ჩერდება იმ სარგებლობაზე, რომელიც მხატვრულ სიტყვას მოაქვს. მხატვრული სიტყვა, მისი აზრით, გააც-ნობს ადამიანს კეთილსა და ბოროტს, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს, შე-აყვარებს პირველს და შეაძულებს მეორეს.

„რიტორიკის“ ბოლოს დოდაშვილი ეხება ფრაზის გასაგებად გად-მოცემის საშუალებებს. აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის სა-შუალებათა შორის დოდაშვილი, პირველ ყოვლისა, ასახელებს ენის სიმარტივეს და სიწმინდეს. ეს უკანასკნელი მის მიერ განმარტებულია,

როგორც უცნობი, ბუნდოვანი და ძნელად გასაგები სიტყვების უკუგდება. მთელი „რიტორიკის“ მანძილზე და, განსაკუთრებით მის ბოლოს, დოდაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადმოცემის სიმოკლეს, სიტყვის ეკონომიას, ლაკონურობას. საერთოდ, მას სძულს მრავალსიტყვაობა; უსაგნო ლაპარაკი. ამას გარდა, დიდ ყურადღებას აქცევს ის „ფრაზის სიციხველეს“, ე. ი. ისეთ გადმოცემას, რომელიც ადამიანის გრძნობებზე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. ამისათვის კი საჭიროა არა მხოლოდ ფრაზის სიმოკლე, არამედ კეთილზმოვანებაც, რისთვისაც ურჩევს მკითხველს ტროპების გამოყენებას. დოდაშვილი ამის შემდეგ ვრცლად აანალიზებს ტროპთა სახეებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დოდაშვილის შეხედულებები რეალისტურია. იგი ამ მხრივ პროგრესული მოაზროვნე იყო და ბევრად წინ უსწრებდა თანამედროვეობას:

ფართო იყო დოდაშვილის მოღვაწეობის ასპარეზი. მას ეთნოგრაფიაშიც კი უცდია მუშაობა. ამის შესახებ მასალას გვაწვდის ისევ მისი ჩვენებები საგამომძიებლო კომისიის წინაშე: „ბიბლიოთეკარ კოტოვის დავალებით ვაგროვებდი ცნობებს სოფლად არსებულ ზნეჩვეულებათა შესახებ, საქართველოს სხვადასხვა სიძველეებზე და ერეკლეს ნეფობაში მომხდარი ამბების შესახებ კოტოვის მიერ გამოცემული აღმანახისათვის. ვაგროვებდი აგრეთვე ცნობებს ეკლესიებისა და მონასტრების შესახებ, ვეკითხებოდი მღვდელ ეფრემ ალექსიევს ზოგიერთ სხვა რამეზეც. ყველა კითხვა არ მახსოვს, რადგან 200-მდე იყო“¹.

მიუხედავად უაღრესად გადატვირთულობისა, დოდაშვილი არ ივიწყებდა ახალგაზრდობას, მისი განათლებისა და კეთილდღეობის საქმეს. იგი დიდად ზრუნავდა ნიჭიერი, ღარიბი ახალგაზრდობის გაგზავნაზე რუსეთში იქ უმაღლესი განათლების მისაღებად, საქართველოში სტამბების, ბიბლიოთეკების გამრავლებაზე. ერთ-ერთ ჩვენებაში საგამომძიებლო კომისიის წინაშე დოდაშვილი წერდა:

„სხდომაზე მე შევიტანე წინადადება, შეგვეგროვებინა შეწირულება და ამ ფულით გვეყიდა ბიბლიოთეკა, სტამბა, დახმარებოდა გინანაზიის ღარიბ მოსწავლეებს. წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები მოწაფე მაჩაბლოვსა და ვთხოვე თავადებს, ეგების როგორმე იმდენი შეგვეყრიბა, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა“².

დოდაშვილს არ გამოორჩენია მხედველობიდან, რომ როგორც ახალგაზრდა თაობის, ისე ერის აღმავლობისათვის აუცილებელი იყო ქურნალ-გაზეთების გამრავლება-გავრცელება. მან ამ მიმართულებით ბევ-

¹ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 177.

² ამის შეს. იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, გვ. 428, იხ. აგრეთვე ცხსა ფ. 1457, რე. 3—10, გვ. 1125.

რი გააკეთა, მაგრამ არ სჯერდებოდა მიღწეულს, ამ მიზნით იგი ცდილობდა გამოეყენებინა ქართველი თავადაზნაურობა, მათი უფლებები და ეკონომიური შესაძლებლობანი. იგი მათ ტენდენციებს და მიზანსწრაფვებს მოხერხებულად აძლევდა ერის საკეთილდღეო მიმართულებას. ამის შესახებ უხვად არის ჩვენებები საგამომძიებლო კომისიის სსდომის ოქმებში, სადაც უაღრესად რელიეფურად იკვეთება სამშობლოს წინსვლისათვის თავდადებული პორტრეტი დოდაშვილისა.

მიუხედავად იმისა, რომ ს. დოდაშვილი უკვე საკმაოდ პოპულარული იყო და ხალხის ფართო მასების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, მას განუწყვეტლივ თან სდევდა სულიერი მარტოობისა და ობლობის გრძობა, რის შესახებაც იგი წერდა იონა ხელაშვილს: „მე მარადის ვმეცადინებო მიწდომისათვის საგნისა ჩემისა, გარნა ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობას მამულისასა. მხოლოდ თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად. არც ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითთა, არა ზოყუარე არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შერევენულად მდგომარეობენ. მზად არიან ვნებისათვის რომლისამე პირისა და უზადრუკებისათვის და სხვათა“.

აი, კიდევ ერთი ამონაწერი დოდაშვილის წერილებიდან, რაც მის სულიერ მარტოობაზე მეტყველებს: „მე გახლავარ ესე ვითარსა სიმგრგუალებსა შინა საზოგადოებისასა, სადაცა ვერა რაისა ღირსებასა ვერა ვიხილავ. არა არს მათსა სულსა შინა ქეშმარიტება, არამედ დანერგულ არს ყოველი ვნება. არა არს მათ შორის მიდრეკა სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა. არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულილი და მტერობა. რაი ვჰყო მუნ, სადაც ვერ მომიძებნია არა რაი ღონე და საშვალობა“.

როგორც ვხედავთ, დოდაშვილის სულიერი ობლობა გამოწვეული იყო იმით, რომ იგი არა მხოლოდ გონებრივად, ზნეობრივადაც ძალდა იტგა თავის თანამედროვეებზე. მას განსაკუთრებით ეს აწუხებდა, რომ მის თანამემამულეებს ყველას არ სტკიოდა გული სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის, რომ უმრავლესობას უფრო ვიწრო, პირადი ინტერესები ამოძრავებდა, ვიდრე საერთო, საზოგადოებრივი, ან ქეშმარიტების სიყვარული.

სულიერ სიმშვიდეს იგი ვერც პედაგოგიურ მოღვაწეობაში პოულობდა, რადგან ქართველ თავადაზნაურთა შთამომავალნი ნაკლებ ზრუნავდნენ ცოდნის შეძენასა და ზნეობის ამალგებაზე. ამის შესახებ იგი ისევე თავის სულიერ მამას იონას შესჩიოდა: „მოწაფეთა ჩემთა არა აქუსთ მიდრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ცნობისადმი სურვილისა (ნებისა) და განვითარებისადმი გრძნობისა (გულისა). არა შესაძლებელ არს კაცი მყოფი სიმგრგუალებსა შინა ესე ვითართა ერთასა, სადაცა

არა იხილვების არცა განათლებულნი, არცა ღონენი ანუ საშუალობანი მისნი და სადაცა არა ისმის სათნოებანი. კაცი ესე ვითარი შესაბრალებელ არს, რომელიც ეკუთვების მაღალსა რაისამე და არა კპოებს ღონესა და დროსა ადგილსა შინა“.

ეს სევდა ბართაშვილისას მოგვაგონებს. ბართაშვილსაც ხომ განუწყვეტილვ სდევდა სულიერი მარტოობისა და ობლობის გრძნობა.

როგორც ვხედავთ, უარესად ტრაგიკული იყო ხვედრი ს. დოდაშვილისა—ამ უდიდესი ქართველი განმანათლებლისა, დიდი პატრიოტისა, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწისა. მისი უკანასკნელი სურვილიც—დაკრძალული ყოფილიყო სამშობლოში თუ არა, მის მან-ლობლად მაინც, განუხორციელებელი დარჩა.

სამაგიეროდ უნაყოფოდ არ დარჩა ის ნერგი, რომელიც დოდაშვილმა დარგო. დოდაშვილის სამშობლო დადგა სწავლა-განათლების, აღორძინების მყარ ნიადაგზე. იგი ამ მხრივ ევროპის არც ერთ ქვეყანას არ ჩამორჩება, ზოგს უსწრებს კიდევც. საქართველო დაიქსელა ურიცხვი სასწავლებლების ქსელით, ბიბლიოთეკებით, გამოცემლობებით, გამოდის მრავალრიცხოვანი ჟურნალ-გაზეთები, ათასობით ახალგაზრდა იღებს განათლებას უმაღლეს სასწავლებლებში. ამრიგად, ხორცი შეისწესეს იმ იდეებმა, რაზეც ოცნებობდა დოდაშვილი და რასაც შესწირა მან თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე.

ას ოთხმოცდათხუთმეტი წელი გავიდა დოდაშვილის დაბადებიდან, ას სამოცდაოთხი—მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ მის ნამოღვაწარს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მისი შრომები ახლაც იწვევს მკითხველის აღტაცებას აზრის სიღრმით, გადმოცემის სიმარტივით, ენის ლაკონურობითა და უბრალოებით, განსაზღვრებათა სინათლითა და ამომწურაობით, დასრულებულობითა და სიზუსტით. დოდაშვილის ნაზრევი გაიგო და დააფასა ჩვენმა ეპოქამ. დოდაშვილის მგზნებარე პატრიოტიზმი, გაბედული და ღრმა აზროვნება, ხალხის უანგარო სამსახური ღრმა პატივისცემას იმსახურებს. მაღლიერი შთამომავლობა არ ივიწყებს ერისათვის თავდადებული გმირის სახელს და დიდების გვირგვინით მოსავეს ადამიანს, ვინც იღვწოდა და შეეწირა ერის კეთილდღეობის საქმეს, ვინც სიცოცხლე მიიტანა ერის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე.



ორიოდე სიტყვა წინამდებარე გამოცემაზე. იგი შეიცავს დოდაშვილის თხზულებებს, შესავალ წერილს დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, საბრძოლო მასალებს, პირთა და ავტორთა საძიებლებს და ბიბლიოგრაფიულ ცნობარს. დოდაშვილის თხზულებათა პირველი გამოცემა განხორციელდა 1961 წელს. წინამდებარე გამოცემა არ

იმეორებს პირველ გამოცემას და მისგან განსხვავებულ მრავალ სიან-
ლეს შეიცავს. ამ გამოცემას თან ერთვის ახალი საარქივო მასალები დო-
დაშვილის პეტერბურგში სწავლების პერიოდიდან და აგრეთვე გადა-
სახლებაში ყოფნის დროიდან. ზოგიერთ მათგანს ახლა შევეხებით.

ცნობილი იყო, რომ დოდაშვილი 1824 წელს ჩაირიცხა პეტერბურ-
გის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად, მაგრამ არ იყო გამორ-
კვეული ბოლომდე — თავისუფალ მსმენელად დარჩა, თუ გადაყვანილ
იქნა რომელიმე ფაკულტეტზე „ნამდვილ სტუდენტად“.

დოდაშვილის ისეთი დაკვირვებული მკვლევარი, როგორც განსვენ-
ებული პროფ. მ. გოცაძე იყო, აღნიშნავდა: „მართალია, დოდაშვილი
ერთ თავის პირად ბარათს ხელს აწერს როგორც „დეისტვიტელნი სტუ-
დენტი“, მაგრამ ეს შეცდომაა“¹. ქ. ლენინგრადის სახელმწიფო ისტორი-
ულ არქივში ჩვენ მივაკვლიეთ ცნობას, რომლის მიხედვით დოდაშვილი
1826 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტია და
თანაც სწავლობს სახელმწიფო ხარჯზე (ე. წ. „კაზიონოკოშტნი“ სტუ-
დენტი). დოდაშვილის გადაყვანა ნამდვილ სტუდენტად და თანაც სა-
ხელმწიფო ხარჯზე, ადასტურებს იმას, რომ პეტერბურგშიც თავი გა-
მოიჩინა როგორც შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ახალგაზრდამ. თუ გა-
ვითვალისწინებთ იმას, რომ სტუდენტები მაშინ სწავლაში ძალიან დიდ
თანხას იხდიდნენ (დაახლოებით, 800 მანეთს ვერცხლის ფულით წე-
ლიწადში), მაშინ გასაგები გახდება, თუ რაოდენ დიდ დათმობაზე წა-
სულა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დოდაშვილის მიმართ.

იგივე პროფ. მ. გოცაძე წერდა: „დღეს ჩვენში არც ამ საკითხზეა
ნათელი წარმოდგენა. ურთგან იგი ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუ-
დენტად ცხადდება, მეორე ადგილას — ფილოსოფიურ-იურიდიული
ფაკულტეტისა და სხვაგან ისტორიის ფაკულტეტისა, მაგრამ იგი ნამ-
დვილად ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი იყო“².

ჩვენ მიერ ახლახანს მიკვლეული მასალები კი უტყუარად ადასტუ-
რებს, რომ დოდაშვილი იყო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. ეს
დასტურდება თუნდაც დოდაშვილის მიერ ჩასაბარებელი თუ ჩაბარე-
ბული საგნების სიით, რაც მთლიანად იურიდიული ხასიათისაა, აგრეთ-
ვე სტუდენტთა სიით, რომელიც დასათაურებელია როგორც იურიდი-
ული ფაკულტეტის იმ სტუდენტთა სია, რომლებიც იმყოფებიან სახელ-
მწიფო ხარჯზე³. იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა
სულ 122 სტუდენტი: ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 18, ფილოსო-

¹ მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბილისი, 1955 წ., გვ. 45.

² იქვე.

³ ГИАЛ (областной), фонд 14, оп. 3, т. 4, дело 13936, стр. 123.

ფიურ-იურიდიულზე — 33, ფილოლოგიურზე — 37, თავისუფალი მსმენელიც 34 იყო.

როგორც ცნობილია, 1834 წლის 24 აგვისტოს დოდაშვილი გაუქმნეს შორეული ვიატკის გზას. მასთან ერთად მიდიოდა მისი მეუღლე ელენე კობიაშვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვით და დოდაშვილის მეგობარი, შეთქმულების მონაწილე, სოლომონ რაზმაძე, რომელიც პენზაში იყო გადასახლებული. იგი მათ ამ ქალაქში გამოეთხოვა, დოდაშვილების ოჯახმა კი განაგრძო გზა ვიატკისაკენ და ერთი თვისა და რვა დღის შემდეგ ჩავიდა დანიშნულებისამებრ. დოდაშვილი შეუდგა მუშაობას საგუბერნიო კანცელარიაში ვადამწერად. უფრო მძიმე სასჯელის მოგონება შეუძლებელი იყო. გადაიკეტა მისი შემოქმედებითა გზა, გენიოსი-შემოქმედი ასლების უბრალო ვადამწებად იქცა. მაგრამ მისმა შრომისმოყვარეობამ და ნიჭმა აქაც იჩინა თავი. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ მას აწინაურებენ მაგიდის უფროსის თანამდებობაზე, სადაც იგი სიკვდილამდე მუშაობდა.

მეცნიერული წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი დოდაშვილის გარდაცვალების თარიღი — 1836 წლის 20 აგვისტო, მაგრამ უცნობი იყო დაკრძალვის ადგილი. ქ. კიროვის ისტორიული არქივის მეტრიკულ ჩანაწერებში დოც. ბატიაშვილმა და მე მივაკვლიეთ, რომ იგი დაკრძალული ყოფილა ე. წ. „აქტირის სასაფლაოზე“. იმავე ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ იმავე წლის ოქტომბრის 12-ს, იმავე სასაფლაოზე დაიკრძალა მისი ორი წლის ქალიშვილი ანა. იგულისხმება, რომ ეს გოგონა მას გადასახლებაში შეეძინა.

იმავე კიროვის (ყოფ. ვიატკა) არქივიდან მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ მძიმე ყოფილა დოდაშვილის მდგომარეობა გადასახლებაში. მისი შემოსავალი არ ყოფნიდა ოჯახს გამოკვებისათვის. დოდაშვილის ვალმა ვიატკაში მიაღწია 600 მანეთს ვერცხლის ფულით. ამავე დროს მისი ფული ემართა ვინმე ელისაბედ ორბელიანს თბილისში. დოდაშვილი არაერთგზის მიმართავს ვიატკის გუბერნატორს თხოვნით დაეხმაროს ამ თანხის დაბრუნებაში, მაგრამ ამაოდ. მოხერხდა მხოლოდ პროცენტების დაბრუნება, თანხა კი ისევ ორბელიანს დარჩა, დოდაშვილი უკვე დაკრძალული იყო, როცა თავადი ფალავანდიშვილი თბილისიდან იტყობინება, რომ მიიღებდა ზომებს აღნიშნული თანხის დოდაშვილისათვის გადასაცემად, მაგრამ უკვე გვიან იყო.

იმავე არქივში შემონახულია დოდაშვილის ერთადერთი ვაჟის — იოანეს განცხადება ვიატკის გუბერნატორის სახელზე, გამოგზავნილი თბილისიდან 1852 წელს. იგი თბილისში მუშაობდა გუბერნიის კანცელარიაში მაგიდის უფროსის მოადგილედ. იოანე თხოულობდა ვიატკა-

ში მამის ნამსახურეობის სიას, მაგრამ მას უარი ეთქვა ასეთის არარსებობის გამო.

ზოგიერთი ნიუანსი დავაზუსტე დოდაშვილის სახელმძღვანელოების საკითხთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, დოდაშვილი რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია. „ლოგიკა“ მას დაწერილი ჰქონია როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე ქართველი ახალგაზრდობისათვის. დოდაშვილმა ხელნაწერი წარადგინა პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში, საიდანაც იგი „აზიის დეპარტამენტში“ გადაიგზავნა „ქართველი მთარგმნელისათვის“ გასაცნობად. „ქართველმა მთარგმნელმა“ კი „ლოგიკის“ ქართულ ვარიანტზე უარყოფითი დასკვნა წარმოადგინა. იგი რეცენზიაში წერდა, რომ ავტორს შემოაქვს რაღაც უცნობი ტერმინები და გამოთქმები და ამიტომ ის საზოგადოებას სარგებლობას არ მოუტანსო¹. რუსულ ვარიანტზე კი მას შედარებით დადებითი დასკვნა ჰქონდა დაწერილი და ცენზურამ იგი გაუშვა. 1827 წელს დოდაშვილის „ლოგიკამ“ რუსულ ენაზე დღის სინათლე იხილა. მაშინ ავტორი 22 წლის ჰაბუჯი იყო.

ლოგიკის ქართულ ენაზე გამოქვეყნების საკითხი მას განმეორებით 1832 წელს დაუყენებია თავისი ძმის სტეფანეს მეშვეობით, რომელიც მაშინ პეტერბურგში მუშაობდა. ამჯერად წიგნის გამოცემას მისმა პატიმრობამ შეუშალა ხელი და ამგვარად, ეს საკითხი სამუდამოდ გადაუწყვეტელი დარჩა.

უკეთესი ხვედრი ხვდა წილად მის მეორე სახელმძღვანელოს — „შემოკლებულ ქართულ გრამატიკას“, რომელიც მას ისევ ქართველი ახალგაზრდობისათვის ჰქონდა დაწერილი. თხოვნა მის გამოქვეყნებაზე დოდაშვილმა ისევ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტს გაუგზავნა 1830 წლის 30 იანვარს. ამჯერად მისი ხელნაწერი აღმოჩნდა აღიუნჯტი ჯაფარ მირზა თოფჩიბაშევის ხელში, რომელმაც რეცენზიაში აღნიშნა, რომ ხელნაწერი ცენზურის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავსო და წიგნი გამოქვეყნდა კიდევ 1830 წელს. დადგენილება მის გამოქვეყნებაზე მიღებულ იქნა 1830 წლის 2 სექტემბერს.

დოდაშვილს დაწერილი ჰქონდა მესამე სახელმძღვანელოც. ეს იყო „რიტორიკა“, რომელიც ეხება არა მხოლოდ მჭევრმეტყველებას, არამედ, საერთოდ, ლიტერატურის თეორიის არსებით საკითხებს. „რიტორიკის“ ტექსტს მივაკვლიე აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში და გამოვაქვეყნე უშუალოდ „მნათობის“ ფურცლებზე. დოდაშვილის „ლოგიკის მეთოდოლოგია“ მიკვლეული იყო პროფ. მ. გო-

¹ ЦГИАЛ, Ф 777, оп. I, дело 502.

კადის მიერ, მაგრამ მ. გოცაძეს ის არ გამოუქვეყნებია. „ლოგიკის მე-
თოდოლოგია“ გამოვაქვეყნეთ ჩვენ ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრო-
მებში“¹.

დოდაშვილს ჰქონია დაწერილი აგრეთვე პოეტიკის სახელმძღვანე-
ლო, რომელსაც ის „პიიტიკას“ უწოდებს. დოდაშვილი საგამომძიებლო
კომისიას უჩვენებდა: „ნოემბრის დამდეგს მღვდელი ეფრემ ალექსი-
ევი მოვიდა ჩემთან სალამოს ეამზე. მოსკლისთანავე მე წაუკითხე ჩემი
შეთხზული წესები „პიიტიკისა“ (Правила Пийтики, мною сочинен-
ныя) და ვარჩევდით პოემის „ქილილა და დამანას“ სხვადასხვა სახის
ლექსთა წყობას“. დოდაშვილის „პიიტიკა“ დაკარგულად უნდა ჩაით-
ვალოს.

მოსკოვის მთავარ არქივში მივაკვლიე მეფე ერეკლეს მიერ გა-
ცემულ სიგელს ივანე დოდაევისადმი. სიგელის მიხედვით ივანე დო-
დაევი ინიშნება კახეთის ერთ-ერთ სოფელში მღვდლად. მეფე ერეკლე
მას დიდ შემწევობას და დახმარებას პირდებდა. სიგელს ხელს აწერს თვით
მეფე. სიგელი თარგმნილია რუსულად „ქართველი მთარგმნელის“ მი-
ერ². სავარაუდოა, რომ მთარგმნელი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი იყოს,
რადგან მან თარგმნა მეორე დოკუმენტიც, რომელსაც ისევ „მთავარ
არქივში“ მივაკვლიე. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ს. დოდაშვილის
ძმის — სტეფანეს მეტრიკას, რომლის მიხედვით, სტეფანე დოდაშვილი
დაბადებულია 1808 წლის 8 ოქტომბერს².

მოპოვებულ მასალები დავალაგეთ თემატურად: მასალე-
ბი დოდაშვილის მოწაფეობის, პედაგოგიური მოღვაწეობის, 1832 წ.
შეთქმულებაში მონაწილეობის, პეტერბურგში სწავლების პერიოდისა
და სხვ. შეცვლილია დოდაშვილის შრომების დალაგების თანმიმდევ-
რობაც.

ს. დოდაშვილის მიმოწერის დალაგება და კომენტარები ეკუთვნის
პროფ. ს. ხუციშვილს, ლექსიკონი შედგენილია მაქსიმე ბერძნიშვილი-
სა და ივანე ქავთარაძის მიერ, დოდაშვილის „ლოგიკის“ ქართული
ვარიანტი ქვეყნდება პ. იაშვილის თარგმანის მიხედვით³, ზოგიერთი
მასალა დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ამოღე-
ბულია გ. გოზალიშვილის წიგნიდან „1832 წლის შეთქმულება“. მასა-
ლები ქ. კიროვის არქივიდან მოპოვებულია დოც. ე. ბატიაშვილისა
და ჩემ მიერ, ხოლო ახალი მასალები მოსკოვისა და ლენინგრადის

¹ ს. დოდაშვილი, ლოგიკის მეთოდოლოგია, რედაქცია და წინასიტყვაობა
თ. კუკავასი. ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომები“, 1955, № 6.

² Главный архив, III—6. 1828, № 23, оп. 103.

³ სოლომონ დოდაშვილი, ლოგიკა, თარგმანი პ. იაშვილისა, ა. ქუთუ-
ლიას რედაქციიდან და წინასიტყვაობით, თბ., სახელგამი, 1949 წ.

არქივებიდან — ჩემ მიერ. დოდაშვილის „რიტორიკა“ ქვეყნდება ჩემ მიერ მიღებული ტექსტის მიხედვით¹. ასევე „ლოგიკის მეთოდოლოგია“ იბეჭდება ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით². ლიტერატურაში ს. დოდაშვილის შესახებ გამოყენებული გვაქვს „ს. დოდაშვილის ბიობიბლიოგრაფია“³, რომელიც შეეჯავსეთ 1966 წლის შემდეგ გამოქვეყნებული მასალებით და, გამოყენების გაადვილების მიზნით, დავალაგეთ ანბანური წესით, ნაცვლად ქრონოლოგიური პრინციპისა.

ამ გამოცემას ვურთავ ჩვენს მიერ ახლახანს მიღებულ დოდაშვილისეულ ეთნოგრაფიულ გამოკვლევას, რომელსაც ეწოდება „ხალხური სიტყვიერების კრებული“ (ხელნაწ. № S 5293 „ი“), რომელიც ს. დოდაშვილის ავტორგრაფს წარმოადგენს. როგორც თვით ს. დოდაშვილი აცნობებს „სამამომდებლო კომისიას“, იგი ბიბლიოთეკარ კოტოვის დავალებით „აგროვებდა ცნობებს სოფლად არსებულ ზნეჩვეულებათა შესახებ“.

როგორც ვხედავთ, ს. დოდაშვილი აწარმოებდა აგრეთვე ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს, მაგრამ მან ეს გამოკვლევები ვერ დაამთავრა.

ამრიგად, ს. დოდაშვილის მემკვიდრეობა ივსება კიდევ ერთი თხზულებით ეთნოგრაფიის შესახებ.

თამარ კუკავა

1 ს. დოდაშვილის „რიტორიკა“, ტექსტი და გამოკვლევა დ. ქუმისიშვილისა და თ. კუკავასი, „მნათობი“, 1955 წ., № 1.

2 ს. დოდაშვილის „ლოგიკის მეთოდოლოგია“, რედაქცია და წინასიტყვაობა თ. კუკავასი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, № 6. 1955 წ., (რუსულ ენაზე).

3 სოლომონ დოდაშვილი. ბიობიბლიოგრაფია. შემდგენლები: ნ. დოლიძე და ფირცხალავა, პროფ. ს: ხუციშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., „მეცნიერება“, 1967 წ.

3 ს. დოდაშვილი

შეკრები

КУРСЪ ФИЛОСОФІИ.

ЧАСТЬ ПЕРВАЯ.

ЛОГИКА.

СОЧИНЕНІЕ

Соломона Додаева-Магарскаго.

САНКТПЕТЕРБУРГЪ.

Въ Типографіи Александра Смирдина

1827.

ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ 1827 წ.

ჩუხული გამოცემის თავფურცელი

ზიდოსოფიის კუჩსი

ნაწილი პირველი

ლ მ ბ ი კ ა

თხზულება

სოლომონ დოდაშვილ-მალაროელისა

მის აღმატებულებას

ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და
მისი სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველს, ნამდვილ სამოქალაქო
მრჩეველს და კავალერს

ალექსი ალექსისძე

პეროვსკის

თქვენო აღმატებულებაჲ მოწყალეო ხელმწიფე!

მას შემდეგ, რაც რუს მეფეთა ბრძნული მმართველობის მზემ ძველი კოლხეთის ჰორიზონტი გააცისკროვნა, წესრიგისა და კეთილდღეობის შუქი საგრძნობლად ვრცელდება კავკასიის კურთხეულ ქვეყანაში.

ამჟამად საჯარო აღზრდა, რამაც, თქვენი აღმატებულების მფარველობით და დაუღალავი ზრუნვით, თქვენდამი რწმუნებულ ოლქში ბედნიერი მიმართულება მიიღო, უეჭველია, ამ აზიურ ქვეყანას ევროპული განათლებულობის საფეხურზე აიყვანს. კავკასიის კაბუჯ შვილთა აზრი და გონება საზრდოს ეძებს და ამ წმინდა მისწრაფებით გამსჭვალული, მოაპყრობს თქვენკენ თავის თვალს და თქვენი აღმატებულებისაგან მოელის ამ საზრდოს.

სურვილი, სასარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის, მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემთვის, ისევე როგორც იგი ამ, ჩემი ძალღონის შესაბამისი, შრომის სტიმულიც იყო; ხოლო მწყალობლობა და მფარველობა, რასაც თქვენი აღმატებულება ყოველი სასარგებლო წამოწყებისადმი იჩენს, მამხნევებდა მე შემესრულებინა ეს საქმე და ამანვე გამაბედვინა დამემშვენებინა თქვენი სახელით ეს პირველი ცდა, იმ უღრმესი ერთგულების დასამტკიცებლად, რომლითაც სასახელო პატივად ვრაცხ დავრჩე მარად.

მოწყალეო ხელმწიფე,

თქვენი აღმატებულების

უპოზიციონო მსახური

სოლომონ დოღაევი.

ფილოსოფიის ზოგადი შესავალი

მაქვს რა განზრახვა გადმოვცე ფილოსოფიის სრული კურსი — ვაქვეყნებ პირველად ლოგიკას, რომელიც ერთგვარად მის შესავალს შეადგენს, და მოვალეობად ვთვლი წარმოვადგინო ამ მეცნიერებას ზოგადი ცნება.

ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიის პირველი თვალის გადავლენისას ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაცხრება ენებანი, და როცა ცრურწმენანი, რომელთაც ასე სამართლიანად უწოდებს ბეკონი ადამიანის გონების კერაებს, შეწყვეტენ მის მართვას. ჭეშმარიტი ფილოსოფია ისევე ერთი უნდა იყოს, როგორც ერთია ჭეშმარიტება, ერთია გონება და ერთია ადამიანის სულის კანონები; თუ საწინააღმდეგოს დაეუშვებთ, მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ არსებობს ერთმანეთთან შეუთანხმებადი, მოპირისპირე ჭეშმარიტებანი, რომ ადამიანის გონება ცნობიერად და თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, მაგრამ ეს უაზრობა იქნებოდა.

მარტოოდენ თავისი სახელწოდებით ფილოსოფია არ განსხვავდება სხვა მეცნიერებათაგან, რომლებდაც, თითქოს ერთი და იმავე სფეროს წრეებად, ადამიანის გონებამ გაჰყო და გამიჯნა თავისი ცოდნა; ეს სახელწოდება არ წარმოადგენს არავითარ გარკვეულ, განმასხვავებელ ნიშნებს; თვით სიტყვას: ს ი ბ რ ძ ე, რომლის სიყვარულს ფილოსოფიის სახელწოდება გამოხატავს, თავდაპირველად ისეთი ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი ადამიანის ყველა ხელოვნებასა და მეცნიერებას შეიცავდა. ამიტომ ფილოსოფიის მხოლოდ საგანს ან შინაარსს შეუძლია გვიჩვენოს მისი განსხვავება სხვა მეცნიერებათაგან.

ყოველი მეცნიერების შინაარსი დამოკიდებულია მის იდეაზე; ეს იდეა კი გამოიხატება ეგრეთწოდებული მთავარი საწყისით, რომლის მიხედვით შეიძლება მისი ძალისა და ღირსების ზუსტად ჩვენედეს მისი იდეა; ამ იდეის სრული განვითარება შეიძლება იყოს საგანი განსაკუთრებული ნაწილისა — ძირითადი ფილოსოფიისა, რომელიც თავისი სახელის ღირსი იქნება. აქ ჩვენ გადმოვცემთ მხოლოდ

იმ ზოგად ნიშნებს, რომლებიც აუცილებელია ამ უსახლგრო არეში შემავალთათვის.

ფილოსოფია უნდა იყოს განსაკუთრებული მეცნიერება, ე. ი. მეცნიერება, რომლიდანაც უნდა ვისწავლოთ ისეთი რამ, რასაც ვერავითარი სხვა მეცნიერებიდან ვერ გავიგებთ. როგორც ყოველი სხვა მეცნიერება საერთოდ, ისე ფილოსოფიაც გულისხმობს შემგეცნებელ პირს და შესამეცნებელ საგანს, რომლითაც, როგორც მარტოოდენ მისთვის დამახასიათებელი რამით, იგი სხვა მეცნიერებათაგან არსებითად განსხვავდება.

აქედან გამომდინარეობს, რომ ფილოსოფია უნდა წარმოადგენდეს ადამიანის გარკვეული სახის ცოდნათა სისტემას; ვინაიდან როგორც სხვა მეცნიერებანი, ისე ფილოსოფიაც უნდა შედგებოდეს მრავალი ცალკეული, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ერთ-საგანზე მიმართული, და ამ მხრივ ერთგვაროვანი, თავსებადი და შეკავშირებული ცოდნისაგან; ეს კი სწორედ სისტემას შეადგენს.

ფილოსოფია უნდა იყოს ადამიანის სულის ნაწარმოები; იგი არავის არა აქვს თანდაყოლილი; იგი შექმნილ უნდა იქნეს საკუთარი გონების ძალით, ამ გონების საკუთარი მოქმედებით: ვინაიდან მხოლოდ ეს მოქმედება, მიმართული მოცემული ცნებებისაკენ და არა მათი აგებისაკენ (=მათემატიკა), შეადგენს ფილოსოფოსობას.

ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა; ფილოსოფოსობა კი ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, ჩავწვდეთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი, და ამ გზით დავადგინოთ სიმშვიდე ჩვენში და ჩვენდა. ყურადღება მივაპყროთ თავის თავს — ნიშნავს განვაყენოთ იგი ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის: ეს ხდება, როცა გონებით ვტოვებთ ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ. ჩავწვდეთ თავის თავს, — ნიშნავს გულდასმით ვიფიქროთ შინაგან მოვლენებზე, რომლებიც ჩვენში ხდება, გავხადოთ ჩვენი თავი გამოკვლევის უშუალო საგანი. თავისი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა უნარი იმისა, რომ სწორად ვიმსჯელოთ მთელ ქმედითს ჩვენს ძალაზე; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, ამ მოქმედების საზღვრები და მიზანი. გავიგებთ ჩვენს თავს, თუ შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენი აზრების, ცოდნათა და საქციელთა საკმაო მიზეზები. დასასრულ, დავადგენთ სიმშვიდეს ჩვენში და ჩვენთან, როცა ვაყალიბებთ ჩვენში ჰარმონიულ მოქმედებას, წარვმართავთ რა მას ჩვენი დანიშნულებისაკენ. ამრიგად,

ვანყენება და გააზრება, შეცნობა და გაგება თვით ჩვენი თავისა, დაკმაყოფილება თავისი თავისა ასეთი თვითშემეცნებით — აი ფილოსოფიური გამოკვლევის სამი საგანი! პირველი მათგანი მეორის და მესამის იარაღია; მეორე შეადგენს ჩვენი მეცნიერების უახლოეს მიზანს, მესამე კი — შორეულ, მაგრამ უმაღლეს მიზანს.

აქედან გამომდინარეობს, რომ ფილოსოფიაში შემეცნებელი პირი და შემეცნების უმათვრესი საგანი ადამიანია. ფილოსოფია არის მეცნიერება მთელი ჩვენი მოქმედების უკანასკნელი საფუძვლების შესახებ; მასში უნდა ვეძიოთ და ვპოვოთ ჩვენი შემეცნებისა და მოქმედების ისეთი მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ, მეტნაკლებად, დააკმაყოფილონ ადამიანის გონება. ამრიგად, ფილოსოფიამ უნდა წარმოგვიდგინოს:

I

1) კანონები: ა) აზროვნებისა და ბ) კანონები სულიერი ძალებისა საერთოდ = ლოგიკა და ფსიქოლოგია.

2) კანონები შემეცნებისა და შეცნობადისა = მეტაფიზიკა, ყველა მისი ნაწილებით.

II

3. კანონები გრძნობისა = ესთეტიკა.

III

4. კანონები ნებისა და სურვილისა: ა) შინაგან მოქმედებათათვის = ზნეობის ფილოსოფია, და ბ) გარეშე ურთიერთობისათვის — სამართალი.

ამას დავუმატებთ ფილოსოფიურ სისტემათა მოკლე ისტორიას და იმ გამოთქმათა პატარა ლექსიკონს, რომლებიც ზუსტ განსაზღვრებას საჭიროებენ ჩვენს მეცნიერებაში — და აი ყველაფერი, რაც დროთა განმავლობაში წარედგინება ცოდნის მოყვარულთა მოწყალე ყურადღებასა და განსჯას.

N. B. ამ თხზულების გამომცემი სასიამოვნო ვალად თვლის ამცნოს მოწყალე მკითხველებს, რომ თხზულების გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მისი ღირსება ქართველი მღვდელ-მონაზონი იონა.

შესავალი

თ ა ვ ი I

ლოგიკის ცნება და განსაზღვრება

§ 1

ვინც ადამიანს დაჰკვირვებია, მან იცის, რომ სისადავის სიყვარული, ერთიანობის სიყვარული მის ყოველ მოქმედებაში მუდამაღწევს; ესწრაფვის რა ჰარმონიას თავისი ბუნებით, ადამიანი შეუწყვეტლივ ეძებს მას გარეგან ბუნებაშიც. ამიტომაც მარტივ მოვლენებს განსაკუთრებული ინტერესი, საუცხოო მშვენიერებაც კი აქვთ მის თვალში; რაც უფრო მარტივია, იგი მას უფრო ბუნებრივადაც ეჩვენება სისადავე და ბუნებრიობა მისთვის თითქმის იდენტურია. ხშირად წარმოსახვა ამ მიდრეკილების საამებლად ქმნის სრულ სისტემებს, რომლებიც, მიუხედავად მთელი მათი ცალმხრივობისა, არიან რა მხოლოდ პირად განწყობილებათა გამომუდგენება, წარმოგვიდგებიან როგორც ხანგრძლივი, ღრმა მოფიქრების ნაყოფი. თვით დიდი გონების ადამიანთათვისაც კი ჭეშმარიტებისადმი კეთილშობილი, უწმინდესი მისწრაფებისას ყოველთვის როდი იყო უცხო ეს შინაგანი ცთუნება. ამიტომაც უსაფუძვლო როდია გონებისა და ჭეშმარიტების დიად საქმეში ფხიზელი სიფრთხილის მოთხოვნა; საჭიროა ზუსტად გამოკვლევა, ყოველთვის ხდება ბუნების მოვლენები მარტივი სახით, თუ, შესაძლოა, ჩვენი შინაგანი მიდრეკილება და გემოვნება უბრალოებისადმი გვაფიქრებინებდეს ჩვენ ასე.

სამყარო ურთიერთობათა სისტემაა, რომელშიც ყველაფერი გაზომილია, აწონილია, აღრიცხულია; ყველაფერი გადაბმულია მიზეზთა და შედეგთა, საშუალებათა და მიზანთა განუყრელი კავშირით, ყველაფერი ექვემდებარება უცვლელ წესებს, მარადიულ კანონებს. ესაა უსასრულო ჭაჭვი, რომელიც ერთ საწყისში იწყება და მთავრდება. უსასრულობისაკენ მიპყრობილი გონების თვალის მოითხოვს ამ მაღალი ჭეშმარიტების დაშვებას; მრავალ საუკუნეთა დაკვირვებანი კი, რაც ადამიანის ცოდნის ყოველ დარგში მომხდარა, ყოველ წამს სულ უფრო და უფრო ადასტურებენ ამას. სამყაროს კანონების უცოდინარობა ჯერ კიდევ არ იძლევა უფლებას, უარჯვით მათი არსებობა. უწო-

დეთ მათ რაც გენებოთ: მექანიზმის კანონები, საყოველთაო მიზიდულობის ან პოლარობის კანონები — ისინი იქნებიან უცვლელნი ბუნებაში, ტოლფასნი ყოველი და უმცირესი რგოლისათვის ყოფიერებისა და მოქმედების ამ უსაზღვრო ჯაჭვში.

გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ნაწილი ადამიანის შედგენილობაში, თუნდაც ერთი მოქმედება ამ მცირე სამყაროსი, რომელიც მუდმივ კანონებს არ ექვემდებარებოდეს. მისი შინაგანი იდეალური ცხოვრება თავის თავში და თავის მოვლენებში, ისევე როგორც ორგანული და ცხოველური არსებობაც, არ შეიძლება და არც უნდა იყოს შეუწყობელი, უწესრიგო. აქ არის თავისებური სახის უცილობელი წესდებანი, რომელნიც დიდხანს ფარული რჩებიან გამოუცდელი თვალისათვის; მაგრამ დაკვირვება მიგვითითებს მათზე, განყენების ძალა ათავსებს მათ ცნებებში და წარმოგვიდგენს ზუსტ ფორმებში.

§ 2

აზროვნების ძალა ექვემდებარება ერთგვარ კანონებს, სრულიად ისევე როგორც ჩვენი ყველა სხვა ძალაც; კიდევ მეტს ვიტყვი, ეს ძალა — განსჯა — სხვა არაფერია, თუ არა უნარი — დავუქვემდებაროთ ყოველივე ერთგვარ წესებსა და კანონებს, უნარი — ჩავწვდეთ წესებსა და კანონებს. განსჯის საგანი არის სამყარო, როგორც მოვლენა, — აურაცხელი, მრავალფეროვანი სიმრავლე საგნებისა, მათი მიმართებებით, რომელთა სხვადასხვაგვარობამ უსათუოდ უნდა წარმოშვას სხვადასხვაგვარობაც აზროვნების წესებისა, რომელნიც, ერთგვარად თვით საგანთა კერძო თვისებებზე დამოკიდებულნი, ბუნებრივად არიან. **კ ე რ ძ ო ნ ი**, **შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ნ ი**, გამოსადეგნი მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული გვარის საგნებისათვის, **მ ა გ ა ლ ი თ ა დ**: ისტორიულ, მათემატიკურ და სხვ. საგანთათვის. შესამეცნებელის მხოლოდ ცალკეულ დარგებთან შეფარდებული ასეთი წესების თავმოყრით შეგვეძლო შეგვექმნა აზროვნების განსაკუთრებული მეცნიერება ყოველი ამ დარგისათვის, ასე რომ ასეთი მეცნიერება გვექნებოდა იმდენი, რამდენიც დარგია სააზროვნოსი. მაგრამ რადგანაც ყველა ამ დარგებს რაღაც საერთო აქვთ ერთმანეთთან; რადგანაც გონება, რომელსაც ეს დარგები მისთვის საყურადღებო საგნების განუწყვეტელი ცვალებადობის პირობებში წარმოუდგენია, მუდამ ერთი და იგივე რჩება; რადგანაც იგი არ მოქმედებს სხვანაირად, თუ არა მისი საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე კანონების მიხედვით: ამიტომ, ვაერთებთ რა ამ უკანასკნელთ ერთ სისტემატურ მთელად, ვლებულობთ ერთ მეცნიერებას აზროვნებისას და უკვე არა გამოყენებითს, არამედ წმინდა, კერძობებისადმი, ცალკეული საგნებისადმი ყოველგვარი მი-

მართების გარეშე მყოფ, მეცნიერებას, — აზროვნების იმ წესების მეცნიერებას, რომლებიც დამყარებულია არა სააზროვნო საგანთა თვისებაზე, არა ცდაზე, არამედ თვით განსჯის ბუნებაზე. ამ მეცნიერებას არა საგნებისას, არამედ მხოლოდ აზროვნების წესისას საერთოდ, გონების ანუ მისი აზროვნების საყოველთაო და უცვლელი კანონების მეცნიერებას, ეწოდება **ლოგიკა** (λογική); ეს სახელწოდება იწარმოება ლიოთ-იდან, რაც ნიშნავს: **სიტყვა**, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი; ეს მეტად დამახასიათებელი და საგულისხმოა, რადგან მეტყველება და აზროვნება შეერთებულია განუყრელი კავშირით.

მაგრამ შეგვეკითხებიან: როგორ და რა წესების მიხედვით შეუძლია განსჯას შეიცნოს თავისი თავი, როცა იგი ყველა წესების წყაროა? ჩვენ არ შეგვიძლია სხვანაირად ვიაზროვნოთ, თუ არა განსაზღვრული კანონების მიხედვით; მაშასადამე, თვით განსჯის შესახებაც ჩვენ შევიცნობთ ამ კანონებს ასახვის გზით, — სრულიად ისე, როგორც ჩვენ მხოლოდ თვალების საშუალებით შეგვიძლია დავინახოთ საგნები, და თვით თვალებსაც სხვანაირად ვერ ვხედავთ სარკეში, თუ არა მათივე საშუალებით. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი სულის ის საუცხოო თვისება, რომელიც ხდის მას მოქმედ ძალადაც და მისი მოქმედების საგნადაც; ასეთია თვითცნობიერის ბუნება. ასახვის მეოხებით, შინაგანი სამყაროს მოვლენებისადმი ყურადღების გეოხებით განსჯა თითქოს სარკე ხდება, რომელშიც იგი თვით თავის თავს კვრეტს, და თავისი თავის ასეთი კვრეტის საშუალებით გამოჰყავს თავისი მოქმედების კანონები, ე. ი. აზროვნების კანონები, მისთვის დამახასიათებელნი. მეცნიერება ამ კანონების შესახებ არაა **ლოგიკა**. მაშასადამე.

§ 3

1. **ლოგიკას** სამართლიანად ჯერ კიდევ ეპიკურემ უწოდა **კანონიკა**: იგი შეიცავს ჩვენი სულის იმ უნარის **კანონებს**, **წესებს**, რომელსაც გონებას უწოდებენ; იგი გადმოგვცემს გონების აუცილებელ კანონებს, როგორც პირობებს, რომელნიც არსებითად საჭირონი არიან მისი სწორი გამოყენებისათვის და თავის თავთან შეთანხმებისათვის. ამიტომაც ამ მეცნიერების სფერო ვრცელდება იქამდე, სადამდეც ბუნების მიერ გონებისათვის მოხაზული სამოქმედო ასპარეზის საზღვრები სწვდება; მაგრამ რადგანაც ეს უნარი მოიცავს მხოლოდ იმას, რაც გრძნობასა და ცდას ექვემდებარება, ამიტომ **ლოგიკას** სამართლიანად შეიძლება ეწოდოს **ფენომენოლოგიკა**; ესაა მეცნიერება მოვლენების შესახებ. მიუყენო **ლოგიკის** საწყისებზე,

უღის არეს გარეშე მყოფ საგნებს, თვით არსს ხივთებისას, ხიძხავს ჰიაწერო მათ იმაზე მეტი ღირსება და ძალა, ვიდრე მათ სინამდვილეში შეიძლება ჰქონდეთ; ნიშნავს ერთმანეთში აურიო საგნები, სრულად განსხვავებულნი და დაპირისპირებულნიც კი, საბაბი მისცე დუალიზმს, სკეპტიციზმს და სხვა მცდარ სისტემებს, რომლებიც აუცილებლად მოსდევს მსგავს არევას ჩვენი სულის ორი უნარისა და ამ უნართა შესაბამისი, სამყაროს მთლიანობის შემადგენელი, ორი ქვეყნიერებისას. მოვლენები არ შეადგენენ საგანთა არსს; განსჯა არ არის გონება, ლოგიკა არ არის მეტაფიზიკა. აი განსხვავებანი, რომელთაც მარტოოდენ შეუძლიათ გამოიყვანონ ფილოსოფია დაბნეულობათა იმ ლაბირინთიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა კენიგსბერგელი ფილოსოფოსის ხანამდე.

2. აქედან მეღავენდება, რომ აზროვნების მეცნიერება არ არის შემეცნების მეცნიერება. ლოგიკა არ არის ორგანონი, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში. და მართლაც, ორგანო, ანუ ნივთიერი იარაღი შემეცნებისა სხვა არაფერია, თუ არა ძირითადი საწყისები და წესები გარკვეული წრის საგანთა შესაცნობად: მაგრამ ლოგიკა ტოვებს აზროვნების მასალას და გონების მარტო ფორმას მოიცავს; მაშასადამე, იგი არც არის შემეცნების ორგანო, მას არ მივყავართ უშუალოდ ჰემარიტებამდე, არამედ ის მხოლოდ გვასწავლის გამოიყვანოთ მოცემული ჰემარიტებიდან შედეგები წინააღმდეგობისა და დაბნეულობის გარეშე; მას შეუძლია მზა მასალას მისცეს სათანადო ფორმა, შექმნას მისგან მთელი; ამიტომ მეტად სამართლიანად აფასებენ მის ღირსებას ისინი, ვინც მას პლასტიკას და კატარქტიკას უწოდებს.

3. როგორც პლასტიკა, იგი ყველა მეცნიერების პროპედევტიკაა (სახელმძღვანელო); ვინაიდან ყოველი მეცნიერება მოითხოვს სისტემატურ გადმოცემას, ეს კი ლოგიკის არეა; მოცემული საწყისებიდან გამოიყვანოს ყველა საჭირო შედეგი, მიუჩინოს თვითეულ მათგანს თავისი ადგილი, ააგოს ზუსტი მათემატიკური წესით მთელი — აი მისი საქმე! ამიტომაც ყოველ მეცნიერებას, გარკვეული მიმართებით, შეიძლება პრაქტიკული ლოგიკა ეწოდოს. ამ მხრივ ლოგიკა არის არქიტექტონიკა, რომლის წესების მიხედვითაც შეიძლება მხოლოდ ავაგოთ სისტემის მტკიცე და მწყობრი შენობა.

4. ლოგიკის გამოყენების მარტო ეს საყოველთაოება გვიჩვენებს, რომ მისი საგანი უნდა იყოს რაიმე საერთოდ ვარგისი, აუცილებელი რაზედაც გნებავთ აზროვნების დროს; მაშასადამე, ამ მეცნიერების შემეცნებაც არ შეიძლება იყოს წმინდა ცდისეული, ვინაიდან ცდა მარტოოდენ კერძოსა და შემთხვევითს გვაწვდის. თუ ვინმე განიზრახავდა შეედგინა აზროვნების მეცნიერება მხოლოდ

დაკვირვებაზე დაყრდნობის გზით, მაშინ მისი ლოგიკა პასუხს გასცემდა, და ისიც არადაშეკმაყოფილებლად, მხოლოდ ერთ საკითხს: როგორ აზროვნებენ ჩვეულებრივ? იგი სრულიადაც ვერ გადაჭრადა მნიშვნელოვან და სიბრძნისმოყვარეობის ღირს ამოცანას: როგორ უნდა ვიაზროვნოთ? ასეთი, მხოლოდ ცდილთ შემოსაზღვრული ლოგიკა, კანტის შენიშვნით, ისევე უაზრო იქნებოდა, როგორც მართო ცდაზე დამყარებული ზნეობის ფილოსოფიაც. აზროვნების საყოველთაოდ და აუცილებელი კანონები მხოლოდ გონებაში შეიცილობა a priori. ლოგიკა შეიძლება იყოს წმინდა გონებისეული ძეცნიერება, მაგრამ არა წმინდა ცდისეული, თუმცა შინაგან ცდას სწორედ ასეთივე კანონების შემეცნებამდე მივყავართ.

თ ა ვ ი II

ლოგიკის მოკლე ისტორია

§ 4

განვსაზღვრეთ რა ლოგიკის ცნება, გადავავლოთ თვალი ამ მეცნიერების ბელს.

საბერძნეთი არის ის ქვეყანა, სადაც ყველა მეცნიერებამ სისტემატური სახე მიიღო, ლოგიკამ კი — თავისი საწყისი.

1) სტაგირელი ფილოსოფოსის ხანამდე ლოგიკას შეადგენდა მხოლოდ ტოპიკა, იგი მხოლოდ დიალექტიკა იყო; შემდეგ იგი შეიცვალა და გადაიქცა კამათის ამაო ხელოვნებად: ე რ ი ს ტ ი კ ა დ ლ ა ს ო ფ ი ს ტ ი კ ა დ.

2) არისტოტელეს გენიამ ლოგიკასაც მეცნიერული სახე მისცა. მისი დროიდან იგი ხდება სისტემატურ სილოგისტიკად, იზრდება და მწიფდება.

3) შუა საუკუნეებში ლოგიკა მეფობდა; მას ემჩნევა ს ქ ო ლ ა ს ტ ი ც ი ზ მ ი ს ყველაზე მომწიფებული ნიშნები.

4) მაგრამ ინგლისელ კანცლერ ფილოსოფოსის მოღვაწეობიდან დაწყებული ვოლფის ხანამდე ლოგიკა იწმინდება სქოლასტიკური ნარევისაგან, და ამასთანავე მისი არე ვიწროვდება.

5) ვოლფის ლოგიკა, მთელი თავისი ძალით, გრძელდება კენიგსბერგელი ფილოსოფოსის ხანამდე.

6) კრიტიციზმმა გასწმინდა, დაამყარა ამ მეცნიერების საფუძვლები და გამოიჩინა მისი დარგი.

აი ლოგიკის ისტორიის ექვსი პერიოდი:

§ 5

არისტოტელეს მოწმობით დიალექტიკის მამა უნდა იყოს ელეატი ძენონი; მაგრამ საფიქრებელია, რომ მან მხოლოდ განაერცო და გააუმჯობესა პარმენიდეს დიალექტიკა. ძენონის დიალექტიკა, როგორც ხელოვნება კითხვებითა და პასუხებით ბაასისა, დაკავშირებული იყო დიანასტიკასთან, რომელიც დასკვნების შედგენასა და შედეგების გამოყვანას ასწავლიდა; ასევე იგი დაკავშირებული იყო ერისტიკასთან — დასკვნებში შეცდომის გამომჟღავნების ხელოვნებასთან. სრულებით ბუნებრივია, რომ ძენონის მეთოდს, ბოლოს, უნდა მოჰყოლოდა სოფისტიკა, რომლითაც განსაკუთრებით სახელი გაითქვეს: პ რ ო ტ ა გ ო რ ა მ, ე ვ ბ უ ლ ი დ ე მ, დ ი ო ლ ო რ ე მ, კ რ ო ნ მ ა, ს ტ ი ლ პ ო ნ მ ე გ ა რ ე ლ მ ა.

II

არისტოტელედან შუა საუკუნეებამდე

ლოგიკა ლებულობს სისტემის სახეს:
სილოგისტიკა

§ 6

პლატონმა საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა ლოგიკისათვის; მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მაინც უსისტემოდ რჩებოდა. არისტოტელემ პირველმა განსაზღვრა მისი არე და დაალაგა იგი მეცნიერული სახით; ამიტომ მას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ლოგიკის მამა. მისი ლოგიკა, კანტის აზრით, საგნის მიმართ ისე სრულია, რომ პერაპატეტეიკოსთა ღროიდან მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. ლოგიკის შესახებ არისტოტელეს ნაწარმოებებიდან, რომელთა რიცხვიც 80-მდე, ან, როგორც სხვები ფიქრობენ, 123-მდე აღწევდა, მხოლოდ 16 დარჩა, სახელდობრ: ერთი წიგნი შემასმენელებზე, ერთი წიგნი განმარტებაზე (de interpretatione), 4 წიგნი ანალიტიკაზე (2 analyticorum priorum et 2 posteriorum), 8 წიგნი ტოპიკაზე (topicorum),

2 წიგნი სოფიზმების ამოხსნაზე; ან უკანასკნელ წიგნებში იგი მსჯელობს სილოგიზმებზე, გადმოგვცემს საყოველთაობის (dictum de omni), წინააღმდეგობის, საშუალოს გამორიცხვისა და იგივეობის პრინციპს. აქვე მეტად ვრცლად ლაპარაკობს სილოგიზმების სახეობებზე და დასკვნის ცთომილებაზე; მაგრამ სილოგიზმების თეორიაში მას არ მოუხსენიებია მეოთხე ფიგურა და პირობითი სილოგიზმი.

არისტოტელეს ყველა თხზულება ლოგიკის შესახებ, ერთობლივ, ცნობილია ორგანონის სახელწოდებით; მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი შექმნილი იყოს ერთსა და იმავე დროს, ან ისეთი წესით, როგორც ისინი გამოცემებშია წარმოდგენილი. ანალიტიკაში იგი იმორწმებს ტოპიკას, ხოლო თხზულებაში განმარტების შესახებ იხსენიებს ანალიტიკას, ასე რომ, პირველი ნაწარმოები ლოგიკის შესახებ, რომელსაც უკვე სხვა იმდაგვარივე თხზულებები მოჰყვა სხვადასხვა დროს, უნდა იყოს ტოპიკა, რომელთანაც ერთად წიგნი სოფიზმების შესახებ, ალბათ, ერთ თხზულებას შეადგენს. ამიტომ, არისტოტელეს ნაწარმოებებში ჩვენ ვერ მოვნახავთ ლოგიკის სრულყოფილ თეორიას, თუმცა მისი საფუძვლები ყველგან გვხვდება, მაგრამ უფრო ვნახავთ გამოყენებითს ლოგიკას, სადაც უპირატესად ყუჩადლება ექცევა მაშინდელი დროის მიხედვით მნიშვნელოვან გარემოებებს, დიალექტიკურ საგნებს, რომელთა შესახებ შეუძლებელი იქნებოდა წერა კერძო ლოგიკის დარგში წინასწარი, საჭირო ცოდნის უქონლად; და ასეთის დასამტკიცებლად არისტოტელემ ანალიტიკაში წარმოგვიდგინა დასკვნებისა და მეცნიერების თეორია. არისტოტელეს ნაწარმოებებიდან ლოგიკის შესახებ უკანასკნელი, ალბათ, არის მოძღვრება კატეგორიებზე, ე. ი. უმაღლეს გვარეობითს ცნებებზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაც საფუძველს შეადგენს მსჯელობათა გონებამხედველობისათვის. არისტოტელეს თხზულებათა ამ წყობიდან ჩანს, რომ მან აირჩია ყველაზე ბუნებრივი გზა — კერძოდან საყოველთაოსკენ. თუმცა ამ უკანასკნელ თხზულებაში იგი კატეგორიებს მხოლოდ პირდაპირ ლოგიკურად განიხილავს, მაგრამ მათ უფრო მეტი ღირებულება აქვთ მის სისტემაში: ისინი თვით საგნებთან უახლოეს მიმართებაშია წარმოდგენილი, ასე რომ, ეს არა მარტო გონების საყოველთაო ცნებებია, არამედ, ამასთანავე, საგანთა თვისებებიცაა, — არა მარტოდენ ლოგიკური, შიშველი, ფორმალური ცნებებია, არამედ საერთოდ საგნობრივიც. თუმცა არისტოტელე არსად არ იხსენიებს იმ გზას, რომელსაც იგი კატეგორიების აღმოჩენამდე მიიყვანა, მაგრამ ადვილად შეიძლება მივხვდეთ, რომ მან მიადწია მას ყოველი, ასე ვთქვათ, გზის გამკაფავი საწყისის გარეშე, ხელმძღვანელობდა რა მარტოდენ განყენებით; ამასთან, კატეგორიათა რიცხვი, რომელთაც იგი გვაწვდის,

ათია: არსება, რაოდენობა, თვისებრიობა, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, მფლობელობა, მოქმედება, ვნებითობა.

არისტოტელეს ლოგიკის არსებითი ნაწილები კი შემდეგია: 1) ანალიტიკა, კანონების ერთობლიობა ქვეშაირიტებისა და ცოდნისათვის; 2) დიალექტიკა, წესების სისტემა ალბათობისა და ვარაუდისათვის. პირველი ფილოსოფოსისათვის იარაღია, მეორე — მისი მომზადება; ამიტომაც დასკვნისა და დასაბუთებათათეორია შეადგენს პერიპატეტიკული ლოგიკის ორ მთავარ საგანს, და ორივე საუცხოოდ დამუშავებულია თავისდაკვალად. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, უეჭველია ის, რომ სტაგირელი ფილოსოფოსის სახელის უდიდესი და უკვდავი ძეგლია მისი ლოგიკა.

თეოფრასტეს, არისტოტელეს მოწაფეს, თვლიან პირველი ფიგურის ხუთი სახის სილოგიზმის გამომგონებლად; ქრიზიპემ, სტოიკოსმა, მოგვაწოდა წესები პირობითი სილოგიზმისათვის, და ბოეციუსმა, რომელმაც პირველმა თარგმნა ლათინურ ენაზე არისტოტელეს წიგნები, დაურთო მას პირობითი სილოგიზმიც; ექიმმა გალენმა, რომელიც მეორე საუკუნეში ცხოვრობდა ქრ. დაბ. შემდეგ, ხმარებაში შემოიღო მეოთხე ფიგურა; მაგრამ პორფირიუსმა ყველაზე მეტად საბუნებრივი გაუწია არისტოტელეს ლოგიკას თავისი შრომით — კატეგორიების შესავლით.

III

შუა საუკუნეების ლოგიკა,

სქოლასტიკური

§ 7

გონების მისწრაფება იმისაკენ, რომ შეიცნოს თავისთავადი და შეუთანხმოს გონების ქვეშაირიტებანი ქრისტიანული ღვთისმეტყველებას ქვეშაირიტებებს, დიალექტიკურ გამახულობათა საფუძველზე — ანუ შუა საუკუნეების ფილოსოფიის დედაარსი! რაც უფრო მხურვალე იყო ეს სწრაფვა, მით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ამ მიზანთან მიღწევან საშუალებებს; ეს საშუალებები კი ყველა თავს იყრიდა დიალექტიკაში, ასე რომ, სქოლასტიკური ფილოსოფია სხვა არაფერში იყო, თუ არა მაშინდელი ღვთისმეტყველებისათვის გამოყენებული დიალექტიკა. ვარჯიშობა უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ისმებოდა საკითხები, რომელთა დასაცავად ან გასაბათილებლად ეწყობოდა პაექრობა. ეს მეთოდი უაღრეს კაზუისტიკამდე იყო მიყვანილი პარიზის უნივერსიტეტში. ამ სარბიელზე უმთავრესად თავი

ისახელეს: აბელარმა, ღურანდმა, ოკამ უძლეველმა (invincibilis), ლულუსმა და პეტრე რამმა; უკანასკნელმა ლოგია გაპყო ორ ნაწილად: ა) გამოგონების შესახებ და ბ) განლაგების შესახებ.

IV

აქაონიდან ვოლზაჟა

§ 8

ლოგია თანდათან იწმინდება და მეტად ვიწრო საზღვრებში ექცევა. ბეკონმა სილოგიზმების ადგილას წამოაყენა ინდუქცია და გვიჩვენა, რომ ის ცრურწმენანი, რომლებსაც იგი გონების კერპებს უწოდებს, შეიცავენ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებებს ცოდნისათვის. შუა საუკუნეების შემდეგ მან პირველმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ყოველი ცოდნა მდგომარეობს ჩვენი გარემომცველი საგნების გამოკვლევაში; მან უარყო არისტოტელესეული ანალიტიკა; შემოსაზღვრა ლოგია შთაბეჭდილებათა მეშვეობით ჩვენი ცნებების წარმოშობისა და ამ ცნებებისაგან ცოდნათა შედგენის განხილვით. ბეკონს გაჰყენეს: გერმანიაში იოანე ბაიერი თავის თხზულებაში სათაურით გონებათა სინათლე (Lux mentium sev synosura, 1663); იტალიაში — თომა კამპანელი; საფრანგეთში — გასენდი, რომელიც ცდილობდა მკვდრეთით აღედგინა ეპიკურე საუკეთესო სახით და, მასასადაგმე, ასწავლიდა ცდის მიხედვით მსჯელობას; თავისი ლოგია მან დააყარა ეპიკურეს კანონიკაზე და გაპყო იგი ოთხ ნაწილად: 1) მარტივ წარმოდგენათა შესახებ, 2) წინადადებათა შესახებ, 3) სილოგიზმების შესახებ, 4) მეთოდის შესახებ. გასენდის ჰეცხავენ იმისათვის, რომ მან ორგანონში უყურადღებოდ დატოვა ბევრი მნიშვნელოვანი თვალსაზრისი. კარტეზიუსს თუმცა ლოგია არ დაუწერია საგანგებოდ, მაგრამ მისი მსჯელობა ჰეშმარიტების ძიებისათვის გონების წარმართვის წესის შესახებ ყურადღების ღირსია. ამ მწერლებმა ხმარებაში შემოიღეს მათემატიკური მეთოდი. გვალტერ ჩირნპაუზენი, თავის თხზულებაში გონების მკურნალობა (Medicina mentis), რომელიც ლაიფციგში გამოვიდა 1695 წელს, ცდილობდა ეს მეთოდი აეხსნა თავისი ცოდნით გეომეტრიასა და ალგებრაში. მალებრანშსა და ლოკს განსაკუთრებულად ლოგიკის შესახებ არ დაუტოვებიათ ნაწარმოებები; მაგრამ ლოკმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ლოგიკას ცნებათა თეორიის გაშლით; იგი, უწინარეს ყოვლისა, გვიჩვენებს მათ წარმოშობას, შემდეგ მათ შედგენასა და დაშლას, მერმე გამოხატვას და, დასასრულს, განსაზღვრავს ჩვენს ცოდნას, მის თვისებას, მოცულობას, ნამდვილობას, — ერთი სიტყვით, ჰეშმარიტების განმა-

სსკეაებელ ნიშნებს იძლევა. კლერაიკმა, ლოკის ერთგულმა მიმდევარ-
მა, თავისი ლოგიკა ოთხ ნაწილად გაყო, რომელთაგან პირველ ნაწი-
ლში იგი განმარტავს იდეებს, მეორეში — მსჯელობებს, მესამეში —
მეთოდს, მეოთხეში — დასკვნებს. გერმანიაში: ქრისტიანე თომაზიუსს
არ მიუტოვებია ეკლექტიკური გზა თვით ლოგიკაშიც; მისმა თანამე-
ღროდემ და მეგობარმა რიდიგერმა, რომელიც ბევრ ახალს გვპირდებ-
ოდა, გადმოგვცა ოთხ წიგნში, ქეშმარიტისა და მცდარის შემეცნე-
ბის შესახებ (De sensu veri et falsi), ძველივე, მხოლოდ ახლებურად
და სხვა გამოთქმებით. კონდილიაკს, რომელმაც ლოკის მხარე დაი-
კირა, არ შეეძლო შეჩერებულყო იმაზე, რაც მის დრომდე გაკეთდა.
მას: სურდა თვითონ, საკუთარი გამოცდილებით, შეემოწმებინა ლო-
კის დაკვირვებანი და დაწვრილებით გამოეკვლია ჩვენი გონების ძა-
ლები; მისი ცდა ადამიანის ცოდნათა წარმოშობის
შესახებ — მისი გონების პირველ სწრაფვათა ნაყოფია; მაგრამ ამ
ნაწარმოების უმწიფრობამ დააწერინა მას შეგრძნებათა გა-
მოკვლევა, რომელშიც იგი ცდილობს გამოასწოროს თავისი სა-
კუთარი შეცდომები. ამ თხზულებათა შემდეგ კონდილიაკი შეუდგა
ლოკიკას, რომელიც ამიტომ, ასე ვთქვათ, მის საკუთარ აღმოჩენათა
მიმოხილვას შეადგენს; აქ განხილულია: სულის უნარიანობა, ცნებათა
შედგენა, შინაგანი და გარეგანი სამყაროს ნამდვილობა, ცოდნათა
სრულყოფა, და ენის გავლენა მათზე. კონდილიაკის ლოგიკა სამუდამოდ
დარჩება სახელმძღვანელოდ დაკვირვებული გონების მქონეთათ-
ვის. კონდილიაკს და ლოკს გაჰყვა მეცნიერი დე ჟერანდო. მისი თხზუ-
ლება, აზროვნების კანონების, ანუ ხელოვნების
შესახებ, სავსებით გადაგვიშლის ცდისეული ფილოსოფიის სისტე-
მას და ასწორებს ლოკისა და კონდილიაკის ზოგიერთ ნაკლს.

V

ვოლფის ლოგიკა

§ 9

ვოლფი ცდილობდა გადმოეცა ლოგიკა მათემატიკურად, აეხსნა
უმაღლეს მეცნიერებათაგან ნასესხები მაგალითებით და სიცხადისა
და სრულყოფილობის შესაძლო სიმაღლემდე აეყვანა. რეიშმა შეაერთა
ქველთა შენაძენი იმასთან, რაც ვოლფმა ამ სარბიელზე შექმნა. ბაუმ-
გარტენის ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა ვოლფიდან და რეიშიდან
ამონაკრები. გეორგ ფრ. მაიერის, გოლიანის და პლუკეს თხზულე-
ბებმა დიდად შეუწყო ხელი ლოგიკურ ქეშმარიტებათა ნათელ გა-
დმოცემას.

კანტონის ჩვენს დრომდე

კრიტიკული ფილოსოფიის მიერ გაწმენდილი და დადგენილი
ლოგიკა

§ 10

რადგან ლოგიკის საგანს მეტად ახლო დამოკიდებულება აქვს ჩვენი სულის უნარიანობასთან, ამიტომ ზოგიერთი უახლესი ფილოსოფოსი აერთებდა ლოგიკასა და ფსიქოლოგიას, ამ მეცნიერებათაგან პირველის მეტი ადვილგასაგებლობისა და სიცხადისათვის. ასეთ ყაიდაზეა დაწერილი ფედერისა და ულრიხის დარიგებანი ლოგიკისა და მეტაფიზიკის შესახებ. კანტის გამჭრიახმა გენიამ ახალი სახე მისცა გონებისმეტყველებას და მტკიცე საზღვრები დაუდო მას; მან დაამტკიცა ლოგიკის კანონების წარმოშობა გონებისეული და არა ცდილური წყაროდან; წარმოგვიდგინა კატეგორიათა სათანადო და საფუძვლით სრული ცხრილი; აღმოაჩინა ლოგიკის ჭეშმარიტი ღირსება და მისი წესების გამოყენების საზღვრები. გოტლ, ვენ. იეშემ კანტის თხზულებებიდან და უმთავრესად მაიერის შესახებ მისი შენიშვნებიდან, შეადგინა და გამოსცა ლოგიკა 1800 წელს კენიგსბერგში. კიზევიტტერმა წარმოგვიდგინა ესოდენ ცნობილი ნარკვევი წმინდა საყოველთაო ლოგიკისა კანტის საფუძვლების მიხედვით ბერლინში 1795 წელს. მათ კვალდაკვალ ბევრი სახელგანი მოაზროვნე გერმანიაში ცდილობდა დაემთავრებინა ის, რაც მოსალოდნელი იყო ახალი გზის აღმოჩენიდან და ახალი საწყისების გამოყენებიდან; მათ შრომას ფუჟად არ ჩაუვლია; მათ დაუვიწყარი სამსახური გაუწიეს ცოდნის იმ დარგს, რომელიც არა მარტო არსებითად აუცილებელია ყოველი მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლის საქმეში, არამედ თვით ყოველდღიურობაშიც უფრო მეტად სასარგებლოა, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ. იაკობის, რაინჰოლდის, შულცის, ჰოფბაუერის, კრუგის, ბულეს, ბუტერვეკის და სხვათა შრომები მუდამ მიიპყრობენ ყურადღებას.

ლოგია

თ ა ვ ი I

გონება

§ 1

ლოგია არის მეცნიერება გონების კანონების შესახებ; მაშასადამე, პირველი კითხვაა: რა არის გონება? მეორე — როგორია მისი კანონები?

განსჯა ეკუთვნის შემეცნების უნარის დარგს, რომლის საზღვრებს გრძნობა და გონება შეადგენენ. გრძნობის საგანია ნივთიერი სამყარო; გონების საგანი კი — იდეალური, უხილავი, სულიერი. გრძნობა მხოლოდ ღებულობს; ეს არის ვნებითი ძალა, მარტოოდენ ცდით შემოსაზღვრული, რომელიც შთაბეჭდილებათა ცალკეულ მასალას წარმოადგენს; ამ საფეხურზე ჯერ კიდევ არ არის შემეცნება, ვინაიდან არ არის ერთიანობა; აქ მარტოოდენ მრავალფეროვნებაა იმდენადვე უსასრულო, რამდენადც უსასრულოა მოვლენათა ჯაჭვი მათი ცვლილებებითურთ. გონება არ ექვემდებარება ცდას; იგი მოქმედი ძალაა; ერთიანობა და ჰარმონია შეადგენენ მის ნაწარმოებთა ნიშანს. შუალობითი ძალა, რომელიც შემეცნების უნარის ამ ორ კიდურ წერტილს აერთებს, არის განსჯა; მასში იმყოფება ვნებითობაც, რომელიც გრძნობად მხარეს სჩვევია, და დამოუკიდებელი მოქმედებაც, რომელიც გონებრივ მხარეს ეკუთვნის. არაფერია გრძნობაში ისეთი, რაც ნივთიერ ბუნებაში არ იყოს: ცდა ცხადად ამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას. გონებაში არაფერი არ შეიძლება იყოს, რაც გრძნობას ექვემდებარება: ამას ადასტურებს ადამიანისა და ნივთთა ბუნების ერთი თვალის გადავლება. არისტოტელემ თქვა: არაფერია გონებაში მათისეთი, რაც უწინ გრძნობაში არ ყოფილიყო; ლაიბნიცმა დაუმატა: გარდა თვით გონებისა, — და ეს დამატება სრულიად აუცილებელია იმისათვის, რათა განმარტებულ

იქნეს გონების რაობა. ამრიგად, გრძნობის აუცილებელი მოთხოვნა-
ლებაა შეგრძნებათა მრავალგვარობა; გონების უმაღლესი
კანონია ერთიანობა — იდეა; განსჯის უცვალვებელი წესია ერ-
თიც და მეორეც, ერთად აღებული: ერთიანობა მრავალ-
გვარობაში — ცნება. შეგრძნებათა მრავალგვარობა ცნობიერე-
ბის ერთიანობამდე დაიყვანოს და უზენაესი იდეები ცნებებად ჩამო-
აყალიბოს, — აი განსჯის საქმე! მაგრამ როგორ ხდება ეს?

გრძნობებზე ამა თუ იმ საგნის ყოველი მოქმედების დროს სული
ნიმართავს მიღებულ შთაბეჭდილებებს, გაიგებს გრძნობად სისტემა-
ში მომხდარ ცვლილებას, ე. ი. განასხვავებს თავის თავს მოქმედი სა-
გნისაგან და, ასე ვთქვათ, უმზერს მას. სულის ასეთი პირველი მიმა-
რთვა გრძნობადი ორგანოს აღძვრისადმი არის შეგრძნება; ის,
რასაც ჩვენ შევიგრძნობთ, უნდა წარმოდგენილ იქნეს სადმე და
ოდესმე, ანუ სივრცესა და დროში, მყოფად და, ამრიგად, უნდა
შეაძინოს მეტი ერთიანობა, იღებს რა თავის თავზე თანამყოფობისა
და მიმდევრობის ამ საყოველთაო სახეებს. ამ ახალი სახით იგი კვლავ
წარმოუდგება სულს და მისი შემდგომი შინაგანი მოქმედების საგანი
ხდება. სულის ეს მეორადი მიმართვა შეგრძნების მასალისადმი არის
ჩაწვდომა ანუ გააზრება (reflexio). აქ სული თავისი ყურადღების სა-
განს გაცილებით უფრო ნათლად ჰკრეტს და მას ერთიანობის ახალ
ნიშნებს ანიჭებს. როცა უკვე რამდენიმე ნივთი წარმოდგენილია
ცნობიერების ამ საფეხურზე, ყურადღება ამჩნევს თვითეული მათგან-
ის ნიშნებს; ყოველი ახალი შთაბეჭდილებით საგანთა რიცხვი დიდ-
დება და ჩაწვდომის საქმე სულ უფრო ძნელდება. ხოლო რადგანაც
შთაბეჭდილებათა რიგს უსასრულობამდე განვრცობა შეუძლია, ამი-
ტომ, იკარგება რა ამ უსაზღვრო ნაირსახეობაში, შემეცნებითი ძალა
უნდა გაფანტულიყო, რომ გონების მოქმედებით არ აძლევდეს იგი
ამ შთაბეჭდილებებს ერთიანობას, თუნდაც შეფარდებითს; ამიტომ,
გამოტოვებს რა კერძო ნიშნებს, ყურადღება ჩერდება მხოლოდ იმაზე,
რაც მრავალი შეგრძნობადი საგნისათვის დამახასიათებელია, და
ამრიგად შეადგენს ზოგად წარმოდგენებს. ადარებს რა ამ უკანასკ-
ნელთაგან ზოგიერთს, იგი კვლავ ტოვებს ყოველივე იმას, რაც კერძოდ
თვითეულ მათგანს შეეფერება, და, ასე ვთქვათ, სწვდება იმ ნიშნებს,
რომელთაც კიდევ უფრო მეტი საყოველთაობა აქვთ. ამრიგად, იმეო-
რებს რა აუცილებლობით ამ მოქმედებას შეუწყვეტილ, შემეცნე-
ბითი ძალა თანდათანობით აღის მალლა და მალლა კერძოდან საყო-
ველთაოზე, მრავალგვარობიდან ერთიანობაზე. ეს მოქმედება არის
აზროვნება, ხოლო უნარი ამისა — განსჯა; შედარება და განყენება
მისი ორი მთავარი მოქმედებაა; ცნებები, და ამიტომ მსჯელობანიც
და დასკვნებიც ამ მოქმედებათა შედეგებია.

ამიტომ განსჯა წარმოიდგენს ნივთებს მხოლოდ ისე, როგორც ისინი გრძნობებს ევლინებიან, როგორც ცნობიერებაში აისახებიან. შექმენებაც აგრეთვე ცნობიერებაა, მაგრამ ერთი საგნის მეორის საშუალებით განმსაზღვრელი; ცნობიერება, როგორც განსხვავება თავისი თავისა საგნებისაგან და თვითსაგნებისა ერთმანეთისაგან, გულისხმობს: 1) იმ არსების მყოფობას, რომელიც იცნობს თავის თავს, ანუ შეიცნობს; 2) შეცნობადი საგნის მყოფობას; 3) მათს ურთიერთდაპირისპირებას. ამრიგად, შემეცნების ყოველ საფეხურზე ერთობლივ იმყოფება საგანიც და სულიერი ძალაც; ყოველი წარმოდგენა შინაგანი და გარეგანი სამყაროს ნაწარმოებია; ერთი სიტყვით, ცნობიერების ყოველ მოქმედებაში, რაც გონებას ახასიათებს, ნათლად მელაენდება: a) დებულება (thesis), b) დაპირისპირებულობა (antithesis) და c) შეუღლება, ანუ შეერთება პირველისა და მეორისა (synthesis). მოქმედების ამ წესს აქვს უგამონაკლისო საყოველთაოობა და გარდუვალი აუცილებლობა ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის; მაშასადამე, ეს გონების კანონია (Lex seu principium intellectus).

თ ა ვ ი II

აზროვნების კანონები

§ 3

ეს გონების თვისებას ჩაუუკვირდებით, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ აზროვნების თვით პირველ მოქმედებაშიც უკვე უნდა იყოს მოაზროვნისა და სააზროვნოს დაპირისპირებულობა. სული, ხედავს რა ამ დაპირისპირებულობას, შეიცნობს, რომ მოაზროვნე სრულიად განსხვავებულია სააზროვნოსაგან, და რომ წარმოსადგერი საგანი არასგზით არ შეიძლება იყოს იმ ქვემდებარედ, რომელიც მას წარმოიდგენს, ე. ი. სული ამ შემთხვევაში სავსებით რწმუნდება იმაში, რომ შეუძლებელია რაიმე იყოს და ამასთანავე არც იყოს, ანუ შეუძლებელია ორი მოპირისპირე ნიშანი ერთბაშად მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე საგანს. აი კანონი, რომელსაც გონება მისდევს აზროვნების თავდაპირველი მოქმედების დროსაც; მას ეწოდება წინააღმდეგობის პრინციპი (principium contradictionis).

აზროვნების შემდგომ მოქმედებებში გონება აუცილებლად იმავე პრინციპს მიჰყვება; ვინაიდან, რათა რომელიმე საგანი წარმოიდგინოს, სულმა იგი უნდა დაუპირისპიროს თავის თავს, განასხვავოს იგი როგორც თავის თავისაგან, ისე სხვა საგნებისგანაც; ამიტომაც აზრში ყოველი წარმოდგენის დროს ცნობიერება ირწმუნება, რომ საგანი A არ არის საგანი B, ეს უკანასკნელი კი განსხვავებულია C საგნისაგან და ასე შემდეგ.

ამნიარადვე განვასხვავებთ საგნების სახეებსა და გვარებს, ე. ი. ასევე ვუპირისპირებთ მათ ერთიმეორეს მათი წინააღმდეგობრივი ნიშნების მიხედვით; ამასთან, ჩვენ არა თუ არ ვეჭვობთ, რომ წინააღმდეგობრივი ნიშნებიდან მხოლოდ ერთი რომელიმე შეიძლება მივაწეროთ საგანს, არამედ, აგრეთვე, სრულიად დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ ასეთი ნიშნებიდან ყოველ შესაძლებელ არსებას ერთი უსათუოდ შეეფერება. ამ მსჯელობით გამოიხატება მესამის, ანუ საშუალოს გამორიცხვის პრინციპი (principium exclusi tertii seu medii).

შემდეგ, ჩვენი სული, აზრთა და შეგრძნებათა მთელი ცვალებადობის მიუხედავად, მუდამ სულად რჩება; გარეგან სამყაროშიც ასევე, ვტოვებთ რა ყურადღების გარეშე შემთხვევით ნიშნებს, ვამჩნევთ საგანთა არსებითს, მუდმივ თვისებებს, რომელთა მეოხებით ყოველ საგანს წარმოვიდგენთ მუდამ თავისი თავის ტოლად, მუდამ ერთ და იმავე საგანად; აზროვნების თვით თავდაპირველ მოქმედებაშიც კი ნათლად შევიცნობთ, რომ მე არის მე, და არა-მე არის არა-მე, როგორც აქას ფიხტე გამოთქვამს. ასეთი ერთიანობის შეგნებაში მდგომარეობს იგივეობის პრინციპი (principium identitatis), ე. ი. $A=A$; ყოველი შესაძლებელი არსება უდრის თავის თავს.

დასასრულ, აზროვნება ქმნის სხვა გვარის შეუღლებას — დაბალ, უფრო მჭიდრო წრეებს, დაქვემდებარებულთ უმაღლესისადმი, უფროცელესისადმი; მაგრამ ეს დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ რომელიმე მესამე ცნების საშუალებით, ასე რომ, ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ცხადად თუ ფარულად იმყოფება საშუალო ტერმინი; ამიტომ ყველა ჩვენი მსჯელობა ემყარება საკმაო მიზეზის პრინციპს (principium rationis sufficientis). ყოველივეს, რის შესახებაც კი აზროვნება შეიძლება, უნდა აქონდეს საკმაო საფუძველი, ანუ: ორი საგანი, თანხმობადი მესამისა, თანხმობადია ურთიერთისაც: — თუ $A=B$ და $B=C$, მაშინ $A=C$.

აი ლოგიკური კანონები. ცხადია, რომ წინააღმდეგობის, საშუალოს გამორიცხვისა და საკმაო მიზეზის პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა დებულება (thesis), დაპირისპირება (antithesis) და შეერთება (synthesis); ყველა ისინი გამოიხატება ფორმულით $A=A$, ანუ იგივეობის ლოგიკური პრინციპით (principium unitatis); აქ პირველი A პირდაპირ დადგინდება (thesis); მეორე A უპირისპირდება პირველს (antithesis); ხოლო ნიშანი = გვიჩვენებს, რომ დებულება და დაპირისპირება გაკეთებულია, და, ამრიგად, აერთებს ამ განტოლებას ორივე წევრს (synthesis).

ამიტომ ყოველი საგანი და მისი ყველა ნიშნის ერთობლიობა შეთავსებადია (principium unitatis); მათში არ შეიძლება იმყოფებოდეს წინააღმდეგობრივი ნიშნები (principium contradictionis); მაშასადამე, იგივეობის პრინციპი მოითხოვს წინააღმდეგობის პრინციპის დაშვებას. ხოლო რადგანაც წინააღმდეგობრივი ნიშნები არ შეიძლება იმყოფებოდეს ერთსა და იმავე საგანში, ამიტომ ერთ ქვემდებარეში დასაბუთებული თვისებები უნდა თანხმობადნი იყვნენ ერთმანეთთან; ეს კი სათანადო საფუძვლის გარეშე შეუძლებელია; მაშასადამე, საკმაო მიზეზის პრინციპი (principium rationis sufficientis) ასევე აუცილებელია. და რადგანაც ყოველი წინააღმდეგობა ცნებათა მთელ არეს ორ სრულიად მოპირისპირე ნაწილად ჰყოფს, ამიტომ ყოველი წარმოდგენა აუცილებლად მოთავსებული უნდა იყოს რომელიმე ამ ნაწილში. ეს არის მესამის გამორიცხვის პრინციპი (principium exclusi medii). ამ პრინციპებით გამოიხატება შესაძლებლობა (წინააღმდეგობის პრინციპი), ნამდვილობა (მესამის გამორიცხვის პრინციპი) და აუცილებლობა (საკმაო მიზეზის პრინციპი) შემეცნებისა, ე. ი. ჩვენი გონებისადმი საგანია მიმართების სრული კატეგორია (Categoria modalitatis). ამრიგად, ამ პრინციპების განსხვავება შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ მათ ერთმანეთს შევადარებთ. ავიღოთ ორი ნიშანი; ისინი იქნებიან ან ისეთნი, რომ ერთის დადგენით მეორეც აგრეთვე დადგინდება, და ერთის უარყოფით ასევე მეორეც ბათილდება; ესაა იგივეობის პრინციპი; ან ისეთნი, რომ ერთის დადგენით მეორეც ბათილდება; წინააღმდეგობის პრინციპი; ან ისეთნი, რომ ერთის უარყოფით მეორეც დადგინდება; მესამის გამორიცხვის პრინციპი; ან, დასასრულ, ისეთნი, რომ ერთის დადგენით მეორეც დადგინდება ან უარიყოფა, მაგრამ არა აუცილებლად, არამედ რომელიმე შუალობით მესამე ნიშნის მიზეზით; და ერთის უარყოფით მეორეც უარიყოფა ან დადგინდება, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ რაიმე საფუძვლის ძალით: — ესაა საკმაო მიზეზის პრინციპი.

მ ს ჯ ე ლ ო ბ ა

§ 5

საყოველთაო კანონი, რომლის მიხედვით გონება ყველა თავისი მოქმედებისას იქცევა, გამოიხატება ფორმულით $A=A$ და არის დებულება, დაპირისპირება და შეუღლება. საგნები რომ წარმოვიდგინოთ, უნდა დავუპირისპიროთ ერთი მათგანი მეორეს, შემდეგ კი ეს დაპირისპირებანი შევაერთოთ, თუნდაც ფორმალურად (აზრობრივად). პირველი დაპირისპირება ხდება თვით მოაზროვნე ძალასა და საგანს შორის; სულს არ შეუძლია სხვანაირად შეიცნოს საგანი, თუ არა თავისი თავისაგან მისი განსხვავებით და მისდამი თავისი თავის დაპირისპირებით. შემდეგ უნდა განმეორებულ იქნეს დაპირისპირების იგივე მოქმედება თვით საგნებს შორის, რათა ისინიც განვასხვაოთ ერთმანეთისაგან: სხვაგვარად მათი შეცნობა შეუძლებელია. მაგრამ აქ გონება განასხვავებს რა საგნებს მათი დაპირისპირებული თვისებების მიხედვით, აერთებს მათ სხვა მხრივ, ე. ი. იმ ნიშნების მიხედვით, რომელნიც მათთვის საერთოა. ასეთია გონების მსვლელობა ყველა მის მოქმედებაში: იგი ყოველთვის ადარებს ერთ სფეროს მეორეს, რათა მათი მსგავსება ან განსხვავება მონახოს, და სწორედ ამაში მდგომარეობს მსჯელობაც, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება, სადაც ერთი ნივთის წარმოდგენა მეორის წარმოდგენით განისაზღვრება, და მათი მსგავსება ან განსხვავება მულავენდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ მსჯელობაში აუცილებლად არის: 1) ორი სფერო: ა) მსაზღვრელი, ბ) სასაზღვრი; პირველი უეჭველად უნდა იყოს უფრო ვრცელი, მეორე — უფრო ვიწრო; პირველი შემასმენელია, მეორე — ქვემდებარე; 2) ამ სფეროთა ურთიერთდამოკიდებულების გამოსახულება, ე. ი. კავშირი (copula). ამრიგად, ყოველ მსჯელობაშია ქვემდებარე, შემასმენელი და კავშირი; სხვანაირად რომ გამოვხატოთ: დებულება (thesis=წინააღმდეგობის პრინციპი), დაპირისპირება (antithesis=მესამის გამორიცხვის პრინციპი) და შეერთება (synthesis=საკმაო მიზნის პრინციპი). აქედან ნათელია, რომ მსჯელობა შეუძლებელია თავისი არსით შედგებოდეს მხოლოდ ერთი ან ორი ნაწილისაგან, არამედ იგი უნდა შედგებოდეს უთუოდ სამი ნაწილისაგან. განვიხილოთ ახლა თვითუ-ული მათგანი ცალ-ცალკე.

§ 6

შემასმენელი შეიძლება მიეკუთვნოს ან მხოლოდ ერთ ქვემდებარეს, ან რამდენიმეს, ან ყველას, რომელთაც ესა თუ ის სასა-

ზღვრი სფერო შეიცავს; მსჯელობის მეოთხე წესი ამ მხრივ შეუძლებელია. ამრიგად, მსჯელობა არის ხოლმე: ან მხოლოდობითი, ან კერძო ან საყოველთაო; ერთის ცნება არის ცალკეული მსჯელობის ფორმა; მრავალის ცნება შეადგენს კერძო მსჯელობის ფორმას; საყოველთაოობის (მთელობისა და სისრულის) ცნება გამოხატავს საყოველთაო მსჯელობის ფორმას. ეს სამი ფორმა შეადგენს ერთ ძირითად ცნებას, ანუ რაოდენობის კატეგორიას; ისიც აგრეთვე სხვა არაფერია, თუ არა დებულება (thesis), დაპირისპირება (antithesis) და შეერთება (synthesis); ვინაიდან მხოლოდობითი ანუ ერთეულადი უპირისპირდება საყოველთაოს ჯაგრთმანეთს უერთდებიან კერძოში.

§ 7

თუ ყურადღებას მივაქცევთ თვით შემასმენელს, ადვილად შევამჩნევთ, რომ აქაც შესაძლებელია, არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ სამი წესი მსჯელობისა; ვინაიდან შემასმენელი 1) ან პირდაპირ მიეკუთვნება ქვემდებარეს, ან 2) არაპირდაპირ, ე. ი. მისი მოპირდაპირის მოცილების საშუალებით, ან, ბოლოს, 3) სრულიად არ მიეკუთვნება და უარიყოფა ისე, რომ მის ადგილას არაფერი არ დადგინდება. მაშასადამე, ამ მხრივაც შესაძლებელია მხოლოდ სამი ფორმა ცნებისა: ნამდვილობისა, ანუ დადებითისა (=thesis=), უარყოფისა (=antithesis=) და შეზღუდვისა (=synthesis=). ეს სამი ფორმა კვლავ შეადგენს ერთ ძირითად ცნებას. ანუ მეორე კატეგორიას — თვისებრიობას, რომელიც პირველთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც დაპირისპირება (antithesis) დებულებასთან (thesis). ამრიგად, ამ კატეგორიის სამი მთავარი ცნების მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ სამი სახის მსჯელობა: დადებითი, უარყოფითი და შეზღუდვითი.

§ 8

მსჯელობის მესამე არსებითი ნაწილი, კავშირი (copula) შეესაბამება გონების მესამე პრინციპს, ე. ი. შეერთების პრინციპს (synthesis), ან საკმაო მიზეზის პრინციპს (principium rationis sufficientis); კავშირი, გამოხატავს რა წესს, რომლითაც ქვემდებარე უერთდება შემასმენელს, ყოველ მსჯელობაში აღნიშნავს ან a) საგანთა მიმართებას ერთმანეთთან, ან b) მათ მიმართებას ჩვენს გონებასთან.

a) რაც შეეხება პირველს, ე. ი. საგანთა ურთიერთმიმართებას, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ შემასმენელი მიეკუთვნება ქვემდებარეს ან 1) ყოველგვარი პირობის გარეშე, როგორც არსებითი ან შემთხვე-

ვითი თვისება თავის საგანს; ან 2) რაიმე პირობით, როგორც შედეგი თავის მიზეზს; ან, ბოლოს, 3) მიეკუთვნებთ რა რამდენიმე შესაძლებელ შემასმენელს ერთ ქვემდებარეს, შესაძლოა არც ერთი მათგანი არც ვამტიკოთ, არც უარყოთ მის შესახებ ნამდვილად; მაშასადამე, აქ ამჟღავნებენ თავის ძალას ძირითადი ცნებები: 1) არსებული და შემთხვევითობა, 2) მიზეზი და შედეგი და 3) ურთიერთკავშირი (commercium). ამ ცნებებით განისაზღვრება ნივთთა შესაძლო ურთიერთმიმართებათა წრე; აქედან კი წარმოდგება სწორედ სამნაირი სახის მსჯელობა ამ კატეგორიის მიხედვით: კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ა, პ ი რ ო ბ ი თ ი და გ ა ყ ო ფ ი თ ი.

h) რაც შეეხება მეორეს, ე. ი. საგანთა მიმართებას გონებისადმი, იგი მუდამ აღნიშნავს შემეცნების ხარისხს; აქ განსჯა აერთებს ქვემდებარეს შემასმენელთან ან 1) მხოლოდ არა გადაჭრით (პ რ ო ბ ლ ე მ ა ტ უ რ ა დ), ე. ი. მიაჩნია, რომ მტკიცება ან უარყოფა არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობას, რითაც მსჯელობა გამოიხატავს შესაძლებელს; ან 2) გადაჭრით (ა ს ე რ ტ ო რ უ ლ ა დ), ნამდვილად უარყოფს, ან მიაკუთვნებს შემასმენელს ქვემდებარეს, და ასეთი მსჯელობით გამოიხატება ნ ა მ დ ვ ი ლ ი; ან, ბოლოს 3) ა პ ო დ ი ქ ტ ი კ უ რ ა დ, აუცილებლად შეაერთებს, ან განაშორებს მსჯელობის ორ სფეროს, რითაც გამოიხატება ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი. მსჯელობის მეოთხე წესი ამ მხრივაც შეუძლებელია: ამიტომ, ძირითადი ცნებები გონებისადმი საგანთა მიმართების კატეგორიაში და მსჯელობის ფორმა მხოლოდ სამია: 1) შესაძლებელი და შეუძლებელი = მსჯელობა არაგადაჭრითი, პ რ ო ბ ლ ე მ ა ტ უ რ ი; 2) ნამდვილობა და არყოფა = მსჯელობა გადაჭრითი, ა ს ე რ ტ ო რ უ ლ ი; 3) აუცილებელი და შეუძლებელი = მსჯელობა აპოდექტიკური: აქ შესაძლებელი (thesis) უპირისპირდება აუცილებელს (antithesis) და ერთმანეთს უერთდებიან ნამდვილში (synthesis).

§ 9

ამიტომ რაოდენობის, თვისებრიობისა და მიმართების ძირითადი ცნებები ერთმანეთს შეეფარდება ისე, როგორც დებულება, დაპირისპირება და შეერთება, ვინაიდან რაოდენობას შეიცავს ქვემდებარე (thesis), თვისებრიობას — შემასმენელი (antithesis), მიმართებას (synthesis) კი დავინახავთ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის არსებული კავშირიდან (copula). შემდეგ, ყოველ კატეგორიაში სამი სახის მსჯელობაა, და სამივე ისევე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც დებულება, დაპირისპირება და შეერთება, ან როგორც წინა-

აღმდგომის, მესამის გამორიცხვისა და საკმაო მიზეზის პრინციპები. მაშასადამე, მსჯელობის ყველა ფორმა გამოიყვანება გონების პრინციპებიდან.

§ 10

ამ კატეგორიათა შეერთებამ შეიძლება წარმოშვას კიდევ მსჯელობის სხვა სახეობანიც. ასე, მაგალ. თუ მსჯელობაში ჩვენ რაოდენობასა და თვისებრიობას ერთად განვიხილავთ, მივიღებთ 12 სახეობას. მაშასადამე, ორი კატეგორიის ყოველ სხვა შეერთებასაც მსჯელობაში სახეობათა ასეთივე რიცხვი შეესაბამება, ასე რომ, ყველა ასეთი ფორმა წყვილ-წყვილი შეერთებიდან მიიღება 72, ხოლო, თუ შევეერთებთ სამ-სამ კატეგორიას, თითოეული შეერთებისათვის მივიღებთ 36 სხვადასხვა ფორმას და, მაშასადამე, სულ 144-ს; დასასრულ, თუ შევადარებთ ერთად ოთხ-ოთხ კატეგორიას, მივიღებთ სულ 108 ფორმას. მაგრამ, რადგანაც a) მხოლოდითი მსჯელობა საყოველთაოს ტოლფასია, ვინაიდან, როგორც ერთში, ისე მეორეშიც ქვემდებარის მთელ მოცულობას შემასმენლის სფერო შეიცავს; რადგანაც b) შეზღუდვითი მსჯელობა ლოგიკურ ხმარებაში დადებითან თანაბარ ადგილს იკავებს; რადგანაც, დასასრულ, c) პირობითი მსჯელობა რაოდენობის მიხედვით საყოველთაოა, თვისებრიობის მიხედვით — დადებითი, ხოლო თვით გონებისადმი მიმართების მიხედვით — მუდამ აპოდისტიკური: ამიტომ მსჯელობის ყველა აღნიშნული ფორმა შეიძლება დაყვანილ იქნეს 14-ზე. ამრიგად, მსჯელობა იყოფა შემდეგ ფორმებად:

1) კატეგორიული, რომელიც არის ხოლმე პრობლემატური, ასერტორული და აპოდისტიკური, და ამათგან თითოეული შეიძლება იყოს: ზოგადდადებითი (A), ზოგადუარყოფითი (E), კერძობითდადებითი (I) და კერძობითუარყოფითი (O) — რაც შემდეგი სქოლასტიკური ტაეპებით გამოიხატება:

Asserit A, negat E, sed generaliter ambo;

Asserit J, negat O, sed particulariter ambo.

2) პირობითი მსჯელობა მხოლოდ ერთი სახისაა;

3) გაყოფითი ასევე.

მაშასადამე, მსჯელობათა ყველა სახეობა ამდენია:

კატეგორიული	12
პირობითი	1
გაყოფითი	1

წესები სხვადასხვა გვარის წინადადებათათვის

§ 11

აქამდე ჩვენ განვიხილავდით მსჯელობის მხოლოდ ფორმას; ახლა ყურადღება მივაქციოთ მის მატერიას, ე. ი. მსჯელობათა ან წინადადებათა შედგენილობაში შემავალ ცნებებს; ვინაიდან წინადადება სხვა არაფერია, თუ არა ქვემდებარისა და შემასმენლის დაკავშირება, სიტყვებით გამოხატული. ცხადია, რომ მათი წარმოება არ შეიძლება სხვანაირად ხდებოდეს, თუ არა გონების იმავე საყოველთაო კანონების მიხედვით, რომლებითაც მსჯელობა წარმოებს, და, მაშასადამე, მათი წესები მხოლოდ პირველთა შედეგებია. ამრიგად,

1) წინადადებები, თავისი მატერიის რაოდენობის მიხედვით, არის ა) მარტივი, ბ) რთული.

ა) წინადადებას, რომელიც ცნებათა მარტოოდენ დაკავშირებას გამოხატავს და რომელშიც, მაშასადამე, მხოლოდ ერთი ქვემდებარე და ერთი შემასმენელია, ეწოდება მარტივი.

ბ) პირიქით, ის წინადადება, რომელშიც შეერთებულია განსჯის მრავალი ქმედება და, სადაც ამიტომ ან რამდენიმე ქვემდებარე, ან რამდენიმე შემასმენელია, ან, ბოლოს, ერთიც და მეორეც ერთად.— რაც ამასთან ან აშკარა, ან ფარულია, — იქნება რთული.

§ 12

2) თვისებრიობის მიხედვით წინადადებათა მატერია შეიძლება იყოს ან ერთი და იგივე, ან სხვადასხვა.

ა) ის წინადადებები, რომელთა მატერია არც თვისებრიობით, არც რაოდენობით არ განსხვავდება, იგივე ურნი ანუ ტოლფასნი არიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარტოოდენ სიტყვებით, ასეთებია: 1) ისეთნი, რომლებშიც ერთის ქვემდებარე და შემასმენელი შეიძლება დაისვას მეორის ქვემდებარისა და შემასმენლის ადგილას; 2) ისეთნი, რომელთაგან ერთი უარყოფს იმის საპირისპიროს, რასაც მეორე ამტკიცებს.

ბ) თუ წინადადებებს ერთი და იგივე შემასმენელი აქვთ, ხოლო მათი ქვემდებარენი ერთიმეორეს ისე შეეფარებიან, როგორც გვარის სახეს, მაშასადამე, განსხვავდებიან რაოდენობით, მაშინ მათ ეწოდება თანაფარდობითი წინადადებები. იმ წინადადებას, რომ-

მლის სფეროც უფრო ვრცელია და რომელიც, მაშასადამე, შეიცავს მეორე, უფრო ვიწრო სფეროს მქონე, წინადადებას, ეწოდება მაქვემდებარებელი, ხოლო მასში შემავალს — დაქვემდებარებულს. ასეთია ხოლმე მუდამ შეფარდება ზოგადი წინადადებებისა კერძო წინადადებებთან.

აქ ნათელია შემდეგი წესები:

1. თუ მაქვემდებარებელი წინადადება მართებულია, მაშინ დაქვემდებარებულსაც ასევე მართებულია.

2. მაგრამ დაქვემდებარებულის ქეშმარიტებიდან მაქვემდებარებლის ქეშმარიტება ყოველთვის როდი შეიძლება დავასკვნათ.

3. და პირიქით: თუ მაქვემდებარებელი მცდარია, დაქვემდებარებული ასეთივე როდია ყოველთვის.

4. ხოლო თუ მცდარია დაქვემდებარებული, მაშინ მით უფრო მცდარი უნდა იყოს მაქვემდებარებელი წინადადება.

ც) შემდეგ, წინადადებები მატერიის თვისებრიობის მიხედვით არის: 1) საპირისპირო, 2) წინააღმდეგობრივი და 3) ქვესაპირისპირო.

1. პირველია ისეთები, რომელთაგან ერთი უარყოფს იმაზე მეტს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ ნაჩვენები იქნეს მეორის უმართებულობა; ასეთებია:

ა) წინადადება ზოგადდადებითი და ზოგადუარყოფითი.

ბ) პირობითი, რომელშიც ერთის მომდევნო დაპირისპირებულაა მეორის მომდევნოსადმი.

2. წინააღმდეგობრივია ის წინადადებები, რომელთაგან ერთი უარყოფს მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ მეორე მცდარად გვიჩვენოს; — ამრიგად:

ა) მხოლოდობით დადებითს ეწინააღმდეგება მხოლოდობით უარყოფითი.

ბ) ზოგად-დადებითს ეწინააღმდეგება კერძობით-უარყოფითი.

ც) პირობითს ეწინააღმდეგება მეორე პირობითი, რომლითაც პირველის შედეგი უარიყოფა.

დ) გაყოფითს ეწინააღმდეგება მეორე გაყოფითი, რომლითაც გამოირიცხება პირველ წევრში მოთავსებული.

3. ქვემოპირდაპირეა ის წინადადებები, რომელთაგან ერთი უარყოფს იმაზე ნაკლებს, რამდენიც საჭიროა მეორის უარსაყოფად; ასეთებია:

ა) კერძობით-დადებითი და კერძობით-უარყოფითი.

ბ) თვითეული დადებითი და უარყოფითი წინადადება, თუ ისინი აღებულია მხოლოდ ერთი რომელიმე მიმართებით, ან პირობით.

შენიშვნა. ქვემოპირდაპირე წინადადებათა დაპირისპირება არ არის. ქვეშარიტი, არამედ მხოლოდ მოჩვენებითია, იმიტომ, რომ მაი:ში არის არა ერთი და იგივე ქვემდებარე, არამედ სხვადასხვა.

§ 13

3. წინადადებებს შორის არსებობს დაქვემდებარებულობისა და თანადაქვემდებარებულობის მიმართება: აქედან წარმოდგება საფუძველი და დაფუძნებული. საფუძველი ან საწყისები ეწოდება წინადადებებს, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვებისაგან; ასეთებია:

ა) აკსიომაები — თეორიული საწყისები ანუ გონებახედვითი წინადადებანი, რომელნიც უშუალოდ ცხადნი არიან და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებენ, მაგ., $A=A$.

ბ) მოთხოვნები (postulata) პრაქტიკული საწყისებია, ქმედითი წინადადებანი, უშუალოდ ცხადნი, რომელიმე მოქმედების განმსაზღვრელნი; ასე, მაგალ., ერთი წერტილიდან მეორისაკენ მუდამ შეიძლება სწორი ხაზის გავლება.

დაქვემდებარებული, ანუ ნაწარმოები წინადადებები არიან ან პირველმნიშვნელოვანნი, ან მეორადნი.

პირველთ მიეკუთვნება: ა) თეორემა — დამტკიცებადი გონებახედვითი წინადადება, ბ) პრობლემა — ქმედითი წინადადება, რომელიც ამოხსნას მოითხოვს. მაშასადამე, ყოველ თეორემაში არის დებულება და დასაბუთება. ყოველ პრობლემაში კი უნდა იყოს: ამოცანა, ამოხსნა და დასაბუთება.

მეორადია ის წინადადებები, რომელნიც ან ზემოხსენებულთაგან უშუალოდ გამომდინარეობენ, რის გამოც მათ შედეგები ეწოდება, ან რომელთაც სესხულობენ სხვა მეცნიერებათაგან — ლემები; ანდა, ბოლოს, რომლებსაც განმარტებისათვის უმატებენ — შენიშვნები (scholia).

§ 14

დასასრულ, წინადადებები გამოხატავენ რაიმე ცნებას ან არასაქციაოდ, ან ნათლად და სრულყოფილად. ნათლად და სრულყოფილად საგნის აღნიშვნა შეიძლება ორნაირად: ა) მისი რაოდენობის მიხედვით, ბ) მისი თვისებრიობის მიხედვით; წინადადებებიც ამ მხრივ ორგვარია:

1) საგნის თვისებრიობის აღმნიშვნელნი, ე. ი. განსაზღვრებენ; 2) საგნის რაოდენობის აღმნიშვნელნი, ე. ი. გაყოფანი.

1) განსაზღვრება არის წინადადება, რომელშიც რაიმე საგანი თავისი გვარობითი და, ამასთანავე, სახეობითი ნიშნების მიხედვით ისე აიხსნება, რომ შეიძლება მისი განსხვავება ყველა სხვა საგნისაგან. მართლაც, საგანი მხოლოდ მაშინაა სრულყოფილად აღნიშნული, როცა ნაჩვენებია: 1) ის წრე, რომელშიც იგი მოთავსებულია, 2) დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც იგი განსხვავდება იმავე წრეში მყოფი სხვა საგნებისაგან; პირველი სხვა არაფერია, თუ არა გვარი საგნისა, მეორე კი მის სახეობითს სხვაობას შეადგენს. მაშასადამე, ზუსტი განსაზღვრისათვის არსებითად საჭიროა როგორც ერთი, ისე მეორე გარემოება; და რადგანაც გვარობითი და სახეობითი ნიშნები შინაგანია, ამიტომ განსაზღვრებას, რომელშიც საგნის გარეგანი თვისებები დადგინდება, ეწოდება სახეობითი, ნივთიერებითისაგან განსასხვავებლად, რომელსაც სასაზღვრის არსებით თვისებებს წარმოადგენს.

ამრიგად, ნათელია, რომ განსაზღვრება უნდა: 1) შედგებოდეს უახლოესი გვარობითი და სახეობითი სხვაობისაგან; სხვაგვარად, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იგი მიეკუთვნება არა ერთ სასაზღვრს, არამედ ბევრს ერთად; და, მაშასადამე, 2) იგი უნდა იყოს სრული, ე. ი. ისე უნდა შეეფერებოდეს თავის ქვემდებარეს, რომ შეიძლება, არც მეტ, არც ნაკლებ ნიშანს, ვიდრე საჭიროა სასაზღვრი საგნის ყველა დანარჩენთაგან განსხვავებისათვის; თუ განსაზღვრება მეტ ნიშნებს შეიცავს, მაშინ იგი თავის სასაზღვრზე უფრო გიწროა; პირიქით, თუ ნაკლებს შეიცავს, მაშინ თავის ქვემდებარეზე უფრო ვრცელი ხდება. შემდეგ, რადგანაც რაიმეს უარყოფა ჭერ კიდევ არ გვიჩვენებს საგნის თვისებას, ამიტომ ცხადია, რომ 3) განსაზღვრება არ უნდა იყოს წმინდა უარყოფითი. დასასრულ შევნიშნავთ, 4) რომ განსაზღვრების არსებითი ოვისებაა სიცხადე, რომელსაც არღვევს: a) გადატანითი, ორმნიშვნელოვანი, ახალი ან მოძველებული გამოთქმების ხმარება; b) ეგრეთწოდებულობა წრე განსაზღვრებაში, როცა სასაზღვრი თავისივე მიოხებით განისაზღვრება, ან იგივეობრივად, ტოლფასოვნად გადმოიცემა, მაგალითად: ადამიანი არის არსება, დაჯილდოებული ადამიანი ური ბუნებით.

2) დანაწევრება არის წინადადება, რითაც მთლიანად გამოითვლება უმდაბლესი ცნებები, რომლებიც მოთავსებულია რომელიმე ქვემდებარის მოცულობაში, ისე როგორც ნაწილები თავის მთელში. ამ ქვემდებარეს ეწოდება გაყოფადი, ცნებები კი, რომლებსაც იგი დაიშლება, გაყოფის წევრებია, რომელთაგან თვითეული კიდევ შეიძლება დაიშალოს თავის ნაწილებად, და მაშინ წარმოებს ქვედაყოფანი. ამრიგად, გაყოფა რომ სწო-

რო იყოს, საჭიროა ჩათვა 1) გაყოფის წევრთა ჯამი გასაყოფს უდრი-
დეს; ვინაიდან, როგორც განსაზღვრება სასაზღვრითურთ, ისე გაყო-
ფის წევრებიც, ერთად აღებული, თავისი გასაყოფით უნდა იყვნენ
ღრთოებრივობის მქონე. 2) შემდეგ, გაყოფის ეს წევრები უნდა და-
პირისპირებული იყვნენ ერთმანეთისადმი ისე, რომ ერთი არ იყოს
მეორეში მოთავსებული, არამედ შეადგენდეს, ისევე როგორც ყველა
სხვა, გასაყოფის თანდაქვემდებარებულ ნაწილს. ხოლო, რადგანაც
ყოველი ცნებისათვის, მაგალითად, A-თვის, მოიპოვება მხოლოდ ერ-
თი პირდაპირ წინააღმდეგობრივი, ე. ი. არა-A, ამიტომ საკუთრივ
ლაპიკური გაყოფანი მუდამ უნდა იყვნენ ორწევროვანი; მრავალ-
წევროვანი გაყოფანი ყოველთვის ცდისებულია. დასასრულ, 3) მთელი
უნდა გაიყოს, ჯერ-ერთი, უახლოეს ნაწილებად, შემდეგ კი ეს უკა-
ნასკნელი დაიშალოს თავის წევრებად, და ასე შემდეგ ნახტომების
ყოველნაირად თავიდან აცილებით; მაგრამ მუდამ უნდა 4) დავიცვათ
ზომა და, თუ საჭიროება არ მოითხოვს, არ გავამრავლოთ ქვედანა-
ჯოფნი; წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ სიცხადის ნაცვლად, რასაც ამ
საშუალებით ვაღწევთ, გვექნება მრავალი პატარა ნაწილი, რაც მე-
ნსაყრებას ამძიმებს და, ამასთანავე, გონებასაც აბნელებს.

§ 15

ამრიგად, განვიხილავთ რა მსჯელობათა მატერიას ყოველ შესა-
ძლი. მიმართებაში, შევამჩნევთ რომ მსჯელობანი მატერიის მი-
ხედვით საერთოდ უნდა დაიყოს ანალიზურ და სინთეზურ
მსჯელობებად. ანალიზურ მსჯელობაში შემასმენელი გამოიყვანება
ქვემდებარის არსიდან, მაგალითად: სხეული განფენილობის გარეშე
შეუძლებელია. სინთეზურია ის მსჯელობა, რომელშიც ქვემდებარე,
როგორც უცნობი, შემასმენლის ცნებით განისაზღვრება, მაგალითად:
სხეულს აქვს სიმძიმე. ამრიგად, ა) ანალიზური მსჯელობანი განმარ-
ტავენ, ხოლო სინთეზური აფართოებენ ჩვენს ცოდნას;
ყოველი სინთეზური მსჯელობით რაიმე ახალი ემატება ცოდნის
განს: საგანი, ჯერ კიდევ განუსაზღვრელი, გონებით განეკუთვნება
რომელიმე გვარს და, შეუერთდება რა მას, რჩება გონებაში, თა-
ქოს მარაგად მომავალი ხმარებისათვის; მაგრამ რათა ეს მოხმარება
ნამდვილად მოხდეს, საჭიროა ეს მარაგი დაიშალოს მასში მოთავსე-
ბულ ნიშნებად და მათთან შედარებულ იქნეს კვლავ მოვლენადი სა-
გნები. მაშასადამე, ბ) ანალიზური მსჯელობა გულისხმობს სინთეზურს;
ეს უკანასკნელიც აგრეთვე შეუძლებელია სასარგებლო იყოს პირვე-
ლის გარეშე — და ორივე თანაბრად აუცილებელია შემეცნებისათ-
ვის.

აქ შევნიშნავთ, რომ ყოველი მსჯელობა გადადის ცნებაში, სადაც მსჯელობაში ცალ-ცალკე მოცემული ნიშნები ერთიანდებია. მაშასადამე, ცნება არათუ თავდაპირველად არ უსწრებს მსჯელობას, არამედ, პირიქით უნდა ითქვას, რომ იგი მსჯელობის შედეგი და ნაყოფია. აზროვნების უნარის გაღვივების წუთში, გონების პირველ მოქმედებაში არ არის არავითარი წინასწარი ცნება, არამედ მხოლოდ მსჯელობაა, რომელიც საგანს და ცნობიერების ძალისადმი დაქვემდებარებულს წარმოგვიდგენს როგორც ორ დაპირისპირებულს; მაგრამ მეორე მოქმედებაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს პირველს, უკვე პირიქით არის ხოლმე: აქ მსჯელობა, რომელიც თავდაპირველ მოქმედებაში იყო, გადაიქცევა ქვემდებარული და წინმდებარული სამყაროს ცნებად, და ამ ცნებებს შეედარება ახალი საგანი, რომელმაც მიიპყრო ცნობიერება უკვე მის მეორე მოქმედებაში. ამრიგად, მეორე მოქმედებიდან დაწყებული, ყველა მის მომდევნოს საფუძვლად აქვს უკვე წინამდებარე ცნება, რომელიც თავდაპირველად მსჯელობა იყო. სწორედ ამ ცნებას, ასე ვთქვათ, შემასმენელს, შეედარება წინათ უცნობი, ოღონდ ახლა ცნობიერებაზე მოქმედი საგანი, და ამ ცნებაშია, როგორც უფართოეს სფეროში, ან მოთავსებული, ან პირიქით, არამოთავსებული, რაც აზროვნების ყოველ მოქმედებაში ხდება. ამრიგად, მსჯელობანი გადადიან ცნებებში, რომელთაგან თვითთული მხოლოდ შემოკლებაა მსჯელობისა; გონება გადადის მეხსიერებაში, რომელიც სხვა არაფერია. აუ არა დადგინებული გონება (intellectus fixus). ერთი სიტყვით, ცნება განსხვავდება მსჯელობისაგან, როგორც შედეგი მიზეზისაგან; ამიტომ, მსჯელობათა შემდეგ გადავიდეთ ცნებებზე.

თ ა ვ ი V

ც ნ ბ ე ბ ი

§ 16

ცნება არის წარმოდგენა, რომელშიც მრავალ შემჩნეულ ნიშანს ერთად ვაკავშირებთ. ამიტომ ცნება განსხვავდება: a) წარმოდგენისაგან, ან ჰერეტისაგან, რომელიც მუდამ მარტივია, მაშინ როდესაც ცნება მრავლის შეერთებაა; ასე მაგალითად, მთვარის მკრთალი ფერი არის ჰერეტა, მისი მრავალი ნიშნის შეერთება კი არის ცნება; b) იდეისაგან, — იმით, რომ ცნება არის განსჯის ნაყოფი, იდეა კი ეკუთვნის გონებას; ცნება გამოხატავს ნიგ-

თებს ისე, როგორც ისინი გრძნობებს წარმოესახება, იდეა კი მიეკუთვნება მათ ერთადერთ შესაძლებლობას; ცნებები, ეკუთვნიან რა ცდის სფეროს, გარდუვალნი, აუცილებელნი არიან და გულისხმობენ განსწავლ ათვისებადობას და ვნებითობას, მაშინ როდესაც იდეა გონების უმაღლესი მოქმედების ნაყოფია.

I

ცნებათა საყოველთაო კანონები

§ 17

რადგანაც ცნებასა და მსჯელობას შორის არსებითი განსხვავება არაა, ამიტომ მსჯელობათა კანონები ამასთანავე ცნებათა კანონებიცაა. ყოველი ცნება არის გონებისა და იმ საგანთა ერთობლივი მოქმედების ნაყოფი, რომელთაც ცნება შეესაბამება; ამიტომ ყოველ ცნებაში არის: ა) მ ა ტ ე რ ი ა — წარმოსადგენი საგანი, რომელიც, მაშასადამე, ყოველთვის სხეადასხვანაირია; ბ) ფ ო რ მ ა — ის, რაც ყოველ ცნებაში აუცილებლად არის, და რაც, მაშასადამე, ყველა ცნებისათვის საერთოა, მიუხედავად მათი საგნების სხვაობისა. წარმოდგენათა საყოველთაო ფორმები, ანუ კანონები ორგვარია: ა) გ რ ძ ნ ო ბ ა დ ნ ი, რომლებიც დამახასიათებელია გრძნობადობისათვის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, წარმომქმნელი წ ა რ მ ო ა ს ა ხ ე ს ა ი ვ ი ს; ასეთებია: ს ი ვ რ ც ე და დ რ ო, რომელთაგან პირველი კანონია გარეგანი გრძნობისათვის, მეორე კი — შინაგანი და გარეგანი გრძნობისათვის. მათი საყოველთაობით და აუცილებლობით ცხადად მტკიცდება მათი წარმოშობა გონებიდან; ამ ჭეშმარიტების საფუძველი უნდა გვიჩვენოს მეტაფიზიკამ. ბ) გ ო ნ ე ბ ი ს ე უ ლ ი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გ ო ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დამახასიათებელი; ისინი წარმოსადგენენ მხოლოდ იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც ჩვენ მიერ უკვე გამოყვანილია მსჯელობის არსიდან, და რომლებიც გ ო ნ ე ბ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ კ ა ნ ო ნ ე ბ ს შეესაბამებიან. ამ ძირითად ცნებებში მოთავსებულია ყველა წმინდა ცნების უმაღლესი გვარობანი; ასეთებია:

ა) რაოდენობა:

- 1) მთლიანობა,
- 2) მრავლობითობა,
- 3) მხოლოდობითობა;

ს) თვისებრიობა:

- 1) დადებითობა,
- 2) შემზღვეველობა,
- 3) უარყოფითობა;

ა) მიმართება:

აა) ნივთებისა ურთიერთშორის:

- 1) არსებითობა და შემთხვევითობა,
- 2) ურთიერთდაკავშირებულობა,
- 3) მიზეზი და შედეგი;

ბბ) გონებისადმი:

- 1) აუცილებლობა და შემთხვევითობა,
- 2) მყოფობა (ნამდვილობა) და არმყოფობა (არანამდვილობა),
- 3) შესაძლებლობა და შეუძლებლობა.

ამ ძირითადი ცნებებით მთლიანად იფარგლება და იზომება ჩვენი განსჯის მთელი სამოქმედო სარბიელი; მათი რიცხვი არ შეიძლება იყოს არც მეტი, არც ნაკლები, როგორც ეს ნათლად ჩანს განსჯის კანონებიდან, რომლებიც ცხადად წარმოგვიდგებიან ყოველ მსჯელობაში.

მაგრამ რადგანაც ეს ცნებები განსჯას ეკუთვნიან, ამიტომ მათი ვარგისობა არ შეიძლება გასცილდეს იმ საზღვრებს, რაც ბუნებაში მოხაზა ჩვენი განსჯისათვის, რომელიც მოვლენათა რეალურ შემოღობვაზეა; მხოლოდ აქ აქვთ ამ კატეგორიებს თავისი ძალა, მაგრამ ისინი რომ მიუყენო იდეებს იმავე აზრით, ეს ნიშნავს საბაბი მისცეათასობით უაღრესად უაზრო შეცდომებს.

II

წესები სხვადასხვა გვარის ცნებათათვის

§ 18

თუ ამ ფორმებს, ანუ წმინდა ცნებებს, ცდის საგნებს მივაკუთვნებთ, მაშინ წარმოიქმნება შეერეული ცნებები, ე. ი. ისეთები, რომლებშიც შინაგან და გარეგან მხარეს თანაბრად აქვს ადგილი; — ასეთ ცნებათა რიცხვი იმდენადვე უსაზღვროა, რამდენადაც ცდის არე თვალუწვდენელია; მაგრამ, მიუხედავად მთელი მათი უამრავო-

ბისა, ისინი მიიყვანებიან იმავე პირველსახეობითს ცნებებამდე, როგორც თავის უმაღლეს გვარებამდე. ამრიგად, გაწყვიტოთ თვითეული მათგანი ცალ-ცალკე.

§ 19

ყოველი ცნება არის მრავალი წარმოდგენის შეერთება და ამით უკვე ერთგვარ სიდიდეს ან რაოდენობას წარმოადგენს. რადგანაც ეს წარმოდგენანი მოთავსებულია ან ცნებაში, ან ცნების ქვეშ, ამიტომ ცნებათა რაოდენობა ორგვარია: ძაბვითი (*intensiva quantitas*), რომელსაც შეიძლება ეწოდოს ცნების შინაარსი და განვრცობითი (*extensiva*), რომელიც მის მოცულობას შეადგენს. პირველის მიმართ ცნებები არიან ხოლმე მხოლოობითნი, შეერთებულინი (*concreti conceptus*); მეორის მიხედვით ისინი ცოტად თუ ბევრად განყენებულნი არიან, ე. ი. ისეთნი, რომლებიც გამოიხატებიან საერთო ნიშნების შეერთებით ბევრა ვანუყოფადისათვის, ან სახისათვის, ან, ბოლოს, გვარისათვის; ვინაიდან განყენებული ცნებები წარმოდგება ბევრი ვანუყოფადისათვის საერთო ნიშნების შეერთების მეოხებით; რამდენიმე ვანუყოფადი შეადგენს სახეს, ბევრი სახე — გვარს; რამდენიმე გვარი შეადგენს უმაღლეს გვარს, და ასე შემდეგ. ამიტომ რაოდენობის მიმართ ცნებები არიან ან შეერთებულნი, ან განყენებულნი. პირველთ შეიძლება ეწოდოს განუყოფადნი და უმდაბლესნი, ხოლო მეორეთ — საყოველთაო, სასეობითი, გვარეობითი და უმაღლესი ცნებები. მასადაჲ:

1) განყენებულ ცნებებს აქვთ მეტი მოცულობა, შეერთებულთ კი — მეტი შინაარსი; პირველთ უფრო მეტი აქვთ თავის ქვეშ, ვიდრე თავის თავში; უკანასკნელთ კი, პირიქით, უფრო მეტი აქვთ თავის თავში, ვიდრე თავის ქვეშ; ამრიგად, ცნების მოცულობა არის ხოლმე მით უფრო დიდი, რაც უფრო მეტს, და მით უფრო პატარა, რაც უფრო ნაკლებ ცნებებს შეიცავს იგი თავის ქვეშ; ასევე ცნების შინაარსიც ყოველთვის პირდაპირ შეფარდებაშია მასში მოთავსებულ ნიშანთა რიცხვთან.

2) მაგრამ მოცულობისა და შინაარსის ურთიერთ შედარებისას, ისინი ყოველთვის შებრუნებულ შეფარდებაში არიან ხოლმე, ე. ი. რაც უფრო დიდია რომელიმე ცნების მოცულობა, მით უფრო ნაკლებია მისი შინაარსი, და პირიქით. ამიტომ განყენებულ ცნებათა მუშევრებით ჩვენ ცოტას შევიცნობთ, მაგრამ ბევრ საგანში; შეერთებულ ცნებების მუშევრებით კი, პირიქით, ჩვენ შევიცნობთ ბევრს ცოტაში, ერთში.

3) განყენებული ცნებები წარმოიქმნება განყენების ჯრით, შეერთებულნი კი — ლოგიკური განსაზღვრულობის გზით (determinatio). ყველაზე დიდი განყენება იძლევა უმაღლეს გვარს, რომელშიც უკვე შემდეგ არაერთადაა განსაზღვრულის მოცილება აღარ შეიძლება; ასევე სავსებით განსაზღვრული ცნება იქნებოდა ის, რომელსაც უკვე მეტს ველარაფერს მივუმატებდით. მაგრამ შევნიშნავთ, რომ არსებობს გვარი, რომელიც უკვე არ შეიძლება სახე იყოს; არ არსებობს არც ერთი სახე, რომელსაც არ შეეძლოს გვარად ყოფნა. რაიმე არის უმაღლესი გვარი, — ესაა განყენების საზღვარი, რომლის იქით განვრცობა მას არ შეუძლია, მაშინ როდესაც ყველაზე დაბალი სახე შეუძლებელია ნაჩვენები იქნეს; ვინაიდან განუყოფადის სრული და მთლიანი განსაზღვრება გონების ძალას აღემატება.

4) რადგანაც გვარები და სახეები, შეიცავენ რა თავის ქვეშ მრავალ განუყოფადს, თვით არიან მათში მოთავსებულნი, როგორც საერთო ნიშნები თავიანთ ქვემდებარეში, ამიტომ:

a) ყველაფერი, რაც გვარობითს ცნებას შეეფერება ან არ შეეფერება, ასევე შესაფერი ან შეუფერებელი იქნება მის ქვეშ მყოფი ყველა უმდაბლესი ცნებასთვისაც; მაგრამ არა პირიქით თუმცა. —

b) რაც მიეკუთვნება ან არ მიეკუთვნება ყველა უმდაბლეს ცნებას, რომლებიც რომელიმე გვარის მოცულობას შეადგენენ, ის აუცილებლად უნდა შეეფერებოდეს ან არ შეეფერებოდეს თვით გვარსაც.

§ 20

ცნებები მათი მატერიის თვისებრიობის მიხედვით წარმოადგენენ ან ერთსა და იმავეს, ან რაიმე განსხვავებულს. ყოველი ცნება მისგან განსხვავებული მეორის მიმართ არის უარყოფითი, რამდენადაც ერთ-ერთ მათგანში არ არის ის, რაც მეორეში არის. პირიქით, ყოველი ცნება მეორის მიმართ, რომელიც მას ემსგავსება, შეიძლება მივიჩნიოთ დადებითად. უაღრესად დადებითი ცნებები იქნება ისინი, რომელნიც ერთსა და იმავეს შეიცავენ თავის თავში, და ამიტომ ერთ-ერთი მათგანი შეიძლება ჩაისვას მეორის ადგილას; ამ მიზეზით მათ ეწოდება: ურთიერთმიმართებითნი, იგივერნი, ტოლფასნი. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს იგივეობა, როგორც შულცი შენიშნავს, შეიძლება იყოს მხოლოდ ლოგიკური; ვინაიდან როგორც არ არსებობს ორი განუყოფადი, ასევე არ არსებობს ორი ცნებაც, სრულიად იგივერნი; ესაა ლაიბნიცის განუსხვავებადთა პრინციპი (principium indiscernibilium).

არატოლფას ცნებებს მუდამ აქვთ რაიმე დაპირისპირება; ეს უკანასკნელი კი აქაც, ისევე როგორც მსჯელობებშიც, არის ხოლმე

სამგვარი: ვინაიდან ორი სხვადასხვა ცნება შეიძლება იყოს ან ისეთ-
ნი, რომ ა) ჯერ კიდევ არ აბათილებენ ერთიმეორეს და, მაუხედავად
მთელი თავიანთი სხვაობისა, შეიძლება იყვნენ თავსებადნი, მაგალი-
თად, მდიდარი, სწავლული, — ესენია მხოლოდ პირდაპირ განს-
ხვავებული ცნებები; ან ბ) ერთს აბათილებს მეორე, მაგალი-
თად, თეთრი, არათეთრი, — ესენია წინააღმდეგობრივი
ცნებები; ან, ბოლოს, ც) ერთ-ერთი დაპირისპირებული ცნებათაგანი
შეიცავს იმაზე მეტს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ მეორე გა-
ბათილდეს: გონიერი, უსულო, — ესენია მოპირისპირე ცნე-
ბები.

თუ განვიხილავთ საერთოდ დაპირისპირებულ ცნებათა თვისებას,
ვნახავთ:

1. რომ ისინი ყველანი ექვემდებარებიან შემდეგ სამ საყოველთაო
პრინციპს:

ა) საერთობის, ანუ ერთგვაროვნობის კანონს. ცნებებს,
მაუხედავად მთელი თავიანთი დაპირისპირებისა, მუდამ აქვთ ერთმა-
ნეთთან რაიმე საერთო, მუდამ შეიძლება მოვნახოთ გვარი, რომელ-
შიც ისინი მოთავსებული არიან.

ბ) დაპირისპირების, ანუ სხვადასხვაგვაროვნობის
კანონს. რაგინდ მსგავსი იყოს ერთმანეთს შორის ორი ცნება, მათ
მუდამ ექნებათ რაღაც, რითაც რაიმე მხრივ განსხვავდებიან.

ც) შეერთების, ანუ უწყვეტობის პრინციპს. ყოველ უმაღ-
ლესსა და უმაღლეს ცნებას შორის უთუოდ უნდა იყოს მესამე
ცნება, რომელიც მათ აერთებს; და, მაშასადამე, ნაწილობრივ მათი
იგივეურია, ნაწილობრივ კი განსხვავებულია როგორც ერთისაგან, ისე
მეორისაგანაც.

2. ეს ცნება მით უფრო დაპირისპირებულია, რაც უფრო განყე-
ნებულია: რაიმე და არაფერი არის ორი უმაღლესი გვა-
რი და ამასთანავე ორი უაღრესად დაპირისპირებული უკიდურესობა.
ორი წინააღმდეგობრივი ცნებიდან ერთი აუცილებლად მცდარია,
მეორე უთუოდ ჭეშმარიტია; ორი მოპირისპირე ცნებიდან კი შეიძ-
ლება ორივე მცდარი იყოს, მაგრამ არასდროს არ იქნება ორივე ჭე-
შმარიტი.

3. ცნებები: 1) ტოლფასნი ექვემდებარებიან იგივეობის
პრინციპს; 2) წინააღმდეგობრივი ექვემდებარებიან წინააღმდე-
გობისა და მესამის გამორიცხვის კანონს; 3) სხვა-
დასხვაგვარნი საჭიროებენ საკმაო მიზეზის პრინ-
ციპს; და 4) მოპირისპირე ცნებები, თუმცა ასევე ემყარებიან წინა-
აღმდეგობის პრინციპს, მაგრამ მესამის გამორიცხვის პრინ-
ციპს მათ მიმართ არა აქვს ძალა.

ცნებები, ერთმანეთს შორის ნივთთა მიმართების მიხედვით, შეიძლება დაიყოს დაქვემდებარებულ და თანადაქვემდებარებულ ცნებებად; ვინაიდან ყოველი მიმართება შეიცავს რაიმე დამოკიდებულებას, ეს უკანასკნელი კი არის ხოლმე ორგვარი: ან ცალმხრივი, ან ორმხრივი; პირველ შემთხვევაში გვაქვს დაქვემდებარება, მეორეში — თანადაქვემდებარება ანუ თანაზიარობა.

ჩემდღე, დაქვემდებარება მხოლოდ ორგვარია: არსებასა და შემთხვევითობას შორის, მიზეზსა და შედეგს შორის.

თუ განვიხილავთ ნივთებს, როგორც არსებულთ, ვხედავთ, რომ ისინი ყოველგვარი ცვლილებისას, რასაც კი განიცდიან, იგივენი რჩებიან. ის მუდმივი, მკვიდრი წერტილი, რომლის გარშემოც ყველა ცვლილება ტრიალებს, არის არსება (substantia), — ყოველივე დანარჩენი კი, განუწყვეტლივ ცვალებადი, არის შემთხვევითობა.

თუ განვიხილავთ ამოქმედებულ ნივთებს, შევამჩნევთ, რომ ზოგიერთი მათგანი ახდენს ცვლილებას, ზოგიერთში კი ხდება ეს ცვლილება. იმას, რაც შეიცავს პირობას, რის გამოც იცვლება მეორე, ეწოდება მიზეზი, ხოლო მომხდარი ცვლილება არის შედეგი.

არსება მუდამ იყოფა თავდაპირველად დაპირისპირებულ ნიშანთა ორ სახედ; დაპირისპირებულ ნიშანთა ეს ძირითადი სახეები შეადგენენ არსს: ვინაიდან მათი მოსპობით თვით არსებაც უნდა მოისპოს. არსებით თვისებებს ექვემდებარებიან კუთვნილებანი; ესენი არიან არსების არა ძირითადი, არამედ ნაწარმოები ნიშნები; ისინი უშუალოდ გამომდინარეობენ არსებითი თვისებებიდან; მაშასადამე, კუთვნილებათა მოსპობით ვსპობთ არსს, ხოლო ამასთანავე ერთად თვით არსებასაც.

მაგრამ შემთხვევითი ნიშნები შეიძლება იყოს და არც იყოს საგნის არსის მოუსპობლად. შემთხვევითობანი — ერთნი ეკუთვნიან უფრო მეტად გარეგანს, და მათ ეწოდება პირდაპირი მიმართებანი, მეორენი კი — უფრო შინაგანს, და მათ ეწოდება სახეცვალებანი (modi).

ამრიგად: ა) არსებითი თვისებები არსებაში რჩება მანამდე, სანამ იგი არ იცვლის თავის გვარს, ან სახეს; მაშასადამე, ამ თვისებების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს საგანთა გვარები და სახეები; ხ) არსებითი შეიძლება საგანში დავადასტუროთ უპირობოდ, მაშინ, როდესაც შემთხვევითი შეიძლება მიეკუთვნოთ მას მუდამ

მხოლოდ რაიმე პირობით: ც) შემთხვევითობანი შეიძლება ჩამოვაცი-
ლოთ ცალ-ცალკე ისე, რომ არსი არ დავარდვიოთ; მაგრამ სრულიად
მათი მოსპობა შეუძლებელია.

§ 22

ცნებები, გონების მიმართ, არიან: ა) ნ ა თ ე ლ ნ ი, თუ მათ მიერ
წარმოდგენილი საგანი შეიძლება სხვებისაგან განვასხვაოთ; ბ) ბ უ ნ-
დ ო ვ ა ნ ნ ი, როცა ამის მოხდენა შეუძლებელია. ც) შემდეგ, ნათე-
ლი ცნება არის ხოლმე ან ისეთი, რომ განვასხვაებთ თვით თვისე-
ბებსაც, რომელნიც მის მოცულობას ან შინაარსს შეადგენენ, და
მანინ მას ეწოდება გაყოფილი; ან, პირიქით, როცა ეს შეუძ-
ლებელია, როგორც ეს ხდება შერწყმულ ან შერეულ ცნე-
ბებში. თუკი შევიცნობთ არსებით თვისებებს, მაშინ ცნება იქნება არა-
მარტო გაყოფილი, არამედ სრულიც; ვინაიდან მაშინ იგი სრუ-
ლად გამოხატავს და განსაზღვრავს თავის საგანს. ამრიგად: 1) ბუნ-
დოვან ცნებებს შევიცნობთ მხოლოდ შუალობითად, რამდენადაც
ისინი, შეერთებული არიან ხოლმე უშუალოდ შეცნობად ცნებებთან.
2) ცნებები, რომელთა შინაარსიც მეტად მცირეა, შეიძლება იყოს
გაყოფილი მხოლოდ მათი მოცულობის მიხედვით. 3) რაც უფრო
მალაია ხოლმე წარმოდგენათა გაყოფადობის ხარისხი, მით უფრო
ნაკლებად გაყოფილი ხდება იმ ნიშანთა ცნება, რომელთაც ნათელ
ცნებაში განვასხვაებთ; ვინაიდან რაც უფრო ფართოა მიმოხილვა,
მით უფრო შეუმჩნეველი ხდება განსახილველი საგნები.

თ ა ვ ი VI

დ ა ს კ ვ ნ ა

§ 23

დასკვნა სხვა არაფერია, თუ არა უფრო განვითარებული მსჯელო-
ბა, რომელშიც ორი ცნება ერთდება მესამის მეშვეობით. მაშასადამე,
დასკვნა შედგება სამი ცნებისაგან, ანუ ტერმინისაგან; ესენია: 1) ქვე-
მდებარის ცნება=მცირე ტერმინი; 2) შემასმენლის ცნება=დიდი ტე-
რმინი; 3) შემაერთებელი ცნება, ანუ საშუალო ტერმინი, ხოლო რა-
დგანაც სამი ცნების ერთიმეორესთან შეერთებიდან შესაძლოა მხო-
ლოდ სამი მსჯელობა, ამიტომ ყოველი სილოგიზმი შედგება სამი წი-
ნადადებისაგან, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ფარული იყოს.

პირველი წინადადება შეიცავს უფართოეს სფეროს, რომელსაც ეჭვე-
მდებარებიან დანარჩენები, და მას ეწოდება დიდი; მეორე წინა-
დადება ეჭვემდებარება პირველს, და მას ეწოდება მცირე; მესამე
წინადადება, რომელიც აუცილებლად პირველთაგან გამომდინარეობს,
შეადგენს დანასკვს.

§ 24

ყველა სილოგიზმს საფუძვლად უდევს მსჯელობათა და ცნებათა
იგივე საყოველთაო კანონები. დასკვნებს, რომლებიც უშუალოდ მი-
თხეა დაფუძნებული, ეწოდება უშუალო დასკვნები; დანარჩენები კი
შუალობითი დასკვნებია და, შედგებიან რა სამი, ერთმანეთთან მჭი-
დროდ დაკავშირებული, წინადადებისაგან, საკმაო მიზეზის პრინციპს
ეჭვემდებარებიან, ვინაიდან ყოველ სილოგიზმში დიდი წინა-
დადება არის წესი, რომელიც მტკიცების ან უარყოფის საკმაო
მიზეზს შეიცავს; მცირე წინადადება გვიჩვენებს, რომ ეს
საკმაო მიზეზი ნამდვილად მიეკუთვნება რაიმეს, და ამიტომაც მას
ეწოდება მიყენება (assumptio). დასასრულ, დანასკვი არის შეერთება
იმისა, რაც ნამდვილად ემყარება საკმაო მიზეზს, იმასთან, რასაც
წესი მასში გულისხმობს. ამრიგად, მთელი სილოგისტიკის
უმაღლესი პრინციპი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი ფორმულით:
წინადადება, რომელსაც შეიძლება მტკიცების
ან უარყოფის საკმაო მიზეზის შემცველი წეს-
ის მიეკუთვნოს, როგორც საფუძველი თავის
შედევს, — აუცილებელია.

ამიტომ ყოველი სილოგიზმის არსებითი ფორმა მდგომარეობს იმ
საკმაო მიზეზში, რომელსაც დასკვნის ძალა ეყრდნობა. მაგრამ რად-
განაც ეს მიზეზი მოთავსებულია დიდ წინადადებაში, ამიტომ სილო-
გიზმების მთელი სხვაობა დამოკიდებულია დიდ წინადადებაზე; ბო-
ლო რადგანაც მასში მოთავსებული საკმაო მიზეზი შეეფარდება იმას,
რაც ამ მიზეზად არის მიჩნეული, ან 1) ისე, როგორც ქვემდებარე თა-
ვის ნიშანს, ან 2) ისე, როგორც პირობა თავის შედეგს, ანდა 3) ისე,
როგორც მთელი თავის ნაწილებს, — ამიტომ დიდი წინადადების
ფორმები და, მაშასადამე, სილოგიზმის ფორმებიც შესაძლებელია
მხოლოდ სამი: a) კატეგორიული, b) პირობითი, c) გაყოფითი. ამრი-
გად:

A

კატეგორიული სილოგიზმი

§ 25

კატეგორიული სილოგიზმია ის, რომელშიც დიდი წინადადება
ამტკიცებს ან უარყოფს რაიმეს ყოველგვარი პირობის გარეშე. ან

ლოგინების მთავარი პრინციპი, რომელზეც მათი შესაძლებლობა და ძალა დამყარებულია, არის შემდეგი: ნიშნის ნიშანი არის თვით ნივთის ნიშანი, ანუ: რაც ნივთის ნიშანს შეეფერება, ან არ შეეფერება, იგი თვით ნივთსაც შეიძლება მიეკუთვნოს ან არ მიეკუთვნოს. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რაც არისტოტელემ დაადგინა ე. ი. დადებითი ან უარყოფითი საყოველთაობის დებულება (dictum de omni et nullo): ვინაიდან სახეობითი და გვარეობითი ცნებები სხვა არაფერია, თუ არა ნიშნები იმ საგნებისა, რომლებიც მათ ქვეშაა მოთავსებული; ამიტომაც, რაც შეეფერება ან არ შეეფერება გვარს. ან სახეს, ის შეეფერება აგრეთვე ან არ შეეფერება იმ გვარის ან სახის ყველა განუყოფადსაც.

§ 26

კატეგორიული სილოგიზმის წესები, რომელნიც თვით მისი რაობიდან გამომდინარეობენ, შემდეგია: ა) სილოგიზმი უნდა შედგებოდეს მხოლოდ სამი ტერმინისაგან; ვინაიდან მასში ორი ცნება შეერთებული უნდა იყოს რომელიმე შუალობითი ნიშნით.

ბ) საშუალო ტერმინი არ უნდა შედიოდეს დანასაკვეში, ვინაიდან დანასაკვი არის ის წინადადება, რომელშიც შეერთდება ორი უკიდურესი ცნება, ე. ი. ქვემდებარე და შემასმენელი.

გ) დანასაკვეში არ უნდა იქნეს მიჩნეული საყოველთაოდ ის, რაც წანამძღვრებში კერძო იყო; წინამდებე შემთხვევაში დანასაკვეში უფრო მეტი იქნებოდა ნათქვამი, ვიდრე წანამძღვრებში.

დ) ორივე წანამძღვარი არ შეიძლება უარყოფითი იყოს; ვინაიდან ის, რაც არ მტკიცდება ნიშნის შესახებ, რომელიც თვით უარყოფილია ხოლმე ქვემდებარის მიმართ, არ შეიძლება არც მიეკუთვნოს ამ ქვემდებარეს, არც წაერთვას მას.

ე) ორივე წანამძღვარი არ შეიძლება იყოს კერძო; ვინაიდან მაშინ არ იქნებოდა წესი, ამიტომაც არ იქნებოდა ცნობილი, რომელი საფუძვლიდან უნდა იქნეს გამოყვანილი დანასაკვეში.

ვ) დანასაკვი შეესაბამება უსუსტეს მხარეს, ე. ი. კერძო ან უარყოფით წანამძღვარს; მაშასადამე, თუ ერთი წანამძღვარი უარყოფითია, მაშინ დანასაკვიც უარყოფითი უნდა იყოს, და თუ ერთ-ერთი წანამძღვარი კერძოა, მაშინ დანასაკვიც კერძო უნდა იყოს.

კატეგორიულ ანუ მარტივ სილოგიზმს ეწოდება წმინდა, როცა მასთან შეერთებული არაა არც ერთი სხვა უშუალო სილოგიზმი და დაცულია ჩვეულებრივი წყობა წანამძღვრებში; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეწოდება შერეული (hibridus).

თუ განვიხილავთ მხოლოდ საშუალო ტერმინის სხვადასხვა ვადანაცულებას, მაშინ წარმოიქმნება სილოგიზმების შემდეგი ფიგურები, უფრო ჩვეულებრივნი:

1-ლი ფიგურა: საშუალო ტერმინი დიდ წინადადებაში შეადგენს ქვემდებარეს, მცირეში კი — შემასმენელს.

მე-2: საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარში შეადგენს შემასმენელს.

მე-3: საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარში შეადგენს ქვემდებარეს.

მე-4 ანუ გალენის ფიგურა, სადაც საშუალო ტერმინი შეადგენს შემასმენელს დიდ წინადადებაში, მცირეში კი — ქვემდებარეს.

ამრიგად, მეოთხე ფიგურა დაპირისპირებულია პირველისადმი:

1) M:P.
S:M.

4) P:M.
M:S.

მესამე ფიგურა დაპირისპირებულია მეორისადმი:

2) P:M.
S:M.

3) M:P.
M:S.

პირველი ფიგურის საყოველთაო წესი იქნება შემდეგი: მცირე წანამძღვარი უნდა იყოს დადებითი, დიდი კი — მუდამ საყოველთაო.

ამრიგად, დიდი წინადადება პირველი ფიგურის სილოგიზმებში განსაზღვრულია რაოდენობის და არა თვისებრიობის მხრივ, ე. ი. დიდი წინადადება უნდა იყოს მხოლოდ საყოველთაო, იქნება რა ამასთან დადებითი ან უარყოფითი. პირიქით, მცირე წინადადება განსაზღვრულია თვისებრიობის მიხედვით, მისი რაოდენობა კი შეუზღუდველია: მაშასადამე, ეს წანამძღვარი შეიძლება იყოს ან კერძო ან ზოგადი. ამიტომ ამ ფიგურის სილოგიზმებში დანასკვი შეიძლება იყოს სხვადასხვა რაოდენობისა და თვისებრიობისა, რაც მეორე და მესამე ფიგურაში შეუძლებელია. ამრიგად, პირველი ფიგურა არის სრულყოფილი და, ასე ვთქვათ, საყოველთაო, მეორე და მესამე კი-კერძონი და არასრულყოფილი, ამიტომაც პირველზე დაიყვანებიან. პირველი ფიგურა უფრო სრულყოფილია მეორეზე, ვინაიდან ამ უკანასკნელში შესაძლებელია მხოლოდ უარყოფითი დანასკვებები; მესამე უფრო დაბლაა მეორეზე, ვინა

ნაიდან არ შეიძლება მას ჰქონდეს ზოგადი დანასკვები; მეოთხეს შეიძლება ჰქონდეს, თუმცა არა ყველა კერძო, არამედ ზოგიერთი (უარყოფითად) ზოგადი დანასკვიც, მაგრამ თავისი დამაბნეველობის გამო ყველა ფიგურაზე უფრო დაბლაა. გარდა ამისა, პირველი ფიგურა აღემატება არა მარტო თვითუფს ცალ-ცალკე, არამედ ყველასაც ერთად. ვინაიდან არც ერთი მათგანი არ იძლევა ზოგად დადებითს დანასკვს.

B

პირობითი სილოგიზმი

§ 28

პირობითს სილოგიზმს, მსგავსად კატეგორიულისა, აქვს დიდი წინადადება — ზოგადი წესი; მცირე — რომელიც შეადგენს მიყენებას, და დანასკვი, რომელშიც მოთავსებულია პირველი ორიდან გამომდინარე წინადადება; მაგრამ

a) დიდი წინადადება პირობითს სილოგიზმში პირობითია და არა კატეგორიული; მცირე წინამძღვარი შეიძლება იყოს სხვადასხვა რაოდენობისა და თვისებრიობისა.

b) კატეგორიული სილოგიზმის დანასკვი არ შეიძლება იყოს დადებითი, თუ მცირე უარყოფითია; მაგრამ პირობითში დანასკვი ხშირად არის ხოლმე დაპირისპირებული მცირე წინადადებისადმი.

c) კატეგორიულ სილოგიზმში მხოლოდ სამი ტერმინი დაიშვება; პირობითში შეიძლება მეტიც იყოს.

§ 29

პირობითი სილოგიზმები დამყარებულია პირდაპირ საკმაო მიზეზის პრინციპზე. მაშასადამე, ზოგადი წესი შემდეგია: შე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ვ ა ს კ ე ნ ა თ მ ი ზ ე ზ ი დ ა ნ შე ე დ ე გ ი და შე ე დ ე გ თ ა მ ო ს პ ო ბ ი დ ა ნ მ ი ზ ე ზ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა. ამ ზოგადი წესიდან გამომდინარეობს შემდეგი კერძო წესები:

1) თუ წინამავალი მართებულია, მაშინ მომდევნოც ჰეშმარიტია.

2) წინამავლის მცდარობიდან მომდევნოს მცდარობა ყოველთვის არ შეგვიძლია დავასკვნათ.

3) მაგრამ თუ მომდევნო მხოლოდ ერთ პირობაზეა დამოკიდებული, მაშინ წინამავლის უარყოფით მომდევნოც შეიძლება უარყვოდ.

4) მომდევნოს მართებულობა ყოველთვის როდი ამტკიცებს მომდევნოს ჰეშმარიტებას.

5) მომდევნოს მცდარობა მუდამ ამტკიცებს წინამავლის უმართებულობას.

ამრიგად, პირობითს სილოგიზმში შესაძლებელია მხოლოდ ორი წესი:

1) დადებითი: თუ წინამავალი ჭეშმარიტია, მაშინ მომდევნო აგრეთვე მართებული უნდა იყოს.

2) უარყოფითი: თუ მომდევნო მცდარია, მაშინ წინამავალიც არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს. ამიტომ პირობითი სილოგიზმის ფორმა შემდეგია:

1

თუ არის A, მაშინ B-ც არის აგრეთვე. მაგრამ A ნამდვილად არის: მაშასადამე, B-ც უნდა იყოს.

2

თუ არის A, მაშინ B-ც უნდა იყოს.

მაგრამ B არა გვაქვს:

მაშასადამე, არც A არსებობს.

C

გაყოფითი სილოგიზმი

§ 30

გაყოფითი სილოგიზმიც მსგავსად კატეგორიულისა და პირობითისა, შედგება ასევე დიდი წინამძღვრისაგან, ანუ ზოგადი წესისაგან, — მცირე წინამძღვრისაგან, რომელიც ერთ-ერთი გაყოფითი შემასმენლის დადასტურებაა, — და დანასკვისაგან. მაგრამ განსხვავდება მათგან იმით, რომ:

a) მისი დიდი წინადადება გაყოფითია. აქ დაპირისპირებული ცნებები დადგინდება ყოველივე მტკიცებისა ან უარყოფის გარეშე, მხოლოდ როგორც შესაძლებელი შემასმენელნი ქვემდებარისა:

A არის ან B, ან C.

b) დანასკვი რაოდენობის მხრივ მუდამ უნდა იყოს მცირე წინადადების ტოლი, თვისებრიობის მხრივ კი — დაპირისპირებული.

c) დასასრულ, გაყოფითს სილოგიზმში შეიძლება მეტი ტერმინი იყოს, ვიდრე კატეგორიულში. მაგრამ თუ გაყოფა წმინდა ლოგიკურია, ე.ი. ორწევროვანია, მაშინ შეიძლება მხოლოდ სამი ტერმინი იყოს.

გაყოფითი სილოგიზმების საფუძველი არის მესამის გამორიცხვის პრინციპი. აქ შეიძლება დავასკვნათ ერთის მტკიცებიდან მეორის უარყოფა და ერთის უარყოფიდან მეორის მტკიცება. აქედან თავისთავად გამომდინარეობს შემდეგი კერძო წესები:

1) თუ ქვემდებარის ცნება გაყოფილია მხოლოდ ორ მხარედ ან ნაწილად, მაშინ, როცა ერთს უარვყოფთ, მეორე უნდა დავადასტუროთ, ხოლო როცა ვადასტურებთ ერთს, აუცილებლად უნდა უარვყოთ მეორე.

2) ხოლო თუ გაყოფის ორ წევრზე მეტია, მაშინ,

ა) როცა ერთს დავუშვებთ, ყველა დანარჩენი უნდა უარვყოთ ისეთივე ისინი მხოლოდ ერთ მეორე წევრს შეაღვენდნენ.

ბ) როცა მცირე წინადადებაში ყველა წევრს უარვყოფთ, გარდა ერთისა, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა დაშვებულ იქნეს.

გ) როცა ერთ წევრს უარვყოფთ, ყველა დანარჩენი დანასკვში უნდა დავადასტუროთ გაყოფითი სახით.

აქედან გამომდინარეობს, რომ გაყოფითს სილოგიზმში, ისე როგორც პირობითშიც, მოიპოვება დასკვნის ორი წესი: და დ ე ბ ი თ ი და უ ა რ ყ ო ფ ი თ ი. მაგრამ პირველი, გაყოფითს სილოგიზმში, და უ შ ვ ე ბ ს რა, უ ა რ ყ ო ფ ს (modus ponendo tollens), მეორე კი, უ ა რ ყ ო ფ ს რა, და უ შ ვ ე ბ ს (tollendo ponens). გარდა ამისა, აქ სრულიად სხვა ფორმებია, ვიდრე პირობითს სილოგიზმში, ვინაიდან გაყოფითში შეიძლება დავასკვნათ ასე:

1) ჭეშმარიტია პირველი; მაშასადამე, მცდარია მეორე.

2) ჭეშმარიტია უკანასკნელი; მაშასადამე, მცდარია პირველი.

3) მცდარია პირველი; მაშასადამე, ჭეშმარიტია მეორე.

4) მცდარია უკანასკნელი; მაშასადამე, მართებულია პირველი.

ამიტომ გაყოფითი სილოგიზმის ფორმა შეიძლება წამოვადგინოთ შემდეგი სახით:

A არის ან B, ან C, ან D, და სხვ. და სხვ.

1) მაგრამ იგი არის B; მაშასადამე, არ არის არც C, არც D, და სხვ.

2) მაგრამ იგი არ არის B; მაშასადამე, უნდა იყოს ან C, ან D, და სხვ.

3) მაგრამ იგი არის ან E ან D; მაშასადამე, არ არის B.

4) მაგრამ იგი არ არის არც C, არც D; მაშასადამე, არის B.

ჩვეულებრივი გაყოფითი სილოგიზმებისაგან, რომლებშიც ერთი წევრი მაინც დადებითად დადგინდება, უნდა განვასხვავოთ დ ი ლ ე მ ა, როგორც ისეთი გაყოფითი სილოგიზმი, სადაც მცირე წინადადებაში უარიყოფა ყველა წევრი და, ამრიგად, წინამავლის მცდარობა დასტურ-

დება. მაშასადამე, ასეთ სილოგიზმებში დიდი წანამძღვარი მუდამ გაყოფითი და ამასთანავე პირობითია; მცირე წანამძღვარი კი უარყოფითია. მათი საერთო წესი შემდეგია: მთელი შედეგის მცდარობიდან შეიძლება დავასკვნათ წინამავლის მცდარობა. დილემა საკუთრივ არის ხოლმე მხოლოდ ორწევროვანი; ხოლო თუ ორ წევრზე მეტი აქვს, მაშინ მას ეწოდება პოლილემა, — ე. ი. ტრილემა, თუ სამი წევრი აქვს; ტეტრალემა, თუ ოთხი წევრი აქვს.

დილემა ეწოდება ისეთ გაყოფითს სილოგიზმებსაც, რომლებშიც დადებითად დაისმის გაყოფის ყველა წევრი, და დანასკვი არის ხოლმე დადებითი, მაგალითად:

თუ დედამიწა მოძრაობს, მაშინ მისი მოძრაობა არის ან წინსვლითი, ან წრიული.

მაგრამ ერთიც და მეორეც მართებულია.

მაშასადამე, დედამიწა მოძრაობს.

§ 33

არის სილოგიზმები, რომელნიც თითქოს ჩვეულებრივ ფორმებს გადაუხვევენ; ასეთებია:

a) ენთიმემა — სილოგიზმი, რომელშიც ერთ-ერთი წანამძღვარი გამოიტოვება. ამ ნაკლულობის გამო, დასკვნის წესიც არის არანათელი და მხოლოდ გამოტოვებული წანამძღვარის დამატების მეოხებით ხდება სრულიად ნათელი.

b) ეპიქრემა არის სილოგიზმი, რომელშიც ან დიდ, ან მცირე, ანდა ორივე წანამძღვარს დაერთვის მიზეზი უფრო მეტი ძალისა და დადასტურებისათვის. მაშასადამე, ეს სილოგიზმი შედგენილია მრავალი სილოგიზმისაგან, რომლებდაც შეიძლება იგი დაიშალოს, და უნდა დაიშალოს კიდევ, თუ საჭიროა მისი მნიშვნელობისა და ძალის გამოკვლევა.

§ 34

სორიტი (ბერძნული სიტყვიდან σῶρος — გროვა) არის მრავალი წინადადების კავშირი, სადაც წინამავლის შემასმენელი ყოველთვის მომდევნოს ქვემდებარეა ხოლმე, მანამდე, ვიდრე. ბოლოს, შეერთებული არ იქნება ან a) პირველი შემასმენელი უკანასკნელ ქვემდებარესთან, ან b) პირველი წინადადების ქვემდებარე უკანასკნელის შემასმენელთან. ამიტომ სორიტი ორგვარია: 1) ჩვეულებრივი, სადაც პირველი წინადადების ქვემდებარე უერთდება უკანასკნელის შემასმენელს, და სადაც მცირე წინადადებანი, პირველის გამოკლებით, გამოტოვებულია ხოლმე.

2) შებრუნებული, რომელსაც სხვანაირად ეწოდება გოზლენიანი ური, სქოლასტიკოს გოზლენიანის სახელწოდების მიხედვით, სადაც უკანასკნელი წინადადების ქვემდებარე შეერთებული პირველის შემასმენელთან, და ყველა დიდი წინადადება, პირველის გამოკლებით, გამოტოვებულია.

§ 35

წესები პირველი გვარის სორიტისათვის შემდეგია:

1) პირველი წინადადება შეიძლება იყოს ზოგადი და კერძო, მაგრამ ყოველთვის უნდა იყოს დადებითი.

2) ყველა დანარჩენი, რომელნიც მას მოსდევენ, უკანასკნელის წინარე წინადადებად ზოგადდადებითი უნდა იყოს.

3) უკანასკნელის წინარე წინადადება აგრეთვე ზოგადი უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება იყოს დადებითი, ან უარყოფითი.

4) უკანასკნელი რაოდენობის მიხედვით უნდა შეეწყოს პირველ წინადადებას, თვისებრიობის მიხედვით კი — წინარე უკანასკნელს.

მეორე გვარის სორიტი ექვემდებარება შემდეგ წესებს:

1) პირველი წინადადება შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი.

2) უკანასკნელის წინარე არის ხოლმე ან ზოგადი, ან კერძო.

3) უკანასკნელი როგორც თვისებრიობით, ისე რაოდენობითაც სხვადასხვანაირია ხოლმე.

4) ყველა დანარჩენი კი უნდა იყოს ზოგადდადებითი.

ამრიგად, სორიტი შეიძლება დაიყოს იმდენ პირდაპირ სილოგიზმად, რამდენიც მასში წანამძღვარია ერთის გარდა — რაც სწორედ შეიძლება მისი მართებულობის სასინჯად გამოდგეს; ამისათვის კი საჭიროა, რომ ყველა მის წინამავალ წანამძღვარს აუცილებელი და აშკარა კავშირი ჰქონდეს მომდევნო წანამძღვრებთან; სხვანაირად გაუგებრობა, არეულდარეულობა და თვით შეცდომაც კი გარდუვალია. ამიტომ მათი შედგენილობისა და დაშლის ნიშნუები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

პირველი გვარის სორიტისათვის:

ნიმუში.

$A = B.$

$B = C.$

$C = D.$

$D = E.$

$A = E$

დაშლა.

1.

$$\begin{array}{l} B=C. \\ A=B. \\ \hline A=C. \end{array}$$

2

$$\begin{array}{l} C=D. \\ A=C. \\ \hline A=D. \end{array}$$

3

$$\begin{array}{l} D=E. \\ A=D \\ \hline A=E. \end{array}$$

მეორე გვარის სორიტისათვის:

ნიმუში.

$$A=E$$

$$E=D.$$

$$B=C.$$

$$A=B.$$

$$\hline A=E.$$

დაშლა.

1.

$$\begin{array}{l} D=E. \\ C=D. \\ \hline C=E. \end{array}$$

2

$$\begin{array}{l} C=E. \\ B=C. \\ \hline B=E. \end{array}$$

3

$$\begin{array}{l} B=E. \\ A=B. \\ \hline A=E. \end{array}$$

ყველა დასკვნაში, რაც ჩვენ აქამდე ვნახეთ, გონება ზოგადიდან კერძოზე გადადის; მაგრამ განსჯა, რომელიც ცდის კვალს მისდევს, თავდაპირველად კერძოდან საყოველთაოს დაასკვნის. ხშირად შეუძლებელია ხოლმე ყველა იმ სახეთა შეცნობა, რომლებიც რომელიმე გვარს ეკუთვნის; ამიტომ იშვიათი როდია, რომ რამდენიმე განუყოფადის მოცვით შევადგენთ სახეობითს ან გვარეობითს ცნებას, და ნიშნებს, რომელთა შემჩნევაც ამ რამდენიმე საგანში ჩვენ მოვასწარით, იმავე საგნების მთელ სახეს ან გვარს მივაკუთვნებთ. ამგვარ დასკვნას ეწოდება ინდუქცია. იგი არის ხოლმე სრული, თუ ყველა განუყოფადი, რომლებიც რომელიმე სფეროს შეადგენენ, სრულად გაგებული და ჩამოთვლილია; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არაა სრული.

სრულ ინდუქციას დამამტკიცებლობის სრული ძალა აქვს; არასრული ინდუქცია კი მუდამ მხოლოდ მეტნაკლებად უახლოვდება უტყუარობას. ამ მხრივ ყველა ყოველდღიური მსჯელობა, თუკი განვიხილავთ, როგორი წესით მივიღეთ ისინი, სხვა არაფერია, თუ არა ინდუქცია. გონებრივი მოქმედების ინდუქციური წესი ისეთი წესია, რომელსაც ემყარება მთელი სისტემა ცდისეულ ცოდნათა, რომელთაგან განყენება, შეადგენს რა საყოველთაობას, ერთიანობას უახლოვდება.

§ 37

მეორეგვარი გონებრივი მოქმედება, რომელშიც კერძოდან საყოველთაოსაკენ დავასკვნით, არის მსგავსება ანუ ანალოგია. ინდუქციაში მრავალი ან რამდენიმე განუყოფადიდან გადავდივართ მთელ სახეობაზე, რომელშიც ისინი მოთავსებულია. მაგრამ ანალოგიის საშუალებით გადავკაქვს ერთ რომელიმე სახეობაზე ის, რაც მეორე გვარეობაში ან სახეობაში რამდენჯერმე იყო შემჩნეული. მაშასადამე, ანალოგიაში უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, ვიდრე ინდუქციაში. როცა ყველა ამგვარ მსჯელობას ცალ-ცალკე განვიხილავთ, ვნახულობთ, რომ ყველა მათ ცოტა ძალა აქვთ, თუ მათთან შეერთებული არაა სხვა მრავალი მსჯელობა, აღებული ან გონებიდან და საგანთა არსიდან, ანდა ნივთებს შორის არსებულ მიმართებათაგან. ძალიან ხშირად უმცირესი სხვაობა, ან ცვლილება ნივთებში თუ მათ მიმართებაში, წარმოშობს სრულიად საპირისპირო შედეგებს იმ შედეგებთან შედარებით, რომლებიც ანალოგიით იყო გამოყვანილი. მაგრამ თუ ყველა ანალოგიური მსჯელობა ერთმანეთის მსგავსია და არაფრით არ უარიყოფა, მაშინ ისინი იმდენადვე ჭეშმარიტი და უტყუარი არიან, რამდენადაც დამაჯერებელია თვითცნობიერების ძალა, რამდე-

ნადაც შექვევლია საკუთარი ცდის დამოწმება. დაეჭვება მათ საფუძველიანობაში — ეს იქნებოდა სკეპტიციზმი ან უაღრესად უნდობელი და მხდალი, ან ძალზე ამაყი და განუსჯელი. სადად მოაზროვნე არ ამბობს უარს მოიკლას შემეცნების კეთილშობილური წყურვილი ცდის ნაკადით, რომელიც იმდენადვე ანკარაა, რამდენადაც მხსნელი, ისევე როგორც თვით წყარო უძლეველად მარწმუნებელი გონებისა.

თ ა ვ ი VII

დასაბუთებანი

§ 38

დანასკვები. თუ მათი მატერიის, ფორმისა და დარწმუნების ძალის მიხედვით ვიმსჯელებთ, სხვადასხვაგვარია. ჯერ ერთი, მატერიის მიხედვით ისინი არიან: 1) წმინდა, ანუ გონებისეული, და 2) ცდიელი, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა შეადგენს მათ საფუძველს — განსჯის წმინდა კანონები, თუ მგრძობელობა და ცდა. წმინდა დასაბუთება ეწოდება ისეთსაც, რომელიც დადგინდება ზოგადი წესების საფუძველზე, სულ ერთია — იქნება ეს წესები წმინდა გონებისეული, თუ ცდიდან აღებული.

§ 39

b) დასაბუთებანი ფორმის მიხედვით არიან: ან პირდაპირი, ან არაპირდაპირი. პირველში რომელიმე წინადადება დასაბუთდება იმავე საბუთებით, რომლებზეც იგი დაფუძნებულია; მეორეში კი მოცემული წინადადების ჭეშმარიტება გამოიყვანება მისდამი დაპირისპირებულის მცდარობიდან ან, როგორც ამბობენ, უაზრობამდე მიყვანიტ. ცხადია, რომ არაპირდაპირი დასაბუთება მხოლოდ მაშინაა ვარგისი, როცა ლაპარაკია არა მოპირისპირე, არამედ წინააღმდეგობრივ ცნებებზე. ხშირად ჭეშმარიტება იმალება არა უკიდურეს დაპირისპირებებში, არამედ ორ მსგავს უკიდურეს წერტილს შუა.

§ 40

დასასრულ ც), როცა დასაბუთებას მისი ძალისა და მნიშვნელობის მიხედვით განვიხილავთ, უნდა განვასხვაოთ ორგვარი დასაბუთება:

1) აპოლოქტიკური, რომელიც თავისთავად, ყოველივე მიმართების გარეშე, საკმაო ძალის მქონე და ვარგისია.

2) ს ა ვ ა რ ა უ ლ ო, რომელიც ვარგისია მხოლოდ რამდენიმე განუყოფადის მიმართ ან საგნის მხოლოდ რამდენიმე და არა ყველა ნიშნის მიმართ.

ასეთებია: ა) დასაბუთება თ ა ნ ა ტ ო ლ ი დ ა ნ (a pari): როცა ერთი საგნიდან დავასკვნით რაიმეს მეორის შესახებ, მათი ურთიერთ-მსგავსების გამო.

ბ) დასაბუთება ა დ ა მ ი ა ნ ი ს მიხედვით (ad hominem): როცა აზრს, რომელიც მოწინააღმდეგეს მართებულად მიაჩნია, მისავე წინააღმდეგ მიემართავთ და, ასე ვთქვათ, მისი საკუთარი იარაღით მას ვამარცხებთ. მაშასადამე, აქ მოწინააღმდეგის მცდარი აზრი შეიძლება დაუშვათ, რითაც არ ვადასტურებთ მის ვარგისობას, არამედ, პირიქით, ვარდევთ მას. ასეთ დასაბუთებას მიეკუთვნება ისეთი დასაბუთებანიც, სადაც წამოყენებულია იმათი ხასიათისა და გაგების შესაბამისი მიზეზები, რომლებთანაც საქმე გვაქვს.

§ 41

მცდარი სილოგიზმები არიან ისეთები, რომლებშიც ან მატერია, ან ფორმა, ან ერთი და მეორეც ერთად, არასწორია ხოლმე. ასეთი უსწორობა შეიძლება დაშვებულ იქნეს შეუგნებლად, განუზრახველად, — და მაშინ უსწორო მსჯელობას ეწოდება პ ა რ ა ლ ო გ ი ზ მ ი; ან იგი შეიძლება დაშვებულ იქნეს განგებ, იმ განზრახვით, რომ შეცდომაში შეყვანილ იქნენ სხვები, — მაშინ ის არის ს ო ფ ი ზ მ ი, რომელიც შეიძლება მდგომარეობდეს ა) გამოთქმებში, ბ) ცნებებში; ამიტომაც სოფიზმი შეიძლება გაიყოს ორ გვარად.

1) მაცთუნებლობა გამოთქმისა არის ხოლმე: ა) ან ერთ სიტყვაში, სახელდობრ — თუ იგი სხვადასხვა მნიშვნელობით აიღება, მაშინ ადგილი აქვს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მაცთურობას, მაგალითად: სინათლე შეიძლება ჩავაქროთ; გონება არის სინათლე; მაშასადამე, გონება შეიძლება ჩავაქროთ. ბ) ანდა ორ ან რამდენიმე სიტყვაში, სახელდობრ, როცა რომელიმე აზრს დიდ წანამძღვარში ერთი მნიშვნელობა აქვს, მცირეში კი — მეორე, — ასეთ ცთომილებას ორანზროვნობის სოფიზმი ეწოდება, მაგალითად: მტრები უნდა გვიყვარდეს; მაშასადამე, სამშობლოს მტრები არ უნდა მოვკლათ. ამასვე მიეკუთვნება ცთომილება, რომელიც უკუღმართ შეერთებაში ან გაყოფაში მდგომარეობს: როცა აერთებენ იმას, რის გაყოფაც საჭიროა, ან ყოფენ იმას, რაც შეერთებულ უნდა იქნეს, მაგალითად: საბერძნეთის ბრძენნი შ ვ ი დ ნ ი არიან; სოლონი და პერიანდრე საბერძნეთის ბრძენნი არიან, მაშასადამე, სოლონი და პერიანდრე შეადგენენ შ ვ ი დ ს.

2) მატუნებლობა ცნებაში, როგორც არის ხოლმე: ა) შემთხვევითი ნიშნების სოფიზმი: როცა საგნის შემთხვევითი თვისება მის არსებით თვისებად წარმოგვიდგება, მაგალითად: სიმდიდრე ამრავლებს ფუფუნებას; მაშასადამე, სიმდიდრეს უნდა ვსობდეთ. ბ) სოფიზმი, რომელიც მდგომარეობს მოჩვენებით მიზეზში, მაგალითად: გამოჩნდა კომეტა, მაშასადამე, ომი იქნება. ც) ცთომილება, რომელიც წარმოდგება იმის აუცილებელი დაშვებით, რაც მხოლოდ გარკვეული მიმართებით არის ვარგისი. ამასვე მიეკუთვნება ცთომილებანი, რომლებიც მდგომარეობს დასაბუთებულ საფუძვლად იმის მიღებაში, რაც ჯერ კიდევ დასაბუთებულ უნდა იქნეს, და საცილობელი საგნის შეცნობა, როცა გამოყვანილი შედეგები ვერ არღვევენ საწინააღმდეგო აზრს.

§ 42

აი მოკლე მონასახი იმისა, რაც უნდა შეადგენდეს წმინდა, ანუ საკუთრივ ეგრეთ წოდებული ლოგიკის საგანს! იგი არ იკვლევს შემეცნებასა და ჭეშმარიტებას: ვინაიდან იგი არ არის მეტაფიზიკა; არ იკვლევს არც ცრურწმენებსა და ვნებებს, როგორც შემეცნების ხელშემშლელთ: ვინაიდან იგი არ არის ფსიქოლოგია; არც, ბოლოს, ჭეშმარიტების დასაბუთებათა და მეცნიერების წყობის გადმოცემას: ვინაიდან იგი განყენებულია ყოველი საგნისაგან და არ არის რიტორიკა. სწორედ ამიტომ იგი მოსამზადებელი მეცნიერებაა ყველა დანარჩენი მეცნიერებისათვის. ცოდნის ყოველი არე შეიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ცნებათა, ასე ვთქვათ, თავისებურ ოჯახს. ლოგიკამ ყველა ეს არე ერთ სისტემაში უნდა მოიყვანოს, მათი საერთო მიმართებებისა და თვისებების მიხედვით. ამასთან ერთად იგი გვიჩვენებს, თუ როგორი ურთიერთდახმარების გაწევა შეუძლია ერთ მეცნიერებას მეორისადმი, და გვეხმარება უკვე მზა საწყისებიდან შედეგთა სწორ გამოყვანაში.

დასასრული ლოგიკისა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფილოსოფიის ზოგადი შესავალი

ლოგიკის შესავალი

თ ა ვ ი I

ლოგიკის ცნება და განსაზღვრება

ჰველოფერი ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს, როგორც გარესამყაროში, ისე ადამიანშიც. § 1.

გონება უმთავრესად არის აზროვნების კანონების, ან ლოგიკური კანონების წყარო. § 2.

ლოგიკის ცნების განვითარება. § 3.

თ ა ვ ი II

ლოგიკის მოკლე ისტორია

ზოგადი შეხედულება ამ მეცნიერების ისტორიაზე. § 4.

დალაქტიკა, ერისტიკა და სოფისტიკა. § 5.

სილოგისტიკა. § 6.

სქოლასტიკური ლოგიკა, მისი ბედი. § 7.

ბეკონიდან ვოლფამდე. § 8.

ვოლფის ლოგიკა § 9.

კანტიდან ჩვენს დრომდე. § 10.

ლო გ ი კ ა

თ ა ვ ი I

გ ო ნ ე ბ ა

გონების ცნება. § 1.

მისი მოქმედების ზოგადი წესი. § 2.

თ ა ვ ი II

აზროვნების კანონები

აზროვნების კანონების გამოყვანა. § 3.

მათი შედარება ერთმანეთთან. § 4.

თ ა ვ ი III

მ ს ქ ე ლ ო ბ ა

მსჯელობის ცნება. § 5.

ქვემდებარე. § 6.

შემასმენელი. § 7.

კავშირი. § 8.

შედარება ამ ნაწილებისა. § 9.

მსჯელობათა სახეები, რომელნიც გამოყვანილთ ფორმების სხვადასხვა შეერთებიდან წარმოდგებიან. § 10.

თ ა ვ ი IV

წესები სხვადასხვა გვარის წინადადებათათვის მატერიის მიხედვით

წინადადებათა განხილვა მატერიის რაოდენობის მიხედვით. § 11.

მატერიის თვისებრიობის მიხედვით. § 12.

ნივთთა ერთმანეთს შორის მიმართების მიხედვით. § 13.

გონებისადმი მიმართების მიხედვით. § 14.

1. განსაზღვრება.

2. გაყოფა.

მსჯელობათა გაყოფა მატერიის მიხედვით საერთოდ. § 15.

თ ა ვ ი V

ც ნ ე ბ ე ბ ი

ცნების განსაზღვრება. § 16.

I

ცნებათა საყოველთაო კანონები. § 17.

II

წესები სხვადასხვა გვარის ცნებათათვის

შერეული ცნებები. § 18.

მათი დაყოფა რაოდენობის მიხედვით. § 19.

თვისებრიობის მიხედვით. § 20.

ნივთთა მიმართების მიხედვით. § 21.

გონებისადმი მიმართების მიხედვით. § 22.

თ ა ვ ი VI

და ს კ ვ ნ ე ბ ი

დასკვნის განსაზღვრება. § 23.

სილოგიზმების საფუძველი და საყოველთაო ფორმები. § 24.

კატეგორიული სილოგიზმის ცნება. § 25.

- ამ სილოგიზმის წესები. § 26.
სილოგიზმების ფიგურები. § 27.
პირობითი სილოგიზმი. § 28.
პირობითი სილოგიზმის საფუძველი. § 29.
გაყოფითი სილოგიზმი. § 30.
გაყოფითი სილოგიზმის საფუძველი. § 31.
დილემა. § 32.
ენთიმემა. ეპიქერემა. § 33.
სორიტი. § 34.
სორიტის წესები. § 35.
ინდუქცია. § 36.
ანალოგია. § 37.

თ ა ვ ი VII

დასახუთებანი

- მათი მატერიის მიხედვით. § 38.
მათი ფორმის მიხედვით. § 39.
მათი ძალის მიხედვით. § 40.
მედარი სილოგიზმები. § 41.
დანასკვი. § 42.

„ლოგიკური მეთოდოლოგია“

II

ლოგიკური მეთოდოლოგია¹

ლოგიკური მეთოდოლოგია არის მეცნიერება, რომელიც გვასწავლის წესებს, რომელთა დაცვით შეგვიძლია მივალწიოთ სრულყოფილობას შემეცნებაში. მისი მიზანია ჩვენი შემეცნების ლოგიკური სრულყოფილობა.

ჩვენი გონება ესწრაფვის ყველა შექმნილი სხვადასხვაგვარი შემეცნება მოიყვანოს სისტემაში (ერთიანობაში, ჩამოაყალიბოს მეცნიერებად).

რა არის სისტემა ანუ მეცნიერება?

მეცნიერება ფარაო გაგებით არის წესების სისტემატური გადმოცემა — სისტემატური შემეცნება.

ყოველ სისტემას ეკუთვნის მრავალი სხვადასხვაგვარი შემეცნება, რაც ერთ მთლიანობად უნდა შეერთდეს.

სისტემას უპირისპირდება ნაწყვეტ-ნაწყვეტი შემეცნებანი, რომლებშიც არ არის ერთიანობა, არ არის ჰარმონია, რის გამოც მათ ეწოდება რაპსოდული შემეცნებანი, ისეთ შემეცნებებს კი, რომლებიც სისტემას შეადგენენ, ეწოდება სისტემატური შემეცნებანი.

ყველა ჩვენი შემეცნება თავდაპირველად რაპსოდული (ცალკეული) იყო, მაგრამ შემდგომ ისინი თანდათანობით შეერთდნენ სისტემად და შექმნეს მეცნიერება. მეცნიერება არის ჩვენი გონების მიზანი და სრულყოფილობა, რომლის მიღწევასაც ჩვენ ვესწრაფვით.

შენიშვნა: ჩვენს გონებას ადარებენ ხუროთმოძღვარს: როგორც ხუროთმოძღვარი ქმნის გროვა მასალისაგან რაიმე შენობას, ისე ჩვენი გონებაც უაჩრებ გაფანტულ შემეცნებათაგან ქმნის რაიმე მთლიანს.

ყოველი ნივთი, სრულყოფილად იწოდება მაშინ, როცა იგი სრულია თავის გვარში, ე. ი. როცა იგი შეიცავს ყველა თვისებრიობის კუთვნილებას.

¹ პირველად გამოქვეყნდა პროფ. თ. კუკავას გამოკვლევით. იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომები“, 1955 წ, № 6.

ლოგიკური შემეცნება სრულყოფილია მაშინ, როცა იგი სავსეა, როცა იგი შეიცავს ყოველივე იმას, რაც მას ეკუთვნის.

შენიშვნა 1. შემეცნებათა სრულყოფილობას ეწოდება ლოგიკური სრულყოფილობა, პერცეპტის სრულყოფილობას კი — ესთეტიკური. ლოგიკის ეკუთვნის მხოლოდ ლოგიკური სრულყოფილობა და იგი საჭიროა ფილოსოფოსისათვის; ესთეტიკური სრულყოფილობა კი ესაჭიროება ორატორსა და მელექსეს.

შენიშვნა 2. სხვაობა შემდეგ სიტყვებს შორის:

1. Repraesentare, როცა თავისუფლად რაიმეს წარმოვიდგენ შეუგნებლად.
2. Percipere, როცა რაიმეს წარმოვიდგენ შეუგნებლად, ბუნდოვანს ვხედავ.
3. Noscere, როცა არა მარტო ვიცი საგანი, არამედ ვადარებ რა სხვებს, განვიხილავებ კიდევ.
4. Cognoscere — შემეცნება, რომლისთვისაც უკვე საჭიროა გონება.
5. Intellegere, კიდევ უფრო მაღალია cognoscere-ზე.
6. Perspicere, შემეცნება, რომელიც გამოიყვანება რომელიმე მეცნიერებრივ საქმისიდან.
7. omprehendere — ყველაზე მაღალი საფეხური, ე. ი. რაიმე საგანი ყველა მიმართებით.

შემეცნებათა სრულყოფილობა შეიძლება განვიხილოთ რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალიტეტის მიხედვით.

1. შემეცნებათა რაოდენობა ორნაირია: *extensiva et intensiva*. პირველ შემთხვევაში შემეცნებათა სრულყოფილობა მით უფრო მეტია, რაც უფრო საგანთა მეტ რაოდენობაზე განვირცობა და რაც უფრო მეტ საგანს შეიცავს იგი; მეორე შემთხვევაში შემეცნება მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო მეტი შემეცნება გამომდინარეობს მისიდან. ე. ი. რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი.

მაგალითი — რამდენადაც ადამიანი შეზღუდული არსებობს, მას არ შეუძლია მიაღწიოს სრულყოფილობას¹.

შემეცნების შესაძლებლობა ან ლოგიკურია (ფორმალური), ან ნივთიერი (მატერიალური).

ლოგიკური შემეცნება მნიშვნელოვანია მაშინ, როცა იგი ხელს უწყობს ჩვენი შემეცნების ლოგიკურ სრულყოფილობას.

ნივთიერი შემეცნება მნიშვნელოვანია მაშინ, როცა იქიდან ბევრი სხვა შემეცნება გამომდინარეობს.

ერთი შემეცნება მნიშვნელოვანია, მეორე არაა იმდენად მნიშვნელოვანი, მესამე კი კიდევ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია; მაგ.: მათემატიკის, ფიზიკის შემეცნება უფრო მნიშვნელოვანია...² ზოგჯერ ძნელი

¹ შემეცნებაში რაოდენობის მიხედვით, განსაკუთრებით ცდისეულ შემეცნებაში, არასოდეს არ შეიძლება შემეცნების საყოველთაოობის მიღწევა, მაგრამ ზოგ შემეცნებაში ასეთი საფეხურის მიღწევა შესაძლებელია.

² ეს ადგილი დედანშე გაუგებარია (თ. კ.).

შემეცნება არ შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, მაშასადამე; ჩნელი არ უნდა აერიოთ მნიშვნელოვანში.

II. თვისებრიობის მიხედვით შემეცნება სრულყოფილია, როცა იგი ცხადია. რამდენადაც ნიშნები შეადგენენ ცნებას. ლოგიკური სიცხადე მდგომარეობს ცნების სიცხადეში.

წარმოდგენას აქვს ლოგიკური სიცხადე, თუ შეგნებული გვაქვს მისი ნიშნები.

შემეცნებას ეწოდება საფუძვლიანი ანუ ღრმა მაშინ, როცა შეგვიძლია ვუჩვენოთ ნიშანთა ნიშნები; ამიტომ შემეცნებას, რომელსაც ლოგიკური სიცხადე გააჩნია, შეიძლება ეწოდოს საფუძვლიანი შემეცნება.

ასეთ შემეცნებას უპირისპირდება სუსტი და ზერელე შემეცნებანი, რომელნიც მაშინ გვაქვს, როცა ჩვენ მხოლოდ ზერელე ნიშნებს ვუჩვენებთ და არ ვიცით ის, რასაც მათ შესახებ ვამტკიცებთ.

სიცხადის უმაღლეს საფეხურს შეადგენს განსაზღვრება. შემეცნებათა სიცხადე არის სინთეზური და ანალიზური; ამიტომ განსაზღვრებაც ამავე სახისაა. ანალიზური სიცხადე მიიღება ცნებათა დაშლის გზით, სინთეზური კი — ერთი ნიშნის მეორისადმი მიმატებით.

ცნებათა შეკრება არის ან ნებისმიერი, ან არანებისმიერი (a priori et a posteriori).

განსაზღვრება არის საკმარისი, ცხადი და სრული შემეცნება (არსებითი ნიშნების გადმოცემა). გონებით შექმნილი შემეცნება შეიძლება განისაზღვროს, ცდით შექმნილ შემეცნებას კი ვერ განვსაზღვრავთ.

შემეცნების სიცხადეს შეგვიძლია მივალწიოთ აღწერის (descriptiv), გადმოცემის (expositiv) და განსაზღვრების (definitiv) მეშვეობით.

გრძობად საგნებს აღწევრთ მაშინ, როცა წარმოვიდგენთ როგორც შინაგან, ისე გარეგან ნიშნებს, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ განვასხვაოთ აღნიშნული საგნები სხვა საგნებისაგან გარკვეული მიზნისათვის. მაშასადამე, აღწერა შეიძლება განიცრცოს მხოლოდ გრძობად საგნებზე.

ცნების გადმოცემა მაშინ არის, როცა წარმოვიდგენთ მის შინაგან ნიშნებს და სახეში არა გვაქვს სისრულე და სიზუსტე.

გადმოცემა აღწერისაგან იმით განსხვავდება, რომ აღწერისას გადმოიცემა შემთხვევითი ნიშნები, გადმოცემისას კი — შინაგანი ნიშნები.

განსაზღვრება გადმოცემისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი არსებით ნიშნებს სრულად და ზუსტად გადმოგვცემს.

განსაზღვრება შეიცავს სამ ნაწილს: სიცხადეს, სისრულეს და ნიზუსტეს.

განსაზღვრება ცხადია მაშინ, როცა 1. მასში გადმოსაცემი ნიშნები ნათელი წარმოდგენებია; 2. როცა განსაზღვრებით თვით სასაზღვრო ნათელი ხდება.

სრულია მაშინ, როცა გამოჩნდება ყველა არსებითი ნიშანი.

ზუსტია, როცა წარმოვიდგენთ იმდენ ნიშანს, რამდენიც საჭიროა, არც მეტს არც ნაკლებს.

ყველა ცდისეული შემეცნება (ე. ი. შეძენილი a posteriori) შეიძლება გადმოიცეს, მაგრამ არ შეიძლება განისაზღვროს; შემეცნებანი კი, შეძენილი a priori, შეიძლება განისაზღვროს.

სიტყვა „განსაზღვრება“ გაიგება ორი აზრით: ან მასში იგულისხმება მთელი მსჯელობა, როცა object(um) არის სასაზღვრი, praedicat(um) კი — მისი ნიშნები და ამას ეწოდება $\text{definitio applicans}$: ანდა ზოგჯერ იგულისხმება ნიშნები, რომლებსაც მივაწერთ თვით განსაზღვრებას და მაშინ მას ეწოდება $\text{definitio applicata}$.

მარტივი ცნებები არ შეიძლება იყოს განსაზღვრებადი იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ ნიშნები.

ყოველი განსაზღვრება არის კატეგორიული მსჯელობა, რომელშიც სასაზღვრო — $\text{definitum est subject(um)}$, მასში ნაჩვენები ნიშნები კი შეადგენენ მის praedical(um) -ს.

მაგალითი: ფიგურა, შემოფარგლული სამი კუთხედით და მხარით, შეადგენს სამკუთხედს.

1. რაოდენობის მიხედვით განსაზღვრების სრულყოფილობა იმას ნიშნავს, რომ იგი იყოს ზუსტი და არ იყოს არც ვიწრო, არც ფართო. ეს კი მაშინაა, როცა განსაზღვრება და სასაზღვრი ურთიერთი ცნებებია.

2. თვისებრიობის მიხედვით განსაზღვრება სრულყოფილია მაშინ, როცა ნიშნები ცხადია და ისინი არ შეიცავენ საპირისპირო ცნებებს.

3. მიმართების მიხედვით განსაზღვრება სრულყოფილია, თუ რომ praedicat(um) ცხადს ხდის subject(um) -ს და რომ არ უნდა იყოს წრე. მაგალითად, სიყვარული არის მოყვარულის მიმართება საყვარელისადმი.

გონების მიმართ განსაზღვრება იმაში მდგომარეობს, რომ ნიშნები იყოს არსებითნი და არა შემთხვევითნი.

შენიშნა: ცდისეული საგნები შეგვიძლია ავეწროთ და გადმოვცეთ, მაგრამ მათი განსაზღვრა შეუძლებელია, იმიტომ რომ ისინი შეიძლება შეიცავდნენ უთვალავ ნიშნებს.

იმის გასაგებად, რომ განსაზღვრება არც ფართოა, არც ვიწრო, იხ. 1 წესი.

თუ მსჯელობა შეგვიძლია პირდაპირ დაეუპირისპიროთ, მაშინ განსაზღვრება არც უფრო ფართოა, არც უფრო ვიწრო სასაზღვრზე.

2. თუ მსჯელობა შეგვიძლია უბრალოდ დაეუპირისპიროთ, მაგრამ არ შეგვიძლია გადავადგილოთ, მაშინ განსაზღვრება უფრო ვიწროა თავის სასაზღვრზე.

3. პირიქით, თუ მსჯელობა შეგვიძლია გადავადგილოთ უბრალოდ, მაგრამ არ შეგვიძლია დაუუპირისპიროთ, მაშინ განსაზღვრება უფრო ფართოა თავის სასაზღვრზე.

4. განსაზღვრება მართებულია მაშინ, როცა შეგვიძლია პირდაპირ დაუუპირისპიროთ და გადავადგილოთ იგი.

განსაზღვრება დაიყოფა ასე: სიტყვიერი, სახელდებითი და ნივთიერი. სიტყვიერი განსაზღვრება არის მხოლოდ განმარტება რომელიმე სიტყვისა, მაგ., ღვთისმეტყველება არის შეცნობა ღმერთის შესახებ. სახელდებითი განსაზღვრება შეიცავს გარეგან ნიშნებს, რომლებიც აიღება ერთი ცნების მეორესთან შედარებიდან, მაგ.: წყალი არის თხევადი ნივთიერება, რომელსაც არც გემო აქვს, არც სუნი.

ნივთიერი განსაზღვრება შეიცავს შინაგან არსებით ნიშნებს, რომლებიც აღებულია საგნის თვით რაობიდან.

ცდისეულ საგნებს შეეფერება მხოლოდ სახელდებითი განსაზღვრება.

სახელდებითი განსაზღვრება წარმოიშვება მაშინ, როცა მოვნახავთ უახლოეს ცნებებს, რომლებშიაც იმყოფება definitum, შემდეგ კი სახეობით განსხვავებას, ე. ი. ნიშნებს, რომლებიც ექვემდებარება მას.

უმალლესი და მარტივი ცნებები არ შეიძლება განსაზღვრებადი იყოს, როგორც, მაგალ.: რაამე, ნული, ერთეული, იმიტომ რომ მათ არ გააჩნიათ ნიშნები და გვარეობითი ცნებები.

განსაზღვრება დაიყოფა თეორიულ და გენეტიკურ განსაზღვრებად.

პირველია ის, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ შემეცნებას, მეორე კი, რომელიც გვიჩვენებს საგნის წარმოქმნის საშუალებებს. გენეტიკურ განსაზღვრებას ვხვდებით მათემატიკაში.

სრულყოფილობა ლოგიკური შემეცნებისა მიმართების მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყოს კეშმარტი. კეშმარტება დაიყოფა ლოგიკურ და ნივთიერ კეშმარტებად.

ლოგიკური კეშმარტება არის ჩვენი აზრების უთანხმებულობა აზრის კანონებთან. მატერიალური კეშმარტება კი არის ჩვენი აზრების შეთანხმებულობა თვით საგანთან.

შემეცნებას, რომელსაც არ გააჩნია ლოგიკური კეშმარტება, არ შეუძლია ჰქონდეს ნივთიერი კეშმარტებაც.

იმას, რის მიხედვითაც შეიცნობა, რომ შემეცნება კეშმარტია ან მცდარი, ეწოდება (criterium veritatis) კეშმარტების ნიშანი.

რადგან კეშმარტება ლოგიკურ და ნივთიერ კეშმარტებად იყოფა, კეშმარტების ნიშანიც უნდა იყოს ლოგიკური და ნივთიერი.

საერთო ნიშანი ნივთიერი კეშმარტებისათვის შეუძლებელია არსებობდეს, ვინაიდან საერთო ნიშანი იქნებოდა ისეთი, რომელიც ყველა საგანს მიეკუთვნებოდა; ნივთიერი კეშმარტება მოითხოვს შე-

თანხმებას ერთ რომელიმე სასაზღვრ საგანთან და არა საგანთან საერთოდ.

ლოგიკური ჭეშმარიტების criterium-ი შეიძლება გამოვიყვანოთ ჩვენი აზრის კანონებიდან, როგორცაა:

1. ჭეშმარიტი შემეცნება უნდა ეთანხმებოდეს თავის თავს; შემეცნება კი, რომელიც წინააღმდეგობას შეიცავს, მცდარია.

2. შემეცნება, რომელსაც საკმაო საფუძველი აქვს, ჭეშმარიტია; ის შემეცნება კი, რომელსაც ასეთი საფუძველი არ გააჩნია, მცდარია.

3. ორი საპირისპირო შემეცნებიდან ერთი უნდა იყოს ჭეშმარიტი, მეორე კი—მცდარი; ამიტომაც ერთის ჭეშმარიტებიდან ან მცდარობიდან შეიძლება დავასკვნათ მეორის ჭეშმარიტება, ან მცდარობა.

4. ჭეშმარიტი შემეცნებიდან გამომდინარე შემეცნება ჭეშმარიტია. მაკალითად, ყველა ადამიანი მოკვდავია, N ადამიანია, მაშასადამე, N მოკვდავია იმიტომ, რომ საფუძვლის დამყარებით უნდა დამყარდეს შედეგი. თუ შედეგი მცდარია, მცდარი უნდა იყოს საფუძველიც, რადგან შედეგი დამოკიდებულია საფუძველზე. მაგრამ ხშირად მცდარი საფუძველიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ჭეშმარიტი შედეგი. შემეცნება, რომელიც ჭეშმარიტია ლოგიკურად, არ შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტია ნივთიერადაც.

შემეცნება მოღალიტეტის მიხედვით სრულყოფილია მაშინ, როცა მას გააჩნია ნამდვილობა ანუ უტყუარობა.

ნივთიერი ჭეშმარიტების დროს საკითხავია 1: შეეთანხმება თუ არა ცნება საგანს; 2. ლოგიკურის დროს—ჩვენი აზრის კანონებს; უტყუარობის დროს კი საკითხავია — შეეთანხმება თუ არა იგი საგნებს, აზრის კანონებს, სხვა საგნებს და რამდენად ღიღია ამ ჭეშმარიტებად მიჩნეულის ხარისხი.

მოიჩინო ჭეშმარიტებად — ნიშნავს დათანხმდე იმას, რაც შეთანხმების სტიმულს იძლევა, შეადგენს მიზეზს ანუ საფუძველს ჭეშმარიტად მიჩნეულისას.

შეგონება არის მიჩნევა ჭეშმარიტებად, რაც დაფუძნებულია სუბიექტურ ცნებებზე, ე. ი. რომელიც ეკუთვნის ერთ სუბიექტს...¹ ობიექტური ცნებები კი ვარგისია ყველა ადამიანისათვის საერთოდ.

არწმუნება არის ჭეშმარიტად მიჩნევა, რომელშიც სუბიექტური ცნება არის ამასთანავე ობიექტურიც.

არწმუნებას და შეგონებას ის საერთო აქვთ, რომ ვინც დარწმუნებული ან შეგონებულია, ის რაიმეს მიიჩნევს ჭეშმარიტებად. განსხვავება იმაშია, რომ ვინც დარწმუნებულია, ის ღებულობს რაიმეს ჭეშმარიტებად აუცილებლობით, ხოლო ის, ვინც შეგონებულია, ღებულობს შეთანხმებით.

¹ ღედანში აღნიშნული მრავალწერტილი გაუგებარია. (თ. კ.).

ვიფიქრო ან ვივარაუდო—ნიშნავს მივიჩნიო რაიმე ჭეშმარიტებად, თანაც ვიცი, რომ ჩემი საფუძველი არც ჩემთვის და არც სხვისთვის საკმაო არაა.

მწამდეს — ნიშნავს მივიჩნევდე რაიმეს ჭეშმარიტებად საკმაო მიზეზებით მხოლოდ ჩემთვის და არა სხვებისთვის; მაგალითად: მე მწამს, რომ სული უკვდავია.

ვიტოდე — ნიშნავს მივიჩნევდე რაიმეს ჭეშმარიტებად საკმაო ნიშნებით, როგორც ჩემთვის, ისე ყველასთვის, მაგ: $2 \times 2 = 4$.

ვარაუდს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, ეწოდება ჭიშკრა. იმას, რაც შეიცავს მეტ მიზეზს pro, ვიდრე contra ეწოდება ხააღბათო. ამრიგად, ალბათობა არის მიჩნევა ჭეშმარიტებად რაიმე მიზეზებით; ამასთან ვიცი, რომ ეს მიზეზები არა კმარა იმისათვის, რომ დაერწმუნდე ჭეშმარიტებაში.

ამგვარად, ყოველი ჭიშკრა არის ნაყოფი ჩვენი წარმოსახვისა, რომელსაც არ მართავს არც გამოცდილება. არც სალი განსჯა.

ალბათობა დაიყოფა ლოგიკურ და ნივთიერ ალბათობად. თუ ალბათობა ჩემს მსჯელობას ეხება, მას ეწოდება ლოგიკური; თუკი იგი თვით ნივთს შეეხება, მაშინ, ეწოდება ნივთიერი. ნივთიერი ალბათობა შეიძლება გამოვიანგარიშოთ მათემატიკურად, ლოგიკური კი შეუძლებელია ასეთი იყოს, იმიტომ რომ ზოგი მიზეზი ჩემთვის მნიშვნელოვანია, აბგრამ სხვისთვის არაა იმდენად მნიშვნელოვანი.

ცრურწმენა არის მცდარი მსჯელობა, რომელსაც მივიჩნევთ ჭეშმარიტებად და ვაქცევთ საწყისად.

ჰიპოთეზად იგულისხმება ახსნა რაიმე ნამდვილისა სხვა ისეთი რამის მეშვეობით, რის ნამდვილობაც დამტკიცებული არაა.

ჰიპოთეზა არის ჭეშმარიტი: 1. თუ იქიდან შეიძლება ბევრი რამის ახსნა, 2. თუ იქიდან შეიძლება რაიმეს ადვილად ახსნა, 3. თუ ეს ჰიპოთეზა არ საჭიროებს დამხმარე ჰიპოთეზებს, 4. თუ ჰიპოთეზა თავისთავად შესაძლებელია.

ყველა სილოგიზმს ინდუქციისა და ანალოგიის მეშვეობით გააჩნია ალბათობა.

საგნების ცოდნა ორნაირად მიიღება: 1. გამოცდილების საშუალებით (a posteriori) ან 2. გონების მეშვეობით (a priori). პირველ შემთხვევაში ცოდნას ეწოდება ემპირიული, მეორეში კი—გონებითი.

ემპირიული შემეცნება დაფუძნებულია ან საკუთარ, ან სხვის გამოცდილებაზე. გამოცდილება ორნაირია: საკუთარი და სხვისი. ისტორიული მეცნიერებანი მეტწილად დამყარებულია სხვების გამოცდილებაზე.

გონებითი შემეცნების განსხვავება ცდისეული შემეცნებისაგან ისაა,

რომ პირველი არის საერთო და აუცილებელი, ცდისეული კი — კერძობითი.

გონებითი შემეცნება არის ან ფილოსოფიური, ან მათემატიკური. პირველი ემყარება ცნებებს, მეორე კი — წმინდა ჰერეტას.

როგორც მათემატიკური, ისე ფილოსოფიური შემეცნებანი საყოველთაო და აუცილებელია, მაგრამ სხვაობა იმაშია, რომ პირველთ აქვთ სიცხადე და უეჭველობა, მეორენი კი მოკლებულნი არიან ასეთ სიცხადეს, რადგან ისინი მოითხოვენ მტკიცებას, მაგალითებს; ამიტომაც მათემატიკური შემეცნებანი მტკიცე და საფუძვლიანია. ალბათობა და ნამდვილობა ეკუთვნის სწორედ უდაბლეს შემეცნებას მხოლოდ და არა საგნებს. საფუძველს, რომელიც ჩვენს რწმენას მერყევს ხდის და სპობს ჩვენს შეთანხმებას, ეწოდება ეჭვი. სხვების შეხედულების წინააღმდეგ აღძრულ ეჭვს ეწოდება შესიტყვება. ეჭვს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, ეწოდება უსაფუძვლო ეჭვი.

თუ ჩვენი შემეცნებანი უნდა იყოს მეცნიერებისადმი მისაყენებელი, მაშინ უნდა შეიძლებოდეს მათი წამოყენება სისტემატურად, ე. ი. უნდა არსებობდეს წესი და კავშირურთიერთობა. ამას ხელს უწყობს ჯერ ერთი დაყოფა ცნებებისა, მეორე კი — ერთი შემეცნების მტკიცებათა გამოყვანა მეორიდან.

ცნებათა დაყოფის შესახებ

ცნების დაყოფა ნიშნავს იმ წარმოდგენათა ჩვენებას, რომელთაც ეს ცნება შეიცავს, რამდენადაც ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცნებათა დაყოფა ხდება შინაარსისა და მოცულობის მიხედვით. დაყოფისას გაყოფადი ცნება არის უმაღლესი, დაყოფით მიღებული ნაწილები კი უმდაბლესი ცნებებია. მარტივი ცნების დაყოფა შეუძლებელია. დასაყოფ ცნებას ეწოდება გაყოფადი (divisium), თვით ნაწილებს კი, რომლებიც დაყოფისას მიიღება, ეწოდება დაყოფის წევრები. ნიშნავს, რომლითაც დაყოფა ხდება და რომელიც გვიჩვენებს, რომ დაყოფის წევრები გამყოფელია, ეწოდება დაყოფის საფუძველი (fundamentium divisionis).

დაყოფის სრულყოფილობა შეიძლება განვიხილოთ რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალიტეტის მიხედვით.

1. რაოდენობის მიხედვით. დაყოფის ყოველი წევრი არის წარმოდგენა, რომელიც ექვემდებარება გაყოფადს. მაშასადამე, გაყოფადი სრულყოფილად უნდა იმყოფებოდეს თვითეულ წევრში და გაყოფადს უფრო დიდი სფერო აქვს, ვიდრე დაყოფის თვითეულ წევრს.

თვითეული გაყოფადი უნდა იყოს ცნება, მაგრამ არა წარმოდგენა (intuitus).

2. თვისებრიობის მიხედვით. დაყოფის წევრები, ერთად აღებული, უნდა შეადგენდნენ გაყოფადის სფეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაყოფა არ იქნება სრულყოფილი.

8. მიმართების მიხედვით: a) დაყოფის წევრები ურთიერთ უნდა გამოირიცხავდნენ ერთმანეთს, რადგან ისინი ტოლხარისხოვანი წარმოდგენებია, b) დაყოფის წევრები არ უნდა ექვემდებარებოდნენ ერთმანეთს, c) დაყოფა უნდა ხდებოდეს თანდათანობით და არ უნდა შეიცავდეს ნახტომს, d) დაყოფა არ უნდა გვხვდებოდეს დაყოფის წევრებს შორის.

4. მოდალიტეტის მიხედვით. როგორც კი დგინდება დაყოფის წევრები, ამით დგინდება საფუძველიც, ხოლო ამით — დაყოფის ყველა სხვა წევრიც.

ყოველი დაყოფა ხდება გამყოფი მსჯელობის მეშვეობით. დაყოფადი შეადგენს გამყოფი მსჯელობის subjekt (um)-ს, დაყოფის წევრები კი — predicat(um)-ს. დაყოფას, რომელსაც ორი წევრი აქვს, ეწოდება ორწევროვანი (dihotomia), ხოლო თუ ორ წევრზე მეტია, ეწოდება მრავალწევროვანი (politomia); დაყოფის წევრები უნდა იყოს წინააღმდეგური ცნებები, მაგ.: ყველა ადამიანი ავადმყოფია, ან არაა ავადმყოფი. ლოგიკური დაყოფა უნდა იყოს მხოლოდ ორწევროვანი. ნივთიერი კი შეიძლება იყოს ორწევროვანიც და მრავალწევროვანიც და, გარდა ამისა, დაყოფის წევრები შეიძლება არც კი იყოს პირდაპირ საპირისპირონი. დაყოფა არის a priori და a posteriori. პირველი ემყარება გონებას, მეორე კი — ცდას.

დაყოფა a posteriori დაიყოფა სრულ და არასრულ დაყოფად. პირველია მაშინ, როცა მას ვერც რაიმეს მოვაკლებთ და ვერც რაიმეს მიუვმატებთ.

თუ მიღებული წევრები დაყოფისა კიდევ დაიყოფა, მაშინ წარმოიშევა ქვედანაყოფი. ქვედაყოფადი წევრები—subdivisium.

თუ ერთსა და იმავე დაყოფადს მრავალი საფუძველის მიხედვით დავყოფთ, მაშინ ამას ეწოდება თანადაყოფა. მაგალითად, ადამიანი შეიძლება განვიხილოთ...¹ ფერის, განათლების, ასაკისა და სხვ. მხრივ. რომელიმე ცნების დაყოფა, სისრულით წარმოდგენილი, შეადგენს ცხრილს.

ყოველი დაყოფისას დაყოფადი შეადგენს გვარს, დაყოფის წევრები კი—სახეობებს, მაშასადამე, დაყოფის წევრებს გაცილებით მეტი ნიშნები აქვთ, ვიდრე თვით დაყოფადს.

ერთი და იგივე ცნება შეიძლება დაიყოს სხვადასხვა მიმართებით.

¹ აქ დედანი გაუგებარია. რედ.

მსჯელობის ნამდვილობა ემყარება ან თვით მას, ან მასთან კავშირში მყოფი სხვა მსჯელობის ნამდვილობას, პირველს აქვს უშუალო ნამდვილობა, მეორეს კი შუალობითი.

ზოგიერთი მსჯელობა მოითხოვს მტკიცებას, ზოგიერთი კი — არა, მსჯელობის მტკიცება ნიშნავს ჭეშმარიტების გამოყვანას საყოველთაოდ ვარგისი საფუძვლებიდან, მაშასადამე, მტკიცებათა მიზანია დარწმუნება.

მტკიცებას, რომლის მიზანიც მხოლოდ შეგონებაა, ეწოდება მატუნებელი (*ad nomen*), მტკიცებას კი, რომლის მიზანიც დარწმუნებაა. ეწოდება ჭეშმარიტი მტკიცება (*ad veritatem*).

ყოველი მტკიცებიდან გამოიყვანება დასკვნა. ყოველი მტკიცება წარმოებს სილოგიზმის მეშვეობით.

მსჯელობას, რომელიც მტკიცებას არ მოითხოვს და რომლის ჭეშმარიტებაც თვალსაჩინოა, ეწოდება აქსიომა.

მტკიცებათა დროს უნდა განვასხვაოთ მატერია ფორმისაგან. მატერიას შეადგენს მტკიცებათა საფუძველი, ფორმას კი შეადგენს შედეგი.

მსჯელობას, საიდანაც სხვა მსჯელობის ჭეშმარიტება გამოიყვანება, ეწოდება მტკიცება (*argumentum*). თვით მტკიცებას, რომელზეც დაფუძნებულია ყველა სხვა მტკიცება, ეწოდება მტკიცების კავშირი, მტკიცების ძალა (*nervus probandi*).

მტკიცებანი იყოფა პირდაპირ და ირიბ მტკიცებად. პირდაპირი ეწოდება ისეთ მტკიცებას, რომელშიც წინადადება პირდაპირ გამოიყვანება საფუძველიდან.

ირიბი ეწოდება ისეთ მტკიცებას, რომელშიც საპირისპირო დასამტკიცებელი დებულება არ შეიძლება იყოს; ეს კი მაშინაა, როცა საპირისპირო დასამტკიცებელი დებულებიდან გამოიყვანება შედეგი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს ჭეშმარიტ დებულებას.

წყაროების მხრივ, საიდანაც საფუძველი აიღება, მტკიცებანი დაიყოფა: *a priori* და *a posteriori*. პირველი მტკიცებას იღებს გონებიდან, მეორე კი — ცდიდან.

ფილოსოფიურ მტკიცებას ეწოდება აკრომატიკული, მათემატიკურს კი — დემონსტრაციული.

ერთი სილოგიზმიდან გამომდინარე მტკიცებას ეწოდება მარტივი მტკიცება, მრავალი სილოგიზმიდან შედგენილს კი რთული. მტკიცება არის კიდევ ანალიზური და სინთეზური. პირველია მაშინ, როცა აღმა ავდივართ საფუძვლისაკენ, მეორე კი — როცა დაღმა ჩავდივართ შედეგისაკენ.

1. ჩაოდენობის მიხედვით მტკიცებანი სრულყოფილია, როცა ისინი სრულია, ე. ი. როცა შეიცავენ ყველა არგუმენტს და თუ ერთი არგუმენტი გამოტოვებულა, მაშინ მათში ნახტომია.

2. თვისებრიობის მიხედვით: თუ ისინი ზუსტია, ე. ი. მტკიცება წარმოებს არც ძალიან ბევრის, არც ძალიან ცოტასი. მაგალითად, არავის არ შეუძლია სიცოცხლე წაართვას მას, ვისთვისაც არ მიუცია. მაგრამ ცხოველისათვის მე არ მიმიცია სიცოცხლე, მაშასადამე, მე არ უნდა ვკლავდე მას. ეს მტკიცება ამ მხრივ უმართებულოა.

3. მიმართების მიხედვით: მტკიცებაში არ უნდა იყოს წრე, ანუ მტკიცება სრულყოფილია მაშინ, როცა მასში არგუმენტს შორის არ ჩაისძის ისეთი წინადადება, რომელიც კიდევ საჭიროებდეს დამტკიცებას (petitio principum). არამტკიცებადი არ ჩაისძის argumentum-ს შორის.

4. მოდალიტეტის მიხედვით: თუ შედეგი ნამდვილად გამომდინარეობს მტკიცების საფუძვლიდან და, მაშასადამე, მასთან კავშირშია.

მეცნიერებაში შეიძლება შევხედოთ წესს, თუ როგორ წარმოიქმნება მეცნიერებისდაგვარი შემეცნებანი.

ყოველი ასეთი წესის დროს უნდა არსებობდეს ერთიანობა. თუ ეს ერთიანობა ცხად საწყისებს ემყარება, მაშინ ვას ეწოდება მეთოდი (modus logicus). თუ ეს ერთიანობა გრძნობებს ემყარება, მაშინ მას ეწოდება მანერა (modus esteticus).

მანერა არის მხატვრულ ხელოვნებაში, მეთოდი კი — მეცნიერებაში.

როცა ჩვენი აზრები სისტემატურ წესრიგში მოგვყავს, შეიძლება შევხედოთ წესს და საშუალებას, თუ როგორ ვმსჯელობთ ამ საგანზე.

მეთოდურად ჩვენ მაშინ ვაზროვნებთ, როცა ჩვენს აზრებს წესების მიხედვით ვაერთებთ. ამ აზროვნებას უპირისპირდება არამეთოდური აზროვნება.

ვინც მეთოდურად აზროვნებს, მას შეუძლია ასწავლოს თავისი აზრები სისტემატურად, ე. ი. წესების მიხედვით, და ასეთ სწავლებას ეწოდება სისტემატური სწავლება. თუკი ვინმე რომელიმე მეცნიერების მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს ასწავლის, მაშინ სწავლებას, გადმოცემას აზრებისას ეწოდება ნაწუვებ-ნაწუვებთი სწავლება.

თუ ეს ნაწილები გონებაში დალაგებულია წესრიგზე (სისტემატურად), მაშინ ამ სწავლებას ეწოდება აფორისტული.

მეთოდი იყოფა ანალიზურ და სინთეზურ მეთოდად. პირველში ჩვენ მივიღივართ შედეგებიდან საფუძვლებისაკენ, მეორეში კი — საფუძვლებიდან შედეგებისაკენ.

მეთოდი დაყოფა კიდევ სქოლასტიკურ და სადა ხალხურ მეთოდად. პირველია ის, რომელშიც შემეცნება გადმოიცემა განყენებულ საგ-

ნებში და გამოთქმები იხმარება სქოლასტიკური. მეორე კი ისაა, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების გამოთქმები იხმარება.

მეთოდი არის კიდევ დოგმატიკური და სკეპტიკური. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მასში რაიმე გამოითქმის დადებითად, მეორე ისაა, რომელიც დაეკვებულა სასწავლო მეთოდის ჭეშმარიტებაში. სწორედ ამ მეთოდს ეწოდება კრიტიკა იმ შემთხვევაში, როცა წამოყენებულ მოძღვრებაში გადმოიცემა მიზეზები.

სკეპტიკური მეთოდი და სკეპტიციზმი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სკეპტიციზმის მიზანია ყველა ჩვენი შემეცნება უმართებულო გახადოს.

დოგმატიკური მეთოდი და დოგმატიზმი ასევე ერთმანეთისაგან განსხვავდება. დოგმატიზმი გადმოგვეცემს მტკიცების მიზეზებს და არ იკვლევს, შეიძლება თუ არა რაიმეს თქმა იმ საგანზე, რომელთა შესახებაც ის დადებითად ლაპარაკობს.

ამ წესს განეკუთვნება აგრეთვე ისტორიული მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს გადმოგვეცეს წესები, ანუ რომელიმე მეცნიერების დებულება, არ არკვევს რა — ასეა თუ არაა ასე.

მეთოდი დაიყოფა აკრომატიკულ და ეროტემატიკურ მეთოდად. პირველში მასწავლებელი იძლევა მხოლოდ წესებს, მეორე კი ორგვარია: დიალოგიური და კატეხიზმოური.

ყოველი შემეცნება არის მსჯელობა, მასასადამე ყველა მეცნიერება შედგება მსჯელობათაგან.

აქსიომები ისეთი მსჯელობანია, რომელთა ჭეშმარიტება მტკიცებათა გარეშე შეიცნობა.

თეორემა არის მსჯელობა, რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცებულ იქნეს.

მსჯელობას, რომელიც უშუალოდ სხვებიდან გამოიყვანება, ეწოდება შედეგი (corollarium).

შენიშვნა. არის ისეთი მსჯელობა, რომელიც არ ეკუთვნის მთავარ საგანს, მაგრამ მოიყვანება მხოლოდ სხვა შემთხვევითი მიზეზების ასახსნელად.

ლემა არის ისეთი მსჯელობა, რომელიც აიღება სხვა მეცნიერებათაგან და რომლის ჭეშმარიტებაც უკვე დამტკიცებულად იგულისხმება. Postulata (მოთხოვნანი) ისეთი მსჯელობანია, რომლებიც გულისხმობენ, რომ რაიმე შეიძლება სხვა რამ ყოფილიყო.

პირველი ნაწილის დასასრული

გამოყენებითი ლოგიკა

გამოყენებითი ლოგიკა გვიჩვენებს შეზღუდვას და ამასთანავე საშუალებებს, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ეს შეზღუდვანი. ყო-

ველივე ეს შეიძლება განვიხილოთ ოთხი თვალსაზრისით: რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალიტეტის მიხედვით.

შემეცნებათა რაოდენობა ორნაირია: *extensiva et intensiva*. პირველში იგულისხმება ჩვენი შემეცნების ფარგლები.

შემეცნებათა ნაკლებობას ეწოდება უცოდინარობა. იგი არის საერთო ან კერძო. ადამიანს რომელმაც არაფერი (არ) იცის, მაგრამ თავი მცოდნედ მიაჩნია, ეწოდება იდიოტი.

Intensiv-ად იგულისხმება შემეცნებათა მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა დამოკიდებულია, ჭერ-ერთი, ჩვენს მიზანზე, მეორე, შემეცნებათაგან გამომდინარე შედეგების სიმრავლეზე (რაოდენობაზე).

თვისებრიობის მიხედვით შემეცნების სრულყოფილობა მდგომარეობს სიცხადეში, საფუძვლიანობაში, სიზუსტეში. არასრულყოფილობა კი მდგომარეობს ბუნდოვანებაში, დახლართულობაში, უსაფუძვლობასა და არასიზუსტეში.

მიმართების მიხედვით ადამიანის შემეცნებათა სრულყოფილობა მდგომარეობს ჭეშმარიტებაში. არასრულყოფილობას კი ამ მიმართებაში შეადგენს შეცდომა.

ამრიგად, ლოგიკამ უნდა გვიჩვენოს: ა) შეცდომათა წყაროები, ბ) საშუალებანი, რომლებითაც შეიძლება შეცდომების თავიდან აცილება.

მოდალიტეტის მიხედვით შემეცნებათა სრულყოფილობა მდგომარეობს ნამდვილობაში.

თ ა ვ ი

თვინსაბრიობის მიხედვით ადამიანის შემეცნებათა შეზღუდულობის შესახებ და რა წესით შეიძლება ამ შემეცნებათა სრულყოფა

ადამიანს არ შეუძლია ყველა საგანი იცოდეს. მისი ცოდნის ფარგალი შეზღუდულია. ყველა ადვილშესაცნობ საგანთა ერთობლიობას ეწოდება ადამიანის შემეცნების ჰორიზონტი.

შემეცნებათა ჰორიზონტი არის საერთო, რაც ახასიათებს ყველა ადამიანს, ან კერძო, რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანს ეკუთვნის და დამოკიდებულია დროსა და ადამიანის ძალღონეზე.

ადამიანის შემეცნება განივრცობა მხოლოდ ცდისეულ საგნებზე, ზეგრძობად საგნებზე კი ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიმსჯელოთ, მაგრამ მათი შეცნობა შეუძლებელია.

ცდისეული საგნების შემეცნებაც დამოკიდებულია ჩვენს ოჯისე-
ზაზე.

ფილოსოფიის სამი უმთავრესი ამოცანაა: რა უნდა ვიცოდეთ, რა
შეგვიძლია ვიცოდეთ...¹

კერძო პორიზონტის განსაზღვრა დამოკიდებულია თვითეული
ადამიანის ძალღონის ზომასა და მიზანზე, მაგრამ რადგან თვითეული
ადამიანის ძალღონე და ნიჭი განსხვავებულია, ამიტომ კერძო ლივი-
კასაც არ ძალუძს ამ კერძო პორიზონტების გამოანგარიშება. მასსა-
დამე, შეუძლებელია მათი ცოდნაც.

იმ შემეცნებათა ნაკლებობას, რაც ადამიანს უნდა და შეუძლიან
ჰქონდეს, ეწოდება უმეცრება.

ადამიანთა მოღვმის აუცილებელი მიზანია ჰქონდეს ზნეობის წე-
სები.

კერძო პორიზონტის განსაზღვრისას გვხვდება ორი კითხვა: რა შე-
მიძლია ვიცოდე და რა უნდა ვიცოდე. საგნებზე, რომელთა ცოდნაც
ჩვენ არ შეგვიძლია, ვამბობთ, რომ ისინი იმყოფებიან ჩვენი შექცე-
ვის პორიზონტზე მაღლა...² მაღლა ან საერთო პორიზონტზე, ან კერ-
ძოზე.

საგნებს, რომელთა ცოდნაც ჩვენ თუმცა არ შეგვიძლია, მაგრამ,
რომლებიც ჩვენთვის არაა საჭირო, ეწოდება ჩვენს პორიზონტზე დაბ-
ლა მყოფი საგნები.

პირიქით, საგნები, რომელთა ცოდნა შეიძლება და სასარგებლოა,
მაგრამ რომლებიც არ იმყოფებიან ჩვენს მიზანთან კავშირში, ჩვენი პო-
რიზონტის გარეყოფი საგნებია.

ყველაფერი, რაც ჩვენი პორიზონტის არც მაღლა, არც დაბლა,
არც გარეთ იმყოფება, ვამბობთ, რომ ჩვენი პორიზონტის შიგნითაა.

ვრცელი შემეცნება ეწოდება ისეთს, რომელიც ბევრ საგანზე ვა-
ნიერცობა, იმ შემეცნებას კი, რაც ცოტაოდენ საგანზე ვანიერცობა,
ეწოდება ღარიბი შემეცნება.

გონებრივ შემეცნებათა ერთობლიობა არის პოლიმათია. ისტო-
რიულ შემეცნებათა ერთობლიობას ეწოდება პოლიჰისტორია, ხოლო
ყველა გონებრივ და ისტორიულ შემეცნებას — პანსოფია.

თუ ჩვენ ჩვენს შემეცნებებს განვიხილავთ *intensiva quantitate*,
მაშინ მათ მნიშვნელობას განვსაზღვრავთ. ეს მნიშვნელობა დამოკი-
დებულია შემეცნებათა მიმართებაზე რაიმე მიზნისადმი. მიზანი ორ-
გვარია: უმაღლესი მიზანი ყველა ადამიანისა საერთოდ, ან კერძო ადამ-
იანებისა.

¹ აქ ფრაზა დაუმთავრებელია. რედ.

² აქ ტერმინი გაუგებარია. რედ.

ცნება, რომელსაც კავშირი აქვს ზნეობასთან, სხვებზე უფრო მნიშვნელოვანია.

რაც საჭიროა ყველა ადამიანისათვის საერთოდ, იგივე აუცილებლად საჭიროა თვითიული ადამიანისთვისაც, მაგრამ არა პირიქით.

რაოდენობის მიხედვით ჩვენი შემეცნების შეზღუდულობა ჯამოკიდებულია: 1. საერთოდ ჩვენი აზრის საზღვრებზე, 2. კერძო ადამიანის შემეცნების ხარისხზე, 3. ჩვენს ხანმოკლე სიცოცხლეზე, 4. ივეთეული კერძო ადამიანის გარკვეულ მდგომარეობაზე.

გამოყენებითმა ლოგიკამ უნდა გვიჩვენოს არა მარტო ჩვენი შემეცნების შეზღუდულობა, არამედ მან უნდა გვიჩვენოს საშუალებანიც, რომელთა მეოხებით ჩვენ შეგვიძლია ნაწილობრივ მაინც მოვსპოთ ეს შეზღუდულობანი და განვაერცოთ ჩვენი შემეცნებანი.

როგორ შეგვიძლია განვაერცოთ ჩვენი შემეცნებანი?

რაც შეეხება ჩვენი შემეცნების განვრცობას, აქ შესაძლებელია ორი შემთხვევა: ან განვაერცობთ ჩვენს შემეცნებას საკუთარი მსჯელობის საშუალებით, ან ვსწავლობთ სხვებისაგან.

ჩვენ განვაერცობთ ჩვენს შემეცნებებს მსჯელობის საშუალებით (meditatio). ვიმსჯელოთ — ნიშნავს განსაზღვრული წესების მიხედვით განვიხილოთ საგნები.

საგნებს, რომელზეც ჩვენ ვმსჯელობთ, ეწოდება მატერია (thema), იმ წესს კი, რომელსაც ჩვენ მსჯელობისას მივსდევთ, ეწოდება მეთოდი.

მეცნიერებს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მხრიდან შეიძლება განვიხილოთ საგანი და როგორ დაეალავოთ ჩვენი აზრები ამ საგნის შესახებ, ეწოდება საყოველთაო ტოპიკა.

არისტოტელემ ასეთი კატეგორიები წამოაყენა 10: 1) substantia, 2) quantitas, 3) qualitas, 4) relatio, 5) ubi, 6) quando, 7) citus, 8) habitus, 9) actio, 10) passio.

ასეთი კატეგორიები არასაკმაო და უსარგებლოა.

ყოველი მსჯელობა საგანზე ორნაირია: ან 1) ვცდილობ არსებულ შემეცნება ცხადი გავხადო, ანდა 2) განვაერცო.

პირველ შემთხვევაში ცნებებს დავშლი ნიშნებად, რათა საგნის ცოდნა უფრო ცხადი იყოს და ასეთ მსჯელობას ეწოდება ანალიზური.

მეორე შემთხვევაში კი ვცდილობთ ჩვენს შემეცნებას მივუმატოთ ახალი და ამას ეწოდება სინთეზური მსჯელობა.

ქართული გრამატიკა

**შემოკლებული
ქართული ლრამმატიკა**

გამოცემული

სკოლომონ დოდაევისა მიერ

ტფილისი 1830

სტამბასა შინა გამოცემელის კომიტეტისასა

Печатать позволяется. С тем, чтобы, по напечатании, представлены были в Цензорный Комитет три экземпляра.

Августа 26-го 1830.

Цензор: С. Сенковский

ქართული ღრამმატიკა

ზეჰვანილეზა

§ 1. ქართული ღრამმატიკა ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად.

§ 2. ჩვენ ვუბნობთ საშუალობითა ლექსითათა, რომელნიცა მდგომარეობენ მარცვალთა და ასოთაგან.

§ 3. ასო არს გამოხატვა აღმობხერისა, რომელიცა შეადრგენს ლექსსა.

§ 4. ასონი ქართულსა ენასა შინა არიან ოც და ათ ცხრამეტნი: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ც, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ყ, რ, ს, ტ, უ, ვ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ.

§ 5. ასონი ესე განიყოფებიან სამად: ხმოვანად, ორხმოვანად და უხმოდ.

§ 6. ხმოვანი ასო არს იგი, რომელიცა გამოითქმის შეუწყენელად სხვისა ასოისა, ესევეითარნი არიან ხუთნი: ა, ე, ი, ო, უ.

§ 7. ორხმოვანი ასო არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ბრჯგულ ორისა ხმისაგან, ვითარცა ორისა ხმოვანისა ასოისაგან და არიან ხუთნივე: ც, ვითარცა ეე; ა, ვითარცა იე; კ, ვითარცა ვეე; ჰ, ვითარცა აე და შ, ვითარცა ოე.

§ 8. უხმო ასო არს იგი, რომელიცა ვერ შემძლებულარს გამოთქმად ხმათა, თვინიერ შეერთებისა ხმოვანთა ასოთა თანა, ესევეითარნი არიან ოც და ცხრანი: ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, ყ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ.

§ 9. მარცვალი არს შეერთება უხმოთა ასოთა ხმოვანისათანა, მაგალ., მე, სუ, აქ, მმარ, თე და სხვანი. მაგალითთა ამათგან იხილვების, რომელ თვითოეულსა მარცვალსა შინა უნდა იყოს ხმოვანი ასო, რომელიცა თვით შეადრგენს მარცვალსა, მაგალ., ე, უ, ა.

§ 10. ლექსი არს ხმა, რომლითაცა გამოითქმის ვითარიმე შემეცნება ანუ გრძნობილება, მაგალ., სახლი, შვენიერი, მე, ვაშენებ, შემდგომ და სხვანი.

§ 11. ლექსი მდგომარეობს ერთისა ანუ მრავალთა მარცვალთაგან. მაგალ., მე, კა-ცი, ზაფ-ხუ-ლი და სხვანი.

§ 12. ლექსნი სახისამებრ თვისისა იქმნებიან პირველსახეობითნი, ანუ წარმოებითნი, ხოლო ნაკვეთისამებრ მარტივნი ანუ რთულნი.

1. პირველ-სახეობითი ლექსი არს იგი, რომელიცა არა ჰსწარმოებს სხვისა ლექსისაგან, მაგალ., კაცი, დღე, მზე და სხვანი.

2. წარმოებითი ლექსი არს იგი, რომელიცა ჰსწარმოებს სხვისა ლექსისაგან, მაგალ., კაცობრივი, დღიური, მზიური.

3. მარტივი ლექსი არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ერთისა მხოლოდ ლექსისაგან, მაგალ., პატივი, კეთილი.

4. რთული ლექსი არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ორთა ანუ რაოდენთაგანმე ლექსთა, მაგალ., პატივ-სადები, კეთილ-მოქმედი და სხვანი.

§ 13. ყოველნი ლექსნი ქართულისა ენისანი მნიშვნელობისამებრ თვისისა განიყოფებიან რვათა ზედა სახეთა ანუ ნაწილთა სიტყვისათა, რომელნიცა არიან:

- | | |
|-------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1. სახელი, | ამათგანნი პირველნი ოთხნი ნაწილნი სიტყვისანი იწოდებიან შეცვალებითად, ვინაითგან შესცვლიან დაბოლოებათა თვისთა, ხოლო შემდგომნი ოთხნი იწოდებიან შეუცვალებელად, ამისთვის რომელ არა შესცვლიან იგინი დაბოლოებათა თვისთა. |
| 2. ნაცვალ-სახელი, | |
| 3. ზმნა, | |
| 4. მიმღეობა, | |
| 5. თანდებული, | |
| 6. ზმნისზედა, | |
| 7. კავშირი და | |
| 8. შორისდებული | |

§ 14. ნაწილნი ესე სიტყვისანი განიხილვებიან შემდგომთა სამთა ნაწილთა შინა ღრამმატიკისათა:

1. პირველსა ნაწილსა შინა იჩვენების თვისება ნაწილთა სიტყვისათა, წარმოება და შეცვალებანი მათნი (ლექსთ-წარმოებისათვის).

2. მეორესა ნაწილსა შინა გარდამოიციებიან კანონნი შეერთებისა და თანხმობისათვის ნაწილთა სიტყვისათა ურთიერთა შორის (ლექსთ-თხზულებისათვის).

3. მესამესა ნაწილსა შინა აღირიცხვებიან კანონნი შეუცთომელად წერისათვის ქართულად (მართლ-წერისათვის).

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ლექსთ-წარმოებისათვის

§ 15. ლექსთ-წარმოება (ეტიმოლოგია) არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელსაცა შინა იჩვენებიან წარმოებანი, ვითარებანი და შეცვალებანი ლექსთანი.

ს ა ხ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს

§ 16. სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს ყოველსა საგანსა, ვითარებასა და ჩაოდენობასა მისსა, მაგალ., კაცი გონიერი, ქალაქი შვენიერი, სული უკვდავი, ორი დღე და სხვანი.

§ 17. საგანნი იქმნებიან: სულიერნი, უსულონი და გონებითნი.

1. სულიერნი საგანნი არიან იგანი, რომელნიცა ნიჭებულ არიან სიცოცხლითა და ძალუძსთ ადგილისა თვისისა ცვალებად, მაგალ., კაცა, მხეცი, თევზი, ბუზი. კაცნი ისახელებიან პირითს საგნად, მაგალ., ქმარი, ცოლი, მხედარი და სხვანი, არიან პირითნი საგანნი.

2. უსულონი საგანნი არიან იგინი, რომელთაცა არა აქვსთ სიცოცხლენი და არა ძალუძსთ თავით თვისით ადგილისა თვისისა ცვალებად, მაგალ., ხე, სახლი, წიგნი, ქვა და სხვანი.

3. გონებითნი არიან იგინი, რომელთაცა ხილვა არა ძალგეძს, არამედ გამოვიხატავთ მათ მხოლოდ გონებასა შინა ჩვენსა, მაგალ., სული, სიტკბოება, სურვილი, სიცოცხლე და სხვანი.

§ 18. სახელი განიყოფების სამად: არსებითად, ზედშესრულად და რიცხვითად.

§ 19. არსებითი სახელი არს წოდება ყოვლისა საგნისა, ბუნებასა შინა ყოფილისა, ანუ გონებასა შინა ჩვენ მიერ გამოხატულისა, მაგალითებრ, კაცი, წიგნი, ხე, სახლი, ფრინველი, სული, ცხოვრება და სხვანი.

§ 20. არსებითი სახელი განიყოფების სამად: საკუთრებითად, საზოგადოდ და შემკრებელობითად.

1. საკუთრებითი არსებითი სახელი არს იგი, რომელიცა დანიშნავს ერთსა განუკვეთელსა, ანუ განუჭრელსა საგანსა, მაგალ., პეტრე, ეფრატ, როსსია, კავკასია და სხვანი.

2. საზოგადო არსებითი სახელი არს წოდება ყოველთა საგანთა ერთისა და მისვე ნათესავისათა, მაგალ., კაცი, მდინარე, ქალაქი, მთა და სხვანი.

3. შემკრებელობითი არსებითი სახელი არს წოდება ერთითა ლექსითა მრავალთა ერთგვართა საგანთა, ერთად შეკრებულთა, მაგალ., ერი, გუნდი, მხედრობა, ხვაი და სხვანი.

§ 21. ზედშესრული სახელი არს წოდება ვითარებისა საგანთასა, მაგალ., კაცი მდიდარი, ბედნიერი, კეთილი სული, წიგნი სასარგებლო და სხვანი.

§ 22. ზედშესრული სახელი განიყოფების სამთა ზედა ხარისხთა: დადებითსა, შეთანასწორებითსა და აღმატებითსა ზედა.

1. დადებითი ხარისხი აღნიშნავს ვითარებასა ანუ თვისებასა საგნისასა, მარტივად და შეუსწორებელად სხვისა თანა, მაგალ., გონიერი, მხნე, ძლიერი და სხვანი.

2. შეთანასწორებითი ხარისხი აჩვენებს უპირატესობასა ანუ უდარესობასა ერთისა საგნისასა წინაშე სხვათა საცნაურსა თვისებასა შინა და დაესხმის დადებითსა ხარისხსა თავად უ- და ბოლოდ-ესი, მაგალ., უგონიერესი, უძლიერესი და სხვანი.

3. აღმატებითი ხარისხი აჩვენებს აღმატებულებასა ერთისა საგნისასა საცნაურსა თვისებასა შინა ყოველთა სხვათა ზედა და დაესხმის შეთანასწორებითსა ხარისხსა კვალადცა უ, ანუ ზმნისზედანი ესე: ყოვლად, ფრიად, მრავლად, მაგალ., უუგონიერესი ანუ ფრიად გონიერი, უუძლიერესი ანუ ყოვლად ძლიერი, მრავლად შვენიერი. უდიდესისა ძალისა მიცემისათვის დაიდებიან: ყოვლად უშვენიერესი, ფრიდ უუძლიერესი და სხვანი.

§ 23. რიცხვითი სახელი არს ლექსი, რომლითაცა აღინიშვნის რიცხვი საგანთა ანუ წესი, რომელსაცა შინა იგინი ერთი მეორესა შეუდგებიან, მაგალ., ერთი, ორი, სამი, პირველი, მეორე, მესამე, მეათე, ნახევარი, უღელი, ყვეარი და სხვანი.

§ 24. რიცხვითნი სახელნი იქმნებიან:

1. რაოდენობითნი, რომელნიცა აღნიშვნენ რიცხვსა საგანთასა, მაგალ., ერთი, ორი, სამი, ათი, ათასი და სხვანი.

2. წესებითნი, რომელნიცა აღნიშვნენ წესსა საგანთასა, მაგალ., პირველი, მეორე, მესამე, მეათასე და სხვანი.

3. დანაწევრებითნი, რომელნიცა აღნიშვნენ ნაწილსა ანუ კერძოსა ყოვლადისა რიცხვისასა ანუ ნაწევარსა, მაგალ., ნახევარი, ნასამედი, მეოთხედი, ათეული, ასეული და სხვანი.

4. შემკრებლობითნი, რომელნიცა აღნიშვნენ საცნაურსა რიცხვსა საგანთასა, შეკრებულთა ხატითა, მაგალ., წყვილი, სამკეცი, უღელი, ყვეარი და სხვანი.

§ 25. საზოგადონი თვისებანი ყოველთა სახელთანი არიან: ნათესავი, რიცხვი, ბრუნვა და კანკლედობა.

§ 26. ნათესავი არს განსხვავება სახელთა განსჯასა შინა სქესისასა.

§ 27. ნათესავნი სახელთანი არიან ოთხნი: მამრობითი, მდედრობითი, საზოგადო და უმეშვეობითი.

1. მამრობითისა ნათესავისა სახელნი არიან იგინი, რომელნიცა ცხადპყოფენ მამრსა ცხოველსა, მაგალ., მამა, პაპა, ბიძა, ძმა, მეფე და სხვანი.

2. მდედრობითისა ნათესავისა სახელნი არიან იგინი, რომელნიცა

ცხადჰყოფენ მდებარსა ცხოველსა, მაგალ., ქალწული, დედა, და, დედოფალი და სხვანი.

3. საზოგადოისა ნათესავისა სახელნი არიან იგინი, რომელნიცა აღნიშვნენ ორსავე ნათესავსა, მამრსაცა და მდებარსაცა, მაგალ., შვილი, ხბო, კაცი და სხვანი.

4. უმეშვეობითისა ნათესავისა სახელნი არიან იგინი, რომელნიცა აღნიშვნენ უსულოთა საგანთა, მაგალ., ქვეყანა, ნაყოფი, ხე, საქმე და სხვანი.

§ 28. რიცხვი არს დაბოლოება შეცვალეობითისა ლექსისა, რომელიცა აჩვენებს ერთსა ანუ მრავალთა საგანთა, ეგრეთვე ვითარებასა და რაოდენობასა მათსა.

§ 29. რიცხვი განიყოფების ორად: მხოლოობითად და მრავლობითად.

1. მხოლოობითი რიცხვი დაჰნიშნავს ერთსა საგანსა, მაგალ., სახლი, დიდი, ერთი და სხვანი.

2. მრავლობითი დაჰნიშნავს მრავალთა ერთისა ნათესავისა საგანთა, მაგალ., სახლნი, შვენიერნი, ათნი დღენი და სხვანი.

§ 30. ბრუნვა არს შეცვალეობა დაბოლოებისა, რომლითაცა აღნიშვნიან სხვა და სხვანი რაისამიმართობანი საგანთანი.

§ 31. ბრუნვანი ქართულსა ენასა შინა არიან რვანი: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენელობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი.

1. წრფელობითი ბრუნვა არს თვით მდგომარეობითი დაბოლოება სახელისა და იცნობის კითხვათა ამათ მიერ: ვინ? რა? მაგალ., მხედარი, სახლი, წიგნი.

2. ნათესაობითი ბრუნვა არს შეცვლილი დაბოლოება სახელისა, რომლითაცა აღნიშვნის განკუთვნილება რაიმე საგნისადმი და იცნობის კითხვათამებრ: ვისი? რაისა? მაგალ., მხედრისა, სახლისა, წიგნისა.

3. მიცემითი ბრუნვა არს შეცვლილი დაბოლოება სახელისა, რომელიცა აღნიშნავს მას, რაიცა მიეწერების საგანსა და იცნობის კითხვათამებრ: ვის? რასა? მაგალ., მხედარსა, სახლსა, წიგნსა.

4. შემასმენელობითი ბრუნვა აჩვენებს საგანსა მოქმედებულსა სხვისა საგნისაგან და იცნობის კითხვათამებრ: ვინ? რა? მაგალ., მხედარი, სახლი, წიგნი.

5. დაწყებითი ბრუნვა არს შეცვლილი დაბოლოება სახელისა, რომელიცა აღნიშნავს საგნისაგან დაწყებულსა ანუ მომდინარებულსა საქმესა რაიმესა და იცნობის კითხვათამებრ: ვისგან? რაისაგან? მაგალ., მხედრისაგან, სახლითგან ანუ სახლისაგან.

6. მოთხრობითი ბრუნვა არს შეცვლილი დაბოლოება სახელისა, რომელიცა აჩვენებს საგნისაგან მოთხრობასა ანუ მოქმედებასა რომლისამე საქმისასა, და იცნობის კითხვათამებრ: ვინ? რაიმან? მაგალ., მხედარმან, სახლმან, სიბრძნემან.

7. მოქმედებითი ბრუნვა არს შეცვლილი დაბოლოება სახელისა, რომლითაცა განცხადდების ანუ შესრულდების ერთისა საგნისაგან მოქმედება მეორესა ზედა და იცნობის კითხვათამებრ: ვისითა ანუ ვის მიერ? რაითა ანუ რაისამიერ? მაგალ., მხედრითა ანუ მხედრისამიერ, სიბრძნითა ანუ სიბრძნისამიერ.

8. წოდებითი ბრუნვა არს იგი, რომლითაცა აღინიშნის მოწოდება საგნისა, არა იცნობის ვითართამე კითხვათამებრ, არამედ ცხადჰყოფს საგანსა მას, რომელსაცა მოვეუწოდთ, მაგალ., ღმერთო! დაიფარე ერი, უფალო, შეგვიწყალე.

§ 32. კანკლედობა არს შეცვალება ბოლოსა ასოისა რომლისამე ლექსისასა ყოველთა ბრუნვათამებრ ორთავე რიცხვთასა.

§ 33. კანკლედობანი სახელთანი იქმნებიან ოთხგვარად:

1. პირველისამებრ კანკლედობისა იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი უხმოთა ასოთა ზედა.
2. მეორისამებრ კანკლედობისა იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ა, ე, ვა და ვე-სა ზედა.
3. მესამისამებრ კანკლედობისა იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ი და ვი-სა ზედა.
4. მეოთხისამებრ კანკლედობისა იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ო და უ-სა ზედა.

მაგალითნი ოთხთა კანკლედობათანი

კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

რ ი ც ხ ვ ი მ ხ ო ლ ო ბ . რ ი ც ხ ვ ი მ რ ა ვ ლ ო ბ .

წ. მარიამ	მარიამნი-ე ^ა ი
ნ. მარიამისა	მარიამთა-ებისა
მ. მარიამსა	მარიამთა-ებსა
შ. მარიამი	მარიამნი-ები
დ. მარიამისაგან	მარიამთაგან-ებისაგან
მ. მარიამმან	მარიამთა-ებმან
მ. მარიამითა-ისმიერ	მარიამთამიერ-ებითა
წ. მარიამ	მარიამნო-ებო

მაგალითისა ამისამებრ იბრუნვიან უხმოთა ასოთა ზედა დაბოლოებულნი სახელნი. მაგალ., აბრამ, ისაკ, სოლომონ, იოსებ და სხვანი:

კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა მ ე ო რ ე

რ ი ც ხ ვ ი მ ხ ო ლ ო ბ.

რ ი ც ხ ვ ი მ რ ა ვ ლ.

წ. არსება	ანნა	არსებანი-ები	ანნანი-ები
ნ. არსებისა	ანნასი	არსებათა-ებისა	ანნათა-ებისა
მ. არსებასა	ანნასა	არსებათა-ებსა	ანნათა-ებსა
შ. არსებაჲ	ანნაჲ	არსებანი-ები	ანნანი-ები
ღ. არსებისაგან	ანნასაგან	არსებათაგან-ებისაგან	ანნითაგან-ებისაგან
მ. არსებამან	ანნამან	არსებათა-ებმან	ანნათა-ებმან
მ. არსებითა-ისამიერ	ანნითა-ისამიერ	არსებათამიერ-ებითა	ანნითამიერ-ებითა
წ. არსებაო!	ანნა	არსებანო!-ებო	ანნანო!-ებო

პირველისამებრ მაგალითისა იბრუნვიან საზოგადონი სახელნი, დაბოლოებულნი ა-სა და ე-სა ზედა. მაგალ., მამა, ძე, ცა, ხე და სხვანი. ხოლო მეორისამებრ — სახელნი საკუთრებითი მათვე ასოთა ზედა დაბოლოებულნი, მაგალ., თომა, ალექსანდრა, პეტრე, პავლე და სხვანი.

რ ი ც ხ ვ ი მ ხ ო ლ ო ბ.

რ ი ც ხ ვ ი მ რ ა ვ ლ ო ბ.

წ. სიტყვა	სიტყვანი-ები
ნ. სიტყვისა	სიტყვათა-ებისა
მ. სიტყვასა	სიტყვათა-ებსა
შ. სიტყვაჲ	სიტყვანი-ები
ღ. სიტყვისაგან	სიტყვათაგან-ებისაგან
მ. სიტყვამან	სიტყვათა-ებმან
მ. სიტყვითა-ისამიერ	სიტყვათამიერ-ებისამიერ
წ. სიტყვაო!	სიტყვანო-ებო!

მაგალითისა ამისამებრ იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ვა და ვე-სა ზედა, მაგალ., ზღვა, ქვა, ტყვე და სხვანი.

§ 34. მეორესა შინა კანკლედობასა სათანადო-არს ჰხსოვნად შემდგომნი შენიშვნანი.

ა. ყოველნი საზოგადონი სახელნი, დაბოლოებულნი ა-სა და ე-სა ზედა, ისპობენ თვისთა დამაბოლოებელთა ასოთა ნათესაობითსა, დაწყებითსა და მოქმედებითსა ბრუნვათა შინა მხოლოობითისა რიცხვისათა, მაგალ., ხე, ხისა, ხისაგან, ხითა; მზე, მზისა, მზისაგან, მზითა და სხვანი.

ბ. სათვითონი სახელნი, აღმნიშვნელნი სულიერთა საგანთანი, დაბოლოებულნი მათვე ასოთა ზედა, არა ისპობენ დამაბოლოებელთა ასოთა არცა ერთსა შინა ბრუნვასა ორთავე რიცხვთასა, მაგალ., იერემია,

იერემიასი; ალექსანდრე, ალექსანდრესი და სხვანი, ხოლო აღმნიშვნელნი უსულოთანი ასპობენ კიდურთა ასოთა და იბრუნვიან მსგავსად საზოგადოთა სახელთა. მაგალ., მცხეთა, მცხეთისა და სხვანი.

გ. ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ვა და ვე-სა ზედა, შესცვლიან განკიდურებულთა ამით ასოთა ვა და ვე-სა, ვი-სა ზედა ნათესაობითსა, დაწყებითსა და მოქმედებითსა ბრუნვითა შინა მხოლოობითისა რიცხვისათა, მაგალ., ქვა, ქვისა, ქვისაგან, ქვითა; ტყვე, ტყვისა, ტყვისაგან, ტყვითა და სხვანი.

კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა ბ

რ ი ც ხ ვ ი მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

წ. გვირგვინი	ანტონი	ნათელი
ნ. გვირგვინისა	ანტონისა	ნათლისა
მ. გვირგვინსა	ანტონსა	ნათელსა
შ. გვირგვინი	ანტონი	ნათელი
დ. გვირგვინისაგან	ანტონისაგან	ნათლისაგან
მ. გვირგვინმან	ანტონმან	ნათელმან
მ. გვირგვინითა- ისამიერ	ანტონითა- ისამიერ	ნათლითა- ისამიერ
წ. გვირგვინო	ანტონ	ნათელო

რ ი ც ხ ვ ი მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

წ. გვირგვინნი	ანტონნი	ნათელნი	ები
ნ. გვირგვინთა	ანტონთა	ნათელთა	ებისა
მ. გვირგვინთა	ანტონთა	ნათელთა	ებსა
შ. გვირგვინნი	ანტონნი	ნათელნი	ები
დ. გვირგვინთაგან	ანტონთაგან	ნათელთაგან	ებისაგან
მ. გვირგვინთა	ანტონთა	ნათელთა	ებმან
მ. გვირგვინთამიერ	ანტონთამიერ	ნათელთამიერ	ებითა
წ. გვირგვინო	ანტონო	ნათელო	ებო

ამათ მაგალითთამებრ იბრუნვიან ყოველნი სახელნი დაბოლოებულნი ი-სა ზედა, მაგალ., კაცი, ნათესავი, მთიები; გიორგი, ვასილი, ევსტათი; ტაძარი, ნათელი და სხვანი. ეგეთვე კეთილი, შვენიერი, პირველი, ერთი, ორი, სამი, ათი და სხვანი.

რ ი ც ხ ვ ი მ ხ ო ლ ო ბ ბ.

- წ. მოგვი
- ნ. მოგვისა
- მ. მოგვსა

რ ი ც ხ ვ ი მ რ ა ე ლ ო ბ ბ.

- მოგვნი-ვები
- მოგვთა-ვებისა
- მოგვთა-ვებსა

შ. მოგვი	მოგვნი-ვები
დ. მოგვისაგან	მოგვთაგან-ვებისაგან
მ. მოგემან	მოგვთა-ვებმან
მ. მოგვითა	მოგვთამიერ-ვებითა
წ. მოგვო	მოგვნო-ვებო

ამის მაგალითისამებრ იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ვი-სა ზედა მაგალ., ნაძვი, ლელვი და სხვანი.

§ 35. მესამესა კანკლედობასა შინა ჯერ-არს ჰსოვად შემდგომნი შენიშვნანი: ა. ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ი-სა ზედა, ისპობენ თვისსა დამაბოლოებელსა ასოსა, ბრუნვათა შინა მიცემითსა, მოთხრობითსა და წოდებითსა მხოლობითისა რიცხვისა, მაგალ., კაცი, კაცსა, კაცო, კრებული, კრებულსა, კრებულო; კეთილი, კეთილსა, კეთილო; ერთი, ერთსა ერთო და სხვანი, ხოლო მრავლობითსა რიცხვსა შინა ყოველთა ბრუნვათავე ისპობენ დამაბოლოებელსა მას ასოსა ი-სა.

ბ. რომელნიმე საზოგადონი სახელნი, დაბოლოებულნი ი-სა ზედა, ისპობენ საშუალ ლექსისა მდებარესა ხმოვანსა ასოსა რომელსამე, უკეთუ არიან მრავალ მარცვლოვან ნათესაობითსა, დაწყებითსა და მოქმედებითსა ბრუნვათა შინა მხოლოობითისა რიცხვისათა, მაგალ., ტაძარი, ტაძრისა, ტაძრისაგან, ტაძრითა ანუ ტაძრისამიერ და სხვანი. ეგრეთვე საზოგადოდ ყოველთა შინა ბრუნვათა მრავლობითისა რიცხვისათა, ოდესცა იბრუნვიან მეორითა გვარითა მრავლობითისათა, მაგალ., ტაძრები, ტაძრებისა, ტაძრებსა და სხვანი.

გ. ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ვი-სა ზედა საზოგადოდ ყოველთა ბრუნვათა შინა მრავლობითისა რიცხვისათა, ეგრეთვე ბრუნვათაცა შინა მხოლოობითისა რიცხვისათა, გარდა ნათესაობითისა, დაწყებითისა და მოქმედებითისა ბრუნვისა, ასოსა ამას ვ-სა შესცვლიან უ-სა ზედა, ხოლო მეორესა მრავლობითსა რიცხვსა შინა ყოველთა ბრუნვათასა ვ-სა შესცვლიან ტჳ-სა ზედ, მაგალ., ნაძვ, ნაძვნნი, ნაძვტჳბი და სხვანი.

კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა ლ

რ ი ც ხ ვ ი მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

წ. ოქრო	აბო	ბლო
მ. ოქროსა	აბოსა	ბლუსა
ნ. ოქროსა	აბოსი	ბლუსისა
შ. ოქროჲ	აბოჲ	ბლუი
დ. ოქროსაგან	აბოსაგან	ბლუისაგან
მ. ოქრომან	აბომან	ბლუმან

მ. ოქროდთა	აბოითა- ისმიერ	ბლუვეითა- ისამიერ
წ. ოქროსი	აბო!	ბლუ!

რიცხვი მრავლობითი

წ. ოქრონი	აბონი	ბლუნი	ები
ნ. ოქროთა	აბოთა	ბლუთა	ებისა
მ. ოქროთა	აბოთა	ბლუთა	ებსა
შ. ოქრონი	აბონი	ბლუნი	ები
დ. ოქროთაგან	აბოთაგან	ბლუთაგან	ებისაგან
მ. ოქროთა	აბოთა	ბლუთა	ებმან
მ. ოქროთამიერ	აბოთამიერ	ბლუთამიერ	ებიითა
წ. ოქრონო!	აბონო!	ბლუნო!	ებო!

ამათ მაგალითთამებრ იბრუნვიან ყოველნი სახელნი, დაბოლოებულნი ო-სა და უ-სა ზედა, მაგალ., სამეფო, სამთავერო, ცრუ, დრკუ, ბრჯგუ, ისუ, აბედნაგო და სხვანი და არა ისპობენ თვისთა დამაბოლოებელთა ასოთა არცა ერთსა ბრუნვასა შინა ორთავე რიცხვთასა.

§ 36. საზოგადოდ ოთხთავე კანკლედობათა შინა სათანადოდ არს ხსოვნად შემდგომნი შენიშვნანი:

ა. ოდესმე მოთხრობითსა ბრუნვასა შინა მხოლოობითისა რიცხვისასა სახელთა საკუთრებითთა, აღმნიშვნელთა პირისათა მოაკლდებათ მარცვალი მან, და იხმარებიან ნიშნითა კლებულისათა, ვითარცა წრფელობითსა ბრუნვასა შინა სახელნი, მაგალ., პრქვა იესო მოწაფეთა თვისთა და სხვანი.

ბ. მხოლოობითსა რიცხვსა შინა წოდებითი ბრუნვა ყოველთა საკუთრებითთა სახელთა, აღმნიშვნელთა პირისათა ოთხსავე შინა კანკლედობასა იქმნების მსგავსი წრფელობითისა ბრუნვისა, მაგალ., ადამ, ადამ, სადა ხარ შენ? და სხვანი.

გ. მრავლობითსა შინა რიცხვსა ბრუნვანი ყოველთა სახელთანი იქმნებიან ორგვარად; ვინაითგან ყოველნი სახელნი წრფელობითისა ბრუნვასა შინა მრავლობითისა რიცხვისასა განმრავლდებიან ორგვართა მარცვალთა ამათმიერ: 1) ნი, 2) ები; მაგალ., სახელნი, სახელები; წყალნი, წყლები და სხვანი. მეორისა გვარისა ბრუნვა ესე მრავლობითი უმეტესად იხმარების მდაბიურთა უბნობათა შინა.

დ. პირველითა გვართა მრავლობითისა რიცხვისათა დაბოლოებულნი სახელნი მსგავსებენ სამთა ბრუნვათა შინა: ნათესაობითსა შინა, მიცემითსა და მოთხრობითსა. მაგალ., მეძიებელთა სიბრძნისათა თანა აძსთ მიღებაი ღვაწლთა, რათა შრომათა მოუპოონ მათ განსვენებაი. ამას შინა პირველი არს მიცემითი, მეორე ნათესაობითი

და მესამე მოთხრობითი (რომელთაცა განსხვავება შესაძლებელ არს ცნობად ზმნათამიერ).

ე. შემასმენელობითი ბრუნვა ოთხისავე კანკლედობისა მრავლობითსა შინა რიცხვსა არს მსგავსი წრფელობითისა ბრუნვისა.

ვ. ოდესცა ნათესაობითი ბრუნვა, ანუ მოქმედებითი მიიღებს გან თანდებულსა, მაშინ მივიღებთ დაწყებითსა ბრუნვასა, მაგალ., ქალაქისაგან ანუ ქალაქითგან, გარდა ხსენებულისა თანდებულისა, დაწყებითსა ბრუნვასა მოუვალს სხვანიცა ნიშანნი: ესე იგი, თ, თი და სხვანი, მაგალ., სანკტპეტერბურლით მოვალს წიგნი, ქალაქითი ქალაქადმდე და სხვანი.

ზ. ყოველნი სახელნი საკუთრებითნი, აღმნიშვნელნი პირთანი, დაბოლოებულნი ხმოვანთა ამათ ასოთა ზედა: ა, ე, ო და უ-სა ზედა, ნათესაობითსა ბრუნვასა შინა მიიღებენ მარცვალსა სი, მაგალ., ნინა, ნინასი; იოანე, იოანესი; ისო, ისოსი; ბარისუ, ბარისუსი და სხვანი, მოუსპობელად ბოლოსა თვისისა ასოისა.

შ. ყოველნი სახელნი ზედშესრულნი და რიცხვითნი იბრუნვიან მაგალითთამებრ არსებითისა სახელისა. მაგალ., გულისხმიერი, გულისხმიერისა, გულისხმიერსა და სხვანი. ერთი, ერთისა, ერთმან და სხვანი.

თ ა ვ ი მ ი ო რ ე

ნაცვალ-სახელისათვის

§ 37. ნაცვალ-სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა დაადების ნაცვლად სახელისა. მაგალ., მე, შენ, იგი, რომელი, თვით და სხვანი.

§ 38. ნაცვალ-სახელნი მნიშვნელობისამებრ თვისისა განყოფილებიან ექვსად: პირითად, ჩვენებითად, მოგებითად, კვლავ-მოღებითად, კითხვითად და განუსაზღვრებელად ანუ კერძობითად.

1. პირითნი ნაცვალ-სახელნი არიან იგინი, რომელნიცა აჩვენებენ სამსა პირსა.

ა) პირველი პირი არს იგი ვინცა უბნობს: მე, ჩვენ.

ბ) მეორე — ვისდამიცა უბნობს: შენ, თქვენ.

გ) მესამე — ვისთვისცა ანუ რომლისათვისცა უბნობენ: იგი, იგინი.

2. ჩვენებითნი ნაცვალ-სახელნი არიან იგინი, რომელნიცა აჩვენებენ საგანსა მახლობელ ანუ შორს მდებარესა. მაგალ., ესე, ეგე, ის, ისრეთი, ეგრეთი.

3. მოგებითნი არიან იგინი, რომელნიცა ცხად-ჰყოფენ განკუთვნილსა ანუ მითვისებულსა ჩასამე საგნისადმი, მაგალ., ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი.

4. კვლავ-მოღებითნი არიან იგინი, რომელნიცა წარმოადგენენ მეხსიერებასა შინა წინამსრბოლსა სახელსა, მნიშვნელსა საგნისასა, მაგალ., რომელიცა, რაიცა.

5. კითხვითნი ნაცვალ-სახელნი არიან იგინი, რომელთაცა მიერ იკითხვის საგანი, მაგალ., ვინ, რა, რომელი.

6. განუსაზღვრებელნი ნაცვალ-სახელნი არიან იგინი, რომელნიცა აღნიშვნენ ჩასამე განუსაზღვრებელად, განუცხადებელად, ანუ უსახელოდ ვითარნიცა არიან — რომელიმე, ზოგი, ვიეთიმე, ვინმე, რაოდენიმე, თვითთვეული, ყოველი.

§ 39. საზოგადოდ ნაცვალ-სახელნი განიყოფებიან არსებითად და ზედშესრულად:

1. არსებითნი ნაცვალ-სახელნი არიან იგინი, რომელნიცა სიტყვათა შინა დაიდებაან განყოფით ნაცვლად არსებითისა სახელისა, მაგალ., მე, შენ, იგი, თვით, ვინ, რა, ვინმე, რაიმე.

2. ზედ-შესრულნი ნაცვალ-სახელნი არიან ყოველნი სხვანი, აღმნიშვნელნი გარეგანისა თვისებისა საგნისანი. მაგალ., ჩემი, შენი, ყოველი და სხვანი.

§ 40. ნაცვალ-სახელთა, მსგავსად არსებითისა სახელისა, აქვსთ ორი რიცხვი და რვა ბრუნვა.

§ 41. კანკლედობა ნაცვალ-სახელთა არს შემდგომი:

მხ.	მრ.	მხ.	მრ.
წ. მე	ჩვენ	შენ	თქვენ
ნ. ჩემი	ჩვენი	შენი	თქვენი
მ. ჩემდა, მე	ჩვენდა, ჩვენ	შენდა, შენ,	თქვენდა, თქვენ
შ. მე	ჩვენ	შენ	თქვენ
დ. ჩემგან	ჩვენგან	შენგან	თქვენგან
მ. მე	ჩვენ	შენ	თქვენ
მ. ჩემითა, მიერ	ჩვენითა, მიერ	შენითა, მიერ	თქვენითა, მიერ
წ. არა აქვს		შენ!	თქვენ

მხ.	მრ.	მხ.	მრ.
წ. იგი	ივანი	ეგე, ეგ	ეგენი
ნ. მისი	მათი	მაგისი	მაგათი
მ. მას, მისდა	მათ, მათდა	მაგას, მაგისდა	მაგათ
შ. იგი	ივინი	ეგე	ეგენი

დ. მისგან	მათგან	მაგისგან	მაგათგან
მ. მან	მათ	მაგან	მაგათ
მ. მით, მის მიერ	მათ მიერ	მაგით, მაგის მიერ	მაგათ მიერ

მხ.	მრ.	მხ.	მრ.
-----	-----	-----	-----

წ. ესე, ეს	ესენი	ისი	ისინი
ნ. ამისი	ამათი	იმისი	იმათი
მ. ამას, ამისდა	ამათ, ამათლა	იმას, იმისდა	იმათ, იმათლა
შ. ესე, ეს	ესენი	ისი	ისინი
დ. ამისგან	ამათგან	იმისგან	იმათგან
მ. ამან	ამათ	იმან	იმათ
მ. ამით, ამის მიერ	ამათ მიერ	იმით, იმისმიერ	იმათ მიერ
წ. არა აქვს			

მხ.	მრ.	მხ.	მრ.
-----	-----	-----	-----

წ. ჩემი	ჩემნი	ჩვენი	ჩვენნი
ნ. ჩემისა	ჩემთა	ჩვენისა	ჩვენთა
მ. ჩემსა	ჩემთა	ჩვენსა	ჩვენთა
შ. ჩემი	ჩემნი	ჩვენი	ჩვენნი
დ. ჩემისაგან	ჩემთაგან	ჩვენისაგან	ჩვენთაგან
მ. ჩემმან	ჩემმან	ჩვენმან	ჩვენთა
მ. ჩემითა, მიერ	ჩემთა მიერ	ჩვენითა, მიერ	ჩვენთა მიერ
წ. ჩემო	ჩემნო	ჩვენო	ჩვენნო

მაგალითისა ამისამებრ იბრუნვიან შემდგომნი ნაცვალ-სახელნი: შენი, მისი, თქვენი, მათი, თვისი, რომელი, ვიეთი და ზოგი, რომელ-თამე მათგანთა არა აქვსთ წოდებითი ბრუნვა.

რიცხვი მხ.	მხ.	მრ.
------------	-----	-----

წ. ვინ	რა	რომელიმე	რომელნიმე
ნ. ვისი	რაჲსა	რომელისამე	რომელთამე
მ. ვის, ვისდა	რაჲსა	რომელსამე	რომელთამე
შ. ვინ	რაჲ	რომლიმე	რომელნიმე
დ. ვისგან	რაჲსაგან	რომლისაგანმე	რომელთაგანმე
მ. ვინ	რაიმან	რომელმანმე	რომელთამე
მ. ვისითა, ვის მიერ	რაჲთა, რაჲსა მიერ	რომელთამე	რომელთამიერმე

ნაცვალ-სახელთა იმათ, ვინ, ვინმე, ამის მაგალითისამებრ იბრა, რაიმე არა აქვსთ მრავლობითი რიცხვი. არუნვიან ნაცვალ-სახელნი ესე: რაიმე, ვიეთიმე.

სხოლო ნაცვალ-სახელსა ამას თვით არა აქვს ბრუნვა და რიცხვი და ამის გამო ლექსი ესე უმჯობეს არს მიუწეროთ ზმნისზედასა.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ზ მ ნ ი ს ა თ ვ ი ს

§ 42. ზმნა არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს მოქმედებასა, ანუ მდგომარეობასა საგნისასა, მაგალ., ვაქებ, ვჰსწერ, ვიყვარებ, ვალ და სხვანი.

§ 43. საზოგადოდ ზმნანი განიყოფებიან 1) არსებითად, 2) მოქმედებითად, 3) ვნებითად და 4) უმეშვეობითად.

1. არსებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აჩვენებს ყოფასა საგნისასა, მაგ., ვარ, ვჰმყოფობ, ვჰგიე.

2. მოქმედებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა სხვისა საგანსა ზედა გარდასრულსა. მაგალ., მოწაფე კითხულობს წიგნსა, მზე ატფობს ქვეყანასა, ცოდვამან დასაჯა პირველი კაცი.

3. ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღნიშნავს ვნებასა საგნისასა, სხვისა საგნისაგან წარმოებულსა. მაგალ., ბოროტი დაისჯების, მართალი შეიყვარების, გამოხსნად ვარ და სხვანი.

4. უმეშვეობითი ზმნა არს იგი, რომელიცა აჩვენებს ანუ მოქმედებასა და არა სადა ვნებასა. მაგალ., ვალ, მრწამს, მიყვარს, მაქვს და სხვანი; ანუ ვნებასა და არა მოქმედებისაგან წარმოებულსა: ვჰსტირი, ვიციანი და სხვანი. ამის გამო უმეშვეობითი ზმნა იქმნების ხატმოქმედებითი და ხატვენებითი.

ა. ხატმოქმედებითი უმეშვეობითი ზმნა აღნიშნავს მოქმედებასა ანუ მოქმედებითსა მდგომარეობასა საგნისასა და არა აჩვენებს ვნებასა სხვისა საგნისასა, მაგალ., ვჰგალობ, ვჰხმობ, ვილოცავ და სხვანი.

ბ. ხატვენებითი უმეშვეობითი ზმნა აღნიშნავს ვნებასა, ანუ ვნებითსა მდგომარეობასა საგნისასა, გარნა არა იწარმოების იგი სხვისა მეორისა საგნისაგან, მაგალ., ვჰსწვები, ვჰშვრები და სხვანი.

§ 44. უმთავრესნი კუთვნილებანი თვითოეულისა ზმნისანი არიან: ნაკვეთი, სახე, რიცხვი, პირი, დრო, სქესი და უღლვილება.

§ 45. ნაკვეთი ზმნისა იქმნების ორგვარად: მარტივად და რთულად.

1. მარტივი ზმნა არს იგი, რომელიცა მდგომარეობს სიტყვათა შინა თვინიერ მარცვლისა ანუ ლექსისა, მაგალ., ვჰსწერ, ვჰსკრი, ვამკობ.

2. რთული ზმნა არს იგი, რომელსაცა მოეკიდების მარცვალი ანუ ლექსი რაიმე, მაგალ., გარდავჰსწერ, განვჰსკრი, შევეამკობ, კეთილვმსიტყველობ.

§ 46. სახე ზმნისა არს სამი: პირველ-სახე, სხმით-გარდასვლითი და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი.

1. პირველ-სახედ ზმნად იწოდების იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა საგნისასა უსაშუალოდ, მაგალ., ვჰსწერ, ვჰსკრი.

2. სხმით-გარდასვლითად ზმნად იწოდების იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა საგნისასა საშუალობითა სხვისა საგნისათა, და დაესხმის ნიშნად მარცვალი, თავს ა, ბოლოს ინებ, ანუ ებ. მაგალ., ვაწერიინებ, ვაჭრევიინებ, ვიხარებ და სხვანი.

3. მრჩობლ-სხმით-გარდასვლითად ზმნად იწოდების იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა საგნისასა კვალადცა მეორედ საშუალობითა სხვისა საგნისათა და დაესხმის ნიშნად კვალადცა მარცვალი ინებ განმრჩობლებით, მაგალ., ვაწერიინებინებ, ვაჭრევიინებინებ, ვიწერიინებინები, ვიჭრევიინებინები და სხ.

სხოლიო. ყოველნი უმეშვეობითნი ზმნანი, გარდაქცეულნი სხმით-გარდასვლითად ანუ მრჩობლ-სხმით-გარდასვლითად, იქმნებიან მოქმედებითნი და იწარმოებიან მათგან ვნებითნიცა. მაგალ., ვალ, ვიხარებ არიან უმეშვეობითნი; ვავლინებ, ვახარებ სხმით-გარდასვლითად აღნიშვნენ მოქმედებასა, რომელთაგანცა ჰსწარმოებენ ვნებითნი — ვივლინები, ვიხარები და სხვანი.

§ 47. რიცხვი ზმნათა აქვს ორი, მხოლოობითი და მრავლობითი (ვჰკითხულობ, ვჰკითხულობთ) § 28, 29.

§ 48. პირნი ზმნათანი არიან სამნი: პირველი, მეორე და მესამე (ვჰკითხულობ, ჰკითხულობ, ჰკითხულობს). § 38. ბრძანებითს სქესს არა აქვს პირველი პირი, გარდა მყოობადისა დროისა მრავლობითსა რიცხვსა შინა.

§ 49. დრონი ზმნათანი იქმნებიან ექვსნი: აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი, ნამყო უუსრულესი და მყოობადი.

1. აწმყო დრო აღნიშნავს მოქმედებასა ანუ მდგომარეობასა საგნისასა აწინდელსა ჟამსა შინა, მაგალ., ვარ, ვაქებ, ვჰსწერ და სხვანი.

2. ნამყო უსრული დრო აღნიშნავს საქმესა წარსრულსა შინა დროსა. დაწყებულსა და შეუსრულებელსა, მაგალ., ვაქებდი, ვჰსწერდი და სხვანი.

3. ნამყო სრული დრო აღნიშნავს საქმესა შესრულებულსა წარსულსა დროსა შინა, მაგალ., ვაქე, დავჰსწერე და სხ.

4. ნამყო უსრულესი დრო აღნიშნავს საქმესა ადრევე შესრულებულსა, მაგალ., მიქიეს, დამიწერია და სხ.

5. ნამყო უუსრულესი დრო აღნიშნავს საქმესა უძველეს ადრევე შესრულებულსა, მაგალ., მექო, დამეწერა და სხ.

6. მყოობადი დრო აღნიშნავს საქმესა მომავალსა ანუ ყოფადსა, მაგალ., დავჰსწერო. ვაქო და სხ.

§ 50. სქესნი ზმნისანი იქმნებიან ოთხნი: საზღვრებითი, ბრძანებითი, იპოთეტიკა (უკეთუობითი) და განუსაზღვრებელი.

1. საზღვრებითი სქესი აჩვენებს მოთხრობასა საგნისასა განცხადებულად დროთა შინა, პირთა და რიცხვთა, მაგალ., მე ვჰმეტყველებ, შენ ხვალ, იგი იქმნების და სხ.

2. ბრძანებითი სქესი აჩვენებს ანუ ბრძანებასა, ანუ თხოვასა და ანუ აღკრძლვასა რომლისამე საქმისასა, მაგალ., პატივ ეც მშობელთა შენთა, გიყვარდეს სათნოება და სხ.

3. იპოთეტიკა ანუ უკეთუობითი სქესი აჩვენებს პირობასა ანუ საწადასა საგნისასა, რომელთაცა დაესხმის ნაწილნი: უკეთუ, ვაშათუ, ნუთუ, ნეტართუმცა, რათა, რათამცა, ვითარმედ, რომელმცა და სხ. მაგალ., უკეთუ მწამლობდეს, რათა ვუყვარდე, თუ დამეწერა და სხვანი.

4. განუსაზღვრებელი სქესი აჩვენებს საქმესა უჩინოდ ანუ განუცხადებულად პირთა შინა, რიცხვთა და დროთა, მაგალ., წერად, შეყვარებად, მოძულებად და სხ.

§ 51. უღლვილება ანუ მიმოხრა არს შეცვალება ზმნის დაბოლოებათა ჩვენებისათვის სქესისა, დროისა, რიცხვისა და პირისა.

§ 52. უღლვილებანი ზმნისანი არიან ორნი:

ა. ზმნანი პირველისა უღლვილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა პირველსა პირსა შინა განპიროვნდებიან ასოითა ამით ვ; ხოლო მეორესა შინა პირსა შემდგომითა მისითა ასოითა ანუ ა, ანუ ე, ანუ ი, ანუ უ, და ანუ ზ, და მესამესა შინა პირსა ბოლოს ლექსისა მოეკიდების ასო ესე ს; ამის გამო ზმნანი პირველისა უღლვილებისანი იქმნებიან ხუთ ხატად, მაგალ., ვაქებ, აქებ, აქებს; ვესვრი, ესვრი, ესვრის; ვიქმ, იქმ, იქმს; ვუზნობ, უზნობ, უზნობს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს და სხ.

ბ. ზმნანი მეორისა უღლვილებისანი არიან იგინი, რომელნიცა აწმყოსა შინა დროსა მხოლოობითისა რიცხვისასა პირველისა შინა პირსა განპიროვნდებიან ასოითა ამით მ; მეორესა შინა პირსა ასოითა ამით გ; ხოლო მესამესა შინა პირსა ანუ ზ, ანუ უ და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებელის გ-ის შემდგომითა ასოითა, მაგალ., მრწამს, გრწამს, ჰრწამს; მიყვარს, გიყვარს, უყვარს; მაქვს, გაქვს, აქვს და სხვანი.

§ 53. ზმნანი თვისებათა მეზრ უღღვიღებისა თვისისათა იქმნებიან კანონიერი და უკანონონი.

1. კანონიერი ზმნანი არიან იგინი, რომელნიცა შეუღღებიან საზოგადოსა კანონსა ღროთა და სქესთა შინა და მიმოიხზვიან მაგალითთა მეზრ პირველისა უღღვიღებისათა.

2. უკანონო ზმნანი არიან იგინი, რომელნიცა არა შეუღღებიან საზოგადოთა კანონთა და დააკლღებისთ რომელიმე ღრო, ანუ პირი და ანუ მიმოიხზვიან უჩვეველითა სახითა.

მ ი მ ო ხ რ ა

უკანონოსა არსებობისა ზმნისა ვარ

საზღვრებობისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.	მ რ.
ვარ	ვართ
ხარ	ხართ
არს	არიან

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
ვიყოფოღი	ვიყოფოღით
იყოფოღი	იყოფოღით
იყოფოღა	იყოფოღენ-იან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
ვიყავ	ვიყავით-ვიყვენით
იყავ	იყავით-იყვენით
იყო	იყვენენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.	მ რ.
ყოფიღვარ	ყოფიღვართ
ყოფიღხარ	ყოფიღხართ
ყოფიღ არს	ყოფიღ არიან

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

ყოფილ ვიყავ

ყოფილ ვიყავით

ყოფილ იყავ

ყოფილ იყავით

ყოფილ იყო

ყოფილ იყვნენ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

იყავ, ნუ ხარ

იყავით ანუ იყვენით, ნუ ხართ

იყოს, ნუ არს

იყვნენ, ნუ არიან

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

იყოფოდე, ნუ იყოფოდე

ვიყოფოდეთ, ნუ ვიყოფოდეთ

იყოფოდეს, ნუ იყოფოდეს

იყოფოდეთ, ნუ იყოფოდეთ

იყოფოდენ, ნუ იყოფოდენ

ი ბ ო თ ე ტ ი კ ა ი ს ა ს ქ ე ს ი ს

ა წ მ ყ ო დ ა მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

უკეთუ

{ ვიყოფოდე

{ ვიყოფოდეთ

{ იყოფოდე

{ იყოფოდეთ

{ იყოფოდეს

{ იყოფოდენ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

უკეთუ

{ ვიყოფოდი

{ ვიყოფოდით

{ იყოფოდი

{ იყოფოდით

{ იყოფოდა

{ იყოფოდნა

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი დ ა უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

უკეთუ

{ ყოფილვარ

{ ყოფილვართ

{ ყოფილხარ

{ ყოფილხართ

{ ყოფილ არს

{ ყოფილარიან

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

უკეთუ	{	ყოფილვიყავ	ყოფილვიყავით
		ყოფილიყავ	ყოფილიყავით
		ყოფილიყო	ყოფილიყვენენ

განუსაზღვრებელი სქესი ყ ო ფ ა დ; სახელ-ზმნა ყ ო ფ ა.

მიმღობა	{	აწმყო	მყოფი
		ნამყო	ყოფილი
		მყოობადი	საყოფელი ანუ ყოფადი

სხოლიო ზმნა ესე ვარ შევალს მიმოხვრასა შინა რომელთამე სხვათა ზმნათასა; ამისთვის დაიდვა წინარე სხვათა.

მაგალითნი

მიმოხრათათვის ზმნათა პირეელისა უღლვილებისათა

1.

მოქმედებითისა ზმნისათვის საზღვრებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

ვადიდებ	ვადიდებთ
ადიდებ	ადიდებთ
ადიდებს	ადიდებენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

ვადიდებდი	ვადიდებდით
ადიდებდი	ადიდებდით
ადიდებდის-და	ადიდებდენ-იან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

ვადიდე	ვადიდეთ
ადიდე	ადიდეთ
ადიდა	ადიდეს

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

მიღიდებიეს-ია
გიღიდებიეს-ია
უღიდებიეს-ია

გვიღიდებიეს-ია
გიღიდებიესთ-იათ
უღიდებიესთ-იათ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

მეღიდა
გეღიდა
ეღიდა

გვეღიდა
გეღიდათ
ეღიდათ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

ვადილო
ადილო
ადილოს

ვადილოთ
ადილოთ
ადილონ

ბ რ ძ ა ნ ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

ადიდე, ნუ ადიდებ, ანუ არ ადილო

ადიდეთ, ნუ ადიდებთ, ანუ არ ადილოთ

ადილოს, ნუ ადიდებს, ანუ არ ადილოს

ადილონ, ნუ ადიდებენ, ანუ არ ადილონ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

ადიდებდე, ნუ ადიდებდე
ადიდებდეს, ნუ ადიდებდეს

ვადიდებდეთ, ნუ ვადიდებდეთ
ადიდებდეთ, ნუ ადიდებდეთ
ადიდებდენ, ნუ ადიდებდენ

ი ზ ო თ ე ტ ი კ ა ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო ღ ა მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

რათამცა

{ ვადიდებდე
ადიდებდე
ადიდებდეს

{ ვადიდებდეთ
ადიდებდეთ
ადიდებდენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

	მ ხ.	მ რ.
რათამცა	{ ვადიდებდი ადიდებდი ადიდებდის	{ ვადიდებდით ადიდებდით ადიდებდინ

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ე ს ი

	მ ხ.	მ რ.
რათამცა	{ მიდიდებიეს-ია გიდიდებიეს-ია უდიდებიეს-ია	{ გვიდიდებიეს-ია გიდიდებიესთ-იათ უდიდებიესთ-იათ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

	მ ხ.	მ რ.
რათამცა	{ მედიდა ანუ მედიდებინა გედიდა ანუ გედიდებინა ედიდა ანუ ედიდებინა	{ გვედიდა ანუ გვედიდებინა გედიდათ ანუ გედიდებინათ ედიდათ ანუ ედიდებინათ

განუსაზღვრელი სქესი დ ი დ ე ბ ა დ

სახელზმნა დ ი დ ე ბ ა

მიმლეობა	{ აწმყო მადიდებელი ნამყო დიდებული მყოობადი სადიდებელი ანუ დიდებადი
----------	--------------------------------------------------------------------------

სხოლიო. ამთ მაგალითთა მებრ მიმოიხვრიან ყოველნი ზმნანი მოქმედებითჲნი და უმეშვეობითნიცა ხარმოქმედებითნი პირველისა უღლვილებისანი, მაგალ., ვესვრი, ვაშენებ, ვიქმ, ვუზნობ, ვჰსძარცვაჲ, ვაბრალებ, ვათბობ, ვადიდებ, ვაპირებ, ვარჩევ, ვიღებ, ვებრძვი, ვევედრებ, ვესვრი და სხვანი.

2.

საზღვრებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.	მ რ.
ვჰსწერ	ვჰსწერთ
ჰსწერ	ჰსწერთ
ჰსწერს	ჰსწერენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
ეპსწერდი	ეპსწერდით
ჰსწერდი	ჰსწერდით
ჰსწერდა	ჰსწერდენ

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
დაეპსწერე	დაეპსწერეთ
დაჰსწერე	დაჰსწერეთ
დაჰსწერა	დაჰსწერეს

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.	მ რ.
დამიწერია	დაგვიწერია
დაგიწერია	დაგიწერიათ
დაუწერია	დაუწერიათ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.	მ რ.
დამეწერა	დაგვეწერა
დაგეწერა	დაგეწერათ
დაეწერა	დაეწერათ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.	მ რ.
დაეპსწერ	დაეპსწერთ
დაჰსწერ	დაჰსწერთ
დაჰსწერს	დაჰსწერენ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ხ.	მ რ.
ჰსწერე, ნუ ჰსწერ, ანუ არა	ჰსწერეთ, ნუ ჰსწერთ, ანუ არა
ჰსწერო	ჰსწეროთ
ჰსწეროს, ნუ ჰსწერს, ანუ არა	ჰსწერონ, ნუ ჰსწერენ, ანუ
ჰსწეროს	არა ჰსწერონ

მ ყ ო ზ ა დ ი

მ ბ.

მ რ.

დაჰსწერე, ნუ დაჰსწერ, ანუ არ
დაჰსწერო
დაჰსწეროს, ნუ დაჰსწერს, ანუ
არ დაჰსწეროს

დაეჰსწეროთ, ნუ დაეჰსწერთ,
ანუ არ დაეჰსწეროთ
დასწერეთ, ნუ დაჰსწერთ,
ანუ არ დაჰსწეროთ
დაჰსწერონ, ნუ დაჰსწერენ,
ანუ არ დაჰსწერონ

იპოთეტიკაისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ბ.

მ რ.

თუ ანუ რათა ეჰსწერდე
თუ ანუ რათა ჰსწერდე
თუ ანუ რათა ჰსწერდეს

თუ ანუ რათა ეჰსწერდეთ
თუ ანუ რათა ჰსწერდეთ
თუ ანუ რათა ჰსწერდენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ბ.

მ რ.

თუ ანუ რათა მეწერა
თუ ანუ რათა გეწერა
თუ ანუ რათა ეწერა

თუ ანუ რათა გვეწერა
თუ ანუ რათა გეწერათ
თუ ანუ რათა ეწერათ

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ბ.

მ რ.

თუ ანუ რათა დამეწერა
თუ ანუ რათა დაგეწერა
თუ ანუ რათა დაეწერა

თუ ანუ რათა დაგვეწერა
თუ ანუ რათა დაგეწერათ
თუ ანუ რათა დაეწერათ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ბ.

მ რ.

თუ ანუ რათა დამეწეროს
თუ ანუ რათა დაგეწეროს
თუ ანუ რათა დაეწეროს

თუ ანუ რათა დაგვეწეროს
თუ ანუ რათა დაგეწეროსთ
თუ ანუ რათა დაეწეროსთ

მყოობადი

მ.ხ.

მ.რ.

თუ ანუ რათა დავჰსწერო
 თუ ანუ რათა დავჰსწერო
 თუ ანუ რათა დავჰსწეროს

თუ ანუ რათა დავჰსწეროთ
 თუ ანუ რათა დავჰსწეროთ
 თუ ანუ რათა დავჰსწერონ

განუსაზღვრებელი სქესი: უსრული — წერად სრული — დაწერად;
 სახლ-ზმნა წერა.

მიმღეობა { აწმყო მწერალი
 ნამყო დაწერილი
 მყოობადი დასაწერი ანუ დაწერადი

3

ვნებითისა ზმნისათვის

საზღვრებითისა სქესისა

აწმყო

მ.ხ.

მ.რ.

ვიკვრი
 იკვრი
 იკვრის

ვიკვრით
 იკვრით
 იკვრიან

ნამყო უსრული

მ.ხ.

მ.რ.

ვიკვროდი
 იკროდი
 იკროდა

ვიკროდით
 იკროდით
 იკროდიან

ნამყო სრული

მ.ხ.

მ.რ.

შევიკარ
 შეიკარ
 შეიკრა

შევიკარით
 შეიკარით
 შეიკარენ

ნამყო უსრულესი

მ.ხ.

მ.რ.

შეკრულ ვარ
 შეკრულ ხარ
 შეკრულ არს

შეკრულ ვართ
 შეკრულ ხართ
 შეკრულ არიან

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ბ.

მ რ.

შეკრულებიყავ

შეკრულებიყავით

შეკრულიყავ

შეკრულიყავით

შეკრულიყო

შეკრულ იყვნენ

მ ყ ო ო ბ ა ღ ი

მ ბ.

მ რ.

შევიკრა

შევიკრათ

შეიკრა

შეიკრათ

შეიკრას

შეიკრან

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ბ.

მ რ.

შეიკარ ნუ შეიკვრი ანუ არა შეიკრა

შეიკრათ ნუ შეიკვრით ანუ არა შეიკრათ

შეიკრას ნუ შეიკვრის ანუ არა შეიკრას

შეიკრან ნუ შეიკვრიან ანუ არა შეიკრან

მ ყ ო ო ბ ა ღ ი

მ ბ.

მ რ.

შეიკროდე ნუ შეიკროდე

შეიკროდეთ ნუ შეიკროდეთ ანუ არ შეიკროდეთ

შეიკროდეს ნუ შეიკროდეს

შეიკროდენ ნუ შეიკროდენ ანუ არ შეიკროდენ

ი ზ ო თ ე ტ ი კ ა ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ბ.

მ რ.

ვაშათუ { შევიკროდე
შეიკროდე
შეიკროდეს

შევიკროდეთ
შეიკროდეთ
შეიკროდენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

	მ ხ.	მ რ.
ვაშათუ	{ შევიკროდი შეიკროდი შეიკროდა	შევიკროდით შეიკროდით შეიკროდიან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი დ ა უ ს რ უ ლ ე ს ი

	მ ხ.	მ რ.
ვაშათუ	{ შეკრულვარ შეკრულხარ შეკრულარს	შეკრულვართ შეკრულხართ შეკრულარიან

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

	მ ხ.	მ რ.
ვაშათუ	{ შეკრულვიყავ შეკრულიყავ შეკრულიყო	შეკრულვიყავით შეკრულიყავით შეკრულიყვენ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

	მ ხ.	მ რ.
ვაშათუ	{ შევიკერი შეიკერი შეიკერის	შევიკერით შეიკერით შეიკერიან

განუსაზღვრებელი სქესი { უსრული კვ რ ა დ
სრული შე ე კ ვ რ ა დ

სახელზმნა კ ვ რ ა ა ნ უ შე ე კ ვ რ ა

მიმღეობა	{ აწმყო მკვრელი ჩამყო შეკრული მყოობადი შესაკვრელი ანუ შეეკვრადი
----------	-----------------------------------------------------------------------

სხოლოო. მაგალითსა ამას შეუღებებიან ყოველნი ვნებითნი და ხატვნებითნიცა ზმნანი პირველისა უღლეილებისანი, მაგალ., ვიქები, ვიშენები, ვიქმნები, ვიუბნებო, ვიპრცები, ვიზრდები და სხვანი. დრონი ნამყო უსრულესი და უუსრულესი ამათ ზმნათა წარმოსდგებიან ნამყოისა მიმღეობისა და არსებითისა ზმნისაგან, მაგალ., ჩამყო უსრულესი: შეკრულვარ, უუსრულესი შეკრულ ვიყავ და სხვანი.

სხმოთგარდასვლითისა მოქმედებითისა ზმნისათვის
საზღვრებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

ვაწერინებ
აწერინებ
აწერინებს

მ რ.

ვაწერინებთ
აწერინებთ
აწერინებენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

ვაწერინებდი
აწერინებდი
აწერინებდა

მ რ.

ვაწერინებდით
აწერინებდით
აწერინებდენ-იან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

მ ხ.

დავაწერინე
დააწერინე
დააწერინა

მ რ.

დავაწერინეთ
დააწერინეთ
დააწერინეს

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მიწერინებდის-ია
გიწერინებდის-ია
უწერინებდის-ია

მ რ.

გვიწერინებდის-ია
გიწერინებდისთ-იათ
უწერინებდისთ-იათ.

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

დამეწერინა
დაგეწერინა
დაეწერინა

მ რ.

დაგვეწერინა
დაგეწერინათ
დაეწერინათ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მხ.

დავაწერინო
დააწერინო
დააწერინოს

მრ.

დავაწერინოთ
დააწერინოთ
დააწერინონ

ბრძანებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

აწერინე ნუ აწერინებ
 ანუ არ აწერინო
 აწერინოს ნუ აწერინებს
 ანუ არ აწერინოს

აწერინეთ ნუ აწერინებთ ანუ არ
 აწერინოთ
 აწერინონ ნუ აწერინებენ ანუ
 არ აწერინონ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

აწერინებლე ნუ აწერინებლე
 ანუ არ დააწერინო
 აწერინებლეს ნუ აწერინებლეს
 ანუ არ დააწერინოს

ვაწერინებლეთ ნუ ვაწერინებლეთ
 ანუ არ დავაწერინოთ
 აწერინებლეთ ნუ აწერინებლეთ
 ანუ არ დააწერინოთ
 აწერინებლენ ნუ აწერინებლენ
 ანუ არ დააწერინონ

იპოთეტიკაისა სქესისა

ა წ მ ყ ო და მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

ვაწერინებლე
 აწერინებლე
 აწერინებლეს

ვაწერინებლეთ
 აწერინებლეთ
 აწერინებლენ

ა

ბ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

მეწერინა
 გეწერინა
 ეწერინა

გვეწერინა
 გეწერინათ
 ეწერინათ

გ

დ

ე

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ე ს ი

მხ.

მრ.

დამეწერინა
 დაგეწერინა
 დაეწერინა

დაგვეწერინა
 დაგეწერინათ
 დაეწერინათ

ვ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

დამეწერინოს
დაგეწერინოს
დაეწერინოს

დაგეწერინოს
დაგეწერინოსთ
დაეწერინოსთ

განუსაზღვრელი სქესი { უსრული წ ე რ ი ნ ე ბ ა დ
სრული დაწ ე რ ი ნ ე ბ ა დ
სახელზმნა წ ე რ ი ნ ე ბ ა

მიმღეობა { აწმყო დამწერინებელი
ნამყო დაწერინებული
მყოობადი დასაწერინებელი ანუ
დაწერინებელი

სხოლიო. მავალითისა ამისაებრ მიმოიხიან ყოველნი სხმითგარდასვლითნი მოქმედებითი ზმნანი პირველისა უღლვილებისანი, ეგრეთვე მრჩობლ-სხმყოგარდა-სვლითნიცა მოქმედებითნი.

5

სხმით გარდასვლითისა ვნებითის ზმნისათვის საზღვრებითისა
სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

ვიწერინები
იწერინები
იწერინების

ვიწერინებით
იწერინებით
იწერინებიან

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

ვიწერინებოდი
იწერინებოდი
იწერინებოდა

ვიწერინებოდით
იწერინებოდით
იწერინებოდენ-იან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

დავიწერინე
დაიწერინე
დაიწერინა

დავიწერინენით
დაიწერინენით
დაიწერინენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ.ხ.

მ.რ.

დაწერინებულ { ვარ
ხარ
არს

დაწერინებულ { ვართ
ხართ
არიან

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

დაწერინებულ { ვიყავ
იყავ
იყო

დაწერინებულ { ვიყავით
იყავით-იყვებით
იყვნენ

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ.ხ.

მ.რ.

დავიწერინო
დაიწერინო
დაიწერინოს

დავიწერინნეთ
დაიწერინნეთ
დაიწერინნენ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ.ხ.

მ.რ.

იწერინე ნუ იწერინები
იწერინოს ნუ იწერინებოს

იწერინეთ ნუ იწერინებით
იწერინენ ნუ იწერინებიან

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ.ხ.

მ.რ.

იწერინებოდე ნუ იწერინებოდე
იწერინებოდეს ნუ იწერინებოდეს

ვიწერინებოდეთ ნუ ვიწერინებოდეთ
იწერინებოდეთ ნუ იწერინებოდეთ
იწერინებოდენ ნუ იწერინებოდენ

ი პ ო თ ე ტ ი კ ა ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო დ ა მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ.ხ.

მ.რ.

წმენა

ვიწერინებოდე
იწერინებოდე
იწერინებოდეს

ვიწერინებოდეთ
იწერინებოდეთ
იწერინებოდენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი	{	მხ.	დავიწერინებოდით	მრ.	დავიწერინებოდით
			დაიწერინებოდით		დაიწერინებოდით
			დაიწერინებოდა		დაიწერინებოდნენ

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ე ს ი

	მხ.		მრ.		
უკეთუ დაწერინებულ	{	ვარ	უკეთუ დაწერინებულ	{	ვართ
		ხარ			ხართ
		არს			არიან

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

	მხ.		მრ.		
უკეთუ დაწერინებულ	{	ვიყავ	უკეთუ დაწერინებულ	{	ვიყავით
		იყავ			იყავით
		იყო			იყვნენ

განუსაზღვრებელი სქესი და მიმღობანი სხმითგარდასვლითთა ვნებითთა ზმნათანი იქმნებიან მსგავსად მოქმედებითთა ზმნათა სხმითგარდასვლითთა.

სხლოო. მაგალითისა ამისებრ მიმოხრისა ყოველნი ზმნანი სხმითგარდასვლითნი ვნებითნი, ეგრეთვე მრჩობლ-სხმითგარდასვლითნიცა, მაგალ. ვიწერინებინები, ვიდიდებინები და სხ.

მაგალითნი

მიმოხრისათვის ზმნათა მეორისა უღლვილდებისათა და უკანონოთა

1

საზღვრებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მხ.	მრ.
მიყვარს	გვიყვარს
გიყვარს	გიყვარსთ
უყვარს	უყვარსთ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
მიყვარდი	გვიყვარდა
გიყვარდა	გიყვარდათ
უყვარდა	უყვარდათ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

მ ყ ო ო ბ ა დ ი

მ ხ.	მ რ.
გიყვარდეს ნუ გვიყვარდეს	გვიყვარდეს ნუ გვიყვარდეს
უყვარდეს ნუ უყვარდეს	გიყვარდესთ ნუ გვიყვარდესთ
	უყვარდესთ ნუ უყვარდესთ

ი ბ ო ტ ე ტ ი კ ა ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო დ ა მ ყ ო ო ბ ა დ ი

უკეთუ მიყვარდეს	გვიყვარდეს
უკეთუ გვიყვარდეს	გიყვარდესთ
უკეთუ უყვარდეს	უყვარდესთ

გ ა ნ უ ს ა ზ ლ ჭ რ ე ბ ე ლ ი ს ქ ე ს ი : ყ ვ ა რ ვ ა დ , ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა — ყ ვ ა რ ვ ა

მიმღობა	{	აწმყო მყვარელი
		ნამყო ყვარული
		მყოობადი საყვარელი ანუ ყვარვადი

ს ხ ო ლ ი ო . მ ა გ ა ლ ი თ ს ა ა მ ა ს შ ე უ დ გ ე ბ ი ა ნ ყ ო ვ ე ლ ნ ი ზ მ ა ნ ი მ ე ო რ ი ს ა უ ლ ლ ე ი ლ ე ბ ი -
ს ა ნ ი , რ ო მ ე ლ თ ა ც ა ა კ ლ ს თ ღ რ ო ნ ი ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი , უ ს რ უ ლ ე ს ი , უ უ ს რ უ ლ ე ს ი დ ა
მ ყ ო ო ბ ა დ ი .

ს ა ზ ლ ჭ რ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ხ.	მ რ.
ვალ	ვალთ
ხვალ	ხვალთ
ვალს	ვლენ-ნან

ნ ა მ ყ თ უ ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
ვიდოდი	ვიდოდით
ხვიდოდი	ხვიდოდით;
ვიდოდა	ვიდოდნენ

ნ ა მ ყ თ ს რ უ ლ ი

მ ხ.	მ რ.
ვპელე	ვპელეთ
პელე	პელეთ
პელო	პელეს

ნ ა მ ყ თ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.	მ რ.
მივლიეს-ია	გვივლიეს-ია
გივლიეს-ია	გივლიესთ-იათ
უვლიეს-ია	უვლიესთ-იათ.

ნ ა მ ყ თ უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.	მ რ.
მეველო	გვიველო.
გეველო.	გეველოთ
ეველო	ეველოთ.

მ ყ თ ზ ბ ა დ ი

მ ხ.	მ რ.
ვპელო	ვპელოთ
პელო	პელოთ
პელოს	პელონ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ თ

მ ხ.	მ რ.
პვლე ნუ ხვალ	პვლეთ ნუ ხვალთ.
ვლოს ნუ ვალს	ვლონ ნუ ვლენ-ნან

მყოობადი

მ.ხ.

მ.რ.

ჰელიდე ნუ ჰელიდე
ჰელიდეს ნუ ჰელიდეს

ვჰელიდეთ ნუ ვჰელიდეთ
ჰელიდეთ ნუ ჰელიდეთ
ვლიდენ ნუ ვლიდენ

ნაპოტეტიკაისა სქესისა

აწმყო და მყოობადი

მ.ხ.

მ.რ.

უკეთუ	{	ვილოდე	ვილოდეთ
		ხვილოდე	ხვილოდეთ
		ვილოდეს	ვილოდენ

ნამყო უსრული

მ.ხ.

მ.რ.

უკეთუ	{	ვილოდი	ვილოდით
		ხვილოდი	ხვილოდით
		ვილოდა	ვილოდენ-იან

ნამყო სრული და უსრულესი

მ.ხ.

მ.რ.

უკეთუ	{	მივლიეს-ია	გვივლიეს-ია
		გივლიეს-ია	გივლიესთ-იათ
		უვლიეს-ია	უვლიესთ-იათ

ნამყო უუსრულესი

მ.ხ.

მ.რ.

უკეთუ	{	მეელო	გვეელო
		გეელო	გეელოთ
		ეელო	ეელოთ

განუსაზღვრებელი სქესი, უსრული სვლად
სრული წარსვლად

სახელზმნა სვლა ანუ წარსვლა

მიმღეობა	{	აწმყო მსვლელი ანუ მავალი
		ნამყო წარსრული
		მყოობადი სავლელი ანუ წარსასვლელი

უკანონოთა ზმნათათვის

§ 54. უკანონოი ზმნანი იქმნებიან სამგვარად: 1) ნაკლობითნი, 2) ნაკლულევეანნი და 3) პირნაკლნი.

1. ნაკლობითნი უკანონოი ზმნანი არიან იგინი, რომელთაცა აკლსთ რომელნიმე დრონი და აღივსებიან სხვათა ზმნათაგან; მაგალ., ვითარცა არსებითი ზმნა ვ ა რ, აღივსების ზმნისაგან ვ ი ყ ო ფ ი; ეგრეთვე ვ ე ტ ყ ვ ი, ვ ი ტ ყ ვ ი აღივსებიან ვ ჰ ს თ ქ ე ა მ ზმნისაგან და სხუანი.

2. ნაკლულევეანნი უკანონოი ზმნანი არიან იგინი, რომელთაცა აკლსთ სრულებით რომელნიმე დრონი და არა აღივსებიან სხუათა ზმნათაგან, მაგალ., ვჰფლობ, ვუწყი, ვესავ და სხვანი.

3. პირნაკლნი ზმნანი იცნობიან სამგვარად: ა) იგინი, რომელთაცა აკლსთ პირი პირველი, მაგალ., მაქებ, მაქებს; მწერ, მწერს და სხ. ბ) იგინი, რომელთაცა აკლსთ პირი მეორე, მაგალ., გაქებ; გაქებს; მწერ, მწერს და სხ. გ) იგინი, რომელთაცა აკლსთ პირნი ორნივე, პირველი და მეორე, მხოლოდ მესამისა ოდენ პირისანი იქმნებიან სამთავე პირთადმი, მაგალ., ჟერ არს ჩემდა, ჟერ არს შენდა, ჟერ არს მისდა, შეენის, ჰხამს და სხვანი.

სხოლიო 1. ყოველნი პირნაკლნი ზმნანი პირველისა და მეორისა გვარისანი ჰსწარმოებენ ზმნათაგან მოქმედებითთა, ხატმოქმედებითთა, ენებითთა და სხმითგარდასვლითთაგან.

სხოლიო 2. ყოველნი პირნაკლნი ზმნანი შესაძლო არიან პირნაკლყოფად პირველისამებრ და მეორისა გვარისა, ოდეს დააკლდების მათ პირი პირველი ანუ მეორე; გარნა მესამისამებრ გვარისა არა შესაძლო არიან პირნაკლყოფად, არამედ თვით თავით თვისით იწარმოებიან რაოდენნიმე და აქვსთ მხოლოდ ორნი დრონი: აწმყო და ნამყო უსრული: მაგალ., ჟერ არს ჩემდა, ჟერიყო ჩემდა.

სხოლიო 3. უკანონო ზმნად ითქმიან იგინიცა, რომელთაცა თუმცა არა აკლსთ დრონი, გარნა მიმოხრასა შინა წარმოსდგებიან უჩვეველითა შესახედავითა, ვითარცა ზმნა ესე ვ ა რ და ვ ა ლ (რომელთათვისცა იხილენ 24 და 43 გვერდსა შინა).

მაგალითნი

პირნაკლთა ზმნათათვის, რომელთაცა აკლსთ პირი პირველი და მეორე

1

საზღვრებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ს.

მ რ.

მაქებ, მაქებს

მაქებთ, მაქებენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ო :

მ ხ. მ რ.

მაქებლი; მაქებლა მაქებლით, მაქებლენ-იან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ო

მ ხ. მ რ.

მაქე, მაქო; მაქეთ; მაქენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ. მ რ.

გიქივარ, უქივარ გიქივართ; უქივართ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ. მ რ.

გიქე, ვიქე; გიქეთ, ვიქეთ

მ ყ ო ო ბ ა ლ ი

მ ხ. მ რ.

მაქო, მაქოს მაქოთ; მაქონ

ბ რ ძ ნ ე ზ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ხ. მ რ.

მაქე, წუ მაქებ, არ მაქოს მაქეთ, წუ მაქებთ
მაქოს, წუ მაქებს; არ მაქოს მაქონ, წუ მაქებენ

მ ყ ო ო ბ ა ლ ი

მ ხ. მ რ.

მაქებლე, წუ მაქებლე მაქებლეთ, წუ მაქებლეთ
მაქებლეს, წუ მაქებლეს მაქებლენ, წუ მაქებლენ

ი ზ ო ტ ე ტ ი კ ა ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო ღ ა მ ყ ო ო ბ ა ლ ი

მ ხ. მ რ.

უკეთუ ანუ ვაშათუ მაქებლე, მაქებლეს, მაქებლეთ, მაქებლენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

მაქებლი, მაქებლა

მაქებლით, მაქებლიან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

გიქივარ, უქივარ

გიქივართ, უქივართ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

გეჟე, ვეჟე

გეჟეთ, ვეჟეთ

2

ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ი ს ა ს ქ ე ს ი ს ა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

გაქებ, გაქებს

გაქებთ, გაქებენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

გაქებლი, გაქებლა

გაქებლით, გაქებდენ-იან

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

გაქე, გაქო

გაქეთ, გაქეს

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

გიქიხარ, უქიხარ

გიქიხართ, უქიხართ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

გეჟე, ეჟე

გეჟეთ, ეჟეთ

მ ყ ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

გაქო, გაქოს

გაქოთ, გაქონ

ბრძანებითისა სქესისა

ა წ მ ყ ო

მ ხ.

მ რ.

გაქოს, ნუ გაქებს

გაქონ, ნუ გაქებენ

მ ყ ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

გაქებდეს, ნუ გაქებდეს

გაქებდეთ, მუ გაქებდეთ
გაქებდენ, ნუ გაქებდენ

იპოტეტიკაისა სქესისა

ა წ მ ყ ო და მ ყ ო ბ ა დ ი

მ ხ.

მ რ.

უკეთუ ანუ ვაშათუ გაქებდე, გაქებდეს

გაქებდეთ, გაქებდენ

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

მ ხ.

მ რ.

გაქებდი, გაქებდა

გაქებდით, გაქებდენ

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

მიქიხარ, უქიხარ

გვიქიხართ, უქიხართ

ნ ა მ ყ ო უ უ ს რ უ ლ ე ს ი

მ ხ.

მ რ.

მექე, ექე

გვექეთ, ექეთ

ხხოლიო 1. განუსაზღვრებელი სქესი, მიმღეობა და სახელზმნა არა აქვსთ პირ-
ნაკლთა ზმნათა საკუთრად თვისი, არამედ იხმარებიან პიროვანთა ზმნათაგან.

ხხოლიო 2. ზმნათა პირნაკლთა, წარმოებულთა ვნებითთა და ხატვნებითთა
ზმნათაგან ნამყო უსრულესი დროი არა აქვსთ. ეგრეთვე მესამისა ხატისა მოქმე-
დებითთა და ხატმოქმედებითთა ზმნათაგან წარმოებულთა პირნაკლთა ზმნათა და-
აყლდებისთ დრონი ნამყო უსრულესი და უსრულესი.

§ 55. სახელჯამა არს ლექსი ზმნისაგან წარმოებული, რომელიცა აჩვენებს თვით თავით თვისით მოქმედებასა ანუ მოძრაობასა საგნისასა. მაგალ.: ქება, წერა, წარსვლა ანუ განვლა. შენება და სხვანი.

§ 56. სახელჯამა შეიწყნარებს ყოველსა თვისებასა არსებითისა სახელისასა და იბრუნვიან დაბოლოებისებრ მათისა, ვითარცა სახელნი. ესენი არა არიან საკუთარნი ნაწილნი სიტყვისანი, არამედ შეადრგენენ სახელთა არსებითთა.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ი

მიმღებლისათვის

§ 57. მიმღობა არს ზმნისაგან წარმოებული სახელი ზედშესრული და აღნიშნავს მოქმედებულსა ანუ ვნებულსა თვისებასა საგნისასა. მაგ.: მაქებელი, აღმწერელი, აღწერილი, აღსაწერი ანუ აღწერადი და სხვანი.

§ 58. მიმღობანი (ვინაითგან ჰსწარმოებენ ზმნათაგან) იქმნებიან: არსებითნი, მოქმედებითნი, ვნებითნი და უმეშვეობითნი, და აქვსთ დრონი სამნი: აწმყო, ნამყო და მყოობადი.

1. არსებითნი მიმღობანი არიან ივინი, რომელნიცა ჰსწარმოებენ არსებითთა ზმნათაგან; მაგალ., მყოფი, გებული და სხვანი.

2. ყოველნი მიმღობანი, მოქმედებითთა ზმნათაგან წარმოებულნი, აწმყოსა დროსა შინა, არიან მოქმედებითნი; ხოლო ნამყოსა და მყოობადსა დროსა შინა ვნებითნი; მაგალ., შეყვარებელი, შეყვარებული. შესაყვარებელი ანუ ყვარებადი და სხვანი.

3. უმეშვეობითნი მიმღობანი არიან ივინი, რომელნიცა ჰსწარმოებენ უმეშვეობითთა ზმნათაგან, მაგალ., მსვლელი, მსასოებელი, მღვიძარე და სხვანი.

§ 59. მიმღობანი აწმყოსა დროისანი არიან ივინი, რომელთაცა დაესხმით მარცვალნი თავად: მ ანუ მმ; მო და ბოლოდ ელი, ედი, რი, რე, ლი, ლე, ული; მაგალ., მეტყველი, მმეკმი, მოქმედი, მტირალი, მხიარული ანუ მოხარული და სხ.

მიმღობათა ნიშანნი აღმნიშვნელნი ნამყოისა დროისანი არიან: თავად უ ანუ თვინიერ მისსა და ბოლოდ: ელი ანუ ული და ე. მაგალ., ქმნილი ან ქმნული, ნაქები ანუ ქებული, ნამზადი, ნაწერი და სხ.

მიმღობანი აღმნიშვნელნი მყოობადისა დროისანი არიან ივინი,

რომელთაც მოეკიდებოდა მარცვალნი თავად სა და ბოლოდ ელი, ო და დო; მაგალ., საქებელი ანუ ქებადი და სხ.

§ 60. ყოველნი მიმღვობანი, მსგავსად ზედშესრულთა სახელდა, მიიღებენ თვისებათა სახელისათა და იბრუნვიან დაბოლოებისამებრ მათისა.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს

§ 61. თანდებული არს ნაწილი. სიტყვისა, რომლითაცა გამოითქმიან შეთანხმებულნი რაისამიმართობანი საგანთა და თვისებათა ანუ მოქმედებათა შორის მათთა, მაგალ., ცათა შინა და ქვეყანასა ზედა არს დიდება მისი, მთასა ზედა აღვიდა და სხვანი.

§ 62. თანდებულნი საზოგადოდ არიან შემდგომნი: თვინიერ, გჳრდა, შინა ანუ ში, შორის, თვის, გამო. გან, ამიერ, იმიერ, გარეგან, წინარე, უკან, ქვემორე, ზემორე, შემდგომად, პირისპირ, ახლოს, თანა, მიერ, დმი ანუ მიმართ, ქვეშე, წინა, აღ, შთა, წარ, უკუ, შე, მი, მო, მიმო, მიდმო და სხ.

§ 63. თანდებულნი იხმარებიან ანუ შეერთებულად; მაგალ., აღ-შფოთება, გარდა-ვალ, წარ-ვალ, აღ-ვსწერ, შთა-ვჰსწერ, შე-ვიყვარებ და სხვანი. ანუ განყოფითად: ძმასთან, ტაძარსა შინა, სახლსა ზედა და სხვანი.

ხზოდაღ. განყოფით ხმარებულნი თანდებულნი მოითხოვენ ბრუნვათა, რომელთათვისცა გარდმოცემულ იქმნების მეორესა ნაწილსა შინა ღრამმატიკისასა.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ზ მ წ ნ ი ზ ე დ ი ს ა თ ვ ი ს

§ 64. ზმნისზედა არს ლექსი, რომლითაცა გამოითქმის ვითარება ანუ გარემოება სხვისა ვითარებისა ანუ მოქმედებისა, მაგალ., ფრთად მწარე, შვენიერად მეტყველებს, გონიერად ჰსწერს, გუშინ ვიყავ და სხ.

§ 65. ზმნისზედანი მნიშვნელობისაებრ თვისისა იქმნებიან შემდგომნი:

1. ვითარებითნი: გონიერად, კარგად, მართლად, კადნიერად, ავად, ცუდად და სხვანი.

2. რაოდენობითნი: მრავლად, მცირედ, საკმაოდ, ესოდენ და სხ.
3. დროებითნი: აწ, დღეს, გუშინ, შარშან, ძველად, მარადის, საუკუნოდ და სხ.
4. ადგილობითნი: სადა, აქა, მუნ, შინაგან, გარეგან, ზენად, საშუალ და სხ.
5. რიცხვითნი: ერთგზის, ორგზის, სამგზის და სხ.
6. წესებითნი: პირველად, უპირველეს, მეორედ, უკანასკნელ, უქვემოეს, უზემოეს და სხ.
7. დამტკიცებითნი: ეგრეთ, ნამდვილ, მართლად, ჭეშმარიტად და სხ.
8. უკუთქმითნი: არა, ნუ, ნურაოდეს, არასადამე და სხ.
9. კითხვითნი: რად, რაგვარ, ვითარ, ვითარითა, ხატითა, როგორ და სხ.
10. საჭირონი: ნუუკვე, ნუთუ, ეგების და სხ.
11. მსწრაფლობითნი: მსწრაფლ, მყის, დანიალ, მეყვსეულად, მსთვად და სხვ.
12. ხშირობითნი: ფრიალ, უხვად, ხშირად, მრავლად და სხ.
13. შემკრებლობითნი: საზოგადოდ, ერთად, განურჩევლად.
14. ჩვენებითნი: აჰა, ეჰა, ეგერა, მუნ და სხ.
15. განკერძობითნი: ცალკე, განყოფით, საკუთრად, თვითოდ და სხ.
16. შემრჩობლებითნი: მრჩობლად, კვალად, მერმე და მერმე და სხ.
17. საწადნი: ნეტარ, ნეტართუმცა, ნეტარძი, უკეთუ და სხ.
18. უთანამდებობითნი: ცუდად, ამაოდ, უჯეროდ და სხ.
19. მყუდროებითნი: მყუდროდ, ნელიად, მდოვრედ და სხ.

სხოლიო: რიცხვსა შინა ზმნისზედათასა დაიდებიან სახელნი არსებითნი და ზედშესრულნიცა, ოდეს მოუვალსთ მარცვალი ესე: აღ, ანუ მოეკიდებიან ვითარსამე თანდებულსა, ან დაიდებიან მხოლოდ მოქმედებითსა ბრუნვასა შინა და ანუ შეცვლილნი სხვაგვარ აღნიშვნენ ვითარსამე გარემობასა მოქმედებისა ანუ ვნებისასა: მაგალ., კაცად, ცხოველად, ჰსჯულიერად, სიმშვიდით, სახლში, კარზე და სხ.

თ ა ვ ი მ ე უ ვ ი დ ე

კ ა ვ შ ი რ ი ს ა თ ვ ი ს

§ 66. კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომლითაცა შეერთდებიან ლექსნი ანუ სიტყვანი ურთიერთისათანა; მაგალ., ეხლა ტფილა, ხოლო გუშინ ციოდა; მე და ჩემი ძმა ვიყავით სწავლაში და სხვანი.

§ 67. კავშირნი მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებთან შემდგომნი;

1. შეერთებითნი: და, ხოლო, ეგრეთვე, ესრეთვე, არათუოდენ არამედ, ცა და სხ.

2. განყოფითნი: ანუ, გინა, ანუთუ, გინათუ და სხ.

3. უკეთუობითნი: უკეთუ, თუსადამე, ოდეს, მაშინ და სხ.

4. წინააღმდეგობადადებითნი: გარნა, არამედ, ხოლო სხვებრ და სხ.

5. ნებართვითნი: თუმცაღა, უკეთუმცა, დაღათუ, დაღათუმცა, მართლად და სხ.

6. მიზეზობითნი: ვინათგან, ამისთვის, ვითარმედ, მით, რამეთუ, რომელ და სხ.

7. კიდურმდგმოობითნი: მაშასადამე, მაშა, ამისებრ და სხ.

8. განმარტებითნი: ესე იგი, ესე იგი არს, რომელ არს და სხ.

9. მეტობითნი: უკვე, ხოლო, ვიდრემე და სხ.

სხოლიო: ხმარებისა და თვისებისათვის კავშირთა ვიტყვით მეორესა ნაწილსა შინა ღრამმატიკისასა.

თ ა შ ი მ ე რ ვ ი

შ ო რ ი ს დ ე ზ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს

§ 68. შორისდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომელიცა აჩვენებს ვითარსამე გრძნობილებასა ანუ მოძრაობასა სულისასა.

§ 69. შორისდებულნი მნიშვნელობისამებრ თვისისა აჩვენებენ:

ა) განკვირვებასა: ოჰ! ეჰა! ჰოი! ბ) საღმობასა: ვაი! ჰოი! ვაიღე! ჰოიმე! გ) შვებასა: ვიშ! ვახ! დ) შეურაცხებასა: ფუ! ფუფუ! ე) კიცხვასა: აჰაჰა! ჰიჰი! ვ) იღუმალობასა: სუ! სუსუ! ჩუმათ! ჰსდუმენინ! ზ) რისხვასა: აი! აიაი! გაღი! მ) წოდებასა: ეი! ეიეი! ჰოი! თ) ლაღაღებასა: ოჰ! ჰოი! ი) შეწყალებასა: ვაი! გლახ! ია) განმხნობასა: შაბაშ! შაბაშ-შაბაშ! იბ) ნატვრასა: ნეტარ! ვაში! ნეტარძი!

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ლ ე ქ ს თ-თ ხ ზ უ ლ ე ზ ი ს ა თ ვ ი ს

§ 70. ლექსთ-თხზულება (სინტაქსი) არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა იპყრობს თვის შორის კანონთა შეერთებისა და თანხმობისათვის ნაწილთა სიტყვისათა ურთიერთისა შორის წარმოსადგენად ცხადისა და გასაგონისა სიტყვისა.

შ ე თ ხ ზ ვ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ხ ე ლ თ ა

§ 71. ორნი ანუ მრავალნი არსებითნი სახელნი ერთისა საგნისად-
მი კუთვნილნი დაიდებიან ერთსა შინა რიცხვსა და ბრუნვასა. მაგალ.,
ქალაქი ტფილისი, მდინარე მტკვარი და სხვანი.

სხოლიო 1. ესევეთარნი სახელნი იბრუნვიან ანუ განყრიოთ, მაგალ.,
მეფე დავით, მეფისა დავითისა, მეფესა დავითსა და სხვანი, ანუ გა-
ნუყრელად, მაგალ., ვახტანგ-მგელ-ლომი, ვახტანგ-მგელ-ლომისა და
სხვანი.

სხოლიო 2. ოდესცა თანხმობასა შინა რაოდენთამე სახელთასა
ბრუნვიოთა და რიცხვიოთა მოუვიდეს თანდებული, მაშინ ერთსა მათ-
განსა მოეკიდების იგი. მაგალ., სიბრძნისა, სიმხნისა და თანხმობისა-
გან აღყვავდების სამფლობელო.

§ 72. ოდესცა ორნი ანუ მრავალნი არსებითნი სახელნი, აღმნიშვ-
ნელნი სხვისა და სხვისა საგნისანი დაიდებიან სიტყვათა შინა თვი-
ნიერ კავშირისა, მაშინ ჯერ არს, რათა შემდგომი სახელი დაიდვას
ნათესაობითსა შინა ბრუნვასა; მაგალ., კითხვა წიგნისა, დასაბამი სი-
ბრძნისა და სხვანი.

§ 73. ამას ნათესაობითსა ბრუნვასა ეწოდების განმათვისებელი
წინამავალისა სახელისა და ეთანხმების სახელსა მას, რომელსაცა გა-
ნითვისებს მიღებითა თვის ზედა მისისა ბრუნვისა ნიშნისათა წარუ-
წყმედელად თვისისა ბრუნვისა და რიცხვისა. მაგალ., ძენი ისრაილი-
სანი ანუ ისრაილთანი გამოირჩივნა ღმერთმან, ძალსა ღვთისასა ესე-
იღენ იგინი, სიმხნემან დიდისა პეტრესმან განავრცო როსსია, ძეო
კაცისაო ანუ ძენო კაცთანო და სხვანი.

სხოლიო: უკეთუ სახელი შემკრებელობითი არს განმათვისებელი
საზოგადოთა სახელთა მხოლოობითთა, შესაძლო არს დადებად ორ-
თავე რიცხვთა შინა, მაგალ., მსაჯული ერისა ანუ ერთა და სხვანი.
ხოლო ოდეს შეხვდების განმათვისებელად სახელთა შემკრებელობით-
თა სახელი საზოგადო, მაშინ მიუცილებელად დაიდების იგი მრავ-
ლობითსა რიცხვსა შინა, მაგალ., გუნდი ანგელოზთა, კრებულე მორ-
წმუნეთა და სხვანი.

§ 74. ოდეს ორთა ანუ უმეტესთა არსებითთა სახელთა მხოლო-
ობითთა მდებარეთა თვინიერ კავშირისა ანუ კავშირითა მიეწერე-
ბის ერთი არსებითი სახელი, მაშინ იგი დაიდების მრავლობითსა შინა
რიცხვსა; მაგალ., სიმშვიდე, მყუდროება და მოთმინება არიან სათ-
ნობანი და სხვანი.

§ 75. სახელნი ზედშესრულნი და რიცხვითნი, მდებარენი არსებითისა სახელისა თანა, ითანხმებიან ბრუნვითა და რიცხვითა; მაგალ., გულისხმიერი კაცი, განვრცდლებული ზღვა, ერთი ღმერთი, პეტრე პირველი და სხვანი.

§ 76. ოდეს ორთა ანუ უმეტესთა არსებითთა სახელთა მხოლო-ობითთა მიეწერების ერთი ზედშესრული სახელი, მაშინ იგი დაიდების მრავლობითსა შინა რიცხვსა; მაგალ., მცონარება და უქმობა არიან საენებელნი და სხ.

§ 77. სახელნი ზედშესრულნი ოდესმე მიიღებენ ძიებად ბრუხვასა ნათესაობითსა, რომელიცა განმათვისებულადცა ექმნების მათ: მაგალ., ნათელი მეცნიერებისა, ბნელი უმეცრებისა; ოდესმე მოქმედებითსა, მაგალ., ჩინებული სიმხნითა, მდიდარი სიბრძნითა და სხვანი.

§ 78. სახელნი ზედშესრულნი შეთანასწორებითისა და აღმატებითისა ხარისხისანი ითხოვენ ბრუნვასა ნათესაობითსა, მაგალ., კაცობრივსა ცხოვრებასა შინა არა რაიმე არს უძვირფასესი სიმრთელისა და სხვანი.

ხოლო ოდეს შეითხზვთან კავშირისა თანა, რომელ არს, ვითარცა ანუ ვიდრე და, მაშინ ნათესაობითი იგი ბრუნვა დაიდების წრფელობითად, მაგალ., სიბრძნე უპატიოსნეს არს ვიდრეა ოქრო, არა რაი არს უმწვერვალეს, ვითარცა სვინილისი და სხვანი.

თ ა ვ ი მ ი ო რ ე

შეთხზვისათვის ნაცვალსახელისა

§ 79. ნაცვალსახელნი, გარდა კვლავმოღებითთა, დაიდებიან არსებითისა სახელისა თანა ერთსა შინა ბრუნვასა და რიცხვსა, მაგალ., ყოველთა შინა განზრახვათა შენთა მეცადინეობდღე მოპოებად საქმისა მის, რაიცაღა არს სასარგებლო შენი, რათა რომელმანმე განუსჯელობამან შეპაზრობამან არა სარცხვინელ გყოს შენ წინაშე ღვთისა და კაცთა და სხვანი.

§ 80. კვლავმოღებითნი ნაცვალსახელნი: რ ო მ ე ლ ი ც ა, რ ა ი ც ა შეითხზვიან არსებითისა სახელისათანა რიცხვითა, ხოლო დაიდებიან ბრუნვასა მას შინა, რომელსაცა მოითხოვს შემდგომი ზმხა, მაგალ., აღასრულენ საქმენი კეთილნი, რომელთაცა ძალუძსთ მოგებად შენდა საუკუნო ნეტარებაი და სხვანი.

სხოლო. ოდესმე ნაცვლად კვლავმოღებითთა ნაცვალსახელთა დაიდებიან ადგილობითნი ესე ზმნისზედანი: სადა, მუნ, მაგალ.,

გაქვსთ წიგნი, სადაცა მომდინარეობენ წყარონი კეთილად ცხოვრებისანი, მუნიტგან ძალგიმს მოპოებად სასარგებლონი მოქმედებანი და სხვანი.

§ 81. ნაცვალსახელი თვით დაიდების სხვათა თანა პიროვანთა ნაცვალსახელთა, მაგალ., თვით მე ვიხილე, თვით თქვენ ჰსწამეთ, თვით მან აღიარა; და ანუ არსებითისა სახელისათანა, მაგალ., თვით ღმერთმან შეჰქმნა ადამ და სხვანი.

§ 82. ნაცვალსახელი ესე თვისი იქცევის მსგავსად მოგებითისა ნაცვალსახელისა და მიეწერების მარადის პირსა მესამესა, მაგალ., მან იხმია ძალი თვისი ანუ მისი მას ზედა და სხვანი.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ი

ზეთხზვისათვის ზმნისა სახელისა თანა

§ 83. ყოველნი პიროვანნი ზმნანი მიიღებენ ორთა სახელთა: ერთსა წინარე და მეორესა შემდგომად, მაგალ., მზე აბრწყინებს ჰაერსა, მოძღვარი ასწავებს მოწაფესა და სხვანი.

ამათგანსა პირველსა სახელსა, რომელიცა დაიდების წინარე ზმნისა, ეწოდების უფალი ზმნისა, ხოლო მეორესა სახელსა, რომელიცა დაიდების შემდგომად ზმნისა, ეწოდების ძიება ზმნისა.

უფლად ზმნისა იხმარების ნიადაგ ბრუნვა ანუ წრფელობითი, ანუ მიცემითი და ანუ მოთხრობითი, რომელიცა სათანადო არს თანხმობად ზმნისა თვისისა თანა რიცხვითა და პირითა, მაგალ., მე ვჰსწერ, შენ იკითხავ, მან განსაჯოს და სხვანი.

§ 84. ოდესცა ორნი ანუ უმეტესნი არსებითნი სახელნი მხოლოობითნი შეხვდნენ ერთად უფლად ზმნისა, მაშინ ზმნა მათი შესაძლო არს დადებად მრავლობითსა შინა რიცხვსა, მაგალ., განცხრომა და უქმობა მოაუძღურებენ სხეულსა; გარნა თუ სადამე დაიდვას მხოლოობითადცა არა აღრევს აზრსა, მაგალ., საკმელი და სასმელი ჰზრდის სხეულსა და სხვანი.

§ 85. ოდესცა ზმნა მიეწეროს ორთა სახელთა ანუ ნაცვალსახელთა აღმნიშვნელთა სხვისა და სხვისა პირისათა, მაშინ ზმნა მრავლობითი ეთანხმების პირსა მას, რომელიცა უადრეს არს; პირველი პირი უადრეს არს მეორისა და მეორე მესამისა, მაგალ., ძმა ჩემი და მე ვიხარებთ; შენ და იგი ისწავებთ ღრამმატიკასა და სხვანი.

§ 86. ძიებანი ზმნისანი იქმნებიან ორგვარად: პირველად ძიება ნათესავისა და მეორე ძიება ბუნებისა.

ნათესავისა ძიება მოქმედებითა ზმნათა შორის აღნიშნავს მას, რომლისაგანცა იმოქმედების; ხოლო ვნებითა ზმნათა შორის მას, რომლისაგანცა ანუ რომლისა მიერ იქმნების რაიმე.

ბუნების ძიება აღნიშნავს საშუალებასა მას, რითაცაღა იმოქმედების საქმე რაიმე.

§ 87. მოქმედებითნი და ვნებითნი ზმნანი მიიღებენ ორთავე ძიებათა, ხოლო უმეშვეობითნი მხოლოდ ძიებასა ბუნებისასა.

§ 88. ყოველნი ზმნანი მოქმედებითნი კანონიერნი პირველისა უღვლილებისანი აწმყოსა და ნამყოსა უსრულსა დროთა შინა მიიღებენ უფლად ბრუნვასა წრფელობითსა, ხოლო ძიებად (ნათესავისა) მიცემითსა, მაგალ., განათლება შეამკობს სახელმწიფოსა; წინასწარმეტყველი დავით აქებდა ღმერთსა და სხვანი.

ნამყოსა სრულსა და მყოობადსა დროთა შინა მიიღებენ უფლად ბრუნვასა მოთხოვითსა და ძიებად (ნათესავისა) შემასმენელობითსა, მაგალ., მეფემან მირიან მიიღო სარწმუნოება ქრისტიანებრი, შესაძლო არს, რომელ გულმოდგინემან მოწაფემან მიიღოს ქებაი და სხვანი.

ნამყოსა უსრულსა და უუსრულესსა დროთა შინა მიიღებენ უფლად ბრუნვასა მიცემითსა და ძიებად (ნათესავისა) შემასმენელობითსავე, მაგალ., პეტრესა დიდსა განუხათლებიეს რუსეთი, სიბრძნესა შეემკო ქალაქი ათინაი და სხვანი.

სხოლიო: კანონისა ამისგან გამოირიცხვიან რომელნიმე ზმნანი პირველისა უღვლილებისანი, განპიროვნებულნი მეორესა შინა პირსა ასოითა ამათ ე, ვითარნიცა არიან: ვევედრები, ვემთხვევი და სხვანი მსგავსნი ამათნი, ვინაითგან ყოველთა შინა დროთა ითხოვენ უფლად ბრუნვასა წრფელობითსა და ძიებად მიცემითსა, მაგალ., მე ვევედრე მას, იგი ემთხვია ხატსა და სხვანი.

§ 89. ყოველნი ვნებითნი ზმნანი ყოველთა შინა დროთა და სქესთა ითხოვენ უფლად ბრუნვასა წრფელობითსა, ხოლო ძიებად ნათესავისა დაწყებითსა ანუ მოქმედებითსა, მაგალ., ცოდვილი დაისჯების სინიდიისისა თვისისაგან, მართალი შეიყვარების მეგობართა მიერ და სხვანი.

§ 90. ზმნანი უმეშვეობითნი ხატმოქმედებითნი პირველისა უღვლილებისანი მიიღებენ უფლად ბრუნვათა მათ, რომელთაცა ზმნანი მოქმედებითნი, ხოლო ძიებად სხვა და სხვათა ბრუნვათა, ვინათგან ითხოვენ ძიებასა ბუნებისასა და არა ძიებასა ნათესავისასა, მაგალ., იხარებს მართალი საქმეთა თვისთა ზედა და სხვანი.

§ 91. ყოველნი ზმნანი ხატვნებითნი უმეშვეობითნი პირველისა უღვლილებისანი ყოველთა შინა დროთა და სქესთა უფლად ითხოვენ ბრუნვასა წრფელობითსა, ხოლო ძიებად სხვა და სხვათა ბრუნვათა

განურჩევლად, მაგალ. ვაშვრები სწავლასა შინა, დავშვერ სიბრძნითა და სხვანი.

§ 92. ზმნანი სხმითგარდასვლითნი და მრჩობლ-სხმითგარდასვლითნი მოქმედებითნი და ვნებითნიცა მიიღებენ უფლად და ძიებად ბრუნვათა მათვე, რომელთაცა პირველსახენი მათნი, მაგალ., ალგა-სრულებინებ საქმესა ამას, ვიქებინები შენგან.

§ 93. არსებითი ზმნა წინარე თვისსა და შემდგომ თვისსა, ესე იგი უფლად და ძიებად მოითხოვს წრფელობითსა ბრუნვასა ანუ მოსპობით და ანუ თვინიერ მოსპობისა; მაგალ., მცონარება არს სავნებელ, სწავლა არს სასარგებლო.

§ 94. ზმნანი: ვიცი, ვუწყვი აწმყოსა და ნამყოსა უსრულსა დროთა შინა მიიღებენ უფლად ბრუნვასა მოთხრობითსა და ძიებად შემას-მენელობითსა, მაგალ., იცის მართალმან ქმნაი კეთილისა და სხვანი.

§ 95. ყოველნი ზმნანი მეორისა უღვლილებისანი მიიღებენ მარადის უფლად მიცემითსა ბრუნვასა, ხოლო ძიებად სხვადასხვათა ბრუნვათა. მაგალ., მე მძინავს სასოებით ცხედარსა ზედა; მას ეშინის სასჯელისაგან; მამასა უყვარს ძეი და სხვანი.

§ 96. ზმნანი პირნაკლნი, რომელთაცა აკლსთ პირი პირველი და მეორე, მიიღებენ უფლად და ძიებად ბრუნვათა მათვე, რომელთაცა პიროვანნი ზმნანი მათნი, მაგალ., მან გადიდოს შენ და სხვანი.

§ 97. ზმნანი პირნაკლნი, მხოლოდ მექონნი მესამისა პირისანი, რომელნიცა არიან: ჯერ არს, სათანადო არს, შევინის, შეგავს, ჰხამს და სხვანი შეითხზვიან მიცემითად ბრუნვილთა ნაცვალსახელთა თანა და მიიღებენ შემდგომად თვისსა ზმნათა განუსაზღვრებელისა სქესისათა, მაგალ., სათანადო არს შეყვარებად მშობელთა და სხუანი.

§ 98. ზმნანი, განუსაზღვრებელისა სქესისანი, მიიღებენ წარმოებულნი პიროვანთა ზმნათაგან ძიებად ნათესავისა ნათესაობითსა ბრუნვასა და ანუ შემასენელობითსა, მაგალ., სათანადო არს შეყუარებად ღვთისა, ფარნავაზ მეფემან ქართლოსიანმან იწყო შემოღებად ასოებითი წერილი ქართულსა ენასა შინა და სხვანი.

სხოლიო. ოდეს განუსაზღვრებელთა ზმნათა შეჰხვდებიან ძიებად პირითნი ნაცუალსახელნი: მე, შენ, იგი, მაშინ ნაცუალსახელნი ესე დაიდებიან მიცემითსა ბრუნვასა შინა, მაგალ., მე ვიწყე ქებად შენდა, ანუ მისდა და სხუანი.

§ 99. ნაცვლად განუსაზღვრებელისა ზმნისა შესაძლო. არს დადებად სახელზმნაი, რომელიცა ნიადაგ ითხოვს ბრუნვასა ნათესაობითსა, მაგალ., ჯერ არს შეყვარებად მოყვასი ანუ შეყვარება მოყვისისა და სხუანი.

შეთხვისათვის მიმღობისა

§ 100. მიმღობანი ესრეთ, ვითარცა ზედშესრულნი სახელნი, თანხმობენ არსებითისა სახელისა თანა ბრუნვითა და რიცხვითა, მაგალ., ყოვლად შემძლებელი ღმერთი, მპყრობელი მამა და სხვანი.

§ 101. მიმღობანი აწმყოსა დროსა შინა ძიებად ნათესავისა მიიღებენ ნათესაობითსა ბრუნვასა, მაგალ., ღმერთი არს შემოქმედი ყოვლისა, სწავლა არს განმანათლებელი საზოგადოობისა და სხუანი.

ხოლო ნამყოსა და მყოობადსა დროთა შინა ითხოვენ ბრუნვათა ანუ დაწყებითსა და ანუ მოქმედებითსა, მაგალ., სოფელი არს შექმნილი ღვთისაგან, ღრამატიკა აღწერადი ანუ აღსაწერი კალმითა ისწავების შენგან და სხუანი.

§ 102. მიმღობანი უმეშვეობითთა ზმნათაგან წარმოებულნი ითხოვენ ძიებასა ბუნებისასა და არა ნათესავისასა, მაშასადამე, მიიღებენ სხვადასხვათა ბრუნვათა ანუ თანდებულთურთ და ანუ თვინიერ მისსა, მაგალ., მიმავალი გზასა ზედა, მტირალი შვილთათვის და სხვანი.

§ 103. მიმღობანი თხზულებათა შინა იპყრობენ ადგილსა ზმნისა და კვლავმოღებითისა ნაცუალსახელისასა, რომელი, მაგალ., მადიდებელი დიდების ნაცვლად, რომელიცა აღიღებს, ეგრეთვე მკითხველი, რომელიცა კითხულობს, ანუ რომელმანცა იკითხა და სხვანი.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

შეთხვისათვის თანდებულისა სახელისა თანა

§ 104. თანდებულნი, რომელნიცა დაიდებიან სახელთა თანა, მოცახოვენ შემდგომთა ბრუნვათა:

1. თანდებულნი ესე: შორის, საშუალ, გარეგან, ამიერ, იმიერ, გარემო, თვინიერ დაიდებიან ანუ წინარე და ანუ შემდგომ სახელთა და მიიღებენ ბრუნვასა ნათესაობითსა, მაგალ., შორის ეკკლესიისა ანუ ეკკლესიისა შორის; გარეგან ტაძრისა, ანუ ტაძრისა გარეგან და სხვანი. აღთქმა თვინიერ აღსრულებისა არს შვენიერი, ხე თვინიერ ნაყოფისა და სხვანი.

2. თანდებულნი გან, თვის, მიერ, მიმართ, გამო, ებრ, ანუ მებრ, ღმი, თანა დაიდებიან უკან სახელისა და ითხოვენ ბრუნვასა ნათე-

საობითსა. მაგალ., მამისაგან გამოვალს სიტყვა, ვიცხოვროთ სჯული-
საებრ, აღვაკლინოთ ლოცვა ღვთისადმი.

3. ზედა, შინა ითხოვენ ბრუნვასა მიცემითსა მღებარენი შემდგომ
სახელთა, მაგალ., მთასა ზედა, ტაძარსა შინა და სხვანი.

4. თანდებული მღე მოეკიდების ნათესაობითსა ბრუნვასა ნაცვ-
ლად ისა, ად, ანუ დ ნიშნითა. მაგალ., კილით კიდედმღე, აღმოსავლე-
თით აღმოსავლეთადმღე და სხვანი.

5. თანდებული თურთ მოეკიდების ბრუნვასა მოქმედებითსა, მაგალ.,
სახლობითურთ, აღზრდითურთ და სხვანი.

სხოლიო. რომელნიმე თანდებულნი იხმარებიან ზმნისზედად. ოდესცა
მოეკიდებიან ზმნისათანა, მაგალ., საშუალ განვლო, მარჯულ წარვიდა
და სხვანი.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

შეთხზვისათვის ზმნისზედისა

§ 105. ზმნისზედანი იხმარებიან სიტყვათა შინა ზმნისა თანა ესრეთ,
ვითარცა ზედშესრულნი არსებითისა სახელისა თანა და აღნიშვნენ
ვითარებასა მოქმედებისა და ვნებისასა. მაგალ., ხმოვანად მეტყველებს
მასწავლებელი ჭეშმარიტებასა სიბრძნისასა; ოდესმე მოეკიდებიან შიშ-
ღობათა, მაგალ., უხშირესად აღმასრულებელი კეთილმოქმედებისა
სათნო ეყოფის ღმერთსა და სხვანი. ოდესმე დაიდებიან სახელზმნისა
თანა, მაგალ., უხვად მიცემა ჯილდოსა ხელმწიფისაგან საქებელ არს
და სხვანი.

§ 106. ზმნისზედანი: მახლობელ, გარეგან, შინაგან, გარემო, გარდა,
უმეტეს, ნაცვლად, უწინარეს, შემდგომად, წინააღმდეგომ, საშუალ,
მსგავსად და სხვანი, მიიღებენ ბრუნვასა ნათესაობითსა, მაგალ., მახ-
ლობელ ქალაქისა; გარეგან სახლისა; უმეტეს ყოველთა მოწაფეთა;
შემდგომ ამისა და სხვანი.

§ 107. კითხვათა ზედა ზმნისზედისათა, ოდესცა აღნიშვნენ დროსა
ანუ ადგილსა; სად! ოდეს! მაშინ სახელნი დაიდებიან მიცემითსა ბრუნ-
ვასა შინა, ანუ თანდებულითა შინა, უკეთუ აღნიშნავს დაბლა; ანუ
ზედა, უკეთუ აღნიშნავს მოძრაობასა მაღლა, ანუ თვინიერ თანდებუ-
ლისა, მაგალ., მივალ ქალაქს ანუ ქალაქსა შინა, მთასა ზედა, წარსრულს
წელს და სხვანი.

თ ა ვ ი მ ე უ ვ ი დ ე

შეთხზვისათვის კავშირთა

§ 108. კავშირნი შემაერთებელნი და განმყოფელნი ითხოვენ, რათა
მათ მიერ გარდაბმულნი სახელნი დაიდებოდნენ ერთსა შინა ბრუნვასა,

ხოლო ზმნანი ერთთა მიძობერათა პირთა და რიცხეთა შინა, მაგალ., ცა და ქვეყანა, ვითარცა ცხადჰყოფენ დიდებასა ღვთისასა, ეგრეთვე ჰქადაგებენ ყოველსა შემძლებლობასაცა მისსა. აღირჩიე ანუ იგი, ანუ სხვა, ანუ სძლიე, გინა მოკვდი და სხვანი.

§ 109. კავშირნი შეთქმითნი დაიდებიან შეერთებისათვის ორთა ანუ უმეტესთა წინადადებათა, რომელნიცა იპყრობენ შეთქმასა ანუ პირობასა, მაგალ., იშრომე ყრმობასა შინა, უკეთუ გსურს განსვენებული მოხუცებულება. უკეთუ აღასრულებ შენ თანამდებობასა შენსა სი-მართლით, მაშინ შრომანი შენნი არა დაშთებიან თვინიერ ჭილღოისა და სხვანი.

§ 110. კავშირნი მიშვებითნი და დამაყენებლობითნი დაიდებიან პირველი თანხმობასა შინა აზრისასა, ხოლო მეორე წინააღმდეგომთქმობასა შინა, მაგალ., თუმცა სწავლა ძნელ არს, გარნა ნაყოფნი მისნი ტკბილ არიან და სხვანი.

§ 111. კავშირნი მიზეზობითნი იხმარებიან თქმულის ჰაზრის მიზეზის ჩვენებისათვის, მაგალ., განშორდით უქმობასა, ვინაითგან იგი არს წყარო ყოველთა ბიწთა.

§ 112. კავშირნი კიდურმდგომობითნი დაიდებიან შეერთებისა და დამტკიცებისათვის აზრისა მის, რომელიცა გამოიყვანების სხვისა მეორისა აზრისაგან, მაგალ., სოფელსა ამას არა ძალუძს თვით თავით თვისით ყოფაი, მაშასადამე, მიუღიეს მას ყოფაი სხვისა არსებისაგან და სხვანი.

§ 113. კავშირნი განმარტებითნი დაიდებიან წინადადების განმარტებისათვის, მაგალ., კეთილმოქმედი კაცი ნაცვალგებული იქმნების, ესე იგი მიიღებს ღვთისაგან საუკუნოსა ნეტარებასა და სხვანი.

§ 114. კავშირნი მეტნობითნი დაესხმიან უკან ნაწილთა სიტყვისათა, რომელთაცა მიეწერებიან იგინი, მაგალ., მწუხარება შეაიწროებს გულსა; შვება უკვე მზიარულ ჰყოფს მას და სხვანი.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ი

შეთხზვისათვის შორისდებულისა

§ 115. შორისდებულნი იხმარებიან გამოთქმისათვის სულიერთა მოძრაობათა და შეითხზვიან რომელნიმე წრფელობითისა და რომელნიმე წოდებითისა ბრუნვისა თანა, მაგალ., აჰა გზა მიმყვანებელ ნეტარებისადმი, ჰოი ღმერთო და სხვანი; ხოლო რომელნიმე მიცემათისა ბრუნვისა თანა, მაგალ., ვაიმე ცოდვილსა, ჰოი მე უნანელსა და სხვანი.

მართლწერისათვის

§ 116. მართლ-წერა (ორთოღრაფია) არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელსა შინაცა იჩვენების კანონიერი ხმარება ასოთა წერასა შინა და სადა ჰხამს დასმად სხვადასხვანი ტრიქონთ შინანი და ტრიქონთ ზენანი ნიშანნი.

თ ა ვ ი კ ი რ ვ ე ლ ი

კანონიერისა ხმარებისათვის ასოთა

ა

დიდროანთა ასოთათვის

§ 117. დიდროანნი ასონი იხმარებიან:

1. დაწყებასა ზედა ყოვლისა სიტყვისა ანუ პერიოდისასა, მაგალ., მოიქეც სხვათა თანა ესრეთ, ვითარცა გწადს შენ, რათამცა მოიქცეოდენ სხვანი შენთანა. ნუ ჰყოფ სხვათადმი მას, რაიცა არა გწადდეს შენ თვით თავისა შენისათვის.

2. დაწყებასა ზედა თვითოეულისა სტიხისასა, მაგალ.,

ძე აღიდებს მამასა,
მზე აბრწყინებს ჰაერსა,
ქმნილთაგან იტრფობის ღმერთი,
მრავალთაგან იქების ერთი.

3. დაწყებასა ზედა ყოველთა საკუთრებითთა სახელთასა, ვითარნიცა არიან: სახელნი კაცთანი და წოდებანი ქვეყანათა ანუ სახელმწიფოთა, ქალაქთა, სოფელთა, მთათა, მდინარეთა, ტბათა, ზღვათა და სხვათანი, მაგალ., პეტრე, როსსია, სპარსეთი, ტფილისი, კავკასია, შტკვარი და სხვანი. ამასვე ეკუთვნიან სახელნიცა ზედშესრულნი, რომელნიცა შეერთებულნი არსებითისა სახელისა თანა შეადრგენენ ვითარსამე საკუთარსა წოდებასა და ამის გამო აქვსთ ძალი, საკუთრებითთავე სახელთა, მაგალ., შავი ზღვა და სხვანი.

4. დაწყებასა ზედა ყოველთა სახელგებთასა, ვითარნიცა ეშვესაბამიან ღმერთსა, მაგალ., ღმერთი უფალი, შემოქმედი, მაცხოვარი, ქრისტე...და სხვანი.

5. წოდებასა შინა მალალთა გვამთა და მათთა ღირსებათასა, ეგრეთვე ხარისხთა, განსხვავებულთა თანამდებობათა და ტიტულთა შინა. მაგალ., იმპერატორი, მეფე, ხელმწიფე, თავადი, ეფისკოპოსი, ღენერალი, ლუბერნატორი, ღირეკტორი, აზნაური* და სხვანი.

6. დაწყებასა შინა სახელთა მმართველობათა ანუ სამსაჯულოთა ადგილთასა და განსხვავებულთა შეკრებულებათასა, მაგალ., სენატი, კოლლეღია, ექსპედიცია, უნივერსიტეტი, აკადემია, დეკასტერია და სხვანი.

7. დაწყებასა შინა სახელთა ჰსწავლათა და ხელოვნებათასა, ოდეს შეადრგენენ იგინი უმთავრესსა საგანსა სიტყვისასა, მაგალ., ფიზიკა, ფილოსოფია, ლეომეტრია, ხიმია და სხვანი.

ბ

ხ მ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ხ მ ო ვ ა ნ თ ა და ო რ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ა ს ო თ ა ს ა

§ 118. ხმოვანი ასონი ა, ე, ი და ო იხმარებიან განსაკუთრებულსა ადგილსა შინა თვისსა და არა სადა დაიდებიან ნაცვლად ურთიერთისა არცა წერასა და არცა უბნობასა შინა, გარნა ასო ესე უ დაიწერებას ოდესმე ნაცვლად ვ და გამოითქმის ბრჯგუდ, მაგალ., სიტყუა, ტყუე, სიკუდილი და სხვანი. ესე ვითარსა შინა შემთხვევასა, სათანადო არს დასმად ზემორე უ ნიშანი ესე (A) ბრჯგუ და გამოთქმად უ, უბნობასა შინა საშუალ უ, და ვ.

§ 119. ასო ესე მ, დაიწერების ნიადაგ შემდგომად გაბრჯგუებულისა უ ნაცვლად ე და უბნობასა შინა გამოითქმის უმოკლეს მისსა, მაგალ., ტყუმ, მხილუმლი, მსლუმლი და სხვანი, გარნა შემდგომად უ დაიწერების კვალად მ ზმნისზედათა და შორისდებულთა შინა, მაგალ., მემე და არა არა, მ მ და გარდა ამათსა არა სადა.

§ 120. სახელნი დაბოლოებულნი გაბრჯგუებულსა უა და ეგრეთვე უმ ზედა ნათესაობითსა, დაწყებითსა და მოქმედებითსა ბრუნვათა შინა მხოლოობითისა რიცხვისათა, შექსცვლიან ასოთა ამათ უ და უმ ვ-სა ზედა, მაგალ., სიტყუა, სიტყუსა, სიტყუსაგან, სიტყვთა ანუ სიტყ-

* ტიტული მალალთა გვამთა, უკეთუ ითქმის მეორისა პირისადმი, მაშინ დაიწერების შეერთებულად დიდროანთა ასოთა მიერ, მაგალ., თქვენი ბრწყინვალეა, თქვენი აღმატებულება; გარნა ოდეს ითქმის მესამისა პირისათვის, მაშინ მხოლოდ ოდენ დაწყებასა შინა დაიდების დიდი ასო, მაგალ., მისი ბრწყინვალეა, მისი აღმატებულება და სხვანი, გარდა იმპერატორის ტიტულისა, რომელიცა ყოველსა შინა შემთხვევასა დაიწერების დიდროანთა ასოთა მიერ.

სა მიერ, ეგრეთვე ტყუპი, ტყვსა, ტყვსაგან, ტყვთა ანუ ტყვსა მიერ და სხვანი.

§ 121. ასო ესე ა არა სადამე დაიდების თავად ლექსისა და იშვიათ იხმარების საშუალცა მისსა, გარნა იპყრობს ადგილსა ნათესაობითსა, დაწყებითსა და მოქმედებითსა ბრუნვათა შინა საზოგადოთა სახელთათა, ო და უ ზედა დაბოლოებულთა მხოლოობითსა შინა რიცხვსა, მაგალ., ოქრომსა, დრკუმსა, ოქრომსაგან, დრკუმსაგან, ოქრომთა, დრკუმთა და სხვანი. ეგრეთვე შემასმენლობითსა ბრუნვასა შინა ყოველთა ხმოვანთა ასოთა ზედა დაბოლოებულთა სახელთასა, გარდა ი და კ მხოლოობითსავე შინა რიცხვსა, მაგალ., არსებამ, მზემ, ოქრომ, ცრუმ და სხვანი.

§ 122. ასოსა ამას ვ ვითარცა ადგილსა შინა აქვს ხმარებაი ბრუნვათა შინა, მისთვის უკვე ითქვა § 42, გარნა სათანადო არს ცნობად, რომელ სახელნი დაბოლოებულნი ვ ზედა, ვითარცა მიცეპითსა, მოთხრობითსა და წოდებითსა ბრუნვათა შინა მხოლოობითისა რიცხვისათა, ეგრეთვე საზოგადოდ ყოველთადაცა ბრუნვათა შინა მრავლობითისა რიცხვისათა შექსცელიან ვ უ ზედა, ვითარცა ჩვენებულ არს ბრუნვასა შინა მეორისა კანკლედობისასა.

§ 123. ასო ესე ჰ ლექსთწარმოებასა შინა, გარდა სხვათა ადგილთა, დაიწერების ზმნათა შინა, პირველისა უღლვილებისათა სამთავე პირთა შინა, ოდესცა შემდგომად პირველისა პირისა მაპიროვნებელი-სა ასოისა ვ არა შეუდგების რომელიმე ხმოვანი ასო, არამედ უხმო ასო რომელიმე, მაგალ., ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს, ვჰსჯი, ჰსჯი, ჰსჯის და სხვანი; ხოლო მეორესა უღლვილებასა შინა დაიწერების მხოლოდ მესამესა პირსა შინა რომელთამე ზმნათა შორის, მაგალ., ჰრწამს და სხვანი, და იქნებისცა მაპიროვნებელად ზმნათა, ვითარცა ჩვენებულ არს §*.

§ 124. ასო ესე ზ დაიწერების შორისდებულად და უბნობასა შინა გამოითქმის ი-თურთ, თუმცალა არა იწერების მის თანა ი, მაგალ., ზღმერთო, ზ მე ცოდვილსა და სხვანი.

ბ

ხ მ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს უ ხ მ ო თ ა ა ს ო თ ა ს ა

§ 125. უხმონი ასონი დაიწერებიან თვის თვისსა ადგილსა და არა იხმარებიან ნაცვლად ურთიერთისა არცა წერასა და არცა უბნობასა შინა. ასოთა ამთ ხ და ჯ აქვსთ განყოფაი ურთიერთისაგან, ვინაით-

* პირველნაბეჭდში პარაგრაფის მითითება გამორჩენილია. რედ

ჯან ხ გამოითქმის ხმარებითა ენის მწვერვალესითა და კ შინაგანთა ხორხთა მიერ, გარნა მრავალნი ჰსწერენ მათ განურჩევლად, თუშცა- და ჯერ არს შეჩვევად, რათამცა იხმარებოდეს თვითოეული საკუთარ-სა შინა ადგილსა თვისსა, ვინაითგან ოდესმე განასხვავებენცა მნიშვნელობასა ლექსისასა, მაგალ., ო დ ე ს დაიწერების ხ, მაშინ ხელი ჰნიშნავს გიჟსა ანუ გონებანაკლულევანსა, ხოლო ოდეს დაიწერების კ, მაშინ ჰნიშნავს ორღანოსა ასოსა კაცის სხეულისასა ჯელსა, გარხა ვერ შესაძლო არს დასხმად კანონნი წერისათვის მათისა, არამედ სა-თანადო არს შეჩვევად.

§ 126. ასო ესე ჭ არს ბერძნული, დაიწერების ნაცვლად ჭ შაშინ, ოდესცა ლექსი უცხოთა ენათა ჰმდებარებს ქართულსა წერილსა შინა და გამოითქმის ულბილეს მისსა.

თ ა ვ ი მ ი ო რ ა მ

ხმარებისათვის ტრიჰომთა შინათა ნიშანთა საწერელთა შინა

§ 127. ტრიჰომთ შინანი ნიშანნი არიან: 1. მძიმე (,) 2. წერტილი და მძიმე (;), 3. ორნი წერტილნი (:), 4. წერტილი (.), 5. კითხვითი ნიშანი (?), 6. განსაკვირვებელი ნიშანი (!), 7. შემპყრობი ანუ ბრჩხილი (), 8. გარდასატანი (-), 9. შემაერთებელი ანუ შემკვრელი (⌋), 10. აღსანიშნელი ნიშანი (*). 11. სამოწმებელი ნიშანი (") და იხმარებიან იგინი წერილთა შინა უცხადესისა აღნიშვნისათვის ჰაზრთა და ნაწილთა სიტყვისათა და რომელთამე განწყვედათათვის გამოთქ-მათა შინა.

§ 128. მძიმე დაიდების (,): 1. ოდეს ვითარსამე წინადადებასა ანუ პერიოდსა შინა შეხვდებიან მრავალნი ქვემდებარენი ანუ შესმენილნი, მდებარენი თვინიერ კავშირისა ანუ შეერთებულნი მრავალთა კავშირთა მიერ, მაგალ., კადნიერი და მოქადული პირი, შექმუხვნილი შუბლი, სასტიკი შეხედვა, მწრაფლი სლვა, ხშირი და კვეთებითი სულთქმა აჩვენებენ მდგომარეობასა განძინებულისა კაცისასა, ანუ მრავალთა კავშირთა თანა, მაგალ., უქმობა და საქმენი და მწუხარება და სიხარული და სიღარიბე და სიმდიდრე, ყოველნი ესე განჰლევენ ძალთა კაცისათა.

2. შორის მრთელთა წარმოთქმათა, გარნა ოდენ ესრეთთა, რომელნიცა შეადგენენ პერიოდთა შინა მოკლეთა და მარტივთა წინადა-დებათა, გარდაბმულთა შესაფერთა კავშირთა მიერ, ანუ მდებარეთა უკავშიროდ, მაგალ., არა რაიმე ესრეთ მოაუძღურებს ძალსა, რაოდენ განცხრომა. ესე მსუბუქ არს თქმად და ძნელად ქმნად, ანუ უკავ-

შიროდ. კეთილ საამური მყუდროება დასცხრების, მზე დაბნელდების, ძლიერი ქარი იწყებს ბერვად, ხომალდნი მიმოიზიდვიან და სხვანი.

3. წინარე ვარემოებით ხმარებულთა ლექსთა, მაგალ., აღიპყართ, აღიპყართ გონებითნი თვალნი თქვენნი და სხვანი.

4. წინარე ნაცვალსახელთა: ვინ, რომელი და ზედმესრულთა სახელთა: ესრეთი, ესე ვითარი, ვითარი, ეგოდენი, რაოდენი, ოდეს იქმნებინან ივინი საშუალ წინადადებათა, მაგალ., ბედნიერ არს იგი, ვინცა ანუ რომელიცა უყვარსთ ყოველთა კაცთა, ძველთაგან ფილოსოფოსთა, ვითართაცა მიერ იდიდების საბერძნეთი, ვინცა რიცხვსა შორის შვიდთა ბრძენთასა აღირიცხვის და სხვანი.

5. წინარე კავშირთა: რომელ, ვითარმედ, რათაჲცა, ვიდრელა, მაგალ., იტყვიან, რომელ იგი უმჯობეს ჰრაცხს სიკვდილსა, ვიდრელა თავსილევას ესე და სხვანი.

6. წინარე თანდებულთა: გარდა, თვინიერ და შემდგომადცა მათ მიერ მიღებულთა ლექსთა, მაგალითებრ: განცხრომისაგან, გარდა ვნებისა, არა რაიმე შესაძლო არს მოლოდებად და სხვანი.

7. წინარე და უკან წოდებითისა ბრუნვისა, მაგალ., განსვენებად ღიხარულსა შინა, საყვარელო მამულო, და უშფოთველითა საუკუნოობითა დასტკებოდე და სხვანი.

8. წინარე და უკან მიმღობათა მათ ზედა მოკიდებულთა ლექსთა თანა, მაგალ., კაცი, განმატარებელი ცხოვრებისა თვისისა უქმობასა შინა, მარადის მოწყენილ იქმნების. იესო ქრისტემან, გახრთხმულმან ჯვარსა ზედან, შეჰსწირა თავი თვისი მსხვერპლად შაჰსა თვისსა ცოდვათათვის სოფლისათა და სხვანი.

9. მძიმეთა შორის დაიდებიან შემდგომნიცა ლექსნი: ჰსჩახს, საგონებელ არს, შესაძლო-არს ყოფად, ესრეთ ვგონებ და მსგავსნი ამათნი, ოდესცა იქმნებიან საშუალ წინადადებისა, მაგალ., არა არს, ვგონებ, კაცი, რომელი კმა იყოსმცა ზვედრითა თვისით და სხვანი.

10. მძიმეთა მიერ განიყოფებიან ყოველნი შემოსმულნი ანუ შემოტანილნი და მოკლენი წინადადებანი, აღრეულნი ვითარსამე პერიოდსა შინა, მაგალ., ყოველსა კაცსა, ვითარ უკვე იყოსმცა გახფრთხილებულ, არა ძალუძს უცოდველ ყოფად და სხვანი.

§ 129. წერტილი და მძიმე (;) ჰმსახურებს განყოფისადმი სხვადასხვათა წევრთასა პრთულთა პერიოდთა შინა და იხმარების: 1. ორწევროანთა პერიოდთა შინა მის წინა მავალისა და შემდგომისა წინადადებისა, მაგალ., უკეთუ მეთადინეობით წარმართავ შენ თახამდებობასა შენზედა დადებულსა და აჩვენებ განსხვავებულთა წარმატე-

ბათა, მაშინ ჰრწმუნებულ იყავ, რომელ შრომანი შენნი არა დაჰმთე-
ბიან თვინიერ ჯილდოსა და სხვანი.

2. მრავალწევროვანთა პერიოდთა შინა ყოველთა წევრთა შორის, ოდესცა ერთი, რომელიმე ნახევარი იპყრობს რაოდენთამე მათგანთა, მაგალ., ოდეს განვჰსჯით ჩვენ ნივთთათვის, რომელთაცა ნაწილნი ესრეთ განკარგულ არიან, რომელ ერთი მეორისათვის მიუცა-
ლებლად საჭირო და სარგებელ არს, და ოდეს შეერთებულება მათი ცხად აჩვენებს, რომელ ერთსა ყოფაი თვისი ნამდვილ აქვს მეორისა-
თვის, მაშინ დამტყვებელნი ყოვლისა იტყვენულებსანი, ვაკიდურვმ-
დგომებთ ამისგან, რომელ ნივთი იგი გამოცდილებითა რომლისაძე-
გულისხმიერისა არსებისათა დამყარებულ არს და სხვანი.

3. ოდეს აღირიცხვიან ვითართამე გარემოებათათურთ სახენი ანუ ნაწილნი ყოვლადისანი, ანუ დაიდებიან სხვადასხვანი განყოფილხი გამოთქმანი, განკუთვნილნი ერთისა საგნისადმი, მაშინ პერიოდი არ-
ლარა განიყოფების ორთა ნახევართა ზედა, არამედ დაისხმიან მხო-
ლოდ წერტილი და მძიმე, მაგალ., მუნ დიდთა მდინარეთა შესართავ-
ნი და ახალნი ნავთსაყუდელნი ძვირ დაიტყვენ სიმრავლესა ნივთისა-
სა; სხვაგან ოხვრენ ზვირთნი ქვეშე სიმძიმისა როსიულისა ქლოტისა,
ანუ დრო ძვირფას არს; არა რასამე ზედა შესაძლო არს განცვლა მისი;
იგი განჰვლის მსწრაფლ; უკმოქცევა ანუ დაყენება მდინარეობისა
მისისა არა არს ძალთა შინა ჩვენთა.

§ 130. ორნი წერტილნი (:) იხმარებიან: 1. უმეტესისა ნაწილისა-
მებრ გრძელთა და მრავალწევროვანთა პერიოდთა შორის პირველისა
და უკანასკნელის პერიოდის ნახევრისა, მაგალ., ოდეს ძლიერი ქარი
აღამღვრევს ყოველთა სტიხიონთა; ოდეს ზრქელთა ღრუბელთა ძიერ
დაიფარვის* ცა, დამძლავრებითა ქართა და წვიმათათა მოიყვანებიან
ყოველნივე აღრულებასა შინა, მაშინცა უკვე მამაკაცი, განსვენებუ-
ლი წიალთა შინა სათნოებისათა, იქმნების კეთილ სულოვან და სხვახი.

2. შორის წინადადებისა და მას ზედა მოღებულისა მიზეზისა,
მაგალ., აღზრდისათვის ყრმათასა შესაბამ არს დადებად საკუთარი
მეცადინეობაი, ვინაიდგან იგი მსახურებს მტკიცედ საფუძველად ყო-
ფადსა კეთილშემთხვევასა მათსა და სხვანი.

3. წინარე სიტყვათა შემოღებულთა ანუ გარეგანით მოღებულთა,
მაგალით., ოდეს ჰრქევს ანაყრალოს, რომელ ძე მისი მოკვდა, მაშინ
ესრეთ პასუხ-უგო: მე ვუწყოდი, ვითარმედ იგი იშვა მოკვდავად და
სხვანი.

სხოლიო. ოდეს წინარე შემოხმულთა სიტყვათა იხმარებიან კავ-
შირნი, რომელ ანუ ვითარმედ, მაშინ დაიდების მძიმე და არა ორი

* პირელნაბეკლში: დაიფარავს.

წერტილი, მაგალ., ესრეთ პასუხ-უგო, რომელ მე ვუწყობდი და სხვანი.

4. ორნი წერტილნი დაესხმიან, ოდესცა აღირიცხვის რაიმე, მაგალ., პატივის მოყვარე ვერა რაითამე დასტკებების: ვერცა ღიღებითა თვისითა, ვერცა მიცემულითა მისდამი პატივისცემითა და ვერცაღა კეთილმდრეკილებით მისდამი მაღალთა გვამთათა და სხვანი.

§ 131. წერტილი (.) დაიდების დასასრულსა ზედა მრთელისა პერიოდისა ანუ წინადადებისა სრულისა ჰაზრისა მპყრობელისასა, მაგალ., კეთილნი საქმენი არა დაშთებიან თვინიერ ჯილდოსა. ცნობათაჲთა თვისისა არს საიმედო მკურნალობა ამპარტავანებისაგან და სხვანი.

§ 132. კითხვითი ნიშანი (?) დაიდების შემდგომად ლექსთა ანუ მრთელთა წინადადებათა, მპყრობელთა თვის შორის კითხვისათა, მაგალ., რაი არს კაცისათვის უძვირეს ცხოვრებისა და უსაყვარელეს სიმრთელისა? და სხვანი.

§ 133. განსაკვირველი ნიშანი (!) დაისმის შემდგომად მოწოდებათა, ღალადებათა და საზოგადოდ, შემდგომად ყოვლისა ესრეთისა სიტყვისა ანუ ლექსისა, რომელიცა აღნიშნავს განკვირვებასა, მაგალ., ისმინე ჩვენი, ღმერთო! საყვარელნო ჰაბუქნო! შეიცევდეთ თავთა თქვენთა ჰსწავლათა მიერ! ნეტარ არს ერი, ბრძნისა შეფისა შიერ წარმართული! და სხვანი.

§ 134. შემპყრობი ანუ ბრჩხილი () იხმარების მაშინ, ოდესცა საშუალ სიტყვისა შემოიხშიან ესრეთნი ლექსნი, რომელნიცა არცა წინამავლისა და არცა შემდგომისადმი არა იქმნებიან გარდაბმულ კავშირითა, არამედ დაიდებიან ანუ გამოცხადებისათვის და ანუ სხვისა ვითარისამე გარემოებისათვის, მაგალ., წრფელთა კაცთა საზოგადოდ აქვსთ თვისთაანა შედგომილად უძლურებაი ესე (უკეთუ შესაძლო არს წოდება მისი უძლურებად), რომელ ყოველთა სხვათა კაცთათვის განჰსჯიან თვით თავისამებრ თვისისა.

§ 135. გარდასატანი (-) ჰმსახურებს ნიშნად შეერთებისა გარდატანილთა მარცვალთასა ტრიქონიდგან მეორესა ტრიქონსა შინა, მაგალ., და-უ-ცხრო-მე-ლი და სხვანი.

§ 136. შემაერთებელი ანუ შემკვრელი (⊂) იხმარების ჰრთულთა ლექსთა შესაერთებელად, ოდესცა აღიწერებიან იგინი ცალკეცალკე, მაგალ., ღვთისაღმშობელი, წინასწარამეტყველი, მღვდელღმთავარი და სხვანი.

§ 137. აღმნიშვნელი ნიშანი (*) აჩვენებს განცხადებასა საქმისასა აღნიშვნათა შინა და დაიდების ორგზის, ტრიქონთა შინა და ქვემოტრიქონთა.

§ 138. სამოწმებელი ნიშანი („) განარჩევს სხვის მიერ თქმულთა სიტყვათა, წერილსა შინა შემოხმულთა და დაესხმის დასაბამსა ზედა ტრიქონთასა, მაგალ., სოკრატ ათინელმან ბრძენმან ჰრქვა მეგობართა თვისთა, მტირალთა უბედურობისათვის მისისა, „ნუ ჰსტვიგენულებთ ჩემთვის, მეგობარო ჩემო! ვინაითგან თვით იგინიცა, რომელთაცა განაჩინეს მიცემა ჩემი სიკვდილისადმი, არა დაშთებთან უკვდავად“.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ხმარებისთვის ტრიქონთ ზენათა ნიშანთასა

§ 139. ტრიქონთ ზენანი ნიშანნი არიან: 1. ბრჯგუ, 2. მახვილი (‘), 3. კლებული (O), 4. ქარაგმანი განყოფილნი სამგვარად: საუფლო (—) საასომთავრულო (—) და საზოგადო (—), რომელნიცა აღნიშვნენ წერილთა შინა ანუ შეცვალებასა ხმისასა და ანუ შემეცნებასა ასოთა და მარცვლისასა.

§ 140. ხმარებისათვის ბრჯგუისა (A) ითქვა § 118.

მახვილი (‘) დაისმის: 1. შემასმენელობითსა ბრუნვასა ზედა, ოდესცა ემსგავსების იგი წრფელობითსა, მაგალ., ღმერთმან შეჰქმნა კაცი და სხვანი.

2. ზმნათა ზედა ბრძანებითისა სქესისათა ანუ მათდამი მოკიდებულთა უკუთქმითთა ზმნისზედათა, ოდესცა არა აღნიშვნენ იგინი ვედრებასა, მაგალ., განაძე მხევალი’ ეგე’ და ძეი მაგისი, ნუ ჰყოფ ბოროტსა და სხვანი.

§ 141. კლებული (O) დაიდების მოთხრობითსა ბრუნვასა ზედა, ოდესცა არს იგი მხოლოდობითსა შინა მსგავსი წრფელობითისა, ხოლო მრავლობითსა შინა ნათესაობითისა ბრუნვისა, მაგალ., ჰრქვა იესო^o მოწაფეთა თვისთა, თქვენ ქართველთა^o და სხვანი.

§ 142. ქარაგმანი ჰმსახურებენ შემეცნებასა ლექსთა შინა დაკლებულთა მარცვალთასა და იხმარებიან შემდგომითა ხატითა:

1. საუფლო ქარაგმა (—) დაესმის სამზოთთა ანუ ეკლესიურთა ნივეთადმი შესახებელთა, მაგალ., ღთო, ქტე, ჯუარი და სხვანი.

2. საასომთავრულო (—) დაიდების მამინ, ოდესცა მარცვალდაკლებულნი ლექსნი აღიწერებიან ასომთავრულთა საეკლესიოთა ასოთა მიერ, მაგალ., ყლი, ვა, ად და სხვანი.

სხოლოო. ქარაგმით დაწერასა შინა ლექსთასა სათანადო არს გულსმოდგინედ განმკაცებად, რათამცა ლექსნი, უჩვეელნი არა

ლაიწერებოდენ ქარავმით, ვინაითვან დიდსა შინა შეცთომასა ჰშთა-
სცვივიან მოქმედნი ამისნი და შემოიღებენ წერილთა შინა ჰრუენი-
ლებასა.

საზოგადოთა კანონთათვის

სიტყვისათა ანუ უმღრავნისათვის წინადადებათა და პერიოდთა

§ 143. ყოველი გასაგონი სიტყვა, მდგომარე რაოდენთაგანმე
ლექსთა, იპყრობს თვის შორის ვითარსამე სჯასა გონებისა ჩვენისასა,
მაგალ., ღმერთი არს ყოვლად შემძლებელი, რომი იყო დიდებული,
ოქრო არა არს მსუბუქი და სხვა. ლექსთა ამათ მიერ ჰსჩანს, რომელ
ჩვენ ვსჯით საგანთათვის ღმერთი, რომი, ოქრო, ესე იგი ძივუწერთ
მათ გონებასა შინა ჩვენსა ანუ მოვაკლებთ ვითარსამე თვისებასა
(ყოვლად შემძლებელი, დიდებული, მსუბუქი).

§ 144. საჯა, ლექსთა მიერ გამოთქმული, იწოდების წინადადებად.

§ 145. წინადადება მდგომარებს სამთა ნაწილთაგან: ქვემდებარისა,
შესმენილისა და კავშირისაგან.

1. ქვემდებარე არს საგანი, რომლისათვისცა მოითხრობის წინა-
დადებასა შინა: ღმერთი, რომი, ოქრო.

2. შესმენილი არს თვისება, რომელიცა მიეწერების ქვემდებარესა
ანუ მოაკლდების მას: ყოვლად-შემძლებელი, დიდებული, მსუ-
ბუქი.

3. კავშირი* არს ლექსი, რომელიცა შეაერთებს ქვემდებარესა და
შესმენილსა, მაგალ., არს, იყო, არა არს.

სხოლიო. ოდესმე წინადადებათა შინა არა დაიდების ლექსი არს, არამედ სხვა
რომელიმე ზმნა, რომელსაცა შინა შეიპყრობის შესმენილი და კავშირი, მაგალ.,
ნაცვლად: კაცი არს მცხოვრები, უბნობენ: კაცი მსცხოვრებს.

§ 146. წინადადება განსჯისაებრ ქვემდებარისა და შესმენილისა
განიყოფების მარტივად და რთულად.

1. მარტივი წინადადება არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ერ-
თისა ქვემდებარისა და ერთისა შესმენილისაგან, მაგალ., სიბრძნე არს
მაღალი ნიჭი კაცისა.

2. რთული წინადადება არს იგი, რომელიცა მდგომარეობს ჰრა-
ვალთა ქვემდებარეთა და შესმენილთაგან, მაგალ., სათნოება, სიბრძნე
და სიმართლე არიან საჭირონი ბედნიერებისათვის ამის ცხოვრებისა.

§ 147. მარტივნი წინადადებანი, რომელნიცა შევლენ შედრჯეხასა

* პირველნაბეჭდში: კ ი კ შ ი.

შინა რთულთასა, იქმნებიან მრავალნი, გარნა ერთი მათგანი არს უმთავრესი და მეორე ზედღართვითი ანუ დამეტებული.

1. უმთავრესი წინადადება არს იგი, რომელიცა არა მოაკლდების სხვასა, მაგალ., იოანემან მიილო ცნობა.

2. ზედღართვითი წინადადება არს იგი, რომელიცა გახაცხადებს და განამრავლებს უმთავრესსა წინადადებასა, მაგალ., რომელიცა მოვიდა გუშინ ქალაქით, მიილო ცნობა, რომელ სოფელი მისი დამწვარა.

უმთავრესი წინადადება იწოდების დამდაბლებად, ხოლო ზედღართვითი ამაღლებად.

§ 148. საგანსა სიტყვისა ჩვენისასა და თვისებასა მისსა აქვსთ სხვადასხვანი თვისებანი, ხარისხნი და გარემოებანი: გარემონი ესე თვისებანი იწოდებიან განსაზღვრებად ანუ განმსაზღვრებელად.

§ 149. ოდესცა განვრცელების წინადადება გარემოებათა მიერ, ანუ შესაბამთა ლექსთა მიერ, მაშინ წინადადება იგი იწოდების პერიოდად. განვრცელება წინადადებისა იწარმოების მომატებითა ქვემდებარისა და შესემენილისათანა.

1. თანამსგავს მნიშვნელთა ლექსთასა, არსებითისა ამის სახელისათანა, 2. ზედშესრულისა, ზმნისათანა, 3. ზმნისზედისა და 4. მომატებითა წინააღმდგომთა თქმაობათათა, მაგალ., სწავლანი განანათლებენ გულისხმისყოფასა, განვრცელება: აღმოვიღინი სწავლანი და მათ მიერ მოპოებულნი ცნობანი არა დააბნელებენ გულისხმისყოფასა, არამედ უგრძნობელად განანათლებენ მას.

§ 150. პერიოდი არს უმთავრესი წინადადება, განვრცელებული მომატებულთა წინადადებათა მიერ, ანუ შეერთება რაოდენხაძე წინადადებათა. პერიოდი, რომელიცა იპყრობს თვის შორის ერთსა უმთავრესსა წინადადებასა, იწოდების მარტივად, ხოლო მდგომარე ორთა ანუ უმეტესთა უმთავრესთა წინადადებათაგან, იწოდების რთულად. რთული პერიოდი რიცხვისაებრ წინადადებისა იქმნების ორწევროვანნი. სამწევროვანნი, ოთხწევროვანნი და სხვანი.

§ 151. წევრნი რთულთა პერიოდთანი შეერთდებიან ურთიერთაშორის საშუალოითა შესათხზველთა კავშირთა და მნიშვნელობისამებრ მათისა პერიოდნი იქმნებიან:

1. მიზეზობითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედღართული წინადადება იპყრობს თვის შორის მიზეზსა დამამტკიცებელსა უმთავრესისა წინადადებისასა და შეერთდების მის თანა კავშირთა მიერ: ვინაითგან, რათგან, ამისთვის, რომელ, მაშასადამე, მაგალ., კრეზსა, მეფესა ღილდიისასა, მფლობელსა უთვალავისა საუხუჩისასა არა ძალედვა ბედნიერად წოდება, ვინაითგან კაცობრივი ბედნიერება არა მდგომარეობს კეთილთა შინა დროებითთა და განხრწნადთა.

2. შეთანასწორებითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედდართვითი წინადადება მიიღებს შემსგავსებასა ანუ შეთანასწორებასა და შეერთების უმთავრესისათანა კავშირთა ამათ მიერ: ვითარ, ეგრეთ, ვითარითა ხატითა, ეგრეთითა ხატითა, რაოდენ, ესოდენ. მაგალ., ვითარცა მზე გაზაფხულს განაცხოველებს ქვეყანასა, მიანიჭებს სითბოსა და ნაყოფიერებასა, ეგრეთვე ბრძენი მოძღვარი განახალლებს გონებასა და განავითარებს გულსა თვისთა აღსაზრდელთასა.

3. წინააღმდეგობითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა მოძატებული წინადადება იპყრობს თვის შორის წინააღმდეგობსა ჰაზრსა ჰაზრისათანა უმთავრესისა წინადადებისა. კავშირნი პერიოდსა აძას შინა იხმარებიან: ხოლო, გარნა, წინააღმდეგობ მისსა, მაგალ., გულსმოდგინე მარად დღე მოიპოებს ახალთა ცნობათა, ხოლო მცონარი ადვილად წარწყმედს მოპოებულთა ცნობათაცა.

4. ნებართვითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედდართვითი წინადადება იპყრობს თვის შორის ვითარსამე წინააღმდეგობსა ანუ ნებართვასა ჰაზრისათანა, რომელიცა იმყოფების უმთავრესსა წინადადებასა შინა. კავშირნი, შემკვრელნი ამის პერიოდის ნაწილისან არიან: თუმცა, დაღაცათუ, მართლად, გარნა, არამედ. მაგალ., თუმცა დასაბამი ჰსწავლისა შეერთებულ არს შრომისათანა და მოწყინებისა, გარნა, დასასრული მისი მიიღებს თვისთანა სიამოვნესა და კმაყოფილებასა.

5. პირობითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედდართვითი წინადადება შეიცავს თვის შორის პირობასა მისსა, რაიცა ითქმის უმთავრესსა წინადადებასა შინა. კავშირნი, რომელნიცა გაძოხატვენ ფორმასა ამის პერიოდისასა, არიან: უკეთუ, მაშინ, თუსადამე, ოდესცა. მაგალ., უკეთუ ჩვენ არ მოვემზადებით ჰბატუკობასა შინა ცნობითა, ხოლო ასაკობასა შინა მამაცობისასა ღვაწლთა სიმართლისა და კეთილობისათა, მაშინ მოხუცებულება ჩვენი იქმნების გლახაკი და უნუგეშო.

6. ალყვანებითი პერიოდი იწოდების იგი, რომელსაცა შინა უმთავრესი და თანდართვითი წინადადებანი იმყოფებიან ურთიერთა შორის რაისამიმართობასა შინა მოკიდებისასა, ესრეთ რომელ ერთსა თვინიერ მეორისა არა ძალუძს წარმოდგენა სრულისა ჰაზრისა და შეერთებიან ნაწილთა მიერ: ვინცა, იგი, რაზომცა, უმეტეს, რაოდენ, ეგოდენ. მაგალ., ვინცა დაიცვამს კრძალულებასა, იგი საშვალობითა მისითა დაითარავს თვისსა სიმართლესა.

7. შეერთებითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა უმთავრესისა წინადადებისათანა შეერთების ზედდართვითი, მპყრობელი მისვე ჰაზრისა. კავშირნი შემაერთებელნი ამის პერიოდისანი არიან: არათუოდენ, არამედცა, ესე ვითარსა შემთხვევასა შინა. მაგალ., ფრთხილი

და კეთილ გულისხმიერი ქცეულება არათუოდენ გამოაჩინებს საიმედოსა გზასა საიმედოსათვის ბედნიერებისა, არამედ განამტკიცებს შინაგანსა კეთილმდგომარეობასაცა ჩვენსა.

8. განმარტებითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა წინადადება მომატებული იპყრობს თვის შორის განმარტებასა და შეერთების უმთავრესისათანა კავშირთა მიერ: ესრეთ, რომელ, ესოდენ, მაგალ., მცონარება და უქმობა ესრეთ მოაუძღურებენ სულიერთა და სხეულევანთა ძალთა კაცისათა, რომელ იგი იქმნების არა შეძლებელ წარმოებად თვით მცირეთა საქმეთაცა.

9. განყოფითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედ დართვითი წინადადება იპყრობს უთანხმოებასა ანუ წინააღმდეგმ თქმობასა უმთავრესისა საგნისასა და შეერთებიან კავშირთა მიერ: ანუ, გინა, მაგალ., ჭერ არს ანუ შრომად სიჭაბუქესა შინა, რათა გვაქნდეს განსვენებული მოხუცებულეზი, ანუ არა აღთქმად თვისადმი ტკბილისა განსვენებისა მოხუცებულეზასა შინა, რაჟამს სიჭაბუქესა შინა თვისება შრომისა არა გვენებავს.

10. შედგმობითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა ზედ დართვითი წინადადება იპყრობს წინამავალსა გარემოებასა და შეერთების უმთავრესისათანა ნაწილთა მიერ: რაჟამს, მაშინ, ვითარცა, ოდენ, მაგალ., რაჟამს კაცი იოცნებს ნამეტნავსა სრულებისათვის თვისისა გულისხმის ყოფისა, მაშინ უმეტეს განაშიშვლებს ხაკლულევანებათა შეერთებულთა კაცობრივსა ბუნებისათანა.

11. ხარისხობითი პერიოდი არის იგი, ოდესცა უმთავრესსა წინადადებასა შინა იმყოფებიან რაოდენნიმე ზედდართვითნი წინადადებანი, მაჩვენებლნი გარემოებისა ერთი შემდგომ მეორისა და განიკარგვიან ნაწილთა მიერ: პირველად, შემდგომად, დასასრულ. მაგალ., ბოროტნი ჩვეულებანი მსგავსად რომლისამე ტკბილისა გესლისა, პირველად აწარმოებენ გულსა შინა სიამოვნესა, შემდგომად მცირე სნეულ ჰყოფენ, ხოლო დასასრულ გამოაჩინებენ ამას ზედა სრულიადსა სიფიცხლესა თვისისა მოქმედებისასა.

სხოლიო. საქმე ღრამატიკისა შესრულდების შედრგენითა პერიოდისა: სხვანი საშუალებანი და კანონნი განკარგულებისანი და აღრჩევანი ლექსთანი, გამოღებისათვის აზრთა ჩვენთასა ეკუთვნიან რიტორიკასა, ამის მიზეზისაგამო არა შევალთ წვლილიადსა გამოძიებასა შინა ყოველთა პერიოდის თვისებათასა. რომელ წიგნი ესე შეადრგენს მოკლესა ხელთმძღვანელობასა სწავლისათვის ქართულისა ენსა.

დასასრული

നവം നവം

რიტორიკა¹ არს ჰსწავლა, რომელიც იპყრობს თვის შორის კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა მიცთომისათვის შვენიერ სიტყვაობისა საზოგადოდ.

შვენიერ სიტყვაობა არს გამოლება ჰაზრთა და გრძნობათა ზეპირად, ანუ ქართასა ზედა მოკლედ, ცხადად და შესაბამად სათქმელისა, ანუ აღსაწერისა საგნისა.

ხოლო: რიტორიკა .ჰსწარმოებს ბერძნულისა ლექსისაგან რეო, რომელიც ჰნიშნავს ქართულად ვ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ .

წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაიდგან იგი იპყრობს თვის შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა. ხოლო ხელოვნებასა ქვეშე იგულხმების მოყვანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთასა აღსრულებასა ანუ მოქმედებასა შინა. ესრეთითა ხატიითა რიტორი განსხვავდების ორატორი-საგან.

პირველი, ესე იგი რიტორი, გარდამოსცემს კანონთა, თუ ვითარ სათანადო არს გამოლებად ჰაზრთა თვისთა შეძლებითისა ხატიითა მიცდომისადმი ორატორებისა დასასრულისა; ხოლო მეორე მიემთხვევის დასასრულსა ამას ანუ გამოიღებს მკვერ მეთქვეობითა (красноречиво).

საგანი ანუ დასასრული პროზისა საზოგადოდ არს მიცემა ანუ შეერთება ჰაზრისა თვისისა და გრძნობისა. დასასრული აღმკობილსა (изящния) პროზისა არს განჰსწავლა ჰეშმარიტისა, აღძრვა კეთილისაღმი, მაშასადამე დასასრული არს ანუ თეორეტიკებრი ანუ პრაქტიკებრი. მიმთხვევისათვის ერთისა და მეორისა ანუ ორთადმი ერთად აღმკობილი პროზაიკი მიჰმართავს შვენიერსა. ანუ საგანი ორატორისა, რომელიცა მოქმედებს ესტეტიკებრთა ზედა ძალთა არს ესე ოდენი, რაოდენსაცა ვალი მისი ითხოვს განსწავლად ანუ მიდრეკად.

საფუძველი ესე მდგომარეობს შემდგომსა სამსა დანიშნულებასა ზედა კაციასა; გულისხმისყოფითა ეკვეთების იგი ჰეშმარიტსა, ნებითა კეთილისა, ესთეტიკებრითა გრძნობითა აღმკობილსა ანუ შვენიერსა.

¹ ს. დოდაშვილის „რიტორიკა“ გამოვლენილ იქნა პროფ. თ. კუკავას მიერ ამის შეს. იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1955 წ, № 1. დ. ქუმიშვილი, თ. კუკავა. ს. დოდაშვილის „რიტორიკა“.

რაოდენიც კაცს აქვს უმეტეს განათლებული გონება და განვითარებული გული, ესე ოდენ უკეთილესად მისწვდების თვისსა საგანსა. ვინაიდგან რიტორიკა მომზადებულსა ნივთსა ორატორისასა შეიმოსს შევნიერსა სამოსსა შინა მსგავსად ვითარცა არხიტექტური მომზადებულთა უკვე ნივთიერებათაგან აღიყვანს შევნიერსა აღშენებულებასა თვისთა კანონთაებრ. ამის გამო ზნეობითი ფილოსოფიური ქსწავლანი განავითარებენ გონებასა და გულსა ორატორისასა, მატემატიკური განსწავლენ გონებასა წესიერებისადმი და სახილველად მოჰსლუდვენ გარდამატებულსა უკეთობასა გამოხატვისასა, ხოლო პოლიტიკური სწავლანი განამშვენებელ გულისხმისყოფისანი არიან საჭირონი კარგის ორატორისათვის. გარდა მოპოებულთა ამათ ღირსებათა იგი თანამდებ არს ქონებად ბუნებითთაცა ნიჭთა, თვინიერ რომელთაცა არა ოდეს იქმნების მღვთმარეობასა შინა მიწვენად თვისისა საგნისა. იგი თანამდებ არს, რათა აქვდეს სიყვარული ჭეშმარიტებისა და სათნოებისა და უღლვეელი გარე მიქცევა ბიწისაგან. რამეთუ ერთნი მხოლოდ ჭეშმარიტებანი კარგად გამოიღებიან, გამოჩნდებიან და ძალუძთ მიდრეკად; მათ შინა მონაწილეობს გულითადი გრძნობა. გრძნობა შევნიერისადმი არს ეგრეთვე საჭირო ორატორისათვის.

განსხვავება რიტორიკისა ლა პიტიკისა

ორნი ესე ქსწავლანი თანამსგავსებენ მას შინა, რომელ არიან სიტყვიერებისა ნაწილნი; ხოლო განსხვავდებიან იგინი მით, რომელ რიტორიკა არს ქსწავლა პროზისა, ხოლო პიტიკა ქსწავლა სტიხთქმისა და აქვსთ, ვითარცა განსხვავებული მარცვალი, ეგრეთვე განსხვავებულთაცა საგანი. ორატორსა ჰსურს ქსწავლებად, ხოლო სტიხთმთქმელსა ამოვნებად. ჭეშმარიტება შეადრგენს თვისებასა პროზისასა, თვინიერ რომლისაცა მას არა ექმნების ფასი; შევნიერი იქმნების მას შინა მხოლოდ საშუალობა მიმთხვევისათვის ორატორებისა საგნისა. სტიხთმთქმელი წინააღმდეგომ მისსა გამოუხრობელად წარმოადგენს შევნიერსა. მკერსიტყვაობასა აქვს სარგებელი შემკული მხოლოდ შევნიერიითა; ხოლო სტიხთ ქმნა შეიცავს თვის შორის შევნიერსა თავით თვისით არა სასარგებლოსა, არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვის.

მოკლე ისტორია რიტორიკისა

რიტორიკა განიყოფების ორთა უმთავრესთა ეპოხათა ზედა. პირველსა ეპოხასა შინა იგი იყო ხელოვნება, რომლისაცა საგანი იყო პოლიტიკური მკერსიტყვაობა. მეორეს ეპოხასა შინა რიტორიკა შეიქმნა

ჰსწავლად და საგანი მისი არს განვითარება პროზაიკებისა მწერლისა. ძველთაგან უკეთილესნი რიტორნი ბერძენთაგან არიან არისტოტელი, ლონგინი; რომაელთაგანნი: ციცერონი, კვინტილიონი. ახალთა მწერალთაგანნი კანონთა მჭერსიტყვაობისათა საკუთრად შესანიშნულ არიან: ფრანცუხთაგანნი: როლლენ, ბიტტე, ლალარპ. ანგლისთაგანნი: ბლერი. ნემეტთაგანნი: ეშენბურლი, მოასი, ლენსიუსი; რუსთაგანნი: ლომონოსოვი, რიჟსკი, ნიკოლსკი, ტოლმაჩევი, ლრეჩი. ქართველთაგანნი: ანტონი, იონა, რუსთაველი და სხვანი.

სარგებლობა მჭერსიტყვაობისა

სარგებლობა მჭერსიტყვაობისა თვალთ სახილველ არს თვითო-ეულისათვის, ვინცა მიაქცევს ყურადღებასა არსებასა და საგანსა ზედა მისსა, არცა ერთსა ჰსწავლასა არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერთა ზედა ჩვენთა ძალთა, ვითარცა აღმოვილსა ხელოვნებასა. მჭერსიტყვაობა მოინადირებს გულთა ჩვენთა და აღანთებს გამოხატვასა; გარდა ამისა ოდეს განვიხილავთ საკუთართა თვისთა საზღვართა შინა, მაშინ იგი შეეწევის განვრცელებასა ცნობათასა, განხსნასა ახალთ ქეშმარიტებათასა და ყოველთა საზოგადოთ ჰსწავლათა მოჰსცემს ახალთა ღირსებათა და მიზიდველობათა.

საშუალოდ მისსა არა მხოლოდ ზრახვანი და ცნობანი, არამედ თვით გრძნობანი, მიდრეკილებანი და ვნებანი კაცთანი, რომელნიცა უცნაურ არიან და განშორებულ ჩვენგან საუკუნეთა მიერ, დასდგებიან ჩვენად განკუთვნილად, თანდებითად. ჩვენ გუასწავებს იგი აღრჩევად საგანთა, განრჩევად და აღწერად შესაბამ, წესიერ და მოკიდებულ. იგი მიჰსცემს თვით ქეშმარიტებასა უფროსსა ძალსა დარწმუნობისასა, და თვით ვნებათაცა უფროს გამოლებასა და მოძრაობასა; იგი გამოხატავს ჩვენთა ზნეობათა.

განყოფილება რიტორიკისა

რიტორიკა მსგავსად მრავალთა სხუათა ჰსწავლათა, განიყოფების ორთა ზედა ნაწილთა — ხედვითსა და საქმითსა ზედა, ანუ თეორეტიკებრსა და პრაქტიკებრსა ზედა. ვინაჲდგან საგანი რიტორიკისა არს განხილულად პროზაიკებისა ქმნილებისა, მაშა პირველსა ნაწილსა შინა მისსა, ვითარცა თეორეტიკებრსა, გარდამოიცემიან კანონნი, რომელნიცა განეფინებიან ყოველთა გვართა ზედა პროზაიკებრთა თხზულებათათა გამოურციხველად; მეორესა ნაწილსა შინა, ვითარცა პრაქტიკებრსა, განიხილვებიან თითოდ სხვა და სხვანი გვარნი პროზაიკებრთა თხზულებათანი, რომელნიცა დაწერილ იქმნებიან ფრაზითა პროზაიკებრითა.

თვით საზოგადო ყოველთა თხზულებათათვის არს იგი, რათამცა პირველად შეეკრიბოდ ყოველნი ჰაზრნი, რომელნიცა ეკუთვნიან აღსაწერსა საგანსა. მეორედ, ვყოთ პოეზულთა და გზათა მათ ჰაზრთადმი ფიცხელი და საჭირო განკარგვა სიციხადისათვის. მესამედ, ვიხმართ მოქცევა და გამოლებანი, რომელნიც ეშესაბამებიან საგანსა წინაგანზრახულითა თხზულებისა. ამის გამო პირველი ნაწილი რიტორიკისა, ესე იგი თეორეტიკური განიყოფების სამთა ზედა განყოფილებათა:

- ა) პოენისათვის ჰაზრთა,
- ბ) განკარგვისათვის და
- გ) შესაბამისა გამოლებისათვის ჰაზრთასა.

მეორესა ნაწილსა შინა, ესე იგი პრაქტიკური სხვა და სხვანი გუარნი თხზულებათანი არიან:

- ა) წერილნი ანუ ავთრათნი,
- ბ) საუბარნი,
- გ) მარტივნი აღწერანი,
- დ) ისტორიულნი,
- ე) საქმითი ლექსთხზულებანი,
- ვ) ჰსწავლითნი თხზულებანი და .
- ზ) შესხმანი.

ნ ა წ ი ლ ი ა .

საზოგადოთა კანონთათვის რიტორიკისათა

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ზ ა ა .

პოენისათვის ჰაზრთა

პოენასა ქვეშე იგულისხმების არა თუ ოდენ აღრჩევა უმთავრესისა საგნისა, არამედ ყოველთა მისდამი შასაბამთა ჰაზრთა, რომელნიცა მსახურებენ ცხადსა გარდამოცემასა მისსა. და ესრეთ პოენა არს საკუთრად მოძიება ჰაზრთა, რომელნიცა ეკუთვნიან უმთავრესსა საგანსა (თემასა). გარნა ესე არა ნიშნავს, რომელ რიტორიკამან ასწავლოს მოგონება; ვინაიდან იგი მზათა უკვე ჰაზრთა ორატორისათა მიჰსცემს შვენიერსა ფორმასა (სახესა) და არს ჰსწავლა ფორმითი, რომელიცა აჩვენებს ღონესა მოძიებად შემეცნებასა. ეგრეთვე არა სათანადო არს გულისიტყუად, რომელ პოენა აღნიშნავდეს მოძიებასა მარად ახალთა ჰაზრთასა. ვინაიდგან ძველთაცა ეგრეთვე ძალუძსთ შვენიერ ყოფად.

თემათისათვის (thema)

თემა არს წინადადება მიღებული ნაცვლად საფუძველისა სიტყვისა, ანუ საზოგადოდ თხზულებისა. თემა შეთანასხმდების საგნისათა-
ნა, რომელიცა იქმნების გარეგანი მქონებელი შეპყრობათა რომელისამე
წარმოებისათა და ღროთა შინა, ანუ აღმწერილ სრულთა საგანთა, ში-
ნაგანი, ანუ არსებითი, გინა მსწავლებელი თეორეტიკებისა ჰეშმარი-
ტებასა შინა. ამის გამო თემანი განიყოფებიან პირველად მოთხრობით-
თა, მეორე პყრობილთა ჰეშმარიტებათა ზედა, თეორეტიკებრთა და პრაქ-
ტიკებრთა, ანუ ჰსწავლათა.

ისტორიკებრი თემა არს წინადადება, რომელიცა გამოიღებს ვითა-
რისამე მყოფობასა, ანუ გარემოებასა. წარმოებანი განიხილებიან სხუა-
თა და სხუათა კერძოთაგან: ა. გ ა რ ე გ ა ნ ი ს ა გ ა ნ, სადაც შენიშვნე-
ბისა ღრო, ადგილნი და მოქმედნი პირნი. ეგრეთვე იჩვენებიან საშუა-
ლობანი და დაბრკოლებანი მიმოხვევისათვის წინადადებისა საგნისანი.

ბ. შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ა გ ა ნ, სადაცა იჩვენებიან გამოღვიძებულნი მიზეზ-
ნი მოქმედებათადმი თანასწორ, ვითარ შედრგებანიცა მათნი, ესე იგი
მიღრეკა მოქმედთა, ანუ გარემოებათა პირთა.

აღწერითი თემა

დასასრული აღწერისა არს იგი, რათა ანუ მივცეთ ცხადი ცნობა საგ-
ნისათვის, ანუ უჩვენოთ საგანი ყოველთა რაისა მიმართობა მისთა, ანუ
გამოვხატოთ ესრეთ, რათამცა ადვილად წარმოუდგეს მკითხველსა. პირ-
ველსა შემთხვევასა შინა იქმნების განსაზღვრება არსებითთა ნიშანთა-
გან საგნისათა. მეორესა შინა განსაზღვრება განვრცელდების მომატე-
ბითა შემთხვევითა ნიშანთაგან და შეიქმნების აღწერად; მესამეს შინა
მოთხველი დაიმარხავს რა ყოველსა წინამავალსა, გარდამოსცემს თვიო
ნიშანთა ბუნებისა და მიმზიდველსა წესსა შინა. მაშინ ჰსწარმოებს გან-
ხილული აღწერა ანუ გამოხატვა.

ჰსწავლითი აღწერა

ღროსა ანუ გვართა თხზულებათასა განცხადდების თეორეტიკებრი
ჰეშმარიტება ანუ ყურადღების პრაქტიკითა.

თეორეტიკული და პრაქტიკული მუშაობისათვის

1) სრული გარდამოცემა განაცხადებს საგანსა და ცნობა მისთვის შეიქმნების უსრულესად. ეს გვარსა თხზულებისასა შეხამს, რათა

1. მიეცეთ განსაზღვრება.
2. უჩვენოთ რაი იმყოფების შემთხვევითი და რაი არსებითი.
3. მოუპოოთ მზგავსნი განსამარტებლნი საგანნი.
4. გამოვაჩინოთ ტყუილნი შემეცნებანი.
5. შემოვიტანოთ მოწმობანი და მაგალითნი.

2) დამტკიცება თეორეტიკებისა ქეშმარიტებისა არს განმარტება მისი გამოვლენათა მიერ. ამასთან მიიღების განსჯასა შინა.

1. მოწმობანი საკუთარისა გრძნობისანი.
2. საზოგადო გრძნობა ქეშმარიტებისა.
3. გამოცდილებანი.
4. დამოკიდებანი გამოკვლელნი სხვათა ქეშმარიტებათაგან.
5. მოწმობანი.
6. სარგებლობა ქეშმარიტებისა.

3) უკუთქმა ანუ დარღვევა შემეცნებისა ჰნიშნავს განმარტებასა მიზეზთა უსაფუძლოებისა მათისათა. ამას მსახურებს:

1. წინააღმდეგომ თქმაობა საკუთრისა ჩვენისა და საზოგადოისა გრძნობისა. წინააღმდეგომობა გამოცდილებათა მაგალითთა.

2. სისუსტე დამტკიცებათა.
3. შეუთანხმობა საგნისა.
4. უშვერნი და საენებლნი შედგომილებანი.
5. მიზეზნი წარმობისანი.

პრაქტიკული და პრაქტიკული მუშაობისათვის

1) განვაცნოთ კეთილისა საქმისა თანა. მაშინ უნდა მივიღოთ განსჯა შინა:

1. სულიერი მინდობა მასთან.
2. გარეგანი გამოჩენანი მისნი.
3. საგანი.
4. თვისებანი ქეშმარიტისა და მწბიერისა სათნოებისა.
5. საშუალობანი.
6. დაბრკოლებანი და მოძნელებანი.

2) განვმარტოთ ვნება წარმობული ბიწისაგან, მაშინ მივაქცევო ყურადღებასა:

- a) სულიერსა მისთა განკარგულებასა ზედა.
- b) გარეგანთა განცადებათა მისთა.

ც) წყაროთა განსაზღვრება ზედა ბიწისათა.

დ) შენდობათა.

ე) საშუალობათა აღმოპყვრისათა.

გ ა ნ კ ა რ გ ვ ი ს ა თ ვ ი ს

განკარგვა არს მოყვანა შეკრებულთა ნივთიერებათა საცნაურსა წესსა შინა ანუ მოყვანა პლანსა შინა.

საზოგადო კანონი ამისათვის არს შემდგომი:

რათამცა არა რაი იყოს მეტი, ხოლო ყოველივე უნდა იყოს განკარგულ ესრეთ, რათამცა უმსწრაფლეს და უსარწმუნოეს მივწვდეთ დასასრულსა.

შეჩვეულება და საკუთარი განზრახვა არიან უკეთილესნი ხელთმძღვანელობანი.

ყოველსა თხზულებასა საზოგადოდ აქვს სამი ნაწილი: დაწყება (ხელყოფა). თხრობა (წინადადება) და დასრულება (კიდურდგმოება).

დაწყება არს ნაწილი, რომელსაც შინა მთხზველი განაღვიძებს ჩვენსა სიხალისესა უთქმელად საგნისა.

წინადადებასა შინა გარდამოციემის უმთავრესი საგანი თხზულებისა და არს ფუძე თხზულებისა.

დასრულება, აქა მთხზველი განიმეორებს მოკლედ ყოველსა მას, რაიცა ითქვა წინად და მსახურებს მისთვის, რათა უკეთესად გარდაეებქდოს მსმენელსა წინასწართქმული საგანი ხსომასა შინა.

ხოლო. წინადადება კვალად განიყოფების დამტკიცებასა, განმარტებასა, აღსწერასა, მკაღიოსა და მოწმობასა ზედა. ესენი გამოიცილებიან წესსა შინა, ხოლო უმთავრესნი არა სადა.

გ ა მ ო ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ო რ ა ზ ი ს ა

ხატი გჰოლებისა ჰაზრთასა ქალაღ ზედა იწოდების ფრაზად დასასრული თვითთეულისა თხზულებისა მდგომარეობს მას შინა, რათამცა იგი იყოს გასაგონად. ამის გამო ფრაზასა ესე უნდა აქვნდეს:

1. კანონიერება (ლტოლვა ანუ განშორება ბარბარიზმთა).
2. სიწმინდე (განშორება ლექსთა უხმოთა და უცხოთ ქუეყნისათა).
3. სიცხადე და განსაზღვრებულება.
4. წერა ჰაზრისა.
5. სიმხოლოე.

გარდა პირველთა ამათ ღრამატიკურთა და ლოლიკურთა ღირსებათა არიან შემდგომნი საშუალობანი, რომელიცა მისციემენ ფრაზასა შვენიერებობასა.

1. კეთილზომიერება, რომელიცა ჰყოფს სიტყვასა ცხადად და გაუჭირებლად დროსა კითხვისასა. უკეთილესი საშუალობა არს კითხვა კარგთა წიგნთა, რომელთა გამოცა განვითარდების სმენა და განწმენდების უსიამოვნის შეერთებისაგან ასოთა, მარცვალთა და ლექსთა.

2. კეთილგუაროვნება მარცვლისა, ოდესცა არა არიან ლექსნი წინააღმდეგომი კეთილშესაბამობისა.

3. სიმოკლე, როდესაც იხმარების ესეოდენი ლექსი, რაოდენიცა საჭირო არს გამოღებისათვის ჰაზრთა.

4. სიციხველე ფრაზისა, ოდესცა ჩვენ ვმოქმედებთ გამოხატვასა და გრძნობილებასა ზედა, ესე იგი მოვიყვანთ მოქმედებასა შინა ყოველთა სულიერთა ძალთა. ამისთვის პროზა იგი იხმარებს საშუალობათა პოეზიის მპყრობილობისაგან.

საშუალობანი ესენი არიან ტროპნი და ფიგურანი.

ტ რ ო პ თ ა თ ვ ი ს

ტროპი არს შეცვალება ერთისა ლექსისა მეორესა შინა ესეოდენცე გასაგონსა, გარნა უმეტეს გამოსათქმელსა. იგინი არიან: მეტაფორა, ირონია, იპერბოლა, სინეკდოხა და მეტონიმია.

მეტაფორა არს ტროპი დაფუძნებული მსგავსებასა ზედა საგანთასა. მაგალითებრ: გაზაფხული ცხოველებისა; მხეცებრივი სული. რაოდენიმე მეტაფორანი შედრგენილნი ურთიერთსა შორის შეადრგენენ ალღეგორიასა. მაგ., მოიგონეთ დასაბამი და დასასრული ომისა მის, რომელიცა იყო პირველ და მხოლოდ ნაპერწყლად, აწ ყოველსა ევროპასა მოიცავს თვისითა ალითა.

ირონია არს ტროპი, რომელსაცა შინა დაიდების წინააღმდეგომი სათქმელისა საგნისა. მაგალ., იხარე ბოროტო თვისითა საქმითა!

ხოლიო ამას ეკუთვნის: სარკაზმ-ხუმრობა საწყინარი და ხარიენტიზმ-ხუმრობა უწყინარი.

იპერბოლა არს ტროპი, რომლისაცა შინა იხმარებიან ლექსნი წარმომადგენელნი საგნისა უდიდესად ან უმცირესად (ავქსეზის არს უდიდესი. ტაპინოზის არს უმცირესი). მაგალ., წყარო ცრემლთან, ეს უღონო არს ვითარცა ბუზი.

სინეკდოხა არს ტროპი, რომელსაცა შინა დაიდების ყოველად ნაცვლად კერძოისა თვისისა, ნათესავი ნაცვლად სახელისა და უკუქცევით. მაგალ., მოკვდავი ნაცვლად კაცისა.

მეტონიმია არს ტროპი, რომელსაცა შინა დაიდების მიზეზი ნაცვლად მიზეზებულისა და უკუქცევით. მაგალ., მე მიყვარს კითხვა პეტრეძისა.

პერიოდნი იქმნებიან:

1. მიზეზობითი,
2. შემზგავსებითი,
3. წინააღმდეგობითი,
4. ნებართვითი,
5. პირობითი,
6. განმარტებითი,
7. ალყვანებითი,
8. შეერთებითი,
9. გაყოფითი,
10. შემდგომობითი,
11. ხარისყოფითი.

სალიტერატურო მემკვიდრეობა

ს ი ბ უ ვ ი ე რ ე ბ ა

თ ი ნ ე ვ რ ა

ფლორენციასა¹ შინა იყო საკვირველი შემთხვეულება ათას სამას ოთხმოც და თექვსმეტსა წელსა. გარნა უწინარეს ყოვლისა უნდა ვკითქვათ, თუ მაშინ ვითარსა განწირულებასა შინა იყვნენ მცხოვრებნი ამის ქალაქისანი, რომელნიცა შემდგომ ყოველთა შეძრწუნებათა ბრძოლისათა შეწუხებულ იყვნენ დიდის ჭირისაგან. მათ ჯერეთ არა აქვნდათ დავიწყებული მოოხრება, რომელიც შეემთხვათ ჭირისაგან ათას სამას ორმოცდარვასა წელსა, ოდესაც უმეტეს სამის წლისა ტოსკანელი შეიქმნენ მსხვერპლად მომსრველისა² ამის. წარმოვიდგინოთ, თუ ვითარსა შიშსა შინა იქმნებოდა ქალაქი ფლორენცია, ოდესაც სნეულება ესე მიახლოვდა სამძღვართა მისთა. ძმანი მოწყალეებისანი შეეკრებოდნენ ყოველით კერძო სადღესასწაულოსა სამოსსა შინა, რათამცა აღსპონ ბოროტი ესე. იგინი არათუოდენ აღავლენდენ ზეცას მხურვალეთა ლოცვათა, არამედ უშიშრად ჰნახვიდნენ ყოველთა სახლთა, დაუირიგებდნენ საქმელსა და სასმელსა იმედითა მით, რათა უკუნ აქციონ დასჯა ზეცისა. საშუალ ვაებათა ამათ იყო შემთხვეულება, რომელსაცა განვიზრახავთ, რათა ვაცნობოთ მკითხველთა ჩვენთა. საქმე ჰსწარმოებს სიყვარულისათვის და ახალგაზრდას საყვარლის ქალისათვის.

ტურფა ესე და ჩინებული ქალი იყო ამიერის გვარისა. ვერცა ერთი შევნიერო და ლამაზი ქალი ფლორენციასა შინა ვერ შეედარებოდა მას კეთილგონიერებითა და სიმშვიდითა. მას აქვდა იშვითი გული და გონება. წყნარნი სათნობანი ჰსჩნდნენ მას შინა, ვითარცა წმინდასა სარკესა შინა; და ოდეს გამოვიდოდა იგი ასპარეზსა ზედა ქველისა ბაზრისასა, მაშინ ყოველი კაცი ისწრაფდა ნახვასა მისსა და ხმის სმენასა.

აქა რონდელის შთამამავლობისა ანტონიმან ნახა ქალი იგი და გული მისი წარტყვენა სიტურფემან და შევნიერებამან მისმან. სხვანიცა საყვარელნი ახალგაზრდანი კაცნი ეძებდნენ დროსა და ჰსურდათ, რათა მოჰსწონებოდნენ ეინევრასა. ანტონი მრთელს ოთხს წელიწადს მხოლოდ

¹ ფლორენცია არს ტოსკანის სამეფოს შევნიერი ქალაქი იტალიასა შინა (ს. დ.).

² ეურნალში არის: მომსვრელისა.

მისთვის ჰზრახვიდა, ყოველგან კვალსა მისსა შეუდგებოდა და ცდილობდა, რათა დაემტკიცებინა მასთან ალღებრივი სიყვარული თვისი. ჩვენ არ აღვსწერთ სიმწარეთა, განუსვენებლობათა, მწუხარებათა და ტანჯვათა მისთა. საკმაო არს ვჰსთქვით, რომელ მან რაოდენჯერმე ჰსთხოვა ხელნი ჟინევერისანი მამასა მისსა, გარნა ეს არ შეიქმნა თანხმა მიცემასა ზედა ქალისა თვისისასა. მამა მისი არ იყო განუსჯელი კაცი. იგი ცუდსა ვერასა ჰხედავდა ქცევასა და თვისებასა შინა ანტონისასა, გარნა მსგავსად ყოველთა ჩინებულთა დიდთა კაცთა ჰსურდა ქალისა თვისისა შეერთება ესრეთისა კაცისათანა, რომლისაცა წარმოებასა მიეცა ახალი ბრწყინვალეობა გვარისათვის ამიერიისა. დასასრულ, ოდესცა მან მისცა ქალი თვისი ფრანჩესკო დო ადოლანტის, ახალგაზრდასა კაცსა სასიამოვნოს ტანისასა, რომელიცა ეკუთვნოდა ერთსა პირველთა გვართაგანსა, მაშინ ყოველნი ფლორენციასა შინა იტყოდნენ, რომელ მან აღირჩია ჟინევერისათვის უკეთილესი ტოლი და შესაფერი. შემდგომ შესრულებისა ქორწილის რიგთა ფრანჩესკომ წაიყვანა თვისსა სახლში ახალგაზრდა და შვენიერი მეუღლე თვისი.

ამბავი მასზედა იყო ბოროტშემთხვეულისა ანტონისათვის სასტიკად მოაკლდა რა ჟინევერასა, რომელსაცა შინა შეიცვებოდნენ ყოველნი იმედნი მისნი, რომელსაცა შინა ჰგონებდა იგი ყოველსა ქვეყნიერსა ბედნიერებასა. მან დასდვა აღთქმა და ფიცი, რომელ არაოდეს შეირთოს ცოლი და არცა შეიყვაროს სხვა ქალი. მან აღასრულა თვისი სიტყვა: საკუთარი დატკობა სიმწარისა მისისა იყო სვლა ეკკლესიებში, ტაძრის დღესასწაულებში, შერევა გუნდში და შორით დატკობა ნახვითა მისითა, რომელიცა მიიზიდავდა აზრთა მისთა.

დროსა ამას ფლორენციასა შინა გამოჩნდა დიდი ჭირი. შვენიერი ჟინევერა ავით შეიქმნა, მაგრამ სნეულება მისი არ იყო შესაყარი. რათგანაც ტურფა და ნარნარი აგებულება ჰქონდა მას და სნეულებამან მისმან მსწრაფლად გამოუცვალა მას ყოველნი: ნაკვთნი! პირისა მისისანი, ამისთვის ყოველთა მახლობელთა მისთა წარმოიდგინეს, რომელ დასასრული მისი ახლოს არს. ნათესავნი მისნი ისწრაფოდნენ შემწეობასა მიცემასა: ზოგნი მისცემდნენ სასუნებლებს, სხვანი უზელდნენ ხელთა და ფეხთა, ერთის სიტყვით, ხმარობდნენ ყოველსა, რაცა შეეწყოდა მას და მოიყვანდა გრძობასა შინა, გარნა ამო იყო. რაოდენსამე დროს ქალი იგი ჟინევერა იწვა თვინიერ ყოვლისა მოძრაობისა, საფეთქლები დაუდგნენ და ყოველნი მუნ მყოფნი დარწმუნებულ იყვნენ, რომელ სული მისი აღფრინდა ცათა შინა.

პირველად განხდა საზოგადო ტირილი და გოდება, ხოლო მსწრაფად მწუხარება შეიცვალა ვაებად, რომელიცა განვრცელდა ყოველსა ქალა-

ქნა: ამბავი ერთს წამს განვიდა, ჟინევრა შეიქმნა მსხვერპლად ჳირისა-
მას ჟამსავე მოამზადეს ყოველივე დასამარხად და შემდგომ ჩვეულები-
თის წესის შესრულებისა სხეული მისი დაიმარხა სასაფლაოსა ზედა სო-
ბოროს ეკკლესიისასა, სამრეკლოს ახლო. წესი დამარხვისა იყო ფრიად
ლიტონად, ამისთვის რომელ შესაძრწუნებელსა დროსა მას უმეტე'ა
ფიქრობდნენ დიდის ჳირისაგან წარმოებულს შიშსა ზედა, ვიდრელა
გლოვასა ზედა. მაგრამ ანტონი, რომელიცა სხვათა თანა მიჰყვა მკვდარსა
საფლავთან, დარჩა მუნ იმ დროდმდე, სანამ წავიდოდნენ ყოველნივე. მან
ფრიად მრავალი მწარედ იტირა და იკენესა. ფრიად ძნელ იყო მისთვის
დატევება საფლავისა და წამოსვლა თვისს სახლად. თავსა თვისსა ეტ-
ყოდა მუნ: „დიდი ხანია მე მოვაკლდი მას, გარნა სიკვდილმან მისმან
ყოველივე მომტაცა, რააცა ეკუთვნოდა სიცოცხლესა ჩემსა“. კვალადცა
დაღვარა ცრემლნი.

სხეული ჟინევრისა დადგმულ იყო საგვაროს სასაფლაოსა ზედა, იგი
შერაცხეს მკვდრად. გარნა შემდგომ განგრძელებულისა გულის შემოყ-
რისა, მან კვალად მიიღო ხმარება გრძნობათა ტყვიელისა გამო ანუ სხვი-
სა უცნაურისა მიზეზის გამო. საკმაო არს ესე, რომელ ქალი ესე გაცო-
ცხლდა შუალამის შემდგომ ორს საათს. ბედნიერება იყო ეს, რომელ რა-
ბამ განიღვიბა, მაშინვე მოუვიდა აზრი: შეურაცხიათ მკვდრად და შეც-
თომით დაუმარხიათ თავი ჩემი, ჰსთქვა მან: „ვამ თუ შიშმან შემკრას მე,
ღომ დაეკარგვი! ყოვლად წმიდაო ქალწულო, დამიფარე მე, შენზედა
მოვანდობ ყოველსა სასოებესა ჩემსა!“ შემდგომ აიწია მან თავი ძალის-
ხმევითა და დიდს სასიხარულოდ შენიშნა, რომელ საფლავის ქვის შუა
სჩნდა მცირედ მთვარის სინათლე. დროსა მკრთალისა ამას სხვიის ნა-
ხვისა ჟინევრა დასჯდა კუბოში და განიმხნევა თავი თვისი. მან შეკრიბა
ღანარჩენი ძალი და თავს იღვა მუნითგან ამოსვლა, რომელიცა დარწმუ-
ნებულ იყო, რომელ თვით მხოლოდ ძალუძს თავისა თვისისა დაფარვა,
გაიმავრა მან გული და ჰსძლივა შიშსა. გამოვიდა რა კუბოდამ და მო-
იწმინდა უკანასკნელი ცრემლი, რომელიცა გარდმოედინა შიშისაგან სა-
შუალ ბნელის საფლავისა, უნდოდა ცურვით მისვლა მას ადგილთან სა-
იდგანაცა გადიოდა სინათლე. მსწრაფლ რააცალამა დააყენა იგი: ეს იყო
პატარა კიბე. უწინარეს ყოველისა იგი დაჯდა პირველს ფეხის ასადგმელ-
ზედ შესასვენებლად, რათამცა შეიკრიბოს ძალი და ღონე. შემდგომ ანი-
ა ჟინევრამან იწყო კიბეზედ ასვლა, მოუწოდა რა ღმერთსა შესაწევნე-
ლად და გამავრდა რა იმედითა დაფარვასა ზედა სიცოცხლისა თვისისასა.
აღვიდა რა კიბეზედ, მიადგა ქვას, რომელიც ეფარა საფლავსა, და ჰსცა-
და აწევა მისი. საბედნიეროდ, ქვა იგი არ იყო მძიმე და ჳერ არ გარ-
დაელესათ კირით. და ესრეთ ჟინევრამან გარდაავდო ქვა იგი და გამო-
ვიდა საფლავიდან. შესწირა მადლობა ღმერთსა დაფარვისათვის სიცო-
ცხლისა თვისისა და მიჰმართა ბიჯი სამრეკლოსა.

ეს იყო ოკდომბრის გასულს. ქარი მოჰბერვიდა ძლიერი და ცივი. ჟინევრამან განიარა მეიდასი და შევიდა იწროს გზაში, რომელიც მიდი-
ოდა მახლობელ მონასტრის სალოცავისა ძმათა მოწყალებისათა. მუ-
ნიდგან მან მიიღო სახელი იწრო გზა მკვდრისა, რომელსაცა ამ შემთხვე-
ვადმდე ეწოდებოდა სხვაგვარად. ჟინევრა მივიდა თავის ქმრის სახლთან
და დაარახუნა კარები. ქმარი მისი ფრანჩესკო მწუხარედ იჯდა ბუნარ-
თან, შეცული განძრახვითა მსწრაფლისა დანაკარგისათვის. შეესმა რა
რახუნნი, წამოხტა იგი შეშინებული, გააღო ფანჯარა და ჰკითხა: „ვინ
ხარ? — მიუგო: „მე ვარ ჟინევრა, შენი ცოლი, განა შენ არ გესმის და
ჯერა სცნობ ხმას ჩემსა?“ ჰსცნა რა ხმა ცოლისა, რომელიც რომ და-
წარხა, ფრანჩესკო შეიკრა შიშისაგან და დაიწერა პირგვარი, უთხრა.
„განისვენე, ხვალ დილით წავალ ეკლესიასა შინა და ვილოცავ განსვენ-
ებისათვის სულისა შენისა“. შემდგომ დაკეტა ფანჯარა.

უბედურმა ჟინევრამან, იხილა რა თავი თვისი ქმრისა მიერ დატევე-
ბულად, მწარედ იტირა. „რა შემემთხვევა მე? იტყოდა იგი: მე ვგრძნობ,
რომელ ვერ გავაწეე უბადრუკსა ამას ღამესა“. კვალად მოიცა სიმძნე და
წავიდა თვისს მამის სადგომთან, გარნა არა მობრუნებულიყო შინ;
შემდგომ მიიქცა დედის მხარეს და დაარახუნა კარები.

დღეა ჟინევრისა ეგრეთვე იყო მწუხარე დაკარგვისათვის ქალისა
თვისისა და იჯდა ცეცხლთან. მსწრაფლ შეშინებულმან რახუნისაგან
გაიხედა ფანჯარაში და ჰკითხა: „ვინ არახუნებს?“ ჟინევრამან მიუგო
მთრთოლარითა და სუსტის ხმითა: „თქვენი ქალი“. ესმა რა სიტყვა ესე,
გაოცდა და შეძრწუნდა, ძლითღა ჰსთქვა: „ნეტარო სულო უბიწოასა
ქალისა ჩემისაო, წარვედ სამკვიდრებელსა შინა შენსა, ღმერთი იყოს
შენს მოგზაურად!“ ჰსთქვა რა ესე, მსწრაფლ მიკეტა ფანჯარა. მაშინ ჟი-
ნევრამან ჰგრძნობ, რომელ იგი ყოველთა მიერ დატევებულ არს და გან-
წირულებასა შინა ჰსწყევდა დღესა თვისისა დაბადებისასა.

მან კვალად იწყო ლოცვა და ითხოვა ზეცით შემწეობა ესეოდენ შე-
საპრალეზელსა მყოფობასა შინა. ღონე არღა ჰქონდა მას, ესრეთ დაილა-
ლა, რომელ ძლით იდგა ფეხზედ. ხან მოუვიდოდა მას აზრად, რათა მიბ-
რუნდეს საფლაფივე, რომლიდამაც ამოვიდა, რათა მუნ განისვენოს და
ელოდეს სიკვდილსა. გარნა იშიშოდა იგი, რომელ შუა გზაზედ უბანში
მოკვდება. ერთს აზრთან სამწუხაროასა ამის დასრულებისათვის და-
ათრთოლა მას, გარნა მღვიძარება მისი კვალად განცხოველდა, მას წამსა
მოაგონდა: რომელ ფლორენციისა შინა ჰყავს ბიძა. არა მიჰხედა სიშო-
რესა სადგომისა მისისასა, წარვიდა მასთან და ჰსთხოვა მას შეწყალება,
რომელიცა ძლით მივიდა მის სახლადმდე, დაარახუნა კარები და ჰსთხოვა
მას, რათა მიეტყოს შემწეობა. შეუბრალებელ იყო მეცადინეობა მისი.
ბიძამან მიუგო იგივე, რაჲცა სხვათა: „ღმერთმან განუსვენოს სულსა
შენსა!“

აქა ჟინევრა სრულიად მიეცა განწირულებასა და არღა ჰქონდა ძალ დალილობისა და მწუხარებისგან, რათა მუნითგან წარვიდეს სადმე. იქ წაიქცა წმინდის ბართლომეს ეკლესიის კიბესთან, მოელოდა დასრულებასა სიცოცხლისასა და თვისთა ვაებათა.

რაოდენსამე დროს იყო იგი ესრეთსა მყოფობასა შინა, ერთ წაშს მოაგონდა მას ანტონი. სხივი სასოებისა განბრწყინდა სულსა შინა მისსა და უნდოდა გამოცდა, თუ ნამდვილად ვნება მისი არს ესეოდენ უანგარო და მტკიცე, ვითარცა უჩვენებდა. არა მიჰხედა მკმუნვარებასა და მოუძღურებასა. ჟინევრამ დიდის შრომით განვლო კედელ-კედელ და მიაწია ანტონის სადგომამდი და დაარახუნა კარები. მაშინ იყო შუალამი-დამ ექვისი საათი.

რას წამს ბეჭედი მიაკაკუნა ფანჯარას, მაშინვე დაბარბაცდა და წარიქცა კარებს წინ. ანტონი იყო ესრეთ მოშთობილი მწუხარებისა გამო, რომელ ძლით შეეძლო ქვეშეგებიდგან ადგომა და ფანჯარასთან მისვლა, რათამცა ნახოს, ვინ არახუნებს ესრეთ გვიან. ფანჯარა გაალო ჯოხით და ყური მიუპყრა. სუსტის და ძლით გასაგონის ხმით წარმოსტქვა ჟინევრამან: „ეს მე ვარ, უბედური ჟინევრა! ღვთის გულისათვის, მიჩვენეთ შემწეობა ბოროტშემთხვეულსა, ყოველთაგან განგდებულსა!“ თუმცა-და სიტყვანი ესე ითქვა სასიკვდილოს ხმითა და ძლით განარჩეოდა იგინი, გარნა ანტონიმან ანთო სანთელი, გვარდა კარში, არცა მცირედ ფიქრობდა ბოროტთა სულთათვის, არცა განგებულებათათვის, გაალო კარები, დაინახა შეყვარებული თვისი. „ეს ის არის“, დაიყვირა მან და მას წამსვე დაუძახა მოასლესა, დადგა სანთელი მიწაზედ და ასწია გაყინული ტანი ჟინევრასი. მაშინვე მივიდა მოახლე, აილო სანთელი და მიანათა კიბეზედ. ამას შორის უფალი მისი ძვირფასის ტვირთითა მიისწრაფიდა შესვლასა ახლოს თათხში. ტანი ჟინევრისა იყო ცივი, ვითარცა ყინული. ანტონიმ უბრძანა თავის მოახლეებს გათბობა ტანსაცმელისა და გახდა ცოცხალ-მკვდარისაგან სველის ტანისამოსისა. შემდგომ ჩააცვეს მას ტფილი საცმელი. ანტონიმ ასწია იგი ხელით, დააწვინა ქვეშსაგებზედ და მიჰხურა საბნები.

ტურფა და ერთგული მეგობარი ესე დაეყუდა კრაოტის თავზედ და არ მოაშორა თვალი უუძვირფასესსა საგანსა, შიშითა და იმედითა მოელოდა წამსა, ოდეს აღიხილავს ჟინევრა თვალთა ანუ აღიხოცვიან ყოველნი ნიშანნი სიცოცხლისანი. სამწუხაროსა მდგომარეობასა ამას შინა განატარა დრო უმეტეს ნახევრისა საათისა. დასასრულ, კეთილმოქმედმან სიბოძმან მოუქცია მას ფშვინვა; მცირემცირედ ჟინევრა მოვიდოდა სიცოცხლეში, მხლად წარმოიტყოდა: „კეთილო ანტონ, მე შენ დაგარწმუნებ პატივისა ჩემსა; დაივიწყე წარსული, შეიწყალე ჟინევრა და ნუ განაგდებ ყოველთა ნათესავთაგან განგდებულსა“. აქა მან წვლილად მი-

უთხრა მას, თუ ვითარ დამარხეს იგი, ვითარითა სახითა გამოვიდა საფლავიდან და დატევებულსა მამისა, დედისა, ბიძისა და ქმრისა მიერ მოაგონდა ანტონი და თავს იღვა გამოცდა დადგრომილებისა მისისა.

მოუმატა ეინეგრამან: „ახლა ჰხედავ შენ, რომელ მე უნდა ვეძიო შესალტოლველი და საფარველი შენთან. უკეთუ უწინარეს შენ მრაცხდი გრილგულად და უმადლოდ შენთან, ნუ მიიღებ ამას ცუდის მხრით. მე აღვასრულე ვალი, რომლითაცა შეკრულ ვიყავ გვარისა ჩემისაგან. შემიძღე მე! მე აწ ვპსცან, თუ რომელს ხარისხადმდე განვრცელდების კეთილსულობა შენი და დადგრომილება. ტყუილია, რომ შენ მომციტეჯგზე მე, ოპ, საყვარელო ანტონი?!“ — წარმოსთქვა ეინეგრამან მსუბუქის ღიმილითა, რომელსაც არ ძალედვა დაფარვა სნეულებისა თვისისა, — „ჩვენ შემდგომად გვექმნება ლაპარაკის დრო; უბრძანე, მომიტანონ რაჲმე, მე ვპგრძნობ შიმშილსა, საჭირო არს, რათა განვიმაგრო ძალნი თვისნი“. — „ამ წამს, მეგობარო ჩემო, ყოველივე იქმნება მზად“. შემდგომ მივიღა ანტონი თავის დედასთან, რომელიც წინა დღეს დარჩა მასთან ღამე და ჰსთხოვა, რათა უბრძანოს მოახლეს მომზადება ვახშმისა და ეხლავ მოტანა რაჲსამე სასმლისა. ოდესაც ყოველნი მუნ მყოფნი გამოვიდნენ სხვას ოთახში, მაშინ ეინეგრამან უთხრა ანტონის: „ჩაიცივი საჩქაროდ, ჩემო საყვარელო, და წადი სასაფლაოზედ; მუნ დაჰხურავ ქვას საფლავის ამოსასვლელს, რომლიდგანაც გამოველ მე, რათა არავინ აიღოს ექვი, რომელ მე ცოცხალვარ; ისწრაფე: ამასზედ დამოკიდებულ არს ბედნიერება დანაშთენთა დღეთა ჩემთა“.

ანტონი მას ეამსავე გაიქცა; მან დაჰხურა საფლავს ქვა და ყოველივე საჭირო განაკეთა, რათამცა არვინა ჰსცნას, რომელ იგი იყო ახდელი. ოდეს გამობრუნდა ანტონი, მაშინ გზაზედ იყიდა ლორები, ტკბილი ხილი და ხმელი ლეღვი, რათა მოუმატოს ვახშამსა თვისისა საყვარლისა ეინეგრამასა.

ანტონიმან, მისცა რა თვისსა დედასა სამზადისი ვახშმისათვის, გამოცხადდა ეინეგრამასთან და აცნობა, რომელ რწმუნება მისი აღსრულებულ არს. მხიარულნი საუბრობანი ანტონისანი, ნარნარი ყურადღება და უმწვერვალესნი აღერსნი განამტკიცებდნენ სულსა საყვარლისა მისისასა. ოდეს გაშალეს სუფრა და მიართვეს საკმელი, მაშინ ანტონი თვით ემსახურებოდა ეინეგრამასა, არჩევდა მისთვის უკეთილესთა და უვნებელთა სიმრთელისათვის მისისა საკმელთა. ანტონის სიხარულისაგან არღარა გეეგებოდა, რომლისა მიერცა მიეცა მას სიცოცხლე და უმასპინძლა მას თვის მიერ ნასყიდის ხილებითა.

შემდგომ ოთხის დღისა ეინეგრა სრულებით მორჩა და მიეცა უწინარესი შეენიერება თვისი. მაშინ ანტონიმ ნახა, რომელ დრო არს გამოცვლა საცმლისა მისისა, რომლითაცა პირველად გამოცხადდა ქალი იგი ანტონთან; გარნა ანტონს არ უნდოდა არა რაჲსა წინათ მიღება, სანამ

არ განაცხადებდნენ ურთიერთის განზრახვასა. ანტონიმ ჰკითხა: „სასურველო ჟინევრა, განმიცხადე განზრახვანი შენნი, გინდაა დატეგება ჩემი? არა გსურს შენს მეუღლესთან წარსვლა?“ ჟინევრამან უპასუხა: „ანტონ! ახლა მაგაზედ არა არს საქმე, მე ძალიან შორს ვარ აზრისა ამისგან, უკეთუ შენთვის არა წინააღმდეგომ არს, მსურს, რათა შევწირო დანაშთენი დრო სიცოცხლისა ჩემისა შენთვის“. — ანტონიმ: „როგორ? შეიძლება, ჟინევრა რომ ჩემი მეუღლე შეიქმნას?! ოჰ! მაშინ მე ქვეყანაზედ ვიქმნებოდი ფრიად ბედნიერი კაცი!“. „მეგობარო ჩემო! ნუ შესწუხდები დაბრკოლებათათვის; მე გაიმბობ შენ რააცა საჭირო არს, რათამცა დავიმტკიცოთ კავშირი ესე. გამიგონე მე: ყოველთავე იციან, რომელ პირველმან ქმარმან ჩემმან ფრანჩესკომან დამმარხა მე; მაშასადამე, ყოველივე დასრულდა სიკვდილთან. სიკვდილი ღაარღვევს ყოველსა კავშირსა და მოკიდებულებასა ნათესავთასა. და ესრეთ, ანტონ, თუ შენ გიყვარვარ მე, მაშა ერთი სიკვდილი გაგყვარის მე და შენ, სხვა არა რაჲ. ჩქარა წადი ეხლავე მღვდელთან. ოდესაც სიყვარული შეგვკრავს ჩვენ, მაშინ შეგვეძლება დაფარვა კავშირის სიმტკიცისა, თუ გინდ საქმე მივიდეს ეპისკოპოსთან“.

ოდეს მოაწერეს ხელი ქორწილის პირობას და ტურფად საყვარელნი დაინიშნენ, ანტონიმ უთხრა თვისსა საცოლოს: „ახლა ძალმიძს ნაცვლად მაგის სამოსისა, რომელიც გაცვია, რათა გთხოვო სხვა ახლის ტანისამოსისა ჩაცმა?“ საცოლომან მიუგო: „კარგი, მეგობარო ჩემო, მაგრამ თუ გინდა დავალება ჩემი, მაშ მე გთხოვ, რათა წახვიდე ფრანჩესკოსთან“, რომელმანცა დამმარხა მე ცოცხალი, რომელმანცა უარმიყო მე შემწეობასა შინა; თუ მე ვარ სასურველი შენი, როგორც უნდა ღარდეს, იყიდე მისგან ყოველი ტანსაცმელი ჩემი, რომელიც დარჩა“. მასთან ანტონიმან სთქვა: „იყავ განსიგნებით, სასურველო ჩემო, ესრეთი რა იქმნება, რომელ მე არ ვისურვო შენთვის და არ შევწირო ყოველივე სასიამოვნოდ შენდა“. მართლად მაშინვე წარვიდა ფრანჩესკოსთან, მოისყიდა მისგან ყოველნი ჟინევრის ტანთ სამოსნი და მოუტანა თვისსა საცოლოსა.

შემდგომ რაოდენისამე დღისა ჟინევრა, ელვარე სიყრბითა და შეენიერებითა, წარვიდა ხარების ეკლესიასა შინა, რომელსაცა გაჰყვა ანტონის დედა და მოახლე. მაშინ იყო კვირა დღე. და ამ დღეს დანიშნულთ უნდოდათ შეფიცება ერთმანეთისათვის საუკუნოს სიყვარულსა ზედა. რას წამსაც გამოვიდა ქუჩაში და გადადგა რაოდენიმე ბიჯი, მაშინვე ყოველთავე ფლორენციის ჩინებულთა, რომელთაც კი ნახეს იგი, მიაქციეს მასზედა ყურადღება. თვითოეული მათგანი წარმოიდგენდა თავსა შინა თვისსა გამოცნობასა; ეს ცოტაა, პირის სახე მიაშვავსეს გარდაცვლილს ჟინევრასა, მრავალნი ამტკიცებდნენ, რომელ მას აცვია

• აქ და ქვემოთ ხშირია: ფრონჩესკოსი ფორმა.

უწინდელი ქორწილის ტანისამოსი, რომელსაცა შინა! ფრანჩესკო აღო-
ლანტიმ მიიყვანა იგი წმიდის მიხეილის ეკლესიაში, სადაცა მათ დაიწე-
რეს ჭვარი. მოხალისენი გაუვლიდნენ წინ და უკან მახლობელ მისსა ჯა
უმეტეს დაერწმუნებოდნენ სიმართლესა თვისთა გამოცნობათსა.

უეცრად ჟინევრის დედამან გაიარა იმ ქუჩაში. პირველად იგი გან-
ცვიფრდა და ვერღა შეიძლო სიტყვისა გამოთქმა; შემდგომ დაიყვირა:
„ვინ იტყვის, რომელ ეს ჩემი ქალი არ იყოს!“ რაოდენ უახლოეს მივი-
და იგი, ესოდენ უმეტეს ჰსცნა შვილი თვისი. დასასრულ, არღა იყო
იქვენულ, არამედ მეტად შეწუხებულ; ჰსთქუა თავის თავად: „ჰო, ეს
ის არის!“ განკვირვებამან და იმედმან რაოდენსამე წამს შეუკრა მან
ენა; უკანასკნელ, ჰსურდა რა ნამდვილად დარწმუნება, შესაძრწუნებე-
ლი ხმით. უთხრა ჟინევრას: „სასურველო ქალო ჩემო, შენ გხედავ მე!
შენ ცოცხალი ხარ? ვითარ აღსდევ შენ?“ გარნა ქალმან არა განუცხადა
არცა სიხარული, არცა მწუხარება, ჩუმად გაიარა ახლოს მისსა.

გუნდი მოსურნეთა უმეტეს განმრავლდა. ამბავმა ამან სრულიად
ქალაქი შესძრა². ფრანჩესკო აღოლანტიმან შეიტყო ესე და ძლით გა-
ატანა იწროში საშუალ გუნდისა და მართლად ჰსცნა ცოლი თვისი, რო-
მელიცა დამარხა ამას წინათ. მივიდა რა ჟინევრასთან, ჰკითხა: „საიდამ
მოსულხარ და ვინ გამოგიყვანა საფლავიდამ?“ მას წამსა გამოცხადდა
ანტონიცა, რომელიცა ჰსწუხდა მოშორებასა თვისისა საცოლოჰსასა,
გამოვიდა ეკლესიიდან, რათამცა ნახოს იგი. ჟინევრამან მიჰხედა მას
და ფრანჩესკოს უთხრა განსვენებულის და მტკიცის ხმითა: „რასაკურ-
ველია, რომელ არა თქვენ მიერ განთავისუფლებულ ვარ საფლავიდამ.
წინააღმდგომ მისსა თქვენ დამმარხეთ ცოცხალი. მხოლოდ ერთისა გან-
გებულებისა მიერ ვალდებულ ვარ დაფარვისათვის ჩემისა სიცოცხლისა.
სასურველი ჩემი ანტონი რაგიმტკიცებთ თქვენ ამას. თქვენ გინდოდათ
მოგეკალით მე. მე გავიარე თქვენს სახლთან, ხოლო თქვენ განმაგდეთ
მე. ტყუილია? — და ესრეთ დამიტევეთ მე, მე თავს ვიდე, რათა არღა
შემოვიდე თქვენს სახლში“.

დედა ჟინევრისა ჰღვრიდა ცრემლთა საშუალ ორისა ქმრისა. ანტო-
ნი აპირობდა დამტკიცებასა ახალთა თვისთა კანონთასა; ამის შორას
ფრანჩესკოს, განკვირვებულსა და შეწუხებულსა, მოაგონდა სიმწარით
ორი შეცდომა თვისი, რომელმანცა მოაკლო იგი მეუღლესა... მან გა-
ნიზრახა ეპისკოპოსთან წარსვლა და წარდგენა საქმისა ამის სამსჯავრო-
სა შინა მისსა.

მართლად, მან მისცა საჩივარი. ჟინევრას ებრძანა გამოცხადება არ-

1 ქუჩანალში არის: ბინა.

2 არის: შეიძრა.

ჩიებისკობოსთან. წარმოგზავნილთან პასუხი მისი იყო: „კარგი. მე წარ-
ვუდგენ მათს უუსამღვდელოესობას ყოველთა დამტკიცებათა ჩემთა“.

მსწრაფლად წარსდგა იგი წინაშე ეპისკოპოსისა. აღმოებილი და მდი-
დარი მორთულობა უმეტეს აღამაღლებდნენ შვენიერებასა მისსა. შემ-
დგომ ჩვეულებითის ქცევისა, იგი მიიქცა არხიეპისკოპოსთან: „თქვენმა
უუსამღვდელოესობამან მიბრძანა გამოცხადება წინაშე თქვენსა?“ —
„ღიახ“, მიუგო არხიეპისკოპოსმან: „მითხარ, შეილო ჩემო, რაესათვას
არ გინდა ცხოვრება პირველს შენს ქმართან?“ მიუგო ქალმან: „ღირსო
არხიეპისკოპოსო, აჰა მიზეზნი ჩემნი, რომელთა გამოცა ძალგიძსთ ჰსჯა,
ღირს არიანა პატივისცემისა თუ არა“. აჰა ჟინევრამან მიუთხრა მას ყო-
ველივე წვლილად: სიკვდილი თვისი, დამარხვა, გამოსვლა საფლავიდან,
ამაონი თხოვანი, რომლითაცა მივიდა თვისს ნათესავებთან და ქმართან,
დასასრულ, სამწუხარო მდგომარეობა თვისი, რომელიცა შეემთხვა სა-
შუალ დამისა და დადიოდა ფლორენციის ქუჩებში. ევალდცა ჰსთქვა:
„უმეტეს ორისა საათისა მიმოვიდოდი ქალაქში, მსუბუქი საცმელით,
გაყინული სიცივისაგან, მოუძღურებული დაღლილობისაგან ვგვრძნობ-
დი, რომელ უნდა მომკვდარვიყავ იმ დამეს ქვაფენილზედა, გარნა გან-
გებულებასა ენება ჩემდამი აზრისა მოცემა ანტონისათვის, რომელიცა
მრთელს ოთხს წელს განმიცხადებდა ნიშანსა უმწვევრვალესისა მოკი-
დებულებისასა. მე მივიღე უკანასკნელი ძალისხმევა და როგორც იყო
ძლით მივაწივე იმის კარებადმდე, მიუცილებელად მოვკვდებოდი, უკე-
თუ მას არ ეჩვენებინა სტუმრის მოყვარება. მან მიმიღო და მომიქცივა
სიცოცხლე; ახლა განსაჯეთ“.

ფრანჩესკოს მიუწოდეს პასუხისათვის, გარნა ვერა რაჲ სთქვა განსა-
მართლებლად თავისა. მან მიიღო უარი არზასა შინა, ამისთვის რომელ
სიკვდილთან აღისპობის ყოველნი კავშირნი. უბედური ესე ვერა დად-
გა ფლორენციასა შინა, მან მსწრაფლად დაუტევა ქალაქი ესე და დაჰ-
წყვდელუპყო თავი თვისი ერთსა შინა მონასტირთაგანსა. ამას შორის
ანტონიმან და ჟინევრამან, რომელთაცა ბედმან ძლიერად აღძრა არქი-
ეპისკოპოსი, იქორწინეს და გრძლად დასტკებობდნენ ურთიერთის ბედ-
ნიერებითა და პატივისცემითა თანამოქალაქეთაგან.

უ მ ა ნ ა ო მ ა ზ

სიხარული ჰბრწყინავს თვალთა შინა მისთა. — იგი განიღიმავს მსგავ-
სად გაზაფხულის დილისა. — ბრტყელსა შუბლსა ზედა მისსა გამოიხა-
ტების სულიერი სიმშვიდე და განსვენებულება. — დაუქნობარნი ვარ-
დნი და ზამბახნი ჰყვავიან მის დაწვთა ზედა. — ახოვნება მისი ემსგავსის
სწორესა შტოსა ნარნარის ნარგიზისასა. — ცელქნი ნიაენი გარემო შე-
ფრფვინვიან მას, შემოსენ ლბილსა, სპეტაკსა სამოსსა და მასზედა აფრ-

ქვევენ განშლალთა თმათა მისთა. დაგვირგვინებული გორიაციის ყვავილ-
თა მიერ უმანკოება იგი მღვიძარედ მოგზაურობს ქვეყანასა ზედა კურ-
თხელსა; ქარიშხალნი და წყვდიადნი განველტიან მას. გესლიანნი
გველნი ვერ კაღნიერ იქნებიან, რათა უკბინონ მას ფერხთა ზედა;
ეკალნი ლბილდებიან ქვეშე ტერფთა მისთა; ზეციერი სახიერება გარდ-
მოითხვევის მის წინაშე სხივთა შინა მზისათა.

ოდეს მოკვდავნი ემორჩილებოდენ ხმასა კეთილმოქმედის ბუნებისა-
სა და ცხოვრებდნენ სიყვარულსა შინა, სიმშვიდესა, მყუდროებასა, მა-
შინ უმანკოება მკვიდრობდა ქვეყანისა ზედა, სეირნობდა მწვანეილო-
ვანთა ველთა ზედა მწყემსთა თანა, თამაშობდა და იმღერდა გუნდთა ში-
ნა მათთა. ხოლო ოდეს კაცმან ჟამსა ცთუნებისასა, წარსაწყმედელსა მას
დროსა, ინება ყოფად უბრძნეს ბუნებისა, მაშინ უმანკოება უკუნევე იქ-
ცა ცათა შინა, თვისსა სამშობლოსა. მის დროადგან უკვე იშვიათად ეწ-
ვევის იგი ქვეყანასა და იშვიათად ხილულ ექმნების თვალთა მოკვდავი-
სათა.

ე ლ ე ნ ა

ა ნ ე კ დ ო ტ ი ა ნ უ ღ ი რ ს ს ა ხ ს ო ვ ა რ ი შ ე მ თ ხ ვ ე უ ლ ე ბ ა
ა თ რ ვ ა მ ე ტ ი ს ა ს ა უ კ უ ნ ო ლ ს ა .

ელენა და ამირან იყვნენ შერკულნი სიყვარულის კავშირითა. ელენას
მამასა ომანსა ამირანმან ჰსთხოვა ქალი მისი, რომელსაცა პრაცხდა
უკვე თვისს მეუღლედ; გარნა ომანმან უარჰყო წინადადება ამირანისა,
ვინაჲდგან ხარისხსა ღირსებისა თვისისასა განავრცელებდა ფრიად შორს
და პრაცხდა უმაღლესად! ქალსაცა თვისსა აღუკრძალა, რათა არაოდეს
იხილოს საყვარელი თვისი. განწირულებასა შინა ამირანმან ჰპოვა ღო-
ნისძიება ელენას ნახვისა და საუბრობისა. მან განუცხადა ყოველი სურ-
ვილი მწუხარისა გულისა თვისის[ა]; ამირანმან უთხრა ელენას: „თუსა-
დამე ჯერ მიჩნს მე დაკარგვა შენი, მაშა თავიცა ჩემი უნდა დაიკარგოს;
დავუტევებ მამულსა ჩემსა და ვეძიებ სიკვდილსა მხედართა შორის რომ-
ლისამე სახელმწიფოჲსათა“. — შეწუხებული ელენა ფრიად მეცადი-
ნობდა, რათა დაატევიდნოს ჰაზრი იგი, ესაუბრებოდა თვისისა სიმწა-
რისათვის; გარნა არა-რამ შემძლებელ იყო შერყევად ამირანისა. უბე-
დური ქალი ართმევს მას ხელსა, უვსებს ცრემლითა და მიიკრავს გულსა
ზედა თვისსა, შეჰხედავს მას სიტურფითა და ეტყვის: „ამირან! მიპასუ-
ხე: რამ ვჰყო?“ — „შემომიღეგ მე, დაიყვირა მან, გამოიქეც ფიცხე-
ლს მამისაგან, რომელიცა ქალსა თვისსა ამსხვერპლებს გულისთქმათა
თვისთა; განვაგეოროთ წინაშე მეუფისა ფიცნი, დამტკიცებულნი ბუნე-

„ზითა!“ განამეორა მან სიფიცხით თქმა: „ელენა! ჩვენ ვშობილვართ ურთიერთისათვის. შენ ძალგიძს ორგულება და არა დავიწყება ჩემი? შენ ბრალეულ იქმნები და უბედური და მით მოასწრაფებ სიკვდილსა ჩემსა!“ ხმა მისი დაყრუვდა გოდებითა: დაღუმდა იგი და იჩვენებოდა, რომელ იდგა გაქვაებული. ელენასა ესმა ხმა გაქცევად და დატევებად სახლობისა, ვაებითა უკუნ აქცია ხელი ამირანისა და შეიქმნა იგიცა მსგავსად მისსა, ვითარცა ქვა. ხმა ბუნებისა და კვნესანი სიყვარულისანი ჰგლეჯდნენ სულსა მისსა: სახესა ზედა მისსა ჰსჩნდნენ ჭიდილნი გულისანი. დასასრულ, გამოართვა მან ამირანსა ხელი და, თვინიერ არცა ერთისა სიტყვისა, ორნივე მიეფარნენ საფარსა ქვეშე ღამისასა. მეორეს დღეს წინაშე საკურთხევლისა განამეორეს მათ ხშირად მათ მიერ წარმოთქმულნი ფიცნი ერთგულებისანი და შეერთდნენ კავშირითა ქორწინებისათა.

ომანმან ჰსცნა რა გაქცევა ქალისა თვისისა, ყოველს მხარეს წარგზაუნა კაცი, რათა ეძიონ იგი და სადაცა იყოს, ჰპოვონ. შესაღტოღველი უბედურისა ქალისა ცხად იქმნა. იგი მოაქციეს მშობლის სახლად. მოწყლულსა, მოუძღურებულსა ამირანსა ამოდ ჰნებავდა დაფარვა სიყვარულისა თვისისა. იგი უმზერდა, თუ ვითარ მტაცებელთა მიერ მისთა მიორთეოდა ელენა, განსისხლებულთა ხელთაგან მისთა გამოგლეჯილი.

მთრთოლარე, ფერმკრთალი, ვითარცა მკვდარი, ელენა წარსდგა წინაშე განრისხებულისა მშობლისა. ელენას არა ძალედვა ატანად შეუწყალებელისა რისხვისა მისისა. სიძულელი, რომელსაცა უჩვენებდა მამა, იყო ათასწილ საზარელ, ედრელა თვით რისხვა იგი. ამპარტავანი და მოუდრეკელი კაცი ესე ჰსტაროდა უპატიობებასა ზედა თვისსა ცრემლითა ძლიერისა სიმამფრანსათა და ჰფიცავდა, რომელ წინაშე თვალთა ქალისათა შეაჭერებს გულსა თვისსა სიკვდილითა მისითა, რომელსაცა უწოდდა იგი მამაცთუნებელად ქალისა. ამირან ფარულად ცნობილ იყო ყოველთათვის ელენას მიერ. იგი ჰსტხოვრებდა მახლობელ საყვარლისა თვისისა და ხმა ჰყო მსწრაფელ ყოველგან სიკვდილისათვის თვისისა.

ამას შორის, შეენიერსა მეუღლესა ამირანისასა გულსა შინა ტვირთულ აქვნდა ნაყოფი საიდუმლოჲსა ქორწილისა მათისა. თუმცადა აქვსდა შიში შეუძლებლობისა დაფარვად თვალთაგან სახლობისათა მდგომარეობა თვისი, გარნა იგი შეიცვლებოდა ტკბილის მოლოდებითა, რომელ შეიქმნება დედად და მისცემს მეუღლესა თვისსა წინდსა უბედურისა სიყვარულისასა. ელენა ჰკრძნობდა მოახლოებასა ამის წამისასა და შეხედდა მამისა განაწითლებდა მას, თვით შიშიცა გამოცვლილ ჰყოფდა მას. სნეულება, რომელიცა მიიღო ელენამან მრავალთა ვნებათაგან, განუტხადა სახლობასა და ჰსთხოვა მამასა, რათა ნებაპართოს წარსვლად გარდაცვლილისა დედისა თვისისა ერთს მეგობარს ქალთან,

რომელიც იყო სარწმუნო მონაწილე ვაებათა შინა მისთა და საკუთარი იმედი მისი. მამა ელენასი თანხმა იქმნა გაშვებასა ზედა მისსა მბოლოკ ამისათვის, რომელ დარწმუნებულ იყო სიკვდილსა ზედა ამირანისასა.

მუნ, მყუდროებასა და განზხოლოებასა შინა, ელენამან შვა ძე. ქეშ-მარიტი გამოხატულება მეუღლისა თვისისა. დღენი მისნი მიმდინარეობდნენ ყრმის აკვნის გვერდზედ; მას ჰსურდა აღზრდა მისი კაცთაგან მოშორებით; ესე იყო ნაყოფი დევნულის სიყვარულისა; თვით აწობდა მას ძუძუსა და ხშირად ცრემლითა დასველებულ ჰყოფდა* მას. ოდესმე შემწეობითა ღამისათა ამირანი გაჰბედვიდა ნახვასა ელენასასა საცხოვრებელსა შინა მისსა. მაშინ ელენა არწმუნებდა მას წინდსა ურთიერთობისასა, ღამაზისა შეილისასა. მეუღლენი ჰკოცნიდნენ ყრმასა მას, ჰგოდებდნენ ერთად უბედურებასა, მიწეულსა დროსა შობისა მისისასა. „საყვარელო ყრმაო!“ ეტყოდის ელენა ხმითა მით მოწყულის სული-სათა, რომლისაცა სმენა შეუძლებელ არს თვინიერ ძლიერისა გულითადისა მომრობისა: „იცხოვრე უბედნიერეს დედისა შენისა! ვილოცავ ღმერთსა, რათამცა ფიცხელი სვე, რომელიცა შემომიდგა მე, არ იყოს მონაწილედ დღეთა შენთა!“ — უძრავი, აღტაცებული ამირან მოეხვეოდა მეუღლესა თვისსა და თავსა თვისსა ბრალეულ ჰყოფდა ელენას სიმწარეთა შინა. ხოლო ელენა ნუგეშსა ჰსცემდა მას სიტურფითა და პასუხუგებდა კვნესასა ზედა ღიმილითა, შერეულითა ცრემლითა თანა.

განვლო რვა თთვემან იმ დროიდგან, რაც ელენა ჰსცხოვრებდა სოფელსა შინა. აუწყეს, რომელ ვინმე ნათესავთაგანი მოვალს სანახავად იწყო ჭებნა ადგილისა, სადაცა უნდა დაჰფაროს დროებით ძე თვისი. ერთსა საღამოს გვიან, რაბამ ამირან გამოვიდა, ელენას შეესმა ხმა მისი შერეული მძაფრისა ყვირილისა და მუქარისთანა მამისა მისისა. მას ეგრეთვე შეესმა თოფის ხმაცა!.. ძლიერად უცემდა გული ელენასა. სხვა არარაჲ წარმოუდგებოდა თვალთა მისთა, გარდა სახისა მეუღლისა, ხელითა მამისა მისისათა ვითამც მოკლულისა. „ამირან, ჩემი ამირან მოკლულ არს! ოჰ იგი მოკლულ არს. უბედური!“ განამეორებს იგი უბედური განწირულებასა შინა. ციებრს თრთოლა გაერთვის სხეულსა მისსა; განმსჯელობა აღრეულ არს, იგი არღა არს გრძნობასა შინა: არღა იცის, სადა მყოფობს... მსწრაფლ შემოისმა კარების რახუნნი. ესე არს მამა მისი. საით გაიქცეს?.. სად დაიმალოს?... ვითარ მოაშოროს მხედველობანი მისნი ყრმისაგან, რომელიცა უჭირავს მას ხელთა შინა?.. ელენა ისწრაფვის გაღებულს ფანჯარასთან, უნდა გარდახტომა, გარნა შფოთსა და გონების შეშლასა შინა მყოფი აგდებს მუნ უბედურსა შვილსა...

გარდახლომისაგან! შეძრწუნებული ელენა მოვიდა გონებაზედ:

* ეურნალში არის: დაკლებულ ჰყოფდა.

1 ეურნალში არის: გარდახლომისაგან.

მიჰვარდა ფანჯარას და ამოუშვა საზარელი კენესა. კარები გაიღო. მამა შემოვიდა მასთან. ამ წამს ელენა დაბარბაცდა და წარიქცა უგრძნოდ წინაშე ფერხთა მამისათა, მამა მოუწოდს კაცთა, ამათთან იგიცა ცდილობს გარემო ქალისა თვისისა, აძლევენ სასუნებლად მაგართა სპირტთა და თვალნი მას¹ მცირე-მცირედ აღეხილვიან. უძრავ არს, არა მთქმელი არცა ერთისა ლექსისა, შევალს იგი ღრმასა ზრახვასა შინა. დასასრულ წუხილი მისი მიიღებს უწინარესსა ძალსა. ჰხედავს, რომელ მუნ მყოფთა ჰსურსთ მისთვის ძილი, ვითარცა არს თვით უკეთილესი შემსუბუქება, იგი მიიფარვის და, რასწამსც მხილველნი მისნი მძინარედ გამოვიდნენ ყოველნი მუნთგან, მძრწოლარე ყოველთა წევრთა მიერ ვარდება მოაჯირილამ ვითარცა უგუნური. აზრი მისი იყო, რათა ჰპოვოს ლეში შეილისა თვისისა. უბედური ჩივილი, ქვასა ზედა დაცემული, ჰსცურავდა სისხლსა შინა თვისისა. ეამსა ამას სახილველისასა მუხლნი მოედრივნა მას, კვალადცა გულს ეყრებოდა, გარნა იხმია ძალი, ადგა, აიღო სისხლმოხვრილი სხეული შეილისა, აკოცა, შეახვია ჩადრში და ტვირთითა ამით მიისწრაფა უუმახლობელესსა ქალაქსა.

ელენა, მივიდა რა მუნ, წარსდგა წინაშე შეკრებულთა მსაჯულთა. ფერმკრთალმან. განსვრილმან სისხლითა ძისა თვისისითა დაიყვირა: „აჰა“ — მოჰხადა ჩადრი და უჩვენა მათ მოკლული ყრმა. „აჰა, ყრმა ესე არს შეილი ჩემი, მე ვარ მკვლელი მისი; მე ვარ, მსაჯულნი! აღასრულეთ თანამდებობა თქვენი: დამსაჯეთ მე ამისთვის.. შურ აგეთ დედასა!“ სახილველსა ამას ზედა მსმენელნი საკვირველთა ამით სიტყვათანი, უძრავნი და შიშისაგან დამუნჯებულნი მსაჯულნი იდგნენ მდუმარედ. ელენა მოუთხრობს მათ ბრალსა თავისა თვისასა და ჰთვარავს გარემოებათა, განმალავიძებელთა ქმნად გარდახდომილებისა, რომელნიცა განამართლებდნენ მას, იგი აიძულებდა მსაჯულთა მსწრაფლისა აღსრულებისათვის სასჯელისა, ჰსჩიოდა უსამართლოებასა ზედა სჯულთასა და მოუწოდდა დასჯასა, რომლისაცა ღირს იქმნა.

წამსა მას შევალს ელენას მამა. რა ესმა ელენას გაქცევა, იგი შეუდგა კვალსა მისსა. შევალს და ვითარი სახილველი წარმოუდგების თვალთა მისთა?... ქალსა ჰხედავს საშიშარსა განწირულებასა შინა, რომელიცა ბრალეულჰყოფს თავსა თვისსა მკვლელობასა შინა, დასამტკიცებელად ჰეშმარიტებისა წარადგენს სისხლსა შინა მოსვრილსა სხეულსა შეილისა თვისისა!... ელენამან იხილა რა მამა, შეძრწუნდა², მოაშორა თვალი და პირზედ დაიფარა ხელი. ომან მიახლოვდების, უბედურს ქალს უნდა გაქცევა და წარიქცევის უგრძნოდ. მოსურჩიელდა რა, მოითხოვა მან, რათა მამა მისი მოაშორონ. დაჰმორჩილდა იგი და განწირულებასა

¹ არის: ას.

² არის: შეწრძუნდა.

შინა ჰსწყევდა ჟამსა თვისისა შობისასა და გარდამეტებულსა სიფიცხესა თვისსა.

ამას შორის¹ მსაჯულნი მეცადინეობდნენ, რათა ცხად ეყოთ ჳეშმარიტება მისი, რომელიცა აღიარა ელენამან წინაშე მათსა. თუმცაღა მათ ძალედვით, რათა ეპოვათ საქმესა ამას შინა გარემოებანი, რომელიცა განმართლებდნენ ელენასა წინაშე კაცთა, გარნა არა ძალედვით განმართლება წინაშე სჯულისა. ეკვნი მათნი მსწრაფლიად გარდასწყდნენ: ვაე-ბით იხილეს მათ შწარე ჳეშმარიტება.

ამბავი უბედურისა ელენასი განვრცელდა ყოველგან. ამირანმაცა სცნა ესე, რომელსაცა პირველად არ ერწმუნა იგი. გარნა შეძრწუნებულ² და შეწუხებული მივიდა საპყრობილესთან და ჰსთხოვა ნებართვა მეუღლისა თანა ნახვისა. ქალი იგი უჩვენეს მას. დროსა ნახვისასა ესოდენ საყვარელისა მისისა, რომელიცა იყო სახით შეცვლილი და ფერმკრთალი, ამირანი შეიქმნა მსგავსი ყინულისა და ყოველსა სხეულსა მისსა დაუარა ციების თრთოლამან. შემდგომ მივიდა რა ამირან გონზედ, მოინდომა რათა მივიდეს ელენასთან ახლო. ხოლო ელენამან ხმაჰყო: „ნუ მოხვალ! ნუ მოხვალ ახლო. ესე არა არს ელენა, ესე არა არს შენი უწინარესი მეუღლე, შენი საყვარელი. ესე არს მკვლეელი ძისა შენისა! ივლტოდე უბედურისაგან, რომელიცა ღირს არს სიკვდილისა. ივლტოდე, რათამცა სასჯელმან ჩემმან არა წარბყვილოს შუბლი შენი!“ ძლით გასაგონად კვალადცა ჰსთქა მან: „მართლად, მე ღირსი ვარ სარცხენიელისა ამის სიკვდილისა. ყოველთა მიერ შესაძლებელ ვარ მე. აფლავი ჩემი უნდა იყოს წყეული და გინებული. გარნა, ამირან! მომიგონებდე... ოჰ!.. შენ გამოხველ კარში შემდგომ მოხვევისა ჩემისა და მე შემომესმა ხმა შენი და მამისა ჩემისა ყვირილი და ბგერა თოფისა; მეგონა, რომელ განახავდი მოკლულსა, თვალნი ჩემნი დაბნელებულ არიან. მე მეკარგვის განსჯა... ღმერთო! ღმერთო დიდო!... მე არა ძალმის შევასრულო... შენ იცი, რომელ ერთის დღის სიცოცხლისათვის შვილისა ჩემისა მივსცემდი ათასს სიცოცხლეს!..-ამირან! ოდესმე სათნოებანიცა ჩვენნი შეგვიცდებიან.. ბოროტმოქმედება უნდა დაისაჯოს...“ ამათ სიტყვათათანა თვალთაგან გარდმოსდიოდა ცრემლნი და არღა შეეძლო უმეტეს ატანა ამირანის მყოფობისა, მან ჰსთხოვა, რათა მიაქციონ თვით საპყრობილესავე შინა.

ამას შორის სათნოებასა ზედა, ბრალეულსა ზედა გარდახდომასა შინა, უკეთუ ესე იწოდების გარდახდომად, სამართალი იწარმოებდა თვისითა წესითა. უბედური მამა ფუჰად წარაგებდა ფულთა დაფარვისათვის; ამოდ ცდილობდა მეუღლე ქალისა და ხმარობდა ყოველთა დო-

¹ არის: შარის.

² ეურანალში არის: შეწრბუნებული.

ნისძიებათა, რომლისაცა განწირულებისა და ვაებისაგან მსაჯულნი შეძრწუნებულ იყვნენ; გარნა სჯული შეუწყალებელ იყო და ბრალეულ ჰყოფდა ელენასა. იგი თანამდებ იყო დამორჩილებად. მსაჯულთა ცრემლით წარუკითხეს განჩინება, რომელსაცა შინა ითქვა სიკვდილი ელენასი.

ვითარ გამოეხატოთ უნუგეშობა ნათესავთა და განწირულება მამასა, შეიწროებულისა სიმწარეთა და ვნებათა¹ მიერ? ელენა იყო დამსწრედ ვაებათა ამათ. მწარენი ცრემლნი და კვნესანი მათნი განჰკლეკდნენ უბედურებითა მოწამლულსა გულსა. გამოთხოვანი იყვნენ აღსაძვრელნი. აჰა სიტყვანი უკანასკნელ წარმოთქმულნი, რომელნიცა საუკუნოდ მიიფარვინ: „მომიტევე — იტყოდა ელენა — მომიტევე, მამაო ჩემო, უკეთუ უპატიო ვჰყავ კეთილშობილი სისხლი შენი! ცთომამან სიყვარულისა და სიყრმისამან შემიყვანეს დაკარგვასა ამას შინა. უბედურო მშობელო ჩემო! მე ურჩ ვიქმენ შენი, ამას შინა მღვდომარეობს უმთავრესი გარდახლომა ჩემი. ცამან დამსაჯა მე მისთვის, რომელ შევიქმენ მკვლელად... ვაჰ! ამას ველოდი მე?... გარდახლომისათვის ვივინებ მე ფიცხელად! სისხლსა უბრალოდ დათხეულსა შურ ეგების! ოჰ შეილო ჩემო! ოჰ, მშობელო ჩემო! დაივიწყე სიმწარე ჩემი და გარდახლომილება, ცხოვრება ჩემი და უპატიო ხსენება! ნუგეშად შენდა იქმნების და ჩემი: იცხოვროს მან კეთილგულისხმიერად და ბედნიერად, დამან ჩემმან წარბალოს სახსოვარიდამ მამისა ჩემისა, რომელ ვცხოვრებდა მე უბედურებისათვის მისისა და მოვჰკვდი ბრალეულად“.

განწირულებასა შინა მამა და და წარიქნენ და მოეხვიენენ უბედურსა ელენასა, რომელიცა აგრეთვე მოეხვია მათ ნარნარად და ჰყოლებდა მწარედ.

უუმწვერვალესმან სიყვარულმან მგრძობელისა სულისამან და აა უბედურომან მეგობრობამან ელენას მოაგონეს და თვალნი მისნი ეძებდნენ გარემო თვისსა მას, რომელიცა მიეცა საუკუნოსა ვნებასა ნაცვლად ბედნიერებისა, გარნა ამირან არა სადა სჩანდა. რას მივაწეროთ უმყოფელობა მისი?... ნუ უკვე იგი ელენას დაუტევებს წამსა ამას ვაებითსა, წამსა მას, ოდეს მეუღლე მარადის ეკარგვის?... ელენას აღდა ძალედვა მოთმენა უმყოფელობისა მისისა. იკითხა მან მეუღლე თვისი. არავინ პასუხუგო, ელენამან ჰსცნა მდუმარება ესე. ამირან აღარსად მყოფობს... მაშინ კვლადცა ბოროტ-შემთხვეულსა წარმოუდგა ბოროტ-მოქმედება, რომლისაგანცა შთავარდა იგი საფლავსა შინა და საყვარელი ამირანიცა მისი. მოგონებამან ამან სული მისი აღაშფოთა. აწინდელთა ვაებათა გულისათა მხოლოდ აწ განიღვიძეს სულსა შინა ელენასა.

მოვიდა ეამი სასჯელისა. ელენა ემზადებოდა სიკვდილისათვის. მრავალი ერი შეკრბა ასპარეზსა ზედა. მხილველნი უბრალოდ ბრალეულნი

¹ ეურნალში არის: კბენათა.

სა შეწირვისანი დრტვინივიდენ ფიცხელობასა ზედა განჩინებისასა. ელენა არღა ჰსცემდა ნუგეშსა თავსა თვისსა დროსა უკანასკნელისა ჟამისასა, აღვიდა მალლობსა ზედა, სადაცა ჯერ არს დასრულება სიცოცხლის მისისა, სადაცა განუღვიძებელსა ძილსა შინა გული ვნებულისა ჰპოვებს განსვენებასა. ელენამან მიაქცია მხედველობა თვისი ცას და წარმოსთქვა სასჯელის ადგილიდგან უკანასკნელნი სიტყვანი ესე: „ერო! მე დაბადებულ ვარ სათნოებითისა სიცოცხლისათვის, ხოლო ვკვდები ბრალეულად მკვლელობასა შინა! გული ჩემი მარადის განშორებულ იყო გარდახლომილებისაგან, ხოლო ხელმან შეასრულა ბოროტმოქმედება, რომელმანცა შეძრწუნებულ ჰყო ბუნება! მე მზად ვიყავ მიცემად ათასის სიცოცხლისა ერთისა ცრემლისათვის ძისა ჩემისა, გარნა თვით სისხლითა მისითა მოვისვარე! ოჰ! რომელი სათნოებიანი კაცი იტყვის, რომელ იგი მარადის იქმნების კეთილმოქმედი?.. ვის ძალუძს შემთხვევასა ზედა პასუხგება? ძალუძსა ვისმე დარწმუნებულყოფად მას შინა? მე ვიყავ მშვიდი და უბიწო; კეთილშობილური და უბრალონი გრძნობანი გამოხატულ იყვნენ სულსა შინა ჩემსა; სიცოცხლე ჩემი მიმდინარეობდა წყნარად, გარნა მყის ცთომილებამან შემიყვანა დაკარგვასა შინა. სამლოთონი გრძნობანი, რომელნიცა ნუგეშსცემენ კაცსა, იყვნენ მიზეზად ყოველთა ვაებათა. ჟამი ჩემი მოახლოებულ არს, მე დავისჯები; თვით მე მოვიტხოვ სიკვდილსა, ღირს ვარ მე მისი, მსურს შევსწირო თავი თვისი სიმართლესა კაცთასა და არ ვიშიშვი სასჯელისაგან ზეციურისა: მან უწყის, ვითარ თუ ბრალეულვარ მე გარდახლომასა ამას შინა!“

„ჩემი ამირან იყო უბიწო.. — განაგრძელა ელენამან—იგი ღირს იყო სიცოცხლისა!.. გარნა იგი არღა არს!... ერო! იგი ჩემ მიერ უბედურ არს და სათნოება წარბყვილებულ არს ქცევითა ჩემითა. მე ვუტევებ უნუგეშოვ მამასა და დასა. ოჰ, სიკვდილო ჩემო, ნუ სირცხვილეულ ჰყოფ თავსა მათსა, ჩემთვის საყვარელს. სისხლო ჩემო, ნუ განჰსკერი უშებლსა მათსა. სისხლი ესე, მომზადებული აქარე დათხევად, ესეოდენ უბიწო არს, ვითარცა იყო ჟამსა დაბადებისა ჩემისასა... ნუ ჰსტირით ჩემთვის; ჰსტიროდეთ უბედურისა სახლობისათვის ჩემისა. შესწირეთ ნუგეშისათვის მათისა ცრემლნი, რომელნიცა გარემო ჩემსა თქვენ მიერ დათხეულ არიან. ნუ ჰსტირით სიკვდილსა ჩემსა: სიცოცხლე იყო უფრო ღირსი მწუხარებისა. ბრალეული ქვეყანასა ზედა, წარვსდგები უბრალოდ ცათა შინა, სადაცა ვპოვებ განსვენებასა და მივიღებ წიაღთა შინა შემოქმედისა ჩემისათა მშვიდობასა, რომელიცა ვერ ვიხელე კაცთა შორის“.

ესრეთ იტყოდა უბედური ელენა, რომელიც განქრა და პირსა ზედა შევნიერებისასა გამოჩნდა სასიკვდილო ფერი, გრძნობანი ძლიერისა ვნებისანი განცხადუნენ. ბრძოლასა შინა გულისასა ბუნებისათანა ნუგეშსცემდა მას უბიწო სული, მომზადებული წარდგომად წინაშე ღვთისა. სახენი ყოველთა კაცთანი, რომელნიცა უმზერდნენ, აღვსილიყვნენ

ცრემლთა მიერ; რომელნიმე ოხვრიდენ, ზოგნი ცდილობდენ თავისა თვისისა შეწირვასა, ნაცვლად მისსა. ყოველნივე ჰდრტვინვიდნენ სიფიცხესა ზედა მამისასა, მნებებელისა აღვირსხმად ბუნებოსა, რომლისაცა არეინ შემძლებელ არს წინააღმდეგობად; ჰსურდათ, რათა ბოროტშემთხვეული ქალი გამოეყვანათ სასჯელის ადგილიდგან და წინაშე უნუგეშოხსა მამისა მიეყვანათ, რომელიცა უკვე შენანებულყოფდა, გარნა ყოველნივე ამოდ მეცადინებოდნენ...

ერი აყვედრიდა მსაჯულთა, რომელთაცა განჩინებულჰყვეს სიკვდილი უბრალოხსა მის, რომელიცა ღირსი იყო უმეტეს სხვათა მიღებად ბედნიერებისა; იგი ჰდრტვინვიდა შეუწყალებელსა სჯულსა ზედა, რომლისა გამოცა ელენა მიეცა საუბედუროსა მსხვერპლსა წარწყმედისასა, ნაცვლად დასჯისა ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსრველთა¹, მსხვერპლსა, სული რომლისაცა თვით გარდახდომასა შინა დაშთა უბნწოდ და რომელიცა შეიქმნა ბრალეულად მხოლოდ დროსა განსჯის დაკარგვისასა; რომელმანცა თვით თავსა თვისსა დასდვა ბრალი და რომლისთვისაცა უნებლიეთი გარდასვლა ესე იყო ათასჯერ უფრო შესაძრწუნებელ, ვიდრედა სიკვდილი, რომელიცა მოელოდა მას. ამაონი სარჩიელნი... უსარგებლონი გლოვანი... წამი სამსჯავრო მოახლოვდა: ერთს წამს თავი ელენასი მოჰშორდა შევნიერსა სხეულსა მისსა — მან მიიღო სასჯელი, ვითარცა ნებთმან გარდამხდომელმან, ვითარცა საზარელმან გარდამხდომელმან.

ალმოსავლეთის ლიტერატურა

[1] ანაჰლოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულვა

ერთს ხელმწიფეს ჰყვანდა ერთი დიდი ვეზირი, რომელიცა ასრულეზდა თავის ვალს და დღე და ღამე ემსახურებოდა მას ფრიად ერთგულად. ერთხელ განიზრახა, რათა დაუტეოს მეფის სამსახური და შეუდგეს ერთს ღმერთს, ყოვლისა შემოქმედსა. რაოდენსამე დღეს არ გამოცხადდა იგი მეფესთან, განკვირვებული ქცევასა ზედა მისსა, შემოეყარა მეფე დიდსა ამას კაცსა და ჰკითხა: „რამ შეგემთხვა შენ, რომელ დამიტევე მე და ჩემი სამსახურიცა?“ მიუგო ვეზირმან: „მე დაგიტევე შენ ამისთვის, რომელ მე შევნიშნე ხუთი ჩვეულება შენი, რომელთაცა აწარმოვეს ჩემ შორის სიძულვილი შენი, ამის გამო თავს ვიდე, რათა შეეუღღე სამსახურსა ღვთისასა და ვეძიო ერთი ნება მისი“.

ხელმწიფემან ჰკითხა მას: „რომელნი არიან ხუთნი ესე ჩვეულებანი?“

¹ ეურნალში არის: მსვრელთა.

მიუგო ვეზირმან:

ა) „ყოველსა დროსა ჩემისა მყოფობისასა წინაშე შენსა შენ ყოველთვის იჯექ და მე კი ყოველთვის ვიდექ და გემსახურებოდი და არაოდეს მალირსებდი დაჯდომასა; ხოლო აწ ვემსახურები ესრეთსა არსებასა, რომელიც მაძლევს ნებასა ყოველთვის ჯდომად.“

ბ) ოდესაც შენ გეძინა, მე ვალი მაქვენდა გაგფთხილებოდი და დამეფარე, ხოლო აწ ვემსახურები არსებასა, ყოველთვის მღვიძარესა, რომელიც ერთს წამსაც არ დაიძინებს და თვით მე მფარავს.

გ) როდესაც შენ სადილზედ ჰბრძანდებოდი, მიირთმევდი ტკბილს საკმელებს და მე კი არაოდეს არას მომცემდი; ხოლო აწ ვემსახურები ესრეთსა არსებასა, რომელიცა თვით არას ჰსჯამს, არამედ მე მზრდის და მაკმევს. ღმერთი ყოველთა აძლევს არსების პურსა; ხოლო არავის ძალუძს მისცეს მას.

დ) მე ყოველთვის მეშინოდა, რომელ შენ მოჰკვდები და შემდგომ გარდაცვლისა შენისა არ ვიცოდი, რაა შემემთხვევოდა; ხოლო აწ ვემსახურები ესრეთსა არსებასა, რომელიცა არა მოკვდების: ღმერთი არს ყოველთვის ცხოველი და უკვდავი.

ე) მე მარადის მეშინოდა, რომელ უკეთუ რაშიმე შევსცდები, მაშინ მიმცემ მე ბოროტსა სიკვდილსა; აწ ვემსახურები ესრეთსა არსებასა, წინაშე რომლისაცა ათასჯერ რომ შევსცოდო, უკეთუ ერთჯერ მივაქცევ წინაშე მისსა თვალთა გოდებითა და ვჰსთხოვ მოტყეებისათვის ცოდვათა ჩემთა, მაშინ იგი მოუკლებელისა კეთილობისამებრ თვისისა მომიტყეებს ყოველთა ცოდვათა ჩემთა. ღმერთი ჰეშმარიტად ყოველთა ცოდვათა მოგვიტყეებს“.

2. [პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი]

უბნობენ, რომელ ბაბილონის მეფე პარუნ-ალ-რაშიდ მიდიოდა რა ერთჯერ სანადიროთ, ნახა ერთი მოხუცებული კაცი, რომელიცა მუშაობდა ბალსა შინა თვისსა და ჰრგავდა ნიგვზის ხესა. პარუნი მივიდა მასთან და ჰკითხა: „მოხუცო, რაოდენის წლისა ხარ?“

— „ოთხისა წლისა“, მიუგო მოხუცმან.

პარუნის ვეზირმან განრისხებით დაუყვირა მოხუცს: „როგორ ჰბედავ შენ უაზროთ თქმასა წინაშე მეფისა!“

მიუგო მოხუცმან: „მე უაზროდ არ ვამბობ, ვინააშთგან გონიერა ფრიად ადვილად მიჰხვდება, რომელ ცხოვრება, უგუნურებით ჩემ მიერ განტარებული დროსა სიყრმისა ჩემისასა, არ იწოდების ცხოვრებად; თანასწორ დროცა მყოფობასა შინა მანსურისა, შემაიწროებელისა ჩვენისა და დამღვრელისა ესეოდენისა სისხლისა უბრალოთა, არ შეირაცხების დროდ. დღენი, განტარებულნი მწუხარებასა და შიშსა

შინა, არ უნდა შეირაცხოს ცხოვრებად. ხოლო აწ არს მხოლოდ ოთხი წელიწადი, რაც ჩვენ დროსა ჰარუნ-ალ-რაშიდისასა ვჰსარგებლობთ მშვიდობითა და განსვენებითა და იმ დროათგან ვრაცხ სიცოცხლესა ჩემსა“.

ჰარუნს ფრიად მოეწონა მოსწრაფებული პასუხი და აჩუქა მას ათასი ოქრო. შემდგომ ჰკითხა მას: „ხე ესე როდის გამოიღებს ნაყოფსა?“

მოხუცმან მიუგო: „წინაპართა ჩემთა დაუნერგიათ ხენი და მე ვჰსჰამე ნაყოფი მათნი. ახლა მეც ჩემს რიგზედ დაეპრავე, ჩემნი შვილის-შვილნი ისარგებლებენ ნაყოფითა“.

„საუცხოვოა!“ ჰსთქვა ჰარუნმა. კიდევ მისცა მას ათასი ოქრო. მოხუცმა განკვირვებითა ჰსთქვა; „ეს რა ბედნიერება მეწია! ვინცა ჰნერგს ხეს, იგი მხოლოდ ოცს წელს შემდგომ ჰსჰამს ხილსა მისსა, ხოლო მე დღეს ჩავსხი და უმაგალითოა მონაწილეთისა და უხვეებისაგან ხელმწიფისა დღესავე ვჰსჰამ ნაყოფთა“.

ჰარუნს კიდევ მოეწონა სიტყვა მისი და მესამედ აჩუქა მას ათასი ოქრო, ვინაჲთგან ესრეთი იყო უხვეება ხელმწიფისა. და, წავიდა რა მოხუცის კაცისგან, უთხრა ვეზირსა თვისსა: „უკეთუ ამ მოხუცთან უმეტეს განგვეგრძელებინა საუბრობა, მაშინ მიუცილებელად იგი მიიღებდა ჩვენგან უფრო მრავალსა ფულსა“.

ა. [ღვინის მოხუცარი]

ერთმან მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს მხოლოდ მაშინ, ოდესაც ჰზის სადილათ. მან ჰეშმარტებით აღასრულა სიტყვა მკურნალისა: დილით საღამომდი იჯდა სადილათ და ჰსვამდა ღვინოსა.

იცი, რომელ იმ კაცს წარსულს კვირას სტაქანს ღვინოში დაუკარგავს გონება? ახლა ეძებს და ვერ უპოვია!

[4] სამი ინლის ხარაბა

„არა იცი რა ზღაპარი?“ — ჰკითხა ერთხელ ხალიფა მამუნმან. ხოჯების უფროსს, მეზრურსა, — „მოწყენილი ვარ და მეძინება კიდუცა“. მეზრურმან წარუდგინა მის დიდებულებას მონა, რომელიცა იყურებოდა ძირსა, არა ღირსი შეხედვად მნათობთა თვალთა მორწმუნეთა მბრძანებლისათა, იწყო უბნობა, ვითარცა ჰსწერია ჰვემორე ამისსა:

„მორწმუნეთა მეუფეო, მამაშენი, დიდი ხალითა ჰარუნ-ჰალ-რაშიდათითქმის ყოველს დღეს წარბრძანებოდა სანადიროდ, და მე ყოველ-

თვის ვაძყოფებოდი მის ამაღლაში. მთელი დღე ვაჭენებდით ხოლმე და მეცა ჩვეულებრივ მოვბრუნდებოდი შინ მშვიერი და დაღალული, სიკვდილადმდე მიწეული. ერთს დღეს უსუფამ, რომელიცა იყო მამი-შენის სასახლის მოსამსახურედ, მომცა მე საგზაოდ სამი ინდის ხურმა, თაფლში მოხარშული; „შენ მოგშივიაო სადირობაძი; და ესე სამი ხურმა მოგიკლავს შიმშილსა და წყურვილსაცაო“. მე დიდად დაუმადლე უსუფას და ჩავაწყე სტაქანში. ჩვენ ვიარეთ ფრიად გრძლივ; საღამოზე მომშვივდა; მაგრამ დიდი ხანი უცადე კეთილ საამურ წამსა: დასასრულ, რა ხალიფა ცოტას გამშორდა, მე ამოვიღე სტაქანი და იქილამ ამოვიღე ერთი ხურმა. რა მივიტანე იგი პირთან, მსწრაფლ თქვენმან მშობელმან, რომელსაც სურდა ჩემზედ შექცევა, დამიძახა: მე გარდაეგდე ხურმა, გაქეუსლე ჩემი სახედარი და გაეაჭენე მისკენ.

რისთვის დამიძახა მან? მკითხა: სრულად აქვსა კბილები შენს სახედარსა თუ არა? — სრულებით აქვს, მორწმუნეთა მბრძანებელო, უპასუხე, და მით გათავდა ლაპარაკი ჩვენი.

რამდენსამე წამს შემდგომ დავუწყე ჰამა მეორე ხურმასა; გარნა ხალიფამ კვალად დამიძახა მე და მე კიდევ გარდაეგდე ხურმა, იძულებულ ვიყავე, რომ სახედრის ჰენებით ვხლებოდი. „რა ჯინსისა არს შენი სახედარი, ეგვიპტისა თუ არაბისტანისა?“ — მკითხა ხალიფამ. „იგი არს არაბისტანისა, მორწმუნეთა მბრძანებელო!“

ჩემს სტაქანში დარჩა უკვე ერთი ხურმა. მე კიდევ დავდექე უკან, მარამ კიდევ უნდა გარდამეგდო ხურმა, რომ ვხლებოდი ხალიფას, რომელიც მიბრძანებდა: „რა მიეცი შენს სახედარში?“ — მკითხა მშობელმან შენმან. „ჩავარდეს დედამიწაში ჩემი სახედარიცა და იგიცა, რომელმანცა მომყიდა მე ესე“, თავისთავად ვუბნობდი; გარნა ვუპასუხე მხიარულის სახითა: „რვა ოქრო, მორწმუნეთა მბრძანებელო!“

ხალიფამ ვედარ მოითმინა სიცილი, და მე მოვბრუნდი ცოცხალ-მკვდარი შიმშილისაგან სასახლეში.

ამავე საღამოს შემემთხვა მე გავლა ერთს აივანში; შემომესმა ქალის სიმღერის ხმა, შევდექე, დავინახე ფანჯარაში მშვენიერი ქალი და მის ახლო ხალიფა, რომელიც ფრიად საყვარლად ეხვეოდა ცალის ზელითა. იგი ეხვეწებოდა შენს მშობელს განშორებას, აგონებდა მას შიშსა ზობეიდის, პირველის ცოლისასა. „შეწირვა ერთის წამის კმაყოფილებისათვის მრავალთა წელთა მწუხარებათა და ტანჯვათა ფრიად განუსჯელ იქმნებოდა, მორწმუნეთა მბრძანებელო“, — ეუბნებოდა მშვენიერი ქალი — „და ვინ იქმნება თავდები ჩემი, რომ შენ, ხელ-წიფეო, არ დამივიწყებ ერთს წამს?“ ხალიფა ცდილობდა, რათა იგი დაემშვიდებინა ზობეიდის შიშზედ და თავის საკუთარის დაუვიწყებლობანად. „ზობეიდა ეხლა ქალაქს გარეთ სასახლეშია“ — ეუბნებოდა მშობელი შენი...

იმავ წამს კარები დავარაკუნე.

„ოპ, წინასწარმეტყველო, შესძახა ქალმან: ესე არს სულონის ცოლი“.

„ვინ არაკუნებს“? იკითხა ხალიფამ.

— „შენი მონა იბად, მორწმუნეთა მბრძანებლო! ნადირობაში მკითხეთ მე, ხელმწიფეო, სრულებით აქესაა ჩემს სახედარს კბილები? მე მოგახსენე სრულებით აქეს; მაგრამ მე შემცდა, ეხლა დაუსინჯე კბილები, შემძლიან დარწმუნება, უზენაესო მფლობელო, რომელ მას სახედარს აკლია ორი უკანა და ერთი წინა კბილი“.

ჩაძვერ დედამიწაში შენის სახედრითურთ, — მიბრძანა მან — დამესხენ, მომასვენე! და მე განეშორდი.

რა გავიგონე, რომელ მათი ლაპარაკი კვალადცა იწყობის, ხალიფა კვალად ეალერსებოდა. ერთის სიტყვით ვჰსთქვა, იგინი იყენენ ფრიაღ თანხმანი, მაშინ დავარახუნე მე კარები უფრო მეტად. ქალი წამოხტა და მეორეს კუთხეს მიიბრძინა, დაიყვირა: „დავიკარგე, ეს არის ზობეიდა!“ ხოლო ხალიფამ დაუჭირა მას ხელი, დაამშვიდა და შემდგომ იკითხა:

„რა რახუნია, ვის უნდივარ?“

„მე ვარ, მონა შენი იბად, მბრძანებლო მორწმუნეთაო! შენ მკითხე დღეს დილას, რა ჯინშისა არისა ჩემი სახედარი, ეგვიპტისა თუ არაბისტანისა? მე მოგახსენე: არაბისტანისა, მაგრამ მე შევეცი, ეხლა მხოლოდ მითხრეს სწორე, რომელ ჩემი სახედარი არის ეგვიპტური“.

„გასქდი შენცა და შენი სახედარიცა, წყეულმან თავი მომაბეზრა“, ჰსთქვა განრისხებით ხალიფამან. მეც მოვშორდი.

განვლო რაოდენმანმე წამმან. ჯერეთ ახალგაზრდა ქალი შიშისაგან ვერ მოსულიყო გონზედ. დასასრულ მცირე-მცირედ ხალიფამ განამხიარულა იგი. მე შემომესმა, რომელ იგინი კვალად ჰკოცნიდნენ. და ესრეთ ძლიერად დავარახუნე კარები, რომელ საწყალმან ქალმან დაიყვირა, დაათრთოლა და თვალებზედ ხელი მიიფარა, რომელიცა დარწმუნებულ იყო, რომელ წინაშე თვისსა იხილავს განრისხებულსა ზობეიდას.

„ვინ დაარახუნა?“ — დაიყვირა ხალიფამან.

„მე, მბრძანებლო მორწმუნეთაო, შენმა მონამ იბადიმან დავარახუნე. თქვენმან დიდებულებამან მკითხა სანადიროთ, როგორ ღირს სახედარი ჩემი? მე მოგახსენე: რვა ოქრო. ეს ტყუილია, მე განვიხილე ჩემი დავთრის წიგნი, იმაში დაწერილია მხოლოდ შვიდი და ნახევარი, და მე მოველ მოსახსენებლად შენდა, უზენაესო მეუფეო!“

— „წარვედ ჯოჯობეთად შენის წყეულის სახედრითურთ“, — დაიყვირა რისხვითა ხალიფამან.

მე გამოველ. მშობელსა შენსა უნდოდა მოებრუნებინა განფრენი-
ლნი კმაყოფილებანი სიყვარულისანი, გარნა წამსა ამას მადლის
მინარეტი იწყეს მიწოდება დილის ლოცვად და ხალიფა იძულებულა
იყო დაუყოვნებლივ წარსვლად ღარემილამ.

— ესრეთთა ხატითა მივაგე მშობელსა შენსა, ხსენებისა სახსო-
ფარსა ხალიფას პარუნ-პალ რაშიდსა ნაცვლად სამისა ხურმისა, რო-
მელიცა მან პირილამ გამომაგლებინა“.

ამჟამუნმან ამ ზღაპრის თქმისათვის მთქმელსა აჩუქა ასი ოქრო.

მოკლე განხილვა კართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა

ჩვენ შეგვემთხვა სმენა დამტკიცებითა სჯათა მრავალთა კეთილ-
შზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათვის, რომელ იგი გლახაკ
არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ
არს და შესახებელადცა გარმონიისადმი არავითარისამე შექონ არს
სიამოვნისა.

მცნობთა ბუნებითისა ენისა ჩვენისათა გვსურის, რათა ვარწმუ-
ნოთ პატივცემულთა გვამთა მათ, რომელ ქართულსა ენასა ზედა არიან
პრავალნი შევნიერნი თხზულებანი და თარგმნილიცა წიგნნი სხვა და
სხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან. ამისთვის ვრაცხთ ჩვენ საჭი-
როდ, რათამცა პირველად ვაცნობოთ საზოგადოებასა მცირე ესე გა-
ნხილვა ისტორიისა სიტყვიერებისა ჩვენისა, ხოლო შემდგომად აღვ-
რიცხოთ წერილნი და თვინიერ პირმოთნეობისა ფასდებულ ვჰყოთ
ქმნილებითურთ თვითოეულნი ავქსონნი ღირსებისამებრ მათისა, რო-
მელთაგანცა მოყვარენი საზოგადოების განვითარებისანი იხილვენ
ძველსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა ნი-
ვთიერებასა სალიტერატუროჲსასა, რომელიცა აქამომდე წყვედიადსა
შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის
ეგროპიისათა.

ძნიად საცნობელ არს დანიშვნა დროჲსა მის, თუ ოდეს ენა ქარ-
თული შეიქმნა ენად ერისა, გარნა ჯერ არს ცნობად, რომელ იგი არს
ერთი უუძველესთაგანი, ვინაჲდგან იხილვების ისტორიისაგან, ვითარ-
მედ ვითარცა წერილნი ანუ ასონი ქართულისა ენისანი შემოღებულ
არიან, ეგრეთვე ენაცა განწარფელებულ პირველის მეფის ფარნავაზისა
მიერ, სოფლის შექმნიდგან 3627-სა წელსა, ხოლო უწინარეს ქრისტეჲ
შობისა 327-სა წელსა. იგინი იყვნენ სრულიად განსხვავებულნი ასო-
თაგან სხვათა ერთასა.

თუმცადა რომელნიმე მწერალნი, საკუთრად სომეხთაგანნი, ამტ-
კიცებენ, რომელ ქართველნი ძველს დროში ლაპარაკობდნენ სომხუ-

რსა ენასა ზედა, ვინაჲთგან ორნი ესე ძველნი ამიერკავკასიის მცხოვრებნი, ესე იგი ქართველნი და სომეხნი, ვითარცა იხილვების ისტორიასა შინა, ჰსწარმოებენ ერთისა შთამამავლობისაგან თარგამოსისა¹. გარნა გამოცანანი ესე არა არიან საფუძვლიანნი და არცა დამტკიცებულნი; უკეთუ აზრნი მწერალთა ამათ² დაფუძნებულ არიან მხოლოდ მას ზედა, რომელ ქართულსა ენასა ზედა მყოფთა ლექსთაგანნი რომელნიმე აქამომდე იხმარებიან სომხურსა ენასაცა შინა, ფრიად ცოტანი, ამის გამო შეუძლებელ არს მითვისება მათი და არცა დამტკიცება შესაძლებელ არს, რომელ არა ქართულმან ენამან მიიღო ლექსნი სომხურიდამ, არამედ სომხურმან ენამან ქართულიდამ. წინააართა ჩვენთა შემოიღეს ლექსნი ქართულისა ენისანი მაშინ, ოდესცა სომხური ენა მყოფობდა თავისთავად, ეგრეთვე ქართველნიცა იყვნენ განყოფით და პირსა შინა ერისასა გამოიხატა³. ძირი ენისა ჩვენისა უნდა იყოს საკუთარი. ესე ჰსჩანს ყოველთა ძველთა წერილთაგან. ჩვენ ვერ ვპხედავთ ვერცა ასოთა, ვერცა ხმათა და გამოღებათა, არა თუ ოდენ ლექსთა, რომელთაცა აქენდეთ მკვეთრი მსგავსება სულსა შინა სომხურისა ენისასა. აწინდელთა მწერალთა და უცოდინართა ქართულისა ენისათა შემოიღეს ხმარება ლექსთა სპარსულთა, სომხურთა და რუსულთა, გარნა ამით არავის ძალუძს დამტკიცება, რომელ არ იყოს ქართულსა ენასა ზედა თანასწორ მნიშვნელნი ლექსნი. კარგმან მწერალმან რომლისა საგნისა აღწერაც უნდა მოინდომოს, რომელს ფრაზსა ზედაც უნდა იყოს, მას ძალუძს ბუნებითსა ენასა ზედა გამოღება და წარმოდგენა თვით უუმცირესისა აზრისა და გრძნობისა, იგი არ იხმარება არა რომელთა ლექსთა სხვისა ერისათა, გარდა მათსა, რომელთაცა მიუღლიათ კანონი მოქალაქობისა და რომელნიცა იხმარებიან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი, ტეხნიკებრთა.

ქართველთა ძველთაგან ჰქონიათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ხელოვნებათა. ჩინებული მთარგმნელნი და მწერალნი იყვნენ: მეცხრესა საუკუნესა შინა ადარნასე მეფის დროს წმიდა მამა ილარიონ ქართველი; მეათესა საუკუნესა შინა, სუმბათ მეფის ჟამს, წმიდა მამა იოანე; მეთერთმეტესა, მეფის ბაგრატის დროსა: წმიდა მამა ევთიმი, იოანე პატრიკყოფილი ფილოსოფოსი, პეტრიწად ზედწოდებული და სტეფანე. საკუთრად მეთორმეტესა საუკუნესა შინა

¹ თარგამოს იყო მფლობელი ამიერკავკასიის მხარისა, ორი ათას შვილას ორმოცდა თვრამეტსა წელსა, რომელმანცა განუყო ძეთა თვისთა; ჰაოსს მისცა სომხობითი, ხოლო ქართლოსს ქართლი და სხვანი. ქარ. ცხოე. [ს. დ.].

² ეურნალში არის: იმათ.

³ ჩვენ არა ძალგვიძს ბაასი სომეხთა თანა, ვინაჲთგან იგინი უზნობენ, რომელ თვით ადამ ლაპარაკობდა სომხურს და სომხურის ენიდამ იწარმოა ყოველი ენა, ესე იგი ფრანციული, ნემეური, რუსული და სხვანი [ს. დ.].

ქართველნი იდგნენ უმაღლესსა ხარისხსა ზედა ძლიერებისა და განათლებისასა. იგინი განსხვავებულ იყვნენ სიმხნითა, სიბრძნითა, სათნოებითა და პოეზიითა. დროსა ამას საქებელნი მწერალნი იყვნენ მეფობასა შინა დაეით აღმაშენებელისასა: ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენი იყალთოელი და ივანე ტარიჭის-ძე. ყოველთა ამათ ზემოხსენებულთა მწერალთა არათუოდენ ჰსთარგმნეს ელლინურის ენიდგან ყოველნი საეკლესიონი წიგნნი, საღვთისმეტყველონი, საფილოსოფოსონი და სხვანი, არამედ აგრეთვე დაწერეს თვისსა ენასა ზედა ყოველთა ნაწილთამებრ სიტყვიერებისათა თხზულებანი. მიმდინარეობასა შინა მათ დროთასა მეფენი ჩვენი ჰზრუნვიდნენ რა კეთილმდგომარეობისათვის ყმათა თვისთა, წარჰგზავნიდნენ ყოველსა წელსა ათიანასა შინა თორმეტთა ყრმათა სწავლათათვის.

მრავალნი მათგანნი, გამდიდრებულნი სწავლითა, მოიქცნენ მამულსა შინა თვისსა, რომელთა რიცხვსა შინაცა იყვნენ ზემოხსენებულნი მწერალნი, გარნა ელვარებითი ეპოხა მკვერმეთქვეობისა ჩვენისა იწყო იოანე პეტრიწმან. პეტრიწი ესე იყო ჰეშმარიტი ფილოსოფოსი, ფრიად საყვარელი მოლექსე საქართველოსა შინა, სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებული კაცი დროჲსა თვისისა. მან წერა ყოველთა გვართა შინა სიტყვიერებისათა და ყოველთა გვართა შინა ჰპოვა ჩინებულება და პატივისცემა არა მხოლოდ თანამედროვეთა თვისთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამოებათა თვისისა მამულისათა.

ღირსება დიდისა მის მწერლისა იოანე პეტრიწისა შესაძლებელ არს ვჰსცნათ ანტონი კათალიკოსის მიერ თქმულსა ლექსსა შინა¹, რომელიცა ალტრფობილი თხზულებათა მიერ მისთა ჰსწერს შემდგომსა:

ორთაგან ერთი უეჭველად თანა გვაძს:
ანუ ფილოსოფოსყოფად, სიბრძნის მოყვარედ,
ანუ პატივცემა სხვათა ფილოსოფოსთა;
ამას გვასწავებს ღვთისმეტყველი გრიგორი²
ირონის მიმართს შინა ფილოსოფოსის.

აწ რა შევეხე კალამსა, იოანნი,
დამათრო შენმან ხსენებისა სურვილმან,
რა ვჰსთქვა შენდამი განლიგებულმან ამით?
ბრძანებისაებრ მოძღვრისა შენდა პატივი
მწადს, მაგრა ღირსი სადა ვჰპოვოშეცა სიტყვა?

¹ იგულისხმება ანტონ I-ის „წყობილისიტყვაობა“; აქედან აქვს ს. დოდაშვილს ციტირებული იოანე პეტრიწის შესახებ თორმეტივე ტაეპი (731—742). ციტატა შედარდა „წყობილისიტყვაობის“ ერთადერთს გამოცემას პლატონ იოსელიანისას (თბ., 1853, გვ. 253—256), რომელმაც ტექსტი გამოისცა თვითონ ანტონის გაწერებული ხელნაწერის მიხედვით. შედარდა აგრეთვე 1768 წლის ხელნაწერს A—334.

² ეურნალში არის: გგრიორო.

არ შესაძლო არს ჩემდა ესე, მამაო,
რათა ვამსგავსო ფრასთა შენთა სიტყვანი,
ხოლო თუ არა ფრასთავე შენთა მალალთ
იქებოდემცა, რაჲ სამართალ ესე,
ვინა ღუმელი სათანადოებს აჟა.

მაგრა ვინათგან სურვილი არს უდიდეს
ყოველსა შინა და შენდა მსურის ფრად,
ამისთვის არა კადრისა ოდენ ქონვა
არს შესხმად შენდა, უბრძნესო ბრძენთა შორის,
არამედ თქმული შენდა ოდენ სურვილი.

ბზინვენ მარცვალნი, ხმეულნი შენგან, დიღო,
რომელნი დარჰთენ ლექსთა განმავითარად,
ელკენ ლექსები, ძვირფას სპეკალთ უმჯობეს,
ბრწყინვენ სიტყვანი, ვარსკვლავ მდგომარეობენ,
თავნი მზეობენ, შარავანდთა განმტეენი.

ცობენ წერილნი, შენნი, სამყაროებენ,
წინადადება ყოვლად დაურღვევლობენ,
აღმოიჩინება ყოვლად მიუახლებელ,
დამტკიცებანი ძლიერებენ ყოვლითურა,
ხოლო უკუთქმა ვერავენი დაამტკიცოს.

შენ ფილოსოფოს სამართლად იზედწოდე,
ამად ვითარმედ არათუ ოდენ ნიეთნი
იცინი განყოფით, არამედ მიზეზნიცა
მყოფთად და ქმნილთად ზედმიწევნილებ კმადლა,
ამისთვის ხარ შენ ჰეშმარიტ ფილოსოფოს¹.

ასტრონომოსებ კეთილგანუგმობელად
ასტროლოლიათ ჰეშმარიტთ გარდმომცემი²,
დიადოხოსებ პროკლეს განსაკვირვები
ვით იგი პლატონს ენაცვალა, იოანე,
ეგფერ შენ პლატონს ედიადოხე ღირსად.

განმარტებანი კავშირთ ღვთისმეტყველებითა³
ღვთისმეტყველ აღძრცილ ჰქმენ, იოანნი დიღო,
სტიხოლოლოსებ მოკლეთა შინა დიღთა,

¹ „შენ“ ჩამატებულია A—334 ხელნაწერის მიხედვით და ამრიგად, 12—მარცვ-
ლელი მეტრი აღარ ირღვევა.

² ჟურნალში ამ 738 ტაეპისა დაიბეჭდა მარტო ოთხი სტრიქონი, გამორჩენილია-
სიტყვები: „კეთილგანუგმობელად ასტროლოლიათ“.

³ ჟურნალში არის: „ღვთისმეტყველებით“. პროკლეს შრომას ეწოდება „კავ-
შირნი ღმრთისმეტყველებითნი“.

ათთა შაირთა შორის თვითთა კიბეთ
იოანესთა, ერთსახელისა შენის!

მეტაფრას თქმანი სათთვეოთანი, დიდო,
აპოტიკე, აშაირ-ალამაზენ,
ატრიკელობა ქართულებრ დალექსულ ჰყვენ,
რიტორებისა აქესონ უმაგალითოვ,
ღრამპატიკოსებ წიგნთ მთარგმნე მალალ ფრასად.

იოანისნი ბრწყინვენ ლექსნი მზიანი,
წალკოტ ყვავიან, მწიფენ ხილნი ზიანნი,
ფევიან სუნნელთა მისნი შროშან-იანი,
მისნი დათხზვანი დიოს-კრონოსიანი,
სიმალით სხვათა უზეს ყოვლად ციანი.

შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,
ნენ სტოიკებრი სიტყვით სპეკალ-მინანი,
შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,
ჭირნი წარგვხადენ, უმეცარ საწყინანი.

ჩვენცა საკმაოდ ყურადღებით წარვიკითხეთ უკვდავნი თხზულებანი მისნი. იგი განბრძნობილი კმადა² სწავლითა ძველთა სამაგალითო-თა თხზულებათათა გადმონერგდა სამშობლოსა მამულსა შინა თვისსა შევნიერთა ყვაეილთა სიტყვებისა ძველისა ელლადისათა.

მუნითგან მამულსა შინა ჩვენსა განვრცელდნენ სწავლანი, განმრავლდნენ წიგნნი და სასწავლებელნიცა ესრეთ, რომელ მეფობა თანაზრისა, რომელიცა შეუდგა მას, იყო ელვარებითს ეპოხად სიტყვიერებისათვის ჩვენისა. თვით თამარ დედოფალი მიაქცევდა კეთილ მოქმედებითსა ყურადღებასა სწავლათა და ხელოვნებათადმი. იგი განაღვიძებდა სულსა შინა თვითოეულისა გრძნობასა კვეთებისასა განათლებისადმი, ჰშობდა ტალანტთა და სათნოებასა. დროესა მის შენებულებათა აწცა ვჰხედავთ სახსოვრად. მრავალთა ადგილთა შინა იხილვებიან შევნიერებანი ხელოვნებათანი, რომლითაცა ყოველი ქალაქი და დაბა განმდიდრებულ იყო. დრო ესე საქართველოსა შინა იწოდების ო ქ რ ო ვ ა ნ ს ს ა უ კ უ ნ ე დ .

უკეთუ ვინმე განვითარებულთა კაცთაგანმან მიიღოს შრომა და წარმოადგინოს დაწვლილებით უუცხოველესი გამოხატვა ყოველთა დეაწლთა გვირგვინოსნისა დედოფლისა და ჩინებულთა მწერალთა მის ეპოხისათა, მაშინ გაბედვით შესაძლებელ არს დარწმუნებულყოფად, რომელ ესრეთი ისტორია მიაქცევდა თვის ზედა ყურადღებასა ყოველთა განათლებულთა მხარეთასა. მაშინ იხილვიდნენ, რომელ მცი-

¹ აგულსხმება იოანე სინელი, „კლემაქსის“, ანუ „იკიბის“ ავტორი.

² ეურნალში: კხმადათა.

რედ ცნობილი საქართველო არს კერძო, ღირსი ყურადღებისა, და რომელ ყოველთა ვაებათა და აოხრებათა თანა, სხვა და სხვათა დროთა შინა შემთხვეულთა, აქვნდა მას საუნჯე სწავლათა და სიტყვიერებისა, ესეოდენვე მდიდარი, ვითარცა სხვათა მხარეთა მის დროსათა. ესრეთ დროსა ამას საკუთრათ იქებოდნენ ოთხნი ტკბილზმოვანნი მწერალნი, ორნი პროზაიკნი: მოსე ხონელი და სერგის თმოგველი და ორნი მოლექსენი: რუსთაველი და ჩაბრუხაძე. თხზულებათაგან მათთა სამაგალითონი შენახულ არიან აქამომდე. ორნი პროზაიკებრნი თხზულებანი — „დარეჯანიანი“ აექსონის მოსე ხონელისა და „ვისრამიანი“ სერგის თმოგველისა — დაფასებულ არიან ფრიად მაღლად და დაიდებიან რიცხვსა შორის პირველთა ქმნილებათასა, შევნიერებისა გამო მიუბაძველისა ფრასისა და აღმძვრელობისა გამო მრავალთა სახეთა.

დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარვეუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი „ვეფხვისტყაოსანი“.

მეორე ლექსი ჩაბრუხაძისა „თამარიანი“, ქება თამარ დედოფლისა, უმაგალითოჲსა თანხმობისა გამო თვისისა და ძნელის გვარისა გამო სტიხთასა ფრიად შესანიშნელ არს. ზომიერი და გაწყობილი ჰმა მისი აწარმოებს ჰმენისათვის სასიამოვნოსა სიმფონიასა; ხოლო გამოხატვა იდეათა, ცვალება და ხმარება სხვა და სხვათა მნიშვნელობათა მსგავს ხმოვანებასა შინა ლექსთასა შეადგენენ მახვილგონიერებასა აზრთასა.

შემდგომად თამარ დედოფლის სიკვდილისა ქართულსა ლიტერატურასა არა აქვნდა ესრეთი წარმატება და მსვლელობა განათლებისა საზოგადოდ იყო დაწყნარებული. მიზეზნი ამისნი იყვნენ ზედღასხმანი გარემოთა ბარბაროსთანი, რომელნიცა ჰყოფდნენ ხშირთა შეიწროებათა და დიდთა მოხრებათა. ყოველსა ეამსა შოელოდნენ ტყვენებასა და არვინ საქართველოს მცხოვრებთაგანი იყო დაწრმუნებული თვისსა უშიშროებასა ზედა. ესევეითარი მწუხარებითი მდგომარეობა საქართველოჲსა განგრძელდა დიდხანს, გარნა ყოველსა მას დროსა პოეზია არა დადუმებულ იყო, არამედ დროსა სპარსთათანა მშეიდობის დამტკიცებისასა კვალადცა განიცემოდნენ ტკბილნი ხმანი გალობისანი საქებელად განვლილთა წელთა.

განგრძობასა შინა სამწუხაროსა მის დროსასა სული სიყვარულისა დიდებისათვის მამულისა არა განქრა ნათესავთა შორის ივეროსათა. მრავალთა თავადთა აქვნდათ მცირედი ბიბლიოტიკა წიგნთა ბუნებითსა ენასა ზედა თვისსა. უკანასკნელ იგინი მოეცნენ შთაშობათა მონასტირთაგან.

არა ძალმიძს, რათა არ მოვიხსენო აქა მეფე თეიმურაზი, რომე-

ლიცა ღირს არს უუდიდესისა მადლობისა მრავალთა აღმატებულთა ლექსთათვის, მის მიერ თხზულთა. ისტორია ქებით გვაცნობებს ჩვენ ზეფესა ვახტანგ მეხუთესა, რომლისადა უმთავრესი ზრუნვა მიქცეულ იყო აღზრდასა ზედა ყრმათასა. მან განაახლა წიგნის ბეჭდვა და უყვარდა რა პოეზია, თვით დაგვიტევა ჩვენ მრავალნი ნაყოფნი სტიხოტქმნილებისა თვისისანი.

ეპოხამან აღდგინებისა ანუ საფუძვლიანისა დამყარებისამან სწავლათა მამულსა შინა ჩვენსა იწყო ათრვამეტსა საუკუნესა შინა, ესე იგი დროთგან ირაკლის ტახტსა ზედა ასვლისა. ელვარებითნი ძლევათნი გმირისა ამის მეფისანი ყოველთა შორის ჰშობდნენ სულსა შაირმეტყველებისასა. დროსა ამას უმეტეს პატივიცემების და იქების კათალიკოზი ანტონი პირველი, რომელსაცა აქვნდა ვრცელნი ცნობანი ყოველთა სწავლათა შინა და ტალანტი სიტყვიერებასა შინა. მას საკუთრად უყვარდა თვისი ბუნებითი ლიტერატურა. ოდეს იმყოფებოდა იგი არხიეპისკოპოსად ვლადიმირის ღუბერნიასა შინა რუსეთს და სრულჰყო მან თავი თვისი ლათინურსა ენასა შინა, მაშინ შეთხზა ვრცელი ქართული ღრამმატიკა, დაწერა კატიხიზისი, ჰსთარგმნა ქართულად კურსი ბაუმეისტრის ფილოსოფიისა და შემდგომ მოსვლისა თვისისა საქართველოსა შინა დააწესა რაოდენნიმე სხოლანი. რომელთაცა შინა გარდიცემოდნენ: ღრამმატიკა და რიტორიკა, ისტორია და ლეოღრაფია, არხიეპეტიკა, ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. აქ შეთხზა მან ვრცელი „ღვთისმეტყველება“ ოთხს ნაწილად და „მზამეტყველება“, ესე იგი მიგებანი პირისპირ ურწმუნოთა. მან ეგრეთვე თარგმნა სომხურის ენიდამ რიტორიკა მიხითარისა, შეთხზა „წყობილსიტყვაობა“, რომელიცა გვაცნობებს ჩვენ ოცდაათს წმინდასა, ოცსა ჩინებულსა მეფესა და სამოცდაათსა განსხვავებულსა მწერალსა მამულისა ჩვენისასა. მან ეგრეთვე შეთხზა რაოდენნიმე ოდანი პატივად მეფის ირაკლისა შემთხვევისა გამო ძლევათა მისთა სპარსთა ზედა. წრომითა მისითა შედრგენილ არს ისტორია საქართველოს მეფეთა და სხვანი ისტორიულნი წიგნნი.

ისტორიკოსი ვახუშტი, სულხან, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანოვნი, ყოველსამღვდლო გაიოსი, იასე ერისთოვი, დიმიტრი ციციანოვი და სხვანი განსხვავდებოდნენ შვენიერ სიტყვაობითა; თხზულებანი მათნი სტიხად და პროზად ღირს არიან გონებგანმხილველისა ყურადღებისანი.

დ. ქართული ისტორია

გაფორმა ირაკლის მეორისა

მეფე ირაკლი დაიბადა 1716-სა წელსა, მაშინა, ოდესცა მამულსა შინა ჩვენსა იყო თვით აღრეული დრო და ლეკნი ჰყოფდნენ ზედ-

დასხმასა კახეთსა ზედა, რომელნიცა ოდესმე იყვნენ ძლეულნი და ოდესმე მძლეველნი. დროსა მას საქართველოს მეფენი ითმენდნენ სპარსთა და ოსმალთაგან მრავალსა შეიწროებასა და მწუხარებასა. აღზრდა მეფის ირაკლისა ერწმუნა ბრძენთა მოძღვართა: კათალიკოსს ანტონის და მღვდელს ზაქარიას. დროსა სიყრმისასა, გარდა ღიმიანითა სწავლათა, ასწავლიდნენ მას ცხენსა ზედა ჯდომასა, ნიშანსა ზედა სროლასა და სხვათა მსგავსთა ამისთა. მიიღო რა საჭირო განვიდარება, იგი დარწმუნებულ იყო ქვემარტებასა მას შინა, რომელ ჭრისტიანულსა სჯულსა აქვს დიდი მოქმედება ძლიერებასა ზედა სახელმწიფოფოხსასა და ყოველი იგი, რაჲცა არა ეშესაბამების კანონთა მისთა, არს სავენებელი ერისა და სახელმწიფოფოხსა. აღვსებულსა გრძობათა მიერ კეთილმოწიწებისათა სარწმუნოებისადმი, აქენდა განუსაზღვრებელი პატივისცემა სამღვდელთადმი და უყვარდა ხშირად სვლა ტაძარსა შინა ღვთისასა. გარემოებათა, რომელთაცა სამეფო საქართველოფსა დროსა მას შთავარდნილ იყო, უჩვენეს მას გზა განხსნისადმი განსხვავებულთა ნიჭთა, რომელნი აქენდა ბუნებითადცა. თეიმურაზ, მშობელი მისი, არა მიჰხედდა მტერთა, განსვენებით მეფობდა საქართველოსა შინა 1731 წლიდამ 1737 წლამდე. წელსა ამას მოტყუებული ორგულებითა ერთისა სპარსეთის ხანისათა, რომელიცა იმყოფებოდა ტფილისსა შინა, წარგზავნილ იყო ისპაანს შაჰ-ნადირთან¹.

შაჰ-ნადირი არა ერწმუნა თეიმურაზსა აღთქმასა შინა, რომელ იქმნების შევრდომილი და სრულიად მოკიდებული მას ზედა. მან განუცხადა მას, რათა დაიბაროს ძე თვისი ირაკლი და წარუდგინოს მას წინადად ერთგულებისა. თეიმურაზს არა ძალედვა აღუსრულებლობა შაჰ-ნადირის ნებისა, თავს იდგა მიწოდება ძისა თვისისა ირაკლისა.

ირაკლიმან მიიღო² წერილი მამისა თვისისა და შაჰ-ნადირისაცა. რომელმანცა დაიბარნა მასთან ქართ-კახნიცა, ვინაჲთგან უწყოდა მან მხნეობა და მამაცობა მათი. ესმათ რა ესე ქართველთა, არა ენებათ ირაკლისა წარსვლა სპარსეთად. ხოლო ირაკლიმან არა მიჰხედა ამას, სათნო ეყო ბრძანებასა მამისასა და წარვიდა იგი სპარსეთს. მივიდა რა მუნ, მყისვე წარადგინეს შაჰ-ნადირთან, რომელმანცა ბრძანებისა გვარად და საშიშრის სახით ჰკითხა: „არ გასთათრდები?“ პასუხუევო: „სხეულისა ჩემისა სიკვდილი ძალგვიძსთ, ხოლო სულისა არა და არა ოდეს მივიღებ სჯულსა მაჰმადისასა“. შემდგომ შაჰ-ნადირ ბრძანა: „ნუ გეშინიან, მე არლა გაიძულებ“. მეორეს დღეს მიუწოდა მეფეს თეიმურაზსა და გამოისტუმრა; ხოლო თვით განიმხედრა ინდოეთზედ და ირაკლიც თან წარიყვანა. დიდთა ომებთა და ძლიერთა ბრძოლა-

1 ეურნალში არის: შაჰი-ნადირთან.

2 ეურნალში არის: მიიღონ რა.

თა შინა წინაშე შაჰ-ნადირსა ირაკლი აღმოჩნდა უუწარჩინებულეს მხნედ; ამისა გამო მან ფრიად შეიყვარა იგი და ესეოდენ პატივჰსცემდა შაჰ-ნადირი კეთილგონიერებასა ირაკლისასა, რომელ ჰკითხავდა აზრთა და რჩევათა მისთა შეუღლებოდა განმკვერტელობასა და მახვილგონიერებასა ირაკლისასა მოუთხრობენ ინდოეთის ბრძენნიცა, ესე იგი, ბრამანნი და ფრაკი.

შაჰ-ნადირმან შემდგომ ბედნიერის შესრულებისა ომთასა ინდოეთსა შინა, ნიშნად კეთილმოწიწებისა თვისისა ირაკლისადმი, 1743-სა წელსა წარმოგზავნა იგი კახეთს მეფე თეიმურაზთან და აღუთქვა მას განთავისუფლება საქართველომსა, ვითარცა ზედდასხმისაგან ლეკთასა, ეგრეთვე სხვათა შეიწროებათაგან.

ირაკლიმან მიიღო მმართველობასა ქვეშე თვისსა სამეფო კახეთისა. ახალსა ამას ხარისხსა შინა განსხვავებულნი სახენი მისნი იყვნენ სიმხნე და მამაცობა სამხედროთა წინამიღებათა შინა. დრომან სრულჰყო იგი უმეტეს და შეიქმნა გამოცდილს მხედართმძღვანელად. მეორეს წელსა შემდგომ მეფობისა მისისა გივი ამილახვარმა¹ შემწეობითა ოსმალთათა გაიმავრა სურამის ციხე, წინააღუდგა ირაკლისა და მშობელსა მისსა თეიმურაზს. მათ მიაქციეს საჩივარი მასზედა შაჰ-ნადირთან, რომელმანცა მოსცა მათ მხედრობა. შეწევნითა ამით კირეს ამილახვაროვი სურამში და წარუდგინეს შაჰ-ნადირსა.

შემდგომ მისსა 1747 წელს შაჰ-ნადირი რომელთამე გარემოებათაგან განრისხდა სპარსეთსა ზედა, ბრძანა, რათა შეკრიბოს ძლიერი ხარკი ყოვლის სპარსეთიდან, ხოლო საქართველოდამ განსაზღვრა, რათა ყოველს წელს მოიკრიბებოდეს ორმოცი ათასი თუმანი თეთრი ფული, რომლისაცა მსმენელნი მეფენი და მცხოვრებნი ფრიად დაჰკმუნდნენ; გარნა მასვე წელსა მოკლეს შაჰ-ნადირი და კვალად იქმნა მშვიდობა საქართველოსა შინა.

ალი ყული ხან, რომელმანცა უწოდა თავს თვისსა ადილ-შაჰ, აღვიდა ტახტსა ზედა სპარსეთისასა მან მიუწოდა მეფესა თეიმურაზსა, ანან მიაბარა ქართლი ძესა თვისსა ირაკლის მით, რათა ჰკითხავდეს საკუთრად საქმეთა შესახებელთა ქართლისადმი იესე მეფის ძეს აბდულბეგსა.

შემდგომ მეფის თეიმურაზის წარსვლისა აბდულბეგმან ურჩია რომელთამე ქართველთა და სომეხთა სომხითისათა, რათა წინააღუდგნენ მეფესა ირაკლისა. შეკრიბა მან მხედრობა და შეერთდა განჯისა, ყარაბაღისა და დაღისტნის ხანთათანა და მცხოვრებთათანაცა ყაზახის და ბორჩალომსა და სხვათა; მოვიდა იგი ტფილისს. მეფე ირაკლი მყისვე განვიდა მასთან შებმად მცირითა მხედრობითა; უმეტეს მსა-

¹ ქურნალში არის: ამილახვარი.

სოებდა ღმერთსა ზედა, ვიდრედა შემძლეებლობასა ზედა თვისისა მარჯვენისასა; ეკვეთა ძლიერად აბღულებგსა, ჰძლია მეფემან ირაკლიმ და უკუნაქცია მხედრობა მისი. მეოტი აბღულებგი წარვიდა, შევიდა სამშვილდის ციხესა შინა და გაამაგრა იგი. მეორეს წელს აბღულებგ მოიბირნა ტფილისის ციხის მცველნი და უეცრად იწყეს თოფითა და ზარბაზნითა სროლა მუნითგან ტფილისსა ზედა. მაშინ მეფემან ირაკლიმან შეკრიბა კახეთისა და ქართლის ჯარნი, შემოადგა ციხესა მას; ყოველნი მოქალაქენი, რომელთაცა უყვარდათ ხელმწიფე თვისი და მამული, ფიცხელად იბრძოდნენ წინააღმდგომთათანა. დროსა ამას აბღულებგმან წარმოგზავნა ხუთასი ლეკი მოსაშველებლად ძლეულთა. ომი იყო ყოველდღე სისხლისმღვრელობითი. ამის შორის ჰსცნა მეფემან ირაკლიმ, რომელ მოვიდა დიდის ჯარით დალისტნის ბელადი ყოჯახ¹ და სრულებით მოაოხრა ავჭალა. მაშინ თვისის ჯარიდამ გამოარჩია ორასი კაცი და სხვა ჯარი დაუტევა ტფილისის ციხის ბრძოლად და წარვიდა, გზაზედ შემოიკრიბნა ქიზიყელნიცა და მოეწია მტერს ქისიყის ბოლოს შირაქში. მუნ შეება, მრავალი მოსწყვიდა და ყოველი წარტაცებული გაადგებინა, შემდგომ ამისა მძლეველის ჯარითა უკმოქცა და დასდგა დედოფლის წყაროზედ. დროსა ამას ლტოლვილნი ლეკნი შეჰხდნენ გზასა ზედა მეორეს ჯარს თვისისა მამულისასა, შეითქვენ და მეორეს დღეს თავს დაესხნენ მეფეს ირაკლის განზრახვითა მით, რათა ყოველივე წაართვან და განიწილონ. გარნა ძლიერი იგი და მხნე მეფე აღმხედრდა ცხენსა ზედა, თვით პირველმან მოკლა კაცი თოფითა და უბრძანა ჯართა მხნედ შეტევაბა, რომელთაცა დაამარცხეს ლეკნი და უმრავლესნი მოსწყვიდნენ. მუნიო უკმოქცეულმან აღიღო ტფილისის ციხეცა; შემდგომ წარვიდა სამშვილდის ციხეზედ, დაიმორჩილა და მძლეველი მოიქცა ტფილისადგე 1749 წელსა, სადაცა ეგრეთვე შემდგომ რაოდენისამე თთვისა მობრძანდა ერანით მშობელიცა მისი მეფე თეიმურაზი.

დროსა ამას მოკლეს იბრაიმ-შაჰ. სპარსეთსა შინა შეიქმნა აღრეულება. ყოველნი მფლობელნი, რომელნიცა იყვნენ ხელმწიფეებასა ქვეშე მის შაჰისასა, აღირივნენ; იმათ შორის უძლიერესი სხვათა ზედა იყო მაჰმად-ზანი, მმართველი აღრიბეუანის სამფლობელოჲსა. აღძრულმან პატივისმოყვარებისამან ისარგებლა რა გარემოებათა მიერ განვრცელებისათვის თვისისა სამფლობელოჲსა, მან შეკრიბა ოცდაათი ათასი მხედარი და მოადგა ზღუდესა ერევენისასა. ერევენლთა, არა მქონეთა ძალთათა წინააღმდგომობად მისდა, ჰსთხოვეს შემწეობა მეფეთა თეიმურაზსა და ირაკლისა, რომელთაცა კეთილნებობით

¹ უტრნალში არის: ყოჯას. შესწორდა ისტორიკოს ომან ხერხეულიძის მხედვით.

წინ დაუდევს მფლობელობა თვით ერევნისა და აღუთქვეს ყოვლისა მორჩილებისა აღსრულება, რომელიცა მათზედა დადებული იქმნების, ვინაჲთგან უკეთესად ჰრაცხნენ ყოფასა მფლობელობასა ქვეშე ჰაქართველოს მეფეთასა, ვიდრედა დამორჩილებასა მაჰმად-ხანის უღლისა ქვეშე. თეიმურაზ და ირაკლი თანხმა შეიქმნენ თხოვასა ზედა მათსა. ირაკლი წარვიდა წინა ხუთასის კაცით. ჰსცნა რა ესე მაჰმად-ხანმან, თვისის სრულის ძალით წინ მოეგება და შეება მეფესა ირაკლისა. დროსა ამას მოეშველა თეიმურაზიცა. შეიქმნა ომი. დასასრულ მოსცა ღმერთმან ძლევა და გამარჯვება მეფესა. ამან სრულიად განაბნევა ძალი მაჰმად-ხანისა, რომელიცა თვით გაიქცა ყარაბაღს, სადაცა ჰქონდა გამაგრებული ციხე ხორვირაბისა¹, რომელსაცა შინა იმყოფებოდა ცოლ-შვილი მისი და ყოველი ქონებაცა მისი შენახულიყო. — მეფე ირაკლი მიჰყვა მუნ თვისითა ჯარითა, აიღო ციხე იგი, გამოიყვანა ცოლ-შვილი მაჰმად-ხანისა და ყოველი ქონებაცა მისი წარმოიღო და მოართვა მშობელსა თვისსა თეიმურაზსა ერევანსა შინა. შემდგომ მისსა ერევნის ხანი და მასთან ყოველნი ჩინებულნი მოქალაქენი გამოცხადნენ მეფეთათანა, რომელთაცა აღუთქვეს მორჩილება. მეფეთა დადევს მათზედა ხარკი და დასვეს ერთი კაცი თავადთაგანი და უკმოიქცნენ ტფილისად.

დროსა ამას ხანნი: ყარაბაღისა ფანა, განჯისა შავერდი და ნუხისა აჯიჩალაბი შაქი-შირვანის ჯარებით მოვიდნენ ყაზახს აღსტაფაზედ², რომელთაცა უთუოდ უნდოდათ განთავისუფლება ხარკიდან. მეფეთა მიჰმართეს ყაზახს მათს დასასჯელად. გარნა შეშინებულთა ხანთა ვერღა გაბედეს ომი და დაუწყეს მეფეთა ლაპარაკი მშვიდობისა. ამით შესრულდა მაშინ საქმე ესე.

წელსა 1750-სა ყარაბაღის ხანი ფანა მოადგა განჯას, ხოლო განჯის ხანმა ჰსთხოვა მეფეთა თეიმურაზს და ირაკლის შემწეობა. ამისთვის მეფეთა შემოიკრიბნეს ჯარები და წარემართნენ. ჰსცნა რა ესე ფანა ხანმან, მსწრაფლად დაუტევა განჯა და მიიქცა თვის ქვეყნად, რათა განიმრავლოს ჯარი. დროსა მყოფობისა მეფეთა განჯასა შინა მოერთვნენ მათ განჯის ხანი, მხედრობა მისი და მცხოვრებნი. შემდგომ რაოდენისამე დროსა მეფენი წარვიდნენ ყარაბაღს დასამშვიდებლად ფანის ხანისა. მეფე ირაკლი ორასის კაცით წარვიდა წინ. ჯერეთ თეიმურაზის მისვლადმდე ფანა ჰსასოებდა რა მრავალრიცხველსა ზედა თვისისა ჯარისასა, შემოუტია ძლიერად მეფესა ირაკლის. ირაკლი მოიქცა რა მხედართა თვისთადმი, უთხრა მათ: „რაოდენ უმეტეს არს რიცხვი მათი, ესოდენ უმეტეს იძლევის“ და ძლიერად ეკვეთა მტე-

¹ ეურნალში არის: ხორგვირაბისა, ომან ხერხეულიძეს კი აქვს: ხარ-გვირაბი; მისი სომხური სახელია ხორ-ვირაბ.

² ეურნალში არის: აღტაფაზედ. შესწორდა ომანის მიხედვით.

რსა. შემდგომ ფიცხელისა ომისა ყარაბაღელნი აღირივნენ და უკუნ იქცნენ. ამ უამს ირაკლის მოეშველა მეფეცა თეიმურაზ. მოსწვდნენ მღევრულად, მრავალი მოკლეს და დაიჭირეს. მეორე დღეს სრულიად მოარბიეს არაზის გაღმა მრთელი ყარაბაღის მაჰული. დაჰყვეს მუნ იზრი თთვე, დასდვეს ხარკი განჯა-ყარაბაღსა ზედა და ვალად დაუდვეს, რათა შემთხვევასა შინა საჭიროებისასა მოსცენ ჯარიცა. ესრეთ გამარჯვებულნი მოიქცნენ ტფილისად.

მასვე წელსა შინა დღლისტნელნი, ჩვეულებისამებრ თვისისა, მოპარვის გვარად დაესხნენ ელებსა, მოარბიეს და მოსტაცეს საქონელი. ჰსცნეს რა მეფეთა, უყვეს დევნა და ეწივნენ დამლისს¹. მუნ შეიბნენ. გამარჯვებულთა მეფეთა მრავალი მოკლეს და უმრავლესნი მოიშთვნენ ალაზნისაგან, ხოლო რაოდენნიცა განვიდნენ მდინარესა, იგანიცა არღა დაშთნენ ცოცხალნი. მიჰმართეს მათ სიმაგრესა გორისასა, რომელიცა მოსქდა და სრულებით იგინი მოიტანა ქვეშ, ესრეთ რომელ ერთიცა რაღა გარდარჩა. მეფეთა იხილეს განგებულება ღვთისა, მოიქცნენ ტფილისად და აღავლინეს ღვთისადმი ლოცვანი მადლობანანი.

წელსა 1752-სა მეფეთა თეიმურაზმან და ირაკლიმან განიზრახეს წარსვლა ჭარსა ზედა და დასაპყრობელად შაქისა და შირვანისა. ამისთვის შეკრიბეს ყოველნი თვისნი. ჯარნი და წარვიდნენ ლაშქრად: იორსა ზედა მათთანა შეერთდენ განჯისა და ყარაბაღის ხანნი თვისისა ჯარით. დაუტევეს ჭარი და განვიდნენ იმის ქვემო აგრისზედ. მუნ მივიდა თვისის ჯარით ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი, რომლისათანაცა შეერთდნენ ჭარელნიცა და დადგნენ პირისპირ მის ადგილისა, სადაცა იდგნენ მეფენი. აჯი-ჩალაბი იღუმალ ეზრახა მეფეთათანა მყოფთა ხანთა და გარდობირნა² იგინი. მეორეს დღეს მომზადებულთა საბრძოლველად იწყეს ძლიერი ომი. მეფენი დაწყობილის დასტებითა ძლიერად ეკვეთნენ მტერსა და ორი გამაგრებული სანგალი დაადგდინეს და სრულებით დაამარცხეს ჯარი აჯი-ჩალაბისა. ჩინებულსა ამას საქმესა შინა ქართველნი და საკუთრად კახელნი იბრძოდნენ გარდამეტებულის სიმხნითა; გარნა სამწუხაროდ მხნეობა მათი არა დაგვირგვინდა წარმატებითა. ოდეს აჯი-ჩალაბი მიუხდა ხანთა, პირობისამებრ უწინარეს მისვლისა მისისა გაიქცნენ იგინი. ამის გამო ქართველის მხედრობაცა აღირია და იწყო უკუნდაწევა. მეფეთა ვერღა შეიძლეს დაყენება მტრისა და იძულებულ იყვნენ უკუნქცევად. ესრეთითა სახითა დაქარგეს მრავალი რიცხვი მხედრობისა, მოვიდნენ იგინი ტფილისს.

¹ დამლისა არს ადგილი, სადაცა შეერთდებიან მდინარენი იორი და ალაზანი [ს. დოდაშვილის ეს შენიშვნა ეკუთვნის ისტორიკოსს ომან ხერხეულიძეს].

² ეურნალში არის: გარდობირნა.

წელსა მას გამოცხადდა ასპარეზსა ზედა ბრძოლისასა აზათ-ხანი, რომელიცა იწოდებოდა მმართველად ადრიბეჯანის სამფლობელოჲსა და თვითმპყრობელად ყოვლისა სპარსეთისა. ბრძანებითა მისითა მუსა-ხანი შემოადგა ჯარითა თვისითა ერევნის ციხესა და მას შინა მყოფთა შეუკრა გზა. შეშინებულთა ერევნელთა ჰპოვეს ღონისძიება, აცნობეს მეფეთა მდებარეობა თვისი და წარმოუდგინეს მათ, რომელ დამორჩილებულთა და მძლეველთა ხარჯისათა აქესთ კანონი მფარველობისა მათისა, ამის გამო ჰსთხოვენ მტრისაგან დაფარვასა. მეფეთა ჰყვეს რჩევა და, ნებისამებრ თვიმურაზისა. ირაკლი წარვიდა ჯარითა განთავისუფლებისათვის ერევნისა. მუსა-ხანმან, ჰსცნა რა მისელა მეფისა ირაკლისა, დაუტევა ერევნის ციხე და განშორდა; ხოლო ირაკლი მივიდა ერევანს და შეჭირვებულთა მისცა საზრდელი.

ირაკლი გამობრუნდა რა მუნიდგან, დადგა შეენიერ ადგილს ყარაბულაყზედ, ერევნის მახლობლად. ამის შორის მუსა-ხანმან აცნობა ყოველი მოქმედება ირაკლისა აზატ-ხანს, რომელიცა იმყოფებოდა მაშინ თავრიზსა შინა. განძინებულმან აზატ-ხანმან შეკრიბა ორმოცდაათი ათასი მხედარი, მათ შორის შუბოსანი იყო ათორმეტი ათასი კაცი, აქენდათ ათორმეტი ზარბაზანი, ორასი ზამბურაკი, მოვიდა გარნიჩაიზედ და დადგა. ოდეს ჰსცნა მისელა მისი მეფემან ირაკლიმ, მიუწოდა მან ყოველთა ქართველთა დიდთა კაცთა და ჰყო რჩევა-აზრნი იყვნენ სხვა და სხვანი; უმეტესი ნაწილი არჩევდა დაბრუნებულსა და მაშინ მხოლოდ ბრძოლასა მტრისთანა, ოდენ მოჰყვება ქართველის ჯარსა და მოეწევა. უშიშროება, მხედრობითი სული და საყვარული მამულისა არ უტევენდნენ მეფესა ირაკლისა თანხმობად აზრთათანა დიდთა კაცთათა. ჰსთქვა მან: „ეხლა არა არს დრო. გაქცევისა. რაბამ ჰსცნობს მტერი სიმხდალესა ჩვენსა, იგი მიუცილებელად გვეწევა გზასა ზედა და არცა ერთსა ჩვენგანსა გაგვიტევენს ცოცხალსა. ესეც რომ არ შეგვემთხვას, მე არ მინდა უომრად წარსვლა. განგიცხადებთ ნებასა ჩემსა: ვეცადნეთ, მეგობარნო, ანუ ვადიდოთ სახელი ჩვენი მსგავსად წინაპართა, ანუ დავიხოცნეთ! ყოველთავე უწყით, რომელ სიკვდილის შვილნი ვართ: ადრე თუ გვიან უნდა მოვკვდეთ, უკეთესია დავიხოცნეთ დიდებითა, ვიდრეღა გიობასა შინა“. მეორეს დღეს აღრიცხა მხედრობაჲ თვისი, რომელიცა იყო სამი ათასი. ხუთასი ავათ მყოფი და ბარგის კაცი დაუტევა სანგალში და თვით დანაშთენის ორი ათას ხუთასის კაცით წარვიდა შესაბმელად აზატ-ხანისა. წარვლო რა მცირედი გზა, იხილა აზატ-ხანი, რომელიცა მოდიოდა მრავალრიცხვედის დასტებად დაწყობილის ჯარითა. მაშინ გარდახდა მეფე ირაკლი ცხენიდან და ჰსთხოვა ცრემლით შემწეობა ყოვლად უმაღლესსა. შემდგომ მხიარულისა გულითა უთხრა მხედართა თვისთა: „ჩემნო ძმანო და შვილნო, ნუ შეპკრთებით, ნუ შეში-

ნდებით რიცხვისაგან მტერთასა, რაოდენ უმეტეს არს რიცხვი მათი, ესეოდენ უმეტეს იქმნების ძლეული. — ნუ ჰგონებთ, რომელ მე სისხლსა თქვენსა ვპლვრიდე განვრცელებისათვის სამფლობელოთა ჩემთა და განძლიერებისათვის შემძლებელობისა ჩემისა! არა! მე მივალ დასაფრველად მამულისა ჩემისა და საყვარელთა ქვეშევრდომთა ჩემთა განმზნევდით, აღრიცხეთ ჩინებულნი საქმენი წინაპართა ჩვენთანი! მოიგონეთ მეფის გიორგის ძლევა მცირის ჯარითა ყანდაარში. — ღუაწლი ესე უწყიან სპარსთა: იგინი ვერ იკადრებენ იძულებად მცირისა რიცხვისა ჩვენისა; მათ იციან, რომელ თქვენც მათგანნი ქართველნი ხართ. — მეგობარნო ჩემნო! გამიგონეთ მე, ყურად იღეთ რჩევა ჩემნი, მიიღეთ მაგალითი ჩემგან: ვიდრე მე არ ვესროლო, თქვენ ნუ რა რაჟსა მიიღებთ წინათ. ხოლო რა ვესროლო მე, მაშინ ერთად ესროლეთ. ღმერთი შეგვეწყევა“.

განღვიძებულთა სიტყვითა ამით მხედართა აღუთქვეს არა დაზოგვა თავისა თვისისა აღსრულებისათვის ნებისა მეფისა თვისისა. — მაშინ მეფე აღმხედრდა და წარუძღვა წინ. ჯარი მას ეამსა შეუდგა მაგალითსა მისსა; ერთნი მხოლოდ თათარნი, რომელნიცა იყვნენ ხუთას კაცადმდე, უკუნდგნენ მოქმედებისაგან, რომელთაცა აქნდათ განზრახვა, რათა შემდგომ შეერთდნენ მხარესა მას, რომელიცა განიმარჯვებს. — ერთი მათგანი ერევენელი თათარი, აირუმის სულთანი აღაწერდა დაშთა მეფესთან. — მეფემან ირაკლიმან იხილა რა დამცირება ჯარისა, გადმოვიდა ცხენიდან და ევედრა მუხლმოდრეკითა და ცრემლითა ჯვარსა მაცხოვრისასა. დროსა ამას ხსენებული თათარი მივიდა ჯვართან და ჰსთქვა: „ჯვარო უკეთუ გაქვს ძლიერება, დღეს ვნახავ სასწაულსა!“ და დადგა ჯვარის ახლო. — შემდგომ მისსა მეფე ირაკლი უძლოდა ჯარსა თვისსა ქვეითად, მცირე-მცირედ მიიწია წინ და შეპხვდა მტერსა. მაშინ მძვინვარე აზატ-ხანმან უბრძანა მხედრობასა თვისსა, მსწრაფლად მოერთყან ქართველთა. სპარსეთის ჯარმა იწყო მოძრაობა და გარემო მორტყმა. გარნა ქართველნი იდგნენ უძრავად და ელოდნენ ბრძანებასა მეფისასა. — დროსა ამას ერთი ხანთაგანი, უწარჩინებულესი სხვათაზედა, მივიდა აზატ-ხანთან და ჰსთხოვა, რათა ნებაპართოს ერთსა მხოლოდ მას გამოვიდეს წინა, დაიჭიროს მეფე ირაკლი და მიართვას იგი. მიიღო მან ნება. გამოვიდა ირაკლის ჯართან და მქუხარის ხმით დაიყვირა: „ანი ირაკლი ხან“ (სად არს მეფე ირაკლი?) ირაკლი მყისვე გამოვიდა და სპარსულის ენით პასუხუგო მას: „უკეთუ შენ ეძიებ ირაკლისა, აჰა შემოპხედ მე, იგი ჰსდგას წინაჲ შენსა“. ხანმან მოუმართა შუბი ირაკლის; ხოლო მეფემან დაუყვირა: „აჰა შენ ბოროტისა განზრახვისათვის“ და მყისვე დასცა გვერდში თოფი და გარდმოაგდო ცხენიდან მკვდარი მიწასა ზედა. იხილეს რა ქართველთა მხნეობა და ღვაწლი მეფისა თვისისა, თვითცა განმზნე-

ვლენენ. მას წამსა ერთობ დაუწყეს სროლა მტერსა და პირველს სრო-
ლაზედ ფრიად მრავალი სპარსთაგანი მოკლეს. ირაკლი შეხტა ცხენ-
ზედ და უშიშრად ძლიერსა ომსა შინა ჰფრინავდა და ამხნევებდა მხე-
დრობასა თვისსა და უბრძანებდა, რათა ძლიერად ეკვეთნენ მტერსა.
დაამარცხა იგი. დანაშთენს ლტოლილსა მისდევდა შორს. ბრძოლა ესე
იყო იენისის თთვესა. საქმესა მას შინა გააგდებინეს მტერსა თორმეტი
ზარბაზანი, ორასი ზამმურაკი, ყოველნი დროშანი, ათასი აქლემი¹,
ორი ათას ხუთასი კარავი, მრავალი საქურველი, ცხენნი და ჯორნი,
ეგრეთვე დაიპირეს მრავალნი ტყვენი.

ყოველსა ესა მოქმედებისასა თათარი ალავერდა სულთანი მი-
უშორებლად იმყოფებოდა მეფეს ირაკლისთან და მხნედ იბრძოდა—
განკვირებული ძლიერებისაგან ჯვარისა, ხშირად იტყუოდა: „ხაჩ, მან
ხან ყურბანოლიმ“ (ესე იგი, ჯვარო, მე ვიქმნები შენთვის მსხვერპ-
ლად) და უბნობდა, რომელ ქართველთა არა ძალითა თვისითა გაიმარ-
ჯეს, არამედ ძლიერებითა ჯვარისათა.

მეფე ირაკლიმან, მიიღო რა ჩინებული ძლევა აზატ-ხანსა ზედა,
აღაველინა რა მადლობა ყოვლად შემძლებელსა, მოიქცა დღესასწაუ-
ლობითა ტფილისსა შინა.²

ქ. ბ რ ი თ ი კ ა

შენიშვნა ღამაკჰის წესაა ზედა უკანასკნელთა გეგმთა
საპარტიველო სათა, რომელიცა დაგვიდოი იყო პირველსა ნომერსა
შინა რუსულთა ბაზაითასა 1832-სა ახას წელსა³

წარვიკითხე რა იგინი და შევათანასწორე ვახუშტის ისტორიასა,
რომელსაცა შინა აღწერილ არიან ყოველნი წესნი და ჩვეულებანი
ჩვენთა მეფეთანი და სხვათა საკუთრად შედრგენილთა წესთაცა, რო-
მელნიცა იზარებოდნენ უკანასკნელსა დროსა შინა, ვიხილე მე ვრდიად
მრავალნი უთანხმოებანი და შეცთომილებანი; ამისთვის ვალად
ეკრატხ, რათა წარმოვედგინო იგინი მკითხველთა ჩემთა, რომელთა
მიერცა მოტყუებულ არს საზოგადოობა.

¹ ომან აქეს: „დარჩა მეფესა ირაკლის 24 ზარბაზანი, 200 ზამბურაკი თაიისაა
ასის აქლემთა...“

² შეგუგომი მეფის ირაკლის ისტორია დასასრულადმდე იქმნების დაბეჭდილი სხვა
დროს (ს. ღ.).

³ ეკათხელის სრული ორიენტირების აზრით შენიშვნებში იბეჭდება გრიგოლ
სერგაძის გორდევის ეს წერილიც.

უფალი ღარდღეივი, არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთასა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა, ხოლო მკითხველნი ჰგონებენ ყოველსა მას ჭეშმარიტად.

უმთავრესი შეცთობა მისი მიეწერების დროსა. მან აღწერა დამარხვისათვის უკანასკნელთა მეფეთა და ჰსთქვა ყოველი იგი, რაჲცა ეკუთვნოდა საკუთრად უძველესსა დროსა; ერთის სიტყვით ვჰსთქვა, წესი მეფეთა დამარხვისა აღმოწერა ისტორიიადამ მეფის ძის ვახტანგისა, რომელიცა დაწესებულ იყო უწინარეს ათას ხუთასისა წლისა, და გამოსცა თავის სახელით¹. ყოველი განსხვავება მას შინა მდგომარეობს, რომელ მან წარმოადგინა მოგონილის სიტყვებითა და მოქმედებითა, რომელნიცა არა ეკუთვნიან არცა ძველსა და არცა ახალსა დამარხვისა წესსა.

უფალი ღარდღეივი ჰსწერს: „შემდგომ მეფის გარდაცვლისა ყოველნი სასახლის სამოქალაქონი და სამხედრონი მოხელენი, ტფილისსა შინა მყოფნი, შეკრებოდნენ სასახლესა შინა“. აქა არა უბნობს არცა ვაჭართათვის, არცა სხვათათვის, რომელნიცა მას წამსავე გამოცხადდებოდნენ დანიშნულს ადგილს; გარდა ამისა არა ჰსწერს, რომელ ყოველნი ჩინებულნი და პატივცემულნი სასულიერონი და სამოქალაქონი გვამნი, ვითარცა ქალაქსა ამას შინა მყოფნი, ეგრეთვე ქართლსა, კახეთსა და სხვათა ადგილთა შინა, ოდეს მიიღებდნენ უწყებასა, მაშინვე ისწრაფდნენ ტფილისად მოსვლასა და ტირილსა გარდაცვლისათვის მეფისა თვისისა.

შემდგომ იგი მოუთხრობს: „ცოლნი ჩინებულთა კაცთანი დასხდებოდნენ მარცხნივ ტახტისა, რომელსაცა ზედა იღვა ცხედარი, ხოლო სახელმწიფონი მოხელენი მარჯვნივ მხარესა მისსა“. — ესე არს სრულიადი სიციბილი. ქალნი, რომელთაცა აქვნდათ ადგილი სამეფოსა სახლსა შინა, შეკრებოდნენ საკუთარსა სასტუმროსა შინა, სადაცა ზრძანდებოდა დაქვრივებული დედოფალი ნათესავებითურთ თვისით; ხოლო სახელმწიფონი მოხელენი, მივიდოდნენ რა კუბოსთან და განაცხადებდნენ მწუხარებასა, გამოვიდოდნენ მეორესა სასტუმროსა შინა, სადაცა ზრძანდებოდა ახალი მეფე და დასხდებოდნენ ხარისხისაებრ თვისისა. გარნა სჯული მეფის ვახტანგისა უკანასკნელსა დროსა ამას არ იყო განხსნილი და დაპირქვაებული, ვითარცა უბნობს უფალი ღარდღეივი. სჯულდებულება, თქმული ისტორიისა შინა

¹ ვახტანგ-ალმასხან ბატონიშვილი, რომლის შრომასაც ემყარება ჩვენი ავტორი, მართლაც წერს: «Я писал сии обряды с царствования Миряна». (ქვემოთ დასახელებული მისი შრომა, გვ. 29).

მეფის ძის ვახტანგისასა, არ იყო მეფის ვახტანგისა, არამედ იყო ზნეა. თარგმნილ ბერძულიდამ¹.

ისტორიასა შინა მეფის ძის ვახტანგისასა 26-ს გვერდში თქმულ არს: „ტახტთან, სადაცა ეწყო ნიშანნი ქვრივისანი, ისხდნენ ცოლნი საჩინოთა კაცთანი“. ხოლო უფალი ღარდევითი გამოცემასა შინა თვისსა უმატებს: „ცოლნი ჩინებულთა კაცთანი, დაბურვილნი თავიდამ ფეხებადმდე თეთრის ჩადრით, დასხდებოდნენ დაბალს სკამს: ზედა ანუ დივანსა, იგვემდნენ მკერდსა და ხმამაღლად ჰგოდებდნენ“. — ესე სრულიადი სიტყუე არს, ვინაჲთგან დაბალი სკამები და დივანნი დროსა მას არ იყო ხმარებასა შინა, თეთრისა ჩადრის წაცვლად ჰქონდათ წესისა ამის შესაბამნი სამოსნი. იგვემდნენ მკერდსა თუ არა, ცერემონიალსა შინა არა თქმულ არს².

უფალი ღარდ[ევი] უბნობს: „ყოველნი ესე მოხელენი, ესე იგი მდივანნი ანუ მინისტრნი და ცერემონიემისტრნი ესრეთითავე წესითა შეუდგებოდნენ კუბოსა“. სრული ცერემონიალი მან განსაზღვრა მხოლოდ პირთა ამთ მიერ, მაშინ სადაც ცერემონიალსა ეკუთვნოდნენ: ყოველნი ჩინებულნი თავადნი, აზნაურნი, ვაჭარნი, ხელოსანნი, გლეხნი; ერთის სიტყვით, ყოველი კრება განყოფით მისდევდა კუბოსა.

დასასრულ უფალი ღარდ[ევი] ჰსწერს: „კუბო მიჰქონდათ მცხეთამდე, საიდამაცა იქაური სამღვდლოება მოეგებებოდა და შეიტანდა სობოროს ეკლესიასა შინა“. — ამას კი არსად უბნობს, რომელ ტფილისიდან ყოველნი საქართველოს არქიერნი, არქიმანდრიტნი და სხვანი სასულიერონი გვამნი წინაუძღოდნენ ცერემონიებრის წესითა მცხეთამდე და თვითოეული მათგანი ხარისხისამებრ თვისისა ადვილსა ზედა თვისსა დასდგებოდა.

ერთი სიტყვით ვსთქვა: წესი დამარხვისა საქართველოს მეფეთა, რომელიცა ფრიად საკმაოდ უწინარეს ცნობილ არს საზოგადოობისადმი, უსვინდისოდ გარდმოუწერია უფალს ღარდევითს მეფის ძის

¹ ვახტანგი წერს: «Первое место занимали Мдиваны или Министры, пред которыми лежало раскрытое и опрокинутое к земле уложение с изломанными перьями» (გვ. 27).

² ავტორი გულისხმობს დავით რექტორის მიერ შედგენილ „ცერემონიალს“ ერეკლე II-ის დაკრძალვისას (წ—105, გვ. 22—36; დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1887 წ. №№ 89, 90; არის მისი რუსული თარგმანიც). აქ 32-ე მუხლში მართლაც მკერდის გვემა არ იხსენიება და წერია მარტო ეს: სვეტი-ცხოვლის დეკანოზს ნიკოლოსს „წინ უძღოდენ მოზარენი და ცერემონიემისტარი [თვითონ დავით რექტორი] და, საცა სახლსა და პალატსა შინა ჰპრძანდებოდეს მისი სიმაღლე დედოფალი დარეჯან, ზარით წამოუძღვენ და მასთან დარბაისელთა ცოლნი თავშიშველნი მოვიდენ ცხედარსა თანა მეფისასა და იყოს გოდება, ტირილი და სალმობა გამოუთქმელი და უკანასკნელი გამოსალმება და დათხევა ცრემლთა“.

ვახტანგის ისტორიიდან, რომელიცა დაბეჭდილ არს რუსულსა ენასა ზედა ს. პეტერბურლს 1814-სა წელსა¹.

ფრიად სასირცხვილო არს უ. ლარდეიევისათვის დაბეჭდა ტფილისის გაზეთთა შინა ესრეთისა წესისა და გამოცემაცა სახელითა თვისითა, ეგრეთვე არცა შეენდობის გამოცემელსა გაზეთთასა² ესევეითა სიცრუეთა მიღებისათვის. ნუ უკვე არა წარუეითხავს ისტორია საქართველომსა მეფის ძის ვახტანგისა, საიდგანცა გარდმოუწერია უფალს ლარ[დეიევს] ხსენებულნი წესნი და ჩვეულებანი, ყოველნი უწინარეს ათას ხუთასისა წლისა.

დასასრულ ყურადღებულთა მკითხველთა ჩემთა განმსჯელობასა წარმოვუდგენ მდებალსა სულისა აზრსა უ. ლ[არდეიევისასა], თუ რაოდენ უცნაურ და ცთომილ არს ცნობათა შინა ზნეობათა, წესთა, ჩვეულებათა და ყოფაქცევათა მამულისა ჩვენისათა და, თვინიერ ყოვლისა პირმოთნეობისა სიყვარულითა ქეშმარიტებისათა, ცხადე-ჰყოფ სრულიადსა სიციბილსა მისსა, რომელსაცა დაუფუძნებია გამოცემანი თვისნი ნამდვილსა. ცთომილებასა ზედა; ხოლო გამოცემელნი³ რუსულისა გაზეთისანი, არა მცოდნენი ნამდვილთა ზნეობათანი, თვინიერ ყოვლისა განხილვისა ჰბეჭდენ თვისსა გამოცემასა შინა ყოველსა უგვანსა უ. ლარდეიევის მიერ შერდგენილსა.

მოწერილი ს. — კატარაზილიანთა ტფილისის ძმასთან

დასასრულ, საყვარელო ძმაო, სიმრთელით მოვაწიე პეტრეს ქალაქს, რომელმანცა მიმცა დიდსა საკვირველებასა და გამოუთქმელსა საოცრებასა თვისისა შეენიერებისა და თვალგარდუწყდენელისა სიერკისა გამო, რომელთაცა აღწერა არა ძალმძის და შენთვის არცა საჭირო არს, ამისთვის რომელ შენ ყოვლისავე, რააცა არს აქა, თვალთ მნახველი ხარ. მაგრამ მე გეტყვი აზრსა ჩემსა.

ყოველი, რააცა თქმულ იყო ჩემდა სატახტომსა ამის ქალაქისათვის, არა ემსგავსების სიმართლესა: ესე არა არს ქალაქი, არამედ შეენიერი და სრული ქვეყანა, სადაცა ყოველივე ქმნილ არს სხვა გვარად, ვიდრეღა მანდ; ცხოვრება და ჩვეულება მანდაური არა

¹ «Обозрение истории грузинского народа», СПб, в тип. Иоанесяна, 1814.

² იგულისხმება პაულ სტეფანეს-ძე სანკოვსკი, პროფ. მ. ა. პოლიექტოვის სიტყვით, ის გარდაიცვალა 1832 წ. 19 ოქტ. (ცენტრ. არქივის „საისტორიო მოამბე“, 1946, № 2, გვ. 48). ნამდვილად კი—ადრევე. უკვე 15 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანს რუსეთში სწერს ელისაბედ ორბელიანი: „ცოცხლების ანბავი ეს არის. ახლა სანკოვსკი მოკვდა, თამარის მაზლი, პაულ სტეფანიჩი, რომელიც გაზეთებს ბეჭდამდა“. აქ ნახსენები თამარი იაკობ ორბელიანის ქალია, ცოლად ჰყავდა ანდრეა სტეფანეს-ძე სანკოვსკის, ჟურნალისტის ძმას.

სხვა არს, ვითარ მზისა ამის ნაპერწკალი ერთს სტაქანს წყალში, უფრო უმცირესი. წარმოიდგინე, ძმაო, კახურის ღვინით მთვრალი კაცი. რომ შემომხედო ეხლა, სწორედ იმის მსგავსად განლიგებული ვარ ესეოდენტა დიდ შვენიერთა აღმკობილებათაგან შენებულებათა, წყობილებათა მათთა და სხვათა. რაჲცა შეეხება აქაურსა განათლებასა, გონება ჩემი იწრო არს ამისთვის, რათა მოგწერო, სანატრელ არს ჩემთვის, რომელ ეხლა აქ იყო შენ. მსურს გულითად გაცნობო ყოველივე, მაგრამ იწრო გონება ჩემი ესრეთ აღვსილ არს, რომელ არ ვიცი, საიღამ დავიწყო და რასა ზედა დავაფუძნო აზრნი ჩემნი. მომიტევე და აღვითქვამ, რომელ ყოველსავე მოგწერ და გაცნობებ სურვილისამებრ შენისა, შემდგომ რაჲცა შემემთხვევა.

აასუხი ტფილისიდაჲ

უსასიამოვნესი წერილი შენი მივიღე, რომელსაცა შინა ვსცან მისვლა შენი ჩინებულსა მაგას ქალაქსა და სხვანი. დიდად მოხარული ვარ. გარნა მსურდა მე, რათა ყოველივე მოგეწერა ჩემთვის. თუმცა-ღა მიხილავს აღმკობილი ეგე ქალაქი, გარნა სრულებით მიმეტარა და შემდგომ ჩემსა მრავალი ცვალება იქმნა. მე უბნების წოდებაც არღა ზახსოვს, მასასადამე, სასიამოვნო არს და სახალისოცა გაცნობა ჩემი ქვეყნისა მაგის, სადაცა საყვარელნი მემამულენი ჩვენნი იმკიან განა-ოლებათა და მდიდრდებიან ცნობათა მიერ. ხოლო მე აღვიწერ აწი-ნდელსა მდგომარეობასა საყვარლისა მამულისა ჩვენისასა, რომელიცა ფრიად გახარებს ვითარცა შვილსა ამის ქვეყნისასა.

კარგათ იცი, რომელ ბუნებაჲმან არა უარგვეო ზნეობითთა და ფი-ზიკებრთა ნიჭთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოფიერ არს, ჰაერი კეთილგანხმული და შეზავებული, თვისებანი გონებისა და გულისა-ნი არიან მიუღებელნი ღირსებანი, მსგავსად შვილთა ძველისა ელლადისათა. გარნა არა განხმულ იყო ჭურჭელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალგვედვა სარგებლობა ნიჭთა მიერ მისთა და გონებითთა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა საჭიროებანი გარემოებათანი და არა იწარმოებოდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნისმოყვარებითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა. ორთა წარსულთა წელიწადთა შინა ჩინებულთა ბრძოლათა სამძღვართა ზედა ჩვენთა, რომელთაცა დაგვიმტკიცეს ჩვენ, რომელ მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰზრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა, ყოველივე დაბრკოლება აღხოცეს.

შემდგომ დიდისა მისა მშვიდობის დამტკიცებისა საგრძნობელად ჰსჩანს განცისკროვნება სხიეთა ქეშმარიტისა განათლებისათა მამულსა შინა ჩვენსა.

გარდა ამისა, რომელ ტფილისსა შინა არს ღიმნაზია და სემიარია, ყოველთა სხვათა ამიერკავკასიის მხარესა ქალაქთა შინა დაქვისებულ არიან საერონი და სასულიერონიცა სასწავლებელი. მოწოდენი, რომელნიცა აწ იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა, აღგვიტყვენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა. შესაძლებელ არს, რომელ მზისა მაგის ნაბერწყალი მცირე-მცირედ განერყელდეს და ოდესმე აღვიდეს მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა.

მე აწინდელისა მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომელ მომატებული შეუძლებელ არს. გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაჲთგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზვა შვენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვა და სხვათა საგანთა, რომელთაცა იხილავ ქართულსა გაზეთსა შინა.

ყოველმან მემამულემან ჩვენმან ჰსცნა, რომელ განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოობისა; ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოობა, შემდგარი კეთილღრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმედილს წყაროდ საერთოთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებლობისა; მას შინა ჰსცნობს წმინდა ეკლესია ქვეშარიტთა ძეთა, მოქალაქობა — მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელი — თვისსა ნუგეშისა; ერთის სიტყვით გითხრა: აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა; მაშასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთმოყვარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანმეშრომენი, შექმენი და მფარველნი.

ქვეშარიტად გამოუთქმელ არიან ზომანი კეთილდღეობათანი, რომელნიცა მოჰფინა ქვეყანასა ზედა ჩვენსა დიდსულმან ერთმთავარმან ჩვენმან, რომელსაცა ჰსურს, რათა მხოლოდ ვისარგებლოთ ჩვენ კეთილობითა მისითა, განვინათლოთ გული და გონება, რომელიცა არს დაწყება ბედნიერებისა ჩვენისა.

გარდა ამისა შენ იცი, რომელ ქართველთა აქვსთ თვისებითად მზიარულება; უმეტეს აწინდელსა შემთხვეულებასა შინა გული ყოვლისა კაცისა განიხსნა და სახესა ზედა მათსა გამოიხატა მიუწლომელი სიხარული და შება. ბედნიერება ესე ჩვენი ჯერეთ არ ძალმიძს სახელდობრ გამოგიცხადო და არცა საჭირო არს, ამისთვის რომელ მაინდამ მივიღეთ, მაშასადამე, შენ იცი აწ ზედმიწევნით ჰსცნეს მემამულეთა ჩვენთა, რომელ უკეთუ განათლებულ იყვნენ, მიაწვევენ უმაღლესს ხარისხადმდე ბედნიერებისა, ამის გამო მიიქცენ მის საშუა-

ლობისადმი, რომელიცა აწარმოებს აღყვებასა სამშობლოჲსა ჩვენისა-
სა.

დასასრულ გაცნობებ, რომელ ჩვენს ქალაქში წარსრულს კვირას
იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა. საკურვლად წარმოად-
გინეს, მერწმუნე, უკეთესად არღა შეიძლებოდა. გარნა რა წარმოად-
გინეს და ვითარ, ამას ყოველსავე საკუთრად მოგწერ.

მომიკითხე ყოველნი მემამულენი ჩემნი მანდ მოსწავლენი და ამ-
ხნევე იგინი სწავლათა შინა, რომელთაგანცა მამული ჩვენი მოელის
ბედნიერებასა და მაცნობე ყოველი ვითარება შენი, მემამულეთა და
სსჯაჲა. მშვიდობით.

შენი ძმა ს...

[გაღლოვის განცხადება]

გამომცემელი ვალად ჰრაცხს განუცხადოს მთხველთა მადლობა
შემდგომთა ლექსთათვის, რომელნიცა აქა წარმოუდგებიან მსჯელო-
ბასა მკითხველთა ჩვენთასა. ღმერთმან ინებოს, რათა იხელოვნონ
თხზულებათა შინა მრავალგვართა სტიხთათა და სასიამოვნო არს, რა-
თა საშუალ მემამულეთა ჩვენთასა გამოჩნდნენ სხვანიცა მბაძველნი
ესრეთთა კეთილთა საქმეთანი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განცხადებასა შინა წარსრულსა წელსა გამოცემისათვის „სალიტე-
რატუროთა ნაწილთა ტფილისის უწყებათასა“ აწინდელსა 1832-სა
წელსა თქმულ იყო, რომელ გამოვა პირველს და ხუთმეტს რიცხვებს
შინა. გარნა რადგანაც იწყო გამოცემამან გაზეთებისამან რუსულსა
და თათრულსა ენებსაცა ზედა, ამისთვის სტამბასა შინა იქმნა და-
ბრკოლება. ქართულსა ენასა ზედა ყოველთვის გამოვა იგი ხუთსა
და ოცსა რიცხვებსა შინა. უკეთუ საზოგადოობამან მოაქცია კეთილ-
მიდრეკილებითი ყურადღება სასარგებლოსა ამას გამოცემასა ზედა და
ისურვა ხელის მოწერა, მაშინ მიუცილებლად განრძელებდა გამო-
ცემა და აღსრულდება ყოველი აღთქმული. ხოლო წინააღმდეგმსა
შემთხვევასა შინა იგი დადგება და მათ, რომელთაცა მოუწერიათ ხე-
ლი მისაღებად გაზეთებისა და სალიტერატუროს ნაწილთა, დადებუ-
ლის წელიწადში რვა მანეთიღამ ხვედრისამებრ მიექცევათ ფული.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბრძანებითა მთავრობისათა, რომელიცა ჰზრუნავს კეთილმდგომე-
ბეობისათვის ამიერკავკასიის მხარესა შინა მცხოვრებთა ერთასა,

იწყო ქართულსა ენასა ზედა გამოცემამან ტფილისის უწყებამან აწინდელსა ამას წელსა უმეტეს ამისთვის, რათამცა მისცემოდა ესგვარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვრცობისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისადა მისასლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა.

თუმცადა რომელნიმე იტყვიან, რომელ ჭერეთ არა იხილვების მიღებული ესე საგანი, გარნა თუ სადამე გამოცემასა ამას მისცემოდა საფუძვლიანი დამყარება, მაშინ მისწვდებოდა უმთავრესსა საგანსათვისსა და აღსრულდებოდაცა აღთქმა გამომცემელთა, რომელნიცა აქამომდე მოელოდნენ ხელის მომწერთა, გარნა ფრიად ცოტანი აღმოჩნდნენ მსურველნი მისნი და მოყვარენი განათლებისანი.

ესე იწარმოა ამისთვის, რომელ რომელთამე პატივცემულთა გვამოა ვერა ჰსცნეს წინამიღება ესე; და სხვათა, რომელთაცა უწყოდნენ, შესაძლებელ არს, რომელ ვერ განუცხადეს მათ, ვინაჲთგან ვალი თანამდებობისა, სხვა და სხვანი საქმობანი და რადმენი მიზეზნი არა უტევებდნენ დროსა. — ამის გამო მიმღებთა ამისთა ვჰსთხოვთ უმოჩინილესად, რათა მიიღონ შრომა, რათამცა არა სარცხვინელ იქმნას საქართველოს საზოგადოება, განუცხადოთ ყოველთა მემამულეთა და განადიდებოთ მათ შორის სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა, მოაწერონ ხელი და შეძლებისაებრ თვისისა მოსცენ შემწეობა განმრავლებისათვის ღონისძიებათა და საშუალობათა. რათამცა ზემონსენებული გამოცემა განგრძელდეს საქებელად მამულისა და განმართლდესცა მოლოდება ბრძნისა მთავრობისა.

КРАТКИЙ ВЗГЛЯД НА ГРУЗИНСКУЮ ЛИТЕРАТУРУ

Мне случалось быть свидетелем утвердительных суждений многих благомыслящих особ, не только из иностранцев, но из природных Грузин, что Грузинский язык беден Литературными произведениями, не обработан и в отношении к гармонии не имеет никакой приятности.

Зная свой природный язык и желая удостовериться сих почтенных особ в том, что на Грузинском языке находится много прекрасных Литературных произведений и переводов с разных древних и новейших языков, я счел нужным сперва сообщить небольшое обозрение истории нашей словесности, а потом представить какие на оном имеются сочинения и оценить каждого автора по достоинству. Тогда ревнители просвещения откроют на мало или вовсе почти еще неизвестной почве Кавказской Литературы новые занимательные произведения, достойные всего внимания образованной критики.

Неизвестно, когда именно Грузинский язык сделался языком народа; но должно полагать, что письмена или буквы Грузинского языка изобретены первым Грузинским Царем Парнавазом, от сотворения мира в 3627 году, почти за 327 лет до Рождества Христова. Они были совершенно отличны от букв других народов. В истории нашей также сказано, что Грузины говорили на Ассирийском языке.

Хотя некоторые писатели, особенно Армянские, утверждают, что Грузины в древние времена говорили на Армянском языке, но сии догадки, выведенные из того, что оба сии древние Закавказские обитатели, то есть Грузины и Армяне, как видно по Истории, происходят от одного поколения Таргамоса¹, весьма неудовлетворительны и не доказаны. Если сии писатели основываются на том, что некоторые, немногие однако же, слова, существующие в Грузинском языке, доселе употребляются и на Армянском, то из сего нельзя еще составить никаких основательных этимологических выводов в том, чтоб язык Грузинский происходил от Армянского; также как, наоборот, нельзя сим доказать, чтоб Грузинский был коренной, а Армян-

¹ Таргамос был владетелем Закавказского края в 2758-м году от С.(отворения) М(ира). Он разделил владение свое детям своим: Аосу дал Сомхетию, а Картлосу—Карталинию и проч. Тогда еще не было смешения языков. Ист. Груз. [С. Д.]

иский производный от оною. Есть множество случаев, по коим можно предположить, что слова сии от самобытного Грузинского языка могли перейти к таковому же Армянскому. Что корень нашего языка должен быть собственный, сие видно из всех древних письменных памятников. Я не нахожу ни букв, ни даже звуков, не только слов, которые бы имели разительное сходство с свойством Армянского языка. Нынешние писатели и не знающие Грузинского языка переводчики ввели в оный многие Персидские, Армянские и Русские слова; но из сего нельзя заключить, чтобы на Грузинском языке не было равнозначущих собственных слов. Хороший писатель, каким бы слогом какой бы предмет не вздумал описать, может на отечественном языке выразить малейшие оттенки чувствований и понятий, не употребляя никаких слов другого диалекта, кроме разве технических, употребляемых целым светом.

Грузины издревле имели склонность к наукам и художествам; известнейшие писатели были в IX столетии в царствовании Адарнаса, Св. отец Иларик; в X столетии, в царствовании Сумбата, Св. отец Иван; в XI, в царствование Баграта, Св. отец Ефтим, философ Иван, называемый Петридзе, и Степап. В XII веке в особенности Грузины стояли на высшей степени могущества и образованности. В сие время знаменитые писатели при Царе Давыде возобновители были: Ефрем, Феофи.л. Арсений Икалтийский и Иван, сын Тариджа. Все сии вышесказанные писатели не только переводили с Еллинского языка все церковные, богословские, философские и другие книги, но также писали на своем языке по всем частям словесности: собственные сочинения.

В то время Цари наши, заботясь об образовании своих подданных, ежегодно отправляли в Афины по двенадцати юношей из Грузии для обучения наукам. Многие из них, обогатившись познаниями, возвратились в свое отечество, в числе коих были и вышеупомянутые писатели.

Самая блистательная эпоха нашего красноречия началась Иваном Петридзе. Он был истинный философ, обожаемый поэт в Грузии и в полном смысле гений своего времени. Он писал почти во всех родах словесности и во всех родах приобрел знаменитость и уважение не только своих современников, но и просвещенных потомков. О достоинствах сего великого писателя можно судить из восторга, с коим превозносил оные Католикос Антоний, один из отличнейших Грузинских писателей XVIII века. В прекрасном послании своем Католикос изъясняет свои восторги следующим истинно поэтическим обращением, которое я постараюсь представить в переводе, придерживаясь как можно более буквального смысла подлинника:

«Должно пметь одно из двух: или быть философом или почитать философа, говорит богослов Григорий в книге к Ирону Философу».

«Теперь, взяв в руки перо, я теряюсь в восторгах при воспоминании о тебе и что мне сказать о тебе, я в недоумении: хочу писать в похвалу преподанных тобою правил, но не нахожу достойных выражений, я не в состоянии возвысить речи мои на равной степени с твоими. Лучше молчать, нежели хвалить твои высокие мысли простыми выражениями. Но желание мое выше всех слов, а потому дерзаю писать и скажу, что сия речь моя к тебе не есть похвала мудрому из мудрых, а только изображение моего желания».

«Святят тобою употребленные слоги, которые ты ввел для образования нашего языка; блещут слова твои более драгоценных камней; сияют речи, подобно светилам небесным. Все твои писания тверды и незыблемы; основательные и истинные доказательства в отношении предметов философских и богословских неоспоримы и никем не могут быть опровергнуты. Справедливо тебя назвали философом. Ты постигаешь отвлеченные предметы и причины их. Ты достиг до совершенного познания всех существ и тварей, а потому и называешься истинным философом».

«Астрономическое твое изъяснение истин удивило б Диадоха Прокла и Платона. Толкование твое богословских истин по естеству и по откровенно показывает величие твоего ума. Твои метафразы изложены с пиитическим искусством и аттической приятностию. Сочинения и переводы твои показывают беспримерное авторство, грамматическую чистоту, риторическую точность и высокое красноречие».

«Стихи твои сияют подобно лучам солнечным, цветут как сады майские, зреют как плоды деревьев и изливают приятные ароматы лилий и фиалок».

«Ты слушал курс филос(оф)ии, ты богат стоическою ученостью и перипатетическими познаниями, Грузию превратил ты в Афины и прогнал из нее темноту невежества».

Я тоже читал бессмертное его творение. Он, напитавшись тщательным изучением образцовых сочинений древних, пересади на родную почву красивые цветы словесности, утвердившие славу Эллады.

Также был некто Николай, учившийся вместе с Петридзе в Афинах; он оставил нам краткую философию в вопросах и ответах; есть и другие сочинения его.

С того времени в нашем отечестве распространились науки, умножились книги и училища, так что царствование Тамары, последовавшее за тем, сделалось блистательнейшею эпохою для Грузинской литературы. Сама Царица Тамара обратила благодетельное внимание свое на науки и искусства. Она

возбуждала в каждом стремление к просвещению, рождала таланты и добродетели.

Остающиеся поныне памятники того времени свидетельствуют о изяществе в зодчестве и живописи, тогда существовавшим.

Время сие Грузины считают златым веком.

Если 6 век Великой Тамары был бы представлен в правительственном, воинском и литературном отношении писателем, достойным изобразить сию блистательную эпоху Истории Грузинской, я уверен, что творение подобного рода обратило бы внимание всего просвещенного света. Тогда бы увидели, что малоизвестная Грузия есть страна, заслуживающая внимание и что она, при всех бедствиях, тяготевших над нею в разные времена, имела сокровищницу наук и словесности, может быть, более богатую, нежели другие страны того времени. Особенно прославились в царствование Царицы Тамары четыре сладкозвучные писатели; два прозаика: Моисей Хонели и Сергис Тmogвели и два поэта: Руставели и Чахрухадзе. Из сочинений их образцовые уцелели и доныне.

Два прозаические сочинения — «Дареджаниани» автора Моисея Хонели и «Висрамниани» автора Сергиса Тmogвели — ценятся весьма высоко и ставятся в числе первейших творений по красоте неподражаемого слога и живости многих картин. В доказательство того, что словесность наша была на высокой степени совершенства, довольно представить пред суд образованной критики поэму Руставели «Вепхвис-Ткаосани».

Другая поэма Чахрухадзе «Тамариани», хвала Царице Тамаре, по необыкновенной гармонии своей и трудному роду стихов весьма замечательна. Счастливое сочетание остроты мыслей с игрою слов придают сему сочинению особенное оригинальное достоинство, а мерность и благозвучность рифм служат ей изящным украшением.

По смерти Царицы Тамары Грузинская литература не шла вперед с таким успехом и ход просвещения вообще был медленнее. Причиною сему были нападения соседственных варваров, делавших частые набеги на Грузию и опустошавших сию страну. Ежечасно ожидали пленения и смерти и никто не был уверен в своей безопасности.

Такое бедственное положение Грузии продолжалось долго, но при всем том поэзия не умолкала и всякий раз по заключении мира с Персиянами раздавались снова сладкие звуки лиры в похвалу минувших лет.

В продолжение сего бедственного времени дух любви ко славе отечества не совсем угас в Грузии. Многие из князей имели небольшие библиотеки с книгами, писанными на родном языке. Потом библиотеки сии перешли в монастыри, которые передали их позднейшим потомкам.

Говоря о Литературе нашего отечества, я обязан воздать

должную дань хвалы венценосному поэту Царю Теймуразу за превосходную поэму его «Прения времен года» и за другие сочинения. История с похвалою знакомит нас с Царем Вахтангом V, которого главнейшее попечение обращалось на воспитание юношества. Он возобновил книгопечатание и, любя поэзию, сам оставил нам многие плоды стихотворного дара своего.

Эпоха восстановления или основательного водворения наук в нашем отечестве началась в XVIII веке, то есть со времени вступления на престол Ираклия. Блистательные победы сего Царя-героя рождали в каждом дух поэтический. В его время заслуживает наиболее похвалы Католикос Антоний I-й, который имел обширные познания во всех науках и творческий дар. Он в особенности любил свою отечественную литературу. Бывши Архиепископом во Владимирской Губернии, он усовершенствовался там в Латинском языке и по образцу Латинской сочинил пространную Грузинскую Грамматику. Он написал Катехизис, перевел на Грузинский язык курс философии Баумейстера и по прибытии своем в Грузию завел несколько школ, в коих преподавались: Грамматика, Риторика, История, География, Арифметика, Философия и Богословие. Здесь сочинил он пространное Богословие (в четырех частях) и краткие ответы противу заблуждений Армян и других иноверцев; последние назвал он Мзаметквелеба, т. е. готовыми ответами. Он также перевел с Армянского языка Риторику Михитара, сочинил в стихах Цкобилситкваоба (порядочнословие), в котором знакомит нас с 30 святыми, с 20 знаменитыми царями и с 70 отличными писателями нашего отечества. Он сочинил также несколько од в честь Царя Ираклия, по случаю побед его над Персами. Его трудами также составлена История Грузинских Царей и написаны многие исторические отрывки.

Историк Вахушт, Сулхан, Вахтанг и Дмитрий Орбелиановы, Преосвященный Гай, Иесей Эристов, Дмитрий Цицианов и другие отличались удивительным красноречием, сочинения их в стихах и прозе заслуживают умонаблюдательного внимания.

წერილის ბოლოს არის: «Продолжение обещано», ხოლო სქოლიოში გაზეთის რედაქცია აღნიშნავს: «Займствовано из Грузинской Газеты, коей Редактор Г. Додаев-Магарский. Он же сочинитель сей статьи».

შ ა ს ხ ა ა

წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებელის მოძღვრისა მიერ სოლომან დოდაევისა მალაროელისა დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა შინა წელსა 1828 ივნისის 3-სა (6-სა) დღესა.

ცხად არს ესე, მაღალპატივემულნი მებნახნო, რომელ რაოდენი-
მე უკვე საუკუნო არს, ვითარ კერძომან ამან იწყო მცირედ-მცირედ შე-
ნიშვნაჲ დიდებისა თვისისა მოკლებისა, რომელიცა ჰბრწყინვიდა ოდეს-
მე მაგალითთა შინა განსხვავებულთა კაცთასა სიბრძნითა, კეთილმოქმე-
დებითა, შაირთა¹ მთხველობითა და მხნეობითა.

უკანასკნელ ერთკერძო განუქვრეტელობამან რომელთამე განმგე-
ბელთამან და ერთკერძო შეიწრებამან ძლიერთა ერთამან მიიყვანეს
საყვარელი მამული ჩვენი ესევითარ ხარისხადმდე დამდაბლებისა, რო-
მელ დამვიწყებელი მოქალაქეებისა თავისუფლებისა და თანად წარ-
მწყემდელი მალლისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა,
კნინლა უკვე არა განემზადებოდა მხვერპლად მომყმართა ბარბაროსთა
შემძლებელობისა და კვალად უმეტეს უმეცრებისა, რომელიცა არს
სარწმუნო თანამოგზაური მონებისა, და მსხვერპლებად ყოვლისა მის,
რამსაეცა-ლა ეპოვებოდა მას უძვირფასესი თვის შორის, და ესრეთ ქვე-
დაცემად დანარღვევთა შინა თვისთა.

სპარსნი, თათარნი, ოსმალნი და მთიურნი მარადის ეგვეითარნივე
იყვნეს საქართველოსათის, ვითარცა ღოთნი² და გუნნი ევროპისათ-
ვის, ესე იგი წყვილიად განათლებისა გინა სწავლულებისა. — ევრო-
პელნი აწ ვალდებულ არიან ყოველითა უაღრესობითა მათითა პირისპირ
სხვათა ერთა მსოლოთა ოდენ სწავლათა მიერ.

მოწყალებათა³ ყოვლად უაგვისტოესისა⁴ მონარხისა ჩვენისათა, რო-
მელიცა ჰბრუნავს თანასწორ ყოველთათვის ქვეშევრდომთა მისთა,
ჰქმნეს ესე, რომელ ძალგვიძს ჩვენ დაიმედება თავთა თვისთა სასოებითა
აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა
პირველსა ღირსებისა ჩვენისა, არამედ ყოფადცა ოდესმე ხარისხსა ზე-
და ევროპელთა ერთასა.

ახალნერგნი ესე სწავლათანი, განთესილნი⁵ ყოველით კერძო, არა
წინასწარ გვაუწყებენა, რომელ მამული ესე ჩვენი მოისთვლებს ოდესმე
მათგან ნაყოფსა კეთილდღეობისა და დიდებისა თვისისასა!

განალამცა განჰკვირდებიან დაუქვრებელსა მკვირცხლმოსწრაფება-
სა ზედა როსიელთა სწავლათა შინა, გარნა საცვიფრო იქმნებისა, —
ვიტყვი მე, — რომელ განჰკვირდებოდენ ოდესმე ქართველთა ზედაცა?
ვინადგან გონება კაცისა არა დასცხრების ზეაღწევნად, ოდესცა ჰპო-
ვებს იგი ყოველსავე კეთილსაამოდ თავისა თვისისათვის!

¹ ხელნაწერშია: შაირათ.

² არის: ღოთქნი.

³ არის: მოწყალებითა.

⁴ არის: უანგვისტესის.

⁵ არის: განთესილნი.

და ესრეთ, საყვარელნო თანამოქალაქენო, მშობელნო ზრდილთა ამით სწავლათა მიერ ახალნერგთა, სასოებათა საქართველომასათა, რომელნიცა ჰკრძნობთ ესეოდენთა დიდთა ქველისა მოქმედებათა, მონარხისა მიერ მათზედა და ჩვენზედაცა გარდამომდინარეთა, არა თანაგაძსთა აღვლენად მხურვალეთა ლოცვათა ყოვლად უზენაესისადმი? რათა მან მადლით საყდრით თვისით გარდამოაელინოს ცვარი მადლისა ამას, შემდგომად ექვისისა ბნელისა საუკუნოსასა, აწ დასხმულსა სწავლათა ვენახსა ზედა და რათა! აღიზრდებოდეს ესე, ყვავილოვნებდეს და მოაქენდეს უხეად ნაყოფნი სადიდებელად და სარგებელად მამულისა!

ხოლო თქვენ, რომელნიცა ახლად შემოსვლად ხართ ასპარეზსა² ამას შინა სწავლათასა, მეცადინე იყვენით გულსმოდგინებითა და მოსწრაფებითა ერთბამად კეთილმსახურებასა შინა, რათა განამართლოთ სასოება იგი, რომელსაცა დასდებს თქვენზედა დიდი მონარხი ჩვენი და მამული, საყვარელი თქვენ ყოველთა.

და ესეცა კეთილგონიერი განმგებელი კერძო მასა ამის, რომელსაცა ჰრწმუნებდით ხედრი თქვენი, არა დაუტევებს აღშენებასა ბედნიერებისა თქვენისასა.

[1828]

[სიტყვა-მოწოდება]

ქვეყნის დაარსებითან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა, და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან.

ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰკრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რამსათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანნი?!

ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენი-სა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

მაშა რამსათვის ვცოცხალვართ?!

[1831]

1 არის: ად (არამედ) დასხმულსა სწავლათა ვენახისა ზედა და სითა.

2 არის: ისპარეზსა.

მაისის თვესა იქმნას ძახება,
 გამოხატული ქართველთ უფლება.
 აღვიპყრათ ხელთა მახვილი,
 მივცეთა მტერთა შიში ძრეილი,
 შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი,
 ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი,
 განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,
 ჩვენ მამულისა მამხრებელნი,
 წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა!
 ქართველნო, ხართ სადმე თუ არა? არვინ არ იცის!
 მოიგეთ გონება!

[1831]

[მილოცვა ლავით ხაგრაბის-ქმს]

უკეთილშობილესი სისხლი ეგე შენი აღევლინების ღირსებისა ხარისხად, უკეთუ ყოველი სარწმუნოებითი კეთილი კანონი იმარხო და აღასრულო ყოველივე იგი, რაჟცა გასწავოს მოძღვარმან შენმან, ყოვლითა გულისმოდგინებითა და სასოებითა შენითა.

მიხედე ერთმოსახელესა შენსა დავითს, რომელი უწინარეს ჩვენსა იყო კაცთა თანა და აწ არს ღვთისა თანა, აღასრულე მსგავსად მისსა სჯული და სარწმუნოება, რათა მოგეცეს მადლი და შეგემოსოს ძლევა მისი.

ჰსდგე ღვთისადმი, რათა იგივე უწინარესი სიხარული, იგივე ნათელი, იგივე დღესასწაულობა ჰყო შინა შენისა დღისა, ტირილი და გლოვა შესცვალო სიხარულად და ბნელი ივერიისა — ნათლად.

მე და ყოველნი სხვანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით მღალადებელნი და იქმნებიან მთხოვენლნი, რათა ძველათ მომდინარებულნი მეფობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნისამდე.

[1827]

[1833 г.] 7-го марта, Додаев сознался в Комиссии, что вышесписанные строки писаны им в С. П. Б. в поздравление сыну Баграта Царевича Давыду, в день Его ангела и коего Додаев был наставник. Г[енерал] М[аиор] Чевкин.

¹ ეს სტრიქონი წაშლილია, მაგრამ პოლოვნიკ სუმბათაშვილის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში აღდგენილია. ასევე გამოუკლებლივ დაბეჭდილია საარქივო-გრაფიო კომისიის აქტებშიც (ტომი VIII, № 280, გვ. 398, შენიშვნა 11 „пущай идут отсюда и не остаются здесь“), ამიტომ აქაც არაა გამოტოვებული.

წ ე რ ი ჯ ე ბ ი

1. იონა ხელაშვილს

ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო იონა და სულიერო სულისა წმიდისაო!.

სიტყვანი თქვენნი, სიტყვისა მის ჩემისა გება, მივიღე ხელითა ეკლესიის მცველისათა, და იყავნ ესრეთ; გარნა, მაქვს მიცემული სიტყვა პროფესორთან, რათა ყოველს შაბათს მიიღოს შრომისათვის სრულად თხუთმეტი რუბლი, მე ვიწყე სწავლა ამ თთვის ექვსსა. მაძლევს სამ-შაბათს და შაბათს, ორ-ორ ჟამსა. ორის კვირისა ვივასხე და შემდგომისათვის არ ვუწყი რაი ვჰქმნა და აჰ არა ძალმიძს ვისგანმე ვასხებად; არამედ თქვენ გთხოვ ჩემთვის იზრუნოთ ვიდრე შესრულებადმდე სწავლისა, გინა კაცად შემოსლვადმდე ჩემსა. ყოველი შრომა თქვენი და წარსაგებელი ჩემზედა რანიცა დათესილან და იქმნებიან დათესილ, ყოველნივე კეთილად მოიმიკიან და არა ბოროტად წარხდებიან, ჰეშმარიტებით ირწმუნეთ, რომელ სახელის დადება თქვენი ჩემზედა, უკუნითი უკუნისამდე იქმნების ხსენებულ ჰეყყანასაზედა და უმეტეს ცათა შინა.

წინამდებარე წიგნი ესე აღსრულდების, ჰეშმარიტი სიტყვა ღმრთისა და აღიწერების იგი მას ჟამადმდე, რომელ თქვენ გიბრძანებიათ, ესე იგი, ვიდრე შობის მარხვადმდე. და აღამსა² ზედაცა ვმეცადინებ განმხნობად, გინა განღვიძებად. ეს ვითარისათვის აღვსწერე ვიდრე, ასმეათჩვიდმეტე პარაგრაფადმდე.

ჟამსა წიგნისა მიღებისასა იმყოფებოდა იოანე ბატონის შვილი³ აჰა, და ყოველივე მიუთხარ მისად შესაბამნი, გინა რანიცა ეკუთვნოდნენ მას წიგნსა, ანუ ავთრათსა შინა თქვენსა და მიიღო კეთილად, მაგივრად მანცა თაყვანის ცემა გიძღვნათ და ეგრეთვე სხვათაცა უგანათლებულესთა, რომელნი იყვნენ ერთბამად ბაგრატ ბატონის შვილის⁴ მოსახელის ღღესასწაულსა შინა.

სხვებრ აჰა ყოველი კეთილ და ეგე თქვენცა მშვიდობით; ვითხოვ მოტყეებასა დიდ სულობისა თქვენისა მიერ ჩემზედა და კვალად ვითხოვ, რათა არა განგრძელდეს დრო, ვიდრე მოსლვადმდე თქვენისა.

თქვენი ღირსების პატივის-მცემელი მოწაფე თქვენი

სოლომონ დოდაევი

ივლისის 10-სა, 1825-სა წელსა.

თქვენო ღირსებაე მამაო, მღვდელ-მოძღვარო იონა და მზრუნველო მამობრივ!

დიდ ფრიად აღმამკობელი და განმალვიძებელი სულისა, მარგებელი გონებისა და განმანათლებელი გულისა ჩემისა ავთრათი თქვენი მივილე ხელითა მათის უგანათლებულესობის მეფის ძის ბაგრატის ძის ნიკოლოზისათაჲ, რომელმან მიჩვენა ქეშმარიტი ყოვლადი მოძღვარება სიბრძნისათვის, რომელი იპყრობს შიშსაცა ღვთისასა და მტკიცედ დადგრომასა ჩემსა სარწმუნოებასა ზედა, და სხვათა მრავალთა მაგალითთა შეიცვამს იგი ცნობისათვის ჩემისა, ყოველთა ამათ ცნობათა აღადგინეს გულსმოდგინება, წარმოადგინეს გონება, და აღძრეს ძალნი გულისხმისყოფისა ჩემისანი განვრცობად ძვირფასისა ამის საქმისა წინარე ამისსა. პირველსა ავთრათსა შინა თქვენსა მაცნობეთ პირი ყოვლისა ქვეყანისა, რომელნიცა იქადიან დაფუძნებულთა სწავლათა სასიბრძნოთა და ყვავილოვნობს ყოველი ქრისტეს მოსახელე ვრი, ესრეთ ვსთქვა, რომელი ქუხს და სქექს. ამასთან ყოველთა დაბადებულთა სიტყვიერთა და უსიტყოთა ცხოველთა შრომანი მამხილეთ, რომელნი იღვწიან დღითი დღედ და ჟამითი ჟამად, მაღიღებელნი ღვთისანი იკრეფენ თავთა თვისთათვის და საზოგადოობისათვის ყოველთა საქმეთა; აწინდელსა ავთრათსა შინაცა მაცნობეთ ესე ვითარნი და ბევრეულნი ცნობანი სწავლისანი ისტორიებრ აღწერილნი, ფილოსოფიისა, ღვთისმეტყველებისა და მატემატიკისა გამოხატვანი. ორთავე ამათ ავთრათთა შინა გარდმოცემულნი ვსცან იგინი ყოველნივე. და ესრეთ დაიდვა საფუძველნი თქვენ-მიერ ჩემ-შორის სწავლისანი და მზრუნველობანიცა თქვენნი არიან დიდ ფრიად კეთილნი ჩემ-ზედა, რომელთაცა ვგრძნობ ჩემ-შორის და ესრეთითავე ხატითა ნიადაგ იწარმოებს შთაბეჭდითა ხატებთა შინა ჩემთა დიდ-ძვირფასნი საქმენი თქვენნი, რომელი მივმღებლობ ცნობასა სიბრძნისასა საკუთრითა მზრუნველობითა და გზასა-ზედა ძლოლითა თქვენითა და მეცა აღვსთქვამ წინაშე თქვენსა ქრისტიანებრ, რათა მოძღვრებათა თქვენთა და საქმისა ცნობათა შთავიბეჭდავ სულსა შინა ჩემსა და შეუღებები მას ყოველთვის. კვალად, მოწყალო მამაო! მიბრძანებთ სოლომონის ძის მიხაილის³ აღზრდასა. უკეთუ ღმერთსა ნებაეს, არა თუ მას, არამედ ყოველთა შთამამავლობათა სახლისა თქვენისათა სიცოცხლესა შინა ჩემსა მივიღებ მეცადინეობასა შეძლებისამებრ ჩემისა და აღვასრულებ მათზედა წინადადებასა ამას თქვენსა, სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ.

ამ თთვის 13 იწყო აღამმან⁴ ქადაგებისა წერაი ჩემთანა, მივეც გეგმი, წარვეზავნე თვისად სახლად, და აღმიტქვა მეცადინეობა და გულსმოდგინეობა. წარმოგზავნილი ხუასტავი სრულად მივიღე, თუმცა მე

მაქენდა საჭიროება, გარნა ადამსაც ესე ვითარივე და თვის თვისი ნაწილი მივიღეთ, რომელისთვის მადლობასა ვავლენთ. მეცა აღვსწერე ღვთისმეტყველება ვიდრე ასოცდათვრამეტადმდე პარალრაფი 138. ვაქებ და ვადიდებ სამებასა პირებით და გვაშოვნებით დამტკიცებასა, რომელმან მიჩვენა ცხადად მაგალითებითურთ და ვიმეცან მტკიცედ.

17 ივლისს უნივერსიტეტსა შინა იქმნა შემთხვევა საზოგადოისა გამოცდისა აღსაზრდელთა კეთილშობილთ პანსიონისა, მინისტრნი იყვნენ მუნ და სხვანი მრავალნი ჩინებულნი კაცნი. ცერემონიამან იწარმოვა ესრეთ: ესა მინისტრის მოსვლისასა იქმნა ხმა ბგერისა საყვირთა და მას ზედა გალობა, შემდეგ შესხმა რუსული, ამასთან სავანი სჯულისა ღმრთისა, კვალად სტატისტიკა, რიტორიკა, გინა რუსული სიტყვიერება, როსიის ისტორია, კანონნი რომისა და სამოქალაქო, მატემატიკა, ფიზიკა, სამხედრონი სწავლანი, ლათინური ენა, ნემეცური და ფრანციული. შემდგომად საგანთა ამათ სთქვა შესხმა მღვდელმა მალისტრმან მალოვმა⁵ (შესხმა რუსული). კვალად აღსაზრდელთა მიიღეს, რომელნიც მუნვე დაშთნენ, ჭილდოდ წიგნები, და რომელთაც შეასრულეს კურსი, ექვსს მიეცა მეთაე კლასის ჩინი და ოთხმა მათგანმან ოქროს მენდალიცა და რვამან მეთორმეტე კლასის ჩინი. უკანასკნელ იქმნა გალობა და საკრავნი მშვენიერ ხმად, ესრეთ შესრულდა და ერნი მიიქცნენ თვის თვისად.

მოწყალეო მამაო და მზრუნველო, სხვებრ დავშთები თქვენის ღირსებისა მორჩილი მოწაფე ს. დოდაევი

[1825 წ.]

8. მ ა ს ვ ე

თქვენო ღირსებაე მამაო, მოძღვარო იონა!

უუმოწყალესო მამაო და მზრუნველო საღმრთოო!!

გამოიხატებიან სულსა შინა ჩემსა ესოდენ დიდნი უხვებანი სოფლის შემოქმედისანი და მისი მიუწოთმელი განგებულება, რომელიცა დანთხეულ არს ყოველთვის კაცსა ზედა და უმეტესად ჩინებულსა ამას დღესა, რომელსაცა ინება მოვლინება მხოლოდ შობილისა უწინარეს საუკუნეთა ძისა თვისისა სოფელსა ამას შინა, არა მხოლოდ გამოხსნისათვის კაცობრივისა ნათესავისა ცოდვისაგან, არამედ ყოფადცა ჩვენისა ნაწილად საუკუნოისა თვისისა დიდებისა. ვგრძნობ გულსა შინა ჩემსა ესრეთთა უსასიამოვნესთა აღტაცებათა და, მყოფსა აღვსილითა, არა ძალ-მიძს, რათა განუცხადო ესოდენ დიდნი და ძლიერნი ხმანი სიხარულისა და განცხრომისანი უკეთუ არა მას, რომელსა ესმის ფასი დღისა ამის, არა მასაა? რომელი უხვითა მოწყალეებითა სიბრძნისა და სიმართლისათა, სიყვარულისათვის მამულისა სარგებლად სულისა და კეთილ-

დღეობისათვის შემამულეთასა გარდაჰვენს თვისსა მზრუნველობასა და მფარველობასა.

და ესრეთ სიბრძნის მოყვარეო ღვთის-მეტყველო და ქართველთა სიტყვიერებისა მამაო! აღმასრულებელი ღღესა ამას შინა, მიუწოთ-მელისა სიხარულითა მოვართმევ თქვენსა ღირსებასა უშუმწვერვალესსა მოლოცვასა ჩემსა, რათა ამის მიერ განვაცხადო ვალი მადლობისა და ვსთხოვ აწინდელსა ამას ღღესა შინა შობილსა ქრისტეს ღმერთ-კაცსა, რათა იხაროთ დაუღვენელითა მოწყალებითა მისითა განმრავლებასა შინა ღღეთასა, და აღყვავებასა წელთასა ბედნიერებისათვის ჩვენ მექვეყნეთასა უკუნითი უკუნისამდე, მრავალ ჟამიერ.

თქვენისა ღირსებისა მოწყალისა მოძღვრისა უუგულითადესი მსმენელი მოწაფე ს ო ლ ო მ ო ნ ი ო ა ნ ე ს ი დ ო დ ა ე ვ ი.

1825-სა დეკემ. სანკტ-პეტერბურლსა

ინებე, რომელი შენ-მიერ ჩემდა სულიერ-პეშმარტ-მზისა
მხილება,

ორობა მის ბრძნისა, სოფლად ჩვენება,
ნეტარი ჩვენთვის ხსნად სოფლისა-მოქმედება,
არსება უზესთაესი არს თქვენდა ყოველი უწყება.
სიტყვა პირველი მამისა-თანა ერთ-ღვთაება.

დ ო დ ა ე ვ ი

4. მ ა ს ვ ე

ღირსო მამაო მღვდელ-მოძღვარო იონა და ბრძენო ყოვლად ბრძნისაო!¹

სულისა-მიერ განათლებულს და წმიდას მარჯვენასა ზედა ამბორ-ვპყოფ სიტკბოებითა სიყვარულისათა, და სურვილითა სულისათა, და ჩემს სრულიადსა გულითად პატივისცემასა განვაცხადებ თქვენდა მამაო.

შემდგომად იუწყებთ ჩემ შეწყალებულისა, ესრეთვე ვპვიე, ვითარცა უწყით... სასმენელი ჩემი შეკრულ-არს მსგავსადვე უწინარესისა და ტკივნეულებაცა მცირე მცირედვე ამასთანა². უკანასკნელ თქვენ ბრძანდებოდეთ სიცოცხლით უკუნისამდე, მშვიდობისათვის და კეთილ-შემთხვევისა, ანუ ღიდებისათვის და სახელ-ყოფისა შემამულეთასა გინა მექვეყნეთასა, და მე ვსდგე გზასა ზედა თქვენსა.

9 ფებერვალს 1826

თქვენი სულიერი შვილი

ს. დ ო დ ა ე ვ.

5. მ ა ს ვ ე

ღირსო მამაო მღვდელ-მოძღვარო, მოწყალე იონა
უმოწყალესო ხელმწიფევ!

მომლოდე ვიდრე აქამოდე აქარე ხილვისა თქვენისა ვარ ოცნებასა შინა. ვინაითგან დამიტევით უხილავ მე მდებარე სარეცელსა ზედა სნეული სენისაგან სენთასა, რომელსა მაკლის სასმენელი და სახილველი მტკივნეულებისა გამო თავისა, ათი დღე შეუძლებელი საქმობისა, გუშინდელისა დღიდან ღამესა ამას მკურნალმან დამაკრა შპანსკი მუხა, რომელი იდგა ჟამსა ცამეტსა და მეათობხმეტესა აღიღეს, მივიღე მწუხარება დიდ ფრიადი და მრავალი წყალი და სისხლი მედინა, ნივთიერება ყურიდამ მოდის მსგავსად უწინარესისა, გარნა თაბრუ არ მეშეება და დიდად მიშლის საქმობასა და ხილვასა, წამსა ერთსა ვიხილავ და მეორესა ვერა; უკანასკნელ ვსთქვა, ესრეთ მიბნელებდა თვალი, რომელ არ ძალმიძს ერთი მეორისაგან განჩრევა და ერთის სახლიდან მეორესა შინა განსვლა არ ძალმიძს თავბრუხვევისა-გამო; უკეთუ ინებებთ გამობრძანებასა, ვითხოვ ღეთის-მეტყველებისათვის ქაღალდსა.

მოწყალე მამაო, მარადის მორჩილი მოწაფე

ს. დ[ო]ღ[ა]ე[ვ]ი

მარტის 9, 1826 წელსა

6. მ ა ს ვ ე

ღირსო მამაო მღვდელ-მოძღვარო, მოწყალე იონა,
უუმოწყალესო ხელმწიფევ!

გუშინ, ჟამსა მეშვიდესა, შემდგომად საშუალისა დღისასა, ესმა ყურსა ჩემსა ხმითა მხედართაისათა ხმაი ფრიად ჩემდა სამწუხარო, რომლისა გამო გამოჩნდა მსწრაფლ გრძობათა შინა ჩემთა ნიშანნი მწუხარებისანი, უკეთუ მართალ არს შემთხვევა თქვენდა, მამაო, სნეულებისა რაისამე. თუმცა ჟამსა მასვე მსურდა ჰემმარიტნი ცნობანი, გარნა არათუ მაშინ, არამედ დღესაც ვერ შემძლებელ-ვიქმენ რომლისამე წარმოგზავნისა და ვერა რაიმე საშუალობა მოვიძიე, გარდა უმაღლესისადმი თხოვისა და ესრეთ მცირედ გამოვხატავ მხოლოდ თხოვასა, რათა ჰყოთ ცნობა ჩემდა მოწაფისა,

თქვენო ღირსებავ, თქვენი მორჩილი და მსმენელი

ს. დ[ო]ღ[ა]ე[ვ]ი

მარტის 22-სა, 1826 წელსა

თქვენო ღირსებავ მამაო, მღვდელ-მონაზონო და მოძღვარო იონა!
უუმოწყალებსო ხელმწიფევი!

მაკურთხეველსა ჩემსა წმიდას მარჯვენას უამბორებ!

აჰა, უმაღლესნი ძალნი გონებისა და სულისანი აღსდგენ და წარმოსდგენ მიდრეკილებისადმი ფილოსოფიურთა სწავლათა განათლებისათვის გულის-ხმის-ყოფისა და სიტყვათა სამჭევროთა გამოხატვისათვის გულისა, რომელიცა სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე გულის-ხმის-ყოფისა, წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი, ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა, გამოცხადდებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, განვრცელდებიან სიმგრგვლენი გონებისანი შეხედვითა მოქმედებულთა მშვენიერებათადმი.

კაცო ბრძენო, მოძღვარო და მასწავლლო ჩემო სწავლათა სხვისა და სხვისა ტალანტითა, ზეცისა და ქვეყანისაო! თქვენ დამერწმუნებით, რომელ მე მტკიცედ მიპყრიეს და ნამდვილ აღვასრულებ ყოველთა სწავლათა თქვენთა კეთილმოქმედებითა და სიმშვიდითა, და შეუდგები კანონთა და რჩევათა. მე განღვიძებულ-ვარ თქვენისა მეტყველებითა, ვითარცა სიტყვიერ, ეგრეთვე წერილთა მიერცა მიმართვად ესოდენ მაღლისა და კეთილშობილურისა სწავლისადმი, მზრუნველობათა თქვენითა ვიზრდები, გარდა მოძღვრებისა თქვენისა ბუნებითსა ენასა ზედა ჩემსა, სხვათაცა მოძღვართა დაკავებითა საგანთათვის ენასა ზედა ევროპიისასა, რომელნი საჭიროებენ მაღალნი ცნობანი უნივერსიტეტსა შინა. მე განღვიძებულმან მივხედე რა ჩინებულთა ამათ საქმეთა, რომელნიცა ამალდებიან და განდიდებიან; თხზულებათა შინა თქვენთა ვიხილე ჭეშმარიტება სიბრძნისა, რომელი მისწრაფებით აღამაღლებო ზენა ქრისტიანებრსა სარწმუნოებასა და გამოავლენთ დარღვევასა განდგომილთასა; ვიხილე ღვთის-მეტყველებასა-შინა თქვენსა სული ამალლებული, გონება განდიდებული და გული განცხადებული და ხარაქტერი მარცვლისა მშვენიერ-მსიტყველი ჭეშმარიტებისა; მომეცა ცნობა საშუალობითა თქვენითა და იუწყა სულმან ჩემმან გარეგანთა გრძნობათა მიერ გარდაბეჭვდითა სოფელი ესე და მიზეზი ამისი, მდგომარეობა ერთა საზოგადოებისა პოლიტიკური, ზნეობითი მოქცევა ურთიერთაშორის, ხარაქტერი სხვისა და სხვისა ნათესავისა, მოქმედებანი ზათნი გამობრწყინდებიან უუმაღლესსა ხარისხსა-შინა სიბრძნისასა, რომელნი აღაშენებენ მეცნიერებასა და განაშვენებენ ენასა ღიღითა სიმდიდრითა ლექსთათა. ქუსს და სქექს მთასა ზედა მაღალსა ჩინებულება მწერალთა და პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა განითესების ხმა უკვდავებისა მათისა, ესე იგი ძველსა ზედა ენასა ბერძენთასა:

არისტოტელი², ლონდინ³, დიონეისიოს ლალიკარნასელი⁴, ათინელი დემოსტენ⁵; რომაელთა: ციცერონ⁶, კვინტილიან⁷ ახალსა ენასა ზედა; ფრანციისა: როლენ⁸, ბიტტე⁹, ლაღარპ¹⁰; ანგლიისა: ბლერ¹¹; ნემეცი-ისა: ეშენბურღ¹², მოას¹³; რუსეთისა: ლომონოსოვი¹⁴, რიუსკი¹⁵, კარამ-ზინ¹⁶ და სხვანი ჩინებულნი მწერალნი იხმევიან უკვდავითა სახელითა.

ხოლო საგანი ჩემი მხოლოდ არს ესე, რომელ მიმხედმან სულმან ჩემმან სიბრძნისა მათისა და ესე ვითართა სხვათაცა ჩინებულთასა განი-ღვიძა მწყურვალისა სურვილითა, წარმოსდგა გამოხატვასა-შინა ჩემსა ძალი მის სულისა, რათა სდგეს მხოლოდ გზასა ამას ზედა.

მამაო სულისა ჩემისაო! მე სათნო შემდეგი სწავლისა თქვენისა, თუმ-ცა ვარ დადგენილ თქვენ მიერ მათისა უგანათლებულესობის მეფის ძის ბ[აგრატის]¹⁷ ძეთა-ზედა მასწავებლად, კეთილმოქმედება ესე ჩემ-თვის სასეფურო და სახალისო არს, რომლითაცა ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად ესე ვითარისა მოქმედებისათვის და აღვასრულე თანამდებობა ესე ჩემი ამ დროდმდე, რომელი მდგომარებს მეორესა წელსა. შრომაი ჩემი მაქვნდა უშურველ მეცადინეობასა შინა, გარნა აწინდელნი შემთხვეულებითნი მიზეზნი მომცემენ დაბრკოლებასა მზგავსადვე მოქმედებად და, უკეთუ ინებებთ თქვენ და მშობელნი მათნი, შრომასა ჩემსა არარად აღვრაცხ მათთვის, და მუნითგან ვპელი მისაცემად სწავ-ლისა არა ნაკლებითავე საქმითა ორჯელ, და ოდეს მეტლება სამჯერცა კვირაში. მიზეზნი: 1) სიშორემან გზისამან შემამთხვია ვნება სნეულო-ბითა; 2) სნეულობისა ამის გამო ვიქმენ შეპყრობილ სამი თთვე და უმეტესცა; 3) ამის გამო დაეშთი უკან და მოვციდი საგანთა, მსწავლულ-ნი მოუთხრობენ, „ღლისა დაკლება განავრცობს წელიწადსაო“; 4) ყო-ველსა ღღესა თანამდებვარ მუნ ყოფად; 5) მრავალნი საგანნი გარდა-მოიციმიან და წელსა ამას მომატებულ; 6) დროი შემოკლდა და უკანას-კნელისა ეგზემენიისა მომზადება თანა-მადს. და დასასრულ ვთქვა, მე ვარ კაცი და მეშიშვის, რათა სული ჩემი არა იცვალოს სხვა და სხვათა გარემოებათა მიერ, რომელსაც ეწინააღმდეგების თვისებანი პირმო-თეთა კაცთანი.

ამისთვის გავბედავ თქვენისა ღირსებისადმი მამაო! ინებეთ ცხოვ-რებაი ჩემი იმპერატორის სასწავლებელსა-შინა, რათა ვისმინო გარდმო-ცემანი სხვა და სხვათა პროფესორთანი ყოველსა-შინა ღღესა.

და ესრეთ იპყარით სწავლაი ჩემი სადიდებლად სახელისა თქვენისა, ვითარცა ცათა შინა წინაშე მეუფისა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა წინაშე ყოველთა შემდეგთა სიბრძნისათა.

ამასთან წარმოვაველენ დაწერილსა ხუთსა რვეულსა ღვთისმეტყვე-ლებისასა.

ვგიე სრულიადსა ჰეშმარიტებითსა პარტივის ცემასა შინა ყოველ-
თვის მოწაფე თქვენი

სოლომონ დოდაევი

მარტის 27 დღესა 1826 წელსა, სანკტპეტერბურლი.

8. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალღირსებაე! ქრისტე აღსდგა¹.

სიხარული იგულისხმევის ჩვეულებითად ჟამსა მას, ოდესცა მივი-
ღებთ სასურველსა კეთილსა, ანუ განთავისუფლებასა რომლისამე უბე-
ღურებისაგან.

დღესა არა ესე ვითარი ხვედრი გამობრწყინდებისაა? არა ღირს
ვიქმენითა ჩვენ სიმრთელით ხილვასა დღესასწაულისა ამის ძლიერისა
და დიდებულისასა? ვინაითგან უმაღლესობს დღესასწაული ესე ეკლე-
სიისა ჩვენისა. გამოხსნისათვის ცოდვისა ჩვენისა და მომზადებისათვის
საუკუნოისა ცხოვრებისა ჩვენისა. აწინდელსა ამას დღესა აღსდგა გუ-
შინდელი ვნებული, აღსდგა საფლავისაგან ყოვლითა ძალითა და დიდე-
ბითა და ყოველი სული განსვენებული მისთანა, ყოველნი ქრისტიანენი
ვიხილავთ სიტკბოებასა გრძნობისა ჩვენისასა, სიხარულსა სულისა და
გულისასა, რომელი დღეს შთაიბეჭდების მას შინა განმალავიძებლად
ზნეობითისა განათლებისა, დღეს მივიღებთ ზეციურსა სიხარულსა და
გამოუთქმელსა კმაყოფილებასა, დღეს მიუთხრობენ ყოველნი სულნი
ურთიერთ დიდებასა აღდგომისასა მშვენიერიითა ხმითა სიხარულისათა,
დღეს შეემთხვევიან აღტაცებულნი გრძნობანი შეერთებულად. შემო-
კლებულად ვსთქვა: დღე ესე დღესასწაულთ დღესასწაული არს დიდე-
ბულ და ამაღლებულ ყოველთა ქრისტიანეთათვის. იხილეთ გუშინ არა
იქმნა, ხოლო დღეს რა გვესმის, რას ვიხილავთ, რას ვგრძნობთ მაცხო-
ვარი ჩვენი აღსდგა.

აჰა ხმაცა ჩემი მეტყველებს მიუწომელსა სიხარულსა ესე ვითარ-
ისა სმენისათვის წინაშე თქვენისა მაღალ-ღირსებისადმი მოლოცვითა
თქვენისა განთავისუფლებისათა და ყოველთა ბუნებათა მოყვასთა ჩვენ-
თასა. და მან ძალმან აღდგომისამან აღაყვავოს დღენი თქვენნი სიხარუ-
ლსა და კმაყოფილებასა შინა ჩვენისა ნუგეშისცემისათვის უკუნითი
უკუნისამდე ამინ.

თქვენისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მოწაფე

სოლომონ დოდაევი

აპრილის 18-სა დღესა, 1826-სა წელსა, სანკტპეტერბურლი.

მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო, უუმოწყალებსო ხელმწიფევ იონა!¹

მყოფი აღრეულობითსა ანუ აღშფოთებითსა მოძრაობასა შინა სხეულისა ყოველთა კერძოთასა მიზეზთა გამო სხვა და სხვათა უსიამოვნოთა კვეთებათათა ე. ი. პირველად შედგენასა შინა ჩემსა მდგომარებითა სნეულებისათა, მეორედ გარემოთა შემთხვეულებათა მიერ, რომელნიცა მომცემენ საქმეთა შინა ჩემთა დაბრკოლებასა, წარვჰსწერ თქვენდამი უწყებასა ამას მოკლედ, მამაო!

ვინაითგან თქვენ მიერ ანუ გამო მიყვანილ-ვიყავ სასოებასა შინა (იბედსა), რომელმანცა ვიპყარ საქმეცა ეგრეთ, მე ვგვონებ, უწყით, რომელ ყოველი საქმე ჩემი არს მას საგანსა შინა, რათა არა იცეალოს არცა ერთითა წერტილითა, გარნა გამოხატვასა ამას შინა შინაგან სულისა ჩემისასა ვიქმენ მრავლითა ცთომითა ცვლილებათათა, რომელნიცა ვნებად შემერაცხებიან მრავალთა გარემოებათა შინა; 1) განსჯასა შინა სიბრძნისასა: მომავალსა სამშაბათსა იწყების გარდამოცემა საგანთა და ამასთან რეპეტიციანიცა გინა ეგზამენნი, რომელიცა დაჰვშით უქონელობისა შინა მრავალთა საგანთასა მოუშზადებელ; 2) განსჯასა შინა მომცემთა სიბრძნისათა: იგინი არა კმაყოფილი არიან ჩემ მიერ, ვინაითგან ჯერეთ არა რაისა სამსახურსა ჩემსა იხილვენ საქმითა რაითამე; 3) განსჯასავე შინა ვასხ მომცემთასა: ესე შეადგენს ფრიადსა უპატიოებასა კაცისასა. ზნეობით და ბუნებით მე ვჰყავ დებულ მათთვის ნიშნად ღრონი და ვპცვალე მრავალჯერ, ხოლო მათ ვიხილავ თვით იწროსა მდგომარეობასა შინა, და არა ესრეთ იგინი აზმნობდენ ჩემ ზედა, რომელთა არლარა დარწმუნება ექმნებათ ჩემდა (იხილეთ რამეთუ მკერვლისა და სხვათა ვასხი შესდგების ვიდრე ათხუთმეტ წითელადმდე). ესე ვითარითა წარმოებათათვის მოვმართავ თქვენისა მაღალ-ღირსებისადმი ვედრსა ამას, რათა ჰყოთ სული ჩემი თვისსა მდგომარეობასა შინა, რომელიცა არს განკუთვნილი საკუთრად თქვენდამო, ყოველსა ეამსა თვისისა მოქმედებისასა.

თქვენისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მოსამსახურე ჰეშმარიტითა პატივისცემითა დავშთები მოწაფე თქვენი სტუდენტი

სოლომონ დოდაევი

ავგისტოს 14, 1826 წელსა, სანკტპეტერბურლი.

10. მ ა ს კ ე

მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო, მოწყალე იონა,
უმოწყალესო ხელმწიფევქ!

იქმენ ბრძენ ნათელ ბრწყინვალე სწავლათა,
ოვბაბ წყაროო, მომფენელო კეთილთა,
ნაყოფ გამომღებ, მეცნიერ წყურვილ-მომდინარედ,
არსთა არსებამან გყოთ სათნოებ საგსედ,
სახენი კეთილთა მომდინარებულ,
შრიცხველ ჩემდა არიან ხილულ,
ძალსა ბუნება და ზნეობა გულსა,
ღმრთისადმი აღძრავს ვედრებად თვის თქვენისა,
ვერ შემძლებელ ვარ, არა ვპყო ცხადად,
ნუგეშ-საგრძნობელ ჩემდა მოქმედად,
ილია ჩემი მდგომარეობს მისად,
სიტყვით წარმოვადგინო თვისება თვისად,
ოღესმე იქმნას კეთილი მემამულეთა საცნობლად,
ლოცვად ზედა ჰყონ და თვით ჰქმნან მსგავსად,
ოცად ტრიქონად მოკლედ აქ წარვსწერ,
მაშინცა ჰსცნობენ მხოლოდ სახიერ,
ოღესმე აღრიცხვენ სათნოს სახეთა,
ნადებსა თანა ვასრულებ ყოველთა დღეთა,
ამათდა ვავლენ მოლოცვასაცა,
წინაშე თქვენსა და ზემო წმიდას თხოვადცა.

ს ო ლ ო შ ო ნ დ ო დ ა ე ე ო .

სეკლემბრის 21-სა, 1826 წელსა, ქალ. პეტრე დიდისასა.

11. მ ა ს კ ე

მაღალ-ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო იონა,
უმოწყალესო ხელმწიფევქ!

შემდგომ დიდ ფრიად ძლიერისა გრძნობათა შინა აღტყინებულისა
მწუხარებისა, მაქვს პატივი უწყებად თქვენდა ამისთვის მოკლედ:
ღღესა ხუთშაბათსა ამ კვირისასა სასმენელად ლექციისა დავჰყავ უნი-
ვერსიტეტსა შინა, მუნ მიხილა მკურნალმან ნ. მკითხა, რაისა სტკივნეუ-
ლობა! მიუგე ოღესმე მტკივნეულება თავისა, მან მიითხოვა ქაღალდი
და დასწერა რეცეპტი, ხოლო მუნითგან წარმოსრული მტკივნეულები-
თა თავისათა მოვედ სადგომად თვისად, წარვგზავნე ბარაკიელი² რეცეპ-

ტითა მოტანად სამკურნალოსა, მოტანილი ვიხილე, რომელ იყვნენ შპანსკი მუშკი, აბები და ზეთი. ღამესა მას ვიდრე განთიადმდე მაქვენდა კისერსა ზედა მუშკი, რომელმან მაცრემლა დიდად და აღძრა შედრგენილება სხეულისა ჩემისა, აღყარა ტყავი კისრისა, იწვის მსგავსად ცეცხლისა, მოდის ყვითელი წყალი მოუწყვეტელ, მსგავსად მდინარისა და მე ვმწუხარებო უმეტეს შავისა დღისა, დიდ ფრიადსა სუსტობასა შინა კუჭისასა. კისერი გამოუთქმელად აღრეულარს და ესოდენ ვალს მატერია აღრეული, რომელ მეოთხედ სამოსი სავსე ვპცვალე, ვპცვალე და არა განიკურნების მსწრაფლიად, რომლისა გამო კიდევ ვიშიშვი ვნებულეებასა, ვინაითგან საშიშრად მხურვალე არს, აღმორგებელ ანუ აშლილ, რაისა ყოფად ძალ-მიძს მოკლებული საქმისა და არა რაიობისა ცალიერ ყოვლით ურგ. და ესრეთ გთხოვ, ჰყოთ, მაღალღირსო მამაო, ყურადღება ჩემზედა, რათა განვიკურნო და არა წარიწყმიდოს ღვაწლი და შრომა თქვენი ჩემზედა. დღეს წირვაზედ უკეთუ გახლდეთ, უბრძანეთ ერისთოვს შანშეს ძეს³, რათა მწერალნი წარმოგზავნოს ჩემთან, მე წერად არა ძალმიძს ამ შემთხვევასა შინა, ეგების საქმე ესე სრულ ვპყოთ და მიემართო სხვათა და გრძლად არა დაშთეს. მამაო იონა, ამას მტირაკისა ავთრათსა შინა აღმანსენდა შეკითხვაი თქვენი ცალიერობისათვის. კარტეზიანნი იტყვიან ლოდიკებრ ესრეთ, უკეთუ არს ბუნებასა შინა ცალიერობა, მაშა სათანადო არიან, რათა არსებანი იყვნენ თვინიერ შინაგანთა ვითარებათა, გარნა ესრეთთა არსებათა არა ძალ-უძს ყოფად ბუნებასა შინა, მაშასადამე შედგების, რომელ არა არიან ცალიერობანიცა. ხოლო ღასსენდი⁴ ესრეთ შეიცავს: უკეთუ არს ბუნებასა შინა მოძრაობა, ჯერ არს რათა იყოს ცალიერობა, გარნა მოძრაობასა შინა არაიენ არა იიკვების, ამის გამო შესდგების, რომელ არს ცალიერობაცა. აწ უკვე განსაჯე ტალანტითა თქვენითა წინააღმდეგ დადებანდი, ესე მე ვპგონებ შემდგომსა ქეშმარიტად⁵. უკანასკნელ მშვიდობით და მას შინა მტიციედ ვსასოებ, რომელ ყოველთვის თქვენს ლოცვასა შინა დაუვიწყებელ ვარ.

მორჩილი მსმენელი მარადის მოწაფე თქვენი სულიერი

შვილი სოლომონ დოდაევი

ოკტომბრის 3-სა 1826 წელსა.

12. მ ა ს ე ე

მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო იონა,
მოწყალეო მამაო!

აჰა, აღმოგკითხველი უუპატივემულესისა ავთრათისა თქვენისა და მხილველი აზნობათა გამოხატულთა მას შინა, მივიღებ არა ნამღვილ

გამოცხადებად, გარნა განმაფრთხილებელად და განმამკაცრებელად და მივმართავ მოკლედ ყურადღებასა ჩემსა გამოცდილებასა ზედა თქვენსა, თუმცა—ლა წარმოსდგებიან მრავალნი ძალნი სულსა შინა ჩემსა ძმათათვის.

იხილეთ, მამათ სამარადისო, აქ განსაზღვრებასა შინა ჩემსა წარმოებულისათვის რაისამე შემთხვეულისა ნიადაგ ლიტონად აღმოჩენილარს და ესრეთ ნამყოისა ავთრათისათვის, რომელსა შინა იხილვების ზმნა—ვიყავ. ლექსი ესე ამას ეამსავე მესმოდა, გარნა იგი დაიდების არა საზოგადოსა მნიშვნელობასა შინა, ვითარცა თქვენ აზმნობთ, არამედ კერძობითსა მხოლოდ საქმესა შინა, ე. ი. დროისა მნიშვნელი— აგვისტოს პირველისა რიცხვისა, იგი ჰნიშნავს ერთსა ნამყოსა და არა მრავალსა, რომელმან განვლო, იგი ჰნიშნავს ერთსა თქვენსა ლექსსა, რომელი აღმოქვეით მის დროისათვის და არა ვრცელსა აზმნობასა. წერილი იგი იყო კერძობითი და არა საზოგადო. აჰა, მნიშვნელობა მისი ნამდვილი; ოთხი ბრალნი თქვენ მიერ დადებულნი ჩემდა არიან უსაფუძვლო და უმიზეზო; 1) იმპერატორის უნივერსიტეტი² საკუთრად წოდებული არს ფრიად მაღალი სასიბრძნო ადგილი, რომელთაცა აქა აღრიცხუად შეუძლებელ არს; სადაცა სიძნელე სწავლათა მიიღებს მცირეთა მოსწავლეთა და ამის სიმცირისა გამო ეგზამენი არს ყოველთვის მმართველობასა შინა უნივერსიტეტისასა, რომელიცა არს ვასილის ჰალაკსა შინა მეექვსესა მწკრივსა და სცხოვრებენ მუნვე პროფესორნიცა და მეუფროსენი მისნი, ხოლო ორნი ესე განსვენებისა თთვენი წარსულნი, დატევებულ იყვნენ უმუშაოდ და არცა ერთი ვინმე თანა მოსწავლეთა ჩემთაგანნი იმყოფებოდენ უნივერსიტეტსა შინა და ამათდამი გარემოებაცა ჩემი იცვალნენ, ვინაითგან ვედრი ვჰყავ, რათა ეგზამენი მივცე და ამისთვის ვამზადებ სწავლათა, რომელი შემთხვეულ იქმნების აქავე; გარდა ამათსა, მუნ დგომისათვის წარსაგებელი ჩემი არს, რომელიცა არა მხოლოდ მისთვის, არამედ უმეტესთა მრავალთა დიდ ფრიად საჭიროთათვის, მცირაკიცა არარის შემოსაველი ჩემი. ერთისა მხოლოდ სიტყვითა არარაი იმოქმედებს ანუ გამოხატვითა მოქმედებანი საქმენი და გარემოებანი მიზეზითურთ მიიღებიან განსჯასა შინა; 2) შვიდწულისა დღეთა და ეამთა ყოვლის დღისათვის ვიხილავ, და უკეთუ გნებავსთ გარდაბეჭვდა ვჰყო ამათი სულსა შინა ჩემსა, მაშინ უნივერსიტეტსა შინა ათი წელი ყოფად ჭერარს. შესაძლებელ არსა, რათა კაცმან თვისისა ცხოვრებისათვის ყოვლისა წლისა შეიკრიბოს ერთსა წელსა. რაიცა საჭიროდ შეემთხვევის? ვგონებ შეუძლებელ არს; მაშასადამე. ყოვლისა მისთვის მცირესა ამას დროსა შეუძლებელ არს გარდაბეჭვდად. თვით უწყით, მდევნელმან ორისამან, ვერცა ერთი შეიპყრა, ესენი თვისისა დროისათვის დაიდებიან, ესე გუარნი დიდ ფრიად საჭირონი არიან სემინარიისათვის, ვინაითგან მისი მთავარი საგანი არს, ხოლო უნივერსიტე-

ტეტს თვისი საგანი აქვს, დაღათუცა ყოველსა აღმსარებელსა სარწმუნოებისასა ესაქიროების. გარნა მას თვისი უამი აქვს; აქ ვარ გონებით წარმოდგენელ, პირითა მალადებელ და საქმითა მსახურებელ მის მალლისა. ესე კმა იყავნ ამისთვის; 3) ახლისა გასაღებისათვის ორი დღე არის მიბოძეთ და ბრძანებთ ზიზღებასა, რომელი დამტკიცებასა არა რაისა ვიხილავ ესე ვითარისა უსაფუძვლო, უმიზეზო, უკიდურისა მეტყველებისათვის. განჰსჯა ჩემი მომცემს გაბედვასა მართლად წარმოთქმად, რამეთუ ტყუილ არიან; უკეთუ მე მაქვს მეცადინეობა, რათა მემამულეთათვის ვჰწრომობ და საქმესა შინა ჩემსა ვაცხადებ თხზულებასა თქვენსა, რათა შეემეცნენ ყრმანი ერისა ჩვენისანი, მაშა ჰსჩანს არა სიმართლე ენისა ჩემისა სიძულილი: 4. თქვენნი ნაყოფნი იგი უმაღლესნი და უჩინებულესნი ჩემ შორის ფრიად უტუტბილესად გოლისა და ვერსადმე ფასისა დებად შეუძლებ მე და გამოძიხატავს მე, რათა თხზულებათა გამო თქვენთა ფასვდა ივერისაცა, ვინაითგან სხვათა ენათა ზედა არა არიან იგინი, და ჩვენ საკუთრად მთხზველი აღმოგვიჩნდების ნათიად ივერიის. ინებოს უმაღლესმან, რათა იქმნან სხვათა მსგავს თქვენსა, რამეთუ ივერიას უმეტეს სრულება მიეცემის, რომელ ნაცია სიბრძნისა გამო სურვიელ არს; მე ვჰგონებ ყოველსა ცხოველსა ძალ-უძს ცხოვრება სოფელსა შინა და მეცა შემეძლო საქართველოსა შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმადვიძა, რათა სარგებლად ამისსა ოდესმე ნებითაგან მამულისათა ვიქმნა სწავლისა გამო და უხვებდ მოწყალებისა თქვენისა ქმნილნი ჩემზედა მტკიცედ გარდაბეჭვლითა დამტკიცებულარს გონებასა ზედა ჩემსა აღმოუფხვრელად, რომელი ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის. შემდეგი თქვენისა მოძღვრებისა, თუმცა ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულსა ჭეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ, გარნა უკეთუ ბრძენი ბრძენთა ინებებს, პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდების ხელმძღვანელობითა თქვენითა და სახელისა თქვენისათვის თვისად დროსა გონება ჩემი წარმოდგენს გამოხატვასა ღმრთისასა სულისა და ამოვნებასა, ხოლო ნება სიმართლესა, სიმშვიდესა, სიწრფოებასა წმიდასა ჭეშმარიტებასა და სათნოებასა, აი თვისება სულისა ჩემისა, რომელნი მიმილია თქვენ მიერ და ამათ გამო ილიასა შინა ჩემსა თქვენ ხართ ბრწყინვალე სანთლად წინაშე ღმრთისა, უმეტესად ვიტყვი, არა თავისა თვისისათვის მსოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ეეროჰამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა. მომიტევეთ უკანონო მოწყერისათვის, ვინაითგან ვჰსწერ არა სხვასა, არამედ მამასა ჩემსა სამარადისოსა, ყოველთვის მსასობებელ და მონა

ვანსჯასა შინა ჩემსა აწინდელსა საუკუნესა მეძიებელი კაცთა მამუ-
ლისა ჩვენისათა, წარმოვადგენ მე მხოლოდ თქვენთვის უაღმატებუ-
ლესსა ხარისხსა შინა ჩინებულებისა ღირსებასა და სრულებასა შემ-
ძლებელობისასა სიბრძნეთა შინა ნამდვილ ვიტყვი: ვარ მწუხარე სიხა-
რულისა თქვენისა.

ნოემბრის 14-ს, წელსა 1826-სა.

13. მ ა ს ვ ე

მაღალ-ღირსო მამაო, მოძღვარო იონა,
უმოწყალესო ხელმწიფევე!

ფიზიკო-მატემატიკებრი ავთრათი თქვენისა მაღალ ღირსებისა მივი-
ღე, რომელსა შინა ვისმინე მაღალნი ტალანტნი გონებისა თქვენისანი
ზეგარდმო ნიჭებულნი გამოხატეთა უძღურებისათვის სრულიად შემ-
ცვლელისა ერთისა ყოვლადისა სხეულისა სხვა და სხვა სახეებრ, კერ-
ძობებრ და შევემცენ გარდამოცემულისა გარემოებისა ყოვლით კერძო
მოქმედებისასა. ესე იგი, ვითარცა ფიზიკებრისა სჯულისა შედრგენა-
სა შინა კაცისასა, ეგრეთვე მატემატიკებრისა მოქმედებასა განფენი-
ლებასა შინა, რომელთა გამო დამერთო დიდ ფრიადნი მწუხარებანი,
მომეტებულ მწუხარებასა ზედა, მათ კვეთებათათვის გარეგანთა მავ-
ნებელთა, გარდა შინაგანისა მდგომარეობისადმი გარდამეტებულად
შესრულთა მისსა, რომელნი გამოვალნ მქისენი, ურგებნი, გინა
მაკნებნი მატერიალნი საშუალებათა გრძნობათა კაცისათა, რომელ-
თა გამო მოკლებიათ ძალნი მოძრაობათა აღვისითა ძარღვთა ძარ-
ღვაკთა, მუსკულათა და სხვათა. გარნა მტკიცე მსასოებელი წმიდისა
წმიდათასა მოხარულ-ვარ ერთკერძ თქვენსა და ჩემსა მხოლოდ ხორცი-
სა უძღურებასა და სისუსტესა და არა მას შინა მთავრისასა. უმაღლესი
და უღიდებულესი ძალი ყოველთა ძალთა ფრიად გვჰსწყალობს,
ვინაითგან ესე ვითარისა ხორცისა მოუძღურებითა უმეტეს მორჩი-
ლებს სულისადმი და სულსა უმეტეს და უმეტეს განუძლიერებს და გა-
ნუშტკიცებებს მოქმედებასა და გრძნობასა მისსა, ხოლო ჩვენ მოგვანიჭა
გონებაჲმან გონებათამან ნუგეში და მოთმინება ლოცვისა და ღიდებისა
მის მხოლოისა და უშორეს საქმენი თქვენნი, რომელთაცა მე ვჰგრძნობ
მარადის, უკუნისამდე გჰყოფთ (იგი) ცხოველობითსა ცხოვრებასა შინა.

მაღალ ღირსო მამაო, ჩვენ განვჰსაჯეთ ქვეყანისა ცალიერება მატე-
რიათა შინა, ვითარცა იხილვების შეკითხვისა მოგებასა ზედა თქვენსა
და აწ უკვე მივმართავ ყურადღებასა ჩემსა მცნობელი ქვეყანასა ზედა

ცალიერობისა — სულთა შინა არსა ანუ არა? კითხვასა ამას ზედა მოკლედ ვიტყვი მამაო!

ცალიერობა არს ადგილი ცალიერი, ხოლო სულთა და ანგელოსთა არა ძალა უძსთ ადგილისა ქონებად და არცა მოძრაობისა, არამედ მოქმედებისა, ვინაითგან, მაშასადამე, არცა სულთა ანგელოსთა ჩვენთა და დემონთა არა ძალუძსთ ცალიერობისა ქონებად.

მამაო წმიდაო, დასასრულ გთხოვ, რათა ინებოთ და გამობრძანდეთ ვასილის ქალაქში მეათორმეტესა მწკრივსა შინა საქმისა რაისათვისმე.

თქვენი მაღალ-ღირსების ჰეშმარიტისა პატივისცემითა მორჩილი მოწაფე

სოლომონ დოდაევი

[1826 წ.]

14. ფილადელფოს კიენაძეს¹

თქვენო ღირსებავ მოწყალეო ხელმწიფე

მამაო ფილადელფოს!²

ღირსქმნილი მიღებად უუპატივცემულისისა ავთრათისა თქვენისა, შემდგომად განგრძობისა მოლოდებასა შინა მათ ღროთასა, რომელთა-ცა განვლეს საშვალ პირისპირ თქვენთანა ხილვისა ჩემისა ვიდრე აქამომდე, ვპრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად გარდმოფენისათვის კურთხევისა თქვენისა ზეცით ჩემზედა და დიდ ფრიად მოხარული სიმართლისა თქვენისა სმენისა მივიქეც ყოვლითა ძალით ჩემითა ნათლისადმი ნათელისა მადლობად და ვედრებათცა პირის პირ ხილვისა თქვენისა.

წინააღმდეგ წიგნისა თქვენისა წარმომიდგებიან იდიანი, გარნა მხოლოდ ესეცა კმა არს მართლებად თავისა, რომელ ჩემ მიერ რაოდენთამე წარმოგზავნილთაგან მანინც ერთი მოგრთმევიათ და მე კი არცა ერთი მბოძებია, მხოლოდ პირველი ესე არს, რომელი მივიღე ნიჟნილოროდით დეკემბრის 15-საჰ. მე მსურდა შეერთება აზმნობისა ჩემისა უშეტეს თქვენდამი, ვიდრე-ლა სხვათადმი, რამეთუ თქვენ ხართ ჰეშმარიტი გულითადი იგი მეგობარი, რომელსაცა გსურდათ ნათელი ჩემდო პიმართ და კეთილისა მოცემა, რომელნიცა წარმოგიდგებიან ესტეტეკებრსა გრძნობასა შინა მარადის. ყოველთადმი ვიკითხვიდი მოწერისა თანა საქართველოსა შინა ვითარებასა თქვენსა და მდგომარეობასა. არცა ერთჯერ არა მიცნია არა რომლისაგან, განკვირვებასა შინა ვიყავ დადუმებული. არა მამა-პაპური მოთხრობა მიზეზად აღმოჩნდების, ვინაითგან ორკერძ განხილვად სათანადო ყოვლისა კაცი ყოველთა მხარეთა შინა და ყოველსა ღროსა ჰგრძნობს თვის შორის ვანხვნასა ამალ-

ლებულთა ძალთასა გულის ხმეირისა სულისასა. უმთავრეს გულსა კაცსა შინა არს დასაბამი რაიმე ანუ გონება და ესრეთ ვუტევით ყოველი ზრახვა, უკეთუ მე მაქვს ბრალი. გვედრი მოტევებად წარსრულთა თვის და განახლებად ძველისა სიყვარულსა.

შემდგომ მოიხსენებთ ჩემს მდგომარეობასა. ტაძარსა შინა აღნთებულისა სწავლისასა გახლავარ მაძიებელი სიბრძნისა სახელდებით იმპერატორის უნივერსიტეტსა შინა, მესამე უკვე წელი მივლის. რაოდენიცა შესაძლებელ არს უკეთილესად წარმატებით მადლობასა შინა განგებულისასა. კურსისა შესრულება ჩემი მომავალს იანვარს იქმნების. ვურსნი, ანუ საგანნი სწავლათანი ურიცხვ არიან, ესე იგი მრავალნი, ანუ ბევრნი. ტფილისში მალალი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება 1827. უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა მინისტრთან განათლებისა უფროსს მასწავლებლად ფილოსოფიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ. უკეთუ ღმერთი ინებებს, იქნება მინისტრმან წარმგზავნოს ტფილისად, მე კი ჯერეთ არა მსურს წარსვლა; ჩემს კერძო არა სასიამოვნოდ არს თქვენი აქ დაახლოება. მე ვაზმნობდი სხვისა რაისან, და ოდეს მთავრობასთანა სრულ ვპყოფ, მაშინ ძალმიძს ცნობად თქვენდა, რომელი აწცა მაქვს იგივე და მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართველოსა შინა. არა შესახებელად მისსა, სადაცა მე პაწესებენ, არამედ სხვა აზმნობა არს სარგებელად მამულისა.

გთხოვ მიიღოთ რუკა ესე წიგნი, გარნა ლექსი იგი ავთრათსა შინა თქვენსა („მენდე“) შემაწუხებს, ნუ უკვე ესე ვითარნი მცირაკნი რაიმენი შესაარაც არიან წინაშე ჭეშმარიტისა მეგობრისა? და კვლად გიზრახავთ ფულის წარმოგზავნა. მისთვის ესეცა გამოხატვა უტევით, და გთხოვ სხვანიცა სამსახურნი მიბრძანოთ, რომელსაცა მარადის სეფურობათ აღვასრულებ. მომიტევეთ, უადრეოს ამისსა ვერ წარმოგვზავნე, მღინარესაზედ გზა არ მაქვენდა.

უკანასკნელ, ნუ მომაკლებთ თქვენისა ვითარებისა, სიმრთელისა, ცხოვრებისა და მდგომარეობისა წარმოებისა წერილსა. მოწყალეო ხელმწიფე! თქვენის ღირსების მორჩილი მოსამსახურე დეისტვიტელი სტუდენტი იმპერატორის უნივერსიტეტისა⁵

სოლომონ დოდაევი

დეკემბრის 20-ს 1826 წელსა

ს. პეტერბურგი.

ბაგრატ მეფისძემან გთხოვათ თქვენს მიერ თხზული ქადაგება რომლისავე დღესასწაულისა და სიყვარულით მოგიკითხათ. თუმცა პირისპირ არა მაქვს ცნობაო, გარნა კი სული ჩემი გიცნობსო. მას ხელმწიფემ უბოძა ღენერალ-ლეიტენანტობა და სენატორობა.

მალალ ღირსო მამაო იონა, უმოწყალესო ხელმწიფევკ!

უხვსა მაკურთხეველსა, სულისა მიერ წმიდისა განათლებულსა მარჯვენასა თქვენსა თაყვანსა ვჰსტემ. მამაო, ჩვენ წარსულთა ჟამებთა შინა ვვაქენდა აზმნობა არსებისათვის სულისა. შემდგომ მისსა ვიაზმნე რაოდენიმე წამი, რომელსა წარმომიდგა ცნობა მისთვის შემდგომითა ხატითა და ძალისაებრ ჩემისა მოკლედ ვსჯი ესრეთ: ფილოსოფოსობა ჩვენი ყოვლისა საგნისათვის მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესტეტიკასა. პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება; კვალად იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს ჰსწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა. ჩვენ ვუწყით, რომელ თეორიასა აქვს ნაწილნი: ლოღიკა, ფსიხოლოღია და მეტაფიზიკა; პრაქტიკასა აქვს: ზნეობითი სწავლა (ითიკა), კანონითი სწავლა და სარწმუნოებითი სწავლა; ხოლო ესტეტიკასა შინა იპყრობიან: გემოვნება, მჭევრმეტქობა და პოეზია. და ამის გამო ვიკითხავ — სადა არს სულისათვის სწავლა? იგი არს პსიხოლოღიასა შინა, ხოლო პსიხოლოღია სადა არს? თეორიასა შინა. თეორია რაისათვის არს სწავლა? კაცისა თავისათვის, საიდამაცა იწყებიან ყოველნი ზრახვანი, რომელიცა არს დასაბამი ანუ ხატოვან დასაბამი ძალთა სულისათა და სხეულისა ძარღეთა. გარნა ყოველნივე ნაწილნი იგი შეკრულ არიან ურთიერთა შორის, ესე იგი, გონება, გული და გრძნობა არიან ღარმონიებრ მოქმედნი ანუ თანხმანი, მაგალითად, იზრახავს სული, იტყვის გული, რომელ რაიცა აქენდა სულსა გრძნობისა მიერ მიღებული და ესრეთ სულისა მოქმედებანი იწყებიან ტვისსა შინა, გარნა თვით სული არს ყოველგან და იქმნების ყოველთათვის, აჰა, მოკლე თეორია შემეცნებისათვის სულისა, უკეთუ ვიწყო ამისთვის სჯა, შესდგების სრული ფილოსოფია და მე დრო არა მცემს ნებასა, გარნა თვისსა დროსა განიმარტებიან კურსსა შინა ფილოსოფიისა ჩემისასა.

სოლომონ დოდაევი მალაროელი.

16. მასვე!

ღღეს აღსრულდა მოლოდება სიტყვისა მის, რომელსა მოველოდით. თქმულისა წინასწარმეტყველთასა, გამოცხადდა ღუბესა ზედა ქვეყანისასა თავადი სოფლისა, მამა მყოზადისა დიდებისა, მოვიდა ნათელი ნათლისა განათლებად სოფლისა. აჰა თუ ვითარ თანამდებ ვართ ღღესასწაულობითა კაცობრივნი ნათესავნი მალლობად, დიდებად და ღაღადებად მოფენისათვის მშვიდობისა ჩვენ შორის და ჩვენთანა საუკუნოდ.

გამოუთქმელსა და მიუწოდმელსა მას მშვიდობასა ყოვლად ბრძნისა სათნოებასა ვიხილავ თქვენ შორის, მამაო, ნიჭებულად, რომელსაცა მომდინარებულ ყოფთ ჩემდა. მე, მგრძნობელი ურიცხვთა კეთილთა თქვენთა, ვრაცხ მარადის და ვედრებად დღესასწაულისა აწინდელისა დღისასა საუკუნოისა ცხოვრებისათვის თქვენისა და წინაშე თქვენსა მადლობად. რაოდენიცა ძალა მიც ყოველსა შინა დროსა მყოფობისა ჩემისასა მოლოცვასა თანა ქრისტეს შობისა ეკადნიერებ თხოვასა, რათა ურიცხვსა მოწყალეებასა თქვენსა აღსრულება სიტყვისა და პირველი ნაყოფი ჩემი დაბეჭდილ ყოთ წარსაგებელითა თქვენითა ვალად ჩემდა სახელისა თქვენისათვის, ვინაითგან ამის გამო შემდგომნიცა ნაწილნი დაიბეჭდებიან და იქნებიან დიდ ფრიად სარგებელ მამულისა². ესე ვითარნი დიდ კეთილ მოქმედებათანი ნივთიერისა სოფლისანი გამოცხადდებიან სულიერსა სოფელსა შინა და არა რაი სხვანი; იხილეთ, რამეთუ საქმენნი ჩვენნი არიან: 1) ღდება სარწმუნოებისა განშვენებითა ეკლესიისათა, 2) სწავლა მისი გამოცემითა წიგნთათა და 3) აღშენება სხოვლანისა, უკეთუ ინებოს ნებაჲმან ნებათამან. ჩვენ კერძო ვეცადოთ ყოველი ძალი ჩვენი აღსრულებად ზემოხსენებულთა კეთილთა; ვარსა მხოლოდ მე არ ძალმიცს მოქმედება მათი, უკეთუ თქვენმან მალალ ღირსებაჲმან არა ინებოს. დასასრულ, დარწმუნებულ ვარ, რომელ თქვენ მათ არა შეუტრაცხოფთ მამულისათვის და საუკუნოისა ცხოვრებისათვის.

[ს. დ. ო. დ. ა. შ. ვ. ი. ო.]

17. მ ა ს ვ ე

თქვენო მალალ ღირსებაჲ, უმოწყალესო ხელმწიფეჲ,
მამაო იონა!¹

მამაო სულისა ჩემისაო!

ავთრათი თქვენი ზეციური საცხედ შედრგენილი განსხვაებისათვის სულისა სხვათაგან და ბასრებითი წინააღმდეგ მატყველთადმი მივიღე, რომელმან აღადგინა და განახვნა ძალნი სულისა ჩემისანი ზრახვად მისთვის ესე ვითარითავე ხატითა, ესე იგი თანახმად თქვენდა:

1) ზრახვა ლოქისა² სულისათვის დიდ ფრიად მცდარ არს, თუ სადამე იტყვის სხეულევანად ანუ რთულად, და ამასთანა სხვანიცა მედროენი მისნი სჯიან დიდ ფრიად უნაყოფოდ, რომელსა ვუწოდოთ ჩვენ სულადო, იგი იზრდების, მოსუცდების და ივნებისო, ვითარცა ხორცი; ლოქი ჰსჯის — ყოველნი არსებანი იბადებიან ერთ სახედ თვისთა წინა ნაყოფთაგანო, ცხოველი ცხოვლისაგან, პლანეტი პლანეტისაგან და სულნი სოფლის დასაბამითგან იმყოფებიან ორღანოებრთა დასაწყისი.

ნაყოფთა შინაო. სხეულისა თანა არს—ერთიო იბადების მსგავსისა თვისისაგანო და მათთანა სცნობს თავსა თვისსაო, უკეთუ ჭეშმარიტად მან პოუთხრა თვის კერძო სრულიად სული თავისი, მისცემია სიბნელესა და დიდ ფრიადსა სულისა სუსტობითა საუკუნოსა სატანჯველსა.

2) განცოფებულისა კაცისა მის ვოლტერისა³ სიტყვა არა შესარაცხ არს წინაშე სულისა მექონისა კაცისა და მალლისა მკურთხებელისა გონებისა ზეცად, ვინაიდგან ისტორია მისი სისტემასა შინა ფილოსოფიისასა მაცნობებს, რომელ იგი არა რაისა განმრჩეველ იყო. არცა უწყოდა კაცი, არცა სული, არცა ხორცი, არცა შემოქმედი და არცა შექმნილი, ვინაითგან არა განასხვავებდა მათ ურთიერთისაგან და ამოაჩვენებთა თვისითა შთავარდა უწმინდურობასა შინა უსაძაგელ—შეზარაცხად ყოველთათვის სულისა მამტკიცებელთა. მისთანამზრახველთა რუსსო⁴ და მარკიზ დარჟანმან⁵ უდრეს ავნეს, ვიდრე და მისცეს სარგებლობა თვისთა განზრახვითისა დეკლამაციითა. იხილეთ, თუ ესე ვითარნი მარცხენა მზრახველნი და მეტყველნი ამავე ნივთიერსა სოფლისა შინა დასჯილად გამოჩნდებიან ყოველნი ტარტარნი ტარტარად მიიქცვიან და ჩვენთვის კაცაკ ზრახვად დაშთებიან.

3) ხოლო კაცი ჰგრძნობს ყოველთა მხარეთა შინა და ყოველსა შინა დროსა თვის შორის განხვნასა ამალღებულთა ძალთასა გონიერისა სულისასა, სრული ნათელ ჭეშმარიტებისა სოფელსა შინა მკვეთებელიცად ბრწყინავს ყოველსა მდგომარეობასა შინა და ჰსცნობს გონიერებასა, ამოვნებასა და გრძნობილებასა, რომელნიც გამოცხადდებიან სხვა და სხვა ხარისხსა შინა, სხვა და სხვა სახესა, მარადის დაწესებულთა ჰსჯულითაებრ თვისისა ნათესავისათა, სადაცა მოკიდულად ხარისხსა შინა დადგენილ არიან სოფელნი, ქვეყანა და მთავარი კაცი მას შინა. სულმან დაჰბადა ყოველივე ხილულნიცა და უხილავიცა, სხეულიცა და უსხეულოცა, ჭალაქიცა და მეფეცა, რთულიცა და მარტივიცა—ხორცი და სული, უკეთუ უკანასკნელ შეინანა ვოლტერმან თვის შორის, მაშა სარწმუნოებამან მისგან აცხოვნოს იგი.

4) უკეთუ ვიეთსამე კაცსა შინა არა შთანერგულ არს ჭეშმარიტება, კეთილობა და მაღალი გრძნობილება, არამედ წინააღმდგომ არს იგი შემკვეალული ბიწისა ანუ ესრეთ ვჰსთქვა—არა მეძიებელ არს ცისა, არამედ ქვეყნისა, იგი მარადის მეცადინეობს ანგაარებათა შეძინებისა ნივთთასა განმდიდრებად თავისა თვისასა და გაზრდად მის მიერ, ხოლო მარცხენისა მეძიებელი, თუ არა ცრუობითა რაისამე და ტყუილისა მოთხრობითა, სხვა გვარ ვითარ ძალუძს სოფელსა შინა გამოჩინება და ესრეთ პირველთა წარმოჰსთქვეს სული სხეულად, ხოლო მეორეთა სხეულები სულად. სუსტი ესე აზმნობა მათი ერთ კერძოდ არ ღირს არს პასუხგებად მათდა. ვინაიდგან, ვჰგონებ, თვითვე უწყოდენ ორისავე არსებობა და ვითარცა თქვენ მამცნებთ, შემკვეალულნი დემონთანი სიმ-

დიდრისათვის ჰყოფენ თავისუფალნი იგი მზრახველნი ესეთსა შეჰსწავებასა ერთადმი, ვითომც ახლისა რაისამე გამომცნობელნი ანუ მპოვნელნი და აღიმაღლებენ წინაშე უგუნურისა კაცისა თავსა თვისსა.

5) შეუძლებელ არს სოფელსა შინა, რათა ყოველთა საგანთა აქვნდესთ იგივეობა. მიუცილებლად სხვაობენ ურთიერთისაგან, არა თუ ყოველნი, არამედ ორი არს ერთი და იგივე. ვინაიდგან უკეთუ იყვნენ სულნი. ჩვენ ვჰსცნობთ ნივთებად და წინააღმდეგ ჩვენსა ვითენიმე იტყვიან სულებად, მაშინ ურთიერთა შორის შეირკინებოდნეს სამსახურისათვის და ხმარებისა, ვითარცა სულისა ჩვენისა ორღანებრი სხეული ითხოვს მათგან ხმარებასა, უკეთუ არა იყოს ორღანებრი სხეული, არცა შესაძლებელ იყო განხილვად შინაგანთა ჩვენთა წარმოდგენათა და გარეგანთა, ყოველი ფორმითი მოქმედება სულისა ჩვენისა მდგომარეობს მატერიალთა ზედა. უკეთუ არა იყვნენ მატერიალნი, არცა იქნებოდნენ ფორმანი. მაშასადამე, ორნივე საჭიროდ არიან.

[ს. დ. დ. ა. შ. ვ. ი. ლ.]

18. ანა დედოფალს !

უმაღლესო დედოფალო ანნა,²
უმოწყალესო ხელმწიფევი!

ვინაითგან ყოველთა მთხველთა აქვსთ ჩვეულება ევროპასა შინა წინა პირველ უწყებად უმაღლესთა გვამთადმი, ამის მიხედვისამებრ მეცა გავბედავ წინაშე თქვენისა უმაღლესობისა, რომელ სარგებელად მამულისა შვილთა იქმნების თხზულება ჩილოსოფიისა ნებისა განგებულისათა, რომელთაგან აწ იბეჭდების პირველი ნაწილი—ლოლიკა, ვითარცა ჭართულად, ეგრეთვე როსიულადცა, ჩემ მიერ თხზული³. ორივე ფასობს ორ თუმნად ასიგნაციად. რათა სხვანიცა დაიბეჭდოს, და ესრეთ, უმაღლესო დედოფალო! უკეთუ ინებებთ მოწერასა მიღებისათვის, ტიტულითა თქვენისა უმაღლესობისა სახელითა, დაიბეჭდების ყოველსა შინა წიგნსა და რაოდენსაცა წიგნსა ინებებთ, მიუცილებლად მიიღებთ. თქვენის უმაღლესობისა მორჩილი მოსამსახურე

ს. ო. ლ. მ. ო. ნ. დ. ო. დ. ა. ე. ვ. ი.

10. იონა ხელაშვილს !

მაღალ ღირსო მამაო იონა!

მე გუშინ ვჰსცან უნივერსიტეტისაგან, ამ წელსა იქმნება, შემდგომად ეგზემენის შესრულებისა, გამოშვება ჩემი სრულის ატესტატიითა.

დეკანოზი მიტხრა — დროზედ წარმოადგინე ლოლიკაო. ამისთვის გთხოვ იმეცადინოთ მოსწრაფებით მოძიება წარსაგებელისა, რათა რუსულს ენაზედ ახლა დავაბეჭდინოთ და ქართულზედ შემდგომ მისსა. ადამის² მიღებისათვის ვიკითხე და ყოველნი მისაღებელნი წარუდგენიათ მინისტრთან, რომელთა რიცხვში ისიც ჰსწერია და ერთის კვირის შემდგომ იცნობება ღიმნაზიაში.

თქვენის მაღალ-ღირსების მოწაფე

სოლომონ დოდაევი

20. მასვე

თქვენო მაღალ ღირსებაე, მამაო მოძღვარო,
მღვდელ-მონაზონო იონა!

უმოწყალესო ხელმწიფეე!

ბევრის ბევრი უხვება თქვენი ჩემზედა მოღებული დიდ ფრიად საგრძნობელ არს ყოველსა ეამსა შინა, არა მხოლოდ ჩემ შორის აწ, არამედ ყოველათვის იქმნების მარადის, და თვისსა დროსა გამოჩნდების ყოველნი მოქმედებანი წარმოებულნი თქვენისა მაღალღირსებისანი, სიბრძნისათვის ჩვენთა შემდეგთა ბრძნისადმი.

წყაროო სიბრძნისაო! ადრე იქნება თუ გვიან, ნათესავი ჩვენი ჰსცნობს შრომასა ჩვენსა და ყოველთვის ძალგვიძს მათდამი შეერთება წერაღიბთა ჩვენითა, ხოლო რა ბევრის ბევრობს სიბრძნე ნათესავთა სილაჟიანისათა; ამისათვის შეეაერთოთ პირველისა ნაწილითა სიბრძნისა სიყვარული სახელი თქვენნი და ჩემი ცნობად, რომელ ნათესავნი ჩვენნი მახვილობენ გონებითა სწავლასა შინა, ვინაითგან იგინი მთავრობენ ჩვენზედა და ამით გზა გვექნების ყოველგან შემამულეთა; და ესრეთ გთხოვ სახელისა თქვენისათვის, ინებეთ მამაო დაბეჭვდად წიგნისა მის, რომელიცა აღიწერა ბრძანებითა თქვენითა და წარსაგებელი იგი შეეკრებოთ შემდგად დაბეჭდისა სარგებლობისათვისვე მამულისა. მომიტყვევთ არა სრულებისათვის ამის ავთრათისა, ვინაითგან არა მაძლევს ნებასა იგი, რომელიცა უწყით თქვენ, ესე იგი მათემატიკა. გთხოვო უმორჩილესად მაკურთხოთ ჩვეულებისამებრ თქვენისა მაღალ ღირსებისა, რომელიც მარად ვარ კურთხეულ თქვენ მიერ.

თქვენისა მაღალ-ღირსების მორჩილი მოსამსახურე

ს. დოდაევი

მარტის 8-სა, 1827 წელსა, სანკტპეტერბურდი.

თქვენო მაღალ-ღირსებაე, მამაო მღვდელ-მონაზონო იონა,
უმოწყალესო ხელმწიფეე!

იხილეთ მოკლეთ შემთხვევა ესე, რომელიცა აწარმოვა მცირისა გამო მოქმედებისა სარგებლობისათვის მათისა და რომელი მათ მიერ მიღებულ იქმნა უსარგებლოდ და დიდ-ფრიად გულ-ძვირებულად. მე ვიწყებ უწინდელისა და აწინდელისა დროთა გარემოებასა. საქართველოდამ მოველ მზრუნველობასა შინა თქვენსა, მიღებისათვის სიბრძნისა და თქვენ ჰპოვეთ ადგილი, სადაცა მიღებულ ვიქმენ, რომელსაცა მომეცა მუნვე სადგომიცა და მივიღე განვითარება ზემწეობითა თქვენითა.

თქვენო მაღალ-ღირსებაე! წინადადება თქვენი პირველ მოსვლისა შინა ჩემსა სწავლისათვის ბაგრატ ბატონის შვილის ძეთასა მივიღე და აქამომდე არა დავზოგე ძალისაებრ ჩემისა შრომა და მეცადინეობა; შემდგომად გამოსვლისა წინასწარისა სადგომითან ცხოვრებასა შინა მათ თანა ჩემსა, შემემთხვა დიდნი ენებანი, მოუსვენებლობანი და ამათ გამო სნეულებანიცა, რომელნი ვითმინე აქამომდე, ვითა სიტყვითა, საქმითა და მრავლის მოტყუებითა მათგან. თქვენ უწყით, უკეთუ ამათ არარაი იციან, რომელ სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა ერთნი და იგივე არიან, ესე იგი, ერთად შესარაცხ არიან მასწავლებისა თანა; და ესრეთ უფროსსა შვილსა მათსა ვასწავე რუსული ღრამმატიკა, ქართული ღრამმატიკა, არიხმეტიკა, ჰსჯული ღმრთისა ანუ კატეხიზმო, სამღვდლო ისტორია და ეგრეთვე რაოდენნიმე მსოფლიო ისტორია და ლეოლრაფია; საშუალსა და უმცროსსა საეკლესიო და სამოქალაქი კითხვა რუსული და ქართული, ეგრეთვე ასოებისა დასხმა. პირველსა მოსვლაში აღმითქვა ყოვლისავე კმაყოფილება და მეცა თანხმა ვიქმენ მისი, ვითარცა მეფის ძეს ვერწმუნე, ვგონებდი მოაქცევდა ყურადღებასა შვილთათვის მისთა მასწავლებთა ზედა. შემდგომად ერთის საგნისა შესრულებისა, აღმითქვა საჯამე და რაოდენს წიგნს შეასრულებინებო, ესოდენსა საჯამეს მოგცემო და შენს ზვასტაგს მოგაგებო, შესაბამისა საცმელსა და სახურავსაო, აღმითქვა ფიცით, არცა ერთს დღესა არ გაგგზავნო ქვეითიო თანამდებობასა შინა და ესე ვითარნი. ურიცხვნი აღთქმანი აღუსრულებელ იქმნა და სრულიად მოთმინებით ვმყოფობდი. წარსულთა დროთა შინა რაოდენჯერმე წარმოუთქვამს—შვილებს მიხოცაო. არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ არა რომელსამე არა ეთქმის ესე ლექსი, რომელიცა წინააღმდეგ არს ყოვლისა ჰსჯულისა და სარწმუნოებისა უმიზეზოდ. უკანასკნელ დღესა ამას ერთმან შვილთა მათგანმან წარმოიდგინა ნიშანი ტირილისა და ამისთვის თვისი მართვე-

ლი შოგზანა: ჩემი შვილები მოსაკლავად არ მომიბარებიაო, ზვალვე გადიო! უგუნურება არ არის? რომელ ხვასტავის აღრიცხვა არ მოუციათ ესოდენთა ჟამებთა შრომისათვის და წარმოიტყვიან კი ლექსსა ამას. უმორჩილესად გთხოვ, ვინაიდგან თქვენ ბრძანდებით მიზეზი ჩემისა მათსა სახლსა შინა ცხოვრებისა, რათა იხილოთ შვილნი მათნი და გამოიძიოთ, თუ რაიმე აკლიათ შვილთა მათთა ჩემგან, პასუხი მიილოთ, თუ არა, რაისათვის ჰბედვენ ესრეთსა ლექსსა, მძიმესა და გამოთქმულსა სავენებელად სიმრთელისა ჩემისა, იგი არს სენატორი და ნებასაა? რათა ლექსსა ამას ზედა სტატიეები უსამართლობისა წარუდგინო სენატსა, რომლისაცა მთქმელი მიეცემის კანონითა სამსაჯულოსა ქვეშე. და კუალადვე გთხოვ ჰკითხოთ მათ და პასუხი მიგოთ.

თქვენი სულიერი შვილი და მარადის სათნო

სოლომონ დოდაევი

მარტის 16 დღეს 1827 წელსა.

22. მ ა ს ვ ე

ქრისტე აღსდგა!¹

მოვმოლოცველობ დღესა ამას სიხარულისასა და ვჰსთხოვ თქვენს კეთილდღეობასა, ვითარცა დუბესა ამას ზედა, ეგრეთვე ცათა შინაცა. ხოლო მე გახლავარ გაციებისა გამო დიდსა შეუძლებლობასა შინა და ამისთვის გთხოვ მომიტეოთ, თუ რაიმე არა შესაბამი ანუ შეცთობა იხილვების ჩემ შორის და ამისთვისვე მოვიქცევ სახლად, გინა სადგურად.

თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი

1827-სა, აპრილის 2-ს.

23. მ ა ს ვ ე

ქრისტე აღსდგა!

თქვენო მაღალ-ღირსებაე მოწყალე მამაო იონა!

მომლოცველი აღდგომისა და მგრძნობელი უუწმინდესისა ამის დღესასწაულისა, მიუწთომელისა და გამოუთქმელისა, ვღალადებ და აღვამაღლებ დიდებასა და სულ-გრძელებასა ღვთისასა, ვინაიდგან დღე-ინდელსა ამას დღესა ყოვლად შემძლებელმან მეუფემან იხსნა კაცი ვაე-ბათაგან და ცოდვათა და მოანიჭა სოფელსა მაღლი და მშვიდობა. ოჰ,

თუ ვითარ საგრძნობელ არს აღურაცხელნი ძალნი და მოქმედებანი სულისა და გულისათვის, ყოველნი ქმნილნი აღიდებენ მას, ყოველი სოფელი ღალადებს სიხარულითა და დღესასწაულობითა; ხოლო ძე რაი ვსთქვა ამისთვის, უკეთუ ხელ-ვაყო აღრიცხვად სიყვარულისა და მოწყალებისა მისისა ჩვენ ზედა. არა ესოდენ ძალმიძს აღწერად, რაოდენნიცა იცის და უწყის მან, ვისდამიცა გამოხატვად მნებავს გრძნობისა ჩემისა მილოცვად და მადლობად. გარნა აღეავლენ მადლობასა ქრისტესა აღდგომასა რამეთუ მიგებებულ გყოთ წმიდასა დღესასწაულსა სიმრთელითა და კეთილ-დღეობითა. ვმადლობ და კვალადცა ვმადლობ, რამეთუ მოგანიჭათ ნიჭი კეთილ-მოქმედებისა, უპატიოსნესი და უსამღვდელოესი განზრახვა და საგანი საქმეთა, რომელი ვრაცხ ვალად ჩემდა მარადის წარმოთქმად საქმეთა შინა, ვინაიდგან ვიხილავ თქვენ შორის უუტკბილესსა პირსა სიბრძნისასა, ბრწყინვალესა კაცთმოყვარებასა კეთილობათა, უხვსა ხელსა მოწყალებისასა და ყოველთა თვისებათა სათნობისათა. სამართლად ჰსთქვა არისტოტელმან—გვამი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უუკეთილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე. მხილველსა ესრეთთა ხარაკტერთასა, მომეცა სიყვარული აღუსპობელი არცა მახვილითა, არცა მოტყინებითა რაიმეც და უმეტესად მისთვის, რომელ მიღებულ გაქვსთ საკუთარი მფარველობა და დიდნი კეთილმოქმედებანი, რომელნიცა დაშთებთან გულსა და განზრახვათა შინა ჩემთა და თვისსა დროსა გამოჩნდებიან თვითეულად ისტორიასა შინა ჩემ მიერ აღწერილსა.

სიბრძნის მოყვარეო მამაო! ყოველთა კეთილთა მგრძნობელი მოვ-მლოცველობ აწინდელსა ამას დღესასწაულსა დღესასწაულთასა, და ვჰსთხოვ, რამეთუ სიმრთელესა შინა და კეთილდღეობასა განაგრძოს დღენი თქვენი, ვიდრე მიხრწნილადმდე სარგებლად მამულისა და მემამულეთასა.

თქვენის მაღალ-ღირსებისა მორჩილი სულიერი მჯიღე

სოლომონ დოდაევი

აპრილის 3-სა, წელსა 1627-სა, სპ. ბ.

24. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო, მონაზონო, მღვდელ-მოძღვარო,
უმოწყალებსო ხელმწიფევი!

ნიავეთა ცვლილებამან მომცა გრძნობა სნეულებათა ყოვლისა კრძალისა და უმეტესად თავისა, გუშინდელსა დღესა შინა, ხოლო აწინდელსა დღესა ამას მივიღე რწყევვისა მკურნალობა, რომლისაცა მოქმედება

გარდამოვიდა რვაჯერ და ფრიად სუსტებულ ყო სხეული ჩემი და მწუხარებულ. გარნა გული ჩემი შფოთავს და არა ვუწყვი ვითარ დასრულდება მდგომარეობაი ესე. მე ვპგონებდი, თქვენი მაღალ ღირსება ინებებდა აქარე მობრძანებასა და ესრეთ უმორჩილესად ვითხოვ საქმენა ჩემნი სრულ ჰყოთ, რათა კურთხევითა წარვემართო უვნებელად. ვინაითგან ვპგრძნობ ფრიალსა ვნებულებასა და დროიცა დახიმშულ არს განსვლისა ოცამდი ამ თთვის რიცხვისა.² სხვებრ მარადის თქვენი სულიერი შვილი დავეთები უკეშმარიტესსა პატივისცემასა შინა.

სოლომონ დოდაევი

მაისს, 1827-სა.

25. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო იონა!
მოწყალეო ხელმწიფევი!

შაბათს გამომგზავრებულ მანდილგან ვიქმენ დიდად შეწუხებულ განშორებისათვის, მომეცა სიცხე და თავისტივილი. მერწმუნეთ, მე ვსტრემლეოდი ორ დღესა განუწყვეტელ, ვინათგან ყოველსა წამსა შინა მზა იყავით კმაყოფილყოფად ჩემდა და მათ საქმეთა არა თუ მხოლოდ ვგრძნობ გარეგან, არამედ სული ჩემი განმსჯელ შინაგან დიდ ფრიად განცვიფრდების, აწ უკვე ვითარი განშორება არს ესე! გარნა სული ჩემი არს თქვენთანა და სიყვარულსა ჰპრაზავს და შემდგომთა დღეთაცა ვგოდებ, უკეთუ არა დაატკბოთ წერილითა თქვენითა სული ჩემი. კვირას მეთესა ჟამსა მოველ ნოვლოროდში. რაიდა მრავალი განვაგრძო, ერთი ბრმა ცხენების პატრონი შემხვდა ნოვლოროდით, ატუნა თვალმან და ერთი კერძო ხეესა მისცა და გარდმიბრუნდა საჯდომი. მე მსწრაფლ უსწარ გარდახდომასა, გარნა კაცი იგი მცირედ მოემწყვდა, აღსდგა იგი ფრიად მწუხარე, შექმუნვილი და ვგონებ უმეტეს შიშისაგან, რათა არა ვგვემო იგი, ვინაითგან შემდგომ რაოდენისამე მინუტისა იქმნა მრთელ და არა რაისა მტკივნეულ. შემდგომად მოვეუწოდე კაცთა რაოდენთამე შორით, ჩავაწყობინეთ და წარვემართე გზად. თუმცა მუნ არა რაი გატყდა, გარნა შემდგომად ერთისა დღისა მოუნდა წინა გორგოლებსა გაკეთება და წინა დაკიდებულსა რკინასა. შემთხვევანი ესე მაღლობა დმერთსა, ლოცვითა და კურთხევითა თქვენითა, კეთილად იცვალა და აქამომდე მოველ სიცოცხლით მე და უვნებელად ქონებულთა. დასასრულ, განვკვირდები თვისებასა ერისასა, ვითარნიცა გზასა ზედა ვიხილე. თვით ვერ მოეშორდებოდი ქონებათა, ვთხოვდი წყლის მოტანასა, არა ოდეს არ აღასრულებდნენ, უკეთუ არ მივსცემდი ორ შაურს, ყოველსა ადგილსა გორგოლების დასხმისათვის მთხოვდნენ

ფულსა, უკეთუ თბილს წყალს მხოლოდ მოვატანიებდი, მისთვისცა ორ აბაზსა მთხოვდნენ და გამომართმევდნენ და ესე ვითართავის. უკეთუ როსნი არიან და ქრისტიანნი, რათა იქმან ამას, ვკითხავდი მათ და მოძიგებდნენ მართლმადიდებლობასა, გარნა საქმენი ესე ვითარნი მოგზაურსა ზედა არა არიან მორწმუნეთა. ყოველნი ესე არა რაი, გარნა მწუხარება მაქვს დიდი განშორებისა თქვენისა. დღეს გახლავარ მოსკოვსა, იენისის 2-სა. ბაგრატ ბატონის შვილის სახლში მსუროდა დადგოჲა და სახლი ვერ ეპოვე, განმაშორა ცხენების მეურნემან ადგილსა მას. მივახლოვდი დედოფლის² სახლსა, პირველად ვიკითხე — შესაძლებელი არსა აქ სადგურობაი? მომიგეს — ძალგიძსთო. მიმიღეს კეთილად, მათმან უმაღლესობამან რაოდენსამე უამსა იმეტყველა ჩემთანა, ეგრეთვე ბატონის შვილმან ოქროპირმან³ და თამარმან⁴, ილია⁵ კი თვისის ცხოვრებით ბრძანდება ზაფხულის სახლსა შინა და დედოფალიცა დღესვე წაზრძანდა. დიმიტრი მღვდელმან⁶ თაყვანისცემა მოგახსენათ.

აქაურთა ყოველთავე მოკითხვა მოგახსენეს და თაყვანის ცემა, მამა ტარასის⁷ რუსულის ვრცელის კატეხიზმოსაგან ნათარგმნი იბეჭდება აქ, რომლისათვის დოსითეოსს არხიეპისკოპოსს⁸ ხელი მოუწერია და პავსკისათვის⁹ დაურწმუნებია და მას ნება ურთავს. სხვა ახალი არა რაი არს. აკვალად ფილადელფი¹⁰ შეპყრობილი პყოლიათ ერთი თთვე აქა და აქითგან ქვევითი ნიენი ნოვლოროდს წარუყვანიათ, რომელიცა დიდ ფრიად შესაწუხარ არს. ღმერთმან ინებოს იხსნას თავი თვისი ამ განსაცდელი-საგან. ჩემთან მანდ მოუწერია ავთრათი და თქვენ მიიღეთ, ბაგრატ ბატონისშვილის სახლში იქმნება. ადამ ღირსიევს¹¹ და სხვათა სიყვარულით ვიკითხავ. უკანასკნელ ზეალ თუ ზეგ განვალ გზასა ზედა და თქვენ მშვიდობით, მამაო სამარადისოო, სულისა ჩემისა მამაო!

მოწყალეო ხელმწიფევი, თქვენი მაღალ ღირსების
მორჩილი შვილი ყოველგზით ს. დ. ო. დ. ა. ე. ვ.

1627, იენისის 2, მოსკოვი.

26. შ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო იონა.
უუმოწყალესო ხელმწიფევი! ¹

წმიდასა და ნათლით შემოსილს მაკურთხეველსა ჩემსა მარჯვენასა ზედა ვეამბორები, მოსრული ძველსა სამეუფოსა ქალაქსა შინა. ვიდრე აქამომდე სიმრთელესა შინა გახლავარ ესრეთ, რომელ სიციცხლე იპყრობების ანუ იცვების. აქაურნი ბრძენნი ვიხილე და შემთხვეულებათა გამოძკდელნი, მიმიღეს დიდ ფრიად კეთილად, მთხოვეს მეგობრობა

კეთილი და შეერთება მათდამი წერილისა და სხვათა გარემოებითა შემთხვევათა თბილისით, რათა აცნობონ საზოგადოებასა ჟურნალსა შინა დაბეჭდითა. ჩემ მიერ აღუთქვი ესე ვითარისა მოქმედება². ვიხილუ უნივერსიტეტი³, თეატრი⁴, ბიბლიოთეკა⁵ და სხუანი ჩინებულებანი ყოვლით კერძო გამოვიძიე. მოსკოვი, ვრცელი ესე და ჩინებული ქალაქი, თუმცაღა აღმომიჩნდა საამო სახილველად, გარნა, ყოველივე კეთილ-გვარობა ს. პეტერბურღისა უწარჩინებულეს არს ქალაქისა მის, ანუ ვიდრელა აქა, გარნა მე ვსწუხვარ განშორებასა თქვენსა, არა რაი არს ჩემთვის საამო ესრეთ, ვითა თქვენი ხილვა და ვითარებისა თქვენისა ხილვა, მამაო. მე დამიხანდება აქა კიდევ შაბათამდინ ანუ კვირამდინ, ნივთები ძრიალად ამძიმებდა ბრიჩკას, ამისთვის სრულიად ერთს ყუთში შევკარიბე და განვისტუმრე, რომელიცა მოვიდა თორმეტი პუდი, თითო პუდი თბილისამდინ წარიღეს ცხრა რუბლად, ვითარ სხვათა-ცა, ესრეთ განისტუმრეს, ნაკლებ ვერ მოვიძიე; მეორე მიზეზი ესე არს, რომელ ბრიჩკის უკან ყუთში სრულიად წაბლალულიყო ყდები და უყდონი წიგნები, დიდად შევსწუხბდი მის წარხდენისათვის (—სიმძიმისათვის და წარხდენისათვის წარვეზავენ წყნარის მოგზაურისათანა ნივთები პირობითა ტფილისად). ნიავი აქა არს მძიმე, წვიმიანი და უსიამოვნოდ ღრუბლიანი, რომლისა გამო მტკივა თავი დიდად შესაწუხებლად. გარდა სმენისი, ხედვაცა დამაკლდა, დაკლებასა ამას ვგრძნობ გამოცდილებისა მიერ, და არ ვუწყვი ვითარ შეიცვლება საქართველოსა შინა: თვალებისა ძარღენი მტკივა და სრულიად თავისა ჩემისა სისტემა მოშლილია, და დიდ ფრიად სუსტი. დასასრულ, რაი მრავალი ჰაზრი ვითარებისა და გარემოებისა ჩემისა მოგახსენო, რაიმეთუ არა სახლსა შინა ჩემსა ვსცხოვრებ საკუთრად, რათა აღვსწერო კანონიერად და შესაბამად ყოველივე გრძნობა და ზრახვა, ვითარნიცა იწარმოებიან ჩემ შორის. ჰბრძანდებოდეთ სიცოცხლით და სიმრთელით, რათა ლოცვამან თქვენისა მაღალ ღირსებისამან განმკურნოს ვანზრახულისა საგნისა აღსრულებისათვის, სარგებლობისათვის და აღზრდისათვის მემამულეთა.

მშვიდობით! უუმოწყალებსო მამაო!

თქვენისა ღირსების მორჩილი მოსამსალურე

ს. დოდაევი

ივნისის 9-სა 1827. მოსკოვი.

აღამ ღირსიეცს⁶ და სხვათა, გიორგი პაიჭაძეს⁷, პეტრეს⁸ მოკითხვას მოვახსენებ.

მაღალ ღირსო მამაო, უუმოწყალებსო ხელმწიფევე, მამაო, მღვდელ-
მოძღვარო იონა¹.

ბალტიის ნისლისაგან გამოლტოლვილი, შეპყრობილ ვიქმენ. ვიდ-
რე აქამომდე გარემოებათა მიერ სხვა და სხვათა მოსკოვისა შინა. ესე
ვითარისა შემთხვევისა მიზეზნი არიან შემდგომნი:

1. შეუძლებელ იყო, რათა არ წარმეგზავნა წყნარისა მგზავრითა
ქონებულნი ნივთნი, რომლისა სიმძიმისა გამო ბრიჯის წინა ხეები
შემუსვრილ იყო და მასაცა უნდა განახლება.

2. გაკეთებისათვის მოუნდა წარსაგებელი ათი თუმანი მრავალსა
ადგილსა გატეხილსა.

3. წარსაგებელი შემემთხვა არა მცირედი წარგზავნისათვის. გა-
კეთებისათვის და ხამუთების მოვაჭრებისათვის, და ამისთვის, მგზავრ-
სა შეუცადე, ალექსანდრე² წარმოვალს ლინიამდინ და მუნ დანთების
ივი.

4. მგზავრმან, ჩემთანა წარმოსასვლელმან, მოიგვიანა, ბრიჯის
გაკეთებამან, და ამათ შორის მე განვიხილე ჩინებულეზანი და გა-
ნათლებულეზანი მოსკოვისა შინა წარმოებულნი, ესე ვითართა მიზეზ-
თა გამო აქამომდე უძვირფასესისა დროისა წარმგებელ, რომელსაცა
მრავალნი მძიმენი ტვირთნი კეთილთა საქმეთანი მიმელიან. აქამომდე
მაჰენდა ჩინებულსა პოეტთან და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა
იქებდნენ პეტერბურღსა შინა თვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვე-
ყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი, მათ მთხოვეს თბილისიდან
წერილისა შეერთება, ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტეს
განათლებისათვის, მე ვსთხოვე მუნითგან მოწერა ავთრაათისა და
ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმითქვა. დასასრულ დღეს მე განვალ
გზასა ზედა და თქვენ გთხოვ უმორჩილესად, რათა ხარებულ მყოფ
მე მშვიდობითა უძვირფასესსა ავთრაათსა შინა გამოხატვითა, მერწმუ-
ნეთ, მამაო, მე არარაი მომცემს სასიამოვნოსა კმაყოფილებასა, ვი-
თარცა სმენა თქვენისა სიმრთელისა და სიცოცხლისა. უკანასკნელ,
ყოველთა კაცთაგან ვიქმენ კეთილად მიღებულ, მომცეს კმაყოფი-
ლება ზნეობითითა მიღებითა და უმეტესად პოლიტიკებრისა უცე-
ვითა, გარნა არა რაისა შემწეობითა.

პარმენ მღვდელმან³ კეთილისა გულითა მოხარულითა მისტუპრა
აქამომდე, რომელსაცა ვმადლობ დიდად, და თქვენდამო მცხოვრ-
ებისა პატივისცემისა განცხადება. თბილისის სამხედრო ლუბეჩნი-
ტორის მეუღლემან სიპიალინისამან⁴ მიმილო ფრიად კარგა, წარსა-
გზავნი და ავთრაათი წარმატანა მასთან. და ესრეთ მშვიდობით, ნაძალა!

გთხოვ ბრწყინვალესა თავადთან ფარსადან თეიმურაზიჩთან¹ ჩემ მიერ პატივისცემა განაცხადოთ, და ყოველთა სხვათა კეთილის ჴყოფელთა თანა.

მაღალ ღირსებისა თქვენისა უუმორჩილესი მოსამსახურე სულიერი შვილი თქვენი

ს. დოდაევი

ივნისის 15, 1827. მოსკოვი.

28. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო იონა!

უუმოწყალესო ხელმწიფე!¹

შემდგომად მიღებისა იმპერატორის ხარკოვის უნივერსიტეტის წევრთაგან (ვითა მოგახსენე ხარკოვიდამ მოწერილსა წიგნსა შინა), მეორესა დღესა, შემდგომად შუადღისა, ჟამსა მეოთხესა იყო დღესასწაულობა სლობოდო-უკრაინსკის ღმინაზიასა შინა, ხარკოვის ქალაქსა². მუნ მიმითანხმეს უნივერსიტეტისათა, სადაცა პირველი, მკვრეტელი იყო ყოვლად სამღვდლო, მეორე რექტორი უნივერსიტეტისა ივან იაკოლიჩი კრონბერდი³, ხოლო მე მამულისათვის არა მიმსახურია და არცა ღირს ვარ ესოდენსა მათსა პატივისცემასა, რაოდენცა რექტორმან ჩემზედ აჩვენა საშუალ საზოგადოობისა და სხვათაცა მუნ ხმისა მქონებელთა; პირველად შესვლისა ჩემისა ზალასა შინა (საკრებულსა) კარებთან მომეგება ინსპექტორი ღმინაზიისა; მე ქვემო ყოველთასა მნებავდა ჯდომა, გარნა რექტორმან გარდამიყვანა და თვისთან დამაჯღინა. საზოგადოობა იყო დიდ ფრიად მრავალი ორისავე სქესისა; თავადი ალექსანდრე რიფსიმასიცი⁴ მუნ მყოფობდა; დღესასწაულება ესე შესრულდა შემდგომითა ხატითა: პირველად იწყეს საამოს ხმასა ზედა კონცერტი, ამის შემდგომ ერთმან მასწავლებელმან სთქვა შესხმა ლათინურსა. ენასა ზედა სიყვარულისათვის მამულისა. ჰსჯული ღმრთისა, როსსიული რიტორიკა, ლათინური ენა, ბერძნული, ნემენცური და ფრანციცული, მატემატიკა, ისტორია, ლეოდრაფია, ფიზიკა ჰკითხეს; დასასრულ მუზიკა გვასმინეს და ამასთან მიჰსცეს მოსწავლეთა რომელთამე ჯილდოი მედალი და რომელთამე წიგნი ატტესტატითა; უკანასკნელ მასწავლებელმან არტილლერიისა წარმოსთქვა და საჭიროება მხედრობისა სახელმწიფოსა შინა, ამასთან იყო სასიამოვნო ხმა გალობითა. ესრედ შესრულდა საგანი ამის დღესასწაულობისანი. — ლოლიკა განჰყვეს სხვა და სხვა ჰსწავლად: შინაგანად, გარეგანად და ბუნებითად, გამო-

ცდილებითად ანუ ხელოვნებითად და სხვად მრავლად. — ლოლიკა არაოდეს განიყოფების, იგი არს ჰსწავლა გულისხმისყოფისა, ხოლო გულისხმისყოფა განიყოფების თვისსა მოქმედებასა ზედა არა გარეგან, არამედ შინაგან ფორმაული არს. სხვებრ მხილველნი კმაყოფილ იყვნენ და მეცა.

. შესრულებისა შემდგომ რექტორი ადგა, თავი დაუკრა ყოვლად სამღვდელოსა, მე ხელი გამომართვა და მკითხა ვითარ გესიამოვნაო? მიუხედავად: მადლობა ღმერთსა, საკმაო კარგად. ინსპექტორმან ღიძნა-ზიისამან მთხოვა მუნვე თერმონიისა და სხვათა სასმელებთა მიღება, გაახელით რა ივინი, რექტორმან წარმიყვანა კალასკითა სახლად თვისად. მასთან ვიმეტყველე ყოველივე საჭიროება მამულისა ჩვენისა ჰსწავლისთვის, სხვათა მრავალთა მოთხოვრებათა შორის. — სხვათა შორის სიტყვათა მითხრა: ეცადე მამულისა შენისათვის სარგებელად და სახელისა შენისა პატივად. რაისაცა ითხოვ, ყოველსავე აღგისრულებთო, მასწავებელს უნივერსიტეტიდამ გამოგიგზავნითო, ფრიად მსთხოვა, მე საკუთრად მომწერდეთ შენს წერილსა და ყოველთვის შეწევნასა შენსა ვიმეცადინებო აღსრულებად და დირექტორსაც მოვჰსწერეთ შენთვის. პირველს მისგლამი, ოდეს წარიკითხა ფილოსოფია, მკითხეს სახელისა თქვენისათვის, განათლებული არსო ანუ სადა არსო? მიუხედავად მათ: ნევსკის მონასტერში, აკადემიაში სრულჰყო ჰსწავლა და ჰსცხოვრებს მათს უმაღლესობას დედოფალს მარიამისთანა⁵, მრავალნი თხზულებანი არიან მისნი, რომელნი სახელებით მიუთხარ, რომელმანცა ფრიად მრავალნი მოქმედებანი აღმოაჩინა ჰსწავლისა ჩემისთვისა და განმალღვიძა სიყვარულსა ზედა მამულისასა... ნუ განმირისხდებით მასზედა, რომელ არ სრულიად ქებასა გწერ ეგზემენიისასა, კარგი იყო, გარნა მე უკეთუ არ ვგრძნობდე შეტომასა მათსა, არაოდეს არ ვიტყოდი.

მამაო, სულისა ჩემისაო! და მარადის მზრუნველო! ყოველივე დიდ ფრიად კეთილი, ყოველივე დიდ ფრიად წარმართება არს, გარნა სული ჩემი მწუხარებს განშორებასა თქვენსა და ჰგრძნობს არა სრულიად სიმართელსა. ხარკოვიდამ გამოთხოვებული გამოვედით ხუთშაბათს საღამოზედ.

მრავალს აღვიღს გაგვიტყდა ბრიჩკა, თუმცა ჯერედ არ მაძლევდნენ ნებასა გამოსვლისასა, მთხოვდნენ რაოდენსამე დღესა მუნ ყოფნასა, გარნა მიზეზნი წარუდგინე. დიდად მსურდა, რათა მგზავრობა ჩემი სრულ ვაყო.

თქვენი მღალ ღირსებისა სულიერი შვილო

სოლომონ დოდაევი

ხარკოვიდამ გამოვლეს ქალაქნი ჩუგუევი და იზიუმი, ბახმუტი, ეკატერინოსლავი, როსტოვი და ნახჩევანი, სადაცა ახალნი, მდიდარნი სომეხნი კრიმიდამ გარდმოსახლებულან და ჰსცხოვრებენ უკეთესად. კურთხეულ ალექსანდრე პირველს⁶ უსადგურია მუნ სამჯერ. სიმრთელე ჩემი, ლოცვითა თქვენითა, უკეთილესდების; გარნა ჯერეთ ეგრეთვე არს, ვითა პეტრებურლსა შინა იყო. მიზეზი ხარკოვსა შინა დაუდგომლობისა არს: მრავალნი საქმენი, ქიზიყს წარსვლა და უმეტესად მოსკოვიდამ მეუღლემან ლუბერნატორისამან⁷ ტფილისს წარმატანა ავთრათი და წარსაგზავნი, ხოლო მე მოვიგვიანე. ეგრეთვე მოსკოვიდგან ჰსწავლულთაგან მოვიდოდა ტფილისს ვითარისამე ჰაზრისა შეერთება და მათ უნდა პასუხი და სხვანი. — გთხოვ სულისა ჩემისა მამაო ბრძენო, მახსენოთ ყოველთა პირთა თანა ადგილისა დროისამებრ.

ღ ო ლ ა ე ე *

წელსა 1827 года ივლისის 9 დღესა.

29. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალო ღირსებავ, მღვდელ-მოძღვარო მამაო იონა
უმოწყალესო ხელმწიფევი!¹

წმიდასა მარჯვენასა ზედა ამბორს მოგახსენებ და ვისურვებ სიმრთელესა და პირისპირ ხილვასა თქვენსა. კვალად მოგახსენებ შემდგომსა განზრახვასა: „ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატეებად“. აქამომდე მეცადინეობამან ჩემმან და ლოცვამან თქვენმან დაძფარა და მსურს, რათა არა რაი უკანონო შემემთხვას შემდგომადცა და არცა მოქმედება ჩემი სიბრძნისადმი დასცხრების. აქაურსა აეროვნებასა შინა მოიძნელებს დაცხრომა ბუნებისა; და ამის გამო გთხოვ უმორჩილესად ნება მართოთ ქორწინებად, უკეთუ ინებოს მაღალმან და თქვენმან მზრუნველობამან, განვრცელებად ესე ვითარისა გამოზატვისა ნება არა მაქვს საქმეთაგან კლასისათა, მხოლოდ ნებასა ზედა თქვენსა დამოკიდებულ არს, კვალადცა უკეთუ შეიძლებდეს, ვედრა ჩემი სრულ ჰყავით ანუ შვილისა მისისა სიზმარი ჩართეთ, ვინაითგან ერწმუნებიან ადვილად.

შემდგომად სიღნაღელთ სწავლის გახსნა განვუცხადე. მათ აღძრეთ თქვეს და სიხარულით მიიღეს სახელსა ზედა თქვენსა და ზაფხულში მე წარვალ და მიუცილებელად შევასრულებ, გარნა მე უკეთუ არა მარჯვენამან თქვენმან არაი ძალმიძს. გთხოვ უმდაბლესად აზრა თქვენი შეერთოთ ჩემთანა². უკანასკნელ, უკეთუ ინებებთ ტფილისსა

შინა და მომცემთ შემწეობასა, აღვაშენებ ღუქნებს და ზედა სახ-
ლებს, რათა შემოსავალი განმდიდრდეს სარგებლად მამულისა. რაიცა
წარეგება, მალე შეკრება და გთხოვ ინებოთ განზრახვათა ამათთვის
მალე მიბრძანოთ აზრი თქვენი.

მდაბლად ყოველთავე ხელს კოცნას, თაყვანისცემას და პატივის-
ცემასა ჩემსა განუცხადებ. მშვიდობით, მიგვიანდება კლასში.

მორჩილი შვილი თქვენი სოლომონ დოდაევი.

თქვენ მიერ წარმოგზავნილი გლარძი მებოძა და დიდად გმად-
ლობ, უკეთილესნი გახლდენ.

სეკდემბრის 5-სა, 1827-სა.

80. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალ ღირსებავ, უმოწყალესო ხელმწიფე!

მამაო, მღვდელ-მოძღვარო იოანე! ¹

მაკურთხეველსა ჩემსა მარადის მარჯვენასა ზედა ამბორებას მო-
გახსენებ და სიმრთელით განსვენებას ვისურვებ ყოვლითა ძალითა სუ-
ლისა ჩემისათა. აჰა, მამაო სამარადისო, ვითარება გარემოებისა ჩე-
მისა: შემდგომად სამის დღისა, დროსა მოსვლისა ჩემისასა, მხედართ-
მთავარმან მმართველმან სამოქალაქოისა წარმოებისამან ² სადილათ
მიმითანხმა თვისთან და დამსვა და შეაერთა აზრნი თვისნი განათლე-
ბისათვის შემამულეთა. მე ჩემ კერძო ყოველივე მიეუთხარ სარგე-
ბელად და მოჰსწერა განათლებისა მინისტრს ³. გარდა ამისსა, რაო-
დენჯერმე გახლდით სადილად და დიდ ფრიად კარგა მიმილო, რასაცა
განჰკვირდებიან ყოველივე აქაურნი თავადნი და ნიშოვანნი კაცნი და
არიან გაოცებასა შინა. კვალად სობორისა შინა ეკზარხმან ⁴ შემდეგ
შეწირვისა მიჰსცა სეფისკვერი და მან მე, სხვათა შორის მხე-
დართა, ლექსითა ამით: „მიიღეთ, რათა უმეტესად განათლდეთ და
ასწავლო ჰსწავლანიო“ და ესე ვითარნი სხვანი ლექსნი, რომელსაცა
დაეუთხოვე კახეთსა და მომცა ნება შემდეგად ერთისა კვირისა ტფი-
ლისიდ განსვლადმდე და შემოსვლადმდე ქალაქსა მას შინავე. და
ესრეთ, გახლდი მქისიყს, მამულსა შინა ჩვენსა სამი დღე, ყოველგან
მოველე და მოვფინე ვითარება თქვენისა კეთილობისა, წარმოტანე-
ბულნი მივე თვის თვისსა ადგილსა, რომელთათვის არიან და იქმნებიან
ლოცვასა და ვედრებასა შინა ნეტარებისათვის სუფევისა თქვენისა
ნათელსა შინა სოფლისასა.

გახლდი სახლსა შინა ძმისა თქვენისსა სოლომონისასა. ყოველნი-
ვე ვიხილე სიმრთელით. იგი წარმოვიყვანე ჩემთან და მივუთხარ სოფ-

ლისათვის, რომელ მას შინა კაცი უსწავლელი რაი არს და ჰსწავ-
ლული და ვითარსა განსხვავებასა შინა არიან! იგი ჩემს ლექსებს და-
ემორჩილა განდევნიებული, მომითხრა — ყოველსავე თქმულსა შენსა
აღვასრულებო. აჰა, ცნობა ცხადა სახლეულთა ძმისა თქვენისათა⁵.
უფროსის ძმისა იობისა არა რაი არს დაშთომილი შვილი, და ცოლი
რომლისაცა იქმნა სხვისადმი ცოლად; მეორისა ძმისა, გარდაცვალე-
ბულისა იოსებისა, გახლავსთ ერთი ნინველი წლისა ცამეტისა, რო-
მელსა სახელად გრიგოლ და ორი ქალი. უფროსი არს ათორმეტისა
წლისა და სახელი მაია, მეორე წლისა ხუთისა და სახელი მისი მა-
რიამ. დედა მათი, ქვრივი, გახლავსთ სახლსავე მას შინა, რომელსაც
ეწოდების მართა. მესამის ძმისა სოლომონის არიან შემდგომნი: ცო-
ლისა სახელი მაია. შვილნი მამრისა სქესისანი არიან სამნი, უფროსი
არს წლისა ცამეტისა, რომელსა სახელად ეწოდების იოანე, მეორე
წლისა ოთხისა და სახელად მიხაილ, ხოლო მესამე წლისა და ნა-
ხევარისა, სახელად ნოდარ; მდებარისა სქესისა შვილნი არიან ორნი,
პირველსა ეწოდების კონია და არს წლისა ათორმეტისა, მეორესა
სოფიო. არს წლისა ექვსისა. გიორგი ვერ ვიხილე, მოგახსენეს, რომ
წამოსულა თქვენთანა უწინარეს მოსვლისა ჩემისა. ცოლსა მისსა
ეწოდების ნატალია და შვილსა დიმიტრი, რომელიცა არს წლისა და
ნახევარისა. — იოსების შვილსა გრიგოლს და თვისს შვილს იოანეს
მოვებარებო სასწავლებლად — სოლომონმა მომითხრა და შემეგე-
ვედრათ, რათა მწუხარებათაგან განმათავისუფლოთო. პირველად
ესოდენთა სულთათვის მე ერთი გახლავარო პატრონი ცხოვრები-
სათვის მათისა და მართლად სხვათაცა მითხრეს მის შეწუხება შრო-
მათა შინა ამის გამოხსნისათვის. საჭირო გახლავს, რათა მოიკავოს
კაცი ვინმე და ნინველი იგი მოიყვანოს ჩემთან; ამისთვის მეც აღუ-
თქვი წარსაგებელისა მიცემა და მათთვის აღსრულება, რაოდენიცა
შეიძლება ჩემ კერძო; მეორედ, გახლავს გასაღებსა შინა, რომელთა-
ცა ვერ ძალ-უღვა დამტკიცებაი აზნაურობისა. ხელის მოწერისა-
თვის ნიკოლაოზ არხიმანდრიტს ხელავეს⁶ უთხოვნია ოცი თუძანი
თეთრი ფული, რომელიცა მე ვერ ვიხილე ჭერედ თელავს შინა მყო-
ფობისა გამო მისისაი. მესამედ, ფრიად გთხოვენ მამულისა მოვაჭრე-
ბისათვის, რომელიცა ამას წინად მანდ მყოფობასავე შინა ჩემსა
მოგხსენდათ. დიდად სურს სოლომონს მამულისა მის ქონება. იგი
ფასობს ოცს თუძან თეთრ ფულად, სივრცე სიგანისა და სიგრძისა
მისისა არს ორმოცი ადლი და ათი ადლი ვენახი არს გვერდსა ზედა
ოვისისა ვენახისასა. მეოთხედ, მთხოვა სოლომონმან, რათა მოგახ-
სენო: დროსა გარდაცვალებისა ძმათა ჩვენთაო დამიტევეს ანდერძი
შემდგომითა ლექსითა: „რათგან არ აღსრულდა სიცოცხლესავე შინა
ჩვენი სურვილი ხილვისა თქვენისა, მაშინც ინებოს და საფლავი

ჩვენი აკურთხოსო". ლექსნი ესე გამოხატულნი სიტყვითა მოუთხრობითა გარდაცვალებულთა დროსა სულის განსვლისასა. მეხუთედ, ქალთა ჩვენთა თხოულობენ ჩინებულნი აზნაურნი მამულის ჩვენი-სანი და შეუძლებლობას შინა გახლავართო გასტუმრებად ძათსა; მცნობი ყოვლისა სამთა შინა დღეთა საქართველოს იტალიასა შინა ანუ მქისიყსა, მოვიქვეც ქალაქად ტფილისად. ერთსა დღესა გამოცხადდი ლუბერნატორთან და მივიღე თანამდებობა, გარნა უბედურება შემემთხვა სნეულებისა, რომლისა გამო მკვდართან შექსწორებულ ვიქმენ. ხუთმეტი დღე არ რაისა სანოვანისა მიმღებელი სიმწარემან ესრეთმან მიმიყვანა დიდსა სისუსტესა შინა, მკურნალნი ეცადნენ და ორის გზით მიჰსცეს გზაი განსვლისა ბალდამთა და, შემწეობითა ლოცვისა თქვენისათა, მოვბრუნდი განმრთლებად არსებისა ჩემისასა და თანამდებობამან უმეტესად შემაწუხა: ვინაიდგან ორშაბათიდგან ვიდრე შაფათადმდე თვითოეულსა დღესა რვარვა ეამი მაქვს კლასი ესრეთ, რომელ მოწაფეთათვის ვერ მოძისწერიო, რათა შეეადგინო ჰსწავლანი რვეულთ შინა. სნეულებასა შინა მრავალი ანუ ბევრი წარსაგებელი მომივიდა; გარდა ამისსა ცხოვრებისათვის ზეასტაგი არა საკმაო არს სიძვირისა გამო. ყოველთა საზრდოთა ხუთი რუბლი ასიგნაცია და ოდესმე უმეტესიცა. — მხოლოდ ნუგეში თქვენისა მალაღ-ღირსებისა ამტკიცებს სულსა ჩემსა, უდიდესად კურთხევა თქვენი, რომელიცა მოუკლებელ არს ჩემთვის საზრდოდ ორისავე ცხოვრებისა.

დასასრულ, უუსასურველესო მამაო და მოყვარეო მამულისაო! ხუთს სეკდემბერს ნათელნი გონებისანი და წყარონი სიბრძნისანი ე. ი. ავთრათი უუძვირფასესი ხელითა თარხანოვისათა⁷ მივიღე, რომლითაცა განვიკურნე სნეულებათა მწუხარებათაგან და შევქსწირე მადლობა ნათელსა ნათელთასა. მე მარადის ვიპყრობ მოძღვრებათა თქვენთა ჰსწავლისა გარდაცემათა. შინა ქეშმარიტი ქება, პატივასრულება და თვით დიდება მიეწერების მიზეზსა ანუ მოქმედსა მიზეზებულისა და მოქმედებულისასა, ხოლო თქვენ ხართ დასაბამი ჩემისა კაცობრიობისა და შემყვანელი საზოგადოობასა შინა, რომელიცა ვაქლევ სიბრძნეთა მემამულეთა ჩვენთა სასოებითა მით, რომელ იგინი თვისსა დროსა აღვლენან ხარისხსა ზედა განათლებისა, სადაცა მე მაქვს სახესა შინა სიყვარული მამულისა და მაგალითად, არათუ ოდენ მხოლოდ მოწაფეთა თანა წარმომიდგება თვისება თქვენის მალაღღირსებისა, არამედ ყოველსა შეკრულებასა შინა განძლიერდება მოქმედებანი, გარდა ამისსა, არაუთოდენ ლექსებითა, არამედ სიტყუაობითა ქარტასა ზედა; მაშასადამე, ვისნი ჰსწავებანი მექმნებთან მე განმალვიძებულად, უკეთუ არა მისი, რომლისაგანაც მიმილიეს ჰსწავლანი გასანათებულად გულისხმის ყოფისა, ვის ძიეწერებიან

ესეოდენნი მოქმედებანი, უკეთუ არა თქვენ? ამის გამო მაქვს სასოება და მექმნების მარადის, რომელ არა დამიტყებთ, რათა განახაროთ სული ჩემი ტალანტებითა ნიჭებულთა მადლით გამო; გარნა ოჰ! ცაო! ოდეს ვიქმნები ბედნიერ ხილვითა თქვენითა და სადა? უკეთუ მექმნების შემთხვევა ესე, რაოდენ მადლობას მივჰსცემ მომნიჭებულსა ცხოვრებისასა გამოუთქმელისა და მიუწთომელისა ამის ბედნიერებისათვის.

თქვენი მადალღირსებისა მარად მორჩილი შვალი

და მსმენელი სოლომონ დოდაევი.

1827 წელსა, სექტემბერს 10 დღესა.

81. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო იონაე!

უმოწყალესო ხელმწიფევი!

განმანათლებელი სულისა ჩემისა, შემაძკოებელი გულისა და აღმნთებელი გამოხატვისა ავთრათი თქვენი მივიღე და მათ თანა განმახარებელი გონებისა და მასიამოვნებელი სულისა და სასურველი ნებისა. რაოდენ საგრძნობელ არს ჩემთვის, რაოდენ სახსოვარ და რაოდენ სამადლობელ, გარნა კეთილობანი და სათნოებანი თქვენნი გამოუთქმელ არიან და ყოველსა საუკუნესა შინა სახსოვარ და შეუძლებელ მადლობად ესოდენთა საქმეთა, რომელთა მიერცა ნიჭებულ მყავით მე, არა მხოლოდ ჩემ მიერ, არამედ ივერიისა ნათესავთა მიერცა განუმარტებელ და მიუწვდომელ, ვინაითგან პირველსავე მოსვლასა შინა ჩემსა იქუხა ქალაქმან თბილისისამან, სადაცა მიუთხრობენ ერთი მეორესა სიბრძნისათვის მხილველნი რვეულთა შინა წარწერილთა და გარდაცემულთა კანონთა სისტემატიკებისა წყობილებითა, რომელნიცა მოქმედებენ სულიერთა ძალთა ზედა უმეტეს, უმეტეს ყოველთა სხვათა წარმოებათა. მე აღვწერე ახალსა ფრაზსა ზედა უმეტესად სიტყვიერებითი სწავლა, სადაცა მივეც თვისი განსაზღვრება შესაბამი და წესიერი და ეგრეთვე გახყოფილებანიცა საკუთარსა, წესიერსა გვარსა ზედა დავაწყე. თვით ღრამმატიკასა მოუმატე და ნაკლნი განუტევე მეტნი²; ყოველსა წამსა შეკრულ ვარ საქმეთაგან, ყოველსა შემთხვევასა ვმეცადინებო, რათა მივსდრიკო მსმენელნი ჩემნი ჭეშმარიტებასა და სიყვარულსა სათნოდ ღვთისასა. მე არა ოდეს არა მაქვს ცნობა არა რომლისა უსაქმოისა კაცისა და არცა საქმიანთანა, უკეთუ არა არს

მზრახველი ზეციურთა საქმეთა, მქონებელი და დამწყობელი მალ-
ლით. ავთრათი იგი თქვენი მივიღე სექტემბრის 16, მაშინ, ოდესცა
ვაჩქე კათედრასა ზედა და ვმარტებდი აღსაზრდელთადმი ასტრონო-
მიულსა ანუ მატემატიკურისა და ფიზიკურისა მდგომარეობისათვის
სოფლისა საზოგადოდ, გარნა სიხარულმან ავთრათისა თქვენისამან
მიცვალა ფერი, რომელიცა ჰგრძნეს და ჰსცნეს მოწაფეთაცა ჩემთა.
და ესრეთ მოსული კლასთაგან პირველსა უამსა წარვჰსწერე ესე
მოკლედ და მუნვე მივიქეც. ამის გამო გთხოვთ მომიტეოთ მოკლედ
წერისათვის ანუ გამოხატვისათვის, გინა მოკლე აზრისათვის, ვინა-
იდგან ყოველი გარემოება წარსულს დროს მოგართვი, ვითარცა სახ-
ლეულთა ძმისა თქვენისთა, ეგრეთვე ჩემნიცა, სოლომონ³ და
სახლეულნი თქვენი უვნებლად მყოფობენ, გარნა შოელიან ჩემ
მიერ მოხსენებულისა პასუხსა. მამა ჩემმან⁴, მგრძნობელმან თქვე-
ნისა ჩემდა სიყვარულისამან, მდაბლად გულითადი პატივისცემა და
თაყუანისცემა მოგახსენათ; ეგრეთვე მორჩილმან ჩემმან ძმამან სტე-
ფანემ⁵ მოგახსენათ მარჯვენასა ზედა ამბორება. — უმორჩილესად
გთხოვ მიბრძანოთ თქვენი ვითარება, მამაო სულისა ჩემისაო! ჩემს
ვითარებას მოიხსენებთ, მადლობა ღმერთსა, სიმრთელით გახლავარ.

ადაშს ღირსივეს⁶ და სხვათა განუტყუბადებ ჩემს გულითადსა
პატივისცემასა და სიყვარულსა. თქვენი მაღალ ღირსების მორჩილი
მოსამსახურე.

თქვენი სულიერი შვილი: სოლომონ დოდაევი.

სექტემბრის 17 დღესა, 1827 წელსა, თბილისით.

მ. მ. ს. ვ. ე

მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო იონა!

უმოწყალესო ხელმწიფევი!

სიყვარული, დანერგული გულსა შინა ჩემსა, არა ძალმძის წარ-
მოვადგინო წინაშე განათლებულისა გვაშისა თქვენისა და არცა
შემძლებელ ვარ გამოთქმად თვისებათა თქვენისა მაღალ ღირსები-
სათა, თუცვალა კი ვპგრძნობ, გარნა ვერ მოვსწვდები, ხოლო შეძ-
ლებისამებრ ძალთა ჩემთასა ზრახვასა ამის საგნისათვის გამოვხატავ
ისტორიასა ანუ ცხოვრების აღწერასა შინა მოთხრობითა ყოველთა
გარემოებათა და შემთხვეულებათასა. არა რომელსა წამსა არა ძალ-
მძის დადუმება, რათა არა წარმოვსთქვა ზრახვა ჩემი სათნოებათა
და სიბრძნითთა მოქმედებათათვის თქვენისა უხვებისათა, გარნა

ტვირთი სქეთა შრომათათა არა მძღვეს უფლებასა, რათა ყოველი გამოხატვა და აზრი შევაერთო სხვათა თანამდებობათაგან. სულგრძელებითა თქვენითა მომიტევეთ ბრალსა ჩემსა მცირაჲისა ქარტისათვის, რომელსა ზედაცა წარვსწერე ჩემ შორის დანერგულისა სიყვარულისათვის და შევაერთებ თქვენდამო აქარე წარმოებისათვის.

თითოეულსა მზის მოქცევასა შინა, მღვიძარებასა და მძინარებასა შინა გული ჩემი და უმეტესად სული არს თქვენთანა, რომელიცა შემდგომად განღვიძებისა ჩემისა ძილისაგან ვკვრეტ ცასა და ვიტყვი მარადის ესრეთ: „ვის განვშორდი, სადა ვარ და ოდეს ვიხილავ მას. რომლისაგან ვიყავ და ვარ ნეტარებასა შინა კურთხევითა, გარნა უწილობითა მწუხარე შევსთხოვ უძვირფასესსა დროსა ხილვისასა მომცემელსა თქვენსა ჩვენთვის“. დაუფასებლო, სამარადისოო სულისა ჩემისა მამაო! ნუ დამიტევეთ მე მხოლოდ ერთსა თვინიერ შეერთებისა მოქმედებათა თქვენთასა, მომეციო მაღალნი ტალანტხი, ნიკებულნი თქვენდა ზეცით გამო მამაო! აჰა, ქართულის ლიტერატურისათვის ჰსცანით, თუ ვითარი ვაწარმოე ცვლილება: 1) ღრამატიკასა შინა თვით ღაწყებითგან ვაწარმოე განსაზღვრებანი საზოგადოანი და მოუმატე ნაკლნი, რაოდენიცა ძალმედვა, დაწყებით ბრუნვა განუტევე დამტკიცებითა, რომელ არა არს საჭირო ცნობისათვის ცვლილებათა ლექსათა და სხვანი მრავალნი, რომელიცა დაიბეჭდება და მუნ სცნობთ. 2) სიტყვიერებისა შინა უმეტესად, რომელსაცა მივეც შესაბამი სისტემატიკებრი წყობილება და განყოფილება განსაზღვრებითა, უკეთუ ინებოს ღმერთმან და დაიბეჭდა, მაშინ ჰსცნობთ სარგებლობასა მისსა კეთილმზრახველნი მკითხველნი.

გარნა სახლეულთა ჩემთა ძლიერ შემაწუხეს. დაი ჩემი მისცეს ზირსელაშვილს ანაგაში². შეუძლებლობისა გამო მათისა მოვიდნენ დიდის თხოვითა სავაჭროდ ნივთებთა წარსატანებლად და ჩემზედ ოცდა ათი თუმნის თეთრი ფულისა წარიღეს ვაჭართაგან, რომელიცა იქმნების ას ოცი თუმანი ასიგნაცია; საზრდოდ და სწავლისათვის ოთხი სული ჩემის სახლისა გახლავთ და ერთი სოლომონის შვილი იოანე, ძმის წული თქვენი ჩემთან არის, ათორმეტის წლისა გახლავთ და ისწავენ სწავლათა გონებითა და საქმითა; ბრძანებისამებრ თქვენისა პური და ღვინო სოფლიდგან შევიკვეთე, რომელსაცა მოძიტანენ თვისსა დროსა, გარდა ფრიად ძვირობს; სხვებრ ყოველივე მშვიდობით არს. მხედრობაცა ჩვენი წინაშე მტრისა გმირობს და იმარკებებს³. რვა სული იზრდების ჩემთანა მოწყალებითა თქვენითა. მამა ჩემმა თაყვისსცემა მოგახსენათ, სოლომონიც ამან ჩამოიყვანა თავისის შვილითა. რაოდენიც შემეძლო მივეც შეწევნა სოლომონის სახლსა მცირედ და სხვებრ თქვენს ბრძანებას მოველი. სოლომონ, ძმა თქვენი,

აყო ჩემთან ერთი კვირა, რომელმან მოიყვანა შვილი თვისი იოანე ჩემთან, რომელსაცა დიდად სურის და სწყურის სწავლა, არვის უმეცადინებია მათთვის, ამათ არა რაი ბრალი აქვსთ მოუსვლელობისა სწავლასა შინა. ახლა მე ვითარ ვსცდილობ, ვგონებ თქვენ სცნათ.

თქვენის მაღალ ღირსების სულიერი და მსმენელი შვილი
სოლომონ დოდაევი.

ოქტომბრის 8, წელსა 1827.

88. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო, უმოწყალესო ხელმწიფევი, იონა! ¹

წმიდასა და განათლებულს მარჯვენასა ზედა ამბორებას მოგახსენებ, სულითა და გულითა ვისურვებ თქვენის მაღალ ღირსების ხილვასა და ვსთხოვ ყოველითა გულითა ჩემითა მომნიჭებელსა ყოველთა კეთილობათასა თქვენს სიმრთელესა და მშვიდობასა, გარნა განკვირვებულ გახლავარ უხვეებისა თქვეისა სიბრძნეთაგან, რომელ და ადროეთ წყარონი ნიქთანნი შეერთებად ჩემდა მიცემისათვის, გონებათადმი მემამულეთა ჩვენთა ჰერეტანი, მარადის მიმართებულ არიან ჩიგრიკთადმი ანუ მსვლელთადმი და არარაი ვიხილე გამოზრდისათვის მშვიდობისა და მწყურვალისა სულისა ჩემისა, რომელიცა ეკვეთების უძვირფასესთა სტყვათა ახ ჰაზრთა გათლებისათა თქვენი მიერ მოღებულთა. და ესრეთ ვთხოვ უმდაბლესად, მამაო, რათა არა დამიტეოთ თქვენ მიერ წარმოებული საზოგადოებასა შინა. მე მარადის ვქეცადინებო მწოდონისათვის საგნისა ჩემისა, გარნა ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად, არცა ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითთა, არა მოყვარე არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიალ შერევნილად მდგომარეობენ. მზად არიან ვნებისათვის რომლისამე პირისა უბედურებისათვის და სხვათა, ხოლო მე ჯერეთ დადუმებული გახლავარ სხვა და სხვათა წარმოებათათვის და განხსნათა სასწავლოთ ადგილთა ვეძიებ ღონესა და ვსქვრეტ მდგომარეობათა და გარემოებათა. არ ვუწყვი ვითარითა ხატითა ვაწარმოო საგანნი ჩემნი. აქაური სასწავლებელი თბილისისაჲ ჯერეთ უწესობასა შინა არს ², მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებლნი მცირე, არავინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სქვრეტენ სწავლათა, გარნა იმის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათვის სწავლათა, ვინათგან ინება ღმერთმან მშვიდობისა მონიჭება, მტერნი განივლტნენ ძალისა გამო მხედ-

რობათა ჩვენთა და საჭურველთა, ასან ხანი ერევნისა დღეს მოიყვანეს, ოქტომბრის 23-სა, თბილისის ციხეში და სხვანიცა ოთხი ათასი კაცი სპარსთა, მაღლობა ღმერთსა³.

დასასრულ, ძმისწული თქვენი იოანე მეხსიერ არს და კარგათ სწავლობს. მამაო! უმდაბლესად გთხოვ განუსვენოთ სულსა ჩემსა შეერთებითა ვითარებითა თქვენისა მაღალ ღირსებისათა. მშვიდობით!

მიმიტევეთ სულგრძელებითა თქვენითა ცთომანი ავთრათისანი! ვინაითგან ვჰსწერ მამასა და არა სხვასა. თქვენის მაღალ ღირსებისა მორჩილი მოსაძსახურე

სოლომონ დოდაევი.

ოქტომბრის 24-სა, 1827-სა.

34. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალო ღირსებავ, მღვდელ-მოძღვარო, მოწყალეო
მამაო იონა! უმოწყალესო ხელმწიფევი!

ავთრათნი, გარდამოცემულნი სხვა და სხვაის იღვის მპყრობელნი, ესე იგი, თვითეული თვისისა საგნისა თქვენ მიერ მივიღე ნომბრის 20, რომელთაცა ძალისაებრ ჩემისა შევემცენ მკვრეტელი რაოდენისა-მე ჟამისა და გამოვიხატე სულსა შინა ჩემსა. მაღალნი იგი დიდ ფრიად წყარონი ზრახვისანი მომცემენ დიდსა შვებასა, მხიარულებასა და კნინლა აღტაცებასა ანუ აღფრენასა უკეთილესისა საგნისადმი. მარად მზრუნველო მამაო ჩემო! უკეთუ არა კეთილთა მოქმედებათა სარგებლად სულისა და სხეულისა საუკუნოისა ცხოვრებისათვის თქვენ, რომელნიცა არა კმად იმყოფებიან გარდახდად ვალთა ჩემთა მათ მოქმედებათათვის ზეციურთა, რომელთა მიერცა მარად ვსარგებლობ თქვენ მიერ კეთილისა ცხოვრებისათვის, ვითარითა ხატითა ძალმიძს სრულყოფად მათ ყოველთა სათნოებისა სახეთათვის, რომელთაცა თქვენ მიერ მე ვგრძნობ ყოველსა შინა წამსა. ირწმუნეთ, მამაო, რომელ მე ყოველთვის მზად ვახლავარ აღსრულებად ბრძანებათა თქვენთა და თანამდებობათა ჩემთა. აჰა, ლიტურგიისათვის ქართული-სა მიიღეთ მოკლეი ესე განსჯა ჩემი, აზრისაებრ თქვენისა, ღრამატიკასა შინა შესაძლო არს უადვილესად და უცხოელესად წარმოდგენა ყოველსა შინა საჭდვრებასა და განყოფილებასა შესაბამად წესიერად და უმეტეს კანონიერად ყოველნი კუთვნილებანი და პყრობილებანი მისნი (ვითარცა მე გარდავეც მოწაფეთადმი ჩემდა ცხადითა განმარტებითა). ღრამატიკა განარჩევს ლექსთა ხმარებულთა ჩვენსა ენასა ზედა. ყოველსა ლექსსა აქვს სხვა და სხვა მნიშვნელობა, მაშასადამე,

სათანადო არს, რათა მიუწეროთ თვითოეული ლექსი თვითოეულსა კლასსა, აღმნიშვნელსა საგანთათა. რომელნიმე გარდაეფინებინან ყოველთა მყოფობათა — საზოგადოდ, რომელნიმე თვითოეულად — კერძობითად. წოდებანი, კუთვნილებანი და რაოდენობანიცა ნიშნენ სხვა და სხვასა, უმეტეს და უმეტეს დანაწევრდებიან იგინი შეცვალბითად წოდებულნი ნაწილნი და შეცვალბულნიცა შეერთდებიან მათ თანა, ეგრეთცა ნათესავსა შინა, რომელიცა ღრამატიკისა შინა ჰნიშნავს განსხვავებასა სახელთასა განსჯასა შინა სქესისასა...

შეერთებისა გამო ლექსთასა წარმოსდგების სიტყვა ანუ წინადადება, რომელნიცა იქმნებიან ესოდენ ურიცხვნი, რაოდენცა ურიცხვ არიან საგანნი სოფელსა შინა. წინადადებანი განვრცელდებიან წყაროთაგან პოვნისათა, რომელნიცა არიან საზოგადონი ადგილნი და არიან შემდგომნი: ყოვლადი და კერძონი; ნათესავი და სახე; მოქმედი და ვნებული; ადგილი და დრო, კუთვნილებანი არსებითნი ვითარებანი, მიზეზნი — უმთავრესი, ნივთიერებითი, საქურველითი და კმა მიზეზი: გარემოებანი განსაზღვრება და აღწერა; პოვნილთა და განვრცელბულთა წინადადებათა მიეცემის განკარგვა და შესაბამსა თვის თვისსა ადგილსა ზედა აღიწერებიან. უკანასკნელ გამოცდილი ორატორი იხმარებს შესაბამსა ჭრახსა წინადადებისასა და თვისებასა ენისასა სასიამოვნოდ, კეთილ-გვაროვნად, ცხადად კეთილ-წყობილებითად, კეთილ-ხმოვნად, მხურვალეობითად და ბუნებითად, განწმედლილად და თვისებითად, მიხედვისაებრ აზრისა იხმარებს ანუ მაღალსა ანუ საშვალსა და ანუ დაბალსა ჭრახსა, გინა შტილსა. საგანთა შორის ბუნებითთა, ხელოვნებითთა და შერევილთა ორატორი უმეტესად მიჰმართავს აღმკობილსა ანუ შვენიერსა, ვინაითგან იგი უმეტესად მოქმედებს გრძნობასა ზედა და ყურადღებაცა მიმართავს განჰსჯითად; საზოგადოდ, ორატორი გულისხმისყოფითა (თეორეტიკებრ) ეკვეთების ჭეშმარიტსა, ნებითა (პრაქტიკებრ) კეთილსა. ხოლო გრძნობათა (ესტეტიკებრ) ეკვეთების აღმკობელსა ანუ შვენიერსა ხელოვნებასა. მხოლოობა ესე კანონთა განსაზღვრებითა და განყოფითა გარდაეფინების ყოველთა გრძნობითთა და გონებითთა ოხზულებათა განმარტებითურთ და აღმოჩენით ანუ დამტკიცებით; გარდა ამათსა იქმნებიან საკუთარნი კანონნი თვითეულისა თხზულებისათვის კერძობითად, მაგ., ავთრათთათვის, ჭებათათვის. დიდ ფრიად საწუხარ არს ერთ კერძო ჩემთვის, რომელ დრო მცირე მაქვს შეერთებისათვის აზრისა ჩემისა განათლებულისა გვამისა თქვენისადმი.

მოქმედება ჩემი, გარდა სასწავლებელისა, სადაცა ოცდა ათექუსმეტი ეამი მაქვს კვირაში სწავლა, მმართველის საქართველოსა მხედართ ლუბერნატორის ღენერალ სიპიალინის შვილებს ვასწავლი კვირაში ოთხჯერ ორორ ეამს როსიულსა ენასა ზედა ღრამატიკასა და

რიტორიკასა, ორნი შვილინი მისნი ერთი ათორმეტისა და მეორე ათი-
სა ისწავებენ. სასწავლებელსა შინა როჭიკი მაქვს ორმოცდაათი (თუ-
მანი). გარნა პირველსა შემთხვევასა შინა არა საკმაო გახლავთ გამო-
ზრდისათვის ყრმათა და ნინველთა, რომლითაცა ათი სული იზრდების
და იმოსების ჩემთანა, გარდა ამისსა, დამან ჩემმან იქორწინა და შეუქ-
ლებლობამან მათმან განსტუმრებად მიიტაცა ჩემგან ოცდახუთი
თუმანი (25) თეთრი, ესე იგი ათასი რუბლი ასიგნაცია. მგზავრობამან
და ესე ვითარმან შემთხვევამან დიდ ფრიად მწუხარე მყო. სოლომონ,
ძმა თქვენი, გახლდათ ჩემთან ნოემბრის 26-სა და დაყო ერთი კვირა
ჩემთან. შვილი მისი იოანე იზრდების. წერილნი ანუ ავთრათნი თქვე-
ნისა მაღალ-ღირსებისანი წარუქითხე; ობოლი იგი არს ავათაო² და
შემდგომ განთავისუფლებისა მიუცილებლად მოვიყვანო. ყოველნი
ავთრათნი თქვენნი წარვატანე მქისეიყად და განვისტუმრე. და ესრეთ,
მოწყალეო მამაო! უკეთუ ინებებთ ყოვლით კერძო განთავისუფლე-
ბასა მწუხარებათგან მათთა და გასტუმრებასა ქალთასა, წარმოგზავნეთ
ჩემდა ათასი რუბლი ასიგნაცია და აწინდელსა მდგომარეობასა შათსა
მე გავმართავ მოწყალეებითა ამით თქვენითა და შემდგომად მე ჩემ
კერძო სხვებრ თვინიერ შეწუხებისა თქვენიისა ვეცდებით მათსა შემ-
წეობასა. მე ვგონებ ამ შემთხვევაში კმად ზემოხსენებულსა, მე დი-
დად ვწუხვარ მათთვის, რომელნიცა მრავალსა მომითხრობენ, გარნა
ჯერეთ ღონე არა მაქვს კმაყოფად მათდა.

[ს. დოდა შვილი]

[1827 წ.].

85. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო, მოძღვარო იონა! ¹

ყოვლად ნათლისაგან ნათლით შემოსილო ნათელო ჩემო და
ბრწყინვალეობაო! რაი ძალმიძს წინაშე მოძღვრისა მოწაფესა და მაძისა
ძესა თქმად, უკეთუ ვსთქვა მაღლობა. შეუძლებელ არს სრულ-ვპყო
იგი, ვინაითგან მოქმედებანი ბევრულ არიან ყოველთა დროთანი, ესე
იგი ნამყოისა, აწმყოისა და მყობადისაცა, რომელთაცა მარადის
ვგრძნობ მე მათ თქვენ მიერ და არიან გამოუთქმელ და განუსაზღვ-
რებელ; მაშასადამე, მაღლობაცა მიუწერელ არს, გარნა შრომანი და
ძალის ხმევანი ჩემნი სარგებლობისათვის მემამულეთა ჩვენთა, რო-
მელნიცა გარდიცემიან სწავლითად მიმდინარეობასა შინა ერთისა
კერისასა 46 უამი არიან ზეცისა სასუფეველისათვის გვაძისა თქვენიისა,
გარდა უამთა ამ ზემოხსენებულთა თხზულებათათვის სხვანი დრონი
შენიშნულ არიან.

მე არა ძალ მიძს უკეთილესად ვიხმარო პირველი წამი თავისუფლებისა ჩემისა, რათა არა ცხად ვჰყო მადლობაი ჩემი თქვენდა. ჰრავალნი მონაწილეობანი და კეთილოცითანი ღონენი თქვენ მიერ მოღებულნი არიან უმაღლესნი ხარისხნი კეთილმოქმედებისანი, კურთხეულ არს წარსრული იგი დროი, ოდეს მოვიპოე მე რაიმე უძვირფასესი, ესე იგი თქვენი მფარველობა და სიყვარული ესრეთ. ესრეთთა ჩემთა გარემოებათა შორის ვითხოვ მოტეებასა სულგრძელებითა თქვენითა, უკეთუ ბრალეულ ვიყო წინაშე გვაშის თქვენიისა.

მაკურთხეველო ჩემო! მომვლოცველობ ახალსა წელიწადსა და ყოვლითა გულითა ჩემითა ვისურვებ აღყვებასა და განგრძელებასა წელთასა ბედნიერებისთვის მემამულეთა ჩვენთა საზოგადოდ და საკუთრად ჩემისა წარმატებისათვის და საზოგადოობასა შინა, იყავნ და იქმნის მაკურთხეველისა ჩემისა დღენი და ჟამნი საუკუნოდ განკეთილებულ განცხოველებულ — განზეციერებულ — განბრწყინებულ — განძლიერებულ — განუფლებულ და განხელძწიფებულ.

აჰა, მოიხსენეთ მდგომარეობაი ჩემი: მეცადინეობა ჩემი თხზულებათა და გარდაცემათა შინა და ქცევა შეკრებულებათა შინა და საზოგადო ცხოვრებათა შინა განსხვავებულ არიან სხვათაგან — მნათებარეობენ იგინი; გარნა, რაისათვის არა მოვიქცევი ჩვეულებისამებრ უსაქმოთა კაცთა, წარმომქმელთა უსარგებლოთა ლექსთა, მავნებელთა და ლიზლთა, ვითარცა უწყით რომელთამე ქართველთი? ამის მიზეზისათვის გარეგანნი კერძონი პირნი მიმღებელობენ შურითსა ძიებასა და მტერობითსა, უმეტესად სომეხნი და რომელნიმე მცირედ მოსაქმენი რუსნი; ხოლო მაღალნი გვაშნი მოყვარეობენ ცნობასა ჩემსა. მეტადრე რომლისთვისცა ვისურვე ნებისა მოცემა თქვენიისა მაღალ ღირსებისაგან, ესე იგი მეგობრისა ანუ ცოლისა². ქალი იგი არს აღზრდილი, რომელ ძნიად იპოების ღორიზონტსა ზედა საქართველოისასა, რომლისადა საქმე აჩვენებს. იგი არს პოლკოვნიკისა ქალი, მამა გარდაეცვალა და დედა ჰყავს ქართველი, რომლისამე ჭავახოვისა³. მოძღვარმან მისმან მარწმუნა პატროსნება მისი და საქმენიცა ამტკიცებენ ესრეთ. ქალმან იცის რუსული, ქართული და ფრანციული ენები, ღრამატკია, რიტორიკა, არითმეტიკა და ლეოღრაფია, როკვა (ტანცაობა). საკეთილშობილო შეკრებულებაში იმყოფებოდნენ ყოველნი გვაშნი, მან იტანცავა და შემდგომად შესრულებისა, მხედართ ლუბერნატორი და მმართველი საქართველოი[სა]⁵ დაჯდა მასთანა და იმეტყველა რომელთამე საგნებთათვის, რომლისადა საუბრობა მოეწონა და ჩემთანცა ლუბერნატორმან მრავალნი აზრნი შეაერთა დროსა შეკრებულებისასა. ქალი იგი არს ჭერეთ ათოთხმეტის წლისა და უმეტესად განათლდების. მრავალნი მხედარნი მეცადინეობენ დაწინდვასა მისსა, გარნა დედასა ჰსურს, რათა მე ნიშნულ ვჰყო, მხოლოდ მივეცი.

სიტყვა და ნებასა თქვენსა მოველი. მე თვინიერ კურთხევისა თქვენსა არა ძალმიძს და ესრეთ იყავნ ნება თქუენი ჩემზედა.

რაიცა შეეხების ცხოვრებასა ჩემსა, თუმიცაღა ხვასტაგი კმა იქმნების და კიდევ დაშთების შემდგომად, გარნა მყოობადმან და აწინდელმან მდგომარეობამან სახლისა ჩემისამან და თქვენისამან მყო დიდ ფრიად გლახაკად, მგზავრობასა შინა წარსაგებელი არა კმა იყო, რომლისთვისაც მოვივასხე ამასა ზედა ორასი რუბლი. მეორე დროსა მოსვლისა ჩემისასა არა რაი მაქენდა. მოვივასხე ორასი რუბლი, გიახელ მქისე-იყს, მუნ ვიხილე შეწუხება ნაკლულევეანებისა საზრდოთა შინა, მუ-ნიდგან მოვიქეც ქალაქად და ვაქმენ ავად, რომლისათვისცა წარეგო ხვასტაგი ჩემი. შემდგომად ჩამოიყვანეს აღსაზრდელად ოთხნი სულნი და საზრდო დაბათა შინა არ იშოების, ვვაჭრობ და დიდ ფრიად ძვი-რად, იმოსებიან და იზრდებიან რვა სულნი ხვასტაგითა ჩემითა, დაი ჩემი განისტუმრეს და ოცდახუთი თუმანი წარეგო; აწ უკვე ძმაი ჩე-მი სტეფანე⁶ ფრიად მწუხარედ ავად გახლავსთ და დიდად ვსწუხებარ. გთხოვ უმდაბლესად, რათა მომცეთ ღონე შემოსავლისათვის, კარგი დროშეა მოივაჭრეთ, თუნდ ათასი რუბლიც წარეგოს, შემოსავალი კარ-გი იქნება და ჩემთვისაც საჭირო გახლავთ.

უმალლესთა მარიამ დედოფალს⁷, ანნა დედოფალს⁸ და ნინა დედოფალს⁹ გაუბედავ ხელზედ კოცნას. უგანათლებულესთა იოახე მეფის ძეს¹⁰, თეიმურაზს¹¹, მიხეილ¹², ირაკლის¹³, მირიანს¹⁴, ფარ-ნაოზს¹⁵, ლუარსაბს¹⁶, დიმიტრის¹⁷ და სხუათა ეგრეთვე ხელს კოც-ნას მოვახსენებ.

მწყალობელთა ჩემთა ბატონის რძლებს ეგრეთვე და სხვათა და სხვათა მდაბლად ამბორებას მოვახსენებ. თავადს დავით ციციშვილს¹⁸ მდაბლად თავის დაკვრას და სიყვარულით მოკითხვას მოვახსენებ.

თავადმან ალექსანდრე ჩოლაყევმან¹⁹ თაყვანისცემა მოგახსენათ გუშინდელ რიცხვს წარვიდა კახეთს და ისევ მალე მოიქცევა თბილი-სად. ზაქარია ორბელიანოვი²⁰ და იოანე²¹ მომიამბორეთ უკეთუ ინებოთ.

ს. დოდაშვილი

1828 წ.

86. მ ა ს ვ ე

მალაღ ღირსო მამო, მღვდელ-მოძღვარო, მოწყალე იონა!

უმოწყალესო ხელმწიფევი!¹

წარსულთა დღესასწაულთა მომლოცველი და მვედრებელი თქვე-ნის ნეტარებისათვის ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა სიმრ-თელესა და სიცოცხლესა, უმეტესად წმიდასა მარჯვენასა ზედა თქვენს

ამბორებას. სული ჩემი დიდ ფრიად მწუხარე არს უსმენელობისათვის თქვენისა ვითარებისა და დატევებისათვის მიმდინარეობასა შინა რაოდენისამე დროისასა თვინიერ ყურადღებისა თქვენისა და მზრუნველობისა მფარველო სულისა ჩემისაო! უკეთუ მაქვენდეს ცთომილებანი რაიმე წინაშე თქვენისა მაღალ ღირსებისა, ინებეთ მხილება ჩემი. ყოველსა მდგომარეობასა შინა ჩემსა გამოხატულ არს გვამი ოქვენნი, თვინიერ რომლისაცა არა რაი არს ჩემთვის სოფელსა შინა, რომლისაც მოქმედება მაცნობებს საზოგადოსა მამასა. წარსრულთა ავთრათთა შინა ცხად ვჰყავ გარემოება ცხოვრებისა ჩემისა, ე. ი. ცოლოსნობა, გარნა განმხილველმან ესრეთისა ბიჯისამან წარმოვადგინე საგვსა შემეცნებასა შინა, განვსაჯე და აღმოვაჩინე, რომელ იგი ჯერეთ არა მეთვისების მე, ვინათგან ნუგეში სიბრძნისა მაღლობს და უძებტეს არს მყოფობა სიტკბობასა შინა ფილასოქიისასა. ვიდრე და დამორჩილება ესე ვითარისა სუსტობისა; გარნა მორჩილება ჩემი არა დასცრების და შეჩვეულება ჩემი მარადის იქმნების ყოველთა სხვათა შორის. მე გახლავარ ესე ვითარსა სიმგრგვალესა შინა საზოგადოობისასა, სადაცა ვერა რაისა ღირსებასა ვერ ვიხილავ, არა არს მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება, არა არს მიდრეკა მათ შორის სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა, არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულელი და მტერობა. რაი ვჰყო მუნ, სადაცა ვერ მომიძიებია არა რაი ღონე და საშვალობა. ყოველსა წინააღმდეგსა მეტყველებასა შინა პირთა თანა სხვაი საშვალობა არა რაი მაქვს, გარდა დუმილისა. ქართველნი ცუდ მოშურნეობასა შინა არიან, ხოლო რუსნი უმეტესად: ვინაითგან ღენერალ ლუბერნატორმან რაისათვის აღმირჩია მასწავლებლად შვილთათვის თვისთა², რამეთუ არიან მრავალნი როსნი როსსიულისა ენისა შემძლებელნი სწავლად. გარნა ტვირთთა ჩემდამო მოღებულთა უმთავრესისა მართებლობისაგან ვასრულებ უადვილესად შემწეობითა ნათლისა ნათელთათასა და თქვენისა კურთხევიითა. მხოლოდ უსმენელობა ყურისა ჩემისა და სნეულებანი, რომელნიცა შინაგან ჩემსა მდგომარე არიან, ბალტიისა სენნივე მამწუხარებენ და ჯერეთ არა თავისუფალ მყოფენ. უკეთუ ღმერთს ნებავს, საგანნი ჩემნი არიან იგინი, რომელნიცა უწყის თქვენმან მაღალ ღირსებამან და ოდეს ინებოს მანვე განთავისუფლება სენთაგან და ლოცვამან თქვენმან — აღსრულდების. დასასრულ ვჰსთქვა ერთის სიტყვით: ყოველსა წინააღმდეგ ვიზრახავ და ვიტყვი ვედრებასა მაღლისადმი, მაღლობასა თქვენდამი აღზრდისათვის, აღსრულებასა საგნისასა, რომლისათვისცა განმსწავლეთ და ლტოლვასა ბოროტთა პირთაგან, საშუალ რომელთაცა ვჰგეგმე. ცვლილება იმყოფების არა მხოლოდ ერთსა შორის, არამედ ყოველთა კერძოთა შინა სოფლისათა ბუნებათათა, არსებათა ანუ ფიზი-

კებრსა მდგომარეობასა შინა სოფლისასა. იხილეთ, მრავალი იყვნენ საქართველოსა შინა შემდგომად მხედრობისა ანუ აღრეულობისა მხედართასა და აწ არს ნანდვილ ჩრდილოეთის ყინვა გიორგიასა შინა, შიმშილი, ვაება და მსგავსნი. არა უწყვი რაისა მივაწერო ანუ ვითარ ვიაზნო, ხოლო მე ესე ვითართა საწუხართა სნეულებათა და შემთხვეულობათა შინა დიდ ფრიად მტკივა გვერდი, ესრეთ რომელ არღა ძალმიძს მრთელსა ჟამსა წერა, შრომათა ჩემთა დიდად სნეულ მყვეს, რომლისაცა (სიმრთელისა) მოქცევა შეუძლებელ არს. არა რაი არს ჩემთვის უსასიამოვნეს, ვითარცა ავთრათი თქვენისა მალალ ღირსებისა და ცნობა სიმრთელისა თქვენისა. არა მაქვს მიმოსვლა სახლად არავისადმი, გარდა დღესასწაულისა. განთიადიდგან ვიდრე მიძწუნრადმდე თანამდებობასა შინა გახლავარ, ხოლო დღესასწაულსა დღესა ვეზიტით ვიახლები ჩინებულთა გვამებთა თანა, ესე იგი ლუბერნატორთან. სასწავლებელში სადგომი არ გახლავთ, ფრიად განშორებულად ვცხოვრებ³. ჩემთვის დიდად საჭირო გახლავთ დროშკა, უკეთუ ინებოთ მოვაჭრება, ვითარცა მიბრძანებთ, შემოსავალი კარგი იქმნება და სიმრთელესაცა ჩემსა შეეწევის, ვინაითგან მიმოსვლისაგან მკერდი მტკივა და შრომისაგან. ცხენები მზად გახლავთ, გარნა უკეთუ მოივაჭრებთ, სათანადო არს მოვაჭრება ესე ვითარისა, რათა წარსაგებელი თვისი ყოველს დროს აქვნდეს.

თომა ენდრონიკოვმა⁴ მარჯვენას ამბორება მოგიძღვნათ, ნიკოლოზ არხიმანდრიტმა⁵ და სხვათა ყოველთავე.

ძმა ჩემი სტეფანე⁶ სნეულობს დიდად და გახლავსთ მქისიეყს, სხვანი მშვიდობით გახლავან. სახლობა თქვენი მშვიდობით არს. სოლომონმა⁷ აღმითქვა ამ იანვარში მეორის ჩამოყვანა, ესე იგი ობლისა⁸. შვილი მისი⁹ კარგათ სწავლობს. სასწავლებელი ჩვენი უწესოსა მდგომარეობასა შინა არს, არავინ მეცადინეობს განვრცელებასა სწავლათასა და დატეებულ არს თვინიერ ყურადღებისა. მე სიმშვიდით გახლავარ. მრავალმა კაცმა იმეცადინა ჩემთან ძვირის შემთხვევა, ხოლო მე უტეებ თვინიერ ყურადღებისა.

უკანასკნელ ვითხოვ მოტეებასა ყოველთა ჩემთა შეცოდებათასა, მაკურთხოთ და განმათავისუფლოთ ყოველთა წინააღმდგომთა შემთხვეულებათაგან და მიბრძანოთ თქვენი ვითარება და აზრიცა ყოველი შეაერთოთ ჩემდამი. ვეშურები კლასსა შინა ლექციისა გარდაცემად და ყაღნ მოტეება ჩემდა და იყავნ ნებისაებრ თქვენისა! მშვიდობით, ბამაო ჩემო! თქვენის მალალ ღირსებისა უმოწყაულისისა ხელმწიფისა, მფარველისა და მზრუნველისა ჩემისა მორჩილი მოსამსახურე და მოწაფე

სოლომონ დოდაევი.

იანვრის ე-სა 1828-სა წელსა, თბილისით.

თქვენო მაღალ ღირსებავ, წმიდაო და განათლებულო
მამაო, სამარადისოო მოძღვარო სულისა ჩემისაო
მღვდელ-მონაზონო იონა! ¹

სიყვარულით მარჯვენასა ზედა მაკურთხეველსა ჩემსა გიამბორებ.
ქეშმარიტნი, კეთილნი და საამოდ აღმკობილნი ავთრათნი თქვენისა
მაღალ ღირსებისანი მებოძა მარტისა 5-სა. პირველსა შინა მიბრძანებთ
ცნობისათვის იოანესა ² თვისებისა და მეორესა შინა მეუღლეობისასა
და ეგრეთვე გამოჰხატავთ ზრახვათა სხვა და სხვათა საგანთათვის. აჰა
ხარაკტირი იოანესი: იგი არს წყნარი, მშვიდი, ერთის ლექსით, კეთი-
ლისა თვისებისა არს, გარნა ძალნი სულისანი მძიმე საზოგადოდ, მქისე
და ბლაგვი აქვს, უყვარს სწავლა და აქვს საშუალო მეცადინეობაი,
რუსულსა და ქართულსა კითხულობს და ასოებსაცა სხამს მიხედვი-
საებრ დროისა, სვინიდისი კარგი აქვს და მორჩილ არს თვისისა
უფროსისა; თმა ბნელ-წითელი, სახე ნაყვავილარი, მოწითლო, თვა-
ლები მოჭრელო, ტანი მოსქე მცირედ და ხელები მსხვილი — აჰა სა-
ზოგადონი ხაზნი მისისა ფიზიონომიისანი, გარნა განათლება გონებისა
და განვითარება გულისა ხშირად შესცვლის ყოვლადობასა კაცისასა.
გრიგოლ ³ ავადმყოფობს და არს სახლსა შინა მამისა ჩემისასა. სტე-
ფანე ⁴ ასწავებს. ვიდრე განთავისუფლებადმდე წარმოვიყვანე სოლო-
მონიდგან ⁵ და მაისამდე დაუტევე მუნ. ყოველნივე საგანნი თქვენ
მიერ მოძღვრებულნი ჩემდამი აღსრულდებიან აღრე თუ გვიან, გარნა
მეცადინეობა ჩემი ყოველსა ჟამსა შინა მოქმედებს. ნუ ერწმუნ-
ებით ტყუილსა არა კეთილ მსურველთასა, არამედ ქეშმარიტსა
ლექსსა და სიტყვასა ჩემსა, რომელნიც მართალ არიან და საქმეცა
აცნობებს კაცსა. რომელიცა მოსამსახურე მყავს, ესრეთ ემსახურება
იოანესა, ვითარცა მე. არა რაი საქმე არა აქვს რა ძმისწულსა თქვენსა,
თვინიერ სწავლისა სახლსა გინა სადგომსა ჩემსა. ვუტევოთ, რომელ
სიბრძნე ვერ მიიღოს მაღალი, ხოლო განვითარება ექმნების კეთილ
გვარობითი, ცნობა ღვთისა და კაცთა, რაოდენცა საჭირო არს საზო-
გადო ცხოვრებასა შინა თვითეულის კაცისათვის. დიდად საჭირო გახ-
ლავსთ ღრამმატიკა რუსული ნიკოლოზ ღრეჩისა ⁶, ახალი გამოცემუ-
ლი და განვრცელებული, ინებეთ გამოგზავნა ორისა ანუ სამისა
ეგზემპლიარისა, ეგრეთვე ადამს ⁷ უბრძანეთ კარგი რვეულები ლეო-
ლრაფიისა გარდაწეროს და წარმოგზავნოს, უკეთუ სხვათა სწავლა-
თა რვეულებსა გარდასწერს და წარმოგზავნის, დიდად მაღლობელ
მყოფს.

მეუღლეობისათვის წარსულთა ავტოათთა შინა მოგახსენე აზრის და გრძნობანი ჩემნი, რომელ ჯერეთ დაუტევე ზრახვა იგი წარსრული მყოობადისათვის. ვითარცა ღმერთს ენებოს, ესრეთ აღსრულდეს, თუმცაღა ყოვლით კერძო მომითხრობენ, რათა ვიქორწინო, გარნა შეუძლებელ არს აღსრულება, დრო არა მაქვს და ყოველი წინაგანზრახული ჩემი შეიცვლების, რომელთაცა მიზეზისა მის გამო ვერ ძალ-მისს მიწდომა და ესრეთ ნუგეში სიბრძნისა უუსასიამოვნეს არს, ვიდრე სხვანი მიღებულნი სუსტნი შემთხვევითნი გარემოებანი და წარმოებანი.

კატეხიზმი ჩემთანა არს და ჯერეთ გადაუწერელია. ვინცა იწყო წერა, ვერ შეასრულა მიღებისა გამო სნეულებისა. ეგრეთვე ლექსიკონიცა ვიწყე, გარნა თანაშემწე და მწერალი არა მყავს, ხოლო ქადაგება წმიდის ნინას მონასტერსა შინა ითხოვეს გარდასაწერად და მუნ არს. არც ერთი წამი არა არს ჩემთვის თავისუფლებითი, უმეტესად ეგზემენიამდი. ყოველთა მოქმედებათათვის საკუთრად წარმოვსწერ.

ალექსანდრე ⁸ ჩემთან დგას, რიფსიმა მეფის ასულისა, თაყუანისცემა მოგახსენათ და თვითონ სიმრთელით იმყოფება. ზაქარიასაგან ⁹ წარმოგზავნილი წიგნი მომივადა, გარნა ჩვენ აქავე ტელელრაფსა შინა ვიხილეთ ქება ლოლიკისა ¹⁰, ხოლო თავადს ზაქარიას მოგახსენებ მადლობასა. ღენერალ სიბილინმან გახსნა კომიტეტი, სადაცა გამოიცემა როსსიულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა სხვა და სხვანი ცნობანი ანუ გაზეთნი და სხვანი ¹¹. წარსულსა ავთოათსა შინა მოგწერე, მამაო, ოსიბ იაკოლიჩის ¹² დუქნებისათვის, მითხრეს ორი დუქანი დაიქცევაო პლანისაგან და თუ ინებებთ, ეცადენით დროზედ ანუ მსწრაფლად წარმოგზავნა, რათა მიიღოთ თვისი საკუთარი, წინააღმდეგსა შემთხვევასა შინა შემდგომად არღარა იქმნების მისაღებელი, მოვალეცა მიიცვალა.

მსურველი ხილვისა თქვენისა და სიმრთელისა

სოლომონ დოდაევიშვილი.

მარტის 10-სა, 1828 წელსა.

88. მ ა ს ვ ე

მალალ ღირსო მამაო სულისა ჩემისაო, იონა!
უმოწყალესო ხელმწიფევი. ¹

ღღესასწაულთა ღღესასწაულისა მომლოცველი და მღაღადებელი მისდამი სურვილისა ჩვენისა აღსრულებისათვის წარმოვსწერ მაკურ-

თხველისა ჩემისადმი მცირესა შემთხვეულებასა: დღესა მესამესა ქრისტეს აღდგომისასა მეექვსესა ჟამსა განთიადისასა იყო ძლიერი ძრვა მიწისა ტფილისსა შინა, რომელსა გამო ყოველნი მძინარენი განღვიძებულ იქმნენ — გარნა არა სულითა, არამედ სხეულითა.

მეორე, უკეთუ ინებოს ნათელმან ნათელთამან თთვესა შანისსა გაპოცხადდება მოკლე თხზულებანი ჩემი როსსიულსა ენასა ზედა სიბრძნისათვის რომლისამე შემთხვეულებისა, ესე იგი ოთხისა მდგომარეობის საქართველოს შინა ძველისა დროისა უკანასკნელისა აქამომდე, აწინდელისა და მყოობადისა, რომელსაცა იხილავთ სრულიადსა შედრგინებასა მისსა ცხადად. მისის გასულს ვგონებ ქართულადცა იქმნას. უძნელესი თანამდებობა ჩემი, მიმხდელი უფლებისა, არს შესაწუხებელი სულისა ჩემისა, რომლისა გამოცა არა ძალმიძს ყოვლისა სურვილისა აღსრულება. მოწაფეთა ჩემთა არა აქვსთ სული აღძრული და განღვიძებული მისწვდნენ ჭეშმარიტსა კეთილსა და საამო აღმოკობილებასა, არა აქვსთ მიდრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ცნობისადმი (სურვილისა). ნებისა და განვითარებისადმი გრძნობისა (გულისა). არა შესაბრალებელ არსა კაცი, მყოფი სიძგრავალესა შინა ესე ვითართა ერთასა, სადაცა არა იხილვების არცა განათლებულნი, არღა ღონენი ანუ საშვალობანი მისნი, და სადაცა არა ისმის სათნოებანი? კაცი ესე ვითარი შესაბრალებელ არს, რომელიც ეკვეთების მაღალსა რაისამე და არა ჰპოებს ღონესა და დროსა ადგილსა შინა. და ესრეთ, მამაო წმინდაო და განათლებულო! გთხოვ უმდაბლესად მომცეთ შემწეობა კარგისა წიგნებითა შესაწევნელად და ნუგეშად სულისა ჩემისა ყოველთა სხვათა ამათ წარმოებათა შინა, ოდეს მექმნება მე უსასიამოვნესი სიხარული პირისპირ ხილვისა, ინებოს მაღალმან მონიჭება მის დროისა და აღსრულებად კეთილისა სურვილისა და ღირსყოფად პირისპირ მეტყველებისა თქვენდა. სიყვარულით ძმასა თქვენსა², ადამსა³ და სხვათა მიულოცავ დღესასწაულსა. ადამ ყავით განღვიძებულ, რათა დრონი არა წარსწყშიდოს და წარსაგებლნი ამო არა იყვნენ, ნუ უკვე არა ჰგრძნობს არსებობასა თვისსა და მოქმედებათა თქვენთა. აწინდელსა დროსა მაძულისა ჩვენისათვის დიდ ფრიად საჭირო არს სწავლა, რომელნიცა ყოვლით კერძო იხილვებიან თვალთ. მე აქა არა საჭიროდ ვრაცხ დამტკიცებასა, ვინაითგან პეტერბურლსა შინა მყოფი ვინაცა ჰზრახავს და გრძნობს, უმეტესად მეტყველებანი თქვენნი, აღმოჩინებისათვის მისისა არა სახილველ არს მისთვის.

მიბრძანეთ ვითარებანი თქვენნი, რომლითაცა მახარებთ. ოსებ იაკოვლევიჩს⁴ მოაწერინეთ წერილი ანუ ავთრათი დარწმუნებითა ლუბერსკის პრავლენისთა მიღებისთვის ვასხისა, რომელიც იღებს თოოსა. ისე იგი პლეშჩეიევი⁵, არღა ემსახურების სუდსა შინა რომ-

ლისამე შემთხვეულებისათვის. მან მითხრა ექვსის თვისა აკლიაო ექვსი თუმანი. ეშურეთ დროსა უკეთუ ინებოთ.

თქვენი მაღალ ღირსების მორჩილი შვილი და მსძენელი

სოლომონ დოდაევი.

1828-სა მარტის კ-სა.

89. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალ ღირსებაე მამაო წმიდაო, მოძღვარო
მამაო იონა, უმოწყალესო ხელმწიფეე! ¹

განწმედილსა და მაკურთხეველსა მარჯვენასა ზედა ამბორებას მოგახსენებ და დაცვასა სიმრთელით და მშვიდობით გულითადურ ვისურვებ და უბესა ამას ზედა ქვეყნისასა ბედნიერებისათვის ჩვენისა, რომელნიცა მოველით მზრუნველობითსა ყურადღებასა თქვენისა მაღალ ღირსებისასა და ვმადლობ წმიდასა წმიდათასა ორისაე კერძო, ესე იგი მეფითა და ქალაქითა თქვენისა კეთილ დღეობისათვის, რომელმანცა ვისმინე მიმღებმან ავთრათისა თქვენისამან შემდგომ შქისიყით მოსლვისა ჩემისა ქალაქად ტფილისად ივლისის 2-სა. ამასთანავე მებოძა ღილნი წარმოგზავნილნი, გარნა არა ფორმისა ჩემისა და არცა იხმარებიან ჩემ მიერ, რომელთაცა მისაბრუნებლად წარმოგვგზავნი მანდვე მძიმე ფორტაში ანუ შიკრიკში, ვინაიღგან ღილნი ესე არა არიან ან ხორკოვის უნივერსიტეტისა, არამედ ხორკოვის ღუბერნიისა. უნივერსიტეტის ღილთა აქვსთ ღერბად არწივი.

მიბრძანებთ გამოცდასა აქაურის შკოლის თავადთა და აზნაურთა-სა. წარმოსრულთა მათათა თავადთა და აზნაურთა არა აქვსთ მიღებულ სული იგი, რომელიცა მიმიღიეს მე თქვენ მიერ. აქაცა უმრავლესი რიცხვი მათგანნი მიმოდაეგებიან იქი-აქა, არა მცნობნი არცა თავისა თვისისა და არცა სოფლისა ანუ არსებისა და ბუნებისა; მოთმინება და სულგრძელება მათთვის, რომელთაცა არა აქვსთ განმრჩეველობა თავისა თვისისა პირუტყვთაგან და არა უწყიან საგანი თვისნი, მამაეო სასურველო. უტევოთ თავადნი იგი შემოსრულ სხვა ძაძულიდგან, აწ რაისთვის იქადიან მამულსა შინა ჩვენსა, რაი აქვსთ ანუ მუნ ძველსა მამულსა და ანუ ახალსა შინა საქადელი, ვინაიღგან არა რაი იხილვების საკუთრება მათი და არცა მოქმედება გონებით და ხელოვნებით. ყოველთავე იმათ გვარისა ანუ სქესისა მაქებელთა მიუგოთ ესრეთ: არა გუარითა იქების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა ხელოვნად. იგინი უსარგებლო ლექსებითა წარაგებენ ღირსებასა თვისსა და არა რაი დაშთებათ. მე ესე ოდენ განმორებულ

ვარ ტრაბახთაგან, ვითარცა ტფილისი პეტერბურხისაგან სივრცითა. ცუდ და უსარგებლო მეტყველებისათვის დრო არა იპოება ჩემ შორისა და არცა მსურს. საგანი ჩემი არს სიბრძნე, ვითარცა უწყით, და ვსარგებლობ ესრეთ თქვენ მიერ, ვითარცა ვსარგებლობდი თქვენ წინაშე, რომლისათვისცა მადლობასა ჩემსა არა აქვს საზღვარი და არცა ექმნების. ყოვლისა რაის მიმართობითა ანუ ყოველითა გარემოებითა ძალისაებრ მოქმედებათა სულისა ჩემისათა და ყოველთა კეთილობათათა თქვენთათვის ვგრძნობ მარადის და აღვაღვენ ვედრსა უმაღლესისადმი საუკუნოისა ცხოვრებისათვის თქვენისა, ვინაითგან მზა ხართ წარმართებლად მარადის საქმეთა ჩემთა.

შემდგომ ეგზემენიისა შესრულებისა ივნისის 6-დგან² ორს კვირას დავჰყავ თბილისსა შინა. სხვა და სხვათა საქმეთათვის წარველ მქისეიყად, სადაცა წარვმართე სახლისა ჩვენისა, ესე იგი მამისა ჩემისა³ და ძმისა თქვენისა საქმენი სხვა და სხვანი. სოლომონის⁴ ძარახში გახლდი ერთი დღე და დიდ ფრიად მხიარულებით და სიყვარულით და მთხოვდა, მრავალჯერ თქვენი ვჰსვით და ძმისა თქვენისა გიორგისა⁵ სადღეგრძელონი. სიღნაღის ნაჩაღნიკთან მიუწოდე ვაქირის ქევზას და უთხარ, რათა სახლსა ძმისა თქვენისასა არა რაი უსიამოვნოება არა მისცეს, რომელმანცა ფიცით აღმიტყვა. ვიდრე ჩემს მისვლადმდე სოლომონს ქალი თვისი დაენიშნა ვაქირსა შინა მცხოვრებს დემეტრასვიღზენდ, რომელიცა არის მღვდლისა შვილი⁶. მე მოუწოდე და განვიხილე იგი, ესცან ფრიად კეთილად და განვითარებულად ჩვეულებისაებრ ივერიისა. ძმა თქვენი სოლომონ და სახლეულობა მისი ვთხოვსთ შემწეობასა ქალის მზითვისასა. ესე ესრეთი, გარნა ერი მის მამრიისა ფრიად მწუხარე და მტირალი ვიხილე, ნახევარი მცხოვრები არცა იპოება, რომელიცა გარდაეგზენ სხვა და სხვასა მხარესა ანუ აერძოსა ამის ქვეყანის ნაწილისასა შინშვილისა გამო, მრავალი არ მოვიდა, ახალი არა რაი და ძველი ზომ არცა იყო. კოდი ფქვილი ოთხ ჰანეთათ თეთრ ფულად ქანეთში და მადლობა დმერთსა, ქალაქში უტორო იათია, გლონთა ენი მისცათ, რათა მოცეპტონ ფასითა ამით. ესე ვითაჲმ მივტომარობამან სახლეულობა ჩვენთა და მეამაჲლეთამ ოდი ულოად მწუხარე მეთა და მცხოვრებულ მოვატრებით ვზრდი თაჲსა თვისსა და მოყვანთა ჩვენთა და თქვენთა⁷.

შემდგომ ზონ რაჲღეწისადი დღისა ვაღნისა ჩემისა სიღნაღს მთხოვარმანე უბრძონატონთა მქუართა და ქალაქით⁸ განიძილეს. ელისა მწუხარება და ანუილისა მქუართობა. მე მიბრძინე მსწორადელ ქალაქად ბთროლად მამადელა მხოლოდ დაჯავებ მუხ თორი კვირთა დაჯავებ მამარ ზემთ. და მხოჲუღნი თქვენნი სახლისა შინა ჩვენსა. ეროდუ ქანკლოთ. მხოლოდ ხაღნდე თხოვა ებრ მზობელთა მათთა. უთოთა მხოლოთა ჩემსააა ტფილისაა დაძინება უღმერთატონთა

კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა⁴, სადაცა იქმნებიან სხვა და სხვანი გვარნი თხზულებათა წარმოებათა, რომელნიცა შემთხვეულან ანუ შემთხვეულ იქმნებიან. ჩვენ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თვეში¹⁰, ომარხნის ომიდგან, გარნა რომელნიმე ძველნი თავნი იმყოფებიან კომიტეტსა შინა და ვერა რაი შემისმენია ქართულისა ფრაზისათვის.

შეკითხვანი თქვენნი ათვრამეტნი და მეორე ბოლოს შვიდნი ღვთის ცნობისათვის მივიღე და ვსასოებ. უკეთუ ინებოს მაღალმან, რათა განემარტო ძალისაებრ ჩემისა, მოცემულთა უამებთა შინა მამულისათვის. გთხოვთ ხშირად მიბრძანებდეთ თქვენს ვითარებას, რომლითაცა ფრიად მახარებთ. ადამ ღირსიეგს მოვიკითხავ სიყვარულით და ვახარებ მშვიდობასა სახლეულთასა.

მდაბლად თავის დაკვრას მოვახსენებ მათ, რომელთადმიცა ძალ მიძს. მამა ჩემმა მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენათ და ძმამან ჩემმან სტეფანემან. შემოდგომასა ჰსურს წარმოსვლა რუსეთად და რასა მიბრძანებთ.

მე ყოველთვის მზად ვახლავარ შემოდგომად რჩევისა თქვენისა და ვჰგონებ აქამომდე სცნობდით ყოველსა თვისებასა სულისა ჩემისასა და მოქმედებასა, ვითარცა ჰსცნობდით პეტერბურხსავე შინა. მაკურთხეთ მწოდებელმან შვილად სულისად. უკეთუ ინებებთ ხვასტაგისა დადებასა ტფილისის ლომბარდსა შინა, იგი იქნების არა ერთისა სულისათვის, არამედ მრავალთათვის და საუკუნოისა ნეტარებისათვის თქვენისა, უკეთუ არა მაქვნიდეს ნაკლი ხვასტაგისა, მაშინ უმეტესი საქმენი იწარმოებდა ჩემ მიერ მამულისათვის.

ღროსა მყოფობისა ჩემისასა სიღნაღსა შინა გამოუცხადე განხსნა სსწავლებლისა, რომელთაცა ვამხილე სარგებლობა, გარნა რომელნიმე თანხმანი იქმნენ და უმრავლესი ნაწილი არა, მომიგეს — შიმშილი გვაწუხებსო. თანახმანიცა სიტყვითა ჰო ჰო და საქმითა არა რაი, გარნა თვით მთავრობასა ჰნებავს ყოველსა უეზღსა შინა განხსნა სსწავლებლისა.

თქვენის მაღალ ღირსებისა სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი.

1828-სა, ივლისის 6.

40. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალ ღირსებაე, მამაო წმიდაო და ნათლით შემოსილო, მაკურთხეველო სულისა ჩემისაო იონა! 1

ამ უამს ჩიკრიკი (ფოჩტა) წარმოვალს და ვეშურებები წერასა მკლოდ. სადაცა გამოცხატავ შემთხვეულებასა მდგომარეობისა ჩემი-

სასა. დღეს შესრულდა ჩემზედა საიღუმლო ქორწინებისა შემდგომითა წესითა: ლუბერნატორმან² ინება პირველად წინადადება, რათა მივიღო მეუღლეობა აღრჩეულისა მის მიერ სძალსა ზედა; ესე იგი, მან აღარჩია ჩემთვის ნათესავით ქართველთა კეთილშობილთაგან კობიევისა და შვილობილი ლუბერნიის არხიდეკტორისა³, რომელსაცა აღუზრდია უკეთილესად ორსავე ენასა, ესე იგი რუსულად და ქართულად, წლისა ათოთხმეტისა, რომელიცა შესაძლო არს უშეტეს განვითარებად ამისსა, ვითარცა ჰსთნდეს მეუფესა. სახელი მისი არს ელენა ჭეოდორესი. ვიცი, რომელ თქვენსა მაღალ ღირსებასაცა ჰსთნდა და მაქვენდა კურთხევა ამის სჯულიერისა შეერთებისათვის და უმდაბლესად ვითხოვ რათა კვალადცა მაკურთხოთ. რომელიცა შემემთხვა მსწრაფლად, თუმცაღა მაქვენდა მისი აღრე, გარნა არა ზარახვა. კვირიაკესა დილით ლუბერნატორმან მიბრძანა და საღაპოზედ ღამით ჭვარისწერა იქმნა ჩემი. მეუღლეობისა ამის ჩემისა მე კმაყოფილი გახლავარ და ესრეთ ესე ჭერ იყო ყოფად და იგი არა დატეებად. ამის გამო, მამაო უსაყვარელესო და უძვირფასესო სულისა ჩემისაო, ნუ იზრახავთ, რათა სხვანი საქმენი ჩემზედა რწმუნებულნი იყვნენ ამის შემთხვევის შემდგომ დაყოფებულ. უმეტესი ძალის ხმევა და შრომა მოუწყვეტელი მექმნების კომიტეტსა შინა. სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტეტისამან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა. საქმისა ამის გამო არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება არა მაქვს. მერწმუნეთ ყოველსა ამას და შემობრალეთ ესოდენისა საქმისათვის, რომელ საკუთარნი საქმენი ჩემნი და სახლისანი დაშთომილ არიან ჭერეთ, უმეტესად სხვა და სხვანი თხზულებანი ჰსთებიან შეუსრულებლად და დიდად ვჰსწუხვარ. თქვენ ბრძანდებოდეთ სიმრთელით და მშვიდობით და ყოველივე აღსრულდეს ვითარცა ენებოს მაღალსა ბრძენსა.

ავარის დაკავებისათვის ანუ დაგირავებისათვის გებრძანათ წარსულსა ავთრათსა შინა. ესე დიდ ფრიად კეთილი და სასარგებლო მარად ცხოვრებისათვის ჩვენისა და კეთილთა საქმეთათვის ფრიად საჭირო არს და ცნობისაებრ ჩემისა, კაპიტალი, რაოდენიცა იქმნების ერთსა წელსა, ათად შეიქმნების, და გთხოვ უმდაბლესად აღასრულო ბრძანებული იგი თქვენი და მომცეთ კეთილ შემთხვევა და საარგებლობა სახლეულთა ჩვენთათვის. დიდად ვჰსწუხვარ, რომ გიორგი პაიქაძე⁴ აქ არ იმყოფებოდა ამ შემთხვევაში ტიპოღრაფიისათვის, რომელიცა კომიტეტსა შინა საჭირო იყო. ერთი სომეხი⁵ განაწესეს და მისცა ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული ლუბერნატორმან.

მომიტევით, რომ არა ყოველი გარემოება გამოხატულ არს ამა ავთრათსა შინა, ვინაითგან არღა არს ეამი და არცა წამი დროისა. მშვი-

დობით. მიბრძანეთ ვითარება ძმისა თქვენისა⁶ და სხვათა ვითარებანი და მოიკითხეთ ყოველნივე. სახლეულნი ჩვენნი მშვიდობით არიან. დროშკა მოივაკრეთ და დროზედ წარმომიგზავნეთ, რომლისთვისცა ვალი განმრავლდების ჩემზედა.

მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენეს ბარბარე ბატონისშვილმა⁷ და სხვათა. დიაჩოქი კახაბრიძე მდაბლათ გთხოვსთ, რათა უბრძანოთ მის ბატონისშვილს ჯორჯაძეს⁸, რომ დაიბაროს თვისთან.

თქვენი მაღალ ღირსებისა უმორჩილესი მოსამსახურე

შვილი თქვენი სოლომონ დოღაევი.

ავგისტოს 4, 1828-სა, ტფილისით.

41. მ ა ს კ ე

თქვენო მაღალ ღირსებავ მამაო იონა,
უმოწყალესო ხელმწიფევე¹

„სულო ჩემო, ყურად იხვენ სიტყვანი ტკბილნი, სავსენი მადლითა, ვეტყვი მე მარტივსა ცხოველ არსებასა, და ჰსცან გამოხატული აზრი მამისა შენისა, ჰგრძენ, გულო ჩემო, კეთილი მზრუნველობა მაკურთხეველისა შენისა, რომელიცა ყოველსა წამსა მოღვაწებითა თვისითა არა დასცხრების, თვინიერ შრომისა და ძალის ხმევისა თვისთა მოქმედებათა შინა სარგებლობისათვის საყვარელთა მემამულეთა თვისთა თავისა შენისათვის, რომელიცა მზად გყო შეწირვად მამულისა ანუ წასარგებლო წერად საზოგადოობისა“. მამაო ბრძენო, მიმღები ავთრათთა თქვენთა ავგისტოს 8-სა და მხიარული სასიამოვნო ცნობათათვის სიმრთელისა თქვენისათა და სხვათა ზრახვათათვის კეთილთა გამოხატავ თავსა თვისსა ზემო წარწერილსა; მე მაქვენდა ბედნიერება ნამისა ავთრათისა თქვენისა მიღებად: პირველი თავადის ფარსადან ციციანოვთან² ყოფილის კაცისაგან, რომლისაცა სახელი მიმეფარა. ავგისტოს 3-სა იენისის ე-თგან წარმოგზავნილი, ხოლო ორნი ავთრათნი ერთს და ერთსა დღესა, ესე იგი 8-სა ავგისტოს ერთი ათისა და მეორე კდ-სა იენისისა მოყვასისა ჩემისაგან, რომელსაცა მიეღო პოჩტასა შინა. პირველსა ავთრათსა შინა თქვენსა ვიხილენ განხილვანი თქვენნი, სხვა და სხვათა გვამთანი, რომელნიცა ჭეშმარიტ არიან აქაცა მამულსა შინა ჩვენსა ეგრეთ. ბრძანებთ კუჭითა და ტალანტითა გავითარებულნი, ხოლო ორთა მათ ავთრათთა შინა შეიკვებთან მიღებისათვის ავთრათთა ჩემთა პასუხნი და სხვანი ტალანტნი სულისა თქვენისანი, რომელთაცა სული ჩემი გარდაიტვიფრავს საზრდოდ თავისა თვისისა და სასარგებლოდ მოსწავლეთა მიმართ. მიბრძანებთ რა სო-

ლიბანისთვის ძმისა თქვენისა ხეასტაგისაგან ჩემის ათის თუმნის მიშველებასა მოვაჭრებისათვის საზრდოთა. მე ესე ვითარისა შემწეობისაჲს მზად გახლავარ. ამას წინათ ეთხოვნა ორი თუმანი თეთრი ფული და წარუგზავნე, ამასაც ვეცდები მსწრაფლად აღვასრულო. ამ წელიწადსა შინა მოსავალი არ გახლდათ მქისეიყში და ფრიად დრტყინვაში იმყოფებიან და დიდს მწუხარებაში ყოველნი მცხოვრებნი ჩვენის უეზდისანი. მეც თვით ვჭვავრობ საზრდოსა და ფრიად ძვირად. უკეთუ სხვა ღონისძიება არა ვპოე, მოიძნელებს ხეასტაგითა ცხოვრება. ვითარცა წარსრულს ფოჩტაში მოგახსენე, ბედი ჩემი სრულ იქმნა და ვიქორწინე ნათესავით ქართველსა ზედა და რუსულად აღზრდილსა, რომლისათვის მაქვენდა კურთხევა თქვენისა მაღალ ღირსებისა მე თუმცა არა ფრიად ჰმსურდა, გარნა ნება ღმრთისა აღსრულდა, თქვენი, მშობელთა და ღუბერნატორისა. ხოლო მე ესე შემთხვეულება არას დამაბრკოლებს საქმეთა შინა, არამედ უმეტეს წყნარ, მშვიდ და სრულ მყოფს გონებითა და გულითა. გარდა სასწავლებლისა, კომიტეტისა საქმენი მრავალნი მარწმუნა პრეზიდენტმან სამხედრო ღუბერნატორმან. მოუთმენელსა და უძლეველსა შრომასა შინა გახლავარ, რომელიცა შეუძლებელ არს, რათა აღსრულებული იქმნას რომლისამე მამულისა შვილისაგან და ჩემთვისცა მოიძნელებს, გარნა ლოცვითა თქვენითა და შემწეობითა მღვთისათა, ჭერეთ ვასრულებ რწმუნებულსა ამას თანამდებობასა. მრავალნი მირჩევდნენ, რათა არა თანხმა მექმნა ამას ზედა სიძნელისა გამო, გარნა არა ვისმინე რჩევა მათი და მივიღე თანამდებობა კომიტეტისა, სადაცა ყოველსა დღესა მაქვს ფრიადი შრომა და ღამე საქმენი სადგომსა შინა მომაქვს. მიმხედი ესრეთთა ჩემთა შემთხვეულებათადმი ვიცი ყოველსა წამსა შემიბრალებთ და კეთილ მიდრეკილებით მოხედვა გექმნებათ ჩემზედა. გარდა ამათსა ორი მრთელი კვირა მოუთმენელთა სიციხეთა შინა გახლდი ფრიად ავად თავის ტკივილისა, სიციხისა და მუცლის ტკივილისა გამო და აწ, მადლობა ღმერთსა, განვთავისუფლდი, გარნა საქმენი დაშთომილნი მას დროსა შინა არიან გარემოს ჩემსა და „ტფილისის უწყებანიცა“ დარჩნენ ორ კვირას გამოუცემელად და ამის მიზეზისა გამო მათს უგანათლებულესობას ბაგრატ ბატონის შვილს დაუგვიანდა და არა მიერთო.

სახლეულნი ჩვენნი ე. ი. ძმათა თქვენთა და მამისა ჩემისა მშვიდობით და სიმრთელით გახლავან, რომელთაცა თაყვანის ცემა მოგახსენეს, ეგრეთვე ადამისა² სახლეულნი სიმრთელით იმყოფებიან, სრულიად კეთილ დღეობით იმყოფებიან. სოლომონის შვილს იოანეს⁴ ჰსურს მანდ წამოსვლა, უბნობს შეუძლებელ არსო, უკეთუ არ წარვედიო. გარნა, ჭერეთ აქ იმყოფებოდეს უმჯობეს არს და უკეთუ ინებებთ, უკეთუ ენებოს ღმერთსა, დავეთხოვები ერთს წელს შემდგომ

მთავრობასა სამისა ანუ ოთხის თვით წარმოსლვად თქვენთანა და მაშინ თან წარმოვიყვან. ფრიად სასარგებლო და საჭიროცა არს დაგირავება აგარისა ანუ, ვითარცა ჰბრძანებთ, ტფილისის ლომბარდსა შინა. აქ შესაძლო იყო დაბეჭდვა რომლისამე წიგნისა, უკეთუ ხვასტაგი გახლდესთ მზად. თუ სადმე ინებებთ ანუ ძმათათვის ანუ სხუათათვის რაისამე წარმოგზავნასა, ინებეთ ჩემს სახელსზედა ჭოჩით წარმოგზავნეთ.

გლარზი არ მომივიდა, ხოლო დილნი გიახლათ, გარნა არა ფორმისა. იგინი ლუბერნიისაა და არა უნივერსიტეტისა. ჰბრძანდებოდეთ მშვიდობით და მახარებდეთ ავთრათითა თქვენითა თქვენის ვითარებისათვის.

უკეთუ რომელნიმე მემღურებოდნენ მოუწერლობასა ავთრათისასა, მდებლად თავის დაკვრა უბრძანეთ და ბოდში მომხადეთ, რომ ვერ მომისწვრია მიწერა. მერწმუნეთ არა მაქვს დრო.

თქვენი უმორჩილესი შვილი სოლომონ დოდაევი.

1828-სა წელს, აგვისტოს 10-ს.

42. მ ა ს კ ე

თქვენო მალალ ღირსებავ მღვდელ-მოძღვარო მამაო იონა,
მოწყალეო ხელმწიფევი! ¹

მწყურვალითა გულითა წმიდასა მარჯვენასა ზედა თაყვანსა გცემ. აჰა, ჭეშმარიტო ბრძენო მამაო, მაკურთხეველო და ძვირფასო მზრუნველო! ჭეშმარიტი ზრახვა, კეთილი გრძობა, მალალი გამოხატვა და ყოველნი ძალნი სულისა ჩემისანი ეკვეთებიან მალალსა რაისამე უხილავსა, ეძიებენ ნათელსა საუკუნოსა ცხოვრებისათვის განმანათლებლისა ჩემისა მზრუნველობითა ანუ ესრეთ ვჰსთქვა, მაცხოვრებელისა ჩემისათვის ეძიებენ უმთავრესნი ძალნი ჩემნი საუკუნოსა ნათელსა. ნუ იზრახავთ მამაო, რომელ ძალისაებრ ჩემისა ყოველსა წამსა არა ეგრძნობდენ ანუ არა ვზრახვიდენ თქვენსა კეთილ მოქმედებასა და მზრუნველობასა, ეგრეთვე თქვენსა მოძღვრებასა, რომელნიცა მტკიცედ გარდატვიფრულ არიან გონებასა შინა ჩემსა, გარნა საჭირო არს მიუცილებელად საგანთა მათთვის, რომელნიცა დანიშნულ არიან თქვენ მიერ, განმრავლება საშვალობისა, რომლისა გამოცა უადვილესად ძალმიძს აღსრულება მისი აღრე თუ გვიან შემწეობითა ღვთისათა; ინებეთ რათა მომცეთ საშუალობა და ღონის ძიება დანიშნულებისაწებრ თქვენისა ნებითა ღმრთისათა, ანუ რაისაცა ინებებთ, მიბრძანეთ.

აწინდელი შრომა ჩემი მდგომარეობს შემდგომთა მუხლთა შინა: საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა, ორშაბათს განთიად ორს ჟამს მეხუთეს კლასში გარდავსცემ რიტორიკასა — ქართულსა და რუსულსა ენაზედ, მეოთხეში ორს ჟამს ქართულს ლრამატიკასა, ლექსთ-თხზულებასა და მართლწერასა. დაშთომილს ღროში ვჰსთხზავ რომელთამე საგანთა, რომელნიცა იქმნებიან ქვემო აღწერილნი. სამშაბათს დილით ორი ჟამი მაქვს მესამეში და ოთხი მეხუთეში ლეოლრაფიისა და რიტორიკისათვის. ოთხშაბათს მესამეში დილით ორი ჟამი დანიშნულის საგნისათვის და ორი ჟამი მეხუთეში საღამოზედ რიტორიკისათვის. ხუთშაბათს ორ-ორი ჟამი 3, 4, 5 და 6 კლასებში ლეოლრაფიისათვის. პარასკევს ეგრეთვე ორორი ჟამი 3, 4, 5 და მეექვსეში რიტორიკისა და ლოლიკისათვის. გარდა ამათს, ოთხშაბათს და შაბათს კომიტეტში ვსაქმობ, დაშთომილს ჟამებში და ღამით თხზულებასა შინა ვატარებ ღროსა, ესე იგი, ქართული რიტორიკა სრულ ვჰყავ ქართულსა ენასა ზედა და ვჰსთარგმნი რუსულად. სისტემა მისი არს შემდგომი:

1. შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება სიტყვიერებისა, განყოფა მისი, განსაზღვრება რიტორიკისა და მტკიცება, რომელ არს სწავლა და არა ხელოვნება, განსხვავება ძველისა და ახლისა რიტორიკისა, საგანი რიტორიკისა ანუ დასასრული საჭირონი თვისებანი ორატორისანი, შესაწევნელნი სწავლანი მისნი, განსხვავება რიტორიკისა და პიტიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა ამასთან წინადადებათათვის, განვრცელებისთვის მათისა. პერიოდთა და ხრიათთათვის.

2. პირველი ნაწილი რიტორიკისა — პოვნისათვის, მეორე ნაწილი განკარგვისათვის და მესამე გამოღებისა ანუ ფრაზისათვის, ესე იგი თვისებისათვის ფრაზისა, ტროპთა და ფილურათათვის, რომელთათვის, რომელთა შინაცა იპყრობიან საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი.

3. საკუთარნი კანონნი სხვა და სხვათა თხზულებათანი: ავთრათათვის, საუბრობათათვის, შესხმათათვის და სხვათა. ამასთან იქმნება ისტორია თქვენი, ე. ი. ცხოვრება, თვისებანი და მოქმედებანი თქვენი. მხოლოდ შესაწუხარ არს ესე, რომელ ქართულს წიგნს არა ჰბეჭედენ, თუ არა არს ქართულად ნათარგმნი ანუ თარგმნილი და ფრიად მიძნელდების ლექსიკონისა თარგმნა.

ძმისწული თქვენი იოანე² იმყოფება ჩემთან და სწავლობს. სოლომონ, ძმა თქვენი, იმყოფებოდა ჩემთან სამი დღე, რომელმანცა მთხოვა ფული და ერთი თუმანი თეთრი ფული მივეც, შვილი შიმშველი, ხოლო მეორე გრიგოლ³ გაიპარა გზიღამ. მე მყავს ცხრა სული შესანახად დიდ ფრიადსა ამას ძვირობასა შინა. წარმოიდგინეთ წ-

გება თუ რაოდენი არს: ესოდენთა სულთა ზედა ჩაცმა, დახურვა, კა-
მა და სმა, ჩემთვის და მათთვის. უკეთუ იშობოდეს სადმე სოფელში,
მაშინ არა ესრეთ შესაწუხ იქმნებოდა. თვით სახლეულთაცა ჩვენთა
აქვს სასოება ჩემზედა, რათა მოუვებრო იფქლი, გარნა საიდგან? არა.
სადა ძალმიძს მიმართვა, არა სადა იშობა და თუ იშობა, დიდ ფრიად
ძვირად, ხვასტაგიცა მცირე არს. წარსრულსა ავთრათსა შინა მიბრძა-
ნეთ ლომბარდსა შინა დადება ხვასტაგისა, მამაო! მე გახლავარ ბედ-
ნიერ თქვენ მიერ და გახლდები მარადის თქვენ მიერვე ბედნიერ.
წინაშე მღვთისა თვინიერ თქვენსა არაჲინ მივის და თუ სადამე დამი-
თენიეს ანუ დავსთეს კეთილსა მემამულეთა თანა ჩვენთა, არს და
იქმნების თქვენ მიერ დაუძინებელი მზრუნველობა თქვენი, კეთილი-
სათვის მოსცემს ნაყოფსა და უკვე მოსცა საგრძნობელად ნაყოფი. მა-
მულსა მოქმედება ესე საამოდ დაშთების და უვიწყებელად შთამოე-
ბათათვის.

ბრძენო კეთილ მზრახველო! უკეთუ ინებოთ აღსრულება ბრძა-
ნებისა თქვენისა, პრაექტისა თქვენისა ანუ ჩემისა, და წარმოგზავ-
ნით ხვასტაგი ფოჩით, ჩემ სახელზედ ინებეთ, რომელნიცა განკარ-
გულ იქმნებიან და დანიშნულებისაებრ თქვენისა და ყოველთვის წარ-
მოგზავნილნი ფოჩტაში სრულიად და თვისს დროს მომივა, ანუ ძმი-
სათვის, ანუ სხვა საგნისათვის. ვჰგონებ თქვენ, ბრძენსა, გექმნებისთ
სრული ცნობა ჩემი. რაიცა წარმოიგზავნება თქვენ მიერ, იგი შეიქმნება
ერთსა წელსა შინა ერთი ორათ, თავნი თქვენი უძრავად იქმნების და
მას ერთსა და ორს წელიწადს დაერთვის რაოდენნიმე შეძინებანი, რო-
მელიცა აღადგენს ცხოვრებასა ჩვენსა და წარმართებს ყოველსა საგან-
სა. იოანე, ძმისწული თქვენი, ისურვის მანდ წარმოსვლასა, ეგრეთვე
ძმა ჩემი სტეფანე მოწერისაებრ მეფის ძის ბაგრატიისა. ვითარ მიბრ-
ძანებთ ამისთვის? ხოლო მე ვჰგონებ მეორესა წელსა შინა გახლო
თქვენთან რომელთამე საქმეთათვის შესაერთებელად მთავრობისა.
ღენერალს გიორგი ერისთოს⁴ ჰსურს, უკეთუ დაითხოვეს, წარმოვა
პეტერბურღში. აჰა, ესეცა, უკეთუ მიბრძანებთ და წარმოგზავნით
ხვასტაგსა, მე მსურს სახლებისა აღშენება ქალაქს ტფილისში: რაო-
დენიმე დუქანი ძირს და ზედ სადგომი სახლი. უსახლობისაგან დიდად
შეწუხებული გახლავართ, რომლისაგან შემოსავალიც იქმნება. მშვი-
დობით, მამაო ძვირფასო!

სახლობანი ჩვენნი, ეგრეთვე ღირსიევისა⁵, სიმრთელით და სიცო-
ცხლით გახლავან. ძმასა თქვენსა⁶, ადამს ღირსიევისა და სხვათა სიყ-
ვარულით ჩემს პატივის ცემას განუცხადებ.

მორჩილი შვილი თქვენი სოლომონ დოდაევი.

სექტემბრის 21-სა 1828-სწელსა.

თქვენო მაღალ ღირსებაე, მამაო სიბრძნის მოყვარეო
იონა, უმოწყალესო მზრუნველო ! .

მაკურთხეველსა მარჯვენასა და ნათლით მოსილსა ზედა ამბორე-
ბას მოვახსენებ... ავთრათნი სიცოცხლისა ჩემისანი მებოძა თქვენისა
მაღალ ღირსებისაგან სეკდემბრის 26-სა, მომცემელი ცნობისა განსე-
ლისათვის ამიერ სოფლით მეფის ძის ასულის ნინასი² ნათელსა ში-
ნა და კლება მისი და მწუხარება თქვენი მომცემს მე დიდ ფრიადსა
მოწყინებასა და მსგავსსავე მწუხარებასა კეთილისა და სათნოსის მის
სულისათვის. შვენიერი გული მისი განადვიძებს ყოველსა გრძნობასა
მცნობთა მისთასა მწუხარებისადმი. მწუხარება ჩვენნი არს უმეტეს
დალტობისათვის ნათესავთა მისთა და უმაღლესისა, ვინაითგან იგი
იყო ანგელოსი და წარვიდა ცათა შინა უწმიდესსა და უბრწყინვალეს-
სა სოფელსა შინა, ამისთვის არა ჯერ არს ტირილად და მწუხარებად,
არამედ ლოცვად და მოთმინებად. სარწმუნოება, სასოება და სიყვა-
რული მამისა მოსცემს ნუგეშსა და მოთმინებასა ყოველთა ქრისტიან-
ნეთა და ესრეთ ინებეთ წინაშე ღვთისა მადლობად და წინაშე უმაღ-
ლესობისა ნუგეშად, რათა ძვირფასი ეგე გვაში³ ნუგეშად ჩვენდა კე-
თილ დღეობდეს სიმრთელითა და უმეტეს თქვენ, ჩემთვის. ძვირფასო
მამაო სასურველო, დაიცეთ სიმრთელე თქვენი.

სეკდემბრის კე-სა მისმან ბრწყინვალეობამან საქართველოს მთავარ-
მართებელმან ღრაფმან პასკევიჩიმან ერევანსკიმან მომწერა და მასთან
წარმოავლინა ყოვლადი წიგნი როსიელსა ენასა ზედა დაბეჭდილი
ცხენის სრბოლისათვის ანუ ქენებისათვის და მდგომარეობისათვის
მისისა სხვა და სხვათა სახელმწიფოთა შინა, რათა ვსთარგმნო ქარ-
თულსა ენასა ზედა; ეგრეთვე, გარდა ამისსა, ორი დიდ ფრიად ვრცე-
ლი წიგნი, რომელსაცა შინა იპყრობის სამოქალაქო სჯულნი, სასამარ-
თლოისა და პოლიციისა კანონი და მოქალაქეთა ვალნი და თანამდნ-
ბობანი, მომცა ლუბერნატორმან ღენერალ ადიუტანტმა სიპიალინმან
სათარგმნელად ქართულსა ენასა ზედა, რომელთაცა დააბეჭდინებენ
აქაურთა მცხოვრებთათვის. ორნი ესე წინადადებანი თუმცალა ჩემთ-
ვის არა მოიძნელებენ, გარნა ითხოვენ მრავალსა დროსა, რომელსაცა
არცა ერთი წამი მაქვს. თავისუფლებითი. ქილიკს⁴ უბრძანეთ, რომელ
ძმისწული მისი ისწავებს სასწავლებელსა შინა და მე მაქვს მას ზედა
საკუთარი ყურადღება. ყოველთა საგანთა ზედა მაქვს ფრიადი მზრუნ-
ველობა მოძღვრებისამებრ თქვენისა. იოანესა⁵ ძალისაებრ ჩემისა
ვასწავებ, რომელმანცა უკვე უწყის ორსავე ენასა ზედა კითხვა კარ-
გად და წერა საშუალოდ, ეგრეთვე რუსული ენა ესმის. შევმოსე სხ-

ლითგან ჩამოსული შიშველი, ხოლო გრიგოლ⁶ გაიპარა გზიღვან და მოველი, რომ მალე ჩამოიყვანონ. ყოველნივე სახლეულნი მშვიდობით და სიმრთელით და კეთილად მყოფობენ. ეგრეთვე ნათესავნი და მცნობნი. ძმაი ჩემი⁷ მყოფობს სიღნაღს და მოველი ჩამოსვლას ტფილისად.

ოსიფ იაკოლიჩის⁸ საქმისათვის, უკეთუ არა თვით მისი წერილი ანუ ავთრათი არ მოიწერეთ, არ შეიწყნარებენ, ანუ ჯერ არს, რათა ლუბერსკის პრავლენიღგან წარმოგზავნოს წერილი ანუ დოვერენიის დარწმუნება თქვენ მიერ და მის მიერცა, რათა მე მივიღო მისის დუქნების ფული, რომელიც არს დარჩომილი ამით ზედა, რომელნიცა ავაჭრებენ საქონელსა. თქვენ ინებეთ გამოცხადება მისის წერილისა, ესე იგი ვექსილისა და ესეცა, რომელ იგი ფარულად წარსრულ არს ანღლიასა შინა და ამის მიზეზისა გამო დაშთა გამოუცვლელი ვექსილი. უკეთუ იქმნების კმასაყოფელნი წერილნი მმართველობისა მანდიღგან, მაშინ მე ძალმიძს აღება აქა თვინიერ დაბრკოლებისა.

უკანასკნელ, ლოცვითა თქვენითა სიმრთელით გახლავარ და ამ წამს კომიტეტიდამ კაცი მომივიდა მუნ წარსვლისათვის და სასწავლებელსა შინაცა მეშურება წასვლა; ამის გამო მომიტევეთ, რომელ არა ძალმიძს ამას ქარტასა ზედა გამოხატვა ზრახვისა და გრძნობისა ჩემისა სრულიად: ერთისა სიტყვით, სული და გული ჩემი არს თქვენთან. ერთს ჟამს წინ ზრახვათა ჩემთა წარმოადგინეს მიუწოდებლობა განმგებელისა და სიბრძნისა ჟამსა შინა შესვენებისასა და ვსტრემლეოდი მე დიდ ფრიად.

მემცხედრემან ჩემმან⁹ სიყვარულით თაყვანისცემა მოგახსენათ წმიდასა მარჯვენასა ზედა.

ძმასა თქვენსა¹⁰ სიყვარულით მოვიკითხავ და ეგრეთვე ადამ ლირსივეს და სხვათა და ვარწმუნებ სიმრთელესა მშობელთა და ნათესავთასა.

მამაო, მოძღვარო ბრძენო! გთხოვ უმდაბლესად უკანასკნელი ესე ვედრი ჩემი აღასრულოთ, რომელიცა არს ფრიად საჭირო სამისა ანუ ოთხის თუმნისა ასიგნაციის ფასისა მოივაჭროთ სანაწილე ვეცხლისა მცირაჲი, სადაცა არს ბარძიმი და სხვანი, რომელსაცა ვალად მყოფთ ამის აღსრულებისათვის და წარმოგზავნისათვის.

თქვენი მაღალ ღირსების მორჩილი შვილი

სოლომონ დოდაევი

სეკდემბრის 28-სა, 1828-სა წელსა.

თქვენო მაღალო ღირსებაჲ მამაო იონა!
უმოწყალესო ხელმწიფეო მზრუნველო ჩემო!

ავთრათი თქვენი მებოძა სეკდემბრის 28-იდგან ოკდომბრის 23-სა, რომელსა შინაცა ვსცან წარმოთხველმან ყოველი გარემოებანი სამწუხარებელად სულისა ჩემისა, გარნა მაქვს სასოება, რომელ შემოქმედი და მფარველი აქამომდე დაგიხსნით ყოვლისა ბოროტებითისა განსაცდელისაგან ყოველსა წამსა შინა საუკუნოდ და კეთილ მოქმედებისათვის თქვენისა მოგცემსთ საუკუნოსა უკვდავებასა და ჩვენ აღვაღვინთ მონუმენტსა თვით გულთა შინა მემამულეთა ჩვენთასა უკანასკნელს მდგომარეობადამდე ამის სოფლისა აღყვანებითა სახელისა თქვენისათა, ხოლო მას სირცხვილი და უპატიოება, რომელმანცა იყადრა შეწუხება თქვენი, რომელიცა თანამდებ იყო დიდ ფრიადის მაღლობით მიღება მოწყალებისა თქვენისა. მე ძალმიძს თქმად სიმართლით, რომელ მოქმედსა ეგე ვითართა საძაგელებათა და შეურაცხებათასა არა ეკუთვნის არცა ეგე მოწყალება, რომელიცა დაგინცნავთ. უსარგებლეს მაგისსა არიან სხვანი და უმახლობელეს თქვენდა. რომელთაცა უმეტეს ეყვით თქვენ მიერი მოწყალება და მზრუნველობა სასარგებლოდ თავისა თვისისა და საზოგადოობისა. ღმერთმან დაიფაროს შემაწუხებელი თქვენი, გარნა განმწარება თქვენი არა არს სასარგებლოდ მისდა, ნუ ინებოს ბრძენმან განსვლა ბრძნისა და კეთილმოქმედისა ამისა სოფლისაგან, რომელიც იღწვის ყოვლისა მამულისა სარგებლობისათვის. თქვენ მიბრძანებთ, მამაო სამარადისოო! ანდერძის დაწერასა და თვისსა დროსა შინა ხელითა ფრისტავისათა აქ მოწვევასა, არა ინებებთა უადრესსა შეერთებად ჩემდა? ვითარისა ადრესათვის და სადა არს დანიშნულ ინებეთ სასამართლოსა შინა დამტკიცება განზრახვისა თქვენისა და დანიშვნა წიგნთა სასარგებლოთა თქვენ მიერ თხზულთა და ჩემ მიერ სახელსა ზედა თქვენსა ანუ თქვენისა ცხოვრების აღწერისათვის დასაბეჭდად. წარსრულს ავთრათთა შინა თქვენთა იცნობების ტფილისის ლომბარდსა შინა ხვასტავის დაღება. ოდეს იქმნების აღსრულება ამის მოწყალების მონებება, მიბრძანეთ. ნინველთა ამათ ზედა მზრუნველობა ჩემი მაშინ არღა იქმნების. ოდეს ურახვე და გრძნობა ჩემი განქრების. მე არა ვგრძნობ მზრუნველობასა თქვენსა და სოფელსა შინა შემოყვანასა ჩემსა თქვენ მიერ. ნუ უკვე მე არა მესმის კეთილი და ვალი კაცისა! ძმისწულმან თქვენმან, იოანემან², ოდეს ჰსცნა ჩემ მიერ ავთრათისა თქვენისაგამი განცხადებული მზრუნველობა თქვენი მასზედა და მასთან უგუნურებითი მოქცევა ბიძისა მისისა თქვენთანა, გარდმოუვიდა ცრემლნი მწუხარებითი-

სანი შეწუხებისათვის თქვენისა. უმეტეს ჩემსა მეცადინეობს ამისთვის მოწაფა თქვენი ელენა². ოდესცა მე გართულ ვარ საქმეთა შინა თანამდებობისა ჩემისათა, ჩვენ სულიერნი შვილნი არა დავსცხრებით ვედრებად და აღვლენად ლოცვათა ჩვენთა სიმრთელისათვის, განრი-
ნებისათვის ყოველთა ეშმაკეულთა განსაცდელთაგან და გრძობისათვის ჟამთა და წელთა თქვენისა მალალ ღირსებისათა. ვჰმადლობთ წმიდასა სულსა ნუგეშის მცემელსა, ვჰმადლობთ და ვადიდებთ მეუფობასა მისსა მშვიდობისათვის, რომელიცა არს ერთი უმთავრესთა სათნოების სახეთაგან.

რაიცა შეეხების მდგომარეობასა ჩვენსა, მოწყალებითა თქვენითა ვსცხოვრებთ კეთილად, მადლობა ღმერთსა და ვსასოებთ კეთილად ყოველნივე სიმრთელესა შინა, უსახლობა გვაწუხებს, სადაცა არსადა იშოების საკმაოდ, არცა თვით სასწავლებელსა შინა. უკეთუ მაქვენდეს ღონე, აღვაშენებდი სადამე რაოდენსამე ღუქანსა და ზედ სადგომსა სახლსა, რომელიც არს ფრიად საჭირო და სასარგებლო. ყოველთავე თაყვანის ცემა მოგახსენეს. მთავარმართებელი⁴ ბრძანდებოდა სასწავლებელსა შინა ამ დღეებში და განგვიცხადა დიდ ფრიადი შემწეობა სასწავლებლის კეთილებისათვის და სხვა გზის მიცემისათვის, მხოლოდ თქვენ ეცადენით რუსულის ენისათვის — გვითხრა. ჩვენი სამხედრო ღუბერნატორი გარდაიცვალა ოქტომბრის ათსა⁵. კეთილ მზრახველობა თქვენი განაგებს ყოველსავე კეთილსა და განსაზღვრის სამარადისოსა სარგებლობასა. მშვიდობით! ჰბრძანდებოდეთ სიმრთელით და გვახარეთ მშვიდობა და სიმრთელე თქვენი. ამ წამს გაიხლები. სამოქალაქო ღუბერნატორთან, სადაცა დაბარებული ვახლავართ.

თქვენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი
ოქტომბრის 25 დღესა ჩუკჭ-სა.

ადამ ღირსიევს მოვიკითხავ დიდის სიყვარულით და ვჰსთხოვ უმდაბლესად რათა შეიტყოს უნივერსიტეტში — იაკობ კრუპსკი⁶, რომელიც იყო სტუდენტად, სადა არს, ვითარ სცხოვრებს და რატომ წიგნს არა მწერს? ხომ არ მიდის ფრანციაში? და ვითარება მისი წვლილად, რომელსაცა ფრიად დაუმაძღვებ. მშობელნი მისნი მშვიდობით არიან.

45. მ ა ს ვ ე

სულისა მიერ წმიდისა ნათლით შემოსილს მარჯვენასა ვიამბორებ და სულით-გულით ვისურვებ თქვენსა სიმრთელესა და ხილვასა¹.

ჰჰა, ყოველსა ცხოველსა არსებასა აქვს მისწრაფება, ანუ მიმართება სხვისა მის მიერ არა ხილულისა საგნისადმი, რათამცა აღი-

ხილნოს თვალნი სხვა და სხვა სახილველებათა შინა წარმოებისათვის ცხოვრების დასასრულისა (საგნისა) და წყაროსა კეთილშემთხვევისა მისისასა. არა სხვებრ, არამედ თან ხმობითა კეთილმოქმედთა კაცთათა და შემწეობითა კაცთ მოყვარეთა და კეთილ მოსურნეთათა — ესე ვითარსა საგანსა კეთილ შემთხვევისასა ეძიებს ძმაი ჩემი სტეფანე შემწეობითა თქვენისა კეთილ-მოქმედებითის ხელთ მძღვანელობისათა, ვინაითგან კეთილობა თქვენი ჰსჩანს არა მხოლოდ ჩემ შორის, რომელიცა ვიქმენ ბედნიერ მზრუნველობითა თქვენითა და აწცა ვარ და ვიქმნები მამობრივითა სიყვარულითა და მზრუნველობითა თქვენითა კეთილშემთხვევისა შინა კურთხეულ და წარმატებულ უმაღლესსა ხარისხსა შინა, არამედ სხვათა მემამულეთა შორისცა იხილვების კეთილობა ეგე თქვენი ზომითისა ხარისხისამებრ ღირსებისა მათისა.

თუმცა მათმან უგანათლებულესობამან მეფის ძე ბაგრატიმან ინება რაოდენითამე წარმოწერილითა ავთრათითა წარმოგზავნა ძმისა ჩემისა, რომელიცა მიბრძანებს გაბედნიერებასა ამისსა, გარნა მდგომარეობა მათი თქვენ უწყით. უკეთუ არა იყოს მზრუნველობა თქვენისა მაღალ ღირსებასა, ვერა მისწვდების თვისსა საგანსა, რომლისცა არს განსაზღვრება სამსახურსა შინა და მიღება მაშინც პირველისა ჩინისა, რომელიცა იქმნების პირველს საფუძვლად კეთილ შემთხვევისა მისისა.

მამაო ბრძენო! მიიღეთ მზრუნველობა, ასწავეთ კეთილი, აღუხილეთ თვალნი და დაადგინეთ მტკიცესა გზასა ზედა, ეგრეთვე განაცანთ უმაღლესნი და უგანათლებულესნი. უკანასკნელ, ნუცა მე მიმცემთ დავიწყებასა შინა, უწინარესი მზრუნველობა გარდამოავლინეთ ჩემზედა. სახლეულთა ვითარებისათვის ყოველსავე მოგახსენებთ ჩემი ძმაი სტეფანე.

ჩემს ვითარებას მოიხსენებთ. იწროსა მდგომარეობასა შინა გახლავართ და არცა სრულიად სიმრთელითა. უმეტესად მაწუხებს უსახლობა, რაილა მრავალი განვაჯრცელო, ყოველსავე გაცნობებთ ესე სტეფანე.

დღეს ნოემბრის 20-სა გახლდი მთავარმართებელს ღრაფ პასკევიჩ-ერევანსკისთან, რომელმანცა მიბრძანა, რომელ ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა დააწყობს სხვასა კანონებსა, მრავალს ცვლილებასა ჰყოფს და ეგრეთვე უეზდებში გახსნის სასწავლებლებს და მისცემს თვისსა წესს და მდგომარეობას. მე მოვახსენე ესრეთ: დიდ ფრიად საჭირო არს ესრეთი საფუძველი სიბრძნისა მხარესა ამას შინა და მან მიბრძანა, მალე იქნება ესრეთ და რაიცა შეუდგება წინა დადებასა ამას, მე მალიად გაცნობებ თქვენს მაღალ ღირსებას. ობლის ქალის გათხოვებისათვის არღარა მიბრძანეთ-რა, ერთსა სემინარიის ფილასოფიის მოწაფესა ჰსურს ქორწინება და

მიგზავნის ხშირად კაცს, გარნა თქვენ მიერ მოელის ნებართვასა და წარსაგებელსა, რომლისათვის ძმა ჩემი მოგახსენებსთ.

მემცხედრე ჩემი სულიერი შვილი თქვენი ელენა მდაბლად თაყვანისცემას მოგახსენებსთ. გთხოვ უმდაბლესად, რათა ხშირად მიბრძანოთ თქვენის სიმრთელისათვის, რომელიცა ფრიად მახარებს.

თქვენის მაღალ ღირსების მორჩილი სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი.

ნოემბრის 22-სა დღესა, 1828 წელსა, ტფილისით.

46. მ ა ს კ ე

მამაო ძვირფასო იონა! ¹

წარმოგზავნილი თქვენ მიერ ეკლესიური და მოქალაქური განმარტება მივიღე. წარმკითხველმან მისსმან ვცან მას შინა განვრცელებული გონება, ბედნიერი აღსარება და ღრმანი ცნობანი თქვენი. მაღლობელი ვიტყვი ესრეთ: აღვედ ბრძენო განათლებულო დიდებით ზეცათ და იქვე შთამოებასა შინა უკუნისამდე. მიუცელებლად მოგანიჭათ გონებამ გონებათამან ორკერძო სოფელი კეთილგონიერებითნი, დაუცხრომელნი შრომანი თქვენი არიან ღირსნი დიდისა ყურადღებისანი. ყოველსა კეთილმზრახველსა მემამულისათანა ამას ღმრთისადმი ლოცვად და ვედრებათ კეთილ-აღყუავეებისათვის დღეთა სიმრთელისა თქვენისათა და თქვენდამი მაღლობად შრომისთვის და ნიჭებულისათვის სიტყვიერებასა ზედა ჩვენსა ძვირფასისასა საუნჯისა და უმეტესადვე, რომელმანცა მივიღე უძვირფასესი თხზულება ესე, ვგრძნობ მამაო უძვირფასო კეთილმიდრეკილებასა თქვენსა და გმადლობ ყოველითა გულითა და სულითა.

ამასთან მივიღე პირველად: 1) სამღვდლო სანაწილე, 2) ბარძიმი, 3) კოვზი, 4) განსაზავებელი, 5) ოთხი მოოქროული ყელის ჭვარი, 6) ოცდაოთხი დიდროვანი ღილები და 7) ოთხი წვრილი.

სახლობა ძმისა თქვენისა ² სიმრთელით ცოცხალან და კეთილათ სცხოვრებენ, ხოლოდ ჰსწუხვან მოუსლველობასა გიორგისასა ³. მეცა, დოდაევიც კი თქვენი, ვცხოვრობ კეთილათ შრომასა შინა თხზულებათსა.

იოანე მეფის ძეს უკეთუ შეესრულებინოს ქართული ღრამმატიკა, წარმოგზავნეთ ⁴. მე ქართულათ სრულ ვყავ და ვთარგმნი რუსულათ ⁵. სხუანი მთავრობისაგან დარწმუნებულნი საქმენი მამრკოლებენ, რათა ადრე სრულვყო. სულიერი შვილი თქვენი ელენა ⁶ მდაბლათ თაყვანის

ცემას მოვახსენებთ და მადლობასა მოკითხვისათვის. ვთხოვთ უმდაბლესად მახაროთ ვითარებითა სიმრთელისა თქვენისათა. მდაბლად თავის დაკვრას მოვახსენებ მათ, რომელნიცა მეცნავე არიან ჩემნი. მშვიდობით. თქვენი სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი მაღარისა.

1829-სა წელსა, აგვისტოს 15 დღესა ტფილისით

47. მ ა ს კ ე

მამაო, ღირსო მოძღვარო იონა! ¹

საყვარელსა, წმინდასა და განათლებულსა მარჯვენასა ზედა გეამბორები და თქვენს სიმრთელეს და კეთილდღეობასა ცხოვრებისა თქვენისასა ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა.

აჰა, უცნაური და უგულისხმიებითი წარმოება ძმისა და ძმისწულთა თქვენთა: მიწერისაებრ ჩემისა ოკდომბრისა გასრულსა ჩამოვიდნენ ძმა თქვენი სოლომან, შვილი მისი იოანე და ძმისწული თქვენი ვრიგოლ. მივიღე შესაბამისა ხატითა, შეჰკვითხე ყოველივე გარემოება მდგომარეობისა თვისისა და მოუცდენელობა მათი. აჰამომდე, რომელ შესრულ არიან ვაჟკაცობასა შინა ასაკობასა და კნინდა გარდასრულ და გარდახრულ სწავლისა დრო. ჩვეულებრივ მომიგო: სნეულება მათი და შეუძლებლობა. ახლაცა ვსცანიტო, რომელ მამა იონასაგან მოგვსვლია ფული ორმოცდაათი თუმანი თეთრი ფული, ამისთვის ჩამოვედით, რათა მივიღოთო, რომელსაცა შემთხვევასა მას შინა მაქვენდა ესრეთი მდგომარეობა, რომელ ერთი მანეთის მეტი არ იბოებოდა ჩემს სახლში, ვინაიდგან ღმერთმან ინება შვილისა მოცემა², გარდავიხადე ნათლობა, სადაცა რუა თუმანი თეთრი ფული წარეგო. ნათლიად იყვნენ: დირექტორი სასწავლებლებისა³ და ბარბარა ბატონის შვილი — მეფის ძის ბაგრატის ასული⁴. თუმცა ვჰსცხოვრებ ფილოსოფიურად, გარნა შემთხვევასა ამასა შინა მიუცილებელ იყო წარუგებლობა. მეფის ძე ოქრობირ ბრძანდებოდა დროსა ამას⁵, ექვსი უამიღგან, ვიდრე შუალამიდგან მესამე საათამდე, სხვა დროსაც ბრძანდებოდა რაოდენჯერმე და მრავალნი მამულისა სასარგებლონი და საჭირონი დიდნი კაცნი⁶ — ეს იყო ოქტომბრის 20-ს. შემდგომ ამისა, სულიერი შვილი თქვენი, მემცხედრე ჩემი ელენა ჭეოდროვნა შეიქმნა დიდ ფრიად სნეულ. მკურნალთა და სამკურნალოცა ზედა წარეგო და ჯერეთცა არ განთავისუფლებულა სნეულებისაგან.

ჭირობას ამას შინა კამა-სმა, ჩაცმა და დახურვა შეაწუხებენ კაცსა მას, რომელსაცა არა რაი შემოსავალი აქვს, გარდა ხვასტაგისა.

ქმამან თქვენმან სოლომონ მიჩვენა წარმოგზავნილი ავთრათი თქვენი ხუთასის თუმნისა. ვუთხარ მე მას ლოცვა და მოთმინება. რაბამ მიიღებს, მსწრაფლ წარმოგიგზავნის მეთქი, მცირეს დროს მოითმინე. არ დავაყენებო ამათ არც სწავლაში და არცა აქაო, ვიდრე ფულსა არ მივიღებო. უკეთუ აქ არ დააყენებ, იანვარში სასწავლებელს გაეხსნით სიღნაღს და შენს ახლო მივაბარებ მეთქი; მან მითხრა: ერთი საეამე გამოუგზავნია სვიმონ მღვდლის⁷ ხელით, რომელმანცა გამომართვა ხუთი მანეთის თამასუქიო, თვინიერ რომლისცა არ მაძლევდაო, შენი ძმა გზიდან დამიბრუნდა და ნაცვლად მისსა, მეურმეებს ქირა მე მივეციო და ერთს თვეს შემდგომ მომთხოვსო. საეამე იგი მიჩვენეს, რომელიცა დაუმტკრევიათ სრულებით. უცნობელ ჩემსა წარმოგზავნეთ საეამე და ხვასტაგის ავთრათი მათდამი. ესე არა ეკუთვნის მრთელსა განმსჯელობასა, არცა ძმა და არც ძმისწულნი არა ღირს არიან მოწყალებებისა თქვენისანი, უმაღლობასა და უგრძნებლობასა შინა არიან. მამაო საყუარელო და სასურველო, სიყვარულითა თქვენითა განვუსვენე მათ დღე იგი, ხოლო დამესა მას თქვენ მიერ წარმოწერილნი ავთრათნი ფარულად წარიბარეს და განთიად წარსულან უცნობლად ჩემდა, აზრითა მით, რომელ ავთრათთა შინა თქვენთა ჰპოვონ წარმოგზავნით ხვასტაგი თუ არიან. შემთხვეულებამან ესრეთმან მომცა წარსვლამან მათმან, რაოდენცა ავთრათებისა თქვენისა წარტყვენამან, არა ჰგრძნობენ მზრუნველობასა ჩემსა და თქვენსა. აჰა, მკმუნვარება! მე ვგონებ აზრისა ჩემისთანა ინებებთ თანხმობასა. მზრუნველობა თქვენი, ძმისწულთა თქვენთა იოანესა⁸ და გრიგოლისთვის⁹, ფუქი და უსარგებლო იქნება, ვინაიდგან იგინი არიან პირველად მქისენი, ესე იგი, რაიცა გამოუხატავთ ძალთა შინა სულსათა, მათ მიუღიათ ძირი ესე ვითარი, რომელ ძნელად აღმოიხვრებიან მათგან. ვინაიდან გარდასრულ არიან იმ წლისაგან, რომელსა შინაცა უნდა მიიღოს ჰსწავლანი გულისხმიერმან არსებამან. მეორედ წარმოდგენილ აქვსთ თხოვნა მეუღლისა, რომელთაცა წვერი და უღვაში პირსა ზედა მათსა იმყოფებიან. სოფელსა შინა საქმაო არს იგი იოანესათვის, რაიცა ისწავლა, ხოლო შემდგომი განვითარება მისი შეუძლებელ არს. იცხოვრონ მათ სოფელსა შინა, ანუ თუ ინებებთ იანვრიდან მივაბარებ სიღნაღის სასწავლებელსა შინა ორთავე მათ, ხოლო მე, ვითარცა აღმითქვამს, აღვზრდი შეწვენითა ღვთისათა სოლომონის შვილს მიხეილს, რომელიცა არს ექვსის წლისა, ვინაიდგან მცირეს წლიდგან მიიღებს ყოველსა სიბრძნესა საფუძვლიანად და შეურყეველად.

თქვენ მიერ წარმოგზავნილი ავთრათი მებოძა, რომელსა ზედაცა დად ფრიად ვიხარე და ამასთან თავადს სიმონ სოლომონიჩ ვაჩნ(ა)-ჰესთან¹⁰ მოწერილი ავთრათი წარუგზავნე არზრუმს, სადაცა პოლკი

მათი იმყოფების. დიდ ფრიად ვწუხვარ, ორი თვე არის ჩემის ძმის სტეფანეს ავთრათი არ მიმიღია, არ ვუწყვი მიზეზი მდუმარეობისა მისისა. გთხოვ, მამაო, მაცნობოთ, ვითარცა თქვენი, ეგრეთვე ძმისა ჩემისა სტეფანეს გარემოება.

უმორჩილესი სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი.

ნოემბრის 7-სა, 1829-სა წელსა, ტფილისით.

48. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალ ღირსებავ მოწყალე მამაო, მოძღვარო იონა! ¹

უმოწყალესო მაკურთხეველო და მზრუნველო!

ბრძენსა უნდა ბრძნული სიტყუა,
გონებასა ზესთა აღსლუა,
ღმერთმან ინება ქვე შთამოსელა,
კაცისა მამასთან მისლუა!
ენა ჩემი ვერ იტ[ყ]ვისა
აზის შესაბამს სიტყვასა,
ჰგონებს მას განკვირვებასა,
წინა უღებს ღთის მეტყველსა

ღ.

ქრისტეშობის ღღესასწაულს და მომავალს ახალს წელიწადს მოვ-
მლოცველობ და თქვენს სიმართლეს ვისურვებ ყოვლითა გულითა და
სულითა, განმტკიცდეს კაცობრიობა თქვენი ძალითა სულისა წმინ-
დისათა და აღსრულდეს საგანი სურვილისა თქვენისანი.

მამაო, შემდგომ ამ ავთრათის დაწერისა მივიღე ავთრათი თქვენი,
რონელსა შინაცა ვსკან სწავლობა თქვენი და ვიქმენ ხარულელ. მას
შინა ჰსჩანს, რომელ თქვენ არა კმაყოფილ ხართ მას მეცადინეობასა
ჩემსა, რომელიცა დავშვერ. იოანე², ძმისწული თქვენი, განვასწავლე
და კაცობრიობასა შინა მოვიყუანე მიმდინარეობასა შინა ორისა წლი-
სა, გარნა მაკლდა საშუალობა ღონის ძიება. მიბრძანეთ როგორ დაჯ-
დება. ამასთან უმდაბლესად გთხოვ ჩემ მიერ მოცემული ბარათი წარ-
მოგზავნოთ, ე. ი. ფულის წერილი და ამასთან თქვენის შეთხზულის
ლექსიკონისათვის მიბძანეთ და რაოდენიმე წარსაგებელი იხრუნეთ.
დავაბეჭდინებ, ნურღარა გარდავაგდებთ შემდგომის დროისათვის³.

აჰა, მამაო საყუარელო! რიცხვნი მოქმედებათა ჩემთანი:

1) შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისათვის⁴.

2) სრულყოფილ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა⁵.

3) ვჰსთარგმნე, რწმუნებისამებრ, მთავრობისა, სჯული ვალდებუ-
ლებასი სასამართლოებისნი.

4) ვჰსთარგმნე, ბრძანებითა მთავრობისათა, ცხენის სრბოლისათვის
წიგნი.

5) შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამ-
დე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითოეული რას იპყრობს თვის
შორის.

6) შევადგინე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრიეკი)
შესხმანი, ავთრათნი და სხვანი.

7) შევადგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და
განყოფილებითა მისითა.

8) ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომე-
ლიმე სრულ ვყავ.

ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი წარსულისა
დროისანი და მომავალნი ღრმერთმან უწყის.

ძმამან თქვენმან დაიგვიანა მოსვლა⁶, ვიშიშვ, რათა უკან არ მოიქ-
ცეს. სახლობანი ძმისა თქვენისა — სოლომონისანი მშვიდობით ჰცხოვ-
რებენ. მეცა სახლობით ვსცხოვრებ ლოცვითა და სასოებითა და სი-
ყუარულითა თქვენითა.

მათ უგანათლებულესობამ მეფის ძემ ოქროპირმან მოგილოცათ
დღესასწაული და ლოცვა-კურთხევა თქვენი ისურვა.

მამაო სასურველო იონა, სასურველ არს ჩემთვის და მრავალთა
მემამულეთათვის ხილვა თქვენი. თუ შესაძლო იყოს ინებოთ თქვენ-
ცა განხილვა სამშობლოს მამულისა თქვენისა და მობრძანდით. თუ
გასართ წმინდა პეტრეს ქალაქსა შინა მყოფობა, შესაძლებელ არს
უკუნ მიქცევა. განგვანათლებთ მოსვლითა თქვენიითა.

და ახლა ამას გევედრებით, რომ თქვენი ვითარება მიბრძანოთ და
მახაროთ მე სულიერი შვილი თქვენისა მაღალ ღირსებისა.

სოლომონ დოდაევი.

თუ შეიძლებოდეს, ერთი ხელი ტანისამოსი ე. ი. ფრაკი და ბრუკი-
კარგათ შემიკერვინოთ, კარგის მაულისა და წარსაგებელს მოგართ-
მეთ.

მიხეილისა და დიმიტრის⁷ ჩამოყვანასა მსთხოვთ. ვითარცა მე
მოგწერე, ესე არა თხოვა თქვენი, არამედ ბრძანება არს ჩემთვის, ვი-
ნაითგან მამა ჰბრძანდებით და მზა გახლავარ თქვენის ბრძანების-
აღსრულებისათვის.

დეკემბრის 28-ს, 1829-სა წელსა, ტფილისით.

49. ფილადელფოს კიკნაძეს

საყვარელო ფილადელფი! ¹

მცირედ შეუძლო გახლავარ და ამისათვის არ ძალმიძს ხლება. უკეთუ ინებებთ და თქვენ აქ გამობრძანდებით, დიდად დამავალებთ და სასიამოვნოთ განვატარებ დროსა².

თქვენი მყვარებელი

სოლომონ დოდაევი.

50. მასვე

უსაყვარლესო მეგობარო ფილადელფოს! ¹

ორივე მოწმობა თარგმნილი რუსულად ორშაბათს მივართვი, წარვიკითხა და ჰსთქვა ОЧЕНЬ ХОРОШО, უნდა წარვადგინოვო, შეიტანა შინ და სტოლს წინ დაიდვა. ვპკონებ მალე წარადგინოს, მეც ვჰსთხოვე და აწ არ ვუწყვი. სიღნაღს წარსვლა არ ვიცი სწორეთ რომელს რიცხვში მოგვიხდება, ვპკონებ ივნისში წარვიდეთ, ანუ ნახევარს, ანუ გასულს.

თქვენი უერთგულესი და მყვარებელი მეგობარი

სოლომონ დოდაევი.

30 მაისს, 1830-ს.

51. იონა ხელაშვილს

თქვენო მაღალ ღირსებავ, მოძღვარო იონა! ¹

წმინდასა მარჯვენასა ზედა ამბორებას მოგახსენებთ და თქვენს სიმრთელეს და წელთა განგძო[ბა]ს ვისურნებ. ძმანი თქვენი და სახლელუნი მშვიდობით ბრძანდებიან. ძმასა თქვენსა გიორგის რაოდენჯერმე წერილითა ვსთხოვე ჩემთან მოსვლა და არ ინება, თვით მეც გახლდი მის სახლში — დამემალა. სოლომან და შვილი მისი იონანე გახლდნენ ჩემთან, რომელთაცა მომითხრეს გიორგისა მიერ მრავალჯერ შეურაცხება და არა რაისა შემწეობა მისგან. ყოველივე თქვენ მიერ წარმოტანებულ მიიტანა თავის სიმამრთან — ონისიე მღვდელთან² და არა სახლში. მრავალი მწუხარება მომითხრეს: უკეთუ სტუმარი მომივიდეს, ანუ ნათესავიო და საფენი მისი დავუფინოთო, მაშინვე აიღებს და არ დაგვანებებს. ფრიად შემაწუხა მოთხრობამა³,

სოლომონისამან. მე ვუთხარ: „ძმასა შენსა წავართმევ და შენ მოგ-
ცემ“, მან მომიგო: „შენ რომ წახვალ, მომკლამსო“. ფრიად ცუდი
ძმობა არს, ერთი შაურიც არ მიუცია. იოანემ, ძმისწულძან თქვენმან,
მთხოვა თქვენთან გამოსტუმრება, უკეთუ მიბრძანებთ, წარმოგზავნი.

მქისიყში სიმრთელე გახლავსთ, გარნა ტფილისში, განჯაში და ქარ-
ბელექანში გაჩნდა ხოლერა, რომელიც ხოცს მრავალსა მსწრაფლად.

მოსავალი ფრიად მრავალი და კეთილი გახლავსთ. სხვებ თქვენ
კეთილდღეობით ბრძანდებოდეთ ჩვენთვის სანუგეშოთ და მზრუნ-
ველად.

მამაო, გთხოვ მიბძანოთ, იოანე წარმოგზავნო თუ სიღნაღის
სასწავლებელში მივაბარო, რომელიცა იხსნება სეკტემბერში.

ღოღაევი

აგვისტოს 7-ს, 1830-სა წ., მაღარო.

52. შახვე

თქვენო მაღალ ღირსებაე მოძღვარო იოანა!¹

წმინდასა და ნათლით შემოსილსა მარჯვენასა თქვენსა ვეამბორე-
ბი და თქვენს უძვირფასესსა სიმრთელესა ვისურვებ ყოვლითა გული-
თა ჩემითა და სულითა. ამასთან მოვახსენებ თქვენს მაღალ ღირსებას
ჩემს სიმრთელესა ყოვლითურთ სახლეულით და ყოველთა მონათესა-
ვეთა თქვენთა.

სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგა ქართულის ასოებისა. ღრამა-
ტიკა იბეჭდება და ამასთან იწყების, უკეთუ ინებოს ღმერთმან და
შეგვეწიოს იგი, ლექსიკონიცა თქვენი, ეგრეთვე გამოიცემა ყოველსა
თთვეს ჟურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი². გთხოვ
ხელი მოაწერინოთ ბატონიშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისა-
თვის ჟურნალთა. ამ ჟურნალში იქმნება მოდაცა ქართველთა. ფასი
მთელის წლისა არს ოცი რუბლი ასიგნაცია, წარმოგზავნითა.

ბარბარე ბატონის შვილმა, ბაგრატ მეფის ძის ასულმან თაყუანის
ცემა მოგახსენათ, ყოველნივე სახლეულნი მათი სიმრთელით არიან.

მუხრანის ბატონმა კონსტანტინემ³ გამომიცხადა, რომელ ჩემი
შვილის იოანესაგან⁴ აღებულს ვალს მაშინ მოგცემო, როდესაც ვექ-
სილს მომიტანო, ამით ინებეთ გამოგზავნა ვექსილისა ფოჩტით, შემ-
დგომ მიღებისა ამის. ვიდრე ვექსილი არ მივეტანო, არას მოგცემენ.
მაშასადამე, საჭირო არს, რათა წარმოგზავნოთ აქა მისგან მოცემული
ვექსილი. მე უთხარ: სულ ერთია, მე მივწერ მიღებასა ფულისასა და
ვექსილს. თუ ინებებთ, თქვენ წარმოგიგზავნიოთ, თუ არა, იქ ბატონის

რძალთან დახვეს. — არაო, შენთან წარმოგზავნოსო, მოიტანე და ფული მიიბარეო.

ესახებ, რომელ ოცს ხელის მომწერს იშოვით მანდ ეურნალის მისაღებად. ეგრეთვე ვითხოვ, რათა ყოველთავე ქართველთა გამოუცხადოთ, რომელ თვისი თხზულება ანუ გასჯა რომელსამე საგანსა ზედა, სტიხათ, გინა უსტიხოთ, წარმოგზავნონ ეურნალსა შინა დასაბეჭდად. ეგრეთვე ვთხოვთ უმდაბლესად, რათა წარმოგზავნოთ ოდა ღეთისა (ოდა ბოლა). ვგონებ ქართულად ნათარგმნი აქენდეს ბატონის შვილს მირიანს, თქვენ არ დაგიჭერს, გადააწერინეთ და წარმოგზავნეთ⁵. ეგრეთვე მაცნობეთ სახელნი ქართულთა წიგნთა, რომელნიც მანდ ქართველთაგან შეთხუზული, ანუ ნათარგმნი იყვნენ, სახელებიცა მთხზველთა და მთარგმნელთა, განრჩევით, რომელს ნაწილს ეკუთვნის: ღეთისმეტყველებასა, ფილოსოფიასა, თუ ისტორიასა და სხვათა.

მომიტევით მამაო სასურველო და უსაყუარელესო, ესრეთისა ხმელისა ავთრათისა და მოკლესა მოწერა, ღდეს ექვსი ჟამი კლასში მაქვს გარდასაცემად სწავლათა და ავთრათსა ამას გწერ დროსა სანოვაგისა მიღებისა და ვეშურები კლასშიაც. მშვიდობით. თქვენი სულიერი შვილი

იანვრის 15-სა, 1831-სა წ. ტფილისით.

ს. დოდაევი

58. მ ა ს ვ ე

უმაღლესო მამაო, მოძღვარო იონა! ¹

უსაყვარლესო მამაო! მოქმედებათა. მიერ თქვენთა, რომელთა მიერცა სული ჩემი მღვიძარეობს, ყოველი კეთილი საქმე სასარგებლოდ თავისა ჩვენისა, მამულისა და ყოველთა მემამულეთა დაგვირგვინდების სრულითა წარმატებითა.

სიღნაღს სასწავლებელი გაიხსნა, გარნა იონა ძმისწული თქვენი განწესდა ტფილისის ღიმნაზიასა შინა² თხოვითა ჩემითა თანთან. მე არას ვაკლებ, ყოველსავე საშუალობასა და ღონისძიებასა ჩემსა ვაძლევ მწრაფლისა წარმატებისათვის. მცირეწლოვანი ძმა³ მისი ჯერეთ არ მოუყვანია, გარნა ჩამოიყვანს მოკლეს დროებში. ყოველნივე სახლობანი ძმათა თქვენთანი სიმრთელით გახლავან.

წარსულის ავთრათის პასუხს მოველი, რომელსაცა შინა მოგახსენე გადმოგზავნა ხვასტაგთა კავკასიის აქეთ. ირწმუნეთ მამაო, რომელ აქა აწინდელსა მდგომარეობასა შინა საქართველოისასა, უკეთუ კაცი მოიქცა კეთილგონიერებითა და შეუდგა საქმეთა კეთილთა და სასარ-

გებლობა, მიუცილებელათ მიიღებს ყოველსა სასურველსა, გარნა კრედიტურთა შმათ საქმეთათვის საჭირო არს პარველისა დაფუძვნებისათვის საშუალობა, რომელიცა მდგომარეობს ფულთა შინა. თვით თქვენ განსაჯეთ კეთილ გულისხმიერებითა საქმე ესე, ვინაიდგან ნიკებულ ხართ ყოველითა სიბრძნითა და განიხილავთ ცხადად და ნათლად. ქალაქში ტფილისში ყოველი შემძლებელი კაცი აშენებს სახლებს, მრავალნი რუსნიცა, სომეხნიცა, ხოლო ქართველნი ვართ დამთომილნი, გარნა სხვათათანა მეც გამოვითხოვე სახელმწიფო ადგილი მთავარ მართებლის სასახლის სიახლოვეს, ოცდათერთმეტი საყენი სიგრძე და ოცდახუთი საყენი სიგანე. უკეთუ ინებებთ თქვენცა, ავაშენებ სახლებს და დუქნებს, რომელთაცა ფრიად მრავალი შემოსავალი ექნებათ. ამ ადგილსა აქვს სააგურე, უკეთუ ინებებთ და შემეწევით ხვასტაგითა, რომელსაცა ოთხს წელს ერთი ორად აღვადგენ და დავსდებ დანიშნულებისამებრ თქვენისა ადგილსა, გავაკეთებ...

გთხოვთ უმდაბლესად მაცნობოთ აზრი თქვენი. განმრავლებითა ესრეთითა ხატითა შემოსავალთათა განმრავლდების ბეჭდანი წიგნთან და სხვანი.

მუხრან ბატონის შვილის ვექსილი გთხოვე, რათა მსწრაფლად წარმოგზავნოთ და აქამომდე არა სჩანს. მამა მისი არას იძლევა უვექსილოთ⁴. ინებეთ წარმოგზავნა ფოშტით.

ოსიფ იაკოლიჩის⁵ დუქნებისასა რას ბრძანებთ, ანუ თვითონ პატრონი რატომ არას ჰზრუნავს, რომ დაუქციეს?

მომლოდინე თქვენის ყოველთა გარემოებათა ცნობის სულიერი შვილი თქვენი

სოლომონ დოდაევი.

თბერელის 26-სა, 1831 წელსა, ტფილისით.

54. მ ა ს კ ე

თქვენო მაღალ ღირსებავ, მოძღვარო იონა! ¹

უწინარეს ყოველსა ვისურვებ უძვირფასესსა სიმრთელესა თქვენსა, შემდგომ მოვახსენებ თქვენს მაღალ ღირსებას მდგომარეობასა და ვითარებასა ძმისა თქვენისა და ძმისწულთასა.

მარტის 6-სა ჩამოვიდა ძმა თქვენი სოლომონ ჩემთან, ივანეს სანაბავად², რომელმანცა მომითხრა ყოველივე მშვიდობა და სასაოება. ძმანი, რძალნი, ძმისწულნი და ყოველნი ნათესავნი თქვენნი მშვიდობით და სიმრთელით იმყოფებიან. იოანე, ძმისწული თქვენი, ტფილისის ღიმნაზიაში მივაბარე, სწავლობს კეთილად, გარდა მისსა, მე

შინ ვასწავლი. შინელი შეგუჟერე და საჭირონი ყოველნი სწავლისა-
თვის წიგნი მოვეუჟარე.

აჰა, მიზეზი სიღნაღისა სასწავლებელსა შინა მიუბარებლობა [ისა]:
მასწავლებელმან მის სასწავლებლისამან მთხოვა ასი ოქრო წელიწად-
ში, ე. ი. ასოცი თუმანი ასიგნაცია. მე ნაკლებ ფასად არავის მივიბა-
რებო. ყოველს წელიწადს რომ ეძლიოს ასოცი თუმანი, შეუძლებელ
არს ჩვენგან, ამის გამო აქავე მივაბარე და თვით ფეოლოროვნა³ და
მე ვასწავლით საკუთრადცა, ხოლო ძმა ამისი მიხეილ⁴, ფრიალ მცირე-
წლოვანი არის, ექვსი წლისა არის, შეუძლებელი არს ჯერეთ მისი
სწავლის დაწყება, არა რომელს სასწავლებელში ექვსის წლისას არ
მიიღებენ. ყოველნივე მიებარებიან რვიდან თორმეტ წლამდინ. მარ-
თალია მე წარსულს ავთრათში მოგახსენე, რომ ჩამოიყუანს ძმა თქვე-
ნი სოლომონ, გარნა ახლა ჩამოვიდა და მითხრა ესრეთ: მცირე არისო
და დედას ვერ მოჰშორდებო, მერვე წელიწადში როდესაც გადად-
გება, მიუცილებლად ჩამოგვერიო. მე თანახმა მისი შევიქმენ. მართა-
ლიც არის, ვითარცა ამტკიცებენ სხვანიცა ყოველნივე მსწავლულნი.
თქვენც, საყუარელო მამო, თანხმა შეიქმნებით, რომელ ესრეთს მცი-
რეწლოვანსა არ უნდა დააწყებინონ სწავლა, თვით თქვენ უწყით მი-
ზეზი ამისი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომელ მიხეილ, ძმას-
წული თქვენი, შეწევნითა ღვთისათა, განსწავლულ იქნების ყოველიდა
სწავლითა, უმჯობეს ჩემსა და სხუათა. ნურაოდეს წარმოიბდგენთ,
რომელ მე არა ვგრძნობდე კეთილობათა თქვენთა და მზრუნველობათა,
მიუცილებლად აღვასრულებ ყოველსა აღთქმასა ჩემსა, უკეთუ შემ-
წე მექმნას მეუფე დიდებისა. რაოდენიცა შეიძლება ჩემგან, დავზოგ
მეცადინეობასა შინა არა რომელსა ღონისძიებასა კეთილობათათვის
მათდა უმეტესად, რომელთაგან მე ვარ ესრეთსავე მდგომარეობასა
შინა.

ავთრათთა თქვენთა მოუთმენლად მოველი ყოველსა დღესა, ვი-
ნაიდგან ივინი სულსა ჩემსა მწყურვალესა ჰზრდიან მანანითა — გი-
ლითა.

წარსრულთა ავთრათთა შინა ჩემთა გთხოვე სახელნი თქვენთა
თხზულებათანი და სხუათაცა წიგნთა ქართულსა ენასა ზედა თხზულთა,
რომელნიცა საჭირონი არიან ჩემთვის ისტორიასა შინა ქართველთა
მწერალთასა და საკუთრად ისტორიასა შინა თქვენსა. ეგრეთვე იუ[ვ]-
ნენ სხვანიცა ვედრნი, მიბრძანეთ ვითარ ინებეთ.

მე, თქვენის ლოცვით, მშვიდობით გახლავართ სახლობითურთ.
თქვენი სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი.

1831 წელსა, მარტის 14 დღესა.

ქრისტე აღზდგა! თქვენო მაღალ ღირსებაე
 მღვდელ-მოძღვარო, მამაო იონა,
 უუმოწყალესო ხელმწიფევი! ¹

იშოვეს და ამიტომ გაზეთის გამოცემა არ დამიწყია. იმავე წელიწადს
ისინი ჩამაცივდნენ, რათა მოვამზადო წერილები, უთუოდ 900-ზე მეტ
ხელისმომწერს ვიშოვითო. ისინი ცდილობდნენ სამშობლოს სიყვარუ-
ლის გავრცელებას და მეც ამის მოხარული ვიყავი, ჯერ ერთი, იმიტომ,
რომ ეს ჩემი თანამემამულეებისათვის სასარგებლოდ მიმაჩნდა, მეორეც
იმიტომ, რომ ვფიქრობდი გამოვასწორებდი ჩემს უმწეო მდგომარეო-
ბას, რადგან ჩემს ჯამაგირს მუდამ წინასწარ ვართმევდი ოჯახის გამო-
საკეებად. გენერალ-მაიორმა თავადმა ჭავჭავაძემაც აღმითქვა დახმარე-
ბა და ხელისშეწყობა, და თუმცა დავიწყე გაზეთის გამოცემა, მაგრამ
რადგანაც ხელისმომწერლები ვერ ვიშოვე, ამიტომ ხელი ავიღე. გამოვ-
ცემდი 1832 წელს.

იმა წლის მაისში თავად ელიზბარ ერისთოვმა მიმიწვია თავისთან
სადილად. მასთან იყვნენ სადილზე: მისი ძმა თავადი დიმიტრი და თა-
ვადი ვიორგი ერისთოვები, თავადები ალექსანდრე და ვახტანგ ორბე-
ლიანოვები, თავადი დავით ჭორჯაძე, სოლომონ რაზმაძე, მამაციოვი,
ყიფიანოვი და ავთანდილოვი. რამე განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი
მე იქ არა გამიგონია რა, იმის მეტი, რომ ვლაპარაკობდით ქართველთა
სიამავეზე. მე მიკვირებდნენ, რომ გაზეთებში მთავრობის წინააღმდეგ
ვბეჭდავ. თუ გაიგეს, ცუდად იქნება შენი საქმეო. მე ვუპასუხებდი,
რომ აქ საწინააღმდეგო არაფერია და თუ არის, ჩემი ბრალი არ არის.
სანკოვსკი განიხილავს ხოლმე მეტიქი. სადილზე კახურის მერე, შამპა-
ნურით დავლიეთ იმათი სადღეგრძელო, ვისაც თავისუფლება სურს...

მეორე ჯერზე მე მთხოვეს გავისეირნოთო და ყველა ზემოხსენებუ-
ლი პირი წავედით ახალშენში. იქიდან კი ორთაბუალის ბაღებში, საიდა-
ნაც თავად ელიზბარ ერისთოვთან მივედით ჩაიზე. მაშინ თავადმა აფ-
ხაზოვმა მეორე დღეს ვახშამზე დაიბატოთა ისინი. მაგრამ რადგანაც
მისი დედა ავად იყო, ამიტომ ვახშამი ჩემ ბინაზე გაიმართა. იქ იყვნენ

ყველანი, გარდა ელიზბარ ერისთოვისა. აქ წავეყითხე შეგირდ მაჩაბლოვის თხზულება, ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ შეგვედგინა საზოგადოება, შეგვეგროვებინა თანხა და შემოწირულება თავადთაგან. ეს თანხა უნდა მოგვეხმარებინა ღარიბი მოწაფეების აღსაზრდელად, უნდა შეგვეძინა სტამბა. ერთი სიტყვით, უნდა მოგვეხმარებინა კეთილ საქმეზე... იმავე თვეში მითხრეს, რომ ისინი შეიკრიბებოდნენ საღამოს თავად იასე ფალავანდოვთან. იქ რომ მივედი, შევეყითხე თავად ალექსანდრე ორბელიანოვს: ვიყილო თუ არა ზონარგაყრილი წიგნაკი მეთქი. მიპასუხა: იყიდეო და რომ ვინმე სთხოვდეს ეგზარხოსს ამ მიზნით, მაშინ ყველანი ხალისით გაიღებდნენ შემოწირულებასო. სხვა რა საუბარი იყო იქ, მე არ ვიცი, რადგან გვიან მივედი და ადრე წამოვედი.

ამ საზოგადოების შესახებ ოქტომბერში ველაპარაკე ჩემს უფროსს გიმნაზიის დირექტორს გრუბერს და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ არ მოვტყუვდებოდი, რადგან მრავალჯერ ყოფილა ამანე საუბარი და ყოველი მათგანი მარწმუნებდა, რომ თავის თანამემამულეთა საკეთილდღეოდ შესწირავდა 100, 200, 300 მანეთს ვერცხლით. ხოლო დირექტორმა კი ორდერი აღმიტქა, თუ ავაშენებდი სახლს სამაზრო სკოლისათვის, ან სხვა რამეს.

ველაპარაკე ამავე საზოგადოებაზე ბიბლიოთეკარ კოტოვს, რომელმაც მთხოვა ვცდილიყავ შემეძინა მისგან ბიბლიოთეკა და მეც აღევუთქვი, ვეცდები მეთქი. შემდეგ ვთხოვე თავად აფხაზოვს დამხმარებოდა ამ საქმეში, რათა ჩემი უფროსის წინაშე ცრუბენტელად არ გამოვსულიყავ, რომელსაც წინათ ველაპარაკე. მან აღმიტქვა, მაგრამ მომატყუა...

ვახტანგ ორბელიანოვმაც მითხრა, რომ ელიზბარ ერისთოვს ვუგინებთ ვართ და მოკვლას გვიპირებს. მე ვუპასუხე: უთხარით მას, რომ იგი თავისი გლეხებით მოვიდეს ჩემთან, ოღონდ ამ საქმეზე ხელი აილოს მეთქი. შენ ხომ კახეთის აჯანყებას გვიპირდებოდიო, ჰო და ახლა კი უარს ამბობო. მე ვუპასუხე: რომელი კახეთის მმართველი მნახეთ მეთქი? მე არაფერი არც შემიძლიან და არც მინდა გავაკეთო მეთქი. მერე მივეუბრუნდი თავად გიორგი ერისთოვს და ვუთხარი, რას შვრებით, იღებთ თუ არა ხელს ამ საქმეზე მეთქი? მან მიპასუხა: მე მზად ვარ ხელი ავიღო. მაგრამ თავადი ელიზბარ ერისთოვი და იასე ფალავანდოვი ჯავრობენო.

იმ დღიდან მე უკვე მონაწილეობა აღარ მიმიღია და არ ვიცი რა განკარგულებები იყო მათ მიერ მოხდენილი, ჩემთვის არავის უთქვამს...!

1 ცსსა, ფონდი 1457, რკ. 6, გვ. 976—986, გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შექმულება, ტ. 2, გვ. 205—212.

83. კითხვითი პუნქტი ბატონ მასწავლებელ სოლომონ დოდაევს: თქვენ ეკითხებოდით მღვდელ ეფრემს ცნობებს საქართველოს შესახებ თქვენს მიერ საგანგებოდ ჩამოწერილი კითხვების მიხედვით და მან თქვენ მოგცათ აფხაზოვის სახლში სიტყვიერი პასუხები, რომლებიც თქვენ მისივე კარნახით იქვე ჩაიწერეთ,

განმარტეთ, სახელდობრ, რა კითხვები იყო და რა მიზნით გინდოდათ ეს ცნობები?

პ ა ს უ ხ ი. ბიბლიოთეკარ კოტოვის დავალებით ვაგროვებდი ცნობებს სოფლად არსებულ ძველ ზნეჩვეულებათა შესახებ, საქართველოს სხვადასხვა სიძველეებზე და ერეკლეს მეფობაში მომხდარი ამბების შესახებ კოტოვის მიერ გამოცემული ალმანახისათვის. ვაგროვებდი აგრეთვე ცნობებს ეკლესიებისა და მონასტრების შესახებ, ვეკითხებოდი მღვდელ ეფრემ ალექსიევს ზოგიერთ სხვა რამეზეც. ყველა კითხვა არ მახსოვს, რადგან 200-მდე იყო. უმთავრესი, რასაც ვეკითხებოდი მღვდელ ეფრემს, შემდეგი იყო:

1. როდის არის აშენებული წმ. დავითის ეკლესია და როდის არის მისი დღეობა.

2. ანჩისხატის ეკლესიას რატომ ეწოდება ანჩისხატისა?

3. სომხები დადიან ქართველების ეკლესიაში, ქართველები კი რატომ არ დადიან სომხების ეკლესიაში?

4. როდის მიიღო ერეკლე მეფემ ცნობა, რომ ალა-მაჰმად-ხანი საქართველოზე გამოლაშქრებას აპირებსო?

5. რამდენმა დღემ განვლო მის მოსვლამდე?

6. სად შეეყარა მეფე მას?

7. როდის იქნა თბილისი აღებული, სად შეაფარა მეფემ თავი?

8. როგორი იყო მეფის სასახლე ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებამდე?

9. რამდენ ნაწილად იყოფოდა თბილისი და თვითეულ ნაწილს რა ეწოდებოდა?

10. რა ზნე-ჩვეულებებს იცავდნენ ქართველები ძველად ნიშნობა-ქორწილის დროს?

თუ ნებავს კომისიას, შეუძლიან მიიღოს ყველა ცნობები, რომლებიც ინახება ბატონ კოტოვთან.

მასწავლებელი სოლომონ დოდაევი¹

81. კომისიის ბრძანებით მაქვს პატივი განემარტო შემდეგი: ბაგრატ ბატონიშვილის დახმარებით მე ვსწავლობდი ს. პეტერბურგის უნივერ-

¹ ცსსა, ფ. 1457, რ. მ-10, გვ. 1125, გ. გოზალიშვილი, დას. წიგნი, ტ. 2, გვ. 423.

სიტუტში. იგი ზოგჯერ ოცნებობდა საქართველოზე და მეუბნებოდა ხოლმე: შენ ბედნიერი იქნებოდი ჩემ შვილებს რომ ოდესმე ღირსებოდათ საქართველოს მიღებაო. ექვს გარეშეა, რომ ყოველი ბატონიშვილი ოცნებობდა და ოცნებობს როდისმე, მიიღოს საქართველო. საქმით კი მე სრულებით არა ვიცი რა. მისი შვილი დავითი 1827 წელს მეექვსე წელში იყო და იმყოფებოდა რუს ძიძასთან. მან ჯერ არ იცოდა ქართულად არც ლაპარაკი და არც წერა-კითხვა. წერილი, რომელშიც იხსენიება დავითი, არ მახსოვს, შესაძლებელია რომელიმე შემთხვევის გამო, — იქნება მისი დაბადების დღეს დავწერე, მისი მშობლის საამებლად.

შემდეგი გარემოება, ვფიქრობ, უფრო ქეშმარიტი უნდა იყოს: მე ის ალბათ გადმოვწერე იერომონახ იონასთან. საქართველოდან რეჟიტორად წოდებული დავით ალექსიევის მიერ დავით ბატონიშვილისათვის გამოგზავნილი წერილიდან. ამ ორივეს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ამის აქ გაგება შეიძლება თავად დიმიტრი ორბელიანოვისა და ალექსიევის მცნობ სხვა პირთაგან, ს. პეტერბურგში კი იერომონახ იონასაგან. შეიძლება მას ის წერილი შემონახულიც ჰქონდეს. რილევის წერილი გადმოვწერე ს. პეტერბურგში სტუდენტ კრუპსკისაგან 1826 წელს.

ალექსანდრე ჩოლოყაივის წერილი კი საქმიანს არაფერს შეიცავს. გამახსენებს მხოლოდ თავის ცელქობასა და ხუმრობას. ახსენებს ოქროპირსაც და სოლომონ რაზმაძეს. მე მასთან შეთქმულობის გამო არავითარი საქმე არა მქონია. ოქროპირ ბატონიშვილის აზრის შესახებ საქართველოს რუსებისაგან განთავისუფლებაზე მე არავითარი წარმოდგენა არა მქონია. მისი საუბარი და შთაგონება ჩემი იცის კომისიამ.

1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვი და მთხოვეს დამეწერა აღმგზნები წერილები გაზეთში დასაბეჭდად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე ზეგავლენა მოეხდინათ. ჩემს პასუხზე, რომ ამ საქმეს ხუმრობა არ გამოადგება-მეთქი, თავადმა ელიზბარ ერისთავმა თქვა, როცა ხანჯლით მოგადგებით, მაშინ უარს ველარ იტყვიო. შენი საქმეა სწეროო. მაშინ მე დავწერე სიტყვა (реш), რომელიც ალექსანდრე ორბელიანოვმა მთხოვა, მაგრამ არ მივეცი. ლექსი კი ყოველგვარი მიზნის გარეშე დავწერე. მაისის თვე არაფერს არ ნიშნავს.

იოანე ბატონიშვილის ხელით დაწერილი ლექსი ვიპოვე ერთ წიგნში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ იონა ბერ-მონაზონმა გადმომიგზავნა.

გრიგოლ ორბელიანოვის მიერ თარგმნილი ლექსი, რუსულთან ერთად მომიტანა ელიზბარ ერისთავმა და ჩემთან დატოვა გადასათვალისწინებლად. მისი დაბეჭდვა არ უთხოვია. გასულ 1832 წელს თავადებმა

მთხოვეს სოკლამაციის დაწერა, მაგრამ მაშინ არ დაძინებია. და საერთოდ, იმ წელს ხელი ავიღე ყოველგვარ დამღუპველ საქმეზე.

მასწავლებელი სოლომონ დოდაევი.

82. შეკითხვა: თქვენს ჩვენებებში თქვენ მოიხსენიეთ შეგიძლევთ მაჩაბელოვის (დავითის) თხზულება, რომელიც წაკითხული იყო ანტონ აბხაზის ოჯახში ვახშამზე. განმარტეთ რა თხზულება იყო იგი, რა შინაარსი ჰქონდა და ხომ არ შეიცავდა რაიმე დაუშვებელს?

პასუხი: თ. ანტონ აფხაზოვის სახლში წაკითხული შეგიძლევთ დავით მაჩაბელოვის თხზულება შეიცავდა ძველ დროთა ადათ-ჩვეულებების შედარებას. მასში გადმოცემულია ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორია. შეიცავდა აგრეთვე ლექსს სახელწოდებით „თოვლი“. რაიმე გასაკიცხი მე მათში არა შემიმჩნევია რა.

მასწავლებელი სოლომონ დოდაევი.

83. ...როდესაც სოვეტნიკმა ორბელიანოვმა გამომიცხადა შეთქმულებაზე, იასე ფალავანდოვზე მეუბნებოდა, რომ ის ბევრს ფიქრობს საქართველოს განთავისუფლებაზე. ერთხელ მან წამიყვანა მასთან, რაც უკვე მოეხსენება კომისიას. ეს იყო 1830 წლის დეკემბერში, იმიტომ რომ მე დავდიოდი მათთან ხელის მომწერლების საშოვნელად, რაც მე მათ აღმითქვეს 1831 წლისათვის. მესამედ სოვეტნიკ ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ იასე ფალავანდოვი საკვირველი ადამიანიაო. რაზე ამბობდა იგი ამას, მე არ ვიცი. სოვეტნიკთან 1831 წელს მე არც ერთხელ არ მინახავს ფალავანდოვი. 1832 წელს მე თვითონ ძალიან იშვიათად მიხდებოდა სოვეტნიკ ორბელიანოვთან ყოფნა, რადგან ქალაქიდან შორს ვცხოვრობდი. ხოლო სამსახურიდან თავისუფალ დროს ვანდომებდი საქართველოს ისტორიის გადათარგმნას ბატონ სანკოვსკისათვის და გრამატიკის გამოცემას.

მასწავლებელი სოლომონ დოდაევი.

84. ...ამ წლის ივნისის ბოლოს თავადმა ელიზბარ ერისთავმა ავთანდილოვის საშუალებით სხვებთან ერთად მეც დამპატიოა სადილზე თავისთან. ის მაშინ ცხოვრობდა თავისი სიძის კოლეგიის მრჩევლის მელნიკოვის სახლში. მე ჯერ ავთანდილოვს შეუარე, შემდეგ ვახტანგ ორბელიანს და სამნი წავედით ელიზბართან, სადაც დაგვხვდნენ ზემოხსენებული სოლომონ რაზმაძე, დოდაევი, და ელიზბარის ძმა, არტილერიის

¹ ფ. 1457, გვ. 1893.

² იგივე ფონდი, რვ. 12, გვ. 2152. გ. გოზალიშვილის წიგნი, ტ. 2, გვ. 474.

³ საქ. ცსსა ფ. 1457, გვ. 23, გვ. 4524.

პროპორშიკი — დიმიტრი. შემდეგ ჩქარა მოვიდნენ ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი პირველი. ელიზბარმა გამაცნო თავის ძმას. რათა სტუმრები რამეთი გაერთო, ვთხოვეთ წაგვეციოთხა რაზმადის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილი ადამ მიცკევიჩის „ფარისი“. კითხვის დამთავრების შემდეგ მიმართავენ დოდაევის და განსაკუთრებით კი ელიზბარი ეუბნება მას სიცილით: „როგორ გაბედე შენ დაგებეჭდა შენს ეურნალებში ასეთი სტატიები, რის გამო სხვა ეურნალისტს სამართალში მისცემდნენ?“

დოდაევი: რაშია საქმე?

ელიზბარი: აი, მაგალითად, ბიძაჩემის ბატონი სენატორის ლექსები. ისინი რომ გავარჩიეთ, ხომ იცით?

დოდაევი: არაფერია, სანკოესკიმ განიხილა, ჩემი რა საქმეა.

ელიზბარი: ან-და აი, კიდევ: ამ ახალგაზრდა პოეტის პოემა (მიუთითებს გიორგი ერისთავზე 1-ზე).

ელიზბარი: არა, შენ ასე დასწერ.

რაზმაძე: ხუმრობა იქით იყოს. მაგან საკმაოდ თამამად დაწერა. ეს, ბატონო, ხუმრობა არაა.

ელიზბარი: აბა, ერთი წაიკითხე.

აქ გიორგი ერისთავმა 1-მა წაიკითხა ნაწყვეტები ოსური მოთხრობისა, რომელიც იბეჭდებოდა სოლომონ დოდაევის მიერ გამოცემულ ქართულ ეურნალებში, ზეპირად წაიკითხა ერთი ადგილი, სადაც საკმაოდ ძლიერ იყო ნათქვამი და რომელსაც აკრიტიკებდნენ. შეწყვიტეს რა ამ პოეტების გაბედულების გაკიცხვა როგორც ახალგაზრდის, ისე ხნიერისა, გაგზავნეს ექსპედიციის მთარგმნელის მოსაყვანად...¹

85. ...1831 წელს კიკნაძე მწერდა წერილს, სადაც მთხოვდა, რომ მეცადა მისი დანიშვნა საღვთო სჯულის მასწავლებლად თელავის სასწავლებელში, ან სადმე სხვაგან. შარშან კი პირველად მწერდა იმის შესახებ, რომ მისთვის გაზეთები გამეგზავნა, მეორედ მთხოვდა შემეტყობინებინა მისთვის, თუ რა დაჯდებოდა ტიპოგრაფიაში ერთი თაბახი.

მგონი მე მხოლოდ ერთხელ ვუპასუხე...²

86. ...1831 წელს ჩემთან მოვიდნენ თავადები ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს დამეწერა აღმგზნები სიტყვები გაზეთებში დასაბეჭდად, აგრეთვე სხვა ნაშრომები, რომლებიც იმომქმედებდნენ მკითხველთა გონებაზე. ჩემს პასუხზე, რომ ასეთ საქმეში

¹ ცსსა, ფ. 1457, რკ. 1, გვ. 62. ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 344. თარგმანი ჩვენია. თ. კ.

² ცსსა, ფონდი, 1457, რკ. მე-3, გვ. 508—511. ან ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ. 1961, გვ. 345, თარგმანი რუსულიდან ჩვენია, თ. კ.

ხუმრობა არ ვარგა; თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მიპასუხა: როცა შენ ხანჯლით მოგადგებით, მაშინაც უარს იტყვი? შენი საქმეა წერო...!

1638 წლის ბოლოს დეკემბერში თავადმა ელიზბარ ერისთოვმა შემდეგი გამოცხადება: „მე შენ გიშოვი ხელის მომწერლებს, შენ კი ღაწყვე გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა...“²

87. ...მეორე წერილი გავგზავნე მასთანვე³ ფოსტის საშუალებით დაბეჭდილი განცხადებით 1831 წლის გაზეთების გამოცემის შესახებ. ამ წერილში არ იყო არაფერი მინახვედრი ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ. მე მხოლოდ ვთხოვდი მას და მოსკოვში ყველა ქართველს ხელი მოეწერათ და გამოეგზავნათ თავისი თხზულებები გაზეთებში გამოსაქვეყნებლად⁴.

88. ...Кикнадзе ко мне писал в 1831 году, в коем просил постараться о его определении в Телавском училище или где-нибудь в другом законоучителем. В прошлом же году первый раз писал послать к нему газеты, другой раз просил уведомить, что будет стоить в типографии печатный лист.

Кажется я один только раз отвечал...⁵

89. В продолжении двух лет разговор имели издавать газеты, образовать грузин, найти сотрудников⁶.

90. Хотя я начал издавать, но увидев, что нет подписчиков, прекратил издание газет. Издавал в 1832 году⁷.

91. 1832 წ. 11 დეკემბერი. (1—17—25).

თ. აბხაზოვმა, მართალია, მოიწვია ჩემს სახლში ყველა ეს პირნი. ყველა ესენი ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა მოეგონათ კეთილი საქმე საქართველოსათვის, მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებია შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებს. წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები და სხვა თხზულებები მოწაფე-მაჩაბელოვისა და ვთხოვე იმ თავადებს, ეგების როგორმე იმდენი მოგვეგროვებია, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა. ისინი ყველანი დამეთანხმნენ. ამის შემდეგ იყო სხვა საუბარი, რომ დაწესებულებაში იშვიათად წყვე-

¹ ცსსა, ფ. 1457, რკ. 11, გვ. 1894. ს. დოდაშვილი, თხზ., გვ. 351.

² ცსსა, ფ. 1457, რკ. 11, გვ. 1939. ს. დოდაშვილი, თხზ., გვ. 351.

³ იგ. ოქროპირ ბატონიშვილი.

⁴ იგვე ფონდი, გვ. 1980. გ. გოზალიშვილი, დას. თხზ., ტ. 1, გვ. 430. ს. დოდაშვილი, თხზ. 23. 351.

⁵ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 345.

⁶ იქვე, გვ. 348.

⁷ იქვე.

ტენ საქმეს და დიდი დაგვიანებით. თ. ალ. ორბელიანოვი განაგრძობდა: რასაც ჩვენ აქ ვიტყვით, ჩვენ შორის უნდა დარჩეს. ის ეკითხებოდა თ. აფხაზს, როგორ გამოგვეჩინა საშუალება. აქ ყველამ თქვეს—ერთი საშუალებაა განათლება. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ადგილებს ქართველები დაიჭერენ, საქმეს უკეთ შეიგნებენ და იქნება ნეტარებაო.¹ თ. ლ. ორბელიანოვმა უთხრა თ. აფხაზოვს: რუსები რომ არ იყვნენ, უკეთესი იქნებოდაო, თ. აფხაზოვმა უპასუხა: როგორ შეიძლება, რომ ისინი არ იყვნენო, ილაპარაკეს შევიწროებაზე, ამაზე მე უთხარი, რომ თავდაზნაურობას ყავს წინამძღოლები, მათ აქვთ უფლება აცნობონ ან ხელმწიფე იმპერატორს ან უზენაეს მმართველობას. მათ მიპასუხეს: წინამძღოლები გაუნათლებელი არიან, ამიტომ განათლება უნდა მიეცეთ შვილებს, რომლებიც შემდეგში გამოადგებიან თავის თავსაც და სამშობლოსაცო.

მთავარი ჩემი განზრახვა და ერთადერთი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ შემეკრიბა თავადები და მეთხოვა შემოწირულება სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოების გასამრავლებლად, მაგრამ ბოლოს დავინახე, რა, რომ მათი საუბარი ამ საგანს ასცდა,—თავი დავანებე. ამის შესახებ მე ველაპარაკე ჩემს უფროსს დირექტორს ბატონ ევარესტ გრუბერს. მე და მღვ. ეფრემ ალექსეევი ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ჩვენი თავადები არ გრძნობენ რუსეთის მთავრობის კეთილ განწყობილებას, რომ ისინი ჩივიან რაღაც სხვაზე, რომ ისინი უზრუნველყოფილნი არ არიან, რომ ერთმანეთს შორის დავა აქვთ გამართული და სხვა. ამის შესახებ ველაპარაკე აგრეთვე ი. ფალავანდოვს, რომ მეც მხოლოდ ჩემ ოჯახზე ვიფიქრებ, — რაც მე არ მწადდა, ვერ გამიგეს, ამიტომ არ მინდა არავისთან არავითარი საქმის დაჭერა...

ნასწავლებელი სოლომონ დოდაევი¹.

№ 2. 16 დეკემბერი, 1832 წ. (1, 101, 106).

„... მე ნახევარი საათის შემდეგ აქვე დავბრუნდი და წავედი საყვეში, სადაც ვივხამშმეთ. ვახშამზე ეკითხებოდნენ თ. ჩოლოყაევს მისი სამსახურისა და ლაშქრობის შესახებ და ბოლოს ჰკითხეს რჩევა, თუ როგორ მოქცეულიყავით, რომ ჩვენ გესურს ვიყოთ რუსებისაგან დამოუკიდებელი. მე წინადაც გამიგონია ამგვარი საუბარი თ. ალ. ორბელიანისაგან, ი. ფალავანდოვისა და ელ. ერისთავისაგან, მაგრამ მე ამას მათ სულმოკლეობას მივაწერდი, რამდენ რამეს იტყვის ადამიანი უსაფუძვლოდ და ამას უყურებდი როგორც ზერელე ამბავს. თ. ჩოლო-

¹ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 140—143.

ყაევმა უპასუხა მოვიფიქრებო, თან ცდილობდა თავიდან აეცილებინა ისინი. ამის შემდეგ, როდისღაც საღამოს ჟამს თ. ალ. ორბელიანმა და მიბარა და მეც წავედი მასთან, სადაც დამხვდნენ თ. ჩოლოყაევი და ბევრნი სხვები. აქ ალ. ორბელიანის ძმამ ვახტანგმა დაიყვირა: „აი ერთს ბ. დოდაევს მთელი კახეთის გამოყვანა შეუძლიაო“. მეც ვუპასუხე: „თუ გინდა კაცს გავგზავნი და ხვალ მთელი კახეთი აქ იქნება“. მე ეს ვთქვი სრულიად უაზროდ, ხუმრობით, თვითონვე მეცინებოდა, ვინ იფიქრებდა, რომ ისინი იმდენად სულელები არიან, რომ ამას დაიჯერებდნენ, რა დიდი კაცია დოდაევი, რომ მას ფიქრად მოუვიდეს ძღვევამოსილი რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა...

გიმნაზიის მასწავლებელი სოლომონ დოდაევი¹.

¹ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I. გვ. 179: ამის შემდეგ ყველგან ეს წიგნი იქნება ციტირებული.

ი. სოლომონ დოღაშვილის სოციალურ-კოლბიკური შეხედულება

83. დოღაშვილის პროლაპია

ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა. აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. ჩვენი ხმა და სახელი, მხნობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულულ იყო და დამხობილ მათგან. ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა? რაისათვის არს ესე ესრეთ? ნუ უკუე ჩვენ არა ვართ შეიღნი მამა-პაპათა ჩვენთანნი?! ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?

84. დოღაშვილის იურიდიული შეხედულება

კომისიის ბრძანებით იმ შევიწროებათა შესახებ, რაც მე გამიგონია, პატივი მაქვს შემდეგი მოვახსენო:

1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეებს ძალიან ნელა არჩევენ, არ უყურებენ ხალხის ხასიათსა და ადათ ზნე-ჩვეულებებს, კანონებს უკუღმართად მარტავენ და საქმეები უსამართლოდ წყდება.

2. ამ დაწესებულებებში საქმეები წყდება მხოლოდ ქალაღღზე და ამას საქმის გადაწყვეტას ეძახიან, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე კმაყოფილი რჩება.

3. წუთიერი და უმნიშვნელო საქმის დაწერაც საღერბო ქალაღღზეა ნაბრძანები.

¹ საქ. სსა, ფონდი 1457, რე. 10, გვ. 1839, : იხ. აგრეთვე გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, ტფ., 1935, გვ. 95—96 .

4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად გადაწყდეს და ძალიან სწრაფადაც, ნაბრძანებია მაინც სასამართლოში შეიტანონ, სადაც დიდხანს ჰიანურდება.

5. მომჩივანთაგან როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე ხარჯავს გაცილებით იმაზე მეტს, რაც საქმე უღირს, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ საქმეს არავენ მოისმენს და არ გაარჩევს.

6. ძალიან პატიოსანი და ყველასაგან პატივცემული კაცი ხშირად ისჯება, თუ როგორმე მოუხდა დანაშაულის ჩადენა. ეს კი ძალიან ხშირად ხდება გულუბრყვილობით, კანონების უცოდინარობით და ქართველის კაცის მხიარულის ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფლად ლაპარაკი, რითაც შეიძლება არაენს ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, რასაც სასჯელი მოსდევს. უკეთეს შეწყალება მიიღო, საზოგადოების მიერ მისი არჩევა აკრძალულია. აი რა არის მათი საჩივარი. ხშირად უდანაშაულოდაც ისჯება კაცი.

მაგალითად, ერთი საწყალი მოხუცი ქალი, რომელიც სოფელში მამაჩემის მეზობლად ცხოვრობს, 1813 წლიდან წვალობს თავისი ძროხების შესახებ, რომლებიც გაურეკია იქაურსავე მცხოვრებს, რადგანაც მისთვის არ გადაუხდია ვალი ოთხი თუმანი ერთ გლეხს, რომლის ნახირიც ამ ბებრის ძროხებთან იყო. ძროხების რიცხვი ოცდახუთამდეა, როგორც თვითონ ამბობდა. დღემდე ვერ მიიღო დაკმაყოფილება ოლქის უფროსებისაგან.

ერთმა გლეხმა ვინმე ავალოვმა 1817 წ. აღმასრულებელ ექსპედიციაში შეიტანა თხოვნა 180 მანეთის შესახებ და იქიდან მოკიდებული მოიძალა სიარულით და პასუხი რომ ვერ მიიღო. შარშან მოვიდა ჩემთან და თ. პოლკოვნიკ ანდრონიკოვის თხოვნით მივიღე ჩემს თავზე მინდობილობა და შევიტანე განცხადება იმ ექსპედიციაში, რომელმაც მიპასუხა, რომ ამა და ამ დროს ამის შესახებ სასამართლოს მივწერეთ და ამიტომ მთხოვნელმა მას უნდა მიმართოსო. მე მივმართე, მაგრამ სულ მიპასუხებდნენ, დღეს არ გვეცალიან, ხვალ მოდითო. ბოლოს მივხვდი, რომ ეს ხვალ ნიშნავდა არასოდეს. მე ისევ აღმასრულებელ ექსპედიციაში მივედი და ვთხოვე ექსპედიციას როგორც უმაღლეს დაწესებულებას შეუძლიან და მოვალეც არის მისწეროს (სასამართლოს), თუ რატომ აქამდე არ დასრულდა ეს საქმე მეთქი. მან მგონია მისწერა, მაგრამ ღმერთმა უწყის, როდის გათავდება.

მზგავსი საქმეები უამრავია. ეს მეტად უძძიმს მოსახლეობას და ხშირად ჩივიან, ზოგნი სიღარიბისა და ენის უცოდინარობის გამო თავის უფლებებზე სრულებით ხელს იღებენ.

რასაკვირველია, უმაღლეს მმართველობას ეს არ ეცოდინება, თუ როგორ ავიწროებენ ხალხს, რადგანაც ვერ ჰბედავენ თავისი საჩივრების მოხსენებით შეაწუხონ უმაღლესი მმართველობა. ერთი სიტყვით,

ქართველთა მთელი საჩივარი დამყარებულია მათს სახელმწიფო დაწესებულებებში შევიწროებაზე. ამის შესამსუბუქებელი საშუალებები შემდეგია: ეს მხედველობაში აქვს უმაღლეს მმართველობას, მაგრამ შესაძლებელია თუ არა, მე არ ვიცი.

სასამართლოებში უნდა იყოს არჩეული ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ხალხს. რასაკვირველია, ისინი უნდა იყვნენ მიუდგომელნი და კეთილნი და საქმეები რაც შეიძლება მეტად სიტყვიერად უნდა გაარჩიონ.

გლეხის მთელი სიხარული იმაში მდგომარეობს, რომ მოუსმინონ მას და სასამართლოს გარეშე შეარიგონ მოძივანნი, ანდა თუ დამნაშავეის დასჯაა საჭირო, დაისაჯოს, მაგრამ სასამართლოს ნუ გადაეცემა: სასამართლო საშინელი ტვირთია ამ გრძნობიერ და შეიძლება ითქვას, კეთილი დ გულწრფელი ხალხისათვის¹.

95. ...მე არასოდეს არა მქონია ღალატის განზრახვა, არც მსურდა იგი და არც არავინ წამიქეზებია. ორი წლის განმავლობაში იმაზე იყო ლაპარაკი, რომ გამოგვეცა გაზეთები. გაგვენათლებინა ქართველობა, გვეშოვნა თანამშრომელნი და ხელისმომწერნი. ამასობაში გამოითქმოდა ხოლმე სურვილი, რა კარგი იქნებოდა, რომ საქართველო ცალკე სახელმწიფო იყოს, რომ რუსები არ იყვნენო, მაგრამ ამის შეუძლებლობაზე მე ხშირად ველაპარაკებოდი².

96. ბაგრატ ბატონიშვილის ძის დავითისათვის სახელწოდების დღის მილოცვა

უკეთილშობილესი სისხლი ეგე შენი აღველინების ღირსებისა ხარისხად, უკეთუ ყოველი სარწმუნოებითი კეთილი კანონი იმარხო და აღასრულო ყოველი იგი, რაიცა გასწავლოს მოძღვარმან შენმან ყოველითა გულისმოდგინებითა და სასოებითა შენითა, მიხედე ერთმოსახელესა შენსა დავითსა, რომელი უწინარეს ჩვენთა იყო კაცთა თანა და აწ არს ღვთისათანა, აღასრულე მსგავსად მისსა სჯული და სარწმუნოება, რათა მოგეცეს მადლი და შეგემოსოს ძლევა მისი.

ჰსდგე ღვთისადმი, რამეთუ იგივე უწინარესი სიხარული, იგივე ნათელი, იგივე დღესასწაულობა ჰყო ჟამსა შინა შენისა დღისა, ტირილი და გლოვა შესცვალო სიხარულად და სიბნელე ივერიისა ნათლად.

მე და ყოველნი სხვანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით მღალადებელნი და იქმნებიან მთხოვნელნი, რათა ძველათ მომდინარებულნი

¹ ცსსა, ფ. 1457, რე. მე-4, გვ. 809—812, გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ტ. 2, გვ. 177—179.

² იქვე, გ. გოზალიშვილის დას. წიგნი, გვ. 180.

მეფობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნი-სამდე.¹

97. „...1832 წელს მე სოლომონ დოდაევისაგან გავიგონე შემდე-გი სიტყვები: როდესაც მე ვაცილებდი ტფილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს, მან მითხრა: „დიად, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებას. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდო“².

98. ვახტანგ ორბელიანოვი აჩვენებს (1567), რომ თქვენ მას უთხარით, როდესაც აცილებდით ოქროპირ ბატონიშვილს, რომ მას თქვენთვის უთქვამს, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებას, რასაც იგი ხსნიდა არა სურვილით, რომ გამეფებულყო ვინმე ბაგრატიონთაგანი, არამედ რათა ჩამოყალიბებულიყო რესპუბლიკის რაღაც ფორმა. აგვიხსენით, თქვენ ნამდვილად მოისმინეთ თუ არა ეს ბატონიშვილისაგან და გადაეცით თუ არა ვახტანგ ორბელიანს?

გენერალ მაიორი ჩეკვინი.

99. ოქროპირ ბატონიშვილისაგან მე ეს არ გამიგონია და ვახტანგ ორბელიანისათვისაც არ გადამიცია. სავეტნიკ ორბელიანს კი ვუთხარი შემდეგი, რაც შეიძლება, ვახტანგმაც გაიგო: საქართველოში მეფობა არ შეუძლია არც ერთ ბაგრატიონს, ეს თუნდაც რუსეთის მთავრობამ მოისურვოს. საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლია, თუნდაც საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლება ერთსულოვნად სურდეთ მთელ ამიერკავკასიის მხარეს სპარსეთთან და თურქეთთან ერთად. ეს რუსეთის თანხმობის გარეშე ძნელია და შეუძლებელი. მაგრამ თუ თავადებს გსურთ შეიმსუბუქოთ მდგომარეობა შევიწროვებისაგან და გსურთ გყავდეთ ბატონიშვილი, თქვენ შეგიძლიათ წარუდგინოთ საჩივარი ხელმწიფე-იმპერატორს და რომელიმე ბატონიშვილს სთხოვოთ არა მეფობა, არამედ მონაწილეობა საქართველოს სამეფოს საქმეებში. მგონი დასასრულს მე ვთქვი: მაშინ გამოვიდოდა რესპუბლიკური მმართველობის სახეობა. ბატონიშვილისაგან კი ამის შესახებ მე არაფერი არ გამიგია.

მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი³.

¹ ცსსა, ფ. 1457, რკ. 10, გვ. 1836. გ. გოზალიშვილის დას. წიგნის ტ. 2, გვ. 429.—430.

² ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ც ნ ო ბ ა. იხ. ცსსა, ფონდი 1457, რკ. მე-9, გვ. 1567.

³ ცსსა, ფ. 1457, რკ. 24, გვ. 4824—4825. სოლომონ დოდაშვილი. თხზულებანი, გვ. 353—354. თარგმანი ჩვენია, თ. კ.

კ. ღოღაშვილის კოეზია

100. ლექსი „მოწოდება“

მაისის თვესა იქმნას ძახება,
გამოხატული ქართველთ უფლება.
აღვიპყრათ ხელსა მახვილი,
მრევეთა მტერთა შიში ძრეილი!

შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი,
ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი,
ვანვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,
ჩვენ მამულისა მოხრებულნი!
წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა,

ქართველნო, ხართ სადმე, თუ არა,
არავინ არ იცის, მოიგეთ გონება!¹

191. მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ-მოძღვარო, მოწყალეო იონა, უმოწყალესო ხელმწიფევ!

იქმენ ბრძენ ნათელ, ბრწყინვალე სწავლათა,
ოვბაბ წყაროო, მომფენელო კეთილთა,
ნაყოფ გამოძღებ, მეცნიერ წყურვილ-მომდინარედ.
არსთა არსებამან გყოთ სათნოებ სავსედ,
სახენი კეთილთა მომდინარებულ,
ურიცხველ ჩემდა არიან ხილულ,
ძალსა ბუნება და ზნეობა გულსა,
ღმრთისადმი აღძრავს ვედრებად თვის თქვენისა,
ვერ შემძლებელ ვარ, არა ვჰყო ცხადად,
ნუგეშ-საგრძნობელ ჩემდა მოქმედად,
იღია ჩემი მდგომარეობს მისად,
სიტყვით წარმოვადგინო თვისება თვისად,
ოღესმე იქმნას კეთილი შემამულეთა საცნობლად,
ლოცვად ზედა ჰყონ თვით ჰქმნან მსგავსად.

¹ საქ. სსა, ფონდი 1457, რვ. 10, გვ. 1834, გ. გოზალიშვილი, 1832 წლის ნეთქიმულება, ტ. I, ტფ. 1935 წ. გვ. 95: 1:

ოცად ტრიქონად მოკლედ აქ წარვსწერ,
მაშინცა ჰსცნობენ მხოლოდ სახიერ,
ოდესმე აღრიცხვენ სათნოს სახეთა.
ნადებსა თანა ვასრულებ ყოველთა დღეთა,
ამათლა ვავლენ მოლოცვასაცა,
წინაშე თქვენსა და ზემო წმიდას თხოვადცა.

სოლომონ დოდაევი,

სეკდემბრის 21-სა, 1826 წელსა, ქალაქსა პეტრე დიდისასა.¹

102. მასვე

თქვენო მაღალ ღირსებაე მოწყალეო მამაო, მოძღვარო იონა
უმოწყალესო მაკურთხეველო და მზრუნველო!

ბრძენსა უნდა ბრძნული სიტყუა,
გონებასა ზესთა აღსლუა,
ღმერთმან ინება ქვე შთამოსვლა,
კაცისა მამასთან მისლუა!
ენა ჩემი ვერ იტყვისა
ამის შესაბამს სიტყვასა,
ჰგონებს მას განკვირვებასა,
წინა უღებს ღთის მეტყველსა.²

108. იონა ხელაშვილს

ინებე, რომელი შენ-მიერ ჩემდა სულიერ-ქეშმარიტ მზისა მხილება,
ორობა მის ბრძნისა, სოფლად ჩვენება.
ნეტარი ჩვენთვის ხსნად სოფლისა-მოქმედება,
არსება უზესთაესი არს თქვენდა ყოველი უწყება
სიტყვა პირველი მამისა-თანა ერთ-ღვთაება.³

¹ სოლომონ დოდაევილი, თხზულებანი, გვ. 242.
კიდურწერილობაში აკითხება „იონას უძღვნი სოლომონ აწ.“

² სოლომონ დოდაევილი, თხზულებანი, გვ. 300.

³ ამოღებულია დოდაშვილის 1825 წლის დეკემბერში იონასადმი მიწერილი წე-
რილიდან. ამის შეს. იხ. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 236. აკროსტიხად
აკითხება „იონას“.

ლ. ახალი ახსნალები მოსკოვის, ლენინგრადის
და კიროვის არქივებიდან

1 февраль 1836 г.

Г. Вятка.

104. От столоначальника в Вятском Губернском о Земских Повинностях Комитете Соломона Додаева.

Докладная Записка

В 1832 году я представил при прошении в Тифлисской уездной суд заёмное письмо и просил о взыскании по оному должных мне княгиней Елизаветою Орбелиановой денег 370 рублей серебром учинить надлежащее распоряжение; а в 1834 году, по случаю нахождения моего здесь в г. Вятке, для хождения по означенному делу куда следует, я послал доверенное письмо на имя надворного Советника Григория Лъховского, который взыскал с княгини Орбелиановой проценты, доставил ко мне, а капитал 370 руб. серебром до сего времени остаются ещё не взысканными. Г-н же Лъховский из Тифлиса выехал в Россию.

Находясь ныне в крайне бедном положении и состоя уже около 600 рублей должным, я совершенно не нахожу средств пропитать своё семейство, как только имея в виду получение тех денег, почему высокопокорнейше прошу Ваше Превосходительство благоволить отнестись к Тамошнему Начальству о побуждении кого следует к скорейшему взысканию означенных денег и доставлению оных ко мне.

Столоначальник Соломон Додаев¹

105. Его превосходительству Губернатору Господину Действительному Статскому Советнику Кавалеру Кириллу Яковлевичу Тюфяеву.

Его Высокопревосходительству Господину... Управляющему Грузию и Закавказскими областями.

Отношение от 5 февраля за № 1547. Имею честь покорнейше просить распоряжения Вашего Высокопревосходительства о взыскании с Княгини Орбелиановой денег 370 рублей в удоволь-

¹ Госархив Кировской области, ф. 582, оп. 128, ед. хр. 259, стр. 26,

ствие служащего в Вятском Губернском о земских повинностях Комитета Столоначальника Додаева...

Убеждаясь в бедственности положения Столоначальника Додаева, просим Вашего распоряжения о взыскании с Княгини Орбеляновой денег 370 рублей с присылкою оных в Комитет для выдачи Додаеву.

21 марта 1836 г.¹

**106. МИНИСТЕРСТВО ВНУТРЕННИХ ДЕЛ, ВЯТСКИЙ ГУБЕРНСКИЙ
КОМИТЕТ ЗЕМСКИХ ПОВИННОСТЕЙ**

Канцелярия, 19 марта, 1852 года. № 147. в Вятке

**В КАНЦЕЛЯРИЮ ГОСПОДИНА ВЯТСКОГО ГРАЖДАНСКОГО
ГУБЕРНАТОРА**

Тифлисское Губернское правление отношением в Комитет Земских Повинностей, от 5 февраля сего года за № 181, изъясняет, что служащий в оном правлении Помощником Столоначальника Иван Додаев, встречая надобность в формулярном списке отца своего Соломона Додаева, служившего в Вятском Губернском Комитете Земских повинностей, просит распоряжения сего Правления о вытребовании этого списка.

Вследствие сего Тифлисское Губернское правление просит Комитет Земских Повинностей о высылке в оное засвидетельствованной копии формулярного списка и службе состоявшего в сем Комитете в 1835 году на службе Соломона Додаева.

Канцелярия Комитета Земских Повинностей, имея в виду, что при деле, вытребованном из Архива Губернского Правления, об определении Додаева Столоначальником в Комитете Земских Повинностей, не оказывается формулярного о службе его списка, а видно только из копии с постановления Вятского Губернского Правления, переданной в Комитет, что Додаев определён в оный Столоначальником, согласно словесному отзыву Бывшего тогда Гражданского Губернатора в декабре 1834 года, а прежде состоял в штате Канцелярии Гражданского Губернатора, — покорнейше просит оную не оставить, сделать справку в решённых делах прежних лет: не имеются ли каких-либо документов о службе Соломона Додаева по служению его в оной канцелярии и если есть, то не оставить присылкою оных.

Исправляющий должность Секретаря (подпись)².

Исправляющий должность Столоначальника (подпись)

¹ : Госархив Кировской области. ф. 582, оп. 128, ед. хр. 259, стр. 26.

² : Там же. ф. 582, оп. 20 «а», ед. хр. 99, стр. 290.

Справка: Господ. Министра народ. просв

Определение: Рукопись книги «Курс философии. Часть первая. Логика» на Груз. и Рус. языках препроводить в Азиатский Департамент в отделение иностранных дел и просить поручить, кому следует, рассмотреть грузинскую часть онаго сочинения и потом возвратить с уведомлением, может ли она быть дозволена к напечатанию и сосчитано по листам тем, кому будет поручено рассмотрение оной.

Подписи

8 февраля, 1827 г. В Российский Цензурный комитет.

Азиатский департамент Министерства Иностранных дел поручил состоящему при оном Переводчику Грузинского языка рассмотреть препровожденный для сего из Цензурного Комитета дело Грузинской рукописи: а. Стихотворение «Барсова кожа» и б. Первую часть нового курса философии. Российским переводом. Получив от упомянутого переводчика особья донесения о сих сочинениях, Департамент поставляет сообщить о них в списках Главному Цензурному Комитету, возвращая и самыя рукописи.

Директор (подпись)

Начальник Отдела (подпись)

Копия с Рапорта, поданного в Азиатский департамент от переводчика Грузинского языка.

По поручению сего Департамента принял я для рассмотрения поступившую в оный рукопись под заглавием: «Курс философии. Часть первая. Логика», на грузинском и русском языках в пользу грузинских юношеств.

По рассмотрении нескольких страниц оказалось: 1. на русском языке в некоторых местах подчёркнуты строки карандашом с знаком NB как-то на самом заглавии, на стр. 18 и проч. Неизвестно, к исключению, или к исправлению оне отмечены и кем, т. е. самым ли сочинителем, или другим?

2. На Грузинском языке, не говоря, что во многих местах подчищено и переправлено слов так, что без помощи русской рукописи ничего почти понять нельзя.

Вероятно, г. сочинителю не были известны на природном языке книги подобнаго содержания, как то: из древних Аристотелевы Категории, Диалектика и проч. А из новейших: Баумейстерава философия, в противном случае он сам мог бы убедиться в истине того, что введение новых, никому почти неизвестных слов и терминов, на место принятых уже во всеобщее употребление и известных, совершенно затмевает смысл отвлеченных предметов, который и без того бывает неубедительным. И в таком случае надобно полагать, что издание сего сочинения в печать

на грузинском языке, вопреки цели его, было бы бесполезно и сопряжено с убытком самого подателя.

Можно поставить примеры, что подобного рода переводы, напечатанные здесь и присланные в Грузию для продажи, остаются без всякого внимания: ибо многия сведущия люди отзываются, что из них ничего понять и, следовательно, пользы никакой извлечь не могут.

Впрочем, если Г. сочинитель желает подать свой Курс философии на Российском языке, непременно с грузинским переводом, на основании § 50 Цензурного устава предложить ему переписать вновь свою рукопись почище и исправить, особенно на Российском языке, дабы сообразно с оным, по одобрении уже цензуры, можно было бы учинить поверку и на Грузинском.

О чём покорнейше представляя на разрешении Азиатского департамента, честь имею при сем приложить и самую рукопись.¹

107. Петербургский цензурный комитет, № 64, Дело 993.

По прошению учителя Тифлисской Гимназии Соломона Додаева-Магарского о разсмотрении присланной на грузинском языке рукописи «Краткая грамматика грузинского языка».

Началось 30 января 1830. Кончилось 2 сентября².

В Санктпетербургский Цензурный Комитет.

Прошение учителя Тифлисской Гимназии Соломона Додаева Магарского.

Составив Краткую Грамматику Грузинского языка, я имею честь представить при сем оную на рассмотрение в Цензурный Комитет и осмеливаюсь Покорнейше просить о позволении напечатать оной 12000 экземпляров, если найдена будет достойною для введения во всеобщее употребление.

Учитель Тифлисской Гимназии Соломон Додаев-Магарский
30 января 1830 г.

Ст. 2.

В Заседании Комитета 15 февраля 1830 года слушали прошение учителя Тифлисской Гимназии Соломона Додаева-Магарского с препровождением на рассмотрение Цензурного Комитета Краткой Грамматики на грузинском языке.

Определили: Представить его Превосходительству г. Председателю поручить рассмотрение сей грамматики на основании правил цензурного устава Адьюнкту по восточной словесности

¹ ЦГИАЛ, фонд. 777, опись I, дело № 502.

² ЦГИАЛ, ф. 777, оп. I, дело 943.

Джафару Тобчибашеву. Так как грузинский язык неизвестен членам Комитета.

Члены Комитета (подпись)

Секретарь (подпись)

5 августа 1830 г.

108. В Цензурный Комитет от Мирзы Джафара.

ОТНОШЕНИЕ

1. Вследствие предписания Цензурного Комитета я рассмотрел присланную мне Грузинскую грамматику и имею честь представить на опую следующие замечания: I. Сия Грамматика есть ничто иное, как близкий перевод с русской грамматики на грузинский язык.

2. Она написана не наилучшим грузинским языком и требует во многих местах исправления. Впрочем, не заключает в себе ничего противного уставу Цензурному.

Мирза Джафар Тобчибашев.

109. 2 сентября 1830 г. Учителю Тифлисской Гимназии Соллому Додаеву Магарскому.

С.—Петербургский Цензурный Комитет полученную от Вас присланную от 12 Января сего года рукопись под заглавием «Краткая грамматика Грузинского языка» с надлежащим цензора одобрением к напечатанию возвращаем обратно.

Цензор (подпись)¹

верно (подпись)

110. Список физико-математического факультета. стр. 3.

В списке «Вольнослушающих» под номером 15 числится С. Додаев.

В это время в Санктпетербургском императорском университете числились 122 студента. Отсюда—на физико-математическом 18 студентов, на философско-юридическом — 33, на филологическом — 37 и свободнослушающими 34.

Преподаватели: ректор университета Антон Дегуров, Профессора: Лодий, Чижов, Толмачов, Боголюбов и др.²

¹ ЦГИАЛ. ф. 777. оп. I, дело 993.

² ЦГИАЛ, ф. 14. оп. I., дело 1005.

111. Книга успехов оказанных при годичных испытаниях Студентами Юридического факультета Императорского СП. Университета с 1826 по 1841 г.

Додаев в списке числится 8-ым, отметок нет. 1826 г. — первый год обучения. 1827 г.—второй год обучения: Список казеннокоштных студентов.

Додаев в списке 15-ый.

Предметы, сдаваемые Додаевым:

Естественное право,
Теория уголовного права,
Российское гражданское право,
Политическая экономия,
Российское гражданское право,
Закон Божий,
Латинский,
Немецкий,
Французский,
Английский.

112. О ПЕРЕВОДЕ С ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА НА РУССКИЙ СВИДЕТЕЛЬСТВО О КРЕЩЕНИИ СТЕПАНА ДОДАЕВА

Всепресветлейший державнейший Великий Государь
Император Николай Павлович, самодержец Всероссийский
Государь Всемиловитвейший

Просит из Сигнагскаго уезда, что
в Грузии, из духовнаго звания
Степан Иванов сын Додаев о
нижеследующем

Имея я от местнаго Духовнаго начальства письменное позволение для поступления в гражданскую службу, каковое прилагая при сем в подлиннике, всеподданнейше прошу.

Дабы Высочайшим Вашего Императорского Величества указом повелено было, сию мою прозьбу приняв и учинив перевод с онаго документа на Российский язык, мне возвратить с подлинником.

Всемиловитвейший Государь, прошу Ваше Императорское Величество о сем моём прошении решение учинить. К подаче надлежит Министерства Иностраннных дел в Азиатский Департамент Марта 6 дня 1829 года. К сему прошению руку приложил сам проситель Стефан Додаев.

Получ. 6 марта 1829 г.

¹ ЦГИАЛ. ф. 14. оп. 3. т. 4 дело 13936.

113. ПЕРЕВОД С ГРУЗИНСКАГО

СВИДЕТЕЛЬСТВО

Дано сие Грузинской области Сигнагскаго Уезда Казённаго села Магаро церкви Св. Георгия священника Иоанна Додаева сыну Степану в том, что он, Степан, родился 1808 года Октября 1 дня, в чем свидетельствуют совершивший над ним Св. Крещение села Магаро священник Давид Чрелаев и крестный отец его подпоручик Гурген Нацвалов, и что он, Степан Додаев, как принадлежащий Духовному ведомству, уволен из оногo по прошению его преосвящённым Митрополитом Экзархом Грузии Ионою, в чём и от нас дано сие свидетельство за подписью нашей и приложением герба нашего 1828 года, Октябрь 18-го дня.

Подписал Митрополит Сигнагский и Кизигский Бодбел Иоанн, С Грузинскаго на Российский язык перевёл переводчик Грузинскаго языка при Азиатском Департаменте Коллежский Ассессор Николай Чубинов.

(м. п.)

Надпись на выданной копии

Что сия копия перевода свидетельства о крещении выдана из Азиатскаго Департамента Министерства Внутренних дел по прошению Сигнагскаго уезда из Духовных Степана Додаева и верна с подлинником мы и свидетельствуем подписью и казённою печатью 1829 г. 9-го марта.

(подписал) Директор

(м. п.)¹

¹ Главный архив, III, 6, 1828 г., оп. 103, дело № 23.

შენიშვნები ს. დოდაშვილის
სალიტერატურო მემკვიდრეობის შესახებ

„სალიტერატურო მემკვიდრეობაში“ მოქცეულია სოლომონ დოდაშვილის ყველა ის ნაწარმოები, ორიგინალური თუ თარგმნილი, რაც მანვე დაბეჭდა თავის ჟურნალ „სალიტერატურონი ხაწილხი ტფილისის უწყებათანი“-ში; აქვე შევიდა მისი რუსული წერილი „Краткий взгляд на грузинскую литературу“, სააქტო სიტყვა და სამი დოკუმენტი, დაბეჭდვისას ჩამორთმეული.

ჟურნალში დაბეჭდილ ნაწარმოებთ დაეტოვა იგივე საერთო სახელი, რაიც მათ თვითონ ავტორმა მისცა „სალიტერატურონი ნაწილნი“-ში დაბეჭდვისას. ასეთი საერთო სახელებია: „სიტყვიერება“, „აღმოსავლეთის ლიტერატურა“, „ქართული ისტორია“, „კრიტიკა“, ეს სახელები ს. დოდაშვილმა დაურთო მარტო პირველს ამა თუ ამ უანრის ნაწერებს, სხვებს არა, ჩვენ კი დანარჩენებიც შინაარსის მიხედვით სათანადო ჯგუფში მოვათავსეთ. სახელდობრ, „უმანკობა“, „ელენა“, „მოკლე განხილვა...“ მოვამკვირეთ „სიტყვიერების“ დარგში. ასევე „პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“, „ღვინის მოყვარული“ და „სამი ინდის ხურმა“ მივაკუთვნეთ „აღმოსავლეთის ლიტერატურას“. ეს სახელი თვითონ ავტორმა მისცა და იქ შეიტანა თავის შიერვე დასათაურებული „ანეკდოტი, ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება“, მომდევნო ნაწარმოებს კი, იქვე მიყოლებით რომ არის დაბეჭდილი, მარტო რიგითი ციფრი „2“ მიუწერა, სათაური კი არ მისცა; ამიტომ ჩვენ ვიკისრეთ მისი დასათაურება „პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“-თ; აგრეთვე ჩვენვე დავასათაურეთ „ღვინის მოყვარული“ და ამ უანრის რიგით №-ად მივუწერეთ ციფრი „3“; ერთგვარობის დასაცავად „სამი ინდის ხურმა“-საც (სათაური თვითონ ს. დოდაშვილისაა) ციფრი „4“ წავუმატეთ.

ჩვენ შიერ მიცემული სათაურები დასახელებულნიც და სხვანიც, ავტორისეულისაგან გასარჩევად, ჩავსვით კვადრატულ ფრჩხილებში.

ავტორის აბზაცები ზოგან ჩვენ დავტეხეთ, რომ ტექსტი უფრო ადვილწასაკითხი ყოფილიყო.

აშკარა კორექტურული შეცდომები ზოგიერთ ადგილას სქოლიოში აღარ აღვნიშნეთ.

ავტორის, სოლომონ დოდაშვილის, შენიშვნა-სქოლიოებს მივუწერეთ მისი ინიციალები „ს. დ.“ და ასევე კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსეთ.

1832 წლის

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს

ქ რ ო ნ ო ლ გ ი ა

- № 1-ს გამოსვლის თარიღად აწერია: 1 იანვარი,
ცენზურის ვიზად: 1 იანვარი, გვ. 1—24
- № 2-ს გამოსვლის თარიღად აქვს: იანვარი,
ცენზურის ვიზად: 20 იანვარი. გვ. 25—48
- № 3-ს გამოსვლის თარიღად: თებერვალი,
ცენზურის ვიზად: 5 თებერვალი. გვ. 49—72
- № 4-ს გამოსვლის თარიღად: თებერვალი,
ცენზურის ვიზად; 10 თებერვალი. გვ. 73—96
- № 5-ს გამოსვლის თარიღად: მარტი,
ცენზურის ვიზად: 15 მარტი. გვ. 97—120

„ჟინევრა“, მოთხრობა, დაიბეჭდა ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს 1832 წ. 1 იანვრის პირველ ნომერში, გვ. 1—19. იგი წარმოადგენს თარგმანს. ხელმოუწერელია, მაგრამ სწავა ხელმოუწერელი ნაწარმოებივით ესეც ეკუთვნის სოლ. დოდაშვილს. ამ მოთხრობის შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობები (იხ. „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“, № 1, თბ., 1940, გვ. 80. „ჟინევრა“) ოდნავ შემსუბუქებული სტილით დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“, 1858, № 10-ში ი. კ. (ივანე კერესელიძის) ხელმოწერით და „ჯინეფრა“-ხ სათაურით. „ჟინევრას“ ქართული ტექსტი და მისი ფრანგული თარგმანი მ ა რ ი ბ რ ო ს ე მ 1837 წელს დაბეჭდა პარიზში თავის „Éléments de la langue géorgienne“-ში, მეოთხე ეგზერციციად, როგორც ნიმუში მაშინ გავრცელებული ქართული სამწიგნობრო ენისა, სათაურით „Style vulgaire noble“. ქართულ ტექსტს უკავია გვ. 330—352, ხოლო თარგმანს გვ. 352—362.

„უმანკობა“, ესკიზი, დაისტამბა ჟურნალის 1832 წ. მარტის № 5-ში, გვ. 118—119. ხელმოუწერელია. უნდა ეკუთვნოდეს ჟურნალის შესვეურს, სოლ. დოდაშვილს. ესკიზი თარგმანი უნდა იყოს.

„ელენა“, მოთხრობა, დაიბეჭდა ჟურნალის 1832 წ. № 4-სა და 5-ში (თებერვალი და მარტი), გვ. 80—88, 92—104. მოთხრობას ბოლოში (გვ. 104) ავტორის ხელწერად აქვს არაბული ციფრი „4“, რაც

ქართული ანბანით მეოთხე ასოს „დ“ წარმოადგენს; ქართული სათვალავითაც რიცხვი „4“ იმავე ასო დონით აღინიშნება. ეს კ. სოლ. დოდაშვილის გვარის ინიციალია. გარდა ამისა, ნ. ტატიშვილს და ს. ხუციშვილს გამოთქმული აქვთ გასაზიარებელი მოსახრება და დაკვირვება ამ „4“-ის ირგვლივ („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 1, გვ. 89). ამიტომ ეს ნაწარმოები უეჭველად სოლ. დოდაშვილის კალამს ეკუთვნის. იგი უფრო ნათარგმნ ნაწარმოებს წარმოადგებს, ვიდრე ორიგინალურს, თუმცა პერსონაჟები ქართულ სახელებს (ამირანი, ომან) ატარებენ: სიუჟეტი ქართულ სინამდვილეს არ შეესაბამება.

„ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება“ და „პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“ დაიბეჭდა ერთიმეორის მიყოლებით „სალიტერატურო ნაწილთა“, 1832 წლ. მეორე ნომერში, გვ. 34—37. თარგმანი ხელმოუწერელია, მაგრამ უნდა ეკუთვნოდეს ჟურნალის რესპონსორს, სოლომონ დოდაშვილს. „პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“ დაიბეჭდა უსათაუროდ, ოღონდ მას წინ უზის ციფრი „2“. სათაური, რადგან ის დოდაშვილის არაა, ჩავსვით კვადრატულ ფრჩხილებში.

„ღვინის მოყვარული“ დაიბეჭდა ჟურნალის მესამე №-ში, გვ. 72. არც ეს სათაურია დოდაშვილისა და ამიტომაც კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული.

„სამი ინდის ხურმა“ დაიბეჭდა ჟურნალის მეხუთე №-ში. გვ. 104—109. სათაურების წინ ციფრები, 1, 3, 4 ჩვენია.

„მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ დაიბეჭდა ჟურნალის № 1-სა და 2-ში, გვ. 19—24, 25—34. ბოლოში აქვს ხელწერად: ს. დოდაევი. ერთდროულად დაიბეჭდა წერილის რუსული ტექსტიც „Тифлисские Ведомости“-ს 1832 წ. იანვრის № 1-ში, გვ. 18—24, სათაურით „Краткий взгляд на грузинскую литературу“ (იხ. ტექსტი ამავე კრებულში). წერილს ჰქონდა დიდი გამოხმაურება აქაც და რუსეთშიც. ივ. კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკი სწერდა ვახტანგ ორბელიანს სწორედ „სალიტერ. ნაწილთა“ მეორე №-ის გამოსვლის ხანებში, 1832 წ. 20 იანვარს: „... Тифлисская публика всегда ожидала от Додаева, человека с большими дарованиями от природы, образованного; потому неудивительно, что она одобрила его произведение“ (იგულისხმება „ტიფ. ვედომოსტი“-ში დაბეჭდილი „Краткий взгляд“... და „მოკლე მიმოხილვის“ პირველი ნაწილი).

ამავე „მიმოხილვას“ გულისხმობს თეიმურაზ ბატონიშვილი 1834 წ. 17 ოქტ., როცა ის პეტერბურგიდან პარიზში სწერს მარი ბრაუნს:

„წარსულთა წელიწადებთა შინა — არა უწყყი მე თუ რომლისა მიხე-
ზითა — ვნახე მე უურნალი ქართული, ტფილისში აღბეჭდილი მხედ-
რულად, რომელ მეუურნალე სწერდა (სოლომონ დოდაშვილს. სიფრ-
თხილით არ ასახელებს, რადგან ის ამ დროს ახალი გადასახლებული
იყო ვიატკაში, ასევე — უურნალსაც — მ. ბ.) სომეხთა წინააღმდეგისა
თქმისათვის, რომელიცა შეეხებინა ენასა ქართულსა. იმ უურნალს
ამავე წიგნთან მოგართმევ: ამ კონვერტში შთავლევ. წარიკითხეთ
უურნალი ესე, რომელ ვითარ არს სცნოთ“. 1836 წელს თბილისის
გიმნაზიელები ნიკ. ბარათაშვილის მონაწილეობით თავიანთ ხელნაწერ
უურნალში „Цветок гимназии“-ს № 5-ში ათავსებენ სოლ. დოდა-
შვილის „მიმოხილვის“ რუსულ ტექსტსაც. ამავე ნაწარმოების ანა-
რეკლი ჩანს 1844 წ. „სინათლის“ „გამოცხადებაშიც“. აკად. კ. კე-
კელიძე მას განიხილავს როგორც ძველი ქართული ლიტერატურის
პერიოდიზაციის ცდას, რომელიც მერეც მეორდება სხვადასხვა
ვარიაციით სამეცნიერო ლიტერატურაში (ძვ. ქართ. მწერლ. ისტო-
რია, ტ. 13, 1951, გვ. 17).

„მოკლე განხილვაში“; კერძოდ, იოანე პეტრიწის შეფასება-დახა-
სითებისას სოლ. დოდაშვილს მოყვანილი აქვს ციტატა ანტონ კათა-
ლიკოსის „წყობილსიტყვაობა“-დან. ხოლო ანტონი პირველსავე (731)
ტაეაში იმარჯვებს კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის გრიგოლ
ლეთისმეტყველის (328—390) აზრს: ან თავად უნდა ვიყენეთ ფილო-
სოფოსი, ან უნდა პატივი ვცეთ ფილოსოფოსს. გრიგოლი ამ აზრს
გამოთქვამს თავისი 25-ე სიტყვის დასაწყისშივე, რომლითაც იგი მი-
მართავს ირონ ფილოსოფოსს, როცა ეს უკანასკნელი ექსორიიდან
დაბრუნდა. ირონის ვინაობა ჩანს თვით ამ სიტყვიდან: იგი იყო წარ-
მოშობით ქალ. ალექსანდრიიდან და ეკუთვნოდა ცინიკოსთა სკოლას.
წართლმადიდებლობისათვის არიოზელები ირონს სდევნიდნენ: იგი
ჰკვემეს და სამშობლოდან განდევნეს. ნეტარ იერონიმეს (330—419)
ირონ ფილოსოფოსად მიაჩნია მაქსიმე, ასევე ცინიკოსი, რომელიც
შემდეგ ხანებში გრიგოლს ეცილებოდა კონსტანტინოპოლის ეკლე-
სიის მესვეურობას.

„მეფობა ირაკლი მეორისა“ დაიბეჭდა უურნალის № 3-სა და 4-ში,
გვ. 49—58, 73—80. ბოლოში ხელწერად აქვს სოლ. დოდაშვილის
ინიციალები „ს. დ.“. ნაწარმოები მეორე აბზაციდან ბოლომდე წარ-
მოადგენს ისტორიკოს ომან ხერხეულიძის (გარდ. 1805 წ. ივნისის
დამლევს) თხზულების შემოკლებულსა და თავისუფალ (ნაწილობრი-
ვად) თხრობას. ეს ნათლად ჩანს იმ ორიოდ შენიშვნითაც, ტექსტს
რომ აქა-იქ დაერთო სქოლიოთა სახით. მაგრამ არის ავტორიზებული
ადგილებიც. მაგალითად, ომანის მიხედვით აზატ-ხანთან ბრძოლის წინ

ირაკლი ეტყვის ქართველ ჯარს: „... თქვენ ჩემის განძლიერებისა და ჩემის გულისთვის იხოცებით...“ სოლ. დოდაშვილი კი ირაკლის ათქმევინებს წინაუქმოს: „ნუ ჰგონებთ, რომელ მე სისხლსა თქვენსა ვღვრიდე... განძლიერებისათვის შემძლებელობისა ჩემისა!..“ სოლ. დოდაშვილის ენა ომანთან შედარებით უფრო მძიმეა.

„შენიშვნა...“ დაიბეჭდა ჟურნალის № 3-ში, გვ. 67—72. ხელწერად აქვს სოლ. დოდაშვილის ინიციალები: „ს. დ.“. „შენიშვნა“ გამოიწვია გრიგოლ სერგის ძის გორდეევის, გაზეთ „ტიფლისკიე კუდომოსტი“-ს უახლოესი თანამშრომლის, წერილმა „Погребальные обряды последних царей Грузинских“ («Тифлиссские Ведомости», 1832 წ., იანვ., № 1, გვ. 16—18), რომელსაც მკითხველის სრული ორიენტირების აზრით ვათავსებთ უცვლელად ქვემოთ. გრ. გორდეევის ეს წერილი მეორედაც დაიბეჭდა უმნიშვნელო ცვლილებით გაზ. „Кавказ“-ში 1849 წ. 5 თებერვლის № 6-ში, ოღონდ ავტორის ხელწერის „Гр. Горд...“-ის ნაცვლად მიწერილი აქვს: „(Из ист. царев. Вахуштия)“, ალბათ იმიტომ, რომ პირველბეჭდურში წერილი თავდება სქოლიოთი: „История царевича Вахуштия. Пр(имечание) Соч(инителя)“.

სოლ. დოდაშვილის „შენიშვნას“ ქართველობა შეხვდა სრული კმაყოფილებით. ამის გამოძახილს წარმოადგენს თ. გურამოვის (გურამიშვილის) წერილი „საყვარელო მამულო“, მოთავსებული „სალიტერ. ნაწილთა“ მეხუთე №-ში, გვ. 116—118.

გრიგოლ გორდეევის წერილი:

Погребальные обряды последних царей Грузинских

По кончине Царя все придворные, гражданские и воинские чиновники, находившиеся в Тифлисе, немедленно собирались во дворец и впереди одра, на коем лежало тело усопшего Царя, поспешно устраивали возвышенное место, в виде трона, и возлагали на оное большую бархатную подушку. На середине сей подушки расстилали порфиру, а по правую ее сторону клали все прочие Царские регалии; с левой же стороны помещали порфиру и другие украшения овдовевшей Царицы вместе с одеждою и оружием ее супруга.

По левую сторону трона, на приготовленные низкие помосты или диваны садились жены знатнейших людей, закутанные с ног до головы в длинные, белые покрывала (Чадры), и бия себя в грудь, громко оплакивали кончину Царя. А напротив их, с правой стороны трона, в безмолвии занимали места Государственные чиновники следующим порядком: выше всех сидели Царские Мдиваны или Министры, перед ними лежало раскрытое и опрокинутое вверх Уложение законов Царя Вахтаंगा, с

изломанными перьями; потом ниже их сидели церемонимейстеры с преломленными жезлами, с коими они обыкновенно предшествовали Царю во время жизни его в торжественных процессиях. Все сии чиновники в таком же порядке предшествовали и гробу. Вне дворца, у ворот оною, стоял любимый Царский конь, оседланный наизнанку. Подле коня сидел на земле Обер-Шталмейстер с непокрытой головой, а позади его стреманный держал знамя, преклоненное к земле.

Когда сей печальный церемониал, описанным мною образом, был совершенно устроен, тогда царица в сопровождении своих детей, родных и приближенных, входила в храмину, в которой лежало тело ее супруга и приложилась к оному, несколько минут плакала над ним, терзая свои волосы, лицо и грудь. Потом обратясь к присутствующим, протяжным и плачевным голосом напевала им приличные с обстоятельством выражения, как-то: что она лишилась милого супруга и осталась с детьми своими несчастною навек сиротою, а поданные потеряли в нем истинного отца. Подобные выражения напевали вместе с Царицею и все с нею пришедшие особы. После сего Царица с свитою своею выходила к Обер-Шталмейстеру и, изъявив пред ним тем же образом свою горесть, удалялась во внутренность дворца.

Чрез три дня по кончине Царя весь двор и знатнейшие особы, в глубоком трауре, совершали погребение его тела. Гроб, за коим шли пешком новый Царь, вдовствующая Царица и все обоего пола члены Царского дома, несом был попеременно знатнейшими гражданскими и воинскими чинами до селения Мцхеты¹, откуда тамошнее духовенство, вышедшее во всем печальном облачении своем навстречу, несло гроб в соборную церковь, внутри обитую при сем случае черным сукном или бархатом, с красным бархатным на куполе крестом, что означало будущее утешение в новом Царе. По погребении Царя, церковное по нем служение и поминовение продолжались сорок дней. Весь двор и прочие чины на год воздерживались от самонаименьших забав, отращали бороды, а многие в продолжение сего времени не употребляли никакой мясной пищи.

Во времена глубокой древности Грузинские Цари, военачальники и простые воины погребаемы были в полном вооружении, то есть в панцырях и шлемах, со всем принадлежащим им оружием².

„მოწერილი ს.-პეტერბურღიღამ ტფილას ძმასთან“ დაიბეჭდა
ეუროპალის მეორე ნომერში, წერილი ანონიმურია, მკ-
რამ შეიძლება მიეკუთვნოს სტეფანე დოდაშვილს, სოლომონის

¹ Мцхет—древняя столица Грузии. Ныне небольшое селение, с огромным собором Греческой архитектуры, лежит по левую сторону реки Кура, ут Тифлиса на север, расстоянием в 22 верстах. Прим. Соч.

² История царевича Вахуштия. П. Соч.

ძმას. „მოწერილს“ უშუალოდ მისდევს „პასუხი ტფილისიდან“ ასეთი ხელწერით: „შენი ძმა ს...“; ეს „ძმა ს...“, როგორც მიმოწერიდან ჩანს, პეტერბურგში უკვე ნამყოფია, ასეთი კია თვითონ რედაქტორი, სოლომონ დოდაშვილი: ის ხომ მართლაც ცხოვრობდა პეტერბურგში 1824—1827 წლებში. ამიტომ უეჭველია, რომ „პასუხის“ ავტორი — „ძმა ს...“ — ნამდვილად არის სოლომონ დოდაშვილი, რომლის ძმა სტეფანე მართლაც პეტერბურგს ცხოვრობდა და მსახურობდა. ამ მოსაზრებით „მოწერილი“ შეიძლება ამ უკანასკნელს მიეკუთვნოს. მაგრამ არც ის გამოირიცხება, რომ „მოწერილი“ სოლომონსვე ეკუთვნოდეს და არა სტეფანეს, რომელიც პეტერბურგს წავიდა 1828 წ. ნოემბერში და 1832 წელს მისი ნახვით ველარ „განლიგდებოდა“, როგორც „მოწერილშია“ ნათქვამი. ამიტომ ძმათა მიმოწერა იქნება ერთგვარი ლიტერატურული ხერხი იყოს იმ მნიშვნელოვანი აზრების გასატარებლად, რაიც გამოთქმულია „პასუხში“.

„პასუხი ტფილისიდან“ დაიბეჭდა იმავე მეორე ნომერში, სადაც დაისტამბა ზემორე „მოწერილი“. „პასუხს“ უკავია გვ. 44—48. ხელწერად მას აქვს: „შენი ძმა ს...“, რომელიც არის სოლომონ დოდაშვილი. „პასუხი“ მეტად მნიშვნელოვანია იქ გამოთქმული აზრების გამო; განსაკუთრებით საგულისხმოა გაკვრით თქმა აქამდე „არ იწარმოებოდა თავისუფლებითი სული“ საქართველოშიო და ყრულ გახსენება 1832 წ. შეთქმულებისა: „აწინდელსა შემთხვეულებასა შინა გული ყოვლისა კაცისა განიხსნა და სახესა ზედა მათსა გამოიხატა მიუწოდომელი სიხარული და შვება. ბედნიერება ესე ჩვენი ჭერეთ არ ძალმიძს სახელდობრ გამოგიცხადო და არცა საჭირო არს, ამისათვის რომელ მაინდამ მივიღეთ, მაშასადამე, შენ იცი“—ო.

„მადლობის განცხადება“ დაიბეჭდა ჟურნალის № 2-ში, გვ. 38. სათაური ჩვენ მივეციით და ამიტომაც კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისვა. ხელმოუწერელია, მაგრამ ეკუთვნის სოლ. დოდაშვილს, რაც ცხადია თვითონ შინაარსიდან: გამომცემელი მადლობას უხდის „ლექსათათვის“, „მთხველთა“ (იგულისხმებიან ალექსანდრე ორბელიანი, „მთოვარის“ ავტორი და გიორგი დავითის ძე ერისთავი (გლუხარიჩი), „ოსური მოთხრობის“ ავტორი) და სხვებსაც მოუწოდებს — ითანამშრომლეთო.

„განცხადება“ — ჟურნალი 1-სა და 15-ს მაგიერ გამოვა 5-სა და 20 რიცხვებშიო, დაიბეჭდა № 2-ში, გვ. 48, ეკუთვნის, ცხადია, თვით რედაქტორ-გამომცემელს, სოლომონ დოდაშვილს, თუმცა ხელმოუწერელია.

„განცხადება“ — ხელი მოაწერეთ და შემწეობა მოეციეთ ჟურნალსაო, დაიბეჭდა უკანასკნელ, მეხუთე ნომერში, გვ. 119—120. ხელ-

მოუწერელია, მაგრამ ეკუთვნის ჟურნალის მესვეურს, სოლომონ დოდაშვილს. „განცხადებიდან“ ჩანს რედაქციის მიზანი და, აგრეთვე, საზოგადოების დამოკიდებულება ჟურნალის მიმართ.

„Краткий взгляд на грузинскую литературу“, როგორც ითქვა: „მოკლე მიმოხილვის“ შენიშვნაში, დაიბეჭდა „Тифлиссские Ведомости“-ს 1832 წ. იანვრის № 1-ში, გვ. 18—24, საიდანაც ტექსტი აქ გადმოღებულია უცვლელად, მთავრული ასოებიც კი დაიცავით. „მოკლე მიმოხილვასთან“ შედარებით არის ოდნავი ჩანაშატები და მცირეოდენი გამოწატოვი.

პროფ. პ. ბერკოვის სიტყვით, „ტიფ. ვედომოსტი“-ს № 1-ის მოსკოვში მიღების უმაღლესი, სოლ. დოდაშვილის ეს წერილი გადაიბეჭდა „Московские ведомости“-ს 1832 წლ. № 10-ში. 1836 წ. კი იგი თარგმნა ი. მილაშვიჩმა და შეტანილ იქნა ა. ყარბი დე მანსის წიგნში „История древних и новых литератур, наук и изящных искусств“, М., 1836, ч. II, стр. 38—48 (იხ. ბერკოვის რეცენზია ვ. შადურის წიგნზე „Грибоедов и грузинская культура“, „Вестник Ленинградского Университета“, 1946, № 3, გვ. 129—131).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ს. დოდაშვილის ამ წერილს რედაქციამ ბოლოში მიაბეჭდა: „Продолжение обещано“.

„შესხმა“ დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის სახელნაწერო განყოფილებაში (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) ფონდი, ხელნაწერი 388, გვ. 20—22). იონა ხელაშვილისეულ ამ ხელნაწერში, რომელიც სხვადასხვა ხელით არის შესრულებული, „შესხმა“ გადაწერილია ლამაზი, კალიგრაფიული ხელით და დაქარაგმებულია. ბოლოში დართული აქვს განსხვავებული ხელით: „მ. (მოდვარი) დოდოევი მალარელი“. „შესხმა“ დაბეჭდა ეგრი-მ გაზ. „ივერიაში“ (№ 227—1887 წ.) ოდნავი ცვლილებით: არის ჩართული სიტყვებიც და ამოღებულიც. ექვს იწვევდა „შესხმის“ წარმოთქმის დღე, რაც ხელნაწერში აღნიშნულია ასოთი („ვ-სა“) და არა არაბული ციფრით, როგორც წელიწადია. იქვე აღნიშნული. მაგრამ თვით სოლ. დოდაშვილის ერთ-ერთ წერილში არის პირდაპირი დადასტურება იმისი, რომ სიტყვა მას უნდა წარმოეთქვა 6-ში და არა 3 ივნისს, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, თუ ასო „ვ“-ს წლის ციფრის მიხედვით არაბულ „3“-ად მივიღებდით. 1828 წ. 6 ივლისს სოლომონი სწერს იონა ხელაშვილს: „შემდგომად ეგზემენის შესრულებისა ივნისის 6-დგან ორს კვირას დაეჰყავ თბილისსა შინა...“ (H—2226, თ. 262 r). აქედან ცხადია, რომ დოდაშვილს სიტყვა წარმოეთქვამს სწორედ 6 ივნისს, რადგან ცნობილია, რომ მოწაფეთა საჯარო გამოცდა („საზოგადოსა შეკრებილებასა შინა“) ხდებოდა გამოცდების დამ-

თავრებისას („ეგზემენის შესრულებისას“). სწორედ ამიტომ მივაწერეთ „ნ“-სა და კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსეთ.

„სიტყვა-მოწოდება“ დაცულია საქართველოს ცენტრალური არქივის № 1457 ფონდში (რვეული X, ფურც. 1833, ახალი პაგინაციით 160, ხოლო მისი რუსული თარგმანი, შესრულებული პოლკოვნიკ სუმბათაშვილის მიერ საგამომძიებლო კომისიის დავალებით, არის იმავე რვეულის 1857 ფურცელზე, ახალი პაგინაციით 184-ზე). ჩამორთმეულ ქაღალდებს შორის აღნუსხულია პირველი №-ით. ნასწორებია ლაგში. კომისიის საერთო წანაწერი — «Бумаги, найденные у учителя Додаева» გ. გოზალიშვილს აქვს მიცემული მარტო ამ დოკუმენტის მიმართ ასე: „ს. დოდაშვილის ქაღალდებში ნაპოვნი პროკლამაცია“ (1832 წლის შეთქმულება, ტომი პირველი, ტფ., 1935, გვ. 95). კომისიის თარგმანში კი დოკუმენტი შემდეგნაირად არის დასათურებული: „Отрывок речи, найденной в бумагах Додаева и написанный им собственноручно“. ასე რომ, ეს „სიტყვა-მოწოდება“ სოლ. დოდაშვილის საკუთარი ხელით არის ნაწერი და არა მარტო ნაპოვნია მის ქაღალდებში. ეს გარემოება დადასტურებული აქვს თვითონ დოდაშვილსავე, როცა კომისიას ახსნა-განმარტებას აძლევდა მის ირგვლივ: „В 1831 году пришли ко мне князя Александр Орбелианов и Елизбар Эрстов и просили писать побудительные речи.... кои бы могли действовать на умы читателей... В то время я написал речь, которую просил кн. Александр Орбелианов, но я не отдал ему“ (რვეული XI, ფურც. 1894). მეორე ჩვენებაში უფრო მკაფიოდ: «В то время я написал речь, которая в бумагах и показал ее кн. Александру Орбелианову, который просил, но я не отдал ему“ (იქვე, ფურც. 1940). აქედან ისიც ირკვევა, რომ აღნიშნული „სიტყვა-მოწოდება“ სოლ. დოდაშვილს დაუწერია 1831 წელს. დაწერის დროს უფრო აზუსტებს 6 თებერვლის ჩვენება, უფრო ადრინდელი: „Две бумаги написаны мною по прозьбе кн. Александра Орбелианова в 1831-м году в то время; когда была война с поляками, они не были никогда переписаны и никто не читал, кроме его, Орбелианова, и оставлены были в бумагах так, как видите“ (რვეული VI, ფურც. 1033). ამრიგად, „სიტყვა-მოწოდება“ და, აგრეთვე, ლექსი „მისი“ — ორ ქაღალდად აქ ესენია ნაგულისხმევი — დაწერილია 1831 წ. პოლონეთის აჯანყების ხანებში და, რასაკვირველია, არაუგვიანეს 1831 წ. 24 სექტემბრისა, როცა ქალაქ ვარშავის აღება თბილისში დიდი ამბით იდღესასწაულეს. სოლ. დოდაშვილის 6 თებერვლის ჩვენება იმასაც გვიხსნის, თუ პროკლამაცია და ლექსიც რატომ არის ნასწორები: სოლომონს ისინი არ გადაუთვთრებია.

„მაისი“, ლექსი დატულია საქართველოს ცენტრალურ არქივში (ფონდი 1457, რვეული X, ფურც. 1834, ახალი პაგინაციით 161, ხოლო მისი რუსული თარგმანი, პოლკოვნიკ სუმბათაშვილის მიერ შესრულებული, იმავე რვეულშია, ფურც. 1857, ახალი პაგინაციით 184). ჩამორთმეულ ქაღალდებს შორის მეორე ნომრით არის აღრიცხული. ტექსტი ალაგ-ალაგ ნასწორებია. მის შესახებ სოლ. დოდაშვილმა საგამომძიებლო კომისიას შემდეგი უჩვენა: „Стихи же я писал без цели. Май месяц ничего не означает, ибо в том 1831 году не было назначено времени, так пришлось мне по фантазия написать и по мере стихов упомянуть май месяц“ (რვეული XI, ფურც. 1940 v). აქედან ჩანს, რომ „მაისი“ სოლომონ დოდაშვილს დაუწერია 1831 წელს. უფრო ზუსტი თარიღის შესახებ იხ. წინა შენიშვნა.

ამ ლექსის რუსული თარგმანი დაიბეჭდა „კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის აქტებში“ (ტ. VIII, № 280, გვ. 398). აქედან ქართულად თარგმნა და დაბეჭდა კიტა აბაშიძემ (იხ. მისი წერილი „პოლიტიკური რომანტიზმი“, ჟურნალი „მოამბე“, 1905, № 1, გვ. 24, სქოლიო), მერე პროფ. ალ. ხახანაშვილმა თავის „ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე)“-ში, ტფ., 1918, გვ. 16. ეს თარგმანის თარგმანი კვლავ დაიბეჭდა, უკვე თითქმის უპუნქტუაციოდ, სიმონ ხუნდაძის მიერ (იხ. მისი „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, ტფ., სახელგამო, 1927, გვ. 37), ხოლო ქართული დედანი ამ ლექსისა პირველად დაბეჭდა გ. გოზალიშვილმა „1832 წლის შეთქმულება“-ში, ტ. 1, თბ., 1935, გვ. 95.

„მილოცვა“ დავით ბაგრატი-ძისადმი დატულია საქართველოს ცენტრალური არქივის 1457 ფონდში (რვეული X, ფურც. 1837, ახალი პაგინაციით 164v). დაწერილია ლურჯ ქაღალდზე და ზოგან ნასწორებია. დაბატიმრების დროს ჩამორთმეულ ქაღალდებს შორის აღრიცხულია მეოთხე ნომრით. „მილოცვა“ დაწერილია, თვით სოლ. დოდაშვილის ჩვენების მიხედვით, 1827 წელს. მილოცვის დაწერის აზრს დოდაშვილი ასე განუმარტავდა საგამომძიებლო კომისიას (მოგვეყავს მართო ერთი ჩვენებიდან პატარა ნაწყვეტი): „Баграт царевич, приняв меня к себе на дом, благодетельствовал и не различал меня от своих детей.. Сыну его Давиду в 1827 г. был (?) шестой год и находился у русской няньки, он не знал еще по-грузински ни говорить, ни писать, ни читать. В день его именинника я написал письмо, в котором упоминается Давид для удовольствия царевича, за что весьма радовался и любил меня“ (საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 1457, რვეული XI, ფურც. 1938 v).

„მელოცვის“ რუსული თარგმანი დაბეჭდილია „კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის აქტების“ VIII ტომში (№ 280, გვ. 398). აქედან ქართულად თარგმნა და გამოსცა კიტა აბაშიძემ (იხ. მისი „პოლიტიკური რომანტიზმი“, ჟურნ. „მოამბე“, 1905, № 1, გვ. 23—24, სქოლიო), მერე პროფ. ალ. ხახანაშვილმა „ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე)“-ში, ტფ., 1918, გვ. 16. ქართული დედანი იბეჭდება პირველად.

დავითი, ვისაც მიუძღვნა თავისი „მილოცვა“ სოლ. დოდაშვილმა, იყო მეფე გიორგი XII-ის ძის ბაგრატ ბატონიშვილისა და ღურამიშხან ჩოლოყაშვილის ასულის ეკატერინეს შვილი. დაიბადა 1819 წ. აპრილის 30-ს, ხოლო გარდაიცვალა 1888 წ. 24 სექტემბერს მოსკოვში. მამამ — ბაგრატ ბატონიშვილმა მას დაარქვა თავისი ძმის — საქართველოს მემკვიდრის დავით ბატონიშვილის სახელი, რომელიც იმ ხანებში გარდაიცვალა (1819 წ. 13 მაისს). დოდაშვილი სწორედ ამ დავით მემკვიდრეს უნდა გულისხმობდეს, როცა მის პატარა ძმისწულსა და სეხნიას ეუბნება: „მიხედვ ერთმოსახელესა შენსა დავითს...“

მ. ბერძნიშვილი

„წერილები“

სოლომონ დოდაშვილის პირადი ბარათები, რომელნიც სხვადასხვა სიძველეთსაცავეებიდან და ხელნაწერებიდან არის ამოკრეფილი, ძვირფას საბიოგრაფიო მასალას შეიცავს. ეს წერილები, დღიურის მსგავსად, მოგვითხრობენ მეცნიერისა და მოღვაწის ცხოვრების დღეების შესახებ პეტერბურგში — უნივერსიტეტის სტუდენტობისას და თბილისში — პედაგოგიური, მეცნიერული და ჟურნალისტურ მოღვაწეობისას.

წერილების დიდი უმეტესობა მოთავსებულია ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერებში (H 2226, S 1532, S 388), მცირე ნაწილი საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში (1832 წლის შეთქმულებისა და სრულიად საგანგებო საქმეების ფონდებში). ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი წიგნები იონა ხელაშვილის საკუთრება ყოფილა და შედგენილია პეტერბურგში. მას წესად ჰქონია შემოღებული — გადაეწერსა როგორც სხვების მასთან გაგზავნილი, ისე სხვათადმი მის მიერ მიწერილი წერილები. ს. დოდაშვილის ბარათები ასეა გადაწერილი ჩამოთვლილ ხელნაწერებში. ამრიგად, ს. დოდაშვილის წერილები იონა ხელაშვილის მიმართ და ერთიც ანა დედოფლისადმი ავტოგრაფები არაა. წერილთა გადამწერები სხვადასხვა პირები ყოფილან. ავტოგრაფებია ს. დოდაშვილის წერილები

ფილადელფოს კიკნაძესა და ოქროპირ ბატონიშვილთან მიწერილი. ისინი შემოუნახავს შეთქმულების საქმეებს, როგორც სასამართლო დიებისათვის საჭირო დოკუმენტები.

ეს წერილები 1944 წლამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა, მხოლოდ აქა-იქ იბეჭდებოდა ზოგიერთის ნაწილი, როგორც საილუსტრაციო მასალა ს. დოდაშვილის საქმიანობისა.

ს. დოდაშვილის პიროვნება ყოველთვის იქცევა ქართველი საზოგადოების ყურადღებას. მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენი — ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, თედო ქორდანი და სხვანი მოწიწებით იხსენიებდნენ მის სახელს, მის მუშაობას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ს. დოდაშვილზე ბევრი რამ ეთქვათ სათანადო მასალის უქონლობის გამო.

ს. დოდაშვილის ცხოვრების შესწავლაზე და, საერთოდ, მისი დროის საქმეებსა და მოღვაწეებზე ბევრი იმუშავა დაუღალავმა ზაქარია ჭიჭინაძემ.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, როცა ქართული საბუთები და ხელნაწერები რუსეთიდან იქნა ჩამოტანილი, სხვათა შორის 1832 წლის შეთქმულების საქმეებიც, და დაიწყო მათი შესწავლა, სოლომონ დოდაშვილის პიროვნებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. თავის დროზე სხვადასხვა ეურნალსა და კრებულებში წერილები გამოაქვეყნეს მის. პოლიექტომმა, გ. გოზალიშვილმა, ფ. მახარაძემ, ს. ხუნდაძემ და სხვებმა, ხოლო 1935 წელს დაიბეჭდა გ. გოზალიშვილის დიდტანიანი გამოკვლევა სათანადო საბუთების დართვით — „1832 წლის შეთქმულება“. 1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა „სოლომონ დოდაშვილის წერილები“ (წინასიტყვაობა და შენიშვნები ს. ხუციშვილისა). იმავე ხანებში გამოქვეყნდა გრ. კალანდარიშვილისა და ალ. ქუთელიას წერილები ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასა და ლოგიკაზე, რასაც მოჰყვა ს. დოდაშვილის რუსულად დაწერილი „ლოგიკის“ ქართული თარგმანის გამოცემა (1949 წ.). ს. დოდაშვილის შესახებ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიაც მიმოხილულია მისი ეურნალისტური მუშაობა, აზროვნება, მსოფლმხედველობა (ს. ხუციშვილისა და ტატიშვილისა — „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“, № 1; მ. ბერძნიშვილისა — „მიმოხილველში“, № 1; პ. გუგუშვილისა — „ქართულ ეურნალისტიკაში“; გ. თავაძისა — „ბუშინის სახელობის პედაგოგური ინსტიტუტის შრომებში“; მ. გოცაძისა — „საისტორიო მოამბესა“ და „ქართული ეურნალისტიკის ისტორიაში“ და სხვ.). ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ შესახებ დაიწერა საკანდიდატო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1955 წ. გამოქვეყნდა პროფ.

თ. კუკავას მონოგრაფია „ს. დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა“, ხოლო პროფ. შ. ნუცუბიძემ დიდი ადგილი დაუთმო ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ აზროვნებას თავის „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ (ტ. II).

1955 წლის მაისში, სოლომონ დოდაშვილის დაბადების 150 წლის-თავზე, ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა აღნიშნეს ეს თარიღი. სამეცნიერო სესიებზე წაკითხულმა მოხსენებებმა ფართო საზოგადოებას გააცნო ქართული კულტურის ამ უებრო მუშაკის ცხოვრება და მოღვაწეობა. ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ-ლიტერატურულ-ჟურნალისტური მემკვიდრეობა მეცნიერული შესწავლის საგნად იქცა.

ს. დოდაშვილის პირადი ბარათები სხვა მის ნაწერებთან ერთად ემსახურება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას.

№ 1

1. წერილი ამოღებულია ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის (S) ხელნაწერიდან № 1532 (გვ. 149—150)¹, მიმართულია იონა ხელაშვილისადმი.

იონა ხელაშვილი (1775—1837) იყო სოფელ ვაჭირიდან (ახლა სიღნაღის რაიონი), უკანასკნელ ქართველ მეფეთა (ერეკლე, ვიორგი) დახმარებით მან სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებსა და მაშინდელ სასწავლებლებში ისწავლა ცნობილ მწიგნობრებთან. ბატონიშვილებთან ერთად წავიდა რუსეთს და დასახლდა პეტერბურგში, სადაც ალექსანდრე ნეველის აკადემიაში ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას სწავლობდა. პეტერბურგში დახმარებას იღებდა ქართველი დედოფლებისაგან, ბატონიშვილებისაგან და სახელმწიფო ხაზინიდანაც. იგი პეტერბურგის ქართული კოლონიის თვალსაჩინო წევრი იყო. დაწერილი აქვს ბევრი საღვთისმეტყველო ნაშრომი, ქადაგებანი და წერილები სხვადასხვა პირთა მიმართ, დიდ დახმარებას უწევდა ქართველებს და, განსაკუთრებით, სოლომონ დოდაშვილს. ამ უკანასკნელის ჩვენამდე მოსული წერილების დიდი უმრავლესობა იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილი. იონას წესად ჰქონია ცალკე დავთრებში თავმოყრა როგორც მის მიერ სხვებთან გაგზავნილი, ისე სხვათაგან მიღებული წერილებისა. 1827 წლის 9 ივლისს პეტერბურგში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველს სწერდა: „ავთრათნი ჩემნი, რაოდენნიცა არიან დაჩვეულებულსა ქარტებსა ზედა, გარდაიწერე სახსოვრად

¹ შემდეგ ყველგან დასახლებული იქნება ხელნაწერის ფონდის აღმნიშვნელი ლიტერი და ხელნაწერის ნომერი. S — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისეული ფონდია, H — საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი-სეული.

ჩემდა და შენდა და ოდეს კეთილ ხელად გარდაიწერო, დაიცეთ საუნჯესა შინა, ვიდრემდის შეყოვლადდეს უდიდეს ჯავთავისა, ე. ი. წირვის კონდაკისა და შეაკვრევინეთ მეყდესა. ვინ უწყის, იქმნას სარგებელ წარმკითხველთა, რომელთა შინა დაკარგულნი და დავიწყებულნი, მიფარულნი და გაუქმებულნი ლექსნი არიან საჭირონი, სახმარონი და სარგებლიანნი, რათამცა ენისა ჩვენისა ხმანი განდიდნეს და დაწყედიადებულნი რკინოვანთა საუკუნეებთა შინა ავაზაკთა სპარსთაგან, ბალანგარა თურქთაგან, მეკობრეთა ლეკთაგან და გაბნეულთა ჰაოსიანთა შემოსვლათაგან და გარემოთა უბიბლიატიკო თემთაგან...“ (სელნაწერი H № 2226).

ბაგრატ გიორგის ძე ბაგრატიონის ერთი მინაწერით (H № 2108) იონა ხელაშვილი 1837 წლის 4 დეკემბერს 67 წლის ასაკში მომკვდარა. მაშინ იგი 1770 წელს დაბადებული გამოდის.

გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონს იონა ხელაშვილზე ლექსი დაუწერია და განმარტებას აძლევს მისი დაწერის მიზეზს: „ოდეს თეიმურაზ ბატონიშვილიდამ იონა ხელაშვილი ბერი განვიდა და იმერელ მეფის მეუღლის მარიამ დედოფალთან შევიდა და დედოფალმა თავის უპრაავიტელს, ანუ ნაზირს, სოგრატ ამაშუკელს მიაბარა, ამ ბერს კარგი პატივი მიაპყარო და ყური უგდო... მე მეწყინა, რადგან ბიძა-ჩემის თეიმურაზი დამ გავიდა და იმერლებთან შევიდა და იმისთვის მივსწერე ლექსი ესე“ (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 92). იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაზე მუშაობდა დავით კარიჭაშვილი, რომლის ქალღმერთი ახლა ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (№ 4232—ბ).

2. ა დ ა მ ღ ი რ ს ი ა შ ვ ი ლ ი — კახელი მღვდლის შვილი, დაიბადა 1804 წელს, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში იონა ხელაშვილის მზრუნველობით, იქ ისწავლა გიმნაზიაში, შემდეგ კი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად იყო. ადამ ღირსიაშვილი მოხსენიებულია ვ. გრიგორიევის წიგნში „Императорский С. Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования“.

3. იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გიორგი მეთორმეტის ძე (1772—1830). განათლებული და მრავალმხრივი მოღვაწე, „კალმასობის“ ავტორი. ბაგრატ ბატონიშვილის ერთი მინაწერით (H 2108) იოანე 1769 წელს დაბადებულად გამოდის.

4. ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გიორგი მეთორმეტის ძე (1776—1841). რუსეთს გადასახლდა თავის ძმებთან ერთად, იყო კამერჰერი, შემდეგ ებოძა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი და სენატორობა. ავტორია ისტორიული თხზულებისა „ახალი მოთხრობა“.

ს. დოდაშვილი პეტერბურგში იონა ხელაშვილმა ბაგრატ ბატონი-შვილთან გაამწესა მისი შვილების აღმზრდელად. ბაგრატი ცხოვრობდა ვასილის კუნძულზე, მეთორმეტე ხაზზე. მცირეწლოვან ჯავით ბაგრატის ძეს (1819—1888) ს. დოდაშვილმა დაუწერა მილოცვა, რის შესახებაც ს. დოდაშვილს არაერთხელ გაახსენეს გამოძიებისას. ს. დოდაშვილი უჩვენებდა — «Сыну его Давиду в 1827 году был шестой год и находился у русской няньки, он не знал еще по-грузински ни говорить, ни читать, ни писать. Письмо, в котором упоминается Давид, на верно не помню, может быть по какому-нибудь случаю или в день именинника его написал я для удовольствия родителей его» (შეთქ. საქ. XI, ფ. 1883, 1833 წ. 6 მარტი). უფრო ნამდვილი კი იქნება, რომ ეს წერილი მე გადავიწერე მღვდელ-მონაზონ იონასთან დავით ბატონიშვილთან გაგზავნილი წერილიდან მისი მასწავლებლის დავით ალექსიშვილის მიერ, რომელსაც რექტორი ერქვაო. შეიძლება ალექსიშვილის წერილის დედანი იონასთან ინახებოდესო (იქვე). ეს მილოცვა რუსულად დაბეჭდილი აქვს ალ. ხახანაშვილს («Очерки»... IV, გვ. 29). ქართულად ნაწილი გამოაქვეყნა ს. ხუნდაძემ წიგნაკში „ქართველი ინტელიგენციის პროფილი“... რუსულად პირველად დაიბეჭდა ავტორგრაფიული კომისიის აქტებში (VIII, 398), აქედან ისარგებლეს კ. უიფიანმა წერილისთვის „Из давно минувшего Кавказа“. რომელიც გამოქვეყნდა „Кавказский вестник“-ში 1900 წ. (XI, 98) და ალ. ხახანაშვილმაც. იგი დაბეჭდა კიტა აბაშიძემაც უურნალ „მომამბეში“, წერილში „პოლიტიკური რომანტიზმი“. ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე, დურმიშხან ჩოლოყაშვილის ასული ეკატერინე გარდიცვალა მძვინვარე ხოლერით პეტერბურგში 1831 წლის 30 ივნისს. ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟი ალექსანდრე (1820—1865) და ასული ბარბარე (1804—1870), დიმიტრი ორბელიანის მეუღლე, მცხეთის სვეტიცხოველში არიან დასაფლავებულნი.

ს. დოდაშვილი 1833 წლის 10 მარტს საგამომძიებლო კომისიის უჩვენებდა: — „... я родился от бедных родителей, отсюда отправился я с 18 рублями серебром для образования в Санкт-Петербург, где не имел никаких средств содержать себя. Благородный царевич принял меня к себе на дом, благоденствовал и не различал меня от своих детей» (შეთქ. საქ. XI, ფ. 1938—1941).

№ 2

1. წერილი ამოღებულია S № 1532 ხელნაწერიდან (გვ. 175—178), თარიღი არ უწერია. დაწერილი უნდა იყოს 1825 წლის ივლისის ბოლო დღეებში.

2. მეფის ძის ბაგრატის ძე ნიკოლოზ — შვილი ბაგრატ ბატონიშვილისა. ბაგრატის შვილები იყვნენ კიდეც ავით, ალექსანდრე, გიორგი, ბარბარე.

3. სოლომონის ძე მიხაილი — სოლომონი იონა ხელაშვილისა, მიხაილი იონას ძმის შვილი.

4. ადამ — ღირსიაშვილი.

5. მალოვი — ალექსი ივანეს ძე (1787—1855), მღვდელი, მაგისტრი, მოქადაგე და ღვთისმეტყველი, პეტერბურგის აკადემია კჷონდა დამთავრებული, ისაკის ტაძრის პროტოიერეიდ მსახურობდა.

№ 3

1. წერილი ამოღებულია S № 1532 ხელნაწერიდან (გვ. 154—155).

№ 4

1. წერილი ამოღებულია S № 1532 ხელნაწერიდან (გვ. 178). ს. დოდაშვილი წერს თავის ავადმყოფობაზე. მან პეტერბურგის ჰავა ვერ აიტანა, ხშირად ავადმყოფობდა, აკლდებოდა ლექციებსაც. პეტერბურგმა მას ფილტვები დაუზიანა.

2. ს. დოდაშვილის წინა წერილი, რომელიც დაწერილი იქნებოდა 1826 წლის იანვრის პირველ ნახევარში და რომელშიც ავადმყოფობის შესახებ მიუწერია იონა ხელაშვილისათვის, არ ჩანს. იონას უპასუხნია 1826 წლის 16 იანვარს, რომელშიაც სწერს: — „უსაყვარელესო ძეო ჩემო! აჰა სვინდისი ჩემი მოგიტზრობს, რომელსა მსურს რათა სენი ეგე წარიტრას თქვენგან და მოვიდეს ხრწნილთა ამბოხორცთა ჩემთა, რათამცა სიბრძნისა დღესასწაული ეგე თქვენი შკოლასა შინა მაღალთა დღეთა შინა ყოველთა აღასრულოთ რვანი ეამნი და ჰურჰელი ეგე ჰაბუკობისა იქმნეს ჰიერ ზეცისა სიბრძნისა“...

№ 5

1. წერილი ამოღებულია S, № 1532 ხელნაწერიდან (გვ. 179).

№ 6

1. წერილი ამოღებულია S, № 1532 ხელნაწერიდან (გვ. 178).

№ 7

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 105 — 106).

2. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი — ბერძენი ფილოსოფოსი.
3. ლ ო ნ დ ი ნ — დიონისე კასიოს ლონგინ, ნეოპლატონიკოსი.
4. დ ი ო ნ ი ს ე ლ ა ლ ი კ ა რ ნ ა ს ე ლ ი — ისტორიკოსი, რიტორი, კრიტიკოსი, ავტორი „რომის ისტორიისა“.
5. დ ე მ ო ს თ ე ნ ი — ათინელი პოლიტიკოსი, ორატორი, მწერალი, „ფილიპიკების“ ავტორი.
6. ც ი ც ე რ ო ნ ი — რომაელი ორატორი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.
7. კ ვ ი ნ ტ ი ლ ი ა ნ ი — რომაელი პედაგოგი, რიტორიკისა და ლიტერატურის თეორეტიკოსი.
8. რ ო ლ ლ ე ნ შ ა რ ლ — ისტორიკოსი, პედაგოგი, რიტორიკის კათედრის გამგე ბოვეს უნივერსიტეტში, საფრანგეთში.
9. ბ ი ტ ტ ე ჯ ე მ ს — შოტლანდიელი პოეტი, ფილოსოფოსი, ლოგიკის პროფესორი ებერდინში, ინგლისში.
10. ლ ა ღ ა რ ჰ ე ა ნ ფ რ ა ნ ს უ ა — ხელოვნების თეორეტიკოსი.
11. ბ ლ ე რ — ინგლისელი ფიზიკოსი, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.
12. ე შ ე ნ ბ უ რ ღ — იოჰან იოანე ეშენბურგი, ლესინგის ამხანაგი, საშუალო საუკუნეების გერმანული პოეზიის შემსწავლელი.
13. მ ო ა ს — შოავრ აბრაჰამ, ფრანგი მათემატიკოსი.
14. ლ ო მ ო ნ ო ს ო ვ ი — მიხეილ ვასილის ძე, მათემატიკოსი, ბუნებისმეტყველი და პოეტი.
15. რ ი ე ს კ ი — ივანე სტეფანეს ძე, ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი, მკვერმეტყველები პროფესორი.
16. კ ა რ ა მ ზ ი ნ ი — ნიკოლოზ მიხეილის ძე, რუსი მწერალი, ისტორიკოსი.
17. მ ე ფ ი ს ძ ე ბ ა გ რ ა ტ — ბაგრატი ბატონიშვილი.

№ 8

1. წერილი ამოღებულია S № 1532 ხელნაწერიდან (გვ. 201—202).

№ 9

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 115—116). ს. დოდაშვილის ამ წერილზე იონა ხელაშვილი აძლევს პასუხს:— „სულიერო ძეო ჩემო სოლომონ, ქრისტე ღმრთისა მიერ ლოცვათა მომრთმეველობ თქვენდამო საღთოდრე. იხილეთ, თქვენი ავთრათი მივიღე საუნჯისაგან გულისა გამოღებული, აგვისტოს 14-სა, წელსა

1826-სა, რომელსა შინა ლექსითა ამით: თქვენ მიერ ვიყავო სასოებასა შინა. აჰა, ვიყავ ზმნა ნიშნავს ნამყოსა რაისამე და არღა მყოობადსა, არამედ აწმყოსაცა დროსა უსასოებისა, გინა სასოწარკვეთილობასა, ამისთვის საუნჯისა გულისა თქვენისა სვინდისი მსაჯული შინაგანი სულისა არს უტყუელი გულისა შენისა, რომელ კატიგორია, გინა ლოდიკა გულისა შენისა გამომიცხადებია. ვითა იტყვის სამღვდლო წერილი, არა არს დაფარული რომელი არა გამოცხადდესო, ვითარ ცხად მიყოფს ქარტა კაბადონი თქვენი, მხოლოდ ნამყოსა სასოებასა და არღა აწმყოსა და მყოობადსა. აჰა, ნყოფი სულისა თქვენისა აზმნობა. ეგრეთ ცხად მიყოფს.

იგულვეთ, იტყვისა ბრძენი ეკლესიისა, ამხილე ბრძენსა და შეგიყვაროსო. აჰა, ესერა თქვენ ბრალნი უუმთავრესნი დიდ ფრიადნი ოთხნიერე გქონან. 1. აჰა, შეგიშადე სარეცელი სასწავლებელსა შინა, რათამცა ორი დღე მუნ დაგეყოთ სწავლისათვის და სიმრთელისა, ანუ დღე გამოდებითა მაშინც, გარნა გააუქმეთ. 2. საღვთო სიყვარულისათვის განიქე ჟამნი, რათამცა შვიდეულისა დღენი და ჩემნი კაცნი გეცნათ, გარნა უგულებელს ჰყავთ, რადგან გზის შეგკითხე, ვერა რაი მომიგეთ, რომელთა ნაცვლად ძველთა მოსწავლეთა შვიდეულსა ნიშნები და ვარსკვლავები უწყოდენ. 3. აჰა, ჩვენ ყოველნი ზეცისა მოგზაურნი თავთა ჩვენთა გამსახურებთ მალალსა და ნივთებთაცა, მოვიხვამდ შეწირვად მისდამი, რათამცა სურვილი ჩვენი იხილოს საჯაოთ ძალთა აღონად იელოვამ, ესე იგი დედამან დიდისა კონსტანტინესმან სამისა წლისა დაფლული ძვალი იპოვა, შაშპართა სუნნელიანისა ორძილითა, რომლითაცა აღვამალვებთ ჯვარსა ცხოველსა, რომელი მოულებიეს ეკლესიასა ბერძენ-ქართველ-როსთასა, რომელი თქვენ გეცინებისთ, რომლისათვის ბრძენი სოკრატ შემსმელ სამსალისა იქმნა ბნელთა წარმართთა მსაჯულთაგან, რომლითა ქებულ-არს მიუკუნისამე. 4. წიგნი მოგეც ახალ დაბადებული, რომელი თვინიერ აღმოკითხვისა ეგრეთ გეზიზღების, ვითა ძველთა თხემებთა, რომელთამე რომელი ჰგონებენ თვით განჰსწავლულისა ქართველსა არა რაი უწყოსო, ეგრეთ ვითა სხვისა ენისა ნათესაემანო და ესე ვითარისა აზმნობითა თვისსა ბრძენსაცა საწუნებელ ჰყოფენ, ეგრეთვე ახალნი რომელნიმე თხემნი თვისისა ენისა უკეთილესსა თხზულებასან გაკილვენ, რომელთა ვითა მანდრაგორისა გემო არა უწყიან, ეგრეთვე დაწუნებულნი თვისნი არა უწყიან მათ, უკეთუმცა ეცნათ პეტრიწი, ჩახრუხაძე, აბდულ-მესია, დიმიტრი, ნიკოლოზ ტფილელი, ვახტანგ მეფე, არჩილ მეფე, თეიმურაზ მეფე, დოსითეოზ ეპისკოპოზი და სხვანი და სხვანი, რომელთა თხზულნი ოდესმე გამოშვედებიან ოქროვანსა საუკუნესა შინა. აჰა, ზემონი უკეთუმცა უწყოდენ უბირთა, არამცა მამულისა თხზულნი დაწუნებულ იყო“... (H № 2226, გვ. 67).

ი. ხელაშვილს, ალბათ, სხვა დროსაც გამოუთქვამს საყვედური ს. დოდაშვილის მიმართ. იმავე წლის 14 ნოემბრის იონასთან მიწერილ წერილში (№ 12) ს. დოდაშვილი ბოდიშს იხდის.

№ 10

1. ლექსი-აკროსტიხი (კიდურწერილობით გამოდის — იონა უძლენი სოლომონ აწ) მოთავსებულია სამ ხელნაწერში S № 1532 (გვ. 119), 130 (გვ. 106) და H № 2226 (გვ. 107). პირველში უწერია 22 სექტემბერი, მეორეში და მესამეში 1826 წ. 21 სექტემბერი. სამივე ტექსტი ერთგვარია. ლექსის დაწერის თარიღი და ადგილი: „სექტემბრის 21. 1826 წელსა ქალაქსა პეტრესა დიდისასა“.

№ 11

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 141—142).
2. ბ ა რ ა კ ი ე ლ ი — მსახური წინაშე მღევი (სულხან-საბა ორბელიანი). ბაგრატ ბატონიშვილის მსახური ვინმე.

3. ე რ ი ს თ ო ვ ი შ ა ნ შ ე ს ძ ე — ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808—1871), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, იგი რუსეთში ცხოვრობდა 1823—1830 წლებში. 1828 წლის მაისის 13 მან, სხვა ერისთავებთან ერთად, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელშიც ეწერა: „რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია, ვინც უმტყუვნოს ამ ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის, — იყოს შეჩვენებული ღვთისაგან“ („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 17). ამ ხელშეკრულებას ოქროს ძეწკვიანი ოქროს ქინძისთავი აქვს გაყრილი, ინახება შეთქმულების საქმეებში. ელიზბარ ერისთავი საქართველოში დაბრუნდა 1830 წელს.

4. ლ ა ს ს ე ნ დ ი — პიერ ჰასენდი, ფრანგი ფილოსოფოს-მატიკრიალისტი, ფიზიკოსი და ასტრონომი.

№ 12

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 70—72).

2. ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი — პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი, დაარსდა 1819 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. უნივერსიტეტი იყო მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულება, რომელშიც მრავალმა გამოჩენილმა ადამიანმა ისწავლა, მათ შორის ბევრმა ქართველმაც (დ. ჩუბინაშვილი, აკ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, დავ. ყიფიანი, პ. ნაკა-

შიძე...). უნივერსიტეტში პირველად სამი ფაკულტეტი იყო: ფილოსოფიურ-იურიდიული, ფიზიკურ-მათემატიკური და ისტორიულ-ფილოლოგიური... ს. დოდაშვილი ჩაირიცხა ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დეკანი მაშინ იყო ფილოსოფიისა და სისხლის სამართლის პროფესორი პეტრე დიმიტრის ძე ლოდიი... 1825 წლიდან ს. დოდაშვილის რექტორი იყო ანტონ ანტონის ძე დეგუროვი, ინგლისიდან ჩამოყვანილი ბარიატინსკის მიერ. დეგუროვი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს პოლიტიკურ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას, რის გამოც ინგლისში იყო წასული (ამ დეგუროვის ბიბლიოთეკა შემდეგ თბილისში იქნა გადმოტანილი და საფუძვლად დაედო საჯარო ბიბლიოთეკას). ს. დოდაშვილის მასწავლებლებად უნივერსიტეტში იყვნენ პავსკი, ტოლმაჩოვი, შნაიდერი, ბოგოლუბოვი, ბუტირსკი, ელპატიევსკი, როკდესტვენსკი და სხვა. პეტერბურგის უნივერსიტეტის შესახებ იხ. П. Плетнев — «Первое двадцатипятилетие императорского санктпетербургского университета», 1844; В. Григорьев — «Императорский С.-Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования», 1870; Ленинградский университет, 1819—1944.

№ 13

1. წერილი ამოღებულია ხელნაწერიდან Н № 2226 (გვ. 120).

№ 14

1. წერილი ამოღებულია საქართველოს საისტორიო არქივში დაცული განსაკუთრებული საქმეების ფონდიდან № 170. ავტოგრაფია.

2. ფილადელფოს კიკნაძე — 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, „აქტი გონიურის“ შემდგენელი. დაპატიმრებული ფ. კიკნაძე ერთ-ერთ ჩვენებაში წერდა: „მე ვარ იმერეთისა სახასოთა აზნაურთაგანი, სჯულიერი შვილი მამით იოანე კიკნაძისა და დედით თავადის თინათინ აბაშიძის ასულისა. ნათლობის სახელი მერქვა ნიკიფორე. ბერობის სახის შემოსაში მიწოდეს ნიკოლოს, პატარა სქიმისა და იერომონახად კურთხევაში მიწოდეს ნებითა მიტროპოლიტის ბოდბელის იოანესითა ფილადელფოს“... იგი უნდა დაბადებულიყოს 1793 წელს. „გაევიზარდე საქართველოში (აღმ. საქართველოში — ს. ხ.), პირველად მცირე წლოვანი იოანე ნათლისმცემლის მონასტერში საზოგადოს ძმათ ხარჯით, ვისწავლე იქ საღმთო წერილის წერა და სჯული ღვთისა. შემდგომ მოვიდა იქ ხირსის მონასტრის არხიმანდრიტი... წამიყვანა თავისთან... მასწავლა ქართულს ენაზედ ფილოსოფია და ღვთისმეტყველება...“ 1826 წელს წასულა რუსეთს, ნიჟნი ნოვგოროდში, კათალიკოს ანტონ მეორესთან. ფილადელფოს კიკნაძე რუსეთში ხვდებო-

და პერს, ვინმე პორფირს (გარდ. 1830 წ.), ოქროპირ ბატონიშვილის მოძღვარს. პორფირი თურმე აქეზებდა ფილადელფოსს წიგნების წერაზე, შემდეგ ნაწერიც გადაუტია რალაც, საიდანაც ფილადელფოსს „აქტის“ დაწერისას უსარგებლია. რუსეთში ყოფნისას მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის გამოძიებასა და პატიმრობაში ყოფილა (იხ. წერილი № 25), მაგრამ ანტონ II კათალიკოსის გავლენით გათავისუფლებულა და 1827 წელს, ანტონის გარდაცვალების შემდეგ. წამოსულა საქართველოში (за донос был под судом, затем возвращен в Грузию — ასე წერია მის შესახებ შეთქმულების საქმეში). აქ იგი შუამთის მონასტერში ცხოვრობდა. გარდა კათალიკოს ანტონისა რუსეთში იგი იცნობდა ბატონიშვილებს — მიხეილს, ილიას, ოქროპირს... ფ. კიკნაძე პატიმრობაში გარდაიცვალა 1833 წ. ს. დოდაშვილს ფ. კიკნაძე გაუცენია 1819 წელს ხირსის მონასტერში ნიკიფორე არქიმანდრიტთან.

3. ს. დოდაშვილს ნიჟნი ნოვგოროდიდან 15 დეკემბერს მიუღია წერილი, რასაც 20 დეკემბერს გასცა პასუხი. ამასთან დაკავშირებით 1833 წლის 28 თებერვალს აჩვენებდა: ნიჟნი ნოვგოროდიდან გუბერნიის მდივანმა თულაშვილმა, პეტერბურგში ჩამოსულმა, მომიტანა იერომონახ ფილადელფოსისაგან წერილი მიხეილ ბატონიშვილთან მოსკოვში გასაგზავნადო, მაგრამ მე წერილი მოსკოვში არ გამიგზავნია მასთან, რადგან, როცა მე გასაგზავნად წერილი მივიღე, გავიგე კიდევ, რომ თვით იერომონახი ფილადელფოსი მოსკოვში ყოფილიყო (შეთქმ. საქმეები. რე. X, ფურც. 1733).

4. ს. დოდაშვილს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში დანიშვნის შესახებ ლაპარაკობს ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორის რაპორტი ბარონ როზენის მიმართ 1833 წლის 22 მარტისა: «Имею честь донести, что как из дел дирекции оказывается, Соломон Додаев был определен по предложению попечителя Харьковского университета (მაშინ ეს თანამდებობა ეჭირა. ალექსა ალექსის ძე პეროვსკის) училищным комитетом онаго, учителем в бывшем Тифлисском благородном училище (ყოფილია გიმნазია) 24-мая 1827 года, вступил в сию должность 26 июля того же года»... (შეთქ. საქმეები, რე. XIII, ფურც. 2292). კავკასიის ოლქისა და კეთილშობილთა სასწავლებლების დირექტორს იაროსლავსკის ს. დოდაშვილმა იმავე წლის ივლისში რაპორტი მიართვა. რომელშიც წერდა, რომ არავითარ საიდუმლო საზოგადოებაში არ ყოფილვარ და არც ვიქნებო, ხოლო 28 აგვისტოს მეორე ხელწერილი დაწერა — არც მასონთა ოლქისა და არც სხვა რომელიმე საიდუმლო საზოგადოების წევრი არც ვყოფილვარ, არც ვარ და არც ვიქნებო (ბ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 110). 1827 წლის დასაწყისში თბილისის სემინარიასა, კავკასიის სასწავლებლობის დირექტორსა და ხარკოვის სასწავლო ოლქს შორის გაიმართა

მიწერ-მოწერა იმასთან დაკავშირებით, რომ ს. დოდაშვილმა უნივერსიტეტის კურსის დასასრულის მოახლოვებასთან დაკავშირებით ითხოვა მასწავლებლის ადგილი კეთილშობილთა სასწავლებელში (საქ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 112, რე. 23, ფ. 53-55).

5. პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიკოსი პლეტნიოვი წერდა, რომ ყოველი სტუდენტი უნივერსიტეტში შესვლიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, თუკი ყოველწლიურად გამოცდებს დამაკმაყოფილებლად ჩააბარებდა, უნივერსიტეტიდან გამოდიოდა კანდიდატის ან ნამდვილი (действительный) სტუდენტის ხარისხით («Первое двадцатипятилетие»... გვ. 37).

№ 15

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 153). უთარილოა, დაწერილი უნდა იყოს იმ წერილების მომდევნოდ, რომლებშიაც ს. დოდაშვილი მსჯელობს ზოგიერთ ფილოსოფიურ საკითხზე (იხ. წერილები 12, 13), ე. ი. 1826 წლის დეკემბერში.

№ 16

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 153—154), უთარილოა. დავით კარიჭაშვილის აზრით დაწერილი უნდა იყოს 1826 წლის დეკემბერში. წერილი შეიძლება დაწერილია 1826 წლის 25 დეკემბერს ან მომდევნო დღეებში, ქრისტეს შობის დღესასწაულთან დაკავშირებით. დასასრული აკლია.

2. ს. დოდაშვილი გულისხმობს თავისი ფილოსოფიის კურსის დაბეჭდვას.

№ 17

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 154—155), უთარილოა. დასასრულიც აკლია.

2. ლოკი — ჯონ ლოკი, ინგლისელი ფილოსოფოსი.

3. ვოლტერი — ფრანსუა მარი, ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი.

4. რუსოსი — ჟაკ, დიდი ფრანგი მოაზროვნე, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი.

5. მარკიზ დარჟან — არჟან ჟან-ბატისტ დე-ვოიე, ფრანგი მწერალი.

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 152), უთარილოა.

2. ანა დედოფალი მამუკა ყაფლანიშვილ-ორბელიანის ასული, მეუღლე იმერეთის მეფის დავით გიორგის ძისა, რუსეთს გადასახლდა 1809 წელს, იქ „ანნა მათვეენას“ ეძახდნენ. გარდაიცვალა 1832 წლის 18 ივნისს.

3. ს. დოდაშვილს განზრახული ჰქონდა „ლოგიკა“ დაებეჭდა როგორც ქართულს, ისე რუსულ ენებზე. 1826 წლის დასასრულისთვის მას ნაშრომი გამზადებული ჰქონია ორსავე ენაზე და ამიტომაც ცდილა კიდევ „წარსაგებლისათვის“. ბეჭდვისთვის საჭირო ხარჯების შესახებ სწერდა იონა ხელაშვილსაც და მიუწერია ანა დედოფლისათვისაც. ს. დოდაშვილმა ლოგიკა საცენზურო კომიტეტში წარადგინა 1826 წლის დეკემბერში. 18 დეკემბერს დაწერილ განცხადებაში იგი აუწყებდა კომიტეტს, რომ ცენზურის წესდების ამა და ამ პარაგრაფის ძალით ქართულად და რუსულად გიდგენთ განხილვისა და ნეპართვისათვის წიგნსო. საცენზურო კომიტეტმა ორივე წიგნი გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტს ქართული ტექსტის წასაკითხავად. რუსულ ლოგიკას ნება მისცეს, ხოლო ქართულის შესახებ, სააზიო დეპარტამენტის თანამშრომლის ნიკოლოზ ჩუბინაშვილის დასკვნის შემდეგ, საცენზურო კომიტეტს დაუწერია: «...если он желает (ს. დოდაშვილი) издать свой курс на российском языке непременно с грузинским переводом, — исправить в сем последнем темноту слога, и потом представить свою рукопись вновь чисто и исправно переписанную (საბუთები საცენზურო კომიტეტის საქმეებიდან გამოაქვეყნა ს. ყუბანეიშვილმა „ლიტერატურული ძიებანის“ VIII ტომში). რადგან ს. დოდაშვილს ეჩქარებოდა წიგნის გამოცემა, რომ უნივერსიტეტის კურსის შესრულებისათვის დაბეჭდილი წარედგინა, ამიტომ რუსული წიგნი დააჩქარა, ქართული კი აღარ გამოცემულა. წიგნი 1200 ცალად დაიბეჭდა.

№ 19

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 152—153), უთარილოა. დ. კარიჭაშვილი ათარილებს 1826 წლის ნოემბერ-დეკემბრით. წერილი დაწერილი უნდა იყოს 1827 წლის 8 თებერვლის შემდეგ, როცა ს. დოდაშვილი საცენზურო კომიტეტისაგან გაიგებდა, რომ ლოგიკის რუსული ტექსტი დაუბრკოლებლად დაიბეჭდებოდა.

2. ა დ ა მ ი — ღირსიშვილი.

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 333). უნდა დაწერილი იყოს იონა ხელაშვილის მიერ წიგნის ბეჭდვისთვის საჭირო თანხის გაღების შედეგად, ს. დოდაშვილის „ლოგიკაში“ აღნიშნული იყო: „ამ თხზულების გამომცემი სასიამოვნო ვალად თვლის ამცნოს მოწყალე მკითხველებს, რომ ამ თხზულების გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მისი ღირსება ქართველი მღვდელ-მონაზონი იონა“.

№ 21

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 330—331).

№ 22

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 333—334).

№ 23

ეს წერილი მოთავსებულია ორ ხელნაწერში H № 2226 (გვ. 334) და S № 1532 (გვ. 120—121).

№ 24

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 349), დ. წერილია 1828 წლის მაისის 20-მდე.

2. ივლისხმება ს. დოდაშვილის გამომგზავრება პეტერბურგიდან სამშობლოსაკენ. ს. დოდაშვილი პეტერბურგიდან გამოსულა 1827 წლის 28 მაისს. იგი გამოუცილებია ორ, მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ადამიანს — იონა ხელაშვილსა და ბაგრატ ბატონიშვილს. ს. დოდაშვილს თან წამოუღია თავისი წიგნის ტირაჟის ნახევარი (სულ 1200 ცალი დაიბეჭდა). ამ მძიმე ტვირთისა და, აგრეთვე, მოუხერხებელი მგზავრობისაგან წიგნების ყდების გაფუჭების შესახებ ს. დოდაშვილი გზიდან იონასადმი მიწერილ წერილებში ხშირად წერდა.

№ 25

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 362—363). წერილში მოხსენიებული ფაქტები, რომ მოსკოვში მარიამ დედოფალი (გიორგი XII ქვრივი) და მისი შვილები ინახულა, ს. დოდაშვილმა გაიხსენა 1833 წლის თებერვალში და საგამომძიებლო კო-

მისიას აცნობა: 1824 წლის აგვისტოში მხოლოდ ერთხელ ვნახე მიხეილიო. პეტერბურგში ვიცნობდი იოანეს, ბაგრატს, თეიმურაზს. ფარნაოზს ორჯერ შემახვედრა იონა ხელაშვილმაო, დიმიტრი ვნახე მის დედასთან, ოქროპირი იონამ გამაცნო პეტერბურგშიო, 1827 წელს მოსკოვში გამოვლისას შევხვდი ოქროპირსა და მის ძმას ილიასო (შეთქ. საქმეები, რვ. VI, ფურც. 1107-1110).

2. დედოფალი — გიორგი XII ცოლი მარიამ (1767-1850), გიორგი ციციშვილის ასული, გენერალ ლაზარევის მოკვლის შემდეგ რუსეთში გადასახლებული ჯერ ცხოვრობდა ბელოგოროდში, 1811 წლიდან ნება მისცეს მოსკოვში გადასვლისა.

მარიამ დედოფალი მოსკოვიდან ჩამოასვენეს და დაასაფლავეს მცხეთაში. მის ქვას აწერია: „აქა მდებარეობს გვამი კეთილმორწმუნის საქართველოს დედოფლის მარიამისა მეუღლის კეთილმორწმუნის საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტისა. გარდაიცვალა მოსკოვს ჩუნ წელსა, მარტის ლ დღესა შობითგან ოთხმოცდა ორი წლისა“.

მარიამ დედოფალთან დაკავშირებით ქართულ ხელნაწერებში (S № 2450) შენახულია უავტორო ლექსი:

ლაზაროვს წელში გაურქვეს ხანჯალი,
დედოფალი იყო მისი აჭალი
დედოფალი წაიყვანეს ძალითა,
ოთხის წერილის ვაჟით, ორის ქალითა,
მათი ტანჯვა ვნახე ჩემის თვალითა,
მათ მოუსვენს ერთიანად სამტალი,
ლაზაროვს წელში გაურქვეს ხანჯალი.

დედოფალი დასკრეს მძიმედ მკლავშია,
სისხლის ცრემლი მოსდიოდა თვალშია,
აიყვანეს, გაიყვანეს კარშია.
ჩასვენს, აღარ კითხეს თავის აფალი
ლაზაროვს წელში გაურქვეს ხანჯალი,
ერეკლესა აღარ მისცეს ქუდია;
[...]-ლებს გაუსწორდათ კუდია,
პატივები მოგვყვენეს ცუდია.
[...]-ვეფხვივით რო[...] კანჯალი,
ლაზაროვს წელში გაურქვეს ხანჯალი.

3. ოქროპირ — გიორგი XII შვილი. ოქროპირ ბატონიშვილი საქართველოში 1829 და 1830 წლებში იმყოფებოდა. მის აქ ყოფნასთან არის დაკავშირებული შეთქმულების დაწყება 1830 წელს. ს. დოდაშვილი ოქროპირს შეხვდა პეტერბურგში 1825 წელს, შეხვდა მოსკოვშიც 1827 წელს, ოქროპირის თბილისიდან გამგზავრებისას კი, სხვებთან ერთად, მცხეთამდის გააცილა. ოქროპირი და ს. დოდაშვილი თბილისიდან ავქალამდე ერთ ეტლში მსხდარან ორნი. ოქრო-

პირი შემდეგ კოსტრომაში გადასახლეს. ოქროპირი გარდაიცვალა 1857 წ.

4. ს. დოდაშვილმა მოსკოვში გაიცნო თამარ ბატონიშვილი. საგამომძიებლო კომისიას მან 1832 წლის 23 დეკემბერს უჩვენა: «Будучи еще в Москве в 1827-м году в июне месяце, в собственном их доме, услышал я от хромой сестры его Окропира царевича царевны Тамары (თამარ გიორგის ასული, როცა იგი ლაზარევის მოკვლის შემდეგ დედასა და ძმებთან ერთად გადასახლეს. კავკასიონის უღელტეხილზე გაცივდა, ფეხები სიცივემ დააძრა და აქვალღ ღარჩა — ს. ჯ.) захватывая, чтишь я ученикам своим внушал, наставляя чтобы грузинских царевичей не забыли» (შეთქმ. საქმეები, რვ. II, ფურც. 173). ეს თამარი დამარხულია მცხეთაში, მის საფლავის ქვას აწერია: „აქა განისვენებს საქართველოს მეფის გიორგის ასული თამარ. გარდაიცვალა ქალაქს ვარონეეს ჩენ-ს წელსა ივლისის კგ-სა დღესა შობიდგან სამოცდაცრთის წლისა“.

5. ილია — გიორგის ძე ბატონიშვილი (1790-1854).

6. დიმიტრი მღვდელი — ოქრიაშვილი, ოქროაძე. ქართული ხელნაწერების ანდერძების მიხედვით ეს დიმიტრი მღვდელი 1810-1820 წლებში გორსა და მეჯვრისხევეშია, 1824 წელს პეტერბურგში, შემდეგ მოსკოვში უცხოვრია. არქივში შენახულია მისი წერილი ფილ. კიკნაძის მიმართ, დაწერილი 1824 წლ. დეკემბრის 3-ს.

7. მამა ტარასი — ალექსიშვილი ტარასი სოლომონის ძე. ს. დოდაშვილი გულისხმობს მოსკოვში 1827 წელს დაბეჭდილ წიგნს „ვრცელი კატეხისმოი... რუსულიდან ქართულად გარდმოღებული და დაბეჭდილი ტარასის მიერ მღვდელ-მონაზონისა, სოლომონის ძის ალექსიშვილისა, რომელიც ჰსძღვნის კეთილ-გონიერთა ყრმათა საქართველოსათა დაიბეჭდა.. მოსკოვსა, წელსა 1827, თვესა ივლისისა“. ტარასი ვარლამ ერისთავს გაჰყვა რუსეთში 1817 წელს, ხოლო 1830 წელს დაბრუნდა საქართველოში. იგი დაბადებული უნდა იყოს 1793 წელს.

8. დოსითეოს არქიეპისკოპოსი — ფიცხელაური დოსითეოს არჯევანის ძე. 1817 წლიდან გადასახლდა მოსკოვს, დაბრუნებული გარდაიცვალა თბილისს 1831 წლის 1 ნოემბერს.

9. პავსკი — გერასიმე პეტრეს ძე პავსკი (1787—1863), გამოჩენილი ფილოლოგი, ჰებრაისტი. ბ. ბელინსკი პავსკის ერთი ნაშრომის შესახებ წერდა — „его труд составляет новую эпоху в истории грамматики“. 1842 წელს რუსული ლიტერატურის მიმოხილვაში ბელინსკი ბ. პავსკის წიგნს „Филологические наблюдения протонерея Г. Павскаго над составом русского языка“ მნიშე-

ნელოვან და სერიოზულ ნაშრომად თვლის. გ. პავსკი პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნიდანვე (1819) მასში კითხულობდა ლექციებს, იგი ს. დოდაშვილის მასწავლებელიც იყო, უკითხავდა „Постепенный ход религиозных понятий в человеческом роде“, «История ветхозаветной и новозаветной церкви», „Изъяснения евангелия и апостольских посланий“. პლ. იოსელიანი წერს: „გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ს. პ.-ბ. ებრაულისა ენისა, მეტყობდა ვარლაამისათვის, რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლაამისა, რომელიცა დაიბეჭდაცა. მისგანვე ვარლაამსა ესწავა მრავალთა ლექსთა, ებრაულ ენასა სახმართა“ („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 257).

10. ფ ი ლ ა დ ე ლ ფ ო ს — ფილადელფოს კიკნაძე.

11. ა დ ა მ ღ ი რ ს ი ე ვ ი — ღირსიაშვილი.

№ 26

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 367—368).

2. ს. დოდაშვილმა, პეტერბურგიდან გამომგზავრებულმა, მოსკოვში ბევრი მოწინავე ადამიანი გაიცნო. გაუცვნია სხვადასხვა ეურნალების რედაქტორებიც, რომელთაც ამ დროს უკვე ექნებოდათ ცნობა მისი წიგნის შესახებ.

3. უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი — ახლა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსეთის უძველესი უმაღლესი სასწავლებელი მოხოვოს ქუჩაზე.

4. თ ე ა ტ რ ი — მაშინდელ მოსკოვში ორი სახელგანთქმული თეატრი იყო: დიდი, საოპერო და მცირე.

5. ეს უნდა ყოფილიყო მოსკოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელსაც, როგორც უნივერსიტეტს, საფუძველი ჩაუყარა ლომონოსოვმა.

6. ა დ ა მ ღ ი რ ს ი ე ვ ი — ღირსიაშვილი.

7. გ ი ო რ გ ი პ ა ი ჭ ა ძ ე — მესტამზე გიორგი დავითის ძე პაიჭაძემ ხელობა რუსეთში ისწავლა. მოსკოვში ქართული წიგნი აქვს დაბეჭდილი. ადრე მუშაობდა საქართველოში, შემდეგ რუსეთს გადასახლდა. 1800 წელს ქუთაისში დაბეჭდილი აქვს „დავითნი“. მის ბოლოსიტყვაობაში იგი წერს: „მებრძანა... სტამბის გამართა და გაკეთება. და მე ძორჩილ ვიქმენ (სოლომონ მეორისაო — ს. ნ.), ვითა საღმრთოსა კეთილ-საქმიერებისა; და წარველ რუსეთად მოსკოვს, და რომელიც სახმარნი სტამბას ესაჭიროებოდა, ყოველივე სრულად და უნაკლულად მოვიტანე საფასითა მისის უმაღლესობისათა; და გვაკეთე ქუთათისს, ვითა ჭერ იყო, რომელიც არაოდეს ყოფილიყო იმერეთში. და პირვე-

ლად დავებეჭდე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე ფსალმუნი მეფისა დავითისი...“ („ქართული წიგნი“, I, აღწ. 84). მეორე წიგნისთვისაც, რომელიც მოსკოვსაა დაბეჭდილი 1805 წელს („სადღესასწაულო“), გიორგი პაიჭაძეს ბოლოსიტყვაობა დაურთავს (იქვე, აღწ. 95). გიორგის პეტერბურგში იონა ხელაშვილის დავალებითაც უმუშავნია, მონაწილეობა მიუღია ხელნაწერთა გადაწერაში. იონა სწერდა პაიჭაძეს: „ეგრეთვე უმაღლესისა დედოფლისა მარიამ კაცია დადიანის ასულის წინაშე ვარ მეოხი, ესოდენ, რომელნიცა თვითცა უკვირს უმაღლესსა დედოფალსა, რომელ ხშირად მიბრძანებს შენის პატივისცემისათვის — უმეტეს მებრალეზაო. ესე რა ლანწყოვის სახლში მოხველი ჩემთანა და მითხარი სამის-ოთხის დღით ლოგინის დასადგმელი მიბოძოსო დამყისვე შევსთხოვე უმაღლესსა. ესე რა სამნი წელნი სდგვნარ და გეძლევის თვითეულსა თვის თავზე ოცდახუთი რუბლი, სადილი, ვახშამი და ჩაი და ღვინო და იყი და სახლი, შეშა, წყალი და ყოველნივე საცხოვრებელნი. ეგრეთვე შეილისა შენისათვის მივაწერიან ველიკი კნიაზთან და მიიღო კორპუსში და დღეს გამოუშვებს აფიცრად, ესე რა ჩემის მხრით. მე ღმერთმან მომანიჭა ძალა შეწევნად შენდა შვილითურთ“.

8. პ ე ტ რ ე — შეიძლება ეს იყოს მწიგნობარი პეტრე ქებაძე, რომელიც პეტერბურგს ცხოვრობდა და რომელსაც ბევრ ქართულ ხელნაწერზე (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონდებში) თავისი გვარი აღუნიშნავს.

№ 27

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 366—367).

2. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ჩოლოყაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1801—1833), რიფსიმე გიორგი XII ასულის ვაჟი, პეტერბურგში ნაცხოვრები. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. ს. დოდაშვილმა ა. ჩოლოყაშვილი გაიციო ბაგრატ ბატონიშვილთან, ბაგრატი ალექსანდრეს დედის ძმა იყო. 1827 წელს ალ. ჩოლოყაშვილი და ს. დოდაშვილი ერთად გამოემგზავრნენ მოსკოვიდან. ს. დოდაშვილი აჩვენებდა საგამომძიებლო კომისიას: «Князь Ал. Челобаев из Москвы в 1827 году отправился вместе со мною до линии и сстался он на Горячеводск (პატიგორსკის რ-ნი) для излечения болезни, от туда приехавшись сюда, остановился у меня». ალ. ჩოლოყაშვილი ს. დოდაშვილს ხუმრობით „კაზიონის“ ეძახდა, როგორც სახაზინო გლეხის შვილს. ბაგრატ ბატონიშვილის მიერ ერთ ხელნაწერზე (H № 2108) ალ. ჩოლოყაშვილის შესახებ მიწერილია „სამღვთო საეროთი სრული და განსწავლული ფრიად ევროპიელთა ენითა და წერილითა სრულიად...“

3. პარმენ მღვდელი — პარმენ მღვდლის შესახებ 1820 წელს მოსკოვში გამოცემულ „ლოცვანში“ დაბეჭდილია: „დედანზედ გამართვითა საქართველოს დედოფლის მარიამის მღვდლის პარმენ წინამძღვრის შვილისათა“-ო („ქართული წიგნი“, აღწერ. 120). 1836 წელს პარმენს კრებული გადაუწერია მოსკოვში (H № 213). პარმენს უცხოვრია დედოფალ მარიამთან. იონა ხელაშვილი მას მოიხსენიებს სულიერ შვილად. ს. დოდაშვილი პეტერბურგიდან მოსკოვში გამოვლილი რამდენსაჲ ხანს დარჩა ძველ სატახტო ქალაქში და პარმენ მღვდელთან იყო ჩამომხტარი. პარმენ დომენტის ძე წინამძღვრიშვილი, მარიამ დედოფლის მოძღვარი, გარდაიცვალა მოსკოვს 1846 წლის 14 ენკენისთვის.

4. სიპიაგინი — ნიკოლოზ მარტინის ძე (1785—1828), გენერალ-მაიორი, ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ომის მონაწილე, „Военный журнал“-ის რედაქტორი, 1817-19 წლებში თბილისის სამხედრო გუბერნატორი. მის დროს დაარსდა გაზეთი „Тифлисские ведомости“. გარდაიცვალა 1828 წლის 10 ოქტომბერს.

5. ფარსადან (შო) თეიმურაზი — ციციშვილი (1786—1845), პეტერბურგში ცხოვრობდა, მიხეილ, ილია და ოქროპირ ბატონიშვილებთან დაახლოვებული და მათთან ხშირად მყოფი მოსკოვშიც. S № 1532 ხელნაწერზე ფარსადან ციციშვილს მიუწერია:

„წიგნი ესე ვნახე უმდაბლესად მონამ,
თავი ჩემი ვყავ თქვენდა მოსმენად.

ფ. ციციანოვი, 1827 წელსა, აპრილს 9 დღესა“.

ეს ხელნაწერი იონა ხელაშვილისეულია, შიგ სხვადასხვა მასალა არის თავმოყრილი მიმოწერასთან ერთად. ფარსადან ციციშვილი შემდეგ თბილისში ცხოვრობდა. ფ. ციციშვილის შესახებ იხ. „ძველი თბილისის ადამიანები: ფარსადან ციციშვილი“, ს. ხუციშვილისა, „თბილისი“, 1959 წ., № 214.

№ 28

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 385—387).

2. სლობოდო-უკრაინსკის გიმნაზია — Слободско-украинская (Харьковская) гимназия. ამ გიმნაზიის შენობაში ეწყობოდა ხარკოვის უნივერსიტეტის საჯარო აქტები, რადგან უნივერსიტეტს დიდხანს შესაფერი შენობა არ ჰქონდა. 1827 წლის ივლისში, როცა ს. დოდაშვილი ხარკოვში იყო, ამ გიმნაზიის შენობაში მოეწყო სტუდენტთა გამოშვებისადმი მიძღვნილი ზეიმი. ს. დოდაშვილის „ლო-

გიკის“ შესახებ ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორმა და მასწავლებლებმა უკვე იცოდნენ, ამისათვის მისი ავტორი პატავისცემით იქნა მიღებული. ს. დოდაშვილის ამ წერილის პასუხად იონა ხელაშვილმა ას სწერდა: „და ესე ვითარისა სახითა ლოლიკამან თქვენმან რექტორი და ინსპექტორი აღტაცებულებისა მზიარულებით პირისა შენისა ამბობრებად აღატრფო სიბრძნისა ალით და ნიშნი ნიშატებითა სიყვარული უჩვენებიათ თქვენთვის პირზედა კოცნითა. ეგრეთვე ერთბამად პროფესორთა, რომელმან დიდსა მას იმპერიასა ენასა თვისსა ზედა შეთხზეთ სიბრძნე მალალი, ვითა სწამებს ფჩელაცა, ე. ი. ფუტკროვანი ქარტა (იგულისხმება ჟურნალი „Северная пчела“, 1827 წ. № 72—ს. ხ.). ესე ვითარითა ზეგარდმო მადლითა და ნიჭებით უჩინო ივერიაცა აღიდე ქვემარტო ძეო მამულისაო, რომელი ქვეყანასა ზედა მიუკუნისამდე ცოცხალ იქნები“ (ხელნაწერი H № 2226, გვ. 378, აგრეთვე იქვე გვ. 361—362). ს. დოდაშვილს „ლოგიკის“ შესახებ წერილი გამოუგზავნა ალექსი პეროვსკიმაც (1787—1836). „ლოგიკა“ ავტორმა მიუძღვნა „ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველსა და კავალერს ალექსი ალექსის ძე პეროვსკის“, რომელიც ამ თანამდებობაზედ 1825 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში მსახურობდა და იყო ამასთანავე სასკოლო სახელმძღვანელოთა განმხილველი კომიტეტის თავმჯდომარეც. ს. დოდაშვილი უშუალოდ იყო დაკავშირებული როგორც თავისი მომავალი პედაგოგიური მუშაობით, ისე თავისი წიგნის ბედიტაც პუშკინის ამ თანამედროვესა და მეგობართან — პეროვსკისთან (რომლის ფსევდონიმიც იყო პოგორელსკი და რომლის თხზულებებსაც „Лафертовская маковница“, „Двойник“ და „Монастырка“-ს ბევრი მკითხველი ჰყავდა). როცა ს. დოდაშვილის წიგნი გამოსულა, პეროვსკი საზღვარგარეთ ყოფილა, ხოლო მისი დაბრუნებისას ს. დოდაშვილი უკვე გამომგზავრებული იყო, ამიტომ პეროვსკის მადლობის წერილი გამოუგზავნია 1828 წლის 7 მარტის თარიღით. ამ წერილის ქართული თარგმანი იხ. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 518.

3. ი ვ ა ნ ი ა კ ო ლ ი ჩ ი კ რ ო ნ ბ ე რ დ ი — ივანე იაკობის ძე კრონბერგი (1788—1838), კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი, პროფესორი, რექტორი ხარკოვის უნივერსიტეტისა, გამომცემელი სამეცნიერო ჟურნალის „მინერვასი“. იგი თანამშრომელი იყო „Московский телеграф“-ისაც.

4. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე რ ი ფ ს ი მ ა ს ი — ალექსანდრე ჩოლოყაშვილი.

5. დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ ი — კაცია დადიანის ასული, მეუღლე იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა, რომელთანაც ცხოვრობდა

ხელაშვილი. მარიამი გარდაიცვალა 1841 წლის 19 მარტს პეტერ-ბურგში.

6. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პ ი რ ვ ე ლ ი — რუსეთის იმპერატორი. (1776—1825).

7. იგულისხმება სიპიაგინის მეუღლე.

№ 29

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 290).

2. როცა საქართველოში დაბრუნებულმა ს. დოდაშვილმა იონა ხელაშვილს მისწერა, რომ კახეთში ვიყავი და სასწავლებლების გახსნისათვის ვზრუნავო, იონამ წერილი გამოუგზავნა მას: „კურთხეულ არს წარსვლა შენი, კურთხეულ არს მისულა შენი ივერიასა შინა. სადა ორგზის იმევ მშობელთაგან ხორცითა და ემბაზისაგან სულთა, კურთხეულ არს სიმართლე და სიმრთელე შენი და ყოველნი განზრახუა შენი და საგანი და საქმენი ხელთა შენთანი... დასასრულ უუფრიადესად ტფილისა ცრემლებითა შეგებოვ და გვედრი მღალადებელი, რათა განზრახუა კეთილი ჩემი და შენი აღთქმისაებრ შენისა აღასრულო, სიღნაღისა ქალაქსა შინა, ე. ი. პანციონი დანერგო რაოდენისამე კლასებისა სასწავლოდ მუნებურისა ერისა ყრმათა და ინგილოთა... ვართაშენისა და ალიაბათისა, რომელნი წყურიელობენ ქრისტიანობასა და სწავლასა შვილთა თვისთასა და თვით ღიენიცა მოქენეობენ შვილთა თვისთა აღზრდასა სამოქალაქო სწავლებითა“... (S № 2780).

№ 30

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 195—196).

2. იგულისხმება სიპიაგინი.

3. განათლების მინისტრი — განათლების მინისტრად 1824—1832 წლებში იყო ცნობილი ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვი, ადმირალი (1754—1841). იგი შეცვალა ლივენმა.

4. ეკზარხი — იმ დროს ეგზარხოსად იყო მიტროპოლიტი იონა ვასილევსკი (1821—1832 წლებში).

5. საინტერესოა ცნობები იონა ხელაშვილის ძმებისა და მათი შვილების შესახებ (გენეალოგიური შტო იხ. გვ. 432).

წერილების მიწერ-მოწერისას იონას ორი ძმა — იობი და იოსები ცოცხლები აღარ არიან, ამიტომ გრიგოლი, მაია და მარიამი ობლებად იხსენიებიან. იონას ძმა გიორგი 1828 წელს რუსეთს წასულა ძმასთან. ობოლი გრიგოლი და იოანე სოლომონის ძე ს. დოდაშვილთან ცხოვრობდნენ თბილისში, ობოლი ქალების გათხოვებაშიაც მონაწილეობას იღებდა ს. დოდაშვილი. სქემა შედგენილია იოანე დოდაშვილის,

მისი შვილის სოლომონისა და იოანე ხელაშვილის წერილების მიხედვით. ამის შესახებ იხ. აგრეთვე „სახალხო გაზეთი“, 1911, № 47—348.

6. ნიკოლოზ არხიშანიძის რედაქციის — ნიკოლოზ გიორგის ძე ხელაშვილი. „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილი წერს: „ნიკოლოზ ხელაშვილი, კახი, აღზარდა დავით ალექსიშვილმან სწავლასა შინა. ესე არს ახალთა ფილოსოფიათა სწავლასა შინა გამოცდილი და სადოქტორისა მგალობლობასა შინა — კარგი, რომელ მამა ამისი გიორგი კახურსა გალობასა შინა იყო პირველი, რომელმან ასწავა შვილსა ამას თვისსა“ („კალმასობა“, II, გვ. 201). ნიკოლოზ ხელაშვილი კეთილშობილთა სასწავლებელში მსახურობდა.


7. თარხანოვი — თარხნიშვილი. 1826 წლის 25 ივლისს იონა სწერს ს. დოდაშვილს — „ხოლო ხუთთა თქვენთა ავთრათებთა სიტყვის გება პასუხნი თარხნიშვილის ხელით წარმოგიგზავნე“—ო. წერილი ს. დოდაშვილს მიუღია ხუთ სექტემბერს „ხელითა თარხნიშვილისათა“. ეს შეიძლება იყო ან დიმიტრი, ან დავით ზაზას ძენი თარხნიშვილები, მოხსენიებული შეთქმულების საქმეში თავის უფროს ძმასთან — უპარსაბ თარხნიშვილთან ერთად.

№ 31

1. ეს წერილი ერთსა და იმავე ხელნაწერში (H № 2226) ორჯერ არის შეტანილი (გვ. 198 და 220). ჩვენი ტექსტი მოთავსებულია გვ. 220.

2. ს. დოდაშვილი ხშირად სწერდა იონა ხელაშვილს თავის მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობაზე. აქ და მომდევნო ბრათებშიც იგი აცნობებს ადრესატს გრამატიკისა და რიტორიკის საკითხებზე მუშაობის შესახებ. ერთი ასეთი წერილი ს. დოდაშვილს 1828 წლის 29 თებერვალსაც გაუგზავნია (ეს წერილი არა ჩანს), რის საპასუხოდაც იონა იმავე წლის 11 აპრილს სწერდა: „ესე რა სულიერო ძეო ჩემო, მოგიწერიესთ სურვილნი თქვენნი ღრამატიკისა შეწყობისა ახალსა დარიჯაკსა შინა, უმჯობეს არს რათამცა შერევილნი ენისა ხმანი და ზუსტაკებით დაოფაზდეს არა ძველთა თხემებთა სარგებელად, არამედ ახალთა ყრმათა სულებთა შინა მოსწავლეთასა გარდაბეჭდად უსაქირ:ოესად, რათამცა მით რუსული გაიგონონ და რუსულითა ძალნი:ოვისისა ენისა ხმებისა.

ამად სასწრაფო არს პირველად ქმნა ღრამატიკისა საშუალ დიდისა და მცირეთა, რომელთა შინა რვანი ნაწილნი, რომელი მხოლოდ ერთი სრული სიტყვა არს. მე ესრეთ ვსჯი: უკეთუ მე ვთხზვიდე ახალსა, ე. ი. უადვილესსა ღრამატიკასა, არა ფილოსოფიურ დაექსვიდი, არამედ მხოლოდ ეპიფანია სიფრიფანად ადვილ განგონებად ყრმათა, ხოლო



წინა სიტყვაობასა შეუქმნიდი მოვრცესა, რომელსა შინა შევამწყვდევი-
დი რვათა მათ სიტყვისა ნაწილთა, ძვალთა, ტვინთა და ძარღვთა და
ძალთა ხმისა ჩვენისასა. განა გაუკეთებდი ორთა სვინტაქსთა: პირველ-
სა მოკლედ შეცნობად ყრმათა და მეორესა ვრცელსა. მუნ გამოთარგმ-
ნად რვა ნაწილთა, ვინათგან ღრამატიკისა განდიდება არა დასრულდებ-
ის, მაშინ უმეტეს ოდეს აღვაუდეს ენა სიბრძნეთა (იხ. ლომანოსოვის
ღრამატიკა ან და ის ჟამისაცა), რამეთუ არა არს ქართული ღრამატიკა
ძნელი რომლისა ზმანი ორთავე სქესთა ერთი და იგივე არიან — ეგ-
რეთვე მოგებთნი და ბრუნვა, მხოლოდ არსებთნი სახელნი არიან
სხვაობელნი და მიმღეობა.

ეგრეთვე რიტორებისასა მომიხრობთ. უკეთუ ვთხზვიდე, მოვიხ-
ვამდი პეტრიწისა კლემაქსისა და წყობილსიტყვაობასა ანტონი კათო-
ლიკოსისასა და ამირან დარეჯანიანსა, ცნობად ძველისა თხზვისა და
კავშირსა დიადოხოსისა პლატონიურისასა, და დიდისა მეფე თეიმურა-
ზისა, თხზულსა პირისპირ ვეფხის ტყაოსნისასა და სხვათა და სხვათა.
მონასტრებისა უკეთილესთა წიგნებთა და მტილსა მათისა აზნობისა
გამოეწერდი და ესრეთ სამნაწილედად შევადგენდი რიტორებასა,
მსგავსად იესტეტიკისა და განეწვალეზბდი სამ ხარისხს აღსავლობედ:
მალლად გაგონება — ფილასოფიისა, საშუალ გაგონება — საღთო
წერილისა და ღვთის მეტყველებისა, დაბლად გაგონებად — საერო
წიგნებისა და დაბიო ენებისა და სტიხებისა და ლექსთა, ე. ი. წეროვნე-
ბათა მათთა სამსახედ წარმოვაჩენდი, ხოთთა ორთა და ერთისა ტალან-
ტისა მქონეთათვის.

გარნა არა თუ მხოლოდ სიტყვებითა და ფიგურებ მუხლებთა დაე-
ტვირთავდი არამედ თითოეული ლექსთა ძიროვანთა ესრეთ აღვა-
სებდი, ვითარცა ბროწეული მრავალ ბევრეულისა მარცვლებითა,
ხოლო მშრალთა ლექსთა და განბერილთა სიტყვათა გარეგან ენა მქვე-
რობითა და ფერადულითა მოვსპობდი. და ვიხმევი სიბრძნისა არნაღ-
სა, ნიჩაფთა, ცხრილთა და ტაბაკთა, საცერთა და უფროსლა სამტიკი-
თა, ხოლო ბერძულთა და ლათინურთა ხრიათა — ფიგურათა და ეგე
ვითართა ძალთა ცნობათა გარე მუნვე არშიასა ზედა მოეწერდი. ეგრე-
თვე სამხიარულისა მაგალითებსა და სატირელსა ჩვენებულ ვყოფდი,
რომელნი ხშირად არიან სოფელსა შინა, ხოლო ცხოველების ხმებსა
და ორძილთა შრიალსა და წყალთა ხუილსა და ნივთების ბგერასა და
ფერხთა და ხელთასა და ქუხილისა ეგე ვითარისა, რომელთა კნინლა
და ენა ჩვენი შეამსგავსებს მათსა ბგერასა წარმოჩენითა, ამას ერთბა-
მად ერთსა და ფურცელსა ზედა შევეკრებდი ყრმათა ჩვენებად...“

3. ს ო ლ ო მ ო ნ ხელაშვილი.

4. ს. დოდაშვილის მამა, მღვდელი იოანე იოსების ძე დოდაშვი-
ლი, სახაზინო გლეხთაგანი იყო. 1826 წელს სტეფანე დოდაშვილი

წერდა უფროს ძმას პეტერბურგში: „მამა ჩემმან რაღაცა პოლიტიკა იცოდა, ისიც დაუტევა, არ ვიცი რის მიზეზითა და პრაქტიკაცა აგრეთვე, მხოლოდ მთხოვა, შენ მისწერე, სულ ერთი არისო. ამბავი სწორე აცნობეო. რუსებში გავლა დიდათა სძულს, სუღში ასის თუმნის საქმე რომ ჰქონდეს, არ წავა და ესრეთ ფოჩტაშიაც წიგნს ვერა ჰგზავნის...“ (საქ. ცენტრ. საისტორიო არქივი, სრულიად საგანგებო საქმეთა ფონდი, № 171). იოანე დოდაშვილს იონა ხელაშვილისათვის მიუწერია წერილი და „უმრწემესი ძმა“ იონას მადლობას უძღვნის სოლომონის ნუგეშად ყოფნისა და დახმარებისათვის (S № 1532). იმავე საგანგებო საქმეთა ფონდში არის კიდევ ერთი წერილი სოლომონისა და მისი მეუღლის ელენეს მიმართ, უნდა იყოს 1829—1830 წლებისა. 1832 წლის აგვისტოში იონასთან გაუგზავნია კიდევ ერთი წერილი, რომლითაც მისი ძმების, ძმის ცოლებისა და ძმის შვილების ამბავს აცნობებს და, აგრეთვე, სთხოვს „სტეფანეს მიხედო, გითარცა სოლომანსა და მიიღოთ ღმრთისა მიერ ერთისა წილ ასი და ცხოვრება საუკუნო“.

5. სტეფანე — მომდევნო ძმა ს. დოდაშვილისა, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგს წავიდა 1828 წლის უკანასკნელ თვეებში. სტეფანე დაბადებული უნდა იყოს 1807 წელს. 1829 წლიდან იგი პეტერბურგშია და ცხოვრობს იონა ხელაშვილისა და ბაგრატ ბატონიშვილის ხელისშეწყობით. სტეფანეს პეტერბურგში უმსახურებია სენატის მეხუთე დეპარტამენტში კანცელარისტის თანამდებობაზედ. 1832 წელს მისი წერილი „მოწერილი ს. პეტერბურგიდან ტფილისს ძმასთან“ თავისი პასუხით („პასუხი ტფილისიდან“) გამოაქვეყნა ს. დოდაშვილმა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (№ 2). როცა თბილისში 1832 წლის დეკემბერში შეთქმულება გასცეს, პეტერბურგშიც მოახდინეს ჩხრეკა და დაკითხვა, სტეფანე დოდაშვილსაც ჩამოართვეს ზოგიერთი საბუთი. სტეფანე დოდაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ყვარელში ბოქაულად მსახურობდა (Кварельский участникъ заведатель-ად იგი მუშაობდა 1840 წლის 30 იანვრიდან. ამ ბოქაულში აირია სოლომონ დოდაშვილი, რომელსაც ვითომც ღიანჭველში სამსახურისას ხელიც მოსჭრეს ზ. ჭიჭინაძის ცნობით). 1845 წელს სტეფანე ლეკებს მოუკლავთ.

თბილისის სემინარიის საქმეებში ინახება ს. დოდაშვილის იელით დაწერილი განცხადება სემინარიასთან არსებულ სასწავლებელში მეორე ძმის იასეს მიღების შესახებ. იასე დაბადებულია 1815 წელს, სწავლობდა სასულიერო სემინარიაში და, როგორც ერთი მინაწერი ამბობს (S № 22), საქმოდ გვიან დაუმთავრებია სასწავლებელი: „ღვთისა შეწყენითა გავათავე კურსი მე იასე დოდაშვილსა წელსა ჩემცა იანისის,

მღაბურ ლექსით თიბათვის კე-სა რიცხესა ს. დოდაშვილს უნდა იასეც პეტერბურგში გაეგზავნა ნეველის მონასტრის სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად. იასე შემდეგ მღვდლობდა თავის სოფელ მაღაროში და დამარხულია იქვე, გარდაცვლილა 1874 წელს. მის საფლავის ქვეს აწერია: „განუსვენე ქრისტე ღმერთო სასუფეველსა შესა. მკუდელი იასე დოდაევი. გარდაიცვალა იანვრის ი-სა ჩყოდ წელსა“. ამ იასეს შვილი მინადორა გათხოვილი იყო ბირშერტზე, გარდაცვლილა 1900 წლის თებერვალში. მისი სურათი ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული. სოლომონის მესამე ძმა სპირიდონი 1849 წელს თბილისის საბავრო სასწავლებლის მასწავლებლად მოიხსენიება. 1857 წელს მან „ცისკარში“ (№ 6) დაბეჭდა ერთადერთი წერილი „სიძველე ქართველთ ჩამომავლობისა“. 1858 წელს მთარგმნელად მუშაობს სახელმწიფო მამულების დეპარტამენტში, ვიდრე 1865 წლამდე. „Кавказский календарь“-ში იგი მოხსენიებულია титулярный советник Спиридон Иванович Додаев-Магарский-ით.

6. ა დ ა მ ლ ი რ ს ი ე ვ ი — ადამ ლირსიაშვილი.

№ 32

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 233—234)
2. ხირსელაშვილები სიღნაღის მაზრის აზნაურები იყვნენ, ანაგაში მოსახლენი.
3. იგულისხმება 1826—1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომის სამხედრო მოქმედებანი კავკასიის ფრონტზე.

№ 33

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 205—206).
2. ა ქ ა უ რ ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი.
3. ა ს ა ნ - ხ ა ნ ი — ჰასან-ხანი, სპარსთა ლაშქრის ერთ-ერთი მეთაური, რომელსაც 1827 წლის 3 ოქტომბერს პასკევიჩმა ციხე წაართვა და თვით ჰასანიც ტყვედ წამოიყვანა.

№ 34

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 291—292), უთარიღოა, დაწერილი უნდა იყოს 1827 წლის ნოემბერ-დეკემბერში.
2. ო ბ ო ლ ი — იონას ძმის იოსების შვილი. იონა ხელაშვილი ზრუნავდა ვაჭირში მცხოვრები ძმებისა და მათი შვილების ბედზე,

ს. დოდაშვილიც ხშირად აცნობებდა მათ ამბავს. იონას 1827 წლის ოქტომბერში მოუწერია წერილი თავისი ძმის სოლომონისათვის, რომელიც ამ ზრუნვის შესახებ ლაპარაკობს: „დასასრულ, ჩემი შეთხოვნა ეს არის თქვენთანა, რათა ოდენ წიგნი ესე და უფლისა დოდაევისა მოგივიდეს, მხოლოდ ობოლი გრიგორი ჩაჰგვარე ქალაქში სოლომონ დოდაევს და იგი იზრუნებს მაგისტვის. იხილე, შენს ძეს მიხეილს ოდესაც დრო ექმნება, მაშინ აღვზრდი და მასთანვე დიმიტრის, რათამცა თითო შვილნი თქვენი მაინც ჰსწავლულნი იყვნენ.“

აქადამ გრიგორის ხელით მე მოგაშველებ შეწვევასა ძალითა ღვთისათა. და ნაცვლად გრიგორისა დაიკავეთ მეროჟიკე კაცი, შემდგომ გრიგორის ქალაქში შთაყვანისა. ობლისა აღზრდა უკეთილესი საქმე არს ჩემთვის და თქვენთვისაც, რომლისთვის ღმერთი აკურთხებს სახლსა თქვენსა. უფალმან დოდაევმან როგორც მოგწეროთ, ისე მოიქეცით, ეგე არის სულიერი შვილი ჩემი. მსგავსად თვისისა ძმებისა მიიღებს და აღზრდის. ეგრეთვე სძალსა ჩემსა მართას ვჰსთხოვ, რათა წარუგზავნოს ძე თვისი გრიგორი თბილისს სოლომონ დოდაევს, საქმელნი და სასმელნი და ტანისამოსნი და ლოგინი ერთბამად ჩემი ექმნება და ჰსწავლა საღმრთო და სახელმწიფო. ეგ სახედვე ჰსძალსა ჩემს ნატალიას ვთხოვ, რათა მიხაილს და დიმიტრას ანბანი ასწაოთ და შეაჩვიოთ კითხვასა თვისსა დროსა შინა...“ (H № 2226, გვ. 200).

№ 35

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 221 — 222), უთარილოა, დაწერილი უნდა იყოს 1828 წლის იანვრის დასაწყისში.

2. ს. დოდაშვილი წერს მომავალი თავისი მეუღლის — ელენე კობიაშვილის შესახებ.

3. ს. დოდაშვილის სასიდედრო ანა ჯავახიშვილი.

4. მოძღვარი ელენეს დედისა — ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, მღვდელი, 1832 წლის შეთქმულების გამო დაკითხული. ერთ-ერთ პასუხში საგამომძიებლო კომისიის მიმართ ეფრემი წერდა: „უფლის დოდაევის სიდედრი ქმრის შერთვას აპირებდა და თვით ქალი მისი, ცოლი დოდაევისა და ეგ დოდაევი ნებას არ აძლევდნენ ამაზედ. დოდაევის სიდედრი ანნა ხშირად მოდიოდა ჩემთან და მაწუხებდა და მეხვეწებოდა, ნება დამართონ ჩემმა ქალმა და სიძემაო. ამისად მიველ ორჯელ მაგის ცოლთან, რომ ეგ შინ არ იყო, და ერთხელ დილით, წირვის წინ, როდესაც მწირველიც ვიყავ, მიველ კიდევ ნების დასართავაჲ სიდედრისა მის გათხოვებისათვის, სადაც ბალკონზე გამოვიდა უფალი დოდაევი, რომელმაც ნება დამართო ჯვარი დასწერეთო...“ („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 294—295).

5. იგულისხმება სიპიაგინი.

6. ს ტ ე ფ ა ნ ე — დოდაშვილი.

7. მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ა ლ ი — სოლომონ II მეუღლე.

8. ა ნ ა დ ე დ ო ფ ა ლ ი — იმერეთის მეფის დავითის მეუღლე.

9. ნ ი ნ ა დ ე დ ო ფ ა ლ ი — გიორგი XII ასული, მეუღლე გრიგოლ კაციას ძე დადიანისა. გრ. დადიანი ბიძაშვილი იყო მეფე ერეკლეს მეუღლის დარეჯანისა. ნინოს ქმარი გრიგოლ კაციას ძე დადიანობდა 1789 წლიდან. გარდაიცვალა 1804 წელს. შვილის—ლევან დადიანის მცირეწლოვანების გამო ნინოს სამეგრელოს დედოფლის ტიტული ჰქონდა (ნინო დედოფლის შვილისშვილი იყო დავით ლევანის ძე დადიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე, ეკატერინეს ქმარი). ნინო დედოფალმა 1810 წელს მონაწილეობა მიიღო ფოთის ციხის აღებაში. გარდაიცვალა პეტერბურგში 1847 წლის 31 მაისს.

10. ი ო ა ნ ე მ ე ფ ი ს ძ ე — იოანე ბატონიშვილი.

11. თ ე ი მ უ რ ა ზ — გიორგი XII ძე (1782—1846). პირველ ხანებში თეიმურაზ ბატონიშვილი რუსებს არ დაემორჩილა და ბიძასთან ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა სპარსეთში, შემდეგ დაბრუნდა, გამოეცხადა გენერალ ტორმასოვს და 1810 წელს წავიდა რუსეთს. მას თან წაუყვანია პატარა სოლომონ რაზმაძე და მისი დედა თამარ. ს. რაზმაძე თეიმურაზთან იზრდებოდა პეტერბურგში. თეიმურაზი სახელმწიფოებრივი სწავლული იყო, იგი საიმპერატორო აკადემიამ საპატიო წევრად აირჩია, ამასთან თეიმურაზი წვერი იყო კოპენჰაგენის ანტიკვარული და პარიზის სააზიო საზოგადოებებისა. 1848 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა მისი ნაშრომი „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა“. უფრო ადრე, იქვე 1818 წელს დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი (რუსულიდან) „განჰსჯანი არისტოტელისანი“.

თეიმურაზის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ იხ. შოთა მესხიას „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ სერიაში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნ. I, 1939, აგრეთვე ს. იორდანიშვილის, ლ. მეფარიშვილის, გ. შარაძის და სხვათა ნაშრომები.

12. მ ი ხ ე ი ლ — გიორგი XII ძე. გარდაიცვალა 1862 წ.

13. ი რ ა კ ლ ი — გიორგი XII ძე. გარდაიცვალა 1859 წ.

14. მ ი რ ი ა ნ — მეფე ერეკლეს ძე (1766—1834). მირიანი თავის ძმა ვახტანგთან (ანტონ II) ერთად 1784 წლიდან რუსეთში იმყოფებოდა, იყო სამხედრო სამსახურში, შემდეგ „დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი, სენატორი, კავალერი“. მირიან ბატონიშვილის მეშვეობით გადარჩა დავით გურამიშვილის თხოვრებანი.

დ. გურამიშვილი წერს: „და ეს წიგნი ქართლ-კახეთის მეპატრონის მეფის ირაკლის ძის მირიანისათვის მიმართმეცია და იმას შევხვეწნი-

ვარ, რომ საცა ალავი იყოს, იმან გამოაცხადოს“. მირიან ბატონიშვილი დასაჯულავებულია ნევის მონასტერში.

15. ფარნაოზ -- მეფე ერეკლეს ძე (1775—1852). ფარნაოზი 1804 წელს შეიპყრეს და გაგზავნეს რუსეთს, დაასახლეს ვორონეჟში, ცხოვრობდა პეტერბურგშიც. ფარნაოზის თანამგზავრი იყო იონა ხელაშვილი საქართველოდან რუსეთს გამგზავრებისას.

16. ლუარსაბ — იულონ ერეკლეს ძის ვაჟი, დაიბადა 1787 წელს. 1805 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში.

17. დიმიტრი — იულონ ერეკლეს ძის ვაჟი. 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით გადაასახლეს სმოლენსკში. მისი და მისი ძმის ლუარსაბის დასთან — თამარ იულონის ასულთან პეტერბურგიდან თბილისში მიწერილი წერილები, იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 104—109.

თამარ, იულონ ბატონიშვილის ქალი, შეთქმულების მონაწილე, დამარხულია მცხეთაში. მის საფლავის ქვას აწერია: „მეფის ერეკლეს ძის იულონის ასულმან თამარ შემწირველმან თვისის ქვეყნიურის ცხოვრებისა ქალწულობისასა და მყუდროებისა ღვთის მსახურებისადმი განისვენა წუთისოფლით საუკუნოდ ღ წლისამან ჩყნს-სა წელსა ოქტომბრის ე-სა დღესა“.

18. დავით ციციშვილი — შეიძლება ეს იყოს დავით ესტატეს ძე ციციშვილი, ძე ანტონ კათოლიკოსის სახლთუხუცესის ესტატესი, შვილისშვილი მეფე ერეკლესი (მარიამ ბატონიშვილი დავით ციციშვილის პაპის დავითის ცოლი იყო). ეს დავით ციციშვილი, ვოლტერიანელი, შემდეგ „ცისკარში“ წერდა, ორიგინალური და თარგმნილი ლექსებისა და მოთხრობების ავტორია (დავით ესტატეს ძე ციციშვილის შესახებ იხ. ლ. ასათიანის — „ვოლტერიანობა საქართველოში“, 1933).

19. ალექსანდრე ჩოლაყაევი — ალექსანდრე დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი.

20. ზაქარია ორბელიანოვი — შეიძლება ეს იყოს გრიგოლ ორბელიანის მომდევნო ძმა.

21. იოანე — ?

№ 36

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 302—304).
2. ს. დოდაშვილი იყო სიბიაგინის შვილების რეპეტიტორად.
3. ზ. ჭიჭინაძე 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№ 219) წერდა: „ჭრებები იმართებოდა მის (ს. დოდაშვილის — ს. ხ.) სახლში. გოლოვიჩინის პროსპექტზე, სადაც ახლა არტისტული თეატრია“ (ახლა

რუსთაველის სახელობის თეატრი — ს. ხ.) ს. დოდაშვილი ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „У советника Орбелианова мне самому случалось быть весьма редко, живши от города далеко“... (შეთქმულ. საქმეები, რვ. XXIII, ფურც. 4524). როგორც სტეფანე დოდაშვილისადმი გაგზავნილ ერთი წერილიდან ჩანს, სოლომონს უცხოვრია გენერალ კომაროვსკის სახლში, რომელიც წინათ გენერალ-ლეიტენანტ რომან ბაგრატიონს სჭერია.

4. თ ო მ ა ე ნ დ რ ო ნ ი კ ო ვ ი — ანდრონიკაშვილი, გიორგი XII შვილის ბარბარეს ძე, გარდაიცვალა 1847 წელს.

5. ნ ი კ ო ლ ო ზ ა რ ხ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი — ხელაშვილი.

6. ს ტ ე ფ ა ნ ე — დოდაშვილი.

7. ს ო ლ ო მ ო ნ — ხელაშვილი.

8. ო ბ ო ლ ი — იონას ძმის შვილი გრიგოლ.

9. შ ვ ი ლ ი მ ი ს ი — სოლომონ ხელაშვილის ვაჟი იოანე, რომელსაც იონამ ლექსი დაუწერა 1833 წლის ივლისის პირველს (იხ. ხელნაწერი S № 267, მინაწერი ყდაზე).

№ 37

1. წერილი ამოდებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 295 — 296).

2. ი ო ა ნ ე — სოლომონ ხელაშვილის ვაჟი

3. გ რ ი გ ო ლ — იოსებ ხელაშვილის ვაჟი.

4. ს ტ ე ფ ა ნ ე — დოდაშვილი.

5. ს ო ლ ო მ ო ნ — ხელაშვილი.

6. ლ რ ა მ ა ტ ი კ ა ნ ი კ ო ლ ო ზ დ რ ე ჩ ი ს ა — ნიკოლოზ ივანეს ძე გრეჩის (1787—1867) „Практическая русская грамматика“, გამოცემული 1827 წელს. გრეჩი იყო პედაგოგი, ჟურნალისტი, ფ. ზულგარინთან ერთად „Сын отечества“-ს გამომცემელი, აგრეთვე „Северная пчела“-სი. გრეჩი პირველ ხანებში ლიბერალობდა, შემდეგ კი, მესამე განყოფილების აგენტი, მტრად მოეკიდა პუშკინს, ლერმონტოვს, ბელინსკის...

7. ა დ ა მ — ღირსიაშვილი.

8. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ჩოლოყაშვილი.

9. ზ ა ქ ა რ ი ა — ჩოლოყაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, რიფსიმე მეფის ასულის ძე, კაპიტანი, ცხოვრობდა პეტერბურგში და მოსკოვში, ძმა ალ. ჩოლოყაშვილისა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, დაბადებულია 1800 წელს.

10. ტ ე ლ დ რ ა ფ ს ა შ ი ნ ა ვ ი ხ ი ლ ე თ ქ ე ბ ა ლ ო ლ ი კ ი ს ა. დ. დოდაშვილის წიგნს „Курс философии, ч. 1. Логика“-ს დიდი

გამოხმაურება ჰქონდა. ჟურნალმა „Московский телеграф“-მა 1827 წ. (часть восемнадцатая, გვ. 167—168) გამოაქვეყნა ბიბლიო-გრაფიული ცნობა-შეფასება „ლოგიკისა“. რედაქტორი ნიკოლოზ პო-ლევი, ჩანს, იცნობდა ს. დოდაშვილს, ან გაეცნო მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა, თბილისისკენ გამომგზავრებულმა, მოსკოვში გამოიარა.

ნ. პოლევი წერდა: «Книга г-на Магарскаго есть только на-чало обширного труда. Он хочет издать полный курс филосо-фии. Заметим, что г-н Магарский природный грузинец, и ны-не, кончив курс учения в Петербурге, занимает должность учителя в Тифлисе...» იონა ხელაშვილი, თავისი აღზრდილის წარ-მატებით აღტაცებული, ხშირად სწერდა სოლომონს რუსულ ჟურნა-ლებში დაბეჭდილი რეცენზიებისა და რუს ნაცნობთა შეხედულებებს „ლოგიკის“ შესახებ. ს. დოდაშვილის ეს წერილი (№ 37) არის პასუ-ხი იონა ხელაშვილისაგან მოწერილისა, რომელშიაც, სხვათა შორის, წერია: „ხოლო მე ამიერითგან უმეტესსა სიყვარულსა და ლოცვათა განვაძრავლებ თქვენდამო, რათა ნაყოფნი გამოიღოთ სულებთა შინა მოსწავლეთასა და ქართვეთა შინა შობილებთათვის და შობადებ-თათვის. აამად აჰა, ვაჟა, ტელელრაფისაცა მოგიძღვანე ენითა ჩემითა, რათა არა თუ განლაღნეთ აზიურ, არამედ განძლიერდეთ სუნნელებისა გამოცემად“. შემდეგ მოსდევს იონასეული თარგმანი ნ. პოლევის რეცენზიისა. ცოტა ზევით ამავე წერილში იონა წერს: „განსჯა ჩემი ესენი არიან ზემო სახელოვანისა სახელისა თქვენისათვის, რომელი აღწერეს და შთაბეჭდეს მოსკოვისა და პეტერბურხისა მატიანებთა შინა წელსა 1827 და აღმომიკითხველობენ არა თუ მხოლოდ რუსეთის-სა სემინარიებისა, უნივერსიტეტებისა, ლემნაზიებისა და კორფუზებისა ხმელისა და ზღვებისა და სრულიად სკოლათა მოძღვარნი და მასწავ-ლელნი და მოსწავლენი, არამედ ერთბამად ევროპიისა ძენი და ასულ-ნი აღმომიკითხველობენ უფლისა ტალიზინისა ლოლიკასა ბუნებით რუსთათვის, ხოლო თქვენსა ბუნებით თქვენ ძლით ქართველთა დიდე-ბისათვის“ (ხელნაწერი H № 2226), ერთგან კიდევ სწერს იონა ხე-ლაშვილი ს.დოდაშვილს: „სამეფონი სქესნი ჰკვირვობენ უმაღლესისა-სახლსა შინა, მარიამ დადიანის ასულისა მოსრულნი კითხულობენ დიდ ფრიადისა გულსმოდგინებითა და კმაყოფილებით; ეგრეთვე სხვა-და სხვა სახლებში უჩვენებენ — ესერა ქართველმან დათხზაო ახალ-კაბუქმან, გარნა ნუ ვანლადებით“ (იქვე, გვ. 362). 1827 წლის 15 იელისს იონა ხელაშვილი კვლავ სწერდა ს. დოდაშვილს: „ყოველნი-ვე კეთილად მომხსენებელი ბრძანდებიან თქვენნი და მეცა მილოცვენ ფრელისა შემდგომ უმეტეს თქვენსა ლოლიკისა ვაჟა ვაჟას თქვენი-ძლით“...

11. კო მ ი ტ ე ტ ი — არსებობდა 1828 წლიდან, ერქვა „ტიფლის-

კიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“ და ევალეზობდა პერიოდულ გამოცემათა ხელმძღვანელობა.

12. იოსებ იაკოლიჩი — იოსებ იაკობის ძე. ეს უნდა იყოს „კალმასობაში“ ნახსენები იოსებ იაკულიჩი, პრუსიელი. ამ იოსებ იაკობისძეზე სწერდა იონა ხელაშვილი ს. დოდაშვილს: „ოსეფ იაკოლიჩი სათვალეზითა თვისითა ეძიებს სიბერესა შინა სულისა თვისისა განმდიდრებასა“—ო, ე. ი. შენს ლოგიკას კითხულობსო. ასევე ვინმე სერგეი ნიკიტინიკ კეთილად განუმხიარულებია სულისა თვისისა განმდიდრებად ლოგიკის კითხვას.

№ 38

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 294—295).

2. იონას ეს ძმა — გიორგი ხელაშვილი პეტერბურგში იყო იმ დროს.

3. ადამ — ღირსიაშვილი.

4. ოსებ იაკოვლევიჩი — იოსებ იაკობის ძე.

5. პლეშჩეიევი — „კოლეცკი ასესორი“, რომელიც ჯერ კიდევ 1822 წელს „ქართული გაზეთის“ ხელის მომწერთ აგროვებდა (პ. გუგუშვილი — ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 60). პლეშჩეიევი თბილისში პოლიციის თანამშრომელი იყო (იხ. მ. გოცაძე — ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, გვ. 52).

№ 39

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 261—263).

2. სასწავლო წლის დასასრულს მოწყობილ საზეიმო გამოშვებისას 1828 წლის 6 ივნისს ს. დოდაშვილმა წარმოთქვა „შესხმა... დროსა მოწაფეთა გამოცდისას საზოგადოსა შეკრებილებასა შინა“. ამ „შესხმის“ ტექსტი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერებში (S № 388), ნაწილი გამოქვეყნებულია 1887 წლის „ივერიაში“ (№ 227). კეთილშობილთა სასწავლებლის ამ ზეიმის აღწერილობა აქვს მოცემული დიმიტრი ყიფიანს („მემუარები“, გვ. 8 9). იქვე დ. ყიფიანი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყო ერთხელ მანანა ორბელიანთან ამ აქტების „გასცენიურება“ თბილისელ კეთილშობილ ქალთა თაოსნობით.

3. მღვდელი იოანე დოდაშვილი.

4. სოლომონ — ხელაშვილი.

5. გიორგი — ხელაშვილი.

6. დემეტრაშვილი იოანე, ვაჭირელი მღვდლის ზაქარიას შვილი, სოლომონ ხელაშვილის ასულის საქმრო. სოლომონ ხელაშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ (ჩყლა წელს) იონას სწერდა: „შემდგომ

ამას მოგახსენებ, ერთი სიძე გვიშოვია სურვილი ჩვენთვის, კარგი ოჯახის შეილი არის“. იმავე წლის მაისში იონანე ბოდბელი სწერდა იონა ხელაშვილს ამ დემეტრაშვილის პეტერბურგში გამგზავრებასთან დაკავშირებით — ასწავლე და უპატრონეო.

7. პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ს. დოდაშვილმა რამდენიმეჯერ მოინახულა სამშობლო კუთხე, იყო აგრეთვე ღუშეთში, გორში, თიანეთში სასწავლებლების შესამოწმებლად, აკვირდებოდა გლეხობის მდგომარეობასაც და ბიუროკრატიული ხელისუფლების თვითნებობას, რამაც გარკვეული აზრი შეუმუშავა საზოგადო მოღვაწეს. დაპატიმრების შემდეგ, 1833 წლის 23 იანვრის ჩვენებაში საგამომძიებლო კომისიას მან მოახსენა გლეხობის მძიმე ტვირთის შესახებ. ს. დოდაშვილი წერდა: «В присутственных местах дела производятся весьма медленно, не соображаясь ни с характером народа, ни правами и обычаями; законы в превратном смысле объясняются и весьма неправильно оканчиваются дела. Дела в тех местах оканчиваются на бумагах и называют их решенными, но редко кто получает удовлетворения. О минутном и малозначущем велено подавать прошение на гербовой бумаге. Дело, которое можно решить словесно и весьма скоро, велено подавать в суд, где продолжается весьма долго. Из жалобщиков, как правая, так и не правая сторона издерживают более, нежели сколько стоит самое дело, иначе не будут слушать и никогда не кончат. Самый честнейший и уважаемый человек всеми, бывает наказан, если он один раз учинил какое-нибудь преступление, что весьма часто случается по простоте души, по незнанию законов и по веселости характера грузина говорить свободно»... (შეთქმ. საქმეები, რე. V, ფ. 809). ს. დოდაშვილს შემდეგ მოჰყავს იმის მაგალითები, თუ როგორ გრძელდებოდა წლებით სრულიად მარტივი საქმეების განხილვა სასამართლოში. «Подобных дел множество, это весьма отягощает жителей и они часто жалуются, другие по бедности или по незнанию языка или закона вовсе отказываются от своих прав... Для управления нужно выбрать людей, совершенно знающих народ, и как можно более разбирать их словесно, конечно людей безпристрастных и добрых»... (იქვე).

8. ლუბერნატორნი: მხედართი და ქალაქთი — სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორები — ხოვენი და სიპიაგინი.

9. საგამომცემლო კომიტეტი.

10. 1828 წლის 4 ივლისს გამოვიდა „ტფილისის ვედომოსტების“ პირველი ნომერი, რომელსაც მალე „ტფილისის უწყებანი“ დაეწერა.

გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით იონა ხელაშვილი ს. დოდაშვილს სწერდა იმავე წელს: „აქ მე მომიტხრეს გაზეთის გამოცემა ტფილისითა პუბლიჩნი, ე. ი. საკრებულო. აჰა, თქვენ ეცადენით, რათამცა ქართულსა შტილსა ზედა იყოს განკარგავ და ნუ სომეხთა ტონსა ზედა და ბგერასასა, რათა ახალ მოსწავლენი არა ეგრეთ ბგერდნენ, რომელთა აღმოფხვრა არღა ძალ იღების თხემითაგან და გასწორება ენისა კილოთა და გამოღებათა და დეეცემის ენა ჩვენი უძვირეს პირველისა. ფარნაოზ ქართლოსიანმან დიდ ფრიადისა ღვაწლითა გააკოპიტა, ხოლო პეტრიწმან მქისე გაწყლტუა და ანტონი კათოლიკოსმა I დაამწკრივა. აჰა, თქვენ ეკრძალებით დაკვეევასა და განმტკიცევასა... დასასრულ ქურნალიცა დაიწყეთ მცირე მცირედ საშუალისა ზედა გონი მცურვალობისა ლექსებითა და არა მკელობელ ორო-ჩოლოროთი და უვაკოითა. ეგრეთვე ტონსა და კილოსა და გამახვილებულისა და დაღბილებულსა. პროსოდიასა ზედა აკითხე წიგნი და ლმობიერსა და მხიარულ ხმებსა ზედა. და მოქმედებითი და ვნებითი და ბრძანებითი სქესთა ზედა კლასს შინა აკითხეთ ნიჭოვანთა, რათა სხვათა მიბაძონ. იხილეთ მთიულნი, ფშაურნი და ხევსურნი და ჭიორელნი და რომელთაცა უდარენიე უმჯობესნი იყოს, ესრეთ ყავთ, ე. ი. ამაღლება ხმათი და დამდაბლება და საშუალო ბარის ენა შერეული“ (ხელნაწერი № 2226, გვ. 253) ამავე წერილში იონა სწერს დოდაშვილს: „თუ თქვენსა პატრეტსა, ე. ი. სახესა წარმომიგზავნი, ვალდებულ მყოფთ“-ო.

№ 40

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 264—265).
2. ღ უ ბ ე რ ა ტ ო რ ი — სიპიაგინი.
3. ღ უ ბ ე რ ნ ი ის ა რ ხ ი დ ე კ ტ ო რ ი — სამსახურიდან გამოსული სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორი, კაპიტანი თევდორე ბარაშკინი, რომელსაც უშვილებია ელენე კობიაშვილის ქალი, საცოლე სოლომონ დოდაშვილისა. 1833 წლის 7 თებერვლის ჩვენებაში ს. დოდაშვილი წერდა: «Женат я на воспитаннице архитектора казенной экспедиции отставного инженер капитана Федора Барашкина, имею двух сыновей: 3-х летнего Ивана и 2-х летнего Константина.
4. გ ი ო რ გ ი პ ა ი კ ა ძ ე — იხ. ზემოთ.
5. ეს სომეხი მესტამბე არის თბილისელი მოქალაქე არარატიანი, სტამბის ზედამხედველი (იხ. მ. გოცაძე, „ქართული ქურნალისტიკის ისტორია“, გვ. 110).
6. ლაპარაკია გიორგი ხელაშვილზე.

7. ბ ა რ ბ ა რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ბაგრატ ბატონიშვილის ასული, მაიორ დიმიტრი ორბელიანის ცოლი. დიმიტრი ორბელიანი ერთიხელობა თბილისში ბატონიშვილების ქარვასლის ფულსა ჰკრეფდა და უგზავნიდა მათ (გიორგი მეფის შვილებს), ეს იყო 1838—1842 წლებში (იხ. ხელნაწერი № 1759 A).

8. ჯ ო რ ჯ ა ძ ე — დავით ივანეს ძე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, დაბადებულა 1811 წელს, ჯერ თბილისში კეთილშობილთა სასწავლებელში უსწავლია, ხოლო 1825—1830 წლებში პეტერბურგში — კადეტთა კორპუსში, შემდეგ პრაპორშჩიკი. დიაკვანი კახაბრიძე ყმა ყოფილა ჯორჯაძისა. იონა ხელაშვილი ამ წერილის პასუხში სწერდა ს. დოდაშვილს: „აჰა, ესე რა მწერთ კახაბრიძის სურვილსა. მაგან თვით მოსწეროს თავის ბატონს, რომელი მე არლა მინახავს... რაოდენიმე დრო არის არლა უშვებენ ხშირად კადეტებს“... (H № 2226, გვ. 267).

№ 41

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 279—280).
2. ფ ა რ ს ა დ ა ნ ც ი ც ი ა ნ ო ვ ი — იხ. ზემოთ.
3. ა დ ა მ ი — ღირსიაშვილი.
4. ს ო ლ ო მ ო ნ ი დ ა მ ი ს ი შ ვ ი ლ ი ო ა ნ ე — ხელაშვილები.

№ 42

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 277—279).
2. ო ა ნ ე — სოლომონ ხელაშვილის შვილი.
3. გ რ ი გ ო ლ — იოსებ ხელაშვილის შვილი.
4. ლ ე ნ ე რ ა ლ ი გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ო ვ ი — გიორგი იასეს ძე ერისთავი (1760—1863), სენატორი, გენერალ-ლეიტენანტი, „დიდი კნიაზი“, მეტსახელად „პერიჰა“, მეუღლე გიორგი XII ასულის გაიანე ბატონიშვილისა. ვაჟიშვილი ზაქარია ლეკებმა მოუკლეს 1850 წელს, მისი ასული ქეთევანი, მამუკა ორბელიანის მეუღლე, გიორგი დავითის ძე ერისთავის პირველი ქართული წარმოდგენების მონაწილე იყო. გიორგი იასეს ძე ერისთავი მწერლობდა, მისი რამდენიმე თხზულება დაბეჭდილია, ზოგიც გამოუქვეყნებელი, ორიოდეც შეცდომით გიორგი დავითის ძე ერისთავის ლექსებში არის ჩართული 1936 წლის გამოცემაში. გიორგი იასეს ძე ერისთავმა 1832 წელს ს. დოდაშვილის ეურნალში დაბეჭდა ლექსი: „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვრებთა შინა“. გ. ერისთავი იყო ბიძა 1832 წლის შეთქმულების მთავარი ორგანიზატორის ელიზბარ ერისთავისა.

5. ღ ი რ ს ი ე ვ ი — ადამ ღირსიაშვილი.

6. იგულისხმება გიორგი ხელაშვილი.

№ 43

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 288—289).

2. მ ე ფ ი ს ძ ი ს ა ს უ ლ ი ნ ი ნ ა — ფარნაოზ ბატონიშვილის ასული (1802—1828), ალექსანდრე დადიანის მეუღლე.

3. იგულისხმება ფარნაოზ ბატონიშვილი.

4. ქ ი ლ ი კ ი — [მოხუშარი — სულხან-საბა ორბელიანი]. იონა ხელაშვილი სწერს ს. დოდაშვილს 1828 წელს: „ქილიკმან ელიოზოვმან დიდი მადლობა მიგიძღვნათ ძმისწულისა ზედა ყურის მოპყრობისათვის“ (H № 2226, გვ. 288) ელიოზიშვილს გიორგი ერქვა.

5. ი ო ა ნ ე — ხელაშვილი.

6. გ რ ი გ ო ლ ხელაშვილი.

7. ძ მ ა ჩ ე მ ი — სტეფანე დოდაშვილი.

8. ო ს ი ფ ი ა კ ო ლ ი ჩ ი — იოსებ იაკობის ძე.

9. მ ე მ ც ხ ე დ რ ე — ს. დოდაშვილის ცოლი ელენე კობიაშვილი.

10. ძ მ ა ს ა თ ქ ე ე ნ ს ა — გიორგი ხელაშვილი.

№ 44

1. წერილი ამოღებულია H № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 292—294).

2. ი ო ა ნ ე — ხელაშვილი.

3. ე ლ ე ნ ა — ს. დოდაშვილის ცოლი.

4. მ თ ა ე ა რ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი — პასკევიჩი.

5. ს ა მ ხ ე დ რ ო გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი — სიპიაგინი. იგი გარდაიცვალა 1828 წლის 10 ოქტომბერს, თბილისში. წერილის ტექსტში (ხელნაწერში) წერია ნოემბერი.

6. ი ა კ ო ბ კ რ უ პ ს კ ი — ს. დოდაშვილს მოხსენებული ჰყავს დაკითხვების პასუხებში. ს. დოდაშვილის ქალაღებში გაჩხრეკისას იპოვეს დეკაბრისტ კონდრატი რილევეის იმ წერილის პირი, რომელიც ჩამოხჩიობა მისჯილმა დეკაბრისტმა დასჯის წინა დღეს გაუკზავნა ცოლს. იმაზე თუ საიდან გაჩნდა იგი დოდაშვილთან, მან უპასუხა: „Письмо Рыльева я переписал в Санкт-Петербурге у студента Крупского в 826 г. იაკობ კრუპსკიმ 1828 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ-ფილოსოფიურა ფაკულტეტი. პ. პლეტნევი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიაში წერს (გვ. 39): Из числа студентов, отлично успевших по философии, известен был в это время Крупский. скончавшийся в Калуге учителем гимназии. Им сочинена и напечатана Логика“. იაკობ კრუპსკის წიგნი რუსულ ბიბლიოგრაფიებში მოხსენებული არ არის.

1. წერილი ამოდებულია Н № 2226 ხელნაწერიდან (გვ. 306—307). ეს წერილი ს. დოდაშვილმა ხელზე გაატანა თავის ძმას სტეფანეს, რომელიც პეტერბურგს გაემგზავრა სამსახურისათვის. სტეფანეს უნდა ეცხოვრა ბაგრატი ბატონიშვილთან. 1833 წლის 18 მარტს ს. დოდაშვილი ერთ ჩვენებაში წერდა: „Брата моего Степана я отправил в конце 1828-го года в С.-Петербург, к царевичу Баграту для определения на службу“. სტეფანემ ეს წერილი პეტერბურგში ჩაიტანა 1829 წლის 12 თებერვალს.

პეტერბურგში დაბინავებულ ძმასთან — სტეფანესთან სოლომონ დოდაშვილს ცხოველი მიწერ-მოწერა ჰქონია. შეთქმულების ვაცემის შემდეგ სტეფანე დოდაშვილი პეტერბურგში დაუბატიმრებიათ, დაუკითხავთ და ჩამოურთმევიათ სოლომონისაგან მიწერილი 24 წერილი (ერთი მათში მამის — იოანე დოდაშვილისა იყო სოლომონის მინაწერებით). ისინი რუსულად უთარგმნიათ, სამწუხაროდ არა მთლიანად და საქმისათვის დაურთავთ სახელით — „Содержание писем из Тифлиса, писанных от Соломона Додаева к брату его Степану Додаеву в С.-Петербург“. რადგან ამ წერილებში პოლიტიკურ პუშაობის შესახებ ცნობები არ ყოფილა, სტეფანე დოდაშვილისათვის უკან დაუბრუნებიათ, რაშიც მას ხელწერილი მიუცია — „Представленные мною в комиссии письма на 47 листах получены обратно, марта 9-го дня 1833 года. Канцелярист Додаев“.

ს. დოდაშვილის წერილების შინაარსის ეს ტექსტი ინახება მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში. იქიდან გადმოწერილი ასლის მოწოდებით დავალებული ვარ დოც. მიხეილ გოცაძისაგან, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. ამ მასალის შესახებ თვით მ. გოცაძეს ცნობა აქვს გამოქვეყნებული გორის გაზეთში („სტალინელი“, 1955, № 50, 12 მარტი) „ქართველ მოღვაწეთა წარსულიდან“.

პირველი წერილი სოლომონს გაუგზავნია 1829 წლის 22 თებერვალს, როცა სტეფანე ათი დღის ჩასული იყო პეტერბურგში და რომელსაც სოლომონისთვის გზიდან — კობიდან, სტავროპოლსა და მოსკოვიდან ცნობები გამოუგზავნია თავისი მგზავრობის შესახებ. სოლომონი ძმას სთხოვს პეტერბურგში ჩასვლისთანავე გამოგზავნოს ცნობა, თუ როგორ მოეწყობა იქ.

1830 წლის 11 თებერვალს აცნობებს, რომ მთავარმართებლის კანცელარიის მმართველ ვიქტორ იანოვიჩის დახმარებით მან გენერალ კოშაროვსკის სახლში მიიღო ბინა, რომელშიც ადრე რომანოზ ივანესძე ბაგრატიონს უცხოვრია. მისწერა აგრეთვე — იანოვიჩმა მთხოვა თანამ-

შრიმლობა საქართველოს სტატისტიკის შედგენაში, მაგრამ არ მაქვს დრო, ცენზურის წესდების შედგენაზე ვმუშაობო.

იმავე წლის 24 ოქტომბერს სწერს საქართველოში ხოლერის ეპიდემიაზე და მომავალ მოგზაურობაზე კახეთში — სიღნაღსა და თელავში სასწავლებელთა გახსნასთან დაკავშირებით. ამაზე სოლომონი იონა ხელაშვილსაც სწერდა (იხ. წერილი 51).

1831 წლის 2 თებერვალს სოლომონი სტეფანეს სთხოვს შუამდგომლობას იონა ხელაშვილის წინაშე სახლის ასაშენებლად რვა ათასი მანეთის გამოგზავნის თაობაზე. ამის შესახებაც სწერდა თვით იონას (იხ. წერილი 53).

28 აპრილს (1831 წ.) დაწერილი წერილი სოლომონს იონასთან მიწერილთან ერთად ხელზე გაუტანებია ვიქტორ იანოვიჩისათვის. სოლომონი აცნობებს პასკევიჩის გამოგზავრებაზე (ამის შესახებ იხ. აგრეთვე წერილი 55).

13 ივნისს დაწერილი წერილი გაუტანებია ანტონ კალატონიშვილისათვის, რომელშიც ძმას აცნობებდა ბორის კილაშვილთან სტუმრობასა (დღეშეთში) და ლომისობის დღესასწაულზე დასწრებაზე. ამ მოგზაურობის შესახებ სოლომონმა აცნობა იონასაც (იხ. წერილი 56).

24 ივლისს სტეფანესთვის გაუგზავნია ურნალისა და გაზეთის გამოცემის „განცხადება“ და უთხოვია ხელისმომწერთა შეკრება პეტერბურგში.

10 სექტემბერს წერდა, რომ მეტად შეაწუხა ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლის ეკატერინეს (იგი ხოლერამ იმსხვერპლა) გარდაცვალებამ (весьма жалеет о кончине царевны Екатерины, как благодетельницы их). 29 ოქტომბერს აცნობა ბარონ როზენის ჩამოსვლა, ხოლო 27 ნოემბერს — დოსითეოზ ფიცხელაურის გარდაცვალება.

1832 წელსაც გაუგზავნია სოლომონს რამდენიმე წერილი ძმასთან. 24 მარტს მისწერა ძლიერი მიწისძვრის შესახებ თბილისში, ბარბარე ბატონიშვილის ჯანმრთელობასა და ივანე ანდრონიკაშვილის მასთან სტუმრობაზე. 2 ივნისს დაწერილი წერილით კი სთხოვდა ძმას — გამიგე რამდენი ცალი დარჩა გასაყიდი ჩემი წიგნი („ლოგიკა“) სმირდინის მაღაზიაში და, თუ მანდ არ იყიდება, სხვა მაღაზიაში გადაიტანე, მე შესაფერ მინდობილობას გამოგიგზავნიო. 2 სექტემბრის წერილით კი აცნობებდა, რომ ხელისმომწერთა სიცოტავის გამო გაზეთის გამოცემა შეჩერდაო. ამასთანავე, რჩევას ჰკითხავდა პატარა ძმის იასეს შესახებ — კარგი ხომ არ იქნება იასე პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის მონასტრის სემინარიაში გამოგზავნოთო.

2. იგულისხმება იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის იოსების ერთ-ერთი ასული (მას ორი ასული ჰყავდა — მაია და მარიამი).

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 40—41).
2. ლაპარაკია სოლომონ ხელაშვილის ოჯახზე.
3. გ ი ო რ გ ი — ხელაშვილი.
4. იოანე ბატონიშვილის მუშაობა ქართული გრამატიკის შედგენაზე ცნობილი ყოფილა თბილისშიც. 1829 წელს იოანეს დაუმთავრებია იგი და წერს, ჩემს წიგნსაო „საქართველოსა შინა მოსწავლენი არა უგულუბელს ჰყოფენ და ამით ვიქნები მათგანაც დაუვიწყებელ“. იმავე წელს გაუგზავნია იონა ხელაშვილისათვის და მასაც, რომელსაც ადრე ს. დოდაშვილისათვის საგამომცემლო მუშაობის პროგრამა ჰქონდა გამოგზავნილი, იოანე ბატონიშვილის გრამატიკაც გამოუგზავნია წერილით. იოანე ბატონიშვილის გრამატიკა ინახება ხელნაწერად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში H № 2249 და 2288). იოანე ბატონიშვილის გრამატიკის შესახებ იხ. ლ. მეფარიშვილი — „იოანე ბატონიშვილის გრამატიკა“, გაზ. „სახალხო განათლება“, 1948, № 47.
5. ს. დოდაშვილი გულისხმობს თავის „შემოკლებულ ქართულ ღრამატიკას“, რომელიც 1831 წელს გამოვიდა (თუმცა 1830 აწერია). წიგნი მას დამთავრებული ჰქონია 1829 წელს. მისი გამოცემისთვის ს. დოდაშვილს პასკევიჩის განკარგულებით მიუღია 200 მან. თეთრი (საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი, სრულიად საგანგებო საქმე № 165).
6. ე ლ ე ნ ა — ს. დოდაშვილის მეუღლე.

№ 47

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 58—61).
2. სოლომონ დოდაშვილის პირველი შვილი, რომელსაც თავისი მამის სახელი — ივანე უწოდა, დაიბადა 1829 წლის 21 სექტემბერს. ივანე სოლომონის ძე დოდაშვილი სასამართლოებში მუშაობდა, 1855 წელს იყო სამაზრო სასამართლოს მდივნად, 60-იან წლებში საკომერციო სასამართლოს მდივნად. 1850 წ. მან თბილისში დაბეჭდა საკუთარ ლექსთა კრებული.
3. დირექტორი სასწავლებლებისა უნდა იყოს შიპულინი.
4. ბ ა რ ბ ა რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ბაგრატი ბატონიშვილი: ასული.
5. ო ქ რ ო პ ი რ — გიორგი XII შვილი.
6. ს. დოდაშვილი გულისხმობს ერთ-ერთ კრებას თავის ბინაზე.
7. ს ვ ი მ ო ნ მ ღ ვ დ ე ლ ი — შეიძლება იყოს სვიმონ გურგენიძე, რომელსაც თავის ჩვენებაში ასახელებს ეფრემ ალექსი-მესხიშვილი („1832 წლის შეთქმულება“, გვ. 297).
8. ი ო ა ნ ე — ხელაშვილი.

9. გ რ ი გ ო ლ — ხელაშვილი.

10. ს ი მ ო ნ ს ო ლ ო მ ო ნ ი ჯ ვ ა ჩ ნ ა ძ ე — მოიხსენიება იონა ხელაშვილის ანდერძში ხელნაწერზე H № 1197: „წიგნი ესე უკეთილესნი ხოტბონნი, თარგმნილ იქმნა იონანე ბატონის შვილის ხელმძღვანელობითა თავადის ვაჩნაძე სვიმონ სოლომონის ძისაგან, წელსა 1823-სა თთვესა ტირისდენსა, ე. ი. დეკემბრის 30-სა“...

№ 48

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 46—48). ამ წერილის ნაწილი გამოაქვეყნა თ. უორდანიამ „ივერიაში“ 1887 წელს (№ 227).

2. ი ო ა ნ ე — ხელაშვილი.

3. იონა ხელაშვილს ს. დოდაშვილისათვის გამოუგზავნია იონანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი დაბეჭდვის მიზნით. იონა ხელაშვილის მიერ გაკეთებულ ერთ მინაწერში წერია (S № 22): „მიცვალებულს სურდა დაბეჭდვა ამისი მამულისათვის აღმზრდელს ჩემსა მეფის ძეს იონანეს. მე მსურს რათა მის სახელზე დაიბეჭდოს. იონა მღვდელ მონაზონი“. ეს ხელნაწერი იონას მინაწერით ს. დოდაშვილის დაპატიმრების შემდეგ დოდაანთ ოჯახში გადასულა (იხ. „საქართველოს არქივი“, წ. II, 1927, გვ. 40).

4. ს. დოდაშვილის გრამატიკა გამოვიდა 1831 წელს.

5. ს. დოდაშვილის რიტორიკა ამ ბოლო დროს აღმოჩნდა და გამოქვეყნდა „მნათობში“ (1955 წ. № 1) თ. კუკავასა და დ. ქუმისიშვილის მიერ. დანარჩენი ნაშრომები საძიებელია. 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№ 205) ი. ხატიაშვილის წერილში აღნიშნულია, რომ სემინარიის ბიბლიოთეკაში იყო სოლომონ დოდაშვილის ექვსტომიანი ფილოსოფია და ჩვენ, მოსწავლეები, მით ვსარგებლობდითო.

6. ეს ძმა არის გიორგი ხელაშვილი. იგი 1827 წლიდან პეტერბურგში იყო, დაბრუნდა 1829 წლის ბოლოს.

7. მ ი ხ ე ი ლ ი და დ ი მ ი ტ რ ი — ხელაშვილები.

№ 49

1. წერილი ამოღებულია საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული სრულიად საგანგებო საქმიდან № 170, ავტოგრაფია.

2. ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებდა: „С ним (ფილ. კიკნაძეს — ს. ხ.) последний раз виделся в 1830 году у меня в доме, и разговор был об его определении где нибудь законоучителем, он просил хлопотать“ (შეთქმ. საქმეები, რვ. III, ფ. 509). შეიძლება ს. დოდაშვილის ამ პატარა ბარათის შემდეგ ესტუმრა ფილადელფოსი მას, „მცირედ შეუძლოს“. მაშინ ეს წერი-
29 ს. დოდაშვილი

ლი დაწერილი იქნება 1830 წ. მაისში. ეფრემ ალექსი-მესხიშვილიც წერს ჩვენებაში ფილადელფოსის შესახებ: „იმის შემდგომ 1830-შივე ანუ 1831 წელში ვნახე ბაზარში, რაღასაც ჰყიდულობდაო“ (იქვე, რგ. V, ფ. 779—784).

№ 50

1. წერილი ამოღებულია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული 1832 წლის შეთქმულების საქმეებიდან (რგ. VII, გვ. 1246), ავტოგრაფია.

№ 51

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 55—56).
2. ო ნ ი ს ი მ ე მ ღ ე ლ — გიორგი ხელაშვილის მეუღლის ნატალიას მამა — ონისიმე იაშვილი.

№ 52

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 53—55). ნაწილობრივ გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ „ივერიაში“ (1887, № 227).

2. ეს ეურნალია „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელიც გამოვიდა 1832 წლის იანვრიდან, სულ ხუთი ნომერი. იგი უნდა ყოფილიყო ქართველ შეთქმულთა აზრების გამაჯრცელებელი.

3. კონსტანტინე მუხრანის ბატონი იოანეს ძე გარდაიცვალა 1843 წ., შვილისშვილი მეფე ერეკლესი, ქეთევან ბატონიშვილის ძე. დაბადებული უნდა იყოს 1778 წ. ამისი ძმაა გრიგოლ იოანეს ძე მუხრან-ბატონი, დაკავშირებული დიმიტრი ბაგრატიონის „ქეთევანის წამების“ გამოცემასთან 1819 წელს პეტერბურგში.

4. იოანე — შვილი კონსტანტინე იოანეს ძე მუხრან-ბატონისა, დაიბადა 1813 წელს. სწავლობდა პაჟთა კორპუსში.

5. „ო და ღვთისა“ — გ. რ. დერეჟავინის თხზულება. მას რანდენიმე მთარგმნელი ჰყავდა ქართულად: ივანე ბაზლიძე, დავით ციცი-შვილი, გალექსა მირიან ერეკლეს ძემ.

№ 53

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 51).
2. იოანე — ხელაშვილი. 1829 წლის 2 აგვისტოს დებულებით თბილისში უნდა დაარსებულყო გიმნაზია, მაზრებში — სამაზრო სას-

წავლებლები. თბილისის გიმნაზია გაიხსნა 1830 წლის მარტში, სამაზრო სასწავლებელი — სიღნაღში ამავე წელს.

3. მ ც ი რ ე წ ლ ო ვ ა ნ ი ძ მ ა მ ი ს ი — მიხეილ სოლომონის ძე ხელაშვილი.

4. იგულისხმება კონსტანტინე მუხრან-ბატონი და მისი შვილი იოანე.

5. ო ს ი ფ ი ა კ ო ლ ი ჩ ი — იოსებ იაკობის ძე.

№ 54

1. წერილი ამოღებულია № 388 ხელნაწერიდან (გვ. 62—64).

2. სოლომონ ხელაშვილი და მისი შვილი იოანე.

3. ფ ე ო დ ო რ ო ვ ნ ა — ს. დოდაშვილის მეუღლე ელენე.

4. მ ი ხ ე ი ლ — სოლომონ ხელაშვილის ვაჟი.

№ 55

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 42—44). ამავე დღეს ს. დოდაშვილს გაუგზავნია სტეფანესთვის ვიქტორ თევდორეს ძე იანოვიჩის ხელით (იანოვიჩი პასკევიჩის კანცელარიის მმართველი იყო და ცხოვრობდა ს. დოდაშვილის მეზობლად). ეს წერილიც ალბათ იანოვიჩს გაატანა ს. დოდაშვილმა.

2. სოლომონ ხელაშვილის ასულის კონიას მეუღლე იოანე ზაქარიას ძე დემეტრაშვილი.

№ 56

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 48—50).

2. შ ა ნ შ ე ე რ ი ს თ ა ვ ი — შულავერის მოურავი მეფე გიორგის დროს, შემდეგ პოდპოლკოვნიკი, გორის მაზრის მარშალი, 1804 წელს მთიულეთის აჯანყების ჩაქრობის მონაწილე, იგი ძმა იყო „დიდი კნაზის“ გიორგი იასეს ძე ერისთავისა, მამა ელიზბარ ერისთავისა. გარდაიცვალა 1831 წელს.

3. დ ე კ ა ნ ო ზ ი ა ა რ ო ნ — მესხიშვილი, „კალმასობის“ პერსონაჟი. პლ. იოსელიანი წერს (გიორგი მეთორმეტის ცხოვრებაში), რომ აარონ დეკანოზი 1827 წელს გარდაიცვალა. ამ წერილის მიხედვით კი აარონი 1831 წლის ივნისშიც ცოცხალია.

4. იგულისხმება გიორგი ხელაშვილი.

5. მ თ ა ვ ა რ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი — პასკევიჩი. ცენზურის პროექტზე მუშაობა ს. დოდაშვილს 1830 წლის თებერვალში უკვე დაწყებული ჰქონდა. პასკევიჩს მის მიერ შედგენილი წესდება წაუღია პეტერბურგში დასამტკიცებლად.

1. წერილი ამოღებულია S № 388 ხელნაწერიდან (გვ. 44—45).

2. 1830 წლის ზაფხულში ეპიდემიური ავადმყოფობის გავრცელებამ მთელი რუსეთი შესძრა. ვრცელდებოდა ათასგვარი ხმა, ვითომც ხალხის გაწყვეტის მიზნით თავადები და კეთილშობილნი წყალს წამლავენო. სხვადასხვა გუბერნიებში მოდებული ავადმყოფობა ხალხს აღელვებდა. 1831 წელს მღელვარება გაძლიერდა. ჭირმაც არ იკლო. პეტერბურგში, თივის მოედანზე, მუშებმა, ხელოსნებმა და მოსამსახურეებმა დაანგრის ხოლერიანთა საავადმყოფო, დახოცეს ექიმები, სატახტო ქალაქის გენერალ-გუბერნატორი გააქციეს. ხოლერა სატახტო ქალაქში მძვინვარებდა. ამან პუშკინს აფიქრებინა დაეწერა — „Пир во время чумы“ 1830 წელს, რაც ინგლისელი მწერლის ჯონ ვილსონის თხზულების თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.

3. ო ს ი ბ ი ა კ ო ლ ი ჩ ი — იოსებ იაკობის ძე.

1. წერილი ამოღებულია საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის 1832 წლის შეთქმულების საქმეებიდან (რვ. XXVI, ფ. 5272), ავტოგრაფი. გამოაქვეყნა გ. გოზალიშვილმა წიგნში „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წელს. წერილი ხელით წაუღია ტალიაშვილს. ეს წერილი საგამომძიებლო კომისიამ ოქროპირ ბატონიშვილის ქაღალდებში იპოვა, თარგმნა და ს. დოდაშვილის საბუთებს დაურთო. თარგმანი შენახულია საგანგებო საქმეთა ფონდში, საქმე № 166, ფურც. 174. ო ქ რ ო პ ი რ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გიორგი XII შვილი.

2. ს. დოდაშვილი გულისხმობს ოქროპირთან შეხვედრებს თბილისში და საუბარს მასთან ამ უკანასკნელის გაცილებისას მცხეთამდის 1830 წელს. ს. დოდაშვილმა კომისიას 1833 წლის 27 თებერვალს მოახსენა — „Одни слова Окропира царевича имели на меня влияние, который дал мне пагубную мысль против правительства“.

3. სპარსეთში გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილის მღვდლის რომან ტალიაშვილის ვაჟის გრიგოლის შესახებ ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებდა და ამასთან უმარტავდა ოქროპირისადმი გაგზავნილი წერილის აზრს და წერდა (ოქროპირისადმი წერილი კომისიას პეტერბურგიდან გამოუთხოვია): „Окропир царевич поручил мне сообщить молодым людям о Багр гионовых, этоны они их знали и желали их царствования, просить у священников, чтобы об них молились богу и внушить ученикам

3. გაზეთები და ჟურნალი — იგულისხმება „ტფილისის უწყებანი“ გამოცემები და ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. სხვათა შორის: მარი ბროსე დაინტერესებული ყოფილა ეშოვნა „სალიტერატურონი ნაწილნი“ ნომრები. 1834 წლის 17 ოქტომბერს თეიმურაზ ბატონიშვილს მარი ბროსესათვის პარიზში გაუგზავნია ერთი ნომერი (№ 1) წერილით..., „მაგრამ ვნახე მე ჟურნალი ქართული ტფილისში აღბეჭდილი, მხედრულად, რომელ მეჟურნალე სწერდა სომეხთა წინა აღმდგესა თქმისათვის, რომელიცა შეეხების ენასა ქართულსა (იგულისხმება ს. დოდაშვილის წერილის „მოკლე განხილვა...“, დაბეჭდილი ჟურნალის პირველ ნომერში — ს. ხ.). იმ ჟურნალს ამავე წიგნთან მოგართმევ, ამ კონვერტში შთავდევე (წერილთან ერთად შენახულა აღნიშნული ნომერიც, რომლის 22-ე გვერდზე ს. დოდაშვილის სიტყვებს „შესაძლებელ არს, რომელ არა ქართულმა ენამან მიიღო ლექსნი სომხურიდამ, არამედ სომხურმან ენამან ქართულიდამ — ხაზი აქვს გასმული — ს. ხ.). წარიკითხეთ ჟურნალი ესე, რომელ ვითარ სცნათ. მე ჰეშმარიტებით ამას გარწმუნებ, რომელ ქართველთ არაოდეს სძულეზიათ სომეხნი და ჰეშმარიტად არც დღესა ჰსძულსთ“ (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ფონდი H № 21). ბროსესთვის გასაგზავნად ჟურნალის შოვნისთვის ცდილა პლატონ იოსელიანიც. 1838 წლის 29 დეკემბერს თბილისიდან პეტერბურგში იგი სწერდა ბროსეს: „გაზეთსა „სალიტ. ნაწ. ტფ. უწყებათანი“ ვეცდები ვიშოვნო, მიმასწავლეს ადგილ-ადგილ და ვარ მათსა მოძიებაში... გაზეთსა 1832 წ. აბეჭდინებდა ს. დოდაევი და უბედურსა ამას მოუხდა ცუდად, რომ თურმე საამბოზოდ ერისა ყოფილა და ექვსს თვეზედ აღკრძალეს. თვათ იგი წარგზავნეს ვიატკას და მუნ გარდაიცვალა. მეცადინეობა მისი იყო ფრად კეთილი, მაგრამ შეაცთუნეს სხვათა და დაჰკარგა თვისი პატივი“ (იხ. ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაცია — „პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი“, ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, 1941).

4. ელენა — ს. დოდაშვილის მეუღლე.

5. ვანა — ს. დოდაშვილის უფროსი ვაჟი ივანე. როგორც ხელნაწერების ინსტიტუტში დაცული ხელნაწერის S № 22 მინაწერები აჩვენებს, ს. დოდაშვილს გარდა ივანესი ჰყოლია კიდევ ნინო — დაიბადა 1831 წლის 1 აგვისტოს, კონსტანტინე — დაიბადა 1832 წლის დეკემბერში. ს. დოდაშვილის შვილების შესახებ ლემკეს მიერ გერცენის თხზულებებისათვის შედგენილ კომენტარებში (XII ტომი) წერია: „Два малолетних сыновей и дочь, которые находятся при нем“. გადასახლების წინ ს. დოდაშვილმა, 1834 წლის 4 ივნისს, ვლ. ვოლხოვსკის სთხოვა: ნება მომეცით ოჯახი თან წავიყვანო, რად-

გან აქ ნათესავი არავინ მრჩებაო; დერბტში ან სარატოვში გადამასახ-
ლეთ, რომ ბავშვებს ვასწავლოო: ქონება აუქციონით გამიყიდეთ და
მარიამ ორბელიანს ჩემი 370 მანეთი გამომირთვით და ჩამაბარეთო
(საქ. ცენტრ. ისტორიული არქივი, განსაკუთრებულად საგანგებო საქ-
მე № 165). ს. დოდაშვილთან ერთად გზას გაუყენეს მისი ოჯახიც.
„Учитель Тифлисской гимназии Соломон Додаев, при нем же-
на, двое сыновей и мальчик“, ასე წერია საბუთში. 1834 წლის 24
ივნისს, დილის 9 საათზე პორუჩიკმა ფილიპოვმა სოლომონ დოდაშვი-
ლი ოჯახით და სოლომონ რაზმაძე ერთად გაამგზავრა რუსეთისაკენ.

ს. დოდაშვილის დაბატიმრების შემდეგ იონა ხელაშვილმა „რო-
ნიში“ (ინსტიტუტის ხელნაწერი S № 288) სიბრაღულითა და სიმ-
წარით ჩაწერა ს. დოდაშვილზე, სწუხდა იმედთა გაუმართლებლობა-
სა და აჰაგის დანთქმას: „ესერა სიმშლითა და წყურვილითა და შიშ-
ლოებათა და დაბებკულისა სამოსითა და ხმელი სანოვაგითა და ფერ-
ხივ რონიებითა საღმრთო კონდაკითარე, მსახურსა თვისსა სულიერ
წილ ერთსა თვისისაგან მომინიჭა მაცხოვარმან კენტინარნი, ვეცხლნი,
რომლითაცა მსურდა ლექსიკონისა დაბეჭდა ერისათვის, ათისა წლისა
დღე და ღამე შრომილნი ჩემნი და შემდგომითნი შემდგომ წიგნებთა
საპიროთა დაბეჭდა ყრმათა განბრძნობად და თვით ჩემგან ქმნულნი
წიგნნი 27-ნი და უფროსდა წმიდა წერილებთა თარგმანნი, სულითა
მაცხოვრებელნი, გარნა სულიერმან მოწაფემან ჩემმან მიმიღო აღთქმი-
თა აღსრულება ჩემისა აზნობისა, ვეცხლნი ჩემგან და წარავო ამაოდ
თვინიერ საპიროებითა, რომელმან განაბნია ნაყოფნი ჩემნი, ოცდა-
ორსა წელსა შეკრებილნი, რომელმან მწერა ტფილისით პეტერბურდს
ექვს წელ — საქმეთა შენთა ვასრულებო — ქარტასა ზედა ტკბილ
მეტყველებითა, რომელმანცა მცირე გლახაკი ღრამმატიკა ოდენ და-
ბეჭდა ვეცხლითა ჩემითა და ჟურნალი უნებლით ჩემსა, რომელმან გან-
მიბნია მრავალნი ვეცხლნი, თვისისა როჭიკითა არა მსურველმან
ცხოვრებისა. განაბნივა ტალანტნი ჩემნი და ჩემისა ვეცხლითა განბნე-
ვითა თვისიცა როჭიკი. წარწყმიდა მონარხისა წყალობა და ერთბამად
ზორციელი ღირსება თვისი და ხარისხი მოძღვრობისა და მასწავლებ-
ლობისა დაფლა სუდარასა შინა ბაგეებითა მახლობელმან ჩემმა და
გულითა შორად განყენებულმან სთესა რიდობითა და იმკის წყვილიად-
სა შინა სატუხელობისა. ღმერთმან საუკუნო ცხოვრებისა სინანული
მიანიჭოს და იცვალოს ღვარძლობისაგან იფქლად, რათა არა იხარებ-
დეს მას ზედა ეშმაკი საუკუნოდ, რომელმან პური არსობისა მიმტაც-
ნა საღმრთო კონდაკით შეძინებული პირისა ჩემისა ოფლებითა დღე
და ღამე, რომელმანცა დაკლებულ მყო მსახურებად სულიერთა ძმათა
და მამულისა წიგნებითა და ლექსიკონისა დაუბეჭდაობითა კაცმან მან
მეტყვეებმან ჩემმან ს[ოლომონ] დ[ოდაშვილმა]“...

1836 წლის 10 აგვისტოს, ვიატკაში, პოლონელმა ექიმმა ხამუჩო-
ვიჩმა შეამოწმა ლოგინად ჩავარდნილი სოლომონ დოდაშვილის მდგო-
მარეობა და დასვა დიაგნოზი — Phtisis Pulmonalis purulenta —
ფილტვების ჩირქოვანი ანთება. ამ დიაგნოზთან ერთად გაგზავნა
ვიატკის გუბერნატორმა კ. ტუფიაევმა თავისი შუამდგომლობა უმაღ-
ლესი მთავრობის სახელზე იმავე წლის 19 აგვისტოს.

მეორე დღეს, 20 აგვისტოს, სოლომონ დოდაშვილი გარდაიცვალა
(1832 წლის შეთქმულების საქმეები, რვ. XXXIX, ფ. 219—220).

ს. ხუციშვილი.

ხალხური სიტყვიერების კრებული
შემკრები ს. ღოღავეი¹

ს ი მ ლ ე რ ე ბ ი

1. რომელი მყოფ ხარ მაღალთა შინა,
სახელ წმინდაო, მამაო ჩვენო!
რომ სატანაცა არ მომაჩვენო,
პურსა არსებით მომცემო, უფალო ჩვენო!
ვითარცა ზეცით, აგრეთვე ქვეყნით.

2. ქიზიყში გაგონილი სიმღერები, ანდაზები და
გამოცანები

პირველად მქვიან სოლოღან,
მერმე მეძახიან ბრძენსა.
სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შავაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნამ და ზღვაში ვთესამ,
მორევში ჩავეყრი დიდ ბზესა.

მეზადემ ბადე გაშალა,
სამი თევზი გამოჰყვესა,
ავიღე და სამივ დაჭერ,
სამივ ტაფას დაეხარშესა,
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თევზი გაცოცხლდესა.
ახლა ნაზირ-ვეზირ ხვდესა.
ნაზირ-ვეზირმა ახსენა,
„ახლა დედოფალსა ხვდესა!“

დედოფალმა ასე ბრძანა:
„თორმეტი წელიწადია
ვევარობ კუნწულ ხელმწიფესა“.
კუნწულელმა ასე ბრძანა:
„მოგკლავ სოლომონსა ბრძენსა
ერთი სპილენძის კოკა მაქვ,

¹ იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S 5293 ხელნაწერები

მიბარია მემაშხლესა,
ვინც იმას საყმოთ ამივსებს,
საყვარელი იმას რჩესა.“

კუნწულელმა დაიბარა თავის საყმო,
ყმაწვილი და დედაბერი
შვიდი დღე-ღამე იარეს, კოკას ყელში დააკლესა.
„კუნწულელო, შიგ ჩაბრძანდი,
საყვარელი შიგ ჩაგყვესა!“
კუნწულელი ჩაიტყუა,
ზარფულს თავსა დააკრესა,
ოთხივ-კუთხივ დაბეჭდესა.
მებადემ ბადე გაშალა,
კოკა ხელში მიადგესა.
